ლამარა გოდერიძე

კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში

(ქართული თვითმოქმედი საზოგადოებები)

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2005

უაკ (UDC) 008 (479.22)
გ 621

წიგნში ასახულია კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში 1879-1917 წლებში ქართულ თვითმოქმედ საზოგადოებათა მოღვაწეობის კუთხით რუსეთის თვითმპყრობელური ხელისუფლების დენაციონალისტური პოლიტიკის პირობებში.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო, ქართული დრამატული, ქართული კულტურის მოყვარულთა, ქართველ ქალთა და სხვა თვითმოქმედი საზოგადოებები, რომლებიც ყველაზე უკეთ გამოხატავდნენ ქართველი ერის მაჯისცემას და მის ეროვნულ-კულტურულ მისწრაფებებს, უდიდესი თავდადებით იბრძოდნენ ეროვნულ ფასეულობათა დასაცავად, ეროვნული ცნობიერებისა და თვითმყოფადობის გადასარჩენად, რაც ხელს უწყობდა ქართული სულიერების ამაღლებას.

განკუთვნილია სტუდენტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი პროფ. მ. ვაჩნაძე

რეცენზენტები: ისტორიის მეცნ. დოქტორი დ. კანდელაკი
დოც. თ. ფარცვანია

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005
© ლ. გოდერიძე

ISBN 99940-12-47-9

წინათქმა

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში, ისევე როგორც ეროვნული მოძრაობა, ანტირუსულ ხასიათს ატარებდა და მიმართული იყო ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ.

როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, ქართულ ეროვნულ ცნობიერებას არავინ არ ებრძოდა ისე ხანგრძლივად და ისეთი გაშმაგებით, როგორც რუსეთი, რადგანაც მთლიანი ეროვნული ცნობიერების გარეშე ყოველი ერი კარგავს საკუთარ იერსახეს, თვითმყოფადობას და მონობის ბორკილებში ადვილად ექცევა. მე-19 საუკუნის დასაწყისში სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დაკარგვას თავისთავად მძიმე შედეგები მოჰყვა, რაც დიდი ხნის მანძილზე პროგრესირების საშუალებას არ აძლევდა ქართველ ერს, აკნინებდა ეროვნულ ცნობიერებას, იწვევდა შემოქმედებითი ძალების პარალიზებას, ზნეობრივი იმპერატივების გაუფასურებას და ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ამკვიდრებდა ერთიანი ეროვნული ცხოვრების მიმართ. ასეთ ვითარებაში ასიმილაციის მექანიზმი აქტიურად მოქმედებდა დედაენის, ეროვნული კულტურის, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის, ტრადიციებისა და ეროვნული ცნობიერების შემაკავშირებელი ყველა სხვა ძალის წინააღმდეგ, რაც რეალურად ქმნიდა ქართველი ერის გადაგვარების საფრთხეს. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო სოციალური მობილიზაცია და ეროვნული კონსოლიდაცია, მთლიანი ეროვნული ცნობიერება, რომელიც ხელს შეუშლიდა ცარიზმს დაუბრკოლებლად განეხორციელებინა თავისი რუსიფიკაციისა და ასიმილაციის პოლიტიკა.

თერგდალეულებმა სწორად აუღეს ეპოქას ალღო და რუსეთის დიდმპყრობელურ-ნაციონალისტურ პოლიტიკას დაუპირისპირეს ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებისა და ეროვნული კონსოლიდაციისათვის ბრძოლა. ილია ქართველობას შთააგონებდა, რომ „ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღლისა, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკე თლა ლხინისა თავისაკენ და

ჭირისა სხვისაკენ — მარტო თავის თავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება .მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთო ცხოვრებისა და საცა ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვიან".[1]

ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებისა და ეროვნული კონსოლიდაციისათვის ბრძოლაში დიდი წვლილი მიუძღვით ქართულ თვითმოქმედ საზოგადოებებს, რომლებიც ეროვნულ ტკივილზე იყვნენ ნაშენი და უდიდესი ენერგიითა და თავდადებით ეწეოდნენ პრაქტიკულ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას მთლიანი ეროვნული ცნობიერების განვითარებისათვის, რომლის გარეშე წარმოუდგენელი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატება; მათი მიზნები და ამოცანები გამომდინარეობდა ქართველ განმანათლებელთა — თერგდალეულთა ეროვნული კონცეფციიდან და ემსახურებოდა მის პრაქტიკულ განხორციელებას, რის გამოც კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის ამ კუთხით წარმოჩენა აღრმავებს ჩვენს წარმოდგენას აღნიშნულ ეპოქაზე და თანამედროვე საზოგადოებას აცნობს ქართველი ინტელიგენციის თავგანწირული ბრძოლის შესანიშნავ მაგალითებს მშობლიური ენის, ეროვნული სკოლის, ქართული თეატრის და, საერთოდ, ეროვნული კულტურის გადარჩენისათვის, რაც თავისთავად ნიშნავდა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას.

მიუხედავად ქართული თვითმოქმედი საზოგადოების ამგვარი მძიმე და საპატიო ეროვნული მისიისა, კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში ამ კუთხით დღემდე არაა სათანადოდ შესწავლილი, რაც ერთგვარ ხარვეზს ქმნის ქართულ ისტორიოგრაფიაში როგორც სახალხო განათლებისა და ქართული კულტურის ისტორიის, ისე ეროვნული მოძრაობის კვლევის თვალსაზრისით. წიგნს არ გააჩნია პრეტენზია კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის მონოგრაფიული შესწავლისა. იგი წარმოადგენს მხოლოდ პირველ მოკრძალებულ ცდას, მთლიანობაში წარმოაჩინოს ქართული თვითმოქმედი საზოგადოებების მოღვაწეობის ძირი-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 8, თბ., 1957წ., გვ. 312.

თადი ასპექტები სახალხო განათლებისა და ქართული კულტურის სხვადასხვა სფეროში XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში.

წიგნი ძირითადად შესრულებულია საარქივო და პრესის მასალებზე დაყრდნობით; გამოყენებულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების არქივი (ცსსა, ფონდი 481), „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების" ფონდი (ცსსა, ფონ. 2096), თბილისის სახალხო განათლების, ლიტერატურული, თეატრალური და ხელოვნების მუზეუმების ხელნაწერთა კოლექციები, მოსკოვის ცენტრალური ისტორიული არქივის ზოგიერთი დოკუმენტი და სხვ; უხვადაა მოტანილი პრესის მასალები („ივერია", „დროება", „კვალი", „სახალხო გაზეთი", „საქართველო", „განათლება", „კლდე", „ამირანი", „ზაკავკაზიე", „კავკაზსკაია რეჩ" და სხვ.), აგრეთვე მემუარული ლიტერატურა და გამოქვეყნებული პირველწყაროები.

წიგნი დაყოფილია ორ ნაწილად: I ნაწილი მოიცავს 1879-1907 წლებს, წერა-კითხვის საზოგადოების დაარსებიდან ილიას მკვლელობამდე („ილიას გზით, ილიასთან ერთად"). II ნაწილში განხილულია 1907-1917 წლები („ილიას გზით, ილიას გარეშე"). განზრახული გვაქვს მესამე ნაწილის გამოცემაც, რომელიც ასახავს ქართულ თვითმოქმედ საზოგადოებათა მოღვაწეობას საქართველოს დამოუკიდებლობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში (1918-1928 წწ.)

იმედია, აქ წარმოჩენილი თვითმოქმედი საზოგადოებების უანგარო ღვაწლი და მამულიშვილობა კეთილშობილურ გრძნობებს აღძრავს თანამედროვე ქართველ მკითხველში და სიამაყის გრძნობით განაწყობს საკუთარი ისტორიული წარსულისადმი.

ავტორი დიდ მადლობას უხდის ყველა იმ პირსა და დაწესებულებას, ვინც დახმარება გაუწია წიგნზე მუშაობის დროს.

ავტორი სიამოვნებით მიიღებს მკითხველთა შენიშვნებს.

„იქნება არც ერთს მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მსოფლიო მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის. ეს უმაღალითო მნიშვნელობა დამოკიდებულია ერთის მხრივ ილიას განსაკუთრებულს ნიჭზე, მეორეს მხრივ ჩვენის ქვეყნის დაცემაზე...“

/იაკობ გოგებაშვილი/

ნაწილი პირველი

ილიას გზით
ილიასთან ერთად

შესავალი

მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთის ტრადიციული ნაციონალური პოლიტიკა, რომელიც გამოხატავდა დინასტიის, მემამულეთავადაზნაურობის, ბიუროკრატიისა და ნაციონალური ზედაფენების ინტერესებს, მიზნად ისახავდა ერთიანი ადმინისტრაციული და სამართლებრივი სივრცის შექმნას მთელი იმპერიის მასშტაბით. უნიფიკაციის ამგვარმა ტენდენციამ რუსეთში თავი იჩინა ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში — „სმუტის" შემდგომ პერიოდში (სავოევოდო მმართველობის შემოღება); პეტრეს ეპოქაში ეს ტენდენცია უფრო გაძლიერდა, ხოლო მე-19 საუკუნეში უკვე აშკარად გამოიკვეთა, რაც უმთავრესად გამოიხატებოდა რუსული ადმინისტრაციული მმართველობისა და კანონების შემოღებაში და მიზნად ისახავდა განაპირა მხარეების თავისებურებათა სრულ ნიველირებას.

რუსეთის ხელისუფლება მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე ცდილობდა იმპერიის განაპირა ნაციონალურ რეგიონებში მმართველობის სისტემის უნიფიცირებისათვის ხელსაყრელი პირობები შეექმნა და ამის საფუძველზე წარმატებით განეხორციელებინა რუსიფიკატორული და კოლონიური პოლიტიკა. კერძოდ, საქართველოში ცარიზმის ნაციონალური პოლიტიკის მთავარ ელემენტებს შეადგენდა: რუსული მმართველობის სისტემის დამკვიდრება, სკოლებიდან და სახელმწიფო დაწესებულებებიდან დედაენის გამოდევნა, მხარის კოლონიზაცია, ეთნოკონფლიქტებისა და რელიგიური შუღლის გაღვივება, ადგილობრივი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და ა.შ.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის ხელისუფლება საქართველოში ჯერ კიდევ შენიღბულად მოქმედებდა და აშკარა შეტევაზე გადასვლას ვერ ბედავდა ადგილობრივი მოსახლეობის სისტემატური წინააღმდეგობებისა და თურქეთ-ირანთან გამუდმებული ომიანობის გამო. საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ასეთი საშიშროება თითქმის აღარ არსებობდა, ხელისუფლების ყველა ღონისძიება სავაჭრო-ეკონომიკურ, კულტურულ თუ სხვა სფეროებში, ერთი მთავარი მიზნისაკენ იყო მიმართული — გადაექ-

ცია საქართველო რუსეთის დანამატად, მცირერიცხოვანი ქართველი ერი მრავალმილიონიან რუსულ ერში გაეთქვიფა და მისი სრული ასიმილაცია მოეხდინა. იმპერიის ზოგიერთმა რეგიონმა ვერ გაუძლო ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაციისა და რუსი მიგრანტების მოზღვავების ტალღას და მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის უკვე აღარ მოიხსენიებოდა როგორც წმინდა ნაციონალური მხარე (მალოროსია, ციმბირის დიდი ნაწილი). ამ რეგიონებში უკვე ისეთივე ადმინისტრაციული ნორმები მოქმედებდა, როგორიც რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში, რაც არა მხოლოდ ეთნიკური პროცესებითა და კულტურული ტრანსფორმაციით იყო გამოწვეული, არამედ მმართველობის უნიფიკაციის საერთო ტენდენციების შედეგი გახლდათ.

იმპერიული იდეოლოგიის მიხედვით, „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის" შემადგენლობაში განაპირა ნაციონალური მხარეების შესვლა ამ ხალხისათვის „დიდ სიკეთედ" ითვლებოდა. სინამდვილეში კი „მზრუნველობის" საფარქვეშ ხორციელდებოდა მათი მეურნეობისა და სოციალური სტრუქტურების ნიველირება, რაც განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ხალხების თავისებურებების მოსპობას, მათ ეროვნულ გადაგვარებას და გარუსებას იწვევდა; მაგრამ, ადგილობრივი მოსახლეობის თავისებურებანი ყოველთვის ხელს არ უწყობდა ცარიზმის ნამდვილი მიზნების პრაქტიკულად განხორციელებას, რის გამოც ხელისუფლება იძულებული ხდებოდა ზოგჯერ გარკვეულ დათმობებზე წასულიყო (პოლონეთი, ფინეთი).

აკად. ა. სახაროვის აზრით, რუსეთის შემადგენლობაში სხვა ხალხების ჩართვა, გარდა ცივილურ ურთიერთობებში შედარებით დაწინაურებული რეგიონებისა (ბალტიისპირეთი, პოლონეთი, ფინეთი), უკან სწევდა რუსეთის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას და ხელს უწყობდა საზოგადოებრივი პროცესების კონსერვაციას; რაც უფრო ფართოვდებოდა ეს უცხონაციონალური ნაკადი, მით უფრო ვიწროვდებოდა რუსული ცივილიზაციის კალაპოტი; და რადგანაც შეერთების პრაქტიკა გრძელდებოდა თითქმის მე-19 საუკუნის ბოლომდე, შესაბამისად, დასავ-

ლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით, შორს იწევდა რუსეთის მომავლის პერსპექტივაც[1].

როგორც აქედან ჩანს, საქართველო არ მიეკუთვნება „ცივილიზაციურად განვითარებულ“ რეგიონთა რიცხვს, რომელიც იმპერიაში შესვლის შემდეგ, სხვა ქვეყნებთან ერთად, „მძიმე ტვირთად“ დააწვა რუსეთის ცივილურ განვითარებას. მართალია, ანექსიის პირველ ხანებში, მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების გამო, ქვეყანა დაქვეითების გზაზე იდგა, მაგრამ, მსოფლიო ისტორიაში არაერთი მაგალითია ცნობილი, როდესაც ქვეყნის სულიერი განვითარება ყოველთვის არაა იდენტური მისი ეკონომიკური მდგომარეობისა, მით უფრო, თუ მას გააჩნია ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და სულიერი განვითარების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები; თვითონ რუსი ისტორიკოსები აღიარებენ, რომ დღემდე სათანადოდ არაა შესწავლილი, თუ როგორი იყო რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ხალხების კულტურული გავლენა მათი „გადამყლაპავი“ ქვეყნის ცივილურ განვითარებაზე.

სამწუხაროდ, საბჭოური პერიოდის ქართველი მკვლევრები ტენდენციურად წინა პლანზე აყენებდნენ მხოლოდ რუსული კულტურის კეთილმყოფელ, პროგრესულ გავლენას ქართული კულტურის განვითარებაზე, ხოლო რუსეთის სულიერ ცხოვრებაში ქართული კულტურის როლის წარმოჩენაზე მოკრძალებას იჩენდნენ. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ეპისკოპოსმა კირიონმა თავის ნაშრომში „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“, თვალსაჩინო მაგალითებით გვიჩვენა, თუ როგორი ძლიერი იყო ქართული ეკლესიის გავლენა ქრისტიანულ აღმოსავლეთზე, კერძოდ, რუსეთის სულიერ ცხოვრებაზე[2].

ცნობილია, რომ ბელინსკი კავკასიას თვლიდა რუსეთის პოეტური ტალანტების აკვნად, მათ პოეტურ სამშობლოდ. როგორც ვ.

---

[1] А.Н. Сахаров. „Национальный вопрос“ и Российская цивилизация. იხ. წიგნში: Россия в XX веке. Проблемы национальных отношений, М., 1999, გვ. 7.

[2] Епископ Кирион. Культурная роль Иверии в истории Руси. Тиф., 1910.

შადური წერს, კავკასია დეკაბრისტებისათვის იყო თავისუფლების არა მხოლოდ „სიმბოლური“ გამოხატულება და თემა, არამედ ფართო რეალური სამყარო ხალხის თავისებური ცხოვრებით, მდიდარი კულტურითა და ისტორიით, პოეტური ფოლკლორითა და მხატვრული ბუნებით. დეკაბრისტებმა და მათმა თანამოაზრეებმა რუსულ ლიტერატურაში შეიტანეს ახალი თემები და სახეები, გაამდიდრეს სიტყვიერება ახალი ჟანრებით და ტერმინებით, წინ წასწიეს რუსული ლიტერატურის გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ჩარჩოები[1].

საქართველოს თემა მხატვრულად აისახა აგრეთვე ა. გრიბოედოვისა და ა. პუშკინის შემოქმედებაში.

ნიშანდობლივია, რომ ცარიზმის რეაქციული მიზნების განხორციელებას საქართველოში ხელი შეუშალა სწორედ ქართველი ხალხის ეროვნულმა პოტენციამ და მისმა მრავალსაუკუნოვანმა კულტურამ, რომელიც უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ცარიზმის უხეში ძალადობა, რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა რუსიფიკაციის მარცხი და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით ერის პატრიოტ-მოღვაწეებს, რომლებიც ქმნიდნენ ქართული კულტურის ეროვნულ ნაკადს რუსიფიკატორული ნაკადის საპირისპირო მიმართულებით.

ქართულ კულტურაში რუსიფიკატორულ ნაკადს აძლიერებდა საქართველოს საგუბერნიო ცენტრებში რუსული ენისა და რუსული კულტურის ფართოდ დანერგვა, რუსულენოვანი ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემა, რუსული სამეცნიერო დაწესებულებებისა და საზოგადოებების დაარსება, რუსული თეატრების, სკოლების, ბიბლიოთეკების, სტამბების გახსნა. ასე, მაგალითად, 1828 წლიდან თბილისში გამოდიოდა გაზეთი „ტიფლისკიე ვედომოსტი“, 1838 წლიდან — „ზაკავკაზსკი ვესტნიკი“, 1846 წლიდან — გაზეთი „კავკაზი“ და პერიოდული ცნობარი „კავკაზსკი კალენდარი“; 1846 წელს თბილისში გაიხსნა რუსული თეატრი და საჯარო ბიბლიოთე-

---

[1] Вано Шадури. Декабристская литература и грузинская общественность. Тб., 1960, გვ. 83.

კა; ამავე წელს — კავკასიაში ხელოვნების გამავრცელებელი საზოგადოება, კავკასიის სამედიცინო საზოგადოება, კავკასიის არქეოგრაფიული კომისია; 1850 წელს — სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოება და სხვ.

ამგვარად, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსულ კულტურას რუსიფიკატორული მისია დაეკისრა, რომელმაც ნაციონალური რეპრესიების ადგილი დაიკავა. თუ მანამდე მეფის ხელისუფლება შეგნებულად უქმნიდა დაბრკოლებებს ადგილობრივი ნაციონალური კულტურის განვითარებას, ავიწროვებდა ქართულ ენას, დევნიდა სასწავლო და სახელმწიფო დაწესებულებებიდან, ახლა უკვე, რუსული ენის გაბატონების შედეგად, ქართული ენა პრაქტიკულად კარგავდა თავის მნიშვნელობას იმ თვალსაზრისით, რომ ქართველ კაცს, რომელმაც რუსული ენა არ იცოდა, არ შეეძლო მიეღო საშუალო ან უმაღლესი განათლება, ემსახურა სახელმწიფო სამსახურში, ესარგებლა სასამართლო დაწესებულებებით და თვით საფოსტო სამსახურითაც კი, რადგანაც მისამართები წერილებზე მხოლოდ რუსულად იწერებოდა.

მაგრამ, რაც უფრო აქტიურად მოქმედებდა ცარიზმის ასიმილატორული პოლიტიკის მექანიზმი, მით უფრო ძლიერდებოდა ეროვნულ-კულტურული ძალების კონსოლიდაცია და მათი წინააღმდეგობის ძალა; ამასთან, არანაკლებ სწრაფად მიმდინარეობდა უფრო ძლიერი პროცესი — ეროვნული თვითშეგნების ამაღლება, რომელიც საწინდარია ყველა ქვეყნის ეროვნული მოძრაობის წარმატებისა.

ჩეხმა მეცნიერმა მიროსლავ ჰროხმა აღმოსავლეთ ევროპის მცირე ერების (ჩეხები, ლიტველები, ესტონელები, ფინელები, ნორვეგიელები და სხვ.) ეროვნული მოძრაობების მაგალითზე, ობიექტური საზოგადოებრივი პროცესების გათვალისწინებით, გამოიკვლია ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების პირობები. ამის მიხედვით ჰროხი ეროვნულ მოძრაობაში განასხვავებს 3 ფაზას:

ფაზა ა). მეცნიერთა მცირე ჯგუფის ინტერესი საკუთარი ენის, კულტურისა და ისტორიისადმი;

ფაზა ბ). „პატრიოტთა“ მიერ ნაციონალური აგიტაცია საზოგადოების ყველა ფენაში ეროვნული თვითშეგნების გავრცელების მიზნით;

ფაზა გ). მასობრივი ეროვნული მოძრაობები პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ავტონომიის მოპოვების მიზნით[1].

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად მოქმედებდა ფაზა „ბ)", რომელიც ქმნიდა პირობებს ერის ფორმირებისათვის ეროვნული თვითშეგნების ამაღლების გზით, რაც დასავლეთ ევროპის მეცნიერთა აზრით (გელნერი, ჰროხი, დეიჩი, კაპელერი და სხვ.), როგორც წესი, ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბებას უკავშირდება. საქართველოში ეს პროცესი, ცარიზმის სუბიექტური მიზნების მიუხედავად (გადაექცია საქართველო კოლონიად), ობიექტური პირობების გათვალისწინებით, ნელა, მაგრამ მაინც ვითარდებოდა. ქვეყნის კაპიტალიზაციის პროცესები ხელს უწყობდა ეკონომიკურად და ეროვნულ-კულტურულად ერთმანეთისათვის დაეკავშირებინა ქვეყნის ადრე გათიშული ნაწილები, აემაღლებინა ხალხის კულტურული განვითარების დონე. ამ ეტაპზე დაიწყო ეროვნულ მოღვაწეთა (პატრიოტთა) კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, რომლებიც ცხოვრების მიზანს ეროვნული ინტერესების სამსახურში ხედავდნენ და თავისი მოღვაწეობით ხელს უწყობდნენ ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას. ამ მოღვაწეთა შორის იგულისხმება ეროვნულად მოაზროვნე მწერლები, პედაგოგები, მხატვრები, მუსიკოსები და კულტურის სხვა დარგის მუშაკები.

რუსიფიკაციის ტალღა განსაკუთრებით გაძლიერდა 80-იანი წლების პოლიტიკური რეაქციის პერიოდში, რომელმაც მთელ იმპერიას გადაუარა და განსაკუთრებით შეეხო ნაციონალურ განაპირა მხარეებს. თვითმპყრობელობის გადასვლა აშკარა რეაქციაზე შესაძლებელი გახდა 1881 წელს რევოლუციონერთა დამარცხების, გლეხთა და მუშათა მოძრაობის დაქვეითებისა და ლიბერალური ოპოზიციის უძლურების შედეგად. ალექსანდრე III, რომელიც სათავეში ედგა ახალი პოლიტიკური რეაქციის კურსს, თავის ერთგულ მოხელეებთან ერთად (კ. პობედონოსცევი, დ. ტოლსტოი, ნ. იგნატიევი, მ.

---

[1] Hroch Miroslav: Die Vorkämpfer der nationalen Bewegung bei den kleinen Völkern Europas. Eine vergleichende Analyse zur gesellschaftlichen Schichtung der patriotischen Gruppen. Prag. 1968.

კატკოვი და სხვ.) უდიდესი გულმოდგინებით ებრძოდა რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყოველგვარ გამოვლინებას და ცდილობდა უკან წაეღო ის დათმობები, რაც განხორციელდა რუსეთში 60-70-იანი წლების ლიბერალური რეფორმების პერიოდში.

რეაქციის პირველი შეტევა თავს დაატყდა ცენზურისა და განათლების სფეროს. 1882 წლის ახალი „დროებითი წესები" ბეჭდვითი სიტყვის შესახებ მკაცრ ადმინისტრაციულ ზედამხედველობას აწესებდა. ჟურნალ-გაზეთებზე; გაძლიერდა „დამსჯელი ცენზურა" — რეპრესიული ღონისძიებები პროგრესული ბეჭდვითი სიტყვის წინააღმდეგ. 1883-1884 წლებში ამ წესების მოქმედების შედეგად დაიხურა ბევრი რადიკალური და ლიბერალური მიმართულების გამოცემა, მათ შორის ჟურნალები: „ოტეჩესტვენიე ზაპისკი" (რედაქტორი მ. სალტიკოვ-შჩედრინი), „დელო" (რედაქტორი ნ. შელგუნოვი), „გოლოს" და სხვ.

განათლების ახალმა მინისტრმა დელიანოვმა დაწყებითი სკოლები თითქმის მთლიანად საეკლესიო მმართველობას დაუქვემდებარა, გაიზარდა საეკლესიო-სამრევლო სკოლების რიცხვი; გიმნაზიებში გაძლიერდა თავადაზნაურთა პროცენტული რაოდენობა, რეალური სასწავლებლები გადაკეთდა ტექნიკურ სკოლებად; გაუქმდა უნივერსიტეტების ავტონომია; 1887 წლიდან უნივერსიტეტებში შემსვლელთათვის აუცილებელი გახდა მათი დახასიათება „საიმედოობის" შესახებ; უნივერსიტეტებიდან გააძევეს პროგრესულად მოაზროვნე პროფესორები: სოციოლოგი მ. კოვალევსკი, ისტორიკოსი ვ. სემევსკი, ბიოლოგი ი. მეჩნიკოვი და სხვ.

რეაქციის პერიოდში გაძლიერდა „ინოროდცების" ეროვნული ჩაგვრა. ალექსანდრე III შეეცადა გაეუქმებინა ფინეთის კონსტიტუცია, წაერთმია მისთვის შეზღუდული ავტონომიური უფლებები (რაც შესაძლებელი გახდა 1910 წელს ფინეთის კონსტიტუციის გაუქმების შემდეგ); პოლონეთს წაართვეს ის უმნიშვნელო დათმობები, რაც დარჩა 1863-1864 წლების აჯანყების შემდეგ, როდესაც ოფიციალურად განხორციელდა პოლონეთის ინკორპორაცია იმპერიის შემადგენლობაში; 1884 წლიდან პოლონეთის სამეფო უკვე ოფი-

ციალურად იწოდებოდა როგორც „ვისლისპირეთის მხარე“, რომელიც დაექვემდებარა იმპერიის საერთო ადმინისტრაციულ მმართველობას; 1882 წელს გაუქმდა კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობა და აღსდგა მთავარმართებლობა; ამიერიდან კავკასია კარგავდა იმ შეკვეცილ ადმინისტრაციულ ავტონომიასაც კი, რომელიც ვორონცოვის დროიდან ჰქონდა; აღსდგა გენერალ-გუბერნატორობა და იგი უშუალოდ პეტერბურგს დაექვემდებარა; 1882 წელს კავკასიის მთავარმართებლად დაინიშნა მეფის ერთგული სატრაპი გენერალი დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელიც მესვეურობდა რუსიფიკაციის პოლიტიკას, მას მხარში ედგნენ ცნობილი რუსიფიკატორები: — ეგზარქოსი პავლე, სასწავლო ოლქის მზრუნველი კ. იანოვსკი, ნ. მოძალევსკი და სხვა ადგილობრივი მოხელეები. „რეაქციის ძალები საქართველოში არა მხოლოდ ილაშქრებდნენ რევოლუციურ-პროგრესული დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ, არამედ საგანგებო ღონისძიებებსაც ატარებდნენ ქართველი ხალხის ეროვნული არსებობის, მისი კულტურისა და ისტორიის, ქართული ენის მოსასპობად, ქართველი ერის დანაწილებისა და მისი სხვადასხვა კუთხის დასაპირისპირებლად, დედა-სამშობლოსაგან აჭარის, სვანეთის, სამეგრელოს და აფხაზეთის ჩამოსაშორებლად“[1].

რუსიფიკაციის პოლიტიკას საქართველოში ხელს უწყობდა რუსული მმართველობის შემოღება, რომელიც ძალაში შევიდა 1802 წლიდან („დებულება საქართველოს მმართველობის შესახებ“). მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ცარიზმის პოლიტიკა მმართველობის დარგში მიმართული იყო იქითკენ, რომ მოსპობილიყო ყოველგვარი განსხვავება რუსეთის შიდა გუბერნიებისაგან. ამ მიზნით საქართველოში შემოიღეს ისეთივე ადმინისტრაციული დანაწილება, კანონები, დაწესებულებები და თანამდებობები, როგორიც არსებობდა რუსეთში: გუბერნიები, მაზრები, ოლქები და ოკრუგები, მართლმსაჯულების ორგანოები, პოლიცია, სასამართლოს წარმოების წესები და სხვ., რომლებიც იმავე საფუძველზე იყო მოწყობილი, როგორც ცენტრალურ გუბერნიებში.

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1970 წ., გვ. 644.

უკვე 60-იანი წლებისათვის თითქმის მთელ საქართველოში დამყარდა რუსული მმართველობის სისტემა, რომელიც არ ითვალისწინებდა ეროვნულ თავისებურებებს საერთო-სახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში. „ახლანდელი სამართალი... ახლანდელი კანონმდებლობა, — წერს გ. წერეთელი, — თვით ჩვენი ცხოვრების ვითარებაზედ კი არ არის მიმართული, არამედ უფრო განათლებულ ქვეყნებიდან არის გადმოღებული და მისი შედგენის და შემოღების დროს არც ჩვენი ხალხის ბუნება, არც მისი სისხლხორცი, არც მისი ძველი წესწყობილება და ჩვეულებანი, არც მისი ენა და მოსაზრება არ ყოფილა მხედველობაში მიღებული"[1].

მმართველობის თითქმის ყველა დარგში „კალიასავით" მომრავლდნენ უვიცი, მექრთამე მოხელეები, რომლებიც სრულებით არ იცნობდნენ ქართველი ხალხის ისტორიას, მის ენას, ზნე-ჩვეულებებს. ისინი რუსული კანონების სახელით ათასგვარ ძალმომრეობასა და უსამართლობას ჩადიოდნენ და არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ ადგილობრივი მოსახლეობის („ტუზემცების") სამართლებრივ უფლებებს.

პროფ. შ. ჩხეტიას აზრით, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში, მთავრობამ 1840-1860 წლებში შეძლო მმართველობის იმდენად ძლიერი აპარატის შექმნა, რომ ადგილობრივი წინააღმდეგობების დაძლევა მისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. სამოქალაქო მმართველობის ორგანოები და იქ მოკალათებული მოხელეები, რუსული კულტურული დაწესებულებები, მრავალრიცხოვანი ჯარის ნაწილები, პოლიცია, მომადლიერებული ექსპლოატატორული კლასები და ეკლესია — ყველაფერი ეს მთავრობის მტკიცე დასაყრდენს წარმოადგენდა და სავსებით უზრუნველყოფდა მისი პოლიტიკის განხორციელებას. თუ პირველ პერიოდში (1801-1840 წწ.) საქართველო ახლადოკუპირებული ქვეყნის შთაბეჭდილებას ახდენდა, სადაც თვითნებობა, ძალმომრეობა და უკანონობა იყო გამეფებული, ახლა საქართველო რუსეთის ნამდვილ კოლონიად (მმართველობის მხრივ

[1] ჟურნ. „კვალი", 1893 წ., № 23.

კი ორგანულ ნაწილადაც) იყო გადაქცეული, სადაც ყოველგვარი უსამართლობა, ძალმომრეობა და მოსახლეობის ჩაგვრა კანონის სახელით და „კანონიერ“ საფუძველზე წარმოებდა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს, როგორც კოლონიის პოლიტიკური დაპყრობა მეორე პერიოდის დასასრულისათვის უკვე დამთავრებული იყო, ხოლო მისი კულტურულად და ეკონომიკურად ათვისებისთვის, თითქმის ყველა წანამძღვარი იყო შექმნილი[1].

საქართველოს „ათვისებას“ ერთგულად ემსახურებოდა მეფის ცენზურაც, რომელსაც ხელისუფლება განსაკუთრებულ როლს აკისრებდა ნაციონალურ უმცირესობათა პრესის მიმართ სიფხიზლის გამოჩენის საქმეში. კავკასიის საცენზურო კომიტეტი, რომელიც ჯერ კიდევ ერმოლოვის დროს (1849 წ.) დაარსდა, დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა ქართული პრესის გამოცემას. როგორც ილია ამბობდა, „უდროოდ გაპარსული ცხვარივით“ გამოდიოდა სტამბიდან ქართული ჟურნალ-გაზეთები. 1863 წლიდან საცენზურო წესები უფრო გამკაცრდა, როდესაც საცენზურო კომიტეტი შინაგან საქმეთა სამინისტროს დაექვემდებარა. 1865 წელს რუსეთში გამოცემული ახალი „დროებითი წესები ცენზურისა და ბეჭდვითი სიტყვის შესახებ“ კავკასიას არ შეხებია. ადგილობრივი საცენზურო წესები კი გაცილებით მკაცრი იყო, ვიდრე რუსეთის შიდა გუბერნიებში მოქმედი.

ამის მაჩვენებელია კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოხსენება კავკასიის მეფისნაცვლისადმი, რომელიც 1876 წლის 9 აპრილითაა დათარიღებული. მოხსენებაში თბილისის გაზეთებისთვის განსაკუთრებული საცენზურო წესების შემოღებასთან დაკავშირებით აღნიშნულია შემდეგი:

— „Не допускать к печати статей, излагающих преимущество представительного образа правления не только тогда, когда в них идет речь о непосредственном применении этого образа правления к нашему государственному устройству, но даже и тогда, когда в произведениях сего рода события и

---

[1] შ. ჩხეტია, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში (1841-1864), „საქართველოს საისტორიო მუზეუმის მოამბე“, XII, 1941წ., გვ. 113-114.

факты сгруппированы таким образом, что они скрывают в себе мысль о возможности и необходимости применения его к нашему времени".[1]

აღნიშნული მუხლი ცენზორებს უფლებას აძლევდა ყოველ ფრაზაში დაენახათ მთავრობის საწინააღმდეგო აზრი და თვითნებურად ამოეღოთ იგი. ამის გამო ილია „ივერიაში" გულისტკივილით წერს: — „ჩვენს გაზეთებში შინაური საქმეების შესახებ მიმოხილვა არ იბეჭდება იმიტომ, რომ უნდა სწერო — „მუხას ვაშლი ასხიაო", რაც არც სათქმელადაა სასიამოვნო და არც სასმენადო"[2].

მიუხედავად ამისა, ილია დიდ როლს აკისრებდა პრესას საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლის საქმეში.

— „პრესამ უნდა კეთილსინდისიერად აღასრულოს თავისი ძნელი საქმე, — წერდა ილია, — უნდა თვალგაფაციცებით აჰყვეს აწინდელ ცხოვრებას, რათა ყოველ წარმოშობილ ფაქტს თვალი და გონება ადევნოს, ყოველ აზრს საკეთილო მოძრაობის გზა მისცეს, ყველაფერი შენიშნოს და ყველაფერს პასუხი გასცეს. ერთი სიტყვით, უშველოს ცხოვრების წინ ფეხის გადადგმის გასაუმჯობესებლად, გასაკეთებლად".[3]

ქართული პრესის საქმიანობას ხშირად წინ ეღობებოდნენ ველიკოდერჟავული სულისკვეთებით გაჟღენთილი უვიცი, გაიძვერა ცენზორები; მათ ზურგს უმაგრებდა პოლიცია, სასამართლო და ჟანდარმერია. ამას ადასტურებს ნ. ნიკოლაძეც, რომელმაც ჟურნალ „ობზორთან" დაკავშირებულ სასამართლო პროცესზე ცენზორების მისამართით განაცხადა: — „ჩვენზე უკვე თარეშობს არა კანონი, არამედ ცენზორების პირადი ნება, ან მათი პირადი შეხედულება, რომლის შესახებ სხვათა შორის, გადაჭრილად არაფერია ნათქვამი არც საცენზურო, არც სხვა რომელიმე წესდებაში"-ო[4].

---

[1] ჟურნ. „საისტორიო მოამბე", 1941 წ., № 1, გვ. 58-59.

[2] „ივერია", 1886 წ., № 15.

[3] გაზ. „დროება", 1878 წ., № 144.

[4] ა. იოვიძე, ნ. ნიკოლაძე და მეფის ცენზურა, ჟურნ. „საისტორიო მოამბე", 1945 წ., № 1, გვ. 58-59.

ცენზურა განსაკუთრებით გამკაცრდა რეაქციის პერიოდში, როდესაც კავკასიის საცენზურო კომიტეტს სათავეში ჩაუდგა მეფის ერთგული მოხელე ნ. მოძალევსკი.

1883 წელს დაიხურა გაზეთი „შრომა“ და ჟურნალი „იმედი“ ხოლო გაზეთი „დროება“, რომელიც „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ სახელოვნად აგრძელებდა პროგრესულ-დემოკრატიულ ტრადიციებს, გაძლიერებულ დევნა-შევიწროებას განიცდიდა. მარტო 1885 წლის განმავლობაში ცენზურის მიერ ქართული პრესიდან ამოღებული სტატიების 6/7 მხოლოდ „დროებაზე“ მოდიოდა[1]. საერთოდ კი, „დროების“ არც ერთი ნომერი არ გამოსულა ისე, რომ იქიდან არ ამოეღოთ მთელი სტატიები ან ცალკეული ადგილები. 1885 წლის 10 იანვარს ცენზურამ აკრძალა „დროების“ მოწინავე სტატია, რომელშიც რედაქცია ზოგადად ეხებოდა დამპყრობელი სახელმწიფოების უხეშ შემავიწროებელ პოლიტიკას დაპყრობილი ხალხებისადმი. სტატიის ავტორი მოითხოვდა დიდ სახელმწიფოებს ანგარიში გაეწიათ პატარა ერების ზნე-ჩვეულებებისა და ეროვნული კულტურისათვის. სტატიაში არსად არ იყო ნახსენები მეფის რუსეთი, მაგალითები ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებს ეხებოდა. მიუხედავად ამისა, ცენზურამ მაინც საჭიროდ სცნო მისი აკრძალვა.[2] 1885 წელს „დროება“ დაიხურა, ასეთივე ბედი ეწია ნ. ნიკოლაძის „ობზორსაც“.

მკაცრი ცენზურის მიუხედავად, ქართული პრესა მაინც ახერხებდა მკითხველისათვის მიეწოდებინა რადიკალურ-დემოკრატიული მიმართულების გამომხატველი არაერთი საყურადღებო პუბლიცისტური წერილი აქტუალურ ეროვნულ-პოლიტიკურ თუ სოციალურ საკითხებზე. ამ პერიოდის ქართული პრესა წარმოადგენდა არა მხოლოდ იდეური ბრძოლის იარაღს, არამედ ეროვნული თვითშეგნების ამაღლების წყაროსაც. იგი ამხელდა იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერ მხარეებს — ეროვნულ ნიჰილიზმს,

---

[1] ა. იოვიძე, ს. მესხი და მეფის ცენზურა, ჟურნ. „საისტორიო მოამბე“, 1960 წ., ტ. 11-12, გვ. 609.

[2] იხ. ჟურნ. „საისტორიო მოამბე“, 1956 წ., № 9.

განკერძოებულობას, ეგოიზმს, ზნეობრივ მოვალეობათა მივიწყებას და ა.შ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელები პრესის ფურცლებიდან ცხარე ბრძოლას აწარმოებდნენ რეაქციის მესვეურთა წინააღმდეგ და ამხელდნენ მათ რუსიფიკატორულ-კოლონიურ პოლიტიკას. ამაზე მეტყველებს ი. ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილის, დ. ყიფიანის, ს. მესხის და სხვ. მამხილებელი წერილები კატკოვის, იანოვსკის, დონდუკოვ-კორსაკოვის და მათ თანამზრახველთა წინააღმდეგ. ცნობილია დიმიტრი ყიფიანის განსაკუთრებული ღვაწლი რეაქციასთან ბრძოლაში. დ. ყიფიანის მხეცური მკვლელობა ააშკარავებდა ცარიზმის ვერაგულ პოლიტიკას და ხელს უწყობდა ეროვნული ცნობიერების ამაღლებას.

ქართველი ხალხის გარუსების საქმეში რუსეთის ბიუროკრატიული ხელისუფლება ყველაზე საუკეთესო საშუალებად სკოლას მიიჩნევდა; სკოლას უნდა აღეზარდა რუსული სულისკვეთებით გამსჭვალული ტახტის ერთგული ახალგაზრდობა. მთავრობას კარგად ესმოდა, რომ ამისათვის საჭირო იყო ქართველი მოზარდი თაობა განეძარცვა იმ სულიერი საუნჯისაგან, რასაც იგი ეროვნული აღზრდის გზით ღებულობდა. ხელისუფლების ამგვარი პოზიცია 60-70-იანი წლებიდან უფრო აშკარად გამოიკვეთა; თუ მანამდე ყველა სახის ოფიციალურ, სასულიერო და კერძო სასწავლებელში სასწავლო პროცესი ჯერ კიდევ მშობლიურ ენაზე ხორციელდებოდა, 60-იანი წლებიდან დაიწყო დედაენაზე სწავლების შეზღუდვა, ქართული სკოლებიდან მისი გამოდევნა და მის ნაცვლად რუსული ენის დამკვიდრება; თუ აქამდე ქართული ენა ჯერ კიდევ სავალდებულო საგნად ითვლებოდა ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის, 70-იან წლებიდან იგი სავალდებულო საგნად დარჩა მხოლოდ მოსამზადებელი კლასებისათვის. 1873 წლიდან გიმნაზიებში ქართული ენა არასავალდებულო საგნად გამოცხადდა; 1881 წლის იანოვსკის ცნობილი სასწავლო გეგმით დაწყებით სკოლებში დედაენაზე სწავლება მხოლოდ პირველ და, ნაწილობრივ, მეორე წელს უნდა განხორციელებულიყო; პირველივე წლიდან იწყებოდა რუსული ენის შესწავლა, ხოლო მეორე წლიდან საგნები რუსულად ისწავლებო-

და; მესამე წლიდან დედაენაზე საერთოდ აღარ ასწავლიდნენ, დედაენა ცალკე საგნადაც კი არ ისწავლებოდა.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კ. იანოვსკი სახალხო სკოლების დირექტორებად ნიშნავდა ქართული ენის უცოდინარ, გაუნათლებელ პირებს, რომლებიც არ იცნობდნენ ქართველი ხალხის ხასიათს, მათ ზნე-ჩვეულებებს. ამასთან დაკავშირებით, 1881 წლის 2 აპრილს ნიკო ცხვედაძე დიმიტრი ყიფიანისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში წერს: — „... აი ახლა უფ. სტრელეცკი, ქართული ენის უცოდინარი, (იანოვსკიმ) დანიშნა ხონის სამასწავლებელო სემინარიაში დირექტორად, ამის მაგიერად კიდევ აქ, საქართველოს გულში, სახალხო სკოლების დირექტორად გაამწესეს უხეირო, გამოუცდელი ქართული ენის უცოდინარი უფ. დარსკი.... როდესაც სახალხო სკოლებისათვის დირექტორებს ეძებენ, — განაგრძობს ნ. ცხვედაძე, — იმას კი არ უცქერიან, აღმოაჩინონ მართლად გამოსადეგნი პირნი, არამედ იმას, რომ ისინი იყვნენ უეჭველად რუსნი და ეს მოვლენა როგორც განათლებული რუსისათვის, ისე განათლებული ქართველისათვის, ერთი სიტყვით, ყველასათვის, ვისთვისაც კი ძვირად ღირს ხალხისა და სახელმწიფოს კეთილდღეობა, დიდად სამწუხარო მოვლენაა“.[1]

1884 წლის 11 იანვარს იანოვსკის ხელმოწერით გამოვიდა საგანგებო დადგენილება სამეგრელოს სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების აკრძალვის შესახებ, რასაც მალე შედეგად მოჰყვა მეგრული ანბანის შედგენა სლავური ანბანის საფუძველზე. 90-იან წლებში სასწავლო ოლქის მოხელენი უკვე აშკარად მოითხოვდნენ სამეგრელოს სკოლებში მეგრული ანბანის შემოღებას და სასწავლო პროცესის მხოლოდ მეგრულ და რუსულ ენებზე წარმართვას. 1892 წელს გამოიცა კიდეც ლევიცკის მიერ მეგრული ანბანით შედგენილი რუსული ენის სახელმძღვანელო, დაიწყო საღვთო სჯულის მეგრულად თარგმნა, წირვა-ლოცვის შესრულება მეგრულ ენაზე და ა.შ. მაგრამ, როგორც ცნობილია, ადგილობრივი მოსახლეობისა და ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ძალების მედგარი წინააღმდე-

[1] ჟურნ. „საისტორიო მოამბე“, თბ., 1947 წ., ტ. 3, გვ. 373-374.

გობის შედეგად რუსეთის ამგვარ გამთიშველ პოლიტიკას არც სამეგრელოში, და არც სხვაგან, წარმატება არ მოჰყოლია.

1894 წელს სახალხო სკოლების დირექტორმა ლევიცკიმ გამოსცა რუსული ენის სახელმძღვანელო, რომელიც ე.წ. მუნჯურ (ნატურალურ) მეთოდზე იყო აგებული. პედაგოგს რუსული სიტყვები და წინადადებები მოზარდებისათვის რუსული სიტყვებითვე უნდა აეხსნა, ხოლო თუ ამას ვერ მოახერხებდა, თვალსაჩინოება ან სხვა რაიმე საშუალება (დახატვა, იმიტაცია და სხვ.) უნდა გამოეყენებინა, რადგანაც დედაენაზე სიტყვიერი ახსნა-განმარტება სასტიკად იკრძალებოდა.

სწავლების ამგვარ ხერხებსა და მეთოდებს, ბუნებრივია, თავისი ობიექტური შედეგები მოჰყვა. კავკასიის ოლქში ისეთ სკოლათა რიცხვი, სადაც ყველა საგანი რუსულად ისწავლებოდა, 1879 წელს შეადგენდა 49,8%-ს, 1888 წელს — 71%-ს, 1898 წელს — 91%-ს[1]. რაც მთავარია, რუსიფიკატორული პოლიტიკის გაძლიერებით ქართველ ერს დედაბოძი ეცლებოდა — დედაენა თანდათანობით კარგავდა თავის ბუნებრივ უფლებებსა და პრაქტიკულ მნიშვნელობას.

რუსეთის ხელისუფლებას კარგად ესმოდა, თუ რა დიდ როლს ასრულებდა ისტორიულად ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ხალხის სულიერი განვითარებისა და ეროვნული მთლიანობის შენარჩუნებაში, რამეთუ „ქრისტეს სჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებრივი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვიტკირიც იყო საქართველოს ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად; ერთობა სარწმუნოებისა — ერთობა ერისას მოასწავებდა“[2].

1811 წელს, ანექსიის პირველივე ხანებში, ხელისუფლებამ გააუქმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. ეს იყო უკანონო აქტი, რადგანაც იგი განხორციელდა მსოფლიო საეკლესიო დადგენილების გვერდის ავლით. საქართველოს ეკლესიამ, რომელიც ერთ-ერთი უძვე-

---

[1] ტრ. ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო სისტემა საქართველოში, თბ., 1940 წ., გვ. 22.

[2] „ივერია“, 1889 წ., № 90.

ლესია მსოფლიოში, ავტოკეფალია ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს მოიპოვა. ქართველმა ხალხმა საუკუნეთა განმავლობაში ტანჯვით ზიდა ქრისტეს ჯვარი და მიუხედავად მრავალგზის გაჭირვებისა, იგი არ გადაუცია ურწმუნოთათვის, რაც ხშირად ქართველობას სიცოცხლის ფასად უჯდებოდა.

საქართველოს ანექსიის შემდეგ ქართული ეკლესია რუსეთის სინოდს დაექვემდებარა, რაც ხელს უწყობდა ქართველი ხალხის სულიერ დამონებას. ამაზე მიუთითებს წირვა-ლოცვის რუსულ ენაზე წარმოება და სასულიერო კადრის რუსული სულისკვეთებით აღზრდა, რომელიც არ იცნობდა ქართული ეკლესიის ისტორიასა და მის ტრადიციებს. ამასთან ერთად, სინოდის მოხელეები დაუნდობლად ძარცვავდნენ ქართველ ხალხს იმ საეკლესიო საუნჯისაგან, რომელიც ეროვნულ სიამაყეს წარმოადგენდა. მათი ხელით განადგურდა უამრავი უძველესი საეკლესიო დოკუმენტი და ჰაგიოგრაფიული ძეგლი, რომელთაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდათ; გაიქურდა გელათის, მცხეთის, ალავერდის, ნინოწმინდას, ჯუმათის, მარტვილის და სხვა მრავალი ეკლესია-მონასტერი. ამ გზით უძვირფასესი ქართული მანუსკრიპტები საზღვარგარეთის მუზეუმებში მოხვდა. ცნობილია, რომ მარტო კოვალევსკიმ, საქართველოს პირველმა გამგებელმა, იმოდენა საუნჯე გაზიდა, რომ მისი მემკვიდრენი დიდი ხნის მანძილზე ერთ-ერთ უმდიდრეს კოლექციონერებად ითვლებოდნენ რუსეთში. ამასთან ერთად, ქართული ეკლესია მატერიალურადაც დაზარალდა, საეკლესიო მამულები რუსეთის ხაზინას დაექვემდებარა და ამით ეკლესიას მატერიალური სახსარიც გამოეცალა.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ეკლესიის ისტორიის შესანიშნავი მკვლევარის, ნ. დურნოვოს თვალსაზრისი. თავის წერილში „ქართული ეკლესიის ბედი", იგი წერს: „...მმართველ სინოდს, გარდა საშინელი ბოროტებისა და ზიანისა, სხვა არაფერი მოუტანია ქართული ეკლესიისათვის. მისთვის ეს ეკლესია იყო ბარბაროსობის ქვეყანა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ყველა საეკლესიო კანონი და დადგენილება, რაც ქართულ ეკლესიას შეეხებოდა, მდინარე მტკვარში ჩაყარეს, ბევრი უძველესი საეკლესიო დოკუმენტი ცეცხლის ალს მისცეს, სხვები პეტერბურგში წაიღეს და სამთავრობო

სინოდის დამქაშებმა ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია წაართვეს; დახურეს 25 ეპარქია, რომელთაგან ზოგიერთი საქართველოში ქრისტიანობის შემოღების დასაწყისიდანვე არსებობდა, ე.ი. დაახლოებით 15 საუკუნე; გაანადგურეს ბევრი უძველესი მონასტერი, დაბეჯითებით მოითხოვდნენ ჩამორთმეოდათ და ხაზინას გადასცემოდა საეკლესიო მამულები და ქართული ეკლესია იმ სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანეს, რომ ამჟამად 860-ზე მეტი ტაძარი ღვთისმსახურების გარეშეა დარჩენილი".[1]

მთავარი მაინც ის იყო, რომ ეკლესიას ხელისუფლება პოლიტიკური მიზნებისათვის იყენებდა. ამას კარგად გრძნობდნენ თვით რუსეთის მოწინავე წარმომადგენლები. მაგალითად, „პეტროგრადსკი ვედომოსტი"-ს ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა ველიხოვსკის წერილი საქართველოს ეკლესიის შესახებ, სადაც იგი წერდა: — ყველაზე სატირალი და სამარცხვინო ის არის, რომ ივერიის ეკლესიის საკითხში პოლიტიკით ხელმძღვანელობდნენ და ამ პოლიტიკას ყოველთვის გენერლები აწარმოებდნენ, რასაც ჩვენი სინოდელებიც ხელს უწყობდნენ... რომ არ შევეხოთ საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკურ მდგომარეობას, მისთვის საეკლესიო ავტოკეფალიის გაუქმება ქართული ცხოვრებისათვის დიდათ მაზიანებელია: ივერიის ეკლესიის საქმეებში რაღაც გაუგებარი მოსაზრებებით ჩაურიეს პოლიტიკა, რამაც დაღუპვის გზაზე წაიყვანა მისი ყოფა-ცხოვრება... ამასთანავე, მმართველ წრეებში ვერ გაუგიათ სიტყვა „ავტოკეფალიის" ნამდვილი მნიშვნელობა, ავტოკეფალია სეპარატიზმი ჰგონიათ".[2]

ცარიზმის ნაციონალური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს კოლონიზაცია შეადგენდა, რაც ხელისუფლებას უადვილებდა განაპირა მხარეების პოლიტიკურ და ეკონომიკურ შემომტკიცებას. კოლონიზაციის მიზნით ცარიზმი მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში ასახლებდა რუსებს, ბერძნებს, სომხებს, გერმანელებს, კაზაკებსა და სხვებს. მათ შორის უპირატესობა რუსებს ენიჭებოდათ. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ

---

[1] ნ. დურნოვო, ქართული ეკლესიის ბედი, ჟურნ. „განთიადი", № 10, 1990 წ., გვ. 38-39.

[2] გაზ. „საშშობლო", ქუთაისი, 1916 წ., № 386.

ერმოლოვის დროს დაიწყო საქართველოში რუსებისა და გერმანელების მასობრივი დასახლება. 1845 წელს ვორონცოვმა ამიერკავკასიაში დაასახლა 2.677 კოლონისტი, უმთავრესად რუსი რასკოლნიკები — მოლაკნები, დუხობორები, სუბოტნიკები და სხვ. შემდეგ წლებში ვორონცოვის მცდელობით კოლონისტების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. 1856 წლისათვის ამიერკავკასიაში მარტო სახაზინო მიწებზე დასახლებული რუსი კოლონისტების 50 სოფელი (3524 სული) იყო, მათ შორის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებზე საშუალოდ 21 სოფელი (1119 სული) მოდიოდა. რუსული ახალშენები გაჩნდა თბილისში (მოლაკნების „სლობოდკა"), თეთრიწყაროში („ბელი-კლიუჩ"), წითელწყაროში („ცარსკოე კოლოდცი"), გორში, მანგლისში, მუხრანში და სხვ.[1]

60-იან წლებში, დიდი მთავრის მიხეილ რომანოვის დროს, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე გაჩნდა სამხედრო კოლონიები, რომლებიც უმთავრესად კაზაკებისაგან შედგებოდა; აგრეთვე — კატკოვის, ლეონტიევის, სევერცოვის, მამონტოვის და სხვა რუსული გვარების კუთვნილი მამულები. საქართველოში რუსი და სხვა ეროვნების ხალხების ჩამოსახლებით ხელისუფლება მიზნად ისახავდა გაეთიშა ქართველი ხალხის ერთიანობა, ეთნიკურად აეჭრელებინა მისი ტერიტორია, გაეღვივებინა რელიგიური შუღლი, განევითარებინა მეურნეობის ის დარგები, რომელიც მეტროპოლიის მრეწველობას გამოადგებოდა და, რაც მთავარია, ცარიზმისათვის შეექმნა სანდო სოციალური დასაყრდენი „ინოროდცების" წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამგვარად, ცარიზმის ნაციონალური პოლიტიკა საქართველოში, რომელიც რუსიფიკატორულ-კოლონიურ ხასიათს ატარებდა, მიმართული იყო ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ, რაც ხელს უწყობდა ეროვნულ-კულტურული ძალების კონსოლიდაციას თვითმოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, რომლებიც იცავდნენ ქართველი ხალხის თვითმყოფადობას და წინ ეღობებოდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას დენაციონალისტური და შოვინისტური პოლიტიკის განხორციელებაში.

---

[1] შ. ჩხეტია, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

თავი I

თვითმოქმედ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა წარმოშობა

„ხსნა ჩვენს თვითმოქმე-
დებასა და ერთობაშია“.
/ილია/

თვითმოქმედ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებების წარმოშობა საქართველოში დაკავშირებულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპთან, რომელიც დაიწყო 60-იანი წლებიდან თერგდალეულთა თაოსნობით. სამოციანელთა ეროვნულ პროგრამაში კულტურულ-საგანმანათლებლო იდეებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. კულტურა და განათლება თერგდალეულებს მიაჩნდათ ქვეყნის მატერიალური და სულიერი ძალების განვითარების მთავარ პირობად, რაც, მათი აზრით, შექმნიდა ხალხის დამოუკიდებლობის ფართო შესაძლებლობას. თერგდალეულთა ღრმა რწმენით, ხალხში განათლებისა და კულტურის შეტანა შეადგენდა ერის წარმატების საფუძველს, ეროვნული მთლიანობისა და ეროვნული ცნობიერების გამოღვიძების ერთ-ერთ საუკეთესო გზას.

— „ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალია მოგერიებისათვის“, — წერდა ილია, — თუ მაგაში ფეხი გავიდგით, თუ მაგაში წინ წავდექით, ჩვენი ეხლა დაუძლურებული ღონე ამოხეთქავს მაგარ ფესვებს“.[1]

სამოციანელთა კულტურულ-საგანმანათლებლო იდეები უპირისპირდებოდა ცარიზმის გამარუსებელ პოლიტიკას და, ამდენად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბუნებრივ შენაკადს წარმოადგენდა. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თერგდალეულები ხალხში განათლების გავრცელებას მჭიდროდ უკავშირებდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანებს. მათი აზრით,

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, 1955წ., გვ. 20.

ქართველი ერის დაკნინებისა და დაცემის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მის უვიცობასა და გონებრივ სიბნელეში მდგომარეობდა. ერის სულიერი მოძღვრები: ილია, აკაკი, ი. გოგებაშვილი, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე და სხვ. პრესის ფურცლებიდან ცდილობდნენ შეეტანათ ხალხის ფართო მასებში იმის შეგნება, რომ „თავი და ბოლო ჩვენის ულონობისა, უკან ჩამორჩომისა, ჩვენის უბედობისა უმეცრება და უსწავლელობაა[1].

— „ჩვენი ხალხი შევიწროვებულია თავისი პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობით, — წერდა ს. მესხი, — მაგრამ, ამასთანავე, ის მიძინებულია.... მოწინავე თაობის ვალდებულება იმაში მდგომარეობს, რომ გაუხილოს თვალი ამ მიძინებულ საზოგადოებას და დაანახოს ნამდვილი მიზეზი ყველა იმის გაჭირვებისა და უბედურებისა. თუ ჩვენი თაობა ამას მოახერხებს, მაშინ ის თავის ნამდვილ მოვალეობას აასრულებს. მხოლოდ მაშინ დაიმსახურებს ის საზოგადოებისა და შთამომავლობის მადლობას და სახელს“.[2]

„მიძინებული ხალხის“ გამოფხიზლება, მისი თვითშეგნების ამაღლება ადვილი საქმე არ იყო მაშინ, როდესაც ერთიანი ეროვნული ორგანიზმი იშლებოდა, რაც იწვევდა საერთო ეროვნულ მისწრაფებათა ჩაკვდომას, საერთო ეროვნული ძარღვის გაწყვეტას, ზნეობრივ ვალდებულებათა მივიწყებას და ქართველობას პასიურობისაკენ უბიძგებდა. ამიტომ იყო, რომ მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის ბრძოლა, ისე როგორც ეს იყო აღმოსავლეთ ევროპის მცირე ერებში (ჰროხის თეორიული მოდელი, ფაზა „ბ“), ერის პატრიოტ მოღვაწეთა საქმიანობაში ყველაზე მთავარ და მტკივნეულ პრობლემას წარმოადგენდა.

— „ყოველი საქმე, ყოველი საგანი, რაც ჩვენის ცხოვრების მიმავლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყოველისფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შევურჩინოთ, ქვეშ დავუყენოთ, სკოლაა, ბანკია თუ თეატრი, ყველაფერს მაგისკენ უნდა მივუ-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 3, 1953წ., გვ. 31.
[2] ს. მესხი, თხზ., ტ. I, გვ. 144.

ბრუნოთ თავი“ — ასე ესმოდათ 60-იანი წლების პატრიოტ მოღვაწეებს მამულის წინაშე თავიანთი უპირველესი მოვალეობა.

სამოციანელთა თაობის დიდი პოპულარობა სწორედ იმან განაპირობა, რომ მათი სამოქმედო პროგრამა ყველაზე უკეთ გამოხატავდა ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. იგი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა ეროვნული თვითმყოფადობის დაცვას, ერის მატერიალური და სულიერი ძალების გაძლიერებას, ხალხში განათლებისა და კულტურის შეტანის გზით ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებას, ეროვნული კონსოლიდაციის მიღწევას, რაც აუცილებელი პირობა იყო ცარიზმის კოლონიური და რუსიფიკატორული პოლიტიკის დასამარცხებლად.

ილია გულისტკივილით წერდა:

— „ქართველი — ჩვენი ტომის საერთო სახელი აღარ არის.... განვთიუულდით, ცალ-ცალკე დავიშალენით, ასო-ასო დავიჭერით, იმერელი, გურული, ქართლელი, მეგრელი თითქოს განკერძოვდნენ ერთმანეთისაგან, მათი შემკრებილობითი ცნება — საქართველო — ხელიდან გვეცლება“.[1]

ქართველი ერის ამგვარ დაკნინებას სამოციანელთა თაობა საქართველოს ისტორიის ძნელბედობით ხსნიდა და ამას ერთიანი საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლას უკავშირებდა. „ამ დარღვევამ არამცთუ მარტო ერთობის კავშირი გასწყვიტა ჩვენის სამეფოისა, არამედ საზოგადოებრივიცა, — წერდა ილია, — თვითეული ჩვენგანი ერთმანეთს დაგვაშორა, ერთმანეთის გულისტკივილისათვის გული აგვიცრუა, მოგვიკლა“[2].

თერგდალეულთა აზრით, ერთიანი საზოგადოებრივი ცხოვრების მოშლა საერთო ინტერესების მივიწყებას იწვევდა და უარყოფითად მოქმედებდა ეროვნული ცნობიერების განვითარებაზე. ს. მესხი „დროებაში“ ჩივის, რომ ჩვენ არა გვაქვს „საზოგადო ცხოვრება“, არ ვიცით, თუ რა არის „საზოგადო ინტერესი“, რომ „საზოგადო საქმეებისათვის თითის განძრევა გვეძნელება“-ო[3].

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, 1955წ., გვ 411.
ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 3, თბ., 1952 წ., გვ 150.
[3] ს. მესხი, თხზ., ტ. 2, თბ., 1963წ., გვ 385.

ილია ჭავჭავაძე იმდროინდელი ქართველების ყველაზე დიდ ნაკლს სწორედ საზოგადო საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში ხედავს: „-ბევრი რამ გვაკლია ჩვენ, ქართველებს, — წერს ილია, — მაგრამ ყველაზე დიდი ნაკლი ის არის, რომ ჯერ-ხანად არ ვიცით საზოგადო საქმეს როგორ მოვუაროთ, როგორ ვუპატრონოთ".[1]

ქართული საზოგადოებრივი აზრის ცნობილი მკვლევარი არჩილ ჯორჯაძე თავის „წერილებში" გარკვევით მიუთითებს, რომ 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ, 40-50-იან წლებში ქართველი საზოგადოება ერთგვარად მიყუჩდა, თითქოს „მიიძინა", პასიური გახდა მისი შემოქმედებითი ძალები: — „სხვადასხვა პირობების გამო თითქმის შეწყდა ყოველი კავშირი ძველ საქართველოს ისტორიასთან, იმის კულტურასთან, ტრადიციებთან. ახალმა პოლიტიკურმა ძალამ მთლად ძირიანად შეარყია საქართველოს თავისებური ხასიათი".[2]

ამგვარ ვითარებას არჩ. ჯორჯაძე ქართული საზოგადოებრივი აზრის მოუმწიფებლობით ხსნის. მისი აზრით, 40-50-იან წლებში ქართველი ინტელიგენცია მხოლოდ ფეხს იდგამდა, რის გამოც მან ვერ მოახერხა „მიძინებული ერის" გამოღვიძება, მისი თვითშემოქმედებითი ენერგიის აღდგენა; მიუხედავად ამისა, აღნიშნულ პერიოდში მაინც არ გამქრალა ეროვნული თავისუფლების იდეა, რომელიც „დათესეს" ოცდათორმეტიანელებმა. ეს იდეა 60-იან წლებში განავითარეს თერგდალეულებმა ილია ჭავჭავაძის თაოსნობით[3].

ასეთივე აზრისაა ქართველ მკვლევართა უმრავლესობა. პროფესორი ა. სურგულაძე თერგდალეულთა იდეოლოგიის მასაზრდოებელ წყაროთა შორის მთავარ ადგილს აკუთვნებს მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის განმათავისუფლებელ მოძრაობას და საზოგადოებრივი აზრის ტრადიციებს, რომელიც შემდეგში თერგდალეულებმა გააფართოვეს, გაიაზრეს და ახალ ფაზაში აიყვანეს. როგორც იგი წერს: „თერგდალეულთა ეროვნული პროგრამა მიზნად ისახავდა მამულიშ-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 3, თბ., 1952 წ., გვ. 201.
[2] არჩ. ჯორჯაძე, წერილები, თბ., 1989წ., გვ. 49-50.
[3] იქვე, გვ. 50-51.

ვილობის ცნების აღდგენას, ბატონყმური რეჟიმის ლიკვიდაციის საფუძველზე საქართველოს ყველა კლასის ინტერესთა შერიგებას და საერთო ეროვნულ ნიადაგზე დაყენებას, ეროვნულ კონსოლიდაციას და ცარიზმის კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებისათვის ხალხის შემართებას, ეროვნულად თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოს."[1]

ქართველ მკვლევართა აზრით, ეს იყო ფართო ხასიათის პროგრამა, რომლის განხორციელება საქართველოს დაკარგული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენამდე მიიყვანდა, რასაც გარკვეული დრო ესაჭიროებოდა. მანამდე კი, თერგდალეულები პირველი რიგის ამოცანად თვლიდნენ ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება-განმტკიცებისათვის ბრძოლას. 60-70-იან წლებში ისინი არ აყენებდნენ საერთო-სახალხო აჯანყების საკითხს, საქართველოს კონკრეტული ისტორიული პირობების გათვალისწინებით აქტიურად არ მოითხოვდნენ რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფას, პირიქით, დემოკრატიულ რუსეთთან კავშირში ხედავდნენ საქართველოს მომავალს. თერგდალეულები ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლების საქმეს მჭიდროდ უკავშირებდნენ რუსი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებებს. — „მოწინავე რუსეთს ყოველთვის მხარი უნდა მივცეთ, — წერს ი. გოგებაშვილი, — როცა იგი ცდილობს თავიდან აიცილოს რომელიმე სენი, რომელიმე უკულმართი წეს-წყობილება. ამას მოითხოვს ჩვენი მომავალი ბედნიერება."[2]

აკაკი წერეთელი წერდა: — „ჩვენ მართლა რომ დიდათ ვაფასებთ ძმობას, ერთობას და მეგობრობას რუსეთის ერებთან. მართალია რუსის ხალხში ბევრია ისეთები, რომლებსაც არა სურთ და ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროდ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენ გვსურს ხელიხელჩაკიდებული სიარული არა მარტო ეროვნული, არამედ საკაცობრიო იდე-

---

[1] აკ. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1973წ., გვ. 37.

[2] ი. გოგებაშვილი, რჩ. ნაწ., ტ. 2, 1940წ., გვ. 433.

ალების განსახორციელებლად, იმ იდეალების, რომელსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა".[1]

ეს იდეალები აკ. წერეთელსა და მის თაობას რუსი დემოკრატების — ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის და სხვ. მოწინავე იდეოლოგიის უშუალო გავლენით შეუსისხლხორცდა და მათ მსოფლმხედველობრივ წყაროდ იქცა. იგი თავისუფლებისათვის ბრძოლით აღანთებდა სამშობლოს ბედით დამწუხრებულ ქართველ ახალგაზრდობას. მაგრამ, სამწუხაროდ, დემოკრატიული გარდაქმნების ამოცანები, რომელიც წინა პლანზე წამოსწიეს რუსმა დემოკრატებმა, წინ უსწრებდა მათი განხორციელების რეალურ პირობებს როგორც რუსეთში, ისე საქართველოში.

რუს და ქართველ სამოციანელთა ამოცანები, მიუხედავად მათი დიდი მსგავსებისა, ერთმანეთისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ქართველი დემოკრატები (თერგდალეულები) წინა პლანზე აყენებდნენ ეროვნულ საკითხს, რუსები — სოციალურს. მათგან განსხვავებით, ქართველი დემოკრატები იბრძოდნენ ორმაგი ჩაგვრის (ეროვნული და სოციალური) წინააღმდეგ, სადაც მთავარი მნიშვნელობა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ენიჭებოდა. ეს განსხვავება შესანიშნავად გამოხატა ნიკოლოზ დობროლიუბოვმა: — „Мы владеем другими, а нами никто не владеет".

რუსი რევოლუციონერი-დემოკრატები პირველი რიგის ამოცანად მიიჩნევდნენ კლასობრივ ბრძოლას და ძირითადად გლეხთა ინტერესებს იცავდნენ; ქართველი დემოკრატები კი არა მხოლოდ გლეხთა ინტერესებს იცავდნენ, არამედ მთელი ერის (განურჩევლად წოდებისა) ინტერესებს. მართალია მათ სწამდათ, რომ „უბრალო გლეხობა — ეს უმრავლესობა ქართველებისა, სული და გული ჩვენის ეროვნულის იმედებისა" — ერის დედაბოძია, მაგრამ, ამასთანავე, მიაჩნდათ, რომ ცარიზმის უღლისაგან განთავისუფლება ყველა ქართველის საერთო საქმეს წარმოადგენდა. მათი აზრით, რუსიფიკაციისა და ასიმილაციის პოლიტიკის პირობებში, როდესაც დაკნინებული იყო ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერება, ერის თვითმყოფა-

---

[1] ჟურნ. „კლდე", 1913 წ., № 6.

დობის ხსნა მხოლოდ ეროვნული კონსოლიდაციის გზით იყო შესაძლებელი.

თერგდალეულთა ეროვნული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლას ხელს უწყობდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ევროპასა და რუსეთში აზვირთებული განმათავისუფლებელი მოძრაობა (იტალია, პოლონეთი, უკრაინა, ბელორუსია, ბალტიისპირეთი და სხვ.). როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნე მოიხსენიება „ნაციონალიზმის ეპოქად". ამ ეპოქაში დაიწყო „ნაციონალური გამოფხიზლება", ნაციონალურმა იდეებმა და მოძრაობებმა მნიშვნელოვნად შეარყიეს ევროპის მრავალეროვანი იმპერიები, შეიქმნა დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოები (იტალია, გერმანია), გაძლიერდა მოძრაობა ავტონომიისათვის (უნგრეთი, ჩეხეთი). რაც მთავარია, ნაციონალური ინტერესები მკვეთრად დაუპირისპირდა კოსმოპოლიტიზმსა და ინტერნაციონალიზმს, წინა პლანზე წამოიწია ხალხის სუვერენიტეტისა და დემოკრატიის იდეები.

ევროპისა და რუსეთის ხალხების „ნაციონალური გამოფხიზლება" ქართველ ხალხში აღვივებდა ეროვნულ-პატრიოტულ გრძნობებს და ხელს უწყობდა ეროვნულ-კულტურული ძალების კონსოლიდაციის პროცესს. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ რუსეთიდან დაბრუნებისთანავე, 1862 წელს ილია, სხვა მოწინავე ქართველ ახალგაზრდებთან ერთად, შეეცადა დაეარსებინა „ლიტერატურული საზოგადოება" ხალხში წერა-კითხვისა და წიგნების გავრცელების მიზნით, მაგრამ მაშინ ამის ნებართვა ვერ მიიღო. ამ ცნობას გვაწვდის ა. იოვიძე „დოკუმენტალურ მასალებში" ილია ჭავჭავაძის შესახებ.[1]

ამას ადასტურებს პროფესორი ალ. კოჭლავაშვილიც, რომელიც მიუთითებს, რომ ჟურნალ „საქართველოს მოამბის" დაარსებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, 1862 წლის დასაწყისში, თერგდალეულები შეეცადნენ ოფიციალური ნებართვის საფუძველზე დაეარსებინათ „ლიტერატურული საზოგადოება", რომელიც იყო მომავალი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პროტოტიპი.[2]

---

[1] ჟურნ. „საისტორიო მოამბე", 1947 წ., № 3, გვ. 151.
[2] ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება", № 12, 1970 წ., გვ. 43.

როგორც ირკვევა, 1862 წლის გაზაფხულისთვის თერგდალეულთა საინიციატივო ჯგუფს შეუდგენია კიდეც „ლიტერატურული საზოგადოების“ წესდების პროექტი და იგი დასამტკიცებლად წარუდგენია თბილისის გუბერნატორისათვის, რომლის მოვალეობასაც მაშინ დროებით ასრულებდა ცნობილი პოეტი გრ. ორბელიანი. წესდების დამტკიცების საქმე მან ითავა, მაგრამ მეფისნაცვალმა ეჭვის თვალით შეხედა ქართველი ახალგაზრდების ამ ინიციატივას და წესდება არ დაამტკიცა. ასე ჩაიშალა კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების დაარსების ეს პირველი ცდა, რომლის განხორციელებას შემდეგში თითქმის ორი ათეული წელი დაჭირდა.

სწავლა-განათლების გავრცელების მიზნით საზოგადოებრივი გაერთიანების საკითხი ქართველ ინტელიგენციაში განსაკუთრებული სიმწვავით დადგა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ. განმათავისუფლებელმა ეპოქამ მძლავრი ბიძგი მისცა განათლებისადმი მოთხოვნილებას. სოფლის მეურნეობის კაპიტალიზაცია სულ უფრო მეტ განათლებულ ადამიანს მოითხოვდა. ქართველი გლეხის განათლების უკიდურესად დაბალი დონე, რაც ბატონყმური წყობილების პირდაპირ მემკვიდრეობას წარმოადგენდა, ველარ აკმაყოფილებდა ახალი ცხოვრების გაზრდილ მოთხოვნილებებს. გარდა ამისა, სწავლა-განათლების საქმე საქართველოში ბევრ სხვა მტკივნეულ საკითხთანაც იყო დაკავშირებული (დედაენისა და ეროვნული კულტურის შევიწროვება და სხვ.). ი. გოგებაშვილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებასთან დაკავშირებით გადმოგვცემს:

— „შემდეგ ბატონყმობის გადავარდნისა საქართველოში, — 1864 წელს ქართველ საზოგადოებაში დაიბადა და აღიზარდა აზრი, რომ ეს რეფორმა მხოლოდ მაშინ მოიტანდა სანატრელ ნაყოფს, როცა გლეხობა განთავისუფლდებოდა სიბნელისა და უმეცრებისაგან. ვისგან უნდა მოელოდეს ჩვენი გლეხობა ამ მეორე განთავისუფლებასო? რა საკვირველია არა ბიუროკრატიისაგან, რომელიც ამისათვის თავს სულ არ გაიცხელებს, არამედ ქართველ დაწინაურებულ საზოგადოებისაგანო. ამ საზოგადოებას მხოლოდ მაშინ შეეძლება ეს დიდი სამსახური გაუწიოს ჩვენს დაბეჩავებულ გლეხ-

ობას, როცა იგი შექმნის ორგანიზაციას, რომელსაც მიზნად ექნება განათლების მოფენა ხალხში".[1]

საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაარსებას კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნებით ხელს უწყობდა 70-იანი წლების ქართული პრესა. „ივერიის", „დროების", „კრებულის" და სხვ. ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა წერილები დედაენის, სკოლის, ლიტერატურის, თეატრის, საგანმანათლებლო საზოგადოებების ეროვნულ მნიშვნელობაზე. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ხალხის წინაშე მოვალეობის მოხდის წინა პლანზე წამოწევა, რაც შემთხვევითი არ იყო. ამის მაგალითს იძლეოდა იმდროინდელი რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობა (ნაროდნიკები), რომელიც თავის უპირველეს მოვალეობას ხალხის, უმთავრესად გლეხობის, სამსახურში ხედავდა.

აღსანიშნავია, რომ 70-იანი წლების ქართული პრესის თანამშრომელთა დიდ ნაწილს საზოგადოება „უღელის" წევრები წარმოადგენდნენ. როგორც ცნობილია, ეს საზოგადოება 1873 წელს შექმნეს შვეიცარიაში მოსწავლე ქართველმა ახალგაზრდებმა, რომელიც საზღვარგარეთ ქართული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად იქცა. საზოგადოების უმრავლესობა იზიარებდა თერგდალეულთა ეროვნულ პროგრამას და ქართული კულტურისა და განათლების განვითარებისათვის ზრუნვა თავისი მოღვაწეობის მთავარ ამოცანად მიაჩნდა.

„უღელში" გაერთიანებული მოაზროვნე ქართველი ახალგაზრდობა პრესაში სისტემატურად აშუქებდა ევროპისა და რუსეთის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს. ამ საზოგადოების ისტორია და მისი მნიშვნელობა 70-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში სპეციალურად შეისწავლა პროფესორმა გ. აბზიანიძემ. როგორც იგი მიუთითებს, „უღელის" წევრებს მიაჩნდათ, რომ ნაროდნიკების ინდიფერენტული დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი არ შეესაბამებოდა კავკასიის, კერძოდ, ქართველი ხალხის ინტერესებს, რადგანაც

---

[1] ი. გოგებაშვილი, რჩ. ნაწ., ტ. 2, 1940წ., გვ 433.

რუსიფიკაციის პოლიტიკის პირობებში ეროვნული საკითხისადმი ამგვარი მიდგომა თიშავდა საერთო ძალებს, ადუნებდა ეროვნულ ენერგიას და ხელს უწყობდა ცარიზმის რეაქციული მიზნების განხორციელებას კავკასიაში. ნაროდნიკების აზრით, ამიერკავკასიის ხალხები ერთად უნდა გამოსულიყვნენ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიტომ ისინი მოითხოვდნენ კავკასიის ფედერაციას[1].

„უღელის" წევრები ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით სისტემატურად აწყობდნენ შეკრებებს, სადაც იკითხებოდა ლექცია-მოხსენებები ქართული ლიტერატურისა და ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებზე, რუსეთისა და საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებაზე და სხვ. ამავე დროს, ისინი ცდილობდნენ პროგრესული კაცობრიობისათვის ახლოს გაეცნოთ საქართველოს გმირული წარსული და მისი კულტურული საგანძური. ამრიგად, საზოგადოება „უღელი" თავისი საქმიანობით ხელს უწყობდა მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებას და საზოგადოებრივი ინიციატივის გაფართოებას 70-იან წლებში.

ქართველი ინტელიგენციის ლტოლვას კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გაერთიანებისაკენ ხელს უწყობდა აგრეთვე 60-70-იან წლებში ევროპასა და რუსეთში კერძო თაოსნობის გაფართოება სახალხო განათლების დარგში. ამ პერიოდში კერძო ინიციატივის საფუძველზე შეიქმნა მთელი რიგი თვითმოქმედი კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებები საფრანგეთში („განათლების ლიგა"), ჩეხეთში, სლოვენიაში, სერბეთში, მორავიაში („მატიცა"); წერა-კითხვის გამავრცელებელი კომიტეტები და საზოგადოებები რუსეთში და სხვ.

მარტო „საფრანგეთის განათლების ლიგის" ისტორია თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენდა იმდროინდელი კულტურული მსოფლიოსათვის იმის გასარკვევად, თუ რა შეეძლო კერძო ინიციატივას ეროვნული განათლების დარგში. 1866 წელს პარიზის პანსიონის პედაგოგმა ჟან მასემ პოლიციის პრეფექტურაში გამოკიდა ერთი

---

[1] გ. აბზიანიძე, ნარკვევები მე-19 საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1960 წ., გვ. 451-511.

წიგნი და გააკეთა განცხადება — ხსნიდა სახალხო ბიბლიოთეკას და ყველას მოუწოდა თავისი წვლილი შეეტანა ამ საქმეში. ჟან მასეს მოწოდებას დიდი თანაგრძნობით შეხვდა საფრანგეთის მოსახლეობის თითქმის ყველა წოდებისა და პროფესიის ადამიანი. ერთ წიგნს სულ მალე ასი, ათასი, ათიათასი სხვა წიგნი მიემატა და, ამგვარად, შეიქმნა პარიზის სახალხო ბიბლიოთეკა მდიდარი წიგნადი ფონდით. განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ ჟან მასეს ჰყავდა 510 ხელისმომწერი, ხოლო 6 თვის თავზე — 5 ათასი. 1870 წელს ამ ბიბლიოთეკის ბაზაზე ჩამოყალიბდა საგანმანათლებლო საზოგადოება „საფრანგეთის განათლების ლიგის" სახელწოდებით.[1]

„ლიგის" მიზანს შეადგენდა სწავლა-განათლების გავრცელება საფრანგეთის მოსახლეობის ფართო წრეებში. ამ მიზნით ლიგა ხსნიდა უფასო სკოლებსა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, მუზეუმებს, აწყობდა საჯარო ლექციებს სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე და სხვ.

„ლიგის" წევრთა აზრით, წერა-კითხვა და ელემენტარული განათლება ადამიანისათვის ისეთივე აუცილებელი იყო, როგორც წყალი და ჰაერი. ამიტომ განათლებას საფრანგეთში საყოველთაოსავალდებულო ხასიათი უნდა მისცემოდა, ამასთან, იგი უნდა ყოფილიყო უფასო და რელიგიის მიმართ ნეიტრალური. 70-იანი წლების დასაწყისისათვის „ლიგის" წევრთა რიცხვი 71850-მდე გაიზარდა, ხოლო მისი წლიური შემოსავალი 70 ათას ფრანკს აღემატებოდა.[2] „ლიგას" თავისი განყოფილებები ჰქონდა გახსნილი საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქებში, პროვინციებში და კოლონიებშიც კი (ალჟირში და სხვ.).

საფრანგეთ-პრუსიის ომმა (1870-1871 წწ.) ხელი შეუშალა ამ კერძო ინიციატივის გაფართოებას. ომის შემდეგ, 1873 წელს „განათლების ლიგის" პარიზის განყოფილების ხელმძღვანელმა ემანუელ ვოშემ მთავრობის სახელზე შეიტანა პეტიცია საფრანგეთში

---

[1] Журн. „Вестник воспитания", С.-Пб., 1895 г., № 1, стр. 16.

[2] დასახ. ჟურნ., გვ. 19.

სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ. პეტიციას ხელს აწერდა მილიონზე მეტი მოქალაქე. ხელის მოწერის დროს თითოეულ მოქალაქეს ხარჯების დასაფარავად ერთი სუ უნდა გადაეხადა, რის გამოც პეტიციას ეწოდა „სახალხო ომი კაპიკისა უვიცობის წინააღმდეგ". ასეთი წარმატება საფრანგეთში მანამდე არც ერთ პეტიციას არ ჰქონია. ეკლესიამ ეჭვის თვალით შეხედა „განათლების ლიგის" მოღვაწეობას. 1873 წლის 21 ნოემბერს ერთ-ერთ ენციკლიკაში პაპმა „ლიგა" საჯაროდაც გაკიცხა, მაგრამ საბოლოოდ ბრძოლიდან გამარჯვებული „კაპიკი" გამოვიდა — პეტიცია თანაგრძნობით იქნა მიღებული.

1876 წლისათვის „ლიგის" წევრთა რიცხვი 300 ათასს აღემატებოდა; იგი აერთიანებდა 210 კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებას, გახსნილი ჰქონდა 200-ზე მეტი ფილიალი, ექვემდებარებოდა 600-ზე მეტი ბიბლიოთეკა ნახევარ მილიონზე მეტი წიგნადი ფონდით[1]. ლიგა ყოველწლიურად იწვევდა კონგრესებსა და ყრილობებს სახალხო განათლების სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე. კონგრესებს ხშირად მთავრობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. პარიზის განყოფილების სხდომებს ზოგჯერ განათლების მინისტრი პუანკარეც ესწრებოდა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საფრანგეთის სახალხო განათლების დარგში „განათლების ლიგის" მოღვაწეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელი ცივილიზებული მსოფლიოსათვის. მან ფართო გასაქანი მისცა კერძო ინიციატივას და დიდი როლი შეასრულა სკოლის განახლების საქმეში, რის შედეგადაც საფრანგეთის სკოლა მისაბაძი მაგალითი გახდა მოწინავე კაცობრიობისათვის.

სახალხო განათლების დარგში კერძო ინიციატივამ ინგლისში უფრო ადრე იჩინა თავი. ჯერ კიდევ 1879 წელს იოსებ ლანკასტერმა შეკრიბა რამოდენიმე ყმაწვილი და უფასოდ ასწავლიდა. როცა შეგირდების რიცხვმა იმატა, ლანკასტერმა თავის უფროს შეგირდებს დაავალა ესწავლებინათ უმცროსებისათვის („ლანკასტერის სისტემა")[2].

---

[1] Журн. „Вестник воспитания", С.-Пб., 1895 г., № 1, გვ. 25.

[2] Журн. „Образование", 1894 г., № 10.

1811 წელს ინგლისსა და უელსში ანდრიუ ბელის ინიციატივით ჩამოყალიბდა „ღარიბ მოწაფეთა აღზრდის ნაციონალური საზოგადოება“, რომელმაც ფართო პროპაგანდა გააჩაღა პროვინციებში უფასო სწავლის შემოღების მიზნით. 1832 წელს პარლამენტის ქვედა პალატამ ყოველწლიურად 20 ათასი გირვანქა სტერლინგი დააწესა სახალხო სკოლების გასავრცელებლად და 10 ათასი — პედაგოგთა კადრის მოსამზადებლად, რადგანაც „ლანკასტერ-ბელის სისტემა“ ინგლისის საზოგადოებას უკვე აღარ აკმაყოფილებდა. ამ დროიდან კერძო პირები და კომიტეტები ქსელივით მოედვნენ მთელ ინგლისს, რომლებიც აგიტაციას ეწეოდნენ განათლების საჭიროების შესახებ, აგროვებდნენ შემოწირულობებს, ხსნიდნენ უფასო სკოლებსა და ბიბლიოთეკებს. კერძო ინიციატივით დაწყებულმა საქმემ იქამდე მიაღწია, რომ 1870 წელს ინგლისში შემოიღეს სავალდებულო სწავლება, ხოლო 90-იან წლებში სახალხო უნივერსიტეტებიც გაიხსნა.

მე-19 საუკუნეში კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებები „მატიცას“ სახელწოდებით მოქმედებდნენ გალიციაში, მორავიაში, სერბეთში, სლოვენიაში, ხორვატიასა და ჩეხეთში. მათ შორის ყველაზე ძველი იყო სერბეთის „მატიცა“, რომელიც დაარსდა 1826 წელს ქალაქ პეშტში ცნობილი სერბიელი მწერლისა და იურისტის ო. ხაჯიჩის (1899-1869 წწ.) ინიციატივით. 1864 წლიდან „მატიცას“ ცენტრმა გადმოინაცვლა ნოვი-სადში (ვოევოდინა) და მოქმედება დაიწყო ახალი წესდების საფუძველზე. საზოგადოებას ჰქონდა საკუთარი ჟურნალი „მატიანე“, სადაც იბეჭდებოდა ორიგინალური და თარგმნილი ლიტერატურა. „მატიცა“ მატერიალურად ეხმარებოდა გაჭირვებულ მწერლებს, სტუდენტებს, ავრცელებდა წიგნებს, ხსნიდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სერბიელი ხალხის ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების შესწავლის საქმეში; „მატიცას“ განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის სერბიელების ნაციონალური თვითშეგნების გამოღვიძებაში და მათი ლიტერატურული ენის შემუშავებაში.

1848 წელს სერბეთის „მატიცას“ მსგავსი კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება ჩამოყალიბდა გალიციაშიც („გალიცია-

რუსეთის მატიცა"), რომელიც ხელს უწყობდა რუსული ენისა და კულტურის გავრცელებას გალიციელებს შორის. „მატიცამ" გამოსცა რამდენიმე კრებული: „გალიციის ისტორიული კრებული" (1853-1854 წწ), „სამამულო" (1860 წ.), „სამეცნიერო" (1865-1868 წწ.), „ლიტერატურული" (1869-1890 წწ.) და სხვ. 1914 წელს ავსტრიის ხელისუფლებამ „გალიცია-რუსეთის მატიცა" დახურა. მისი მოღვაწეობის განახლება მხოლოდ 1923 წელს გახდა შესაძლებელი.

სერბეთის „მატიცას" მაგალითზე 1863 წელს დაარსდა სლოვენიის „მატიცა", რომლის მიზანს შეადგენდა ხალხში განათლების გავრცელება და სლოვენიის ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებაზე ზრუნვა. 1868 წელს საზოგადოებასთან დაარსდა ნაციონალური მუზეუმი, სადაც პირველად შეგროვდა სლოვენიის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები. 1875 წელს უნგრეთის ხელისუფლების ბრძანებით საზოგადოება დაიხურა.

ჩეხეთის „მატიცა" დაარსდა 1831 წელს პრაღის ნაციონალურ მუზეუმთან. საწევრო თანხებითა და შემოწირულობათა გზით „მატიცა" წლების მანძილზე გამოსცემდა ჩეხურ და მსოფლიო ლიტერატურულ ნაწარმოებებს; 1836-1837 წლებში გამოვიდა პ. შაფარიკის „სლავური სიძველენი", ი. იუნგმანის ჩეხურ-გერმანული ლექსიკონი (1835-1839 წწ.), „ჩეხეთის მუზეუმის ჟურნალი" და სხვ. „მატიცა" აერთიანებდა ჩეხ პატრიოტებს და დიდი გავლენა ჰქონდა მთელი ჩეხეთის სამეცნიერო და კულტურულ ცხოვრებაზე. 80-იანი წლებიდან მისი პოპულარობა შედარებით დაეცა.

ამრიგად, „მატიცას" საზოგადოებების მიზანი, საფრანგეთისა და ინგლისის თვითმოქმედი საგანმანათლებლო საზოგადოებისაგან განსხვავებით, უფრო შორს სწვდებოდა — ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებასთან ერთად იგი ითვალისწინებდა ეროვნული მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურის, დედაენის განვითარებას, რაც ხელს უწყობდა ნაციონალურად ჩაგრულ ხალხებში (სერბები, სლოვენები, ხორვატები, ჩეხები და სხვ.) ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებას.

რუსეთში სახალხო განათლების დარგში კერძო ინიციატივის

გაფართოებას ხელი შეუწყო 60-70-იანი წლების ლიბერალურმა რეფორმებმა, რომლებმაც შეარყიეს ძველი ტრადიციული ურთიერთობანი, გააუქმეს ბევრი დრომოჭმული წესი, წოდებრივი უპირატესობანი, რის შედეგადაც რუსეთი ჩაერთო თვითმოქმედებაზე დაფუძნებულ მოწინავე, ცივილური სახელმწიფოებრივი ფორმების შექმნის საერთო ევროპულ პროცესებში.

მოწინავე რუსული საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, ხალხის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად საკმარისი არ იყო მარტო ბატონყმობის გაუქმება — არანაკლებ საჭირო იყო მათი გონებრივი სიბნელიდანაც განთავისუფლება. ამ მიზნით, 60-70-იან წლებში რუსეთში შეიქმნა მთელი რიგი თვითმოქმედი კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებები და კომიტეტები, როგორიც იყო: პეტერბურგის „სასარგებლო წიგნების გამავრცელებელი საზოგადოება“ (1861 წ.), „წერა-კითხვის გამავრცელებელი პეტერბურგის კომიტეტი“ (1861 წ.), პეტერბურგის „ებრაელ მოსახლეობას შორის განათლების გამავრცელებელი საზოგადოება (1863 წ.), ეკატერინოსლავის „ქალთა განათლებაზე მზრუნველი საზოგადოება“ (1870 წ.), პეტერბურგის „პირველდაწყებითი აღზრდის ხელშემწყობი ფრებელის სახელობის საზოგადოება“ (1871 წ.), მოსკოვის „კომერციული განათლების გამავრცელებელი საზოგადოება“ (1878 წ.) და სხვ. მათ გარდა, არსებობდა სპეციალური სამეცნიერო საზოგადოებებიც, რომლებსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ განათლების საკითხებთან. მაგალითად, „მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საზოგადოება“ (დაარსდა 1863 წელს) მიზნად ისახავდა ხელი შეეწყო საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარებისათვის რუსეთში. საზოგადოებას გახსნილი ჰქონდა ანთროპოლოგიის, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, გეოლოგიის, ზოოლოგიისა და სხვა განყოფილებები, რომლებიც აწყობდნენ სამეცნიერო ექსპედიციებს რუსეთის ზღვების, ფლორისა და ფაუნის კვლევის მიზნით.

საზოგადოების პრეზიდენტებად სხვადასხვა დროს არჩეული იყვნენ ცნობილი რუსი მეცნიერები: გ. შჩურკოვსკი, ლ. ბოგდანოვი, დ. ანუჩინი და სხვ; მის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდ-

ნენ: კ. ტიმირიაზევი, ი. სეჩენოვი, ნ. ჟუკოვსკი, ა. სტოლეტოვი და სხვ; საზოგადოებას ჰქონდა საკუთარი ბეჭდვითი ორგანოები — „იზვესტია“ და „რუსული ანთროპოლოგიური ჟურნალი“.[1]

პეტერბურგისა და მოსკოვის წერა-კითხვის კომიტეტებთან დაკავშირებით გ. წერეთელი ჟურნალ „კვალში“ წერდა:

— „ამ ბოლო დროს რუსეთშიაც იჩინა თავი კერძო თაოსნობამ და დიდი სარგებლობაც მოაქვს. ვის არ მოეხსენება ე.წ. პეტერბურგისა და მოსკოვის წერა-კითხვის კომიტეტები; ყველას ეხსომება ეპისტოლე, რომლითაც ამას წინათ მიმართა პეტერბურგის კომიტეტმა საზოგადოებას და თხოულობდა მისგან შემწეობას ასი უფასო ბიბლიოთეკის დაარსებისათვის რუსეთში. ეს ეპისტოლე დასტამბული იყო აგრეთვე კავკასიის გაზეთებშიც. მოგეხსენებათ აგრეთვე სხვადასხვა კერძო ფირმები, რომელნიც ასი ათასობით ავრცელებენ ხალხში იაფ-ფასიან წიგნებს. აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ თვით საზოგადოების ხელშია მისი ბედი და უბედობა“.[2]

რუსეთის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებებსა და კომიტეტებში თავს იყრიდნენ მოწინავე პედაგოგები, მეცნიერები, მწერლები და ინტელიგენციის სხვა დარგის წარმომადგენლები: დ. უშინსკი, ბარონი კორფი, პაუდსონი, ევტუშევსკი, პიროგოვი, ტიხომიროვი, ბუნაკოვი, ვოდოვოზოვი, მალინინი და სხვ. მათ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ლევ ტოლსტოი, რომელსაც მაშინ იასნაია პოლიანაში საკუთარი სკოლა ჰქონდა გახსნილი.

თვითმოქმედი კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოქმედებდნენ მთავრობისაგან დამტკიცებული წესდების ფარგლებში და ფორმალურად თავისუფალი იყვნენ სახელმწიფოს მხრივ მათ საქმეებში ჩარევისაგან. საქმე შედარებით რთულად იყო სამეცნიერო საზოგადოებების გახსნასთან დაკავშირებით. 1863 წლის ახალმა საუნივერსიტეტო წესდებამ რამდენადმე შეამსუბუქა ეს პრობლემა. ამიერიდან უნივერსიტეტებთან არსებულ

---

[1] Богданов В. Пятидесятилетие Императорского „Общества любителей естествознания, антропологии и этнографии“ (1863-1913). М., 1914.

[2] ჟურნ. „კვალი“, 1895 წ., № 9, გვ. 83.

სამეცნიერო საზოგადოებების წესდებას ამტკიცებდა სახალხო განათლების მინისტრი, რაც ადრე იმპერატორის პრეროგატივას შეადგენდა.

60-იანი წლების განმათავისუფლებელი მოძრაობის ზეწოლის შედეგად 1864 წლის 14 ივლისს გამოქვეყნდა „დებულება დაწყებითი სახალხო სკოლების შესახებ". დებულების მიხედვით, კერძო პირებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უფლება ეძლეოდათ გაეხსნათ და საკუთარ ხარჯზე შეენახათ დაწყებითი სკოლები, რომლებიც უნდა დაქვემდებარებოდნენ სამაზრო ან საგუბერნიო სასწავლო საბჭოებს. ამ დებულების საფუძველზე რუსეთში დაარსდა მთელი რიგი სახალხო სკოლები, მასწავლებელთა შემნახველ-გამსესხებელი სალაროები, ურთიერთდამხმარე საზოგადოებები, პედაგოგიური წრეები, სახალხო კითხვებისა და საუბრების მომწყობი კომიტეტები და კომისიები და სხვ., რამაც ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, მეცნიერულ დიდაქტიკასა და მოწინავე მეთოდებზე დამყარებულ პედაგოგიკის ჩამოყალიბებას და, მეორე მხრივ, თვითმოქმედების გაფართოებას. ზემოხსენებული დებულების საფუძველზე პეტერბურგის წერა-კითხვის კომიტეტი სისტემატურად მართავდა მასწავლებელთა პედაგოგიურ კურსებსა და ყრილობებს, სადაც ირჩეოდა სახალხო განათლების აქტუალური საკითხები, წარმოებდა არსებული სასწავლო პროგრამების კრიტიკა და სხვ. მეფის ხელისუფლება ასეთ ღონისძიებებს ეჭვის თვალით უყურებდა და მასწავლებელთა ყრილობებში „კრამოლის" ნიშნებს ეძებდა.

სინოდის ობერ პროკურორ კ. პობედონოსცევის აზრით, ხელისუფლებისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა საზოგადოებრივი მოძრაობის გაფართოება, განსაკუთრებით ისეთ მნიშვნელოვან დარგში, როგორიცაა სახალხო განათლება. პობედონოსცევი ბრალს სდებდა საგანმანათლებლო საზოგადოებებს ტენდენციურობაში, რომლებსაც ხალხში შეჰქონდათ „საშიში ზნეობრივი სიმახინჯე".

დროთა განმავლობაში მთავრობა ცდილობდა ნებაყოფლობითი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საზოგადოებები სახელმწიფო სტრუქტურებისათვის (სახალხო განათლების სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო) დაექვემდებარებინა, რათა ადვილად გაეკონ-

ტროლებინა მათი საქმიანობა. საქართველო, რომელიც მთელი მე-19-საუკუნის მანძილზე მრავალმხრივ იყო დაკავშირებული რუსეთთან და რუსეთის გზით დასავლეთის ცივილიზაციასთან, ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლიდა იმ ფართო საგანმანათლებლო მოძრაობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ევროპასა და რუსეთში, მით უფრო, რომ საქართველოს სინამდვილეში ეს მოძრაობა ეროვნულ-პოლიტიკურ მნიშვნელობასაც იძენდა.

ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები მოწინავე თაობისაგან მოითხოვდა კერძო ინიციატივის გაფართოებას კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. ამასთან დაკავშირებით ს. მესხი „დროებაში" წერს: — „ყოველთვის და ყველგან ასე მომხდარა და ჩვენშიაც ასე ხდება: როდესაც საზოგადოება გონებით გამოღვიძებასა და თვალების გამოჭყეტვას დაიწყებს, ჩნდებიან მოწინავე პირნი ამ საზოგადოებაში, რომელნიც სხვადასხვა საქმეს უფრო მომეტებულად თანაუგრძნობენ, გროვდებიან ერთად რამდენიმე ეს თანამგრძნობი პირები და ამნაირად ადგენენ წრეს ანუ საზოგადოებას ხსენებული საქმის წასაყვანად, წარმატებისათვის... რაღა თქმა უნდა, — განაგრძობს ს. მესხი, — რომ ამგვარად რომელიმე საქმის წაყვანა ძალიან გონივრული მოქმედებაა, რადგანაც, რაც ერთს კაცს არ შეუძლია, რასაც ერთი ვერ მოახერხებს, ის შეუძლია მოახერხოს და შეასრულოს რამდენიმე პირმა ერთად შეყრილმა, საზოგადოებამ".[1]

ი. გოგებაშვილის გადმოცემით, 1864 წლის პირველ ნახევარში მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ერთ კერძო წრეში, რომელიც იკრიბებოდა იოსებ მამაცაშვილის ოჯახში, დაიბადა აზრი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების შესახებ. ამ წრეში შედიოდნენ: ი. მამაცაშვილი, ი. გოგებაშვილი, დ. ბაქრაძე, დ. მუსხელიშვილი, კ. მამაცაშვილი, ვ. თულაშვილი, ა. ფურცელაძე და სხვ. წრის მიზანს შეადგენდა კერძო ქართული სკოლების გახსნა სოფლად, რისთვისაც თითოეული წევრი გარკვეულ თანხას იხდიდა. თავდაპირველად მათი სურვილი იყო სოფელ ხოვ-

[1] ს. მესხი, თხზ., ტ. 2, 1963წ., გვ. 383.

ლეში გაეხსნათ ოთხწლიანი სანიმუშო ქართული სკოლა, მაგრამ მთავრობამ ამის ნება არ მისცა და მოითხოვა სკოლაში რუსული ენის ისეთი გაძლიერებული სწავლება, რომ მეოთხე წელს ყველა საგანი რუსულად ესწავლებინათ. დედაენის უფლების ამგვარმა შეზღუდვამ „ცივი წყალი გადაასხა“ წრის წევრებს, ხალისი დაუკარგა და მათ ხოვლეს სკოლის გარდა სხვა სკოლა აღარ გაუხსნიათ, იმასაც დიდი ვაგლახით ინახავდნენ.[1]

ქართველ ხალხში სწავლა-განათლების სურვილი კი დიდი იყო. იმდროინდელი პრესის მოწმობით, უკანასკნელი ასი წლის მანძილზე ქართველ საზოგადოებაში არც ერთ საგანს არ მიუქცევია ისეთი დიდი ყურადღება, როგორც სწავლა-განათლების საკითხმა მიიქცია. 70-იანი წლების ქართულ პრესაში არაერთგზის შეხვდებით ინტელიგენციის ჩივილს იმის შესახებ, რომ არც ერთ განათლებულ ერში წერა-კითხვა ისე ნაკლებად არსად არ იყო გავრცელებული, როგორც საქართველოში.

პრესაში ხშირად იბეჭდებოდა წერილები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან სასოფლო სკოლების გახსნის საჭიროების შესახებ. 1874 წლის „დროების“ ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ: — „ძრიელ საჭიროა იმერეთში იმნაირი შკოლების გახსნა, სადაც შეიძლებოდეს სასოფლო მასწავლებლების მომზადება; უამისოდ იმერეთს სახალხო მასწავლებლები არ ეყოლება და, მაშასადამე, იქ არც სახალხო შკოლები იქნება, როგორც ახლა.....

— მაგრამ ვინ უნდა იზრუნოს ამისთანა შკოლების გახსნაზე? — ჩემი ფიქრით, — წერს ავტორი, — ეს ერთი პირის საქმე არ არის, არამედ მთელი საზოგადოებისა“.[2] იმავე წლის მაისის ნომერში „დროება“ წერს:

— „ეჭვი არ არის, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება რაც კი შეიძლება, უფრო ადრე შესდგეს, რადგანაც ეს ძრიელ საჭიროა. ხალხი იმისთანა მდგომარეობაშია, რომ ამაზედ უფრო ნათლად ვერასოდეს ვერ გამოაცხადებს თავის სურვილს...

---

[1] ი. გოგებაშვილი, რჩ. ნაწ., ტ. 2, თბ., 1940 წ., გვ. 514.
[2] გაზ. „დროება“, 1874 წ., № 416.

უნდა ვუშველოთ ჩვენს აწმყოს, თუ არა მომავალს მაინც, — რასაკვირველია, ამის მალამო პირველი ის არის, რომ უნდა შესდგეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, მაგრამ ამ საზოგადოებას ჩვენში ისე ვიწრო პროგრამა როდი უნდა ექნეს,როგორც სხვა ქვეყნებში. ამ საზოგადოების ვალი მარტო ერთი ან ორი შკოლის გახსნა და მისი კარგად წაყვანა კი არ არის, ამ საზოგადოების ვალი, ჩვენის აზრით, ის უნდა იყოს, რომ სახალხო იაფი წიგნები გაავრცელონ და არა გამოსცენ მარტო. ჩვენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება გვჭირიან და ამ საზოგადოების პირველი ვალდებულება იაფი და სასარგებლო წიგნების გავრცელებაა".[1] გაზეთ „დროების" აზრით, მომავალ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თავისი პროგრამაც უნდა ჰქონოდა, რომლის მიზანი, ხალხში წერა-კითხვის გავრცელებასთან ერთად, იაფი და სახალხო წიგნების გამოცემაც უნდა ყოფილიყო.

სახალხო სკოლებისა და ბიბლიოთეკების დაარსება, იაფფასიანი წიგნების გავრცელება და, საერთოდ, სახალხო განათლებასთან დაკავშირებული მთელი სიმძიმე ქართველ ინტელიგენციას საკუთარი მხრებით უნდა ეზიდა, რადგანაც საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში არ არსებობდა სხვა ძალა, ან რუსეთის ერობის მსგავსი რაიმე დაწესებულება, რომელიც იზრუნებდა სახალხო განათლების საქმეზე. 1864 წლის საერობო რეფორმა შეეხო მხოლოდ ცენტრალური რუსეთის გუბერნიებსა და მაზრებს, იმპერიის განაპირა მხარეებს იგი არ შეხებია. მთავრობა ამას ადგილობრივი მოსახლეობის ჩამორჩენილობით ხსნიდა. რუსეთში ყოველი გუბერნიის ერობა წელიწადში რამდენიმე ათას მანეთს ხარჯავდა სახალხო სკოლების მოსაწყობად. ერობებმა რუსეთში მოამზადეს სახალხო მასწავლებელთა კონტინგენტი, დაამკვიდრეს სწავლების პროგრესული მეთოდები, გახსნეს სკოლებთან წიგნსაცავები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, ააგეს სასკოლო შენობები, ამარაგებდნენ სკოლებს სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით; ერთი სიტყვით, ერობები სათავეში ჩაუდგნენ რუსეთში სახალხო განათლების ორგანიზაციის საქმეს.

---

[1] გაზ. „დროება", 1874 წ., № 424.

ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები დიდი ხნის მანძილზე იბრძოდნენ ერობების შემოღებისათვის საქართველოში. 1871 წელს ნ. ნიკოლაძემ ჟურნალ „კრებულში“ ვრცელი წერილი გამოაქვეყნა სათაურით: „ერობა, მისი დანიშნულება და წესდება“, სადაც იგი წერს: „ერობის ყველაზე ძვირფასი ღირსება ის არის, რომ ჩვენ საკუთარ საქმეს ჩვენვე გვავლევინებს, ჩვენ პატრონად ჩვენვე გვხდის და ეს გარემოება, მარტო ეს, ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ“.[1]

ნ. ნიკოლაძე საფუძვლიანად ასაბუთებს საქართველოში საერობო დაწესებულებების შემოღების საჭიროებას, რომლის მთავარ დანიშნულებას სახალხო განათლების გავრცელებაში ხედავს: — „მაშ იმედი უნდა ვიქონიოთ, — წერს იგი, — რომ, როცა ჩვენს ქვეყანას ეღირსება ერობების დაწესება და როცა საერობო საქმეების მართვა თვითონ ჩვენს ხელში გადმოგვეცემა, ჩვენი საზოგადოება იმნაირივე სარგებლობას მოგვიტანს, როგორც რუსეთის საზოგადოება“.[2]

1873 წელს ს. მესხმა „დროებაში“ კვლავ დააყენა საქართველოში ერობების შემოღების საკითხი[3]. შემდეგ წლებშიც არაერთხელ დასმულა ეს საკითხი, მაგრამ ქართველ ინტელიგენციას დიდი ხნის მანძილზე ერობების იმედი არ გაუმართლდა. ასეთ ვითარებაში სახალხო განათლებაზე ზრუნვა ისევ მოწინავე ინტელიგენციას უნდა ეთავა. ამისათვის საკმარისი არ იყო ცალკეულ პირთა ქველმოქმედება, კერძო ინიციატივა, რასაც მთავრობა ანგარიშს არ უწევდა. ამიტომ, ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წრეებში დაიბადა აზრი ფართო საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნის შესახებ, რომლებიც იმოქმედებდნენ ლეგალურად, მთავრობისაგან ოფიციალურად დამტკიცებული წესდების ფარგლებში და ხელისუფლებაც იძულებული იქნებოდა მათთვის ანგარიში გაეწია.

პირველი ასეთი პრაქტიკული ნაბიჯი ეროვნულ-კულტურულ ასპარეზზე გადაიდგა 70-იანი წლების ბოლოს, კერძოდ, 1877-78

---

[1] ჟურნ. „კრებული“, 1871 წ., № 5.
[2] იქვე.
[3] გაზ. „დროება“, 1873 წ., № 16.

წლების რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში, როდესაც მთავრობამ დროებით შეარბილა რუსიფიკაციის პოლიტიკა საქართველოში.

ამასთან დაკავშირებით ვახ. თულაშვილი გადმოგვცემს:

— „დადგა 1877 წელიწადი და, როგორც მკითხველსაც ეხსომება, დაიწყო რუს-ოსმალთა ომი. ამ წლის აპრილის პირველ რიცხვებში გამოვიდა რუსეთის მთავრობისაგან მოწოდება (возвание) ქართველი ერის მიმართ. მთავრობა ამ მოწოდებაში იხსენიებდა, რომ საქართველო მუდამ რუსეთის მთავრობის ერთგული ყოფილა და ქართველთ ტომი (აქ პირველად იყო ნახმარი რუსული სიტყვა картвельское племя) განთქმულია თავისის ვაჟკაცობითა და სხვა და სხვა ამისთანა ქება ჩვენის სამშობლოსი და მისის ერისა“.[1]

ქართველი პატრიოტი-მოღვაწეები შეეცადნენ ამგვარი ვითარების გამოყენებას საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ და 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში ზედიზედ ჩამოაყალიბეს კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის თვითმოქმედი საზოგადოებები; ჯერ — „ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოება“ (1878 წ.), შემდეგ — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი (1879 წ.) და ქართული დრამატული საზოგადოებები (1880 წ.).

70-იანი წლების ბოლოს დაწერილ „შინაურ მიმოხილვაში“ ილია კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავს ამ სანუგეშო მოვლენას, რომელიც მიაჩნდა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი ხანის დასაწყისად. ილიას სიტყვით, ერის მოწინავე ძალებმა იგრძნეს, რომ „ღონე ერთობაშია, ერთად თავმოყრაში, ერთად საერთო უღლის წევაში, ერთმანეთის მხარის მიცემაში“. ილია ყოველივე ამას ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებას მიაწერს:

— „ამ ბოლო დროს ჩვენმა საზოგადოებამ თითქო ფერი იცვალა და ჩვენს ცხოვრებას თითქო ახალმა ნიავმა დაჰკრა, — წერდა ილია, — საზოგადოება თითქო შეკრთა, თითქო დაიძახა— „როდემდე და სადამდეო“, ხელები გაანძრია, წელში გაიმართა და

---

[1] ვ. თულაშვილი, წერა-კითხვის საზოგადოების დაარსება. „საქართველოს კალენდარი“, 1904 წ., გვ. 339.

თვითონვე განიზრახა თავის-თავის შველა — ჯერჯერობით მიჰყო ხელი სწავლა-განათლების საქმეს. ამისათვის დააარსა ჯერ ერთი საზოგადოება, რომელმაც გახსნა ესრეთ წოდებული, „მოსამზადებელი შკოლა", მერე კიდევ სხვა საზოგადოება, რომელსაც საგნად აქვს წერა-კითხვის და სწავლა-განათლების გავრცელება საქართველოში"[1].

„ახალმა ნიავმა" მართლაც მოიტანა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქამდე არნახული,. „ეროვნულ ტკივილებზე ნაშენი" და „ერთმანეთისათვის საერთო გულისტკივილით შემზადებული" ისეთი ეროვნულ-კულტურული საზოგადოებები, რომლებიც ყველაზე უკეთ გამოხატავდნენ ქართველი ერის „გულთა თქმასა" და „სულთა სწრაფვას". ილია ამგვარ საზოგადოებებს „თავის თავის იმედის შვილებს" უწოდებდა და მათში ხედავდა იმ დიდ ეროვნულ-კულტურულ ძალას, რომელსაც უნდა აემოძრავებინა და ერის სამსახურში ჩაეყენებინა ქართველი ხალხის დაგუბებული ეროვნული ენერგია „ათასგვარ კეთილ საქმეთა საკეთებლად".

— სასიხარულო ეს არის, — წერს ილია, — რომ ყოველ ამაში კერძოობითი სარგებლობა კი არ არის საფუძვლად დადებული, არამედ საყოველთაო. თუ ამ გზაზედ მიმავალთ ჩვენთა კეთილის მოსურნეთ ჩვენც მხარი მივეცით, ჩვენც ხელი შევუწყვეთ, არ გავა 10-15 წელიწადი რომ ჩვენი დავრდომილი ქვეყანა სახეს შეიცვლის".[2]

თერგდალეულები თვითმოქმედ საზოგადოებათა დანიშნულებას, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული კუთხით ზომავდნენ და ცდილობდნენ მათ საქმიანობაში ჩაებათ ყველა კუთხის ქართველი და ყველა წოდების კაცი, ერთმანეთთან დაეკავშირებინათ ისინი საერთო ეროვნული სატკივარით, განემსჭვალათ ერთი და იგივე მისწრაფებებითა და საერთო ეროვნულ უღელში შეებათ საქვეყნო ტვირთის გასაწევად. თერგდალეულთა ამგვარ მისწრაფებას საფუძვლად ედო ცხოვრების მწარე სინამდვილე, რუსიფიკატორული და კოლონიური

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწ. სრ. კრ., ტ. 5, გვ. 343.
[2] ი. ჭავჭავაძე, ნაწ. სრ. კრ., ტ. 7, 1956წ., გვ. 199.

ჩაგვრის ის მძიმე პირობები, რომელშიც ცხოვრობდა ქართველი ხალხი მე-19-20 საუკუნის დასაწყისში.

თვითმოქმედ საზოგადოებებს იდეურად ასაზრდოებდა თერგდალეულთა ეროვნული კონცეფცია, მათი მოწინავე შეხედულებები ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მტკივნეულ საკითხებზე; მათ შორის მთავარი იყო „ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენის, ფეხზე დაყენებისა და დაცვის" სასიცოცხლო აუცილებლობა. ამ საფრთხეს თერგდალეულებმა დაუპირისპირეს ქართველი ხალხის თვითმოქმედების გაძლიერებისათვის ბრძოლა, რადგანაც მათი აზრით „... ხალხი თვითმოქმედებით არის მხოლოდ ძლიერი და ნაყოფიერი სულით, თუ ხორცით. რაც მალე დავიჯერებთ ამ ჭეშმარიტებას, — ამბობდა ილია, — რაც მალე შევითვისებთ, მით მალე გამოვიხსნით თავს იმ გაჭირვებიდან, რომელშიაც ასე სასოწარკვეთილებით დღეს ვიმყოფებით".[1]

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპზე, რომელსაც თერგდალეულები მესვეურობდნენ, კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებები თავიანთ დანიშნულებას ეროვნული იდეების პრაქტიკულ განხორციელებაში ხედავდნენ, რაც, დამფუძნებელთა ღრმა რწმენით, შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ჩუმი კულტურული საქმიანობით და არა ხელისუფლებასთან აშკარა დაპირისპირების გზით. მათი აზრით, ცარიზმის სასტიკი რეჟიმის პირობებში მხოლოდ ლეგალური საშუალებებით მუშაობას შეეძლო მოეტანა სასიკეთო შედეგები ქართველი ხალხის ინტერესების სასარგებლოდ.

ქართველი ერის თავკაცები პრესის საშუალებით განუმარტავდნენ ხალხს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თვითმოქმედებას განათლების გავრცელების საქმეში. 1878 წელს, „ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოების" დაარსებასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე ამ საზოგადოების დამფუძნებლის, გიორგი რომანის ძე ერისთავის მისამართით „ივერიაში" წერს, რომ თავადმა გიორგი ერისთავმა „მიიღო რა სახეში სწავლის გავრცელების საჭიროება ჩვენში და

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. IV, 1955 წ., გვ. 323.

ამასთან თითოეულის ჩვენთაგანის ღონე-ნაკლულობა, ჩვენს გაჭირვებას წამალი მოუპოვა — რასაც თვითონ არ ვიმოქმედებთო, სხვისგან ბევრს ნუ ველოდებითო, რასაც თვითეული ცალკე ვერ შევძლებთო, ამას საზოგადოებრივად, ერთად ადვილად შევძლებთო: — აი ორი ნაყოფიერი აზრი. იმ მეცადინეობის დედაბოძად მიღებული. შეუდგა ამ აზრზედ დამყარებული თ. ერისთავი საზოგადოების შედგენას, რომელმაც ხელი უნდა გაუმართოს და შეუწყოს ჩვენის ქვეყნის ღარიბ ხალხს და ნამეტნავად ღარიბ თავადაზნაურებს, რომ შვილებს რიგიანი სწავლისა და განათლების გზა მისცენ დაბალ თუ მაღალ სასწავლებლებში".[1]

ასევე, 1879 წელს, ილია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებასთან დაკავშირებით, ქართველ საზოგადოებას აუწყებს, რომ საზოგადოების მიზნები და ამოცანები უფრო შორს სწვდებოდა, ვიდრე იგი მისი წესდებით იყო განსაზღვრული; რომ ეს საზოგადოება ემსახურებოდა არა რომელიმე წოდებას, არამედ მთელ ერს, ხოლო მისი მოქმედების ასპარეზს შეადგენდა არა რომელიმე კუთხე საქართველოსი, არამედ — მთელი საქართველო[2].

ამგვარად, ილიას ერთიანი საქართველოს იდეა ასახვას პოულობდა არა მხოლოდ მის მხატვრულ-პუბლიცისტურ შემოქმედებასა და აზროვნებაში, არამედ იმ კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნებსა და ამოცანებშიც, რომლებიც საფუძვლად ედო თვითმოქმედ საზოგადოებათა პრაქტიკულ მოღვაწეობას.

ილიას ღრმად სწამდა, რომ ცარიზმის უღლისაგან განთავისუფლება ყველა ქართველის საერთო საქმე იყო, რომ ერის თვითმყოფადობის ხსნა მხოლოდ ეროვნული კონსოლიდაციის გზით იყო შესაძლებელი. მისი აზრით, წოდებათა გათიშულობა და ურთიერთდაპირისპირება დაქსაქსავდა ისედაც მცირე ეროვნულ ძალებს და მტრის წისქვილზე დაასხამდა წყალს. ქართველ პატრიოტ-მოღვაწეებს სულ „სხვა ტკივილები" ჰქონდათ, რის გამოც ქართული

---

[1] „ივერია", 1187 წ., № 37.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრ., ტ. V, თბ., 1955 წ., გვ. 47.

განმანათლებლური მოძრაობა ორიენტირებული იყო მთელ ქართველ ხალხზე და არა რომელიმე წოდებაზე. ამიტომ იყო, რომ, როგორც ს. მესხი წერს, ქართველ განმანათლებელთა დროშას არ ეწერა არც ბატონი, არც გლეხი, არც ახალი და ძველი თაობა, რადგან „ჩვენ ერთი მიწის შვილნი, ერთის ენისა და ლიტერატურის მოყვარულნი ვართო".[1]

ილიას „საერთო ნიადაგის" თეორია (წოდებათა თანამშრომლობა) კლასობრივი თვალსაზრისის გამო მიუღებელი იყო საბჭოური პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიისათვის; იგი აღიარებული იყო 60-70-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველაზე სუსტ მხარედ, რაც, ჩვენი აზრით, გადასინჯვას საჭიროებს — კლასთა დაპირისპირება თუ ეროვნული მთლიანობა (თუნდაც წოდებათა თანამშრომლობის გზით) — რომელი უფრო მოერგებოდა იმდროინდელ ქართულ სინამდვილეს.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში თვითმოქმედ საზოგადოებებში უმთავრესად თავს იყრიდა ქართველი თავადაზნაურული ინტელიგენცია. არჩ. ჯორჯაძის აზრით, „ქართველი ინტელიგენცია და ქართველი თავადაზნაურობა ერთი და იგივე სოციალურ-კულტურული მოვლენა არ იყო; მართალია ინტელიგენციის შემადგენლობა უმთავრესად თავადაზნაურული იყო, მიუხედავად ამისა, ქართველ თავადაზნაურობას, როგორც წოდებას, აღჭურვილს განსაზღვრულ წოდებრივ ორგანოებით, თავისი საკუთარი ფიზიონომია ჰქონდა, ხოლო ქართველ ინტელიგენციას, თავის მისწრაფებებით და პრინციპებით, წოდებრივობას გადაცილებულს, თავისი განსაკუთრებული ფიზიონომია ჰქონდა".[2]

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ინტელიგენციის „ფიზიონომიას", უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავდა ეროვნული საქმისადმი სამსახური („ჩვენი ცხოვრების შარა-გზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ"), რომელიც ითვალისწინებდა დედაენის, ქართული მწერლობის, თეატრის, ისტორიის, კულტურის, მეცნიერების და ა.შ.

---

[1] ს. მესხი, თხზ., ტ.2, 1963წ., გვ. 191.

[2] არჩ. ჯორჯაძე, წერილები, თბ., 1989 წ., გვ. 285.

განვითარებაზე ზრუნვას. გარდა ამისა, ინტელიგენციას თავისი პრაქტიკულ-კულტურული მოღვაწეობით ქართველ ხალხში უნდა შეეტანა იმის შეგნება, თუ „რა ტანჯვა და სისხლი დახარჯულა მისი ნაციონალური სახიერების შემუშავებისათვის" და თუკი იგი დაკარგავდა „თავის საკუთარ ისტორიულ და ეროვნულ სახიერებას, მაშინ დაკარგავდა ყოველგვარ ფასს ისტორიისა და კაცობრიობისათვის[1].

ამ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობას ქართველი ინტელიგენცია ილიას თაოსნობით, ყოველგვარი ანგარების გარეშე, დროისა და ენერგიის დაუშურებლად, საკუთარი ძალ-ღონით ეწეოდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ იმდროინდელ საქართველოში ინტელიგენციის მოღვაწეობის ასპარეზი მეტად შეზღუდული იყო, ქართველი ინტელიგენციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მაინც მოახერხა თვითმოქმედ საზოგადოებათა ხაზით წარემართა თავისი კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა, რომელიც მიმართული იყო ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკის წინააღმდეგ. ამის მაგალითად მარტო წერა-კითხვის საზოგადოება გამოდგება, რომ არაფერი ვთქვათ სხვა დანარჩენ თვითმოქმედ საზოგადოებებზე, რომლებშიც გაერთიანებული იყო და ერთმანეთის მხარდამხარ იდგა მთელი მოაზროვნე ქართველი ინტელიგენცია, მიუხედავად წოდებისა და განათლების დონისა. რა თქმა უნდა, ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც საზოგადო საქმეში ნაკლებ პასუხისმგებლობას და გულცივობასაც იჩენდნენ: დროულად არ იხდიდნენ საწევრო შესატანს, რეგულარულად არ ცხადდებოდნენ საზოგადოების კრებებზე, სათანადოდ არ ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას; იყვნენ ისეთებიც, რომლებიც თვლიდნენ, რომ სწავლა-განათლება ხალხს სარგებლობას მაშინ მოუტანდა, თუ ჯერ კუჭი ექნებოდა გამძღარი.

ილია ჭავჭავაძემ მათ საკადრისი პასუხი გასცა: „ — ამ ვაჟბატონებს სალაპარაკოდ ენა ექავებათ და რას ამბობენ და რას არა, იმისი კი არა გაეგებათ რა, იმათ ეს არ ესმით, რომ ერთი და ორი

---

[1] ს. მესხი, თხზ., ტ. 2, თბ., 1963 წ., გვ. 286.

წერა-კითხვის მცოდნე კაცი რომ გამოერევა სოფელში, იმას თავისი თავი ცხვრებში გარეული მგელი ეგონება და უსინდისოდ გამოიყენებს თავის სწავლას; მაგრამ ერთისა და ორის მაგივრად მთელს სოფელს რომ ეცოდინება წერა-კითხვა, მაშინ იმათ, ისე არავინ აპაშპაშებს. გარდა ამისა, ხალხის სიღარიბიდან გამოყვანა და სწავლა და ცოდნა ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ იმათ უერთმანეთოდ მნიშვნელობა არა აქვთ რა".[1]

ილიას ღრმა რწმენით, ქართველ ხალხს საკუთარი განათლების საქმე თვითონვე უნდა აეღო ხელში, რადგანაც „სხვა პატრონი" მას არ ჰყავდა. „ხსნა ჩვენს თვითმოქმედებასა და ერთობაშია, — წერდა იგი, — საცა კაცი თითონ არ არის, სხვისით არა გაკეთებულა რა; საცა ერთი ვერას იქმს, იქ ოცსა და ორმოცს ერთად შეუძლიან ჰქმნას".[2]

„ივერია" ფართო აგიტაციას ეწეოდა სახალხო განათლების დარგში კერძო ინიციატივის გამოწვევის მიზნით. იგი ქართველ საზოგადოებას შეახსენებდა საქართველოს ისტორიული წარსულის მაგალითებს, როდესაც გამუდმებული ომიანობის გამო ქართველ კაცს ერთ ხელში თოფი და ხმალი ეჭირა, მეორეში — გუთანი და თუ რამოდენიმე წელიწადი მოსვენება ჰქონდა, მაშინვე ამ დროს სწავლა-განათლებისათვის იყენებდა. მართალია, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ „დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დაცხრა ომისა და ბრძოლისაგან", მაგრამ, ამასთან ერთად, ამ დამშვიდებას არ მოჰყოლია სწავლა-განათლების ის სიკეთე, რაც მოსალოდნელი იყო".[3]

ილიას აზრით, ამის მიზეზი არ იყო სწავლა-განათლებისადმი ქართველი ხალხის გულგრილი დამოკიდებულება, მისი უნიჭობა ან მატერიალური გასაჭირი; ამის მიზეზი იყო ის, რომ „დროთა ბრუნვამ სხვის მაყურებლად გაგვხადა, სხვაზედ იმედს შეგვაჩვია და ამაებმა სრულად წარწყმიდეს ჩვენში ის თვითმოქმედების ძალღონე, რომელიც უწინ იყო და რომელიც, თუკი სადმე არის,

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 3, 1953 წ., გვ. 31.
გაზ. „ივერია", 1877 წ., № 37.
[3] იქვე.

ყველგან ხალხის ბედნიერების სათაურია და საფუძველიც".[1]

ამგვარად, თერგდალეულთა თაობას თვითმოქმედება მიაჩნდა ერის წარმატების საფუძვლად, ხოლო თვითმოქმედი საზოგადოებები — „თავის თავის იმედის შვილებად", რომლებსაც საკუთარი ძალღონით, სხვისი დახმარების გარეშე, უნდა აემოძრავებინათ აქამდე „მიძინებული" საზოგადოებრივი ცხოვრება, მოეძებნათ „ხსნის გზა", რომელიც, მათი აზრით, „თვითმოქმედებასა და ერთობაში" გამოიხატებოდა.

პირველი თვითმოქმედი საზოგადოება, რომელიც ყველაზე ადრე გამოვიდა ეროვნულ-კულტურულ ასპარეზზე სამოღვაწეოდ, იყო „ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის" (იგივე „ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოება"). ამ საზოგადოების წესდება მთავრობამ დაამტკიცა 1878 წლის მაისში. წესდებას ხელს აწერდნენ: კონსტანტინე მამაცაშვილი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, თედო ჟორდანია და ვახტანგ თულაშვილი.

წესდების მიხედვით, საზოგადოების მიზანს შეადგენდა ხელი შეეწყო თბილისის გუბერნიის ღარიბ თავადაზნაურთა და სხვა წოდების შვილებისათვის დაწყებითი განათლების მიღებაში. ამ მიზნის მისაღწევად საზოგადოებას უფლება ეძლეოდა დაეარსებინა სასწავლებლები კავკასიის სასწავლო ოლქის მიერ კერძო სასწავლებლებისათვის დადგენილი წესების მიხედვით, აგრეთვე მატერიალური დახმარება გაეწია სხვა სასწავლებლების ნიჭიერ მოწაფეთათვის.[2]

1878 წლის 8 მაისს დამფუძნებელ წევრთა კრებაზე ჩამოყალიბდა საზოგადოების გამგე-კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: გ.რ. ერისთავი (თავმჯდომარე), კ. მამაცაშვილი (თავმჯდომარის თანაშემწე), ვ. თულაშვილი, ნ. ცხვედაძე, ი. გოგებაშვილი, ლ. მაღალაშვილი, გ. ერისთავი და ნ. ქანანოვი (მდივანი). მალე გრ. ერისთავმა მოუცლელობის გამო თავმჯდომარეობაზე უარი

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, 1955 წ., გვ. 322.
[2] გაზ. „ივერია", 1878 წ., № 22.

განაცხადა, მის ნაცვლად არჩეულ იქნა კ. მამაცაშვილი.

საზოგადოების შემოსავალს შეადგენდა: თბილისის სათავადაზნაურო ბანკის წმინდა მოგებიდან ყოველწლიური დახმარება (30-დან 85 ათას მანეთამდე), სწავლის ფული, სხვადასხვა სახის შემოწირულობანი, ნაანდერძევი, შემოსავალი საღამო-კონცერტებიდან და სხვ.

პირველმა გამგე-კომიტეტმა შეიმუშავა მომავალი სკოლის სასწავლო გეგმა და იგი სასწავლო ოლქის მზრუნველს წარუდგინა დასამტკიცებლად. ამასთან დაკავშირებით, 1878 წლის „ივერიისა" და „დროების" დეკემბრის თვის ნომრებში სისტემატურად იბეჭდებოდა განცხადებები საზოგადოების სკოლაში მოწაფეთა მიღების წესების შესახებ.[1]

1879 წლის 6 თებერვალს „ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოებამ" კუკიაზე, თუმანიშვილების სახლში გახსნა დაწყებითი სკოლა პანსიონით, რომელსაც უნდა მოემზადებინა ღარიბი მოსახლეობის შვილები გიმნაზიის პირველი კლასებისათვის. თავდაპირველად სკოლა გამიზნული იყო 80 ვაჟისათვის, მათ შორის 30-ს შეეძლო პანსიონში ცხოვრება (15-ს — საზოგადოების ხარჯზე; 15-ს — თავისი ხარჯით), სწავლის ფული წელიწადში ოცდაათ მანეთს შეადგენდა.[2]

სკოლის პირველ ინსპექტორად (გამგედ) დაინიშნა შიო შიუკაშვილი, ხოლო მასწავლებლად — ო. გურამიშვილი.

საზოგადოების საერთო კრების გადაწყვეტილებით, პირველ სამ წელიწადს ყველა საგნის სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, მეოთხე წლიდან იწყებოდა შესწავლილი საგნების გამეორება რუსულ ენაზე.

ილია ამ სკოლაზე დიდ იმედებს ამყარებდა და იგი მომავალი ქართული საშუალო სკოლის საძირკვლად მიაჩნდა. „თუ აწინდელი საშუალო სასწავლებლები საკმარისნი არ არიან და ამის გამო ჩვენი შვილები სასწავლებლათ გარეთ რჩებიან, — წერს ილია, — მაშასადამე, საჭიროა გავმართოთ ჩვენი საკუთარი საშუალო სას-

[1] გაზ. „ივერია", 1878 წ., № 17, № 19, № 41, № 44 და სხვ.
[2] იქვე, № 44.

წავლებელი და მივცეთ ჩვენს შვილებს სწავლების უფრო ფართო და უფრო ვრცელი გზა. აი, ამ საშუალო სასწავლებლის საძირკვლადაც უნდა იქმნეს ის შკოლა, რომელსაც აფუძნებს ახლა „ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის". ეს შკოლა უნდა იქმნეს ყურადღებისა და ფრიადის თანაგრძნობის ღირსი ყველასათვის, ვისაც კი ცოტათ თუ ბევრად ენაღვლება თავისი ქვეყნის ბედი თუ უბედობა".[1]

1880-1881 სასწავლო წელს სკოლაში მიულიათ 81 მოსწავლე, მათ შორის 68 — თავადაზნაურთა წრიდან, 18 — სხვადასხვა წოდებიდან. შემდეგ წლებში სკოლაში დაბალი ფენებიდან გამოსულ მოსწავლეთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. 1881 წელს სკოლის გამგედ შ. შიუკაშვილის ნაცვლად ივანე მაჩაბელი დაინიშნა, რომელიც ორი წლის წინ დაბრუნდა სამშობლოში. დაბრუნებისთანავე, 1879 წელს ივ. მაჩაბელი გრ. ორბელიანისა და ი. ჭავჭავაძის წარდგინებით ახლად დაარსებული წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრად აირჩიეს. ამ დროისათვის იგი აქტიურად თანამშრომლობდა „ივერიაშიც". 1882 წელს ივ. მაჩაბელმა დატოვა სკოლის გამგის თანამდებობა და მისი ადგილი ნიკო ლომოურმა დაიკავა.

ქართველი ინტელიგენცია თავიდანვე ამ სკოლას იმედის თვალით უყურებდა. სკოლის გახსნასთან დაკავშირებით ს. მესხი „დროებაში" წერდა: „ვინატროთ რომ ის გადაქცეულიყოს გიმნაზიად და იმაში კურსშესრულებულ ყმაწვილკაცობას ნამდვილი ქართველის გული შერჩენოდეს და მამულიშვილობა არ დავიწყებოდეს"-ო[2].

1885 წლიდან „ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოებამ" თბილისის ვაჟთა სათავადაზნაურო სკოლასთან თანდათანობით დაიწყო პროგიმნაზიური და გიმნაზიური კლასების გახსნა. 1899-1900 სასწავლო წლისათვის სკოლა უკვე დასრულებულ 8 კლასიან გიმნაზიად გადაკეთდა.

თბილისის ქართულმა გიმნაზიამ, რომელიც იმ დროს ერთად-

---

[1] „ივერია", 1878 წ., № 44.
[2] გაზ. „დროება", 1879 წ., № 31.

ერთ ეროვნულ საშუალო სასწავლებელს წარმოადგენდა მთელ საქართველოში, თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში დიდი წვლილი შეიტანა ქართველი ახალგაზრდების ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში იგი წარმოადგენდა მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას საქართველოში, რომელმაც ქართველ მოსწავლე-ახალგაზრდობას ბევრი სახელოვანი ტრადიცია შემოუნახა.

70-იანი წლების ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველაზე დიდ მოვლენას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება წარმოადგენდა, რომელიც გადაიქცა ქართველთა „ეროვნულ თავშესაფრად", მათი ეროვნული ინტერესების ქომაგად და დამცველად ათეული წლების მანძილზე.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების იდეა, როგორც უკვე ითქვა, ჩაისახა ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში თერგდალეულთა ერთ ჯგუფში, მაგრამ მაშინ ეს იდეა ვერ განხორციელდა. ამის შემდეგ თითქმის ორი ათეული წელი გახდა საჭირო, რომ ამგვარი საზოგადოება დაფუძნებულიყო.

თუ როგორ დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ამის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან ამ საზოგადოების დამფუძნებლები: ი. გოგებაშვილი, ვ. თულაშვილი, დ. ყიფიანი, ან. ფურცელაძე, ი. მანსვეტაშვილი და სხვ.[1] საზოგადოების დაარსების ისტორიის შესახებ მნიშვნელოვანი მასალები მოიპოვება წერა-კითხვის საზოგადოების არქივში (ცსსა, ფონდი 481) და იმდროინდელ ქართულ პრესაში.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების თარიღად ითვლება 1879 წლის 31 მარტი, როდესაც მთავრობამ ოფიციალურად დაამტკიცა საზოგადოების წესდება, რომელიც დიმიტრი ყიფიანის, ნიკო ცხვედაძისა და იაკობ გოგებაშვილის მიერ იყო შედგენილი. წესდების შედგენაში, მართა-

[1] იხ. ვ. თულაშვილი, „წერა-კითხვის საზოგადოების დაარსება", „საქართველოს კალენდარი", 1904 წ., გვ. 339-342; ი. გოგებაშვილი, როგორ დაარსდა წერა-კითხვის საზოგადოება, რჩ. ნაწ., ტ. 3. 1954წ.

ლია, ილია ჭავჭავაძეს უშუალო მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის შეხედულებებსა და საყურადღებო მოსაზრებებს ქართველი ერის ისეთ საჭირბოროტო საკითხებზე, როგორიცაა ხალხში სწავლა-განათლების გავრცელების მნიშვნელობა ეროვნული თვითშეგნების განვითარებაში, დედაენის როლი მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში, აღზრდის საზოგადოებრივი და ეროვნული ხასიათი და სხვ. ილიას მოწინავე შეხედულებები და მოსაზრებები იდეურად კვებავდა და ნიადაგს უმზადებდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების პრაქტიკულად ჩამოყალიბებას.

1878 წლის 30 იანვარს გრ. ორბელიანის სახლში შეკრებილმა საზოგადოების დამფუძნებელთა კრებამ მთავრობის უმაღლეს ორგანოებში წესდების დამტკიცება დიმიტრი ყიფიანს, ილია ჭავჭავაძესა და ბესარიონ ღოღობერიძეს დააკისრა. ილია ამ დროისათვის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში იდგა: აქტიურად მონაწილეობდა ლიტერატურულ-კულტურულ საქმიანობაში, რედაქტორობდა ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიას“, სათავეში ედგა თბილისის სათავადაზნაურო ბანკს და დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ქართველ საზოგადოებაში. ამ მომენტიდან ილია აქტიურად ჩაება წერა-კითხვის საზოგადოების ორგანიზაციის საქმეში. ამაზე მიუთითებს ი. გოგებაშვილისა და თ. თულაშვილის „მოგონებებიც“ წერა-კითხვის საზოგადოების დაარსების შესახებ.

წესდების დამტკიცებასთან დაკავშირებით დ. ყიფიანი საზოგადოების დამფუძნებელთა პირველ კრებაზე 1879 წლის 15 მაისს აღნიშნავდა: — „საზოგადოების შემდგენთ მოგვანდეს აწ განსვენებულ ბ. ღოღობერიძეს, ილ. ჭავჭავაძეს და მე, რომ წესდებულება მთავრობისათვის წარგვედგინა დასამტკიცებლად, ჯეროვანი მსჯელობა გვეყო და ყოველი განმარტება მოგვეხსენებინა, რაც კი მოგვეთხოვებოდა“.[1]

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 2, ფურ. 5.

ამაში დიდი წვლილი ილია ჭავჭავაძეს მიუძღვის.

წესდების მიხედვით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიზანი ამგვარად იყო განსაზღვრული: „საზოგადოებას მიზნათა აქვს წიგნის ცოდნისა და თავდაპირველი სწავლის გავრცელება ქართველებში, სადაც კი კავკასიის სანამესტნიკოში ისინი მოსახლეობენ“.[1]

ამ მიზნის მისაღწევად წერა-კითხვის საზოგადოებას უფლება ეძლეოდა დახმარება გაეწია არსებული დაწყებითი სახალხო სკოლებისათვის, ხელი შეეწყო ახალი სკოლების გახსნისათვის და თვითონაც გაეხსნა სკოლები თავისი ხარჯით; გამოეცა სახელმძღვანელო და სხვა წიგნები; გაემართა სახალხო კითხვა; შეედგინა სამწიგნობრო „ხალხის საკითხავად“; ჰქონოდა წიგნების საწყობები; უზრუნველეყო სკოლები გამოცდილი პედაგოგებით, გაემართა პედაგოგიური კურსები, მოეწყო მასწავლებელთა ყრილობები და სხვ.[2]

მთავარი მაინც ის იყო, რომ მე-3 მუხლი, რომელიც წესდებაში ი. გოგებაშვილის მიერ იყო ჩამატებული, საზოგადოებას უფლებას ანიჭებდა თავის სკოლებში სწავლა მშობლიურ ენაზე განეხორციელებინა, რაც საზოგადოების სკოლებს, მთავრობის სკოლებისაგან განსხვავებით, ეროვნულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

1879 წლის 15 მაისს დილის 11 საათზე თბილისის საადგილმამულო ბანკის შენობაში შედგა წერა-კითხვის საზოგადოების დამფუძნებელთა პირველი თავყრილობა. ყრილობაზე მობრძანდნენ: დიმიტრი ყიფიანი, გრიგორ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძე, რაფიელ ერისთავი, ვახტანგ თულაშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ქრისტეფორე მამაცაშვილი, ნიკო ღოღობერიძე, დავით ავალიშვილი და სხვ. 126 დამფუძნებელ წევრთაგან კრებას დაესწრო 22 და ნამდვილი წევრობის მსურველი 61 კაცი[3].

იაკობ გოგებაშვილი საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა შორის ოფიციალურად არ იხსენიებოდა თავისივე სურვილით. მან სპეციალურად ხელი არ მოაწერა წესდებას იმ მოტივით „... რათა დამტკიცე-

---

[1] გაზ. „დროება“, 1879 წ., № 101.

[2] იქვე.

[3] ცსსა, ფონ. 481, საქ. 2, ფურ. 5-8.

ბას ავაცდინოთ ყოველი დაბრკოლება, საჭიროა წესდებულებას ხელი მოაწერონ დამფუძნებლად მხოლოდ იმგვარმა გვამებმა, რომელთაც სრული ნდობით ეპყრობა მთავრობა. მე, მაგალითად, სამსახურიდან დათხოვნილი ვარ მესამე მუხლის ძალით და ამიტომ ყოვლად მოუხერხებელია დამფუძნებელთა შორის მეც მოვექცეო[1]".

საზოგადოების თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით დამფუძნებელთა პირველი კრების ოქმში ვკითხულობთ:

— „ფეხზე წამოდგნენ ყველანი და ერთხმად სთხოვეს გრ. ორბელიანს, რომ ენებებინა და თავმჯდომარეობა მიეღო საზოგადოებისა და მისი გამგეობისა, მაგრამ გრ. ორბელიანმა ბოდიში მოიხადა და უარი განუცხადა ყრილობას შემდეგი სიტყვებით: „დიდათა ვწუხვარ, ჭეშმარიტად, რომ უარი უნდა განგიცხადოთ. ეს საქმე ისეთი დიდი და მძიმე საქმეა, რომ საზოგადოების თავმჯდომარეცა და იმის მმართველობაც განუწყვეტელ შრომაში უნდა იყვნენ, რომ ეს ღვთიური საქმე კეთილად წარიმართოს: მე ყოველთვის მზადა ვარ, რითაც კი შემიძლია საზოგადოებას ვემსახურო, მაგრამ ეს ჯაფა რომ ვიკისრო, არც სიმრთელე მაძლევს ნებას და არც თვითონ საქმის გამოცდილება მაქვს საკმარისი. ამ მიზეზებით გთხოვთ, მე გამანთავისუფლოთ და თავმჯდომარეობა ისევ იმასა ვთხოვოთ, ვინც თავიდანვე ამ საქმეს ადგია" და ხელი მიიშვირა დიმიტრი ყიფიანზედ.

მაშინ ყრილობამ დ. ყიფიანი ერთხმად აირჩია საზოგადოებისა და მისი გამგეობის თავმჯდომარედ[2].

დიმიტრი ყიფიანი, წერა-კითხვის საზოგადოების პირველი თავმჯდომარე (1879-1882 წწ.), ჭეშმარიტად იმსახურებდა ასეთ დიდ პატივს. იგი ქართველ საზოგადოებაში მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა, როგორც პატიოსანი, შრომისმოყვარე, მცოდნე და „მოვალეობის კაცი". 1830-1886 წლებში დ. ყიფიანი თავდადებით ეწეოდა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი სამსახურის მძიმე ტვირთს სხვადასხვა სარბიელზე და ყოველთვის ცდილობდა ერის სასარგებ-

---

[1] ი. გოგებაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 518.
ცსსა, ფონ. 481, საქ. 2, ფურ. 7-8.

ლო საქმე ეკეთებინა: ილია ჭავჭავაძესთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართული თეატრის, პერიოდული პრესის, თბილისის საადგილმამულო ბანკის დაარსებაში, ხოლო თბილისის ქალაქისთავის მოვალეობის შესრულებისას (1876-1879 წ.) დედაქალაქის კეთილმოსაწყობად ბევრი კარგი საქმე გააკეთა. ამიტომ ყველა დარწმუნებული იყო, რომ საქმე, რომელსაც დ. ყიფიანი სათავეში ჩაუდგებოდა, უთუოდ წარმატებას მიაღწევდა.

არჩილ ჯორჯაძე დ. ყიფიანის შესახებ წერს: „...ყოველ ნაკისრ მოვალეობას დ. ყიფიანი თითქმის რომ პედანტიურის გულმოდგინეობით ასრულებდა. ამგვარსავე გულმოდგინეობას იჩენს ამ ახალ საქმეშიაც. დიმ. ყიფიანი, ხანგრძლივი სამსახურით გაწვრთვნილი, წესრიგს იყო მიჩვეული და იმთავითვე ამ წესრიგის დაცვას მოითხოვდა საზოგადოების გამგეობისაგან".[1]

15 მაისს, გამგეობის პირველ სხდომაზე, წესდების მე-19 მუხლის მიხედვით, საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგად (მოადგილედ) ილია ჭავჭავაძე აირჩიეს, მდივნად — ალექსანდრე სარაჯიშვილი, ხაზინადრად — რაფიელ ერისთავი.

დიმიტრი ყიფიანი და ილია ჭავჭავაძე — ეს ორი დიდი ქართველი თავიდანვე დიდ ავტორიტეტს უხვევდა ხალხის თვალში წერა-კითხვის საზოგადოებას, რომლის მიზნების პრაქტიკულად განხორციელებას, უპირველეს ყოვლისა, მათი თანადგომა ესაჭიროებოდა. ამიტომ იყო, რომ ილია პრესის საშუალებით ქართველი ხალხის ყურადღებას ამახვილებდა წერა-კითხვის საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების ეროვნულ მნიშვნელობაზე: — „ამისთანა მაღალმნიშვნელოვანი საზოგადოება ჩვენში ჯერედ არ დაბადებულა, — წერდა იგი, — მას დანიშნულებად აქვს არა რაიმე დაბალი საგანი, არამედ იმისთანა უძვირფასესი საუნჯე ადამიანისათვის, როგორიც არის ერის განათლება... მის ასპარეზს, სარბიელს შეადგენს მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საქართველო: კახეთი, ქართლი, იმერეთი, რაჭა, გურია, სამურზაყანო, ოსმალეთის საქართველო, ერთი სიტყვით, თითქმის მთელი სამეფო თამარისა".[2]

---

[1] არჩ. ჯორჯაძე, დ. ყიფიანი, წერილები, 1989 წ., გვ. 535.

[2] გაზ. „დროება", 1880 წ., № 15.

წერა-კითხვის საზოგადოება თავიდანვე დადგა ილიას გზაზე და ჭეშმარიტად დაიმსახურა ერის განმანათლებლის საპატიო სახელი. მან ამ გზით იარა თითქმის მთელი ნახევარი საუკუნე და არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა ქართველი ერის ისტორიაში.

ილია აქტიურად ჩაება წერა-კითხვის საზოგადოების საქმიანობაში და იყო მისი ფაქტობრივი ხელმძღვანელი. 1882 წელს, სამსახურებრივი დატვირთვის გამო, დიმიტრი ყიფიანმა თავმჯდომარეობას თავი დაანება, მისი ადგილი ივანე ბაგრატიონ-მუხრანელმა დაიკავა (1882-1885 წწ.), მაგრამ ისიც, მოუცლელობის მიზეზით, საზოგადოების საერთო კრებებსა და გამგეობის სხდომებს იშვიათად ესწრებოდა. 1881-1882 წლებში გამგეობის 26 სხდომიდან დ. ყიფიანი მხოლოდ 4 სხდომას დასწრებია, ილია — 18-ს და სხდომებისათვის 17-ჯერ უთავმჯდომარებია. 1882 წელს გამგეობას 19 სხდომა გაუმართავს, მათგან 16 სხდომას ილია თავმჯდომარეობდა, დანარჩენს — იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე. ივანე მუხრანელი არც ერთ სხდომას არ დასწრებია[1]. ილია, როგორც თავმჯდომარის მოადგილე, ხელმძღვანელობდა საზოგადოების საქმეთა წარმოებას — შემოსავალ-გასავლის, წლიური ანგარიშების, სხვადასხვა ხარჯთაღრიცხვების შედგენას, სასკოლო საქმიანობას და სხვ. ამის მაჩვენებელია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების არქივში დაცული არაერთი დოკუმენტი: ოქმები, მოხსენებები, მიმართვები, საქმიანი მიწერ-მოწერა და სხვ. მათი დიდი ნაწილი ილიას საკუთარი ხელითაა შედგენილი და მის ნააზრევს წარმოადგენს.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომათა ოქმების წიგნში ხშირად ვხვდებით ილიას ხელით ჩაწერილ გამგეობის „განჩინებებს" მისივე ხელმოწერით, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა იგი საზოგადოების ყოველგვარ საქმეს; როგორი სიფრთხილით ზომავდა გამგეობის ყველა ნაბიჯს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხებოდა საზოგადოების ბიუჯეტს, რადგან თავიდანვე სჯეროდა, რომ წერა-კითხვის

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 85, ფურ. I.

საზოგადოებას წინ დიდი მანძილი ჰქონდა გასავლელი და ამ გზაზე ბევრი საშური საქმე იყო საკეთებელი. ამიტომაც იყო, რომ ილია თვითონვე წარმართავდა საზოგადოების მუშაობის ერთ-ერთ რთულ უბანს — ხარჯთაღრიცხვას და ყოველთვის ცდილობდა ეს მხარე საზოგადოებას მოწესრიგებული ჰქონოდა.

1879 წლის 29 მაისს წერა-კითხვის საზოგადოების საერთო კრებაზე ილიამ წარადგინა 1879-1880 წლების ანგარიში საზოგადოების შემოსავალ-გასავლის შესახებ, რომლის მიხედვით წლიური შემოსავალი დაახლოებით 26520 მანეთს შეადგენდა. ილიამ საჭიროდ სცნო, რომ ამ თანხიდან ცალკე გამოეყოთ ხელუხლებელი თანხა, ე.წ. „ძირის ფული", რომელშიც უნდა შესულიყო თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკებიდან შემოწირული 14 ათასი მანეთიც (11 ათასი — თბილისის ბანკიდან, 3 ათასი — ქუთაისის ბანკიდან). ამ თანხიდან გამგეობას უნდა შეეძინა სარგებლიანი ბილეთები და შეენახა ბანკში. ილია მოითხოვდა, რომ „ძირის ფულს" დამატებოდა აგრეთვე საზოგადოების სახელზე შემოსული სხვა შემოწირული თანხებიც. გარდა „ძირის ფულისა", საზოგადოებას უნდა ჰქონოდა ე.წ. „საწარმოებელი თანხაც", რომელსაც შეადგენდა „ძირის ფულის" სარგებელი, შემოსავალი საზოგადოების სასარგებლოდ გამართული სპექტაკლებიდან, კონცერტებიდან, ბალებიდან და სხვ. „საწარმოებელი თანხა" უნდა მოხმარებოდა საზოგადოების არსებით საჭიროებათა დაკმაყოფილებას[1].

კრებაზე გამოითქვა სხვადასხვა აზრი საზოგადოების „ძირის ფულის" რაოდენობის შესახებ. რ. ერისთავის აზრით, „ძირის ფულად" საკმარისი იქნებოდა 12 ათასი მანეთი; ნიკო ცხვედაძე უფრო ნაკლებს — 10 ათასს მოითხოვდა, გიორგი წერეთელი კი საერთოდ უარყოფდა „ძირის ფულის" დაწესებას. იგი ამბობდა, ფულის შენახვა ტალანტის დამარხვას ემგვანებაო, საჭიროება უამრავია, დასახარჯავად გვაქვს ეს ფული და უნდა დავხარჯოთო: — „თუ კარგად წავიყვანთ საქმეს, თუ ქართველობა დაინახავს, რომ მართლა დავეხმარეთ განათლების საქმეს, დარწმუნებით

[1] გაზ. „დროება", № 118, 1880 წ.

იყავით, რომ ეს წყარო თუ არ მოიმატებს, არ მოიკლებს“-ო.[1]

ხმების უმრავლესობით კრებამ დაადგინა, გამგეობას უფლება მისცემოდა შემოსავლიდან დაეხარჯა იმდენი, რამდენსაც საჭიროება მოითხოვდა.[2]

ილია ფრთხილობდა, რომ წერა-კითხვის საზოგადოებას ერთბაშად არ გამოსცლოდა არსებობის სახსარი და ცარიელ ნიადაგზე არ დარჩენილიყო:

— „დღეს რომ ამ საზოგადოებამ რაც ფული აქვს სულ შემოიხარჯოს, თუნდ მართლადა საჭიროდაც მოიხმაროს, ხვალ გროშიც აღარ ექნება, რომ თვითონ სული მოიბრუნოს, და ეს მართლადა გულშესატკივარი საქმე, ეს ყოვლად დიდი საქმე წაწყმდება ისე, როგორც სხვა კაი საქმენი წაწყმედილან ჩვენს უბედურ ქვეყანაში“.[3]

1879 წლის 27 ნოემბერს გამგეობის სხდომაზე ილიამ პრინციპულად დააყენა საკითხი გამგეობას პირველ რიგში მოეწესრიგებინა შემოსავალ-გასავლის წიგნები, ზუსტად აღერიცხა რა თანხა იყო საზოგადოების სალაროში, მათ შორის რამდენი იყო შემოსული საწევრო გადასახადიდან, ვის რამდენი ჰქონდა შემოტანილი და ვისზე რამდენი იყო დარჩენილი.[4]

ილია ყოველთვის იმ აზრის იყო, რომ საზოგადოების სასარგებლოდ შემოსულ ფულს დიდი გაფრთხილება ესაჭიროებოდა, თუკი საზოგადოებას სურდა დიდ ხანს შეენარჩუნებინა თავისი არსებობა.

— „საზოგადოებას დიდი, ფართო მოედანი აქვს დანიშნული, — აღნიშნავდა ილია, — თუ მოიწადინებს ყოველი საჭიროება ერთბაშად დააკმაყოფილოს, მაშინ ეგ ფული კი არა, ასი მაგდენიც არა კმარა და საშიშია, რომ საზოგადოებას საფანელი დააკლდება და პირველ ფეხის გადადგმაზეევე უილაჯობით შეჩერდება“.[5]

---

[1] გაზ. „დროება“, № 118, 1880 წ.
[2] იქვე.
[3] ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. III, თბ., 1953წ., გვ. 593.
[4] ცსსა, ფონ. 481, საქ. 2, ფურ. 19.
[5] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, თბ., 1955 წ., გვ. 352.

ილია ხშირად საყვედურს გამოთქვამდა იმის გამო, რომ წერა-კითხვის საზოგადოების ერთი ნაწილი გულგრილობას იჩენდა საზოგადო საქმისადმი, რაც, უპირველეს ყოვლისა, საწევრო თანხის გადაუხდელობაში ჩანდა. გამგეობა საზოგადოების არსებობისათვის საჭირო მატერიალური წყაროების მუდმივ ძიებაში იყო და ასეთ დროს წევრებს საწევრო თანხა არ შემოჰქონდათ. მაგალითად, 1879-1883 წლებში, ნაცვლად 13617 მანეთი საწევრო თანხისა, საზოგადოების სალაროში შემოსულა 5452 მანეთი.[1] 1883 წლის საზოგადოების წლიური ანგარიშის გამო ილია გულისტკივილით წერს: — „ღმერთო, რა გვარის გულგრილობის მოწმეა ეს ანგარიში“:

— „წარმოიდგინეთ, რომ საზოგადოებას ჰყოლია 300 წევრამდე დამფუძნებელი და ნამდვილნი და დღესაც არ შეუტანიათ თავიანთი ხვედრითი საწევრო ფული.“[2]

ილია პირადად თვითონ არაფერს თაკილობდა იმისათვის, რომ წერა-კითხვის საზოგადოება მატერიალურად გაძლიერებულიყო. ამის მაჩვენებელია არაერთი ფაქტი. მაგალითად, 1880 წლის თებერვალში გამგეობის თხოვნით ილიამ ბალი გამართა საზოგადოების სასარგებლოდ და აქედან 550 მანეთის შემოსავალი მიიღო;[3] 1886 წლის აპრილში ილიას ხელმძღვანელობით დიდი ლიტერატურული საღამო გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ: ილია, აკაკი, რაფიელ ერისთავი, გიორგი ერისთავი, გიორგი თუმანიშვილი, თამარ და ნოდარ ჯორჯაძეები, კახეთიდან მოწვეული მომღერალთა გუნდი, ქართული ხალხური სიმღერების გუნდი რატილის ხელმძღვანელობით და სხვ. საღამომ დიდი წარმატებით ჩაიარა და მთელი შემოსავალი წერა-კითხვის საზოგადოებას გადაეცა.[4]

იმავე წელს თბილისის ცირკში ილიამ მოაწყო ჭიდაობა გამოჩენილი ფალავნის, ესებუას მონაწილეობით, რომლის შემოსავალიც საზოგადოებას გადაეცა.[5]

---

[1] გაზ. „დროება“, 1883, № 212.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 3, თბ., 1953წ., გვ. 186.
[3] ცსსა, ფონ. 481, საქ. 2, ფურ. 140.
[4] იგივე ფონდი, საქ. 3, ფურ. 180.
[5] იქვე, ფურ. 20.

ასეთ საქმეებში ილიას ყოველთვის მხარში ედგა მისი მეუღლე ოლღა, რომელიც საკუთარი თაოსნობით ხშირად მართავდა საქველმოქმედო საღამოებსა და ბაზრობებს, ლატარია — ალეგრას და ამ გზით წერა-კითხვის საზოგადოებას თითქმის ყოველწლიურად 3 ათას მანეთამდე შემოსავალს აძლევდა.

ამ დამსახურებისა და კიდევ სხვა მრავალ კეთილ საქმეთა გამო, 1894 წელს ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თავის საპატიო წევრად აირჩია.

ილია ერთხანს წერა-კითხვის საზოგადოების ხაზინადარის მოვალეობასაც ასრულებდა. 1879 წლის 23 დეკემბერს გამგეობის სხდომაზე რაფიელ ერისთავმა ხაზინადრობიდან განთავისუფლება ითხოვა. გამგეობამ დააკმაყოფილა მისი თხოვნა და ეს თანამდებობა დროებით ილიას ჩააბარა. წერა-კითხვის საზოგადოების არქივში შემონახულია რ. ერისთავის მიერ ილიასათვის სალაროს გადაბარების აქტი, რომელიც შეუდგენიათ 1879 წლის 25 დეკემბერს ი. ჭავჭავაძის, ივ. მაჩაბლის, ნ. ცხვედაძის და რ. ერისთავის თანდასწრებით[1]. როგორც ჩანს, ილია ხაზინადრობიდან მალე გაუნთავისუფლებიათ — 1880 წლის საზოგადოების დოკუმენტებში ამ თანამდებობაზე უკვე ივ. მაჩაბელი მოიხსენიება.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მრავალფეროვან საქმიანობაში ილია უპირატესობას წესდების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას `ანიჭებდა, რაც გულისხმობდა შემდეგს:

1. დახმარება გაეწიათ ღარიბი სკოლებისათვის; 2. გაეხსნათ ახალი ქართული სკოლები, განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, სადაც დედაენას საფრთხე ემუქრებოდა; 3. მოემზადებინათ ღირსეული პედაგოგები საზოგადოების სკოლებისათვის; 4. გამოეცათ ქართულ ენაზე საყმაწვილო წიგნები და სასკოლო სახელმძღვანელოები.

ილიას მთელი სასკოლო საქმიანობა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, მისი ბრძოლა ეროვნული თვითშეგნების

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 2, ფურ. 23.

გამოღვიძებისათვის, დედაენის უფლებებისა და ეროვნულ ფასეულობათა დასაცავად, ბუნებრივია, განიხილება წერა-კითხვის საზოგადოების მოღვაწეობის კვალდაკვალ, რაზედაც ცალკე თავებშია საუბარი.

პირველ ხანებში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობამ ვერ გამოიღო ისეთი შესაფერისი ნაყოფი, როგორსაც ამას მისი დამფუძნებლები მოელოდნენ („სპილოს რწყილი ვაშობინეთ"). ი. გოგებაშვილი თავის წერილში — „რა მიზეზია წერა-კითხვის საზოგადოების მცირე ნაყოფიერებისა?", რომელიც 1883 წელს „დროებაში" დაიბეჭდა, ამის მიზეზად არა იმდენად გარეგან ფაქტორებს მიიჩნევს, რამდენადაც შინაგანს — საზოგადოების წევრთა სიმცირეს, კრებებზე გამოუცხადებლობას, საწევროს გადაუხდელობას, გამგეობის პასიურობას და დეცენტრალიზაციას, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჯერ კიდევ გახსნილი არ ჰქონდა თავის განყოფილებები (აგენტურა). ი. გოგებაშვილს სამარცხვინოდ ეჩვენებოდა, რომ საქართველოს რაიონები არ მონაწილეობდნენ საკუთარი განათლების საქმეში და საქმის დაწყებას ცენტრიდან მოელოდნენ. მისი აზრით, ეს ბიუროკრატიული სენი ძალაუნებურად გამგეობაზეც გადადიოდა, რის გამოც „ბევრი ოზმა ქაღალდი დაიწერა, ბევრი მელანი დაიცალა და საქმე კი ცოტა გაკეთდა და კეთდება".[1]

იაკობ გოგებაშვილის ამ წერილს გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძე იმავე წლის ნოემბრის „შინაურ მიმოხილვაში". ილია როგორც წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, დიმიტრი ყიფიანის მოუცლელობის გამო, ფაქტობრივად თვითონ განაგებდა გამგეობის მთელ საქმიანობას.

„შინაურ მიმოხილვაში" ილია, უპირველეს ყოვლისა, გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ქართველებმა არ იციანო საზოგადო საქმის მოვლა-პატრონობა. იგი წერს: — „რომელი საზოგადოებაც გინდათ აიღეთ, ოღონდ კი ფილტვები გაუსინჯეთ და

---

[1] „დროება", № 246 და № 249, 1883 წ.

ნახავთ, რომ თავისით, თავისის საკუთარის თვითმოქმედებით, არც ერთს მათგანს ღონე არა აქვს იხეიროს და იდღეგრძელოს“.[1]

ილია არ უარყოფს წერა-კითხვის საზოგადოების „მცირე ნაყოფიერებას“, მაგრამ ამის მთავარ მიზეზს გამგეობის უპასუხისმგებლობასა და მის პასიურობაში კი არ ხედავს, როგორც ი. გოგებაშვილი, არამედ ამას განათლების დარგში ქართველი ერის მოუმზადებლობასა და მისი თვითმოქმედი ძალების დაქვეითებას მიაწერს.

— „ბევრი რამ ითქვა, — წერს ილია, — მაგრამ ყველანი ერთხმად ირწმუნებიან, რომ ჩვენში არც ერთი „საზოგადოება“ ისე არ მიდის, როგორადაც სასურველი იყო დამწესებელთათვის და როგორადაც სასურველია. ყველა გულშემატკივარისათვის და თვითონ საქმისათვისაც. ეს ისეთი მართალია, რომ არა გვგონია ვინმემ უარჰყოს. უჩხრიკეს მიზეზი, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ და შიგნეულობამდე რომ საქმეს თვალი ვერ ჩააწვდინეს, აიღეს და ბრალი დასდეს თითონ „საზოგადოებას“ და უფრო მის „გამგეობას“. გამგეობა არ ვარგაო და ყველა უბედურება აქედამ წარმოსდგებაო..... ის კი აღარავის მოსვლია ფიქრად, რომ თუ შენობა ქვიშაზეა აგებული, ვერა დიდი ოსტატი, ვერა დიდი არქიტექტორი ვერას უშველის. მაგისთანა შენობას თვით თავის აგებულობაშივე აქვს მიზეზი სისუსტისა და თუ დაიქცა, სასაცილო იქნება ბრალი შენობის ყარაულს, მეთვალყურეს დაბრალდეს“[2].

ამ შემთხვევაში ილია შენობის (საზოგადოების) საძირკვლად თვითმოქმედებას გულისხმობს, რომელიც ყოველი საქმის წარმატების სათავეა. მისი სიტყვით, ამ „შემოქმედებითი ძალის“ გარეშე საზოგადო საქმე „ქვიშაზე აგებულ შენობას“ ემსგავსება, რომლის საძირკვლის გასამაგრებლად ხალხის თვითმოქმედებაა საჭირო.

ილია იწონებს რაიონებში აგენტების დანიშვნას, რაც უფრო გააფართოვებდა და გააცხოველებდა საზოგადოების საქმიანობას, თუმცა, მისი აზრით, უკეთესია, თუ ასეთი აგენტები საერთოდ არ იქნებოდნენ საჭირო და „თვითონ მკვიდრნი ცალ-ცალკე კუთხისანი

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, 1955წ. გვ. 285.

[2] იქვე.

საკუთარი ძალღონით შეეჭიდებოდნენ თავიანთი განათლების საქმეს".[1]

ქართველი ინტელიგენციის საზოგადოებრივი საქმიანობისადმი გულგრილ დამოკიდებულებაზე ჩივის ს. მესხიც თავის წერილში „ქველმოქმედი საზოგადოებანი", სადაც იგი, მართალია, სანუგეშო მოვლენად მიიჩნევს ამგვარი საზოგადოებების დაარსებას საქართველოში, მაგრამ, ამასთან ერთად, მათ ნაკლზეც მიუთითებს: — „თითქმის არც ერთ ამგვარ საზოგადოებას არ გაუშლია ფესვები ჩვენში, თითქმის არც ერთი არ დამყარებულა ისე მკვიდრათ, რომ საშვილიშვილოთ, დიდი ხნით დარჩენილიყოს"-ო.[2] ამის მაგალითად ასახელებს „ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებას", რომელიც ორი წლის წინათ შემდგარა ქუთაისში და მალევე დახურულა; სამი წლის წინათ თბილისშიც დაარსებულა პატარა საზოგადოება ძველი და ახალი ქართული წიგნების გამოსაცემად, რომელსაც ორიოდე წიგნი გამოუცია და მერე ისიც მალევე გამქრალა... ს. მესხი კითხულობს: — „რისგან არის, რომ ეს საზოგადოებანი ასე უცბად იბადებიან ჩვენში და უცბადვე ჰქრებიან?" — და თვითონვე პასუხობს: — „პირველი და უმთავრესი ის გახლავთ, რომ ჩვენ ჯერ მიჩვეული არა ვართ საზოგადო საქმისათვის ზრუნვას, საზოგადო საჭიროებისათვის თავის საკუთარ სარგებლობის დავიწყებას.

— როდესაც რომელიმე საქმეს ვკიდებთ ხელს, ყველაზე პირველად იმაზე გვიჭირავს თვალი, რომ ეს საქმე სასარგებლო, გამოსადეგი იქნება კერძოთ ჩვენთვის, თუ არა. თუ ამ საზოგადო საქმეს არ შეუძლია ამ თავითვე, დღესვე ჩვენი სარგებლობის მოტანა, ან ჩვენი სახელის, ჩვენი ქების საქვეყნოთ გამოაშკარავება, ჩვენ ვივიწყებთ იმას, რაც უნდა საზოგადო სასარგებლოთ და ხალხისათვის საკეთილდღეოთ მიგვაჩნდეს და რაც უნდა მხურვალეთ მოგვეკიდნოს პირველში იმისთვის ხელი".[3]

ქართული საზოგადოებრივი აზრის დაკვირვებული მეთვალყურე სერგეი მესხი შემდეგ წლებშიც არაერთხელ უჩიოდა ამ სენს. ამაზე მიუთითებს აგრეთვე ნ. ნიკოლაძეც სტატიაში „ქართული

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, 1955 წ., გვ 285.
[2] ს. მესხი, თხზ., ტ. II, თბ., 1963 წ., გვ 383.
[3] იქვე, გვ 385.

აპათია", სადაც იგი წერს: — „ყველა საქმეში წინ გველობება ხოლმე აპათია, რომელიც უაღრესად მკვეთრად არ ეხამება ჩვენს სიტყვით უსაზღვრო სიყვარულს სამშობლოსადმი".[1]

თვითმოქმედი საზოგადოებების ზოგიერთ წევრს მართლაც ახასიათებდა აპათია, მაგრამ მათ გვერდით იდგნენ აქტიური, თავდადებული მოღვაწენიც, რომელთა მხრებზეც გადადიოდა მთელი საქმის სიმძიმე. ილია ამგვარი მოღვაწეების შესახებ ამბობდა, რომ მათ წინდაწინვე იციანო თუ „რა თოკს იჭერენ ყელში, რა წვალების, წყენისა და შეწუხების უღელში" ებმებიან, მაგრამ, ქვეყნისადმი სიყვარულის გამო, მათ ეს არ აშინებთო. ამგვარ მოღვაწეთათვის ერთადერთი ნუგეში მარტო პატივისცემაა და იმასაც ორიოდ კაცი თუ ატარებს გულში, „ათასი სხვა კი მარტო იმის ცდაშია, რომ მოღვაწეს გული გაუტეხოს და რაც შესაძლოა მომატებული წყენა მიაყენოს"-ო.[2]

თვითონ ილია ყოველთვის დიდ გულისხმიერებასა და პასუხისმგებლობას იჩენდა საზოგადოების ყოველ საქმეში, რაზედაც მიუთითებს დ. ყიფიანის ერთი წერილიც, რომელიც 1881 წლის 12 იანვარს ილიასათვის ქუთაისიდან გამოუგზავნია საჩხერეში ახალი სკოლის გახსნასთან დაკავშირებით: — „მე იქნებ თებერვლის ნახევრამდისაც აქ დავრჩე და თქვენთან თხოვნის განმეორებას საჭიროდ აღარა ვსთვლი, რომ ამ საქმეს თქვენებურად მხურვალეს გულით მოეკიდოთ. ეს თავისთავად იგულისხმება".[3]

70-იანი წლების ბოლოს, ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების პერიოდში, ქართველი საზოგადოების წინაშე მთელი სერიოზულობით დადგა მუდმივი სათეატრო დასის შექმნის საკითხი, რომელსაც უნდა გამოეხატა ქართველი ხალხის ეროვნული მისწრაფებები. ამ მიზნით 1879 წელს ჩამოყალიბდა „სცენის მოყვარეთა ამხანაგობა", რომელმაც შექმნა მუდმივი სათეატრო დასი. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი დ. ყიფიანსა და გ. თუმანიშვილს მიუძღოდათ.

ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი, მათ შორის გრ. ორბე-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 7, თბ., 1985 წ., გვ. 445-446.
ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, თბ., 1991 წ., გვ. 407.
[3] ცსსა, ფონ. 481, საქ. 10, ფურ. 5.

ლიანიც, ეჭვის თვალით უყურებდა მუდმივი თეატრის დაარსების საქმეს თითქმის „ცარიელ ნიადაგზე“, როდესაც არ იყო სათეატრო შენობა, დეკორაციები, პროფესიულ მსახიობთა კადრი, და, რაც მთავარია, სათანადო მატერიალური სახსარი.

ილიასადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში გრ. ორბელიანი წერს: — „მე არა ვარ თანამგრძნობი ქართული თეატრის ამჟამად დაწესებისა, რომელზედაც დახარჯული ფული მგონია დაკარგულად. მე არ მესმის, როგორ უნდა დაემყაროს თეატრი, რომელსაც არა აქვს თავისი შენობა, რომელსაც არ ჰყავს განსწავლული აქტიორები, რომელსაც არ შეუძლიან შენახვა თავისა თვისისა. და თუ ქართული სცენის მოყვარენი წარმოადგენდნენ რასმეს წელიწადში ორჯელ, სამჯერ, ხომ ახლაც არის ამგვარი თეატრი — არა მგონია, რომ ჩვენი ბანკი იყოს ისე გასუქებული, რომ სამასის თუმნის უსარგებლოდ დახარჯვა არაფრად მიაჩნდეს მას“[1].

ილია სხვაგვარად ფიქრობდა. იგი თავგამოდებით უმტკიცებდა ქართველ თავადაზნაურობას, რომ ბანკის ყოველწლიური დახმარება, თუნდაც სულ მცირე 3 ათასი მანეთი, ფეხზე დააყენებდა ქართულ თეატრს. 1879 წლის „შინაურ მიმოხილვაში“ ილია ქართველ საზოგადოებას განუმარტავს — „რა არის სცენა საზოგადოდ და რა უნდა იყოს ჩვენთვის საკუთრივ“. ამ წერილში ილია აღწერს იმ სავალალო მდგომარეობას, რომელშიც იმყოფებოდა მთავრობისგან დევნილი და შევიწროვებული დედაენა, რომელსაც „მოედანიც აღარ ჰქონდა სავარჯიშოდ, ველარც აზრს ამოძრავებდა და ველარც გულს ათბობდა“... ილიას აზრით ამისთანა სამარცხვინო პირობების დროს მუდმივი დასის დაარსება „ცის ნამად უნდა დაპკურებოდა დამჭკნარ ყვავილს“, რადგანაც ქართველებს ერთი საჯარო ადგილი მაინც ექნებოდათ“, სადაც ჩვენის ენით ვილხენთ, ჩვენის ენით ვინაღვლებთ, ჩვენის ენის მოწყალებით გავიტარებთ თვალწინ ჩვენს ცხოვრებასა მთელის მისის ჭკუისა და გულის მონაგართა“.[2]

---

[1] იხ. ი. გრიშაშვილი, ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი, ქართული თეატრის აღდგენის 100 წელი, თბ., 1953 წ., გვ. 44.

[2] ი. ჭავჭავაძე, თეატრის შესახებ, თბ., 1955 წ., გვ. 56.

1879 წელს მუდმივი დასის შექმნით ქართული თეატრის საქმე მკვიდრ საფუძველზე დადგა. თუ აქამდე, მთელი 24 წლის განმავლობაში, თეატრალურ წარმოდგენებს შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, ამიერიდან თეატრს პატრონი გამოუჩნდა. იმავე წლის 5 სექტემბერს სათეატრო დასმა, რომელშიც შედიოდნენ სცენის გამოჩენილი ოსტატები: ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი, კ. მესხი, ლ. მესხიშვილი და სხვ., პირველი ქართული წარმოდგენა (ბ. ჯორჯაძის — „რას ვეძებდი და რა ვპოვე") გამართა. ამის შემდეგ ქართულ სცენაზე წარმოდგენები უკვე აღარ შეწყვეტილა, მაგრამ „სცენის მოყვარეთა ამხანაგობის" დახმარება საკმარისი არ აღმოჩნდა სათეატრო დასის შესანახად, რამაც განაპირობა ოფიციალური საზოგადოების დაარსების საჭიროება.

1880 წლის 22 ივნისს კავკასიის ნამესტნიკმა დაამტკიცა ქართული დრამატული საზოგადოების წესდება, რომელსაც ხელს აწერდა 29 დამფუძნებელი წევრი; მათ შორის იყვნენ: დ. ყიფიანი, გრ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ივ. მაჩაბელი, რ. ერისთავი, ნ. ავალიშვილი, ანტ. ფურცელაძე და სხვ.[1]

წესდებაში აღნიშნული იყო: — „ქართული დრამატული საზოგადოება ფუძნდება ქ. ტფილისში იმისათვის, რომ დაეხმაროს დრამატიული ხელოვნების წარმატებას კავკასიის სანამესტნიკოში მცხოვრებთ ქართველთა შორის; ამასთანავე დაეხმაროს სამუდამო და შემთხვევითი ქართულ წარმოდგენების გამართვას კავკასიაში".[2]

წესდების მიხედვით საზოგადოებას უფლება ეძლეოდა შეეძინა და დაექირავებინა დარბაზი წარმოდგენების გასამართავად, მატერიალურად დახმარებოდა ხელმოკლე დრამატურგებსა და მსახიობებს; გამოეცა ქართულ ენაზე ორიგინალური და ნათარგმნი დრამატული თხზულებანი, დაეარსებინა გაზეთი ან ჟურნალი დრამატული ლიტერატურისა და კრიტიკისათვის, დაენიშნა პრემიები საუკეთესო ქართულ დრამატულ ნაწარმოებებზე, გაეხსნა თბილისში სათეატრო სკოლა და დროებითი კურსები მსახიობთა მოსამზადებლად.

---

[1] იხ. წესდებულება „ქართული დრამატიული საზოგადოებისა", ტფ., 1881 წ. იქვე, გვ. 3.

— „ერთი სიტყვით, — როგორც ილია წერს, — ახლადდაარსებულ საზოგადოებას ფართო მოედანი აქვს წინ გაშლილი და თუმცა ჯერ საშუალება იმდენი არა აქვს, რომ თავისი დანიშნულება რიგიანად შეასრულოს, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, ეხლა ისეთმა ნიავმა დაჰბერა ქართველ საზოგადოებას, რომ თუ ამ საქმის მოთავენი ენერგიულად და დაუზარებლივ მოიწადინებენ თავიანთ დანიშნულების შესრულებას, თანაგრძნობაც ბევრი იქნება“.[1]

1880 წელს ქართული დრამატული საზოგადოების პირველ თავმჯდომარედ ილია ჭავჭავაძე აირჩიეს, მის მოადგილედ — აკ. წერეთელი; გამგეობაში შევიდნენ: კ. ყიფიანი (მდივანი), გ. თუმანიშვილი (ხაზინადარი), რ. ერისთავი, მ. ყიფიანი და ნ. ქანანაშვილი.[2]

საზოგადოებას თავიდანვე მძიმე პირობებში მოუხდა საქმიანობის დაწყება. გამგე-კომიტეტს არ გააჩნდა სათანადო მატერიალური წყარო თეატრის ათასგვარ საჭიროების დასაკმაყოფილებლად. მართალია ილია ჭავჭავაძის მეცადინეობით თბილისის საადგილმამულო ბანკმა დრამატულ საზოგადოებას ყოველწლიური დახმარება ათასი მანეთი დაუნიშნა, მაგრამ ეს თანხა და სხვა შემთხვევითი შემოსავალი სრულებით არ აღმოჩნდა საკმარისი თეატრის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად. მიუხედავად ამისა, დრამატული საზოგადოება დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც ახერხებდა მსახიობთა დასის შენახვას რომ არ ჩაშლილიყო ქართული წარმოდგენების გამართვის საქმე.

1881 წლის ნოემბრის „შინაურ მიმოხილვაში“ („ჩვენი თეატრის გამო“) ილია გულისტკივილით წერდა: — „ამ ბოლო დროს უჩივიან თეატრში ცოტა ხალხი დადისო. ამის მიზეზს მოძებნა უნდა. მიზეზების მაძიებელთ დაუჟინიათ, ყველაფერში კომიტეტია დამნაშავეო“.

— იმას კი აღარ კითხულობენ... აქვს რამე ღონისძიება თეატრის კომიტეტსა, რომ ბლომად მირეკოს ხალხი თეატრში? ჩვენი თეატრის საქმე ჯუქამშია იმიტომ კი არა, რომ კომიტეტია რაღაც, არამედ იმიტომ, რომ თეატრმა ხანგრძლივი მოქმედებით უნდა შე-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. V, 1955წ., გვ. 409.
იხ. წესდებულება ქართული დრამატული საზოგადოებისა, ტფ., 1881 წ.

იჩვიოს ხალხი, აუცილებელ საჭიროებად უნდა შეექმნას ხალხს თეატრში დროს გატარება და გართობა. ამისათვის საჭიროა ჯერ ერთი ისა, რომ თეატრი მართლა თეატრი იყოს, საზოგადო ჭირისა და ლხინის თვალწინ წამომაყენებელი; ამისათვის საჭიროა რიგიანი რეპერტუარი. თეატრს ყველგან ინახავს კუჭმაძღარი მოქალაქეობა, რომელიც ჩვენში არამცთუ კუჭმაძღარია, არამედ ფეხაუდგმელიცა. სამწუხაროა ეს თუ სასიხარულო, არ ვიცით. ჩვენ მხოლოდ ეს მიზეზად დაგვინიშნავს; სხვა თუ რამ წვრილმანი ნაკლოვანება აქვს ჩვენს თეატრს, ეგ ყოველივე წარმავალია.

— „ჩვენი თეატრი, რაც უნდა იყოს, ჩვენის ეროვნების საჯარო ნიშანია, ეს ყველა ქართველს უნდა ახსოვდეს, თუ თავის ქვეყნის ბედზედ გულაცრუებული და გულაყრილი არ არის“[1].

ილია თეატრის დანიშნულებას, უპირველეს ყოვლისა, ერის გათვითცნობიერებაში ხედავდა, რადგანაც თეატრი მიაჩნდა იმ წმინდა ტაძრად, სადაც გამუდმებით უნდა გაღვივებულიყო ეროვნული გრძნობები.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ზემოთ ჩამოთვლილ თვითმოქმედ საზოგადოებათა გარდა არსებობდა აგრეთვე საქველმოქმედო და სპეციალური სასკოლო განათლების ხაზით მოქმედი საზოგადოებებიც, როგორიც იყო: „ტფილისის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება“ (დაარსდა 1860 წელს); „ქუთაისის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება“ (1866 წ.), „ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოება (1871 წ.), „ქუთაისის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოება“ (1878 წ.), „ტფილისის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოება“ (1886 წ.), „მასწავლებელ ქალთა ტფილისის საზოგადოება“ (1886წ.), „ტფილისის ბავშვებზე მზრუნველი საზოგადოება“ (1898 წ.), „ქუთაისის ბავშვებზე მზრუნველი საზოგადოება“ (1899 წ.) და სხვ.

ეს საზოგადოებები უფრო საქველმოქმედო ხასიათს ატარებდნენ. მაგალითად, „ქუთაისის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების“ მიზანს შეადგენდა მატერიალური დახმარების აღმოჩენა ქუთაისის

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 3, 1953წ., გვ. 87.

სასწავლებლებში მოსწავლე შეუძლებელ ბავშვებისათვის, მიუხედავად მათი წოდებისა და სარწმუნოებისა. საზოგადოების აქტიურ წევრთა შორის გამოირჩეოდნენ: ცნობილი საზოგადო მოღვაწე კირილე ლორთქიფანიძე, იმდროინდელი მოწინავე მანდილოსნები: ეკატერინე წულუკიძე, ანა მესხიშვილი, ეკატერინე ჩიქოვანი, ეკატერინე ნიკოლაძე (ნ. ნიკოლაძის და) და სხვები. როგორც დ. კლდიაშვილი გადმოგვცემს, საზოგადოებას მატერიალურად დიდ დახმარებას უწევდა პრინცი კ. ოლდენბურგელი, რომელიც იმ ხანებში ქუთაისში ცხოვრობდა და საზოგადოების საპატიო წევრად ითვლებოდა.[1]

„ღარიბ მოწაფეთა დამხმარე" საზოგადოებები არსებობდნენ ქუთაისის საშუალო ტიპის თითქმის ყველა სასწავლებელთან, მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა „ღარიბ ბავშვებზე მზრუნველი ქუთაისის საზოგადოება" (1892-1918 წწ.), რომლის თავმჯდომარე იყო ტატიანა ნაზარიშვილი, ცნობილი ექიმის, დიმიტრი ნაზარიშვილის მეუღლე. საზოგადოებასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ: აკ. წერეთელს, კ. ლორთქიფანიძეს, ნ. ნიკოლაძეს, გ. წერეთელს, გ. ზდანოვიჩს, კ. აბაშიძეს, დ. ბაქრაძეს, ალ. ჭიჭინაძეს და სხვ.

თუ როგორი იყო თვითმოქმედ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა სტრუქტურა, ამის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს მათი სამოქმედო წესდებები. ზოგიერთი გამოცემულია ცალკე ბროშურის სახით, ნაწილი დაბეჭდილია პრესაში. წესდების შედგენის პრინციპი ძირითადად ერთნაირია: განსაზღვრულია საზოგადოების მიზნები და მათი განხორციელების საშუალებანი, მოქმედების რაიონი, საწევრო გადასახადის რაოდენობა, წევრთა კლასიფიკაცია (დამფუძნებელი, საპატიო, ნამდვილი, დამხმარე), გამგეობის (კომიტეტის, საბჭოს) შემადგენლობა და მოვალეობა, სხდომათა პერიოდულობა და სხვა ორგანიზაციული საკითხები.

თვითმოქმედ საზოგადოებების მმართველობა დემოკრატიულ ხასიათს ატარებდა. მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა წევრთა საერთო კრება, რომელიც იყო ჩვეულებრივი ან საგანგებო. ჩვეულებრივს გამგეობა იწვევდა წელიწადში ერთხელ,

---

[1] დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი, 1984 წ., გვ. 178.

საგანგებოს — თავმჯდომარე განსაკუთრებულ შემთხვევაში. საერთო კრებას ევალებოდა წლიური ანგარიშების, გამგეობის მოხსენებებისა და წინადადებების, სავარაუდო ხარჯთაღრიცხვისა და სხვა საკითხების განხილვა-დამტკიცება. იგი ამტკიცებდა აგრეთვე ნამდვილ წევრებს, სარევიზიო კომისიას და გამგეობას ხმების უმრავლესობის საფუძველზე (ფარული კენჭისყრით).

გამგეობა (საბჭო, კომიტეტი) წარმოადგენდა აღმასრულებელ ორგანოს. მას ევალებოდა სისრულეში მოეყვანა საერთო კრების დადგენილებები, ეწარმოებინა ხარჯთაღრიცხვა, ეზრუნა საარსებო წყაროების მოპოვებაზე, ჩაეტარებინა სხვადასხვა სახის ღონისძიებანი საზოგადოების მიზნების შესაბამისად. გამგეობის თავმჯდომარე კონტროლს უწევდა წესდების შესრულებას, ხელმძღვანელობდა გამგეობის სხდომებს, აწარმოებდა საქმიან მიწერ-მოწერას სხვადასხვა დაწესებულებებთან და კერძო პირებთან.

ყოველი საზოგადოება იყოფოდა დამფუძნებელ, საპატიო, ნამდვილ და დამხმარე წევრებად; წევრად მიიღებოდა ყველა, განურჩევლად წოდებისა და სქესისა; დამფუძნებელ წევრად ითვლებოდა ის პირი, ვისაც ხელი ჰქონდა მოწერილი წესდებაზე მის დამტკიცებამდე. დამფუძნებელ წევრს საზოგადოების სასარგებლოდ ყოველწლიურად უნდა შეეტანა გარკვეული თანხა ნაწილობრივ, ან ერთდროულად (წესდების შესაბამისად). დამფუძნებელ წევრთა რიცხვი მუდმივი იყო — თუ ვინმე გამოაკლდებოდა, მის მაგიერს არჩევდნენ ნამდვილ წევრთა შორის, რომელსაც იგივე რაოდენობის თანხა უნდა შეეტანა საზოგადოების სალაროში.

საპატიო წევრებად ირჩევდნენ იმ პირებს, ვისაც თავისი პირადი დამსახურებით განსაკუთრებული წვლილი მიუძღვოდათ საზოგადოების წინაშე, ან საზოგადოებას ეხმარებოდნენ მატერიალურად. საპატიო წევრი შეიძლებოდა გამხდარიყო ნამდვილი წევრიც, თუ მას ხელმეორედ აირჩევდნენ საზოგადოების თავმჯდომარედ, ან მესამედ — გამგეობის წევრად.

ნამდვილი წევრი ყოველწლიურად იხდიდა საწევროს, ან ერთდროულ შესატანს. საწევრო თანხა სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვა რაოდენობის იყო. მაგალითად, წერა-კითხვის გამავრ-

ცელებელ საზოგადოებაში ნამდვილი წევრი იხდიდა 6 მანეთს, ან ერთდროულ შესატანს — 100 მანეთს (1907 წლამდე); ნამდვილ წევრს ირჩევდა საერთო კრება ორი დამფუძნებელი, ან ოთხი ნამდვილი წევრის რეკომენდაციის თანახმად; დამხმარე წევრად ითვლებოდა ის პირი, ვინც თავის უსასყიდლო პირადი შრომით დაეხმარებოდა საზოგადოებას.

ყოველი წლის გაზაფხულზე, როგორც წესი, იწვევდნენ წლიურ კრებებს გამგეობის ანგარიშის მოსასმენად საზოგადოების მდგომარეობისა და მისი მოქმედების შესახებ გასული წლის განმავლობაში. საქმიანობის გამჭვირვალობისა და საჯაროობის მიზნით, ყოველწლიური ანგარიშები იბეჭდებოდა ადგილობრივ პრესაში, ან ქვეყნდებოდა ცალკე ბროშურების სახით.

საზოგადოების ყველა წევრს უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო კრებებში: საპატიო და ნამდვილ წევრებს გადამწყვეტი ხმის, დამხმარეს — სათათბირო ხმის უფლებით. უფრო დიდი და პოპულარული ორგანიზაციები საჯარო სხდომებს მართავდნენ ფართო აუდიტორიებში (ზუბალაშვილების სახალხო სახლი, სახაზინო თეატრი, თავადაზნაურთა საკრებულო და სხვ.); ასეთ კრებებს ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრებიც.

საზოგადოების თავმჯდომარის თანამდებობას ხშირ შემთხვევაში იკავებდნენ ღვაწლმოსილი, საპატიო მოღვაწენი. მაგალითად, წერაკითხვის საზოგადოების თავმჯდომარეებად არჩეული იყვნენ: დ. ყიფიანი (1879-1882 წწ.), ილია ჭავჭავაძე (1885-1907 წწ.), გ. ყაზბეგი (1908-1918 წწ.); საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარედ — ექვთ. თაყაიშვილი (1907-1921 წწ.), ივ. ჯავახიშვილი (1924-1928 წწ.); საზოგადოება „განათლების“ — ან. თუმანიშვილი-წერეთლისა (1908-1928 წწ.), „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ — გ. ჟორდანია (1907-1928 წწ.) და სხვ.

საზოგადოების მატერიალურ წყაროს ძირითადად შეადგენდა საწევრო გადასახადი, ნაანდერძევი, კერძო შემოწირულობანი, შემოსავალი ჩატარებული ღონისძიებებიდან და სხვ.

თვითმოქმედ საზოგადოებებში უმთავრესად თავს იყრიდა ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია, რომელსაც გულწრფელად სურდა

ეროვნულად დაჩაგრული და ეკონომიკურად დაბეჩავებული ქართველი ხალხი წელში გასწორებულიყო და ჩამდგარიყო მოწინავე ერების რიგებში.

დემოკრატიული ინტელიგენციის გვერდით საზოგადოების წევრებად ითვლებოდნენ დიდგვაროვანი და დიდი სამხედრო ჩინის მქონე პირებიც. ამის შესახებ ს. მესხი „დროებაში" („ჩვენი საზოგადო საქმის მოთავენი") გულისტკივილით წერდა, რომ რა საზოგადო საქმეც არ უნდა დავიწყოთ ჩვენში, უეჭველად თავადიშვილი ან გენერალი უნდა დავაყენოთ მოთავედო. მას ეს დიდ შეცდომად მიაჩნდა. ს. მესხის აზრით, „საზოგადოების" მოთავედ ისეთი პიროვნება უნდა შეერჩიათ, ვისაც გული შესტკიოდა ეროვნულ საქმეებზე, ჰქონდა სათანადო განათლება, იყო ენერგიული და პატიოსანი. — „სანამ ამ დიდკაცობას, გვარიშვილობას და ჩინებს არ დავივიწყებთ საზოგადო საქმეებში, — წერდა იგი, — მანამ ამ საქმეების მაგრად ფეხზე დადგომას, წაღმართათ წაყვანას ჩვენ არ უნდა მოველოდეთ"-ო[1].

შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებათა დამფუძნებლები ამ გზით ცდილობდნენ მთავრობის ორგანოებში წესდების დამტკიცება გაეადვილებინათ და თანაც საზოგადოებები დაეცვათ ადგილობრივ მოხელეთა მხრივ დევნა-შევიწროებისაგან. გარდა ამისა, საზოგადოებათა მიზნების ცხოვრებაში რეალიზაციას ესაჭიროებოდა სათანადო მატერიალური სახსარი, რის საშუალებასაც დამფუძნებლებს აძლევდა მაღალი წრის წარმომადგენელთა ჩაბმა საზოგადოების საქმიანობაში.

გარდა ქართული თვითმოქმედი საზოგადოებებისა, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში არსებობდა კავკასიის მასშტაბით მოქმედი კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო საზოგადოებებიც; მათ შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ: „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება", „კავკასიის მკურნალთა საზოგადოება", „კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოება", „კავკასიის საისტორიო-საარქეოლოგიო

[1] ს. მესხი, თხზ., ტ. 3. 1964წ., გვ. 268.

საზოგადოება“, „კავკასიის ხელოვანთა წამქეზებელი საზოგადოება“, „კავკასიის სამუსიკო საზოგადოება“, „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“ და სხვ.

ამგვარი საზოგადოებების ჩამოყალიბება დაიწყო ვორონცოვის მმართველობის (1844-1854 წწ.) პერიოდში. კერძოდ, 1850 წელს დაარსდა „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო, საგეოგრაფიო, ქრისტიანობის აღმდგენელი“ საზოგადოებები, რომლებსაც მთავრობა აფინანსებდა. მათ სათავეში ედგნენ დიდი ჩინისა და თანამდებობის მქონე მეფის ერთგული მოხელენი; მაგალითად, „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების“ (1850-1918 წწ.) პირველი თავმჯდომარე იყო თვითონ მ. ვორონცოვი, მისი მოადგილე — ვ. ბებუთოვი; 1884 წელს საზოგადოებამ ქუთაისში გახსნა თავისი განყოფილება, რომლის პრეზიდენტად არჩეულ იქნა მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი; „კავკასიის მკურნალთა საზოგადოების“ (1864-1928 წწ.) მზრუნველად ითვლებოდა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე; „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას“ თავმჯდომარეობდნენ საქართველოს ეგზარქოსები, ხოლო მის გამგეობაში შედიოდნენ სასწავლო ოლქის მზრუნველი, სასულიერო სემინარიის რექტორი, არქიმანდრიტები და სხვ.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის მასშტაბით მოქმედ ზოგიერთ სამეცნიერო საზოგადოებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი მეცნიერებიც. მაგალითად, „კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოებაში“, რომლის დანიშნულებას შეადგენდა კავკასიის მხარის გეოგრაფიულ-გეოლოგიური კვლევა და მისი ფლორისა და ფაუნის მეცნიერული შესწავლა, მუშაობდნენ ისტორიკოსები: პ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, მ. ჯანაშვილი და სხვ. საზოგადოებასთან არსებულ კავკასიის მუზეუმის დაფუძნებაში (დაარსდა 1852 წელს) მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი მოღვაწეები: გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, გ. ერისთავი და რ. ერისთავი; „კავკასიის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში“ (დაარსდა 1873 წელს) თავმჯდომარის ამხანაგის თანამდებობაზე მუშაობდა დ. ბაქრაძე.

მართალია ზემოთ ჩამოთვლილმა საზოგადოებებმა ობიექტურად ხელი შეუწყვეს ქართული მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვი-

თარებას, მაგრამ ცარიზმის ადგილობრივი მოხელეების სუბიექ-ტური მიზნები სრულებითაც არ ითვალისწინებდა საქართველოს სამეცნიერო ინტერესებს; იგი გამომდინარეობდა საქართველოს ეკონომიკური და კულტურული ათვისების რუსიფიკატორული მიზნე-ბიდან და მათი განხორციელების ერთ-ერთ შენიღბულ საშუალებას წარმოადგენდა.

ხელისუფლების ამგვარ პოლიტიკურ მანევრს შესანიშნავად ეს-ადაგება გ. წერეთლის შემდეგი სიტყვები: — „ერთი ხელით მოგცე შენ სინათლე და მეორე ხელით განვაქარვო იგი სიბნელის უკუნით“[1].

ამგვარად, საქართველოში არსებული კავკასიის მასშტაბით მო-ქმედი კულტურული და სამეცნიერო საზოგადოებები თავიანთი დანიშ-ნულებით წარმოადგენდნენ რუსული დიდმპყრობელური სულისკვეთებით გაჟღენთილ დაწესებულებებს, რომლებიც თავისი დანიშნულებით აშკარად განსხვავდებოდნენ ქართული თვითმოქმედი ეროვნულ-კულ-ტურული და სამეცნიერო საზოგადოებებისაგან.

ქართული თვითმოქმედი საზოგადოებები მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში არ წარმოადგენდნენ მასიურ ორგანიზაციებს, დაბალი ფენები მათ მუშაობაში ნაკლებად იყვნენ ჩაბმულნი, ეს არც იყო გასაკვირი — ყოველგვარი ინტელექტუალური მოძრაობა ყოველთვის და ყველგან „ზემოდან“ იწყებოდა და შემდეგ ვრცელდებოდა „ქვე-და ფენებში“. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის ერთადერთ რე-ალურ ძალას ინტელიგენცია წარმოადგენდა, რომელსაც გააჩნდა სათანადო განათლება და საამისო მატერიალური სახსარი.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ნებაყოფლობით, თვითმოქმედ საზოგადოებებთან ურთიერთობა დაიწყო მე-19 საუკუ-ნის მეორე ნახევრიდან, რაც დაკავშირებული იყო იმპერიის შიგნით საზოგადოებრივი მოძრაობის გაფართოებასთან, რომელსაც უკვე ემჩნეოდა პოლიტიზაციის ნიშნები. ეს ხელისუფლებას აშინებდა და თვითმოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში სეპარატიზმის გაღვივე-ბის კერებს ხედავდა. ამაზე მიუთითებს 1892 წლის 23 მარტის

---

[1] ჟურნ. „კრებული“, 1872 წ., № 10.

შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულარი, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ კავკასიის მხარის გუბერნატორებს თვითმოქმედ საზოგადოებებზე კონტროლის დაწესების მიზნით. ცირკულარში აღნიშნულია შემდეგი:

— „Отчеты представлять в Министерство, по возможности одновременно по всем обществам губернии, с ближайшими соображениями Губернского Начальства относительно соответственности деятельности и существования каждого из означенных обществ и учреждений и независимо от сего, ныне же представить точные сведения о всех этих обществах и учреждениях".[1]

90-იან წლებში მთავრობა შეეცადა შეემუშავებინა სპეციალური „სანიმუშო წესდება" იმპერიაში მოქმედ ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო, საქველმოქმედო და სამეცნიერო საზოგადოებისათვის, მაგრამ, დაუსრულებელმა დისკუსიებმა და მიწერ-მოწერამ მაღალი ინსტანციის მოხელეთა შორის მისი დამტკიცება შეუძლებელი გახადა.

მთავრობა ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდა თვითმოქმედ საგანმანათლებლო საზოგადოებების საქმიანობას, რომლებიც მთელ რევოლუციამდელ პერიოდში ტრანსფორმაციას განიცდიდნენ და ცდილობდა კონტროლი გაეძლიერებინა მათზე. ამის გამო, ყოველი საზოგადოება ანგარიშვალდებული იყო მთავრობის წინაშე — წესდებიდან რაიმე გადახვევა საზოგადოებას დახურვას უქადდა; საზოგადოებათა ხელმძღვანელობას სისტემატურად უნდა წარედგინათ ანგარიშები თავიანთი მოღვაწეობის, წევრთა რაოდენობის, ბიუჯეტის, გამგეობის შემადგენლობის შესახებ, წინასწარ უნდა ეცნობებინათ დრო და ის თემები, რაზეც უნდა გამართულიყო სახალხო კითხვები, ლექცია-მოხსენებები თუ საჯარო სხდომები. კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე სახელმწიფოს ადმინისტრაციული კონტროლი უფრო გაძლიერდა რუსეთის პირველი რევოლუციის შემდგომ პერიოდში.

---

[1] ცსსა, ფონ. 17, საქ. 6337, ფ. 3.

თავი II

თვითმოქმედი საზოგადოებები მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში

ბრძოლა უმეცრების წინააღმდეგ

„უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლია. განათლება, სწავლა, ცოდნა — აი ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას“.

/ილია/

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის მთავარ ამოცანას მთელი იმპერიის მასშტაბით უმეცრებასთან ბრძოლა შეადგენდა. განათლების დონის მიხედვით რუსეთის იმპერია უკიდურესად ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოადგენდა, რაც ბატონყმური წყობილების პირდაპირი მემკვიდრეობა იყო. 60-იანი წლების ბოლოს პეტერბურგშიც კი ქალაქის მოსახლეობის 44% წერა-კითხვის უცოდინარი იყო. 1871 წლის აღწერით მოსკოვში წერა-კითხვა არ იცოდა მოსახლეობის 55%-მა, საგუბერნიო ქალაქებში — 60-70%-მა, სამაზრო ქალაქებში — 70-80%-მა, ხოლო სოფლებში წერა-კითხვის მცოდნე იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა.[1] 60-იან წლებში რუსეთში I მოსწავლე მოდიოდა 135 მცხოვრებზე, მაშინ, როცა პრუსიაში იყო 1:6, ინგლისში — 1:9, საფრანგეთში — 1:11, ავსტრიაში — 1:14. 1897 წლის აღწერის მიხედვით განათლების საშუალო დონე რუსეთში შეადგენდა 21,1%-ს.[2]

---

[1] ლ. გოდერიძე. რუსეთი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, თბ., 1999 წ., გვ. 276.

[2] История России XIX — начала XX вв. Учебник для вузов, М., 1998 г., стр. 661-665.

1861 წელს ბატონყმობის გაუქმებამ განაპირობა რეფორმების გატარების აუცილებლობა განათლების დარგშიც, რომელსაც სხვა ლიბერალურ რეფორმებთან ერთად (საერობო, სასამართლო და სხვ.) ხელი უნდა შეეწყო რუსეთის თვითმპყრობელური წყობილების მოდერნიზაციისათვის. ქვეყნის კაპიტალისტური ინდუსტრიალიზაცია და რეფორმები მოითხოვდა განათლებულ კადრებს და სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაციას. 1864 წელს გამოქვეყნდა „დებულება დაწყებითი სახალხო სკოლების შესახებ", რომელიც სკოლას აცხადებდა წოდებრიობის გარეშე; დაწყებითი სკოლების გახსნის უფლებას იღებდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები (ერობები, ქალაქის თვითმმართველობის ორგანოები), ქალებს შეეძლოთ მასწავლებლად ემუშავათ სკოლებში, ყველა სახის სასწავლელი დაექვემდებარა სახალხო განათლების სამინისტროს და სხვ.

კავკასიაში სახალხო განათლების რეფორმა გამოიხატა 1867 წლის დებულებაში „კავკასიისა და ამიერკავკასიის სასწავლო ნაწილის შესახებ", რომელიც გამოქვეყნდა 1864 წლის დებულების საფუძველზე. იგი ითვალისწინებდა ზოგიერთ ადგილობრივ თავისებურებებს, კერძოდ, ადგილობრივ სახალხო სკოლებში პირველი 2-3 წლის მანძილზე სწავლა მშობლიურ ენაზე წარმოებდა, ხოლო რუსული ენა, როგორც ერთ-ერთი ძირითადი სასწავლო საგანი, იწყებოდა მეორე წლიდან. ამგვარი „შეღავათებით" ქართულ სკოლებს დიდხანს არ უსარგებლიათ. 1871 წლის ახალი წესდება უკვე აღარ ითვალისწინებდა ეროვნულ თავისებურებებს და მთელ რუსეთის იმპერიაში ამკვიდრებდა საერთო სავალდებულო სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს.

60-იანი წლების რეფორმების შემდეგ სახალხო განათლების დარგში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები. როგორც წინა თავში იყო აღნიშნული, რუსეთში ერობებმა და „წერა-კითხვის გამავრცელებელმა კომიტეტებმა" დიდი როლი შეასრულეს სახალხო განათლების გავრცელებისა და მოწინავე პედაგოგიური პრინციპების დამკვიდრების საქმეში, რამაც დიდად შეუწყო ხელი უმეცრების წინააღმდეგ ბრძოლას. 1864-1874 წლებში რუსეთში 10 ათასამდე საერობო სკოლა გაიხსნა, თუმცა

მათი რიცხვი რამდენადმე შემცირდა 80-იანი წლების პოლიტიკური რეაქციის პერიოდში. 1914 წლისათვის რუსეთში უკვე 40 ათასზე მეტი საერობო სკოლა მოქმედებდა.[1] საერობო სკოლები სამინისტრო სკოლებისაგან გამოირჩეოდნენ სწავლების უკეთესი ხარისხითა და პედაგოგთა მაღალი პროფესიული დონით. საერობო სკოლის მოსწავლენი წერა-კითხვის, არითმეტიკისა და საღვთო სჯულის გარდა, ელემენტარულ განათლებას იღებდნენ ბუნებისმეტყველებაში, გეოგრაფიასა და ისტორიაში. ერობებს მთავრობა აფინანსებდა. მარტო 1895 წელს საერობო სკოლების დაფინანსებაზე დაიხარჯა ბიუჯეტის 15%. ცნობილი რუსი დემოკრატი და პუბლიცისტი ნ. შელგუნოვი 80-იან წლებში წერდა: „ახლანდელი სახალხო სკოლა მთელი შენობაა, რისთვისაც მოაზროვნე რუსეთი 20 წელი შრომობდა“-ო.[2]

საქართველოში ერობების არარსებობის პირობებში სახალხო განათლების განვითარების საქმეში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივა და საქმიანობა უმთავრესად ხორციელდებოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და ქალაქის თვითმმართველობის ხაზით. ქართველი ხალხის ტრადიციული ლტოლვა სწავლა-განათლებისაკენ სტიმულს აძლევდა წერა-კითხვის საზოგადოებას ფართოდ გაეშალა თავისი მოღვაწეობა ამ მიმართულებით, მაგრამ თვითმპყრობელური ხელისუფლების რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა საზოგადოებას ამ საქმეში.

ხალხში განათლების გავრცელებას ხელს უშლიდა თავადაზნაურული არისტოკრატიაც, რომელიც ჩამოშორდა ეროვნულ ასპარეზს და საოცარ გულგრილობას იჩენდა ეროვნული საქმისადმი. იგი ძველი ცხოვრების წესებს ეჭიდებოდა და ცდილობდა შეენარჩუნებინა უწინდელი საქართველოს ძველი ინსტიტუტები. ახალი თაობა უპირისპირდებოდა თავადაზნაურული არისტოკრატიის კონსერვატიზმს და კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობაში ორი-

---

[1] История России XIX – начала XX вв. Учебник для вузов, М., 1998 г., стр. 661-665.

[2] იქვე.

ენტაციას დასავლეთ ევროპაზე იღებდა. ი. გოგებაშვილი წერდა: „უწინდებული საქართველო ჩვენში ყველას მიაჩნია სამუდამოდ წარსულ დროდ, რომლის დაბრუნება ისევე შეუძლებელია, როგორც ჩავლილია წყლის უკუქცევა. ახალი საქართველო, რომელიც არის საგანი ჩვენი პატრიოტების მოქმედების და ნატვრისა, მიქცეულ უნდა იქნას არა უკან, აზიისაკენ, არამედ წინ, ევროპისაკენ. დასავლეთიდან უნდა სვას მან განათლება, მეცნიერება და გადმოიტანოს საუკეთესო საზოგადოებრივი წყობილებანი".[1]

თერგდალეულები ნათლად ხედავდნენ, რომ პირველ რიგში უმეცრება და ჩამორჩენილობა უშლიდა ხელს ქართველი ხალხის წინსვლას, ასუსტებდა ეროვნულ ძალებს და ქართველ ერს გადაგვარების საფრთხეს უქმნიდა. ილია ჭავჭავაძე უმეცრებას თვლიდა ქართველების ყველაზე საშიშ მტრად. მისი სიტყვით, უმეცრება იყო მთავარი სენი, რომელიც ქართველობას „ძვალ-რბილში გაგვჯდომია" და შეუბრალებლად „ჰღრღნიდა სიცოცხლეს".

— „ჩვენს ცხოვრებაში ისე ფეხს ვერ გადადგამთ, რომ უმეცრების კვალს ზედ არ წააწყდეთ, — წერდა ილია, — რომ უმეცრების მწარე ნაყოფმა თავის გემო არ გაგაღებინოთ".[2]

ქართველი თავადაზნაურული არისტოკრატია ამას ვერ ამჩნევდა, რომელიც, ი. გოგებაშვილის სიტყვით, ჭენებით მიისწრაფოდა უკან, უფსკრულისაკენ და უცხოელებზე ჰყიდდა თავის მდიდარ მამულებს, „მორწყულს ქართველი ერის სისხლითა და ოფლით"...[3]

ილია — ახალი თაობის მესვეური, პირველ რიგში უმეცრებას, როგორც ხალხის მტერს, დაუპირისპირდა. უმეცრების წინააღმდეგ ბრძოლაში ილია მთავარ როლს სკოლას ანიჭებდა. — „სკოლამ უნდა მოჰფინოს ხალხს განათლება, — წერდა იგი, — განათლებამ უნდა განფანტოს მისი გონებითი სიბნელე, განათლებამ უნდა მისცეს მას ძალა ცხოვრებაში საბრძოლველად".[4]

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში, ისე როგორც

---

[1] ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. 4, თბ., 1955 წ., გვ. 356.
ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, თბ., 1955 წ., გვ. 338.
[3] ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. 4, თბ., 1955 წ., გვ. 521.
[4] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, თბ., 1955 წ., გვ. 340.

ევროპასა და რუსეთში, კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა უმეცრებასთან ბრძოლაში, პირველ რიგში, დაწყებითი უფასო სახალხო სკოლებისა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნას ითვალისწინებდა. ღარიბი მოსახლეობისათვის სახალხო სკოლა წარმოადგენდა ერთადერთ საშუალებას სწავლა-განათლების მისაღებად. გარდა ამისა, სახალხო სკოლას სხვა დანიშნულებაც ჰქონდა — უმეტეს შემთხვევაში იგი იყო კულტურის ერთადერთი კერა იმდროინდელ სოფელში.

1861 წლის 19 თებერვლის სპეციალური დებულებით სოფლის მცხოვრებლებმა უფლება მიიღეს საკუთარ ხარჯზე გაეხსნათ დაწყებითი სკოლები, რომლებიც „საზოგადოებათა სკოლების" სახელით მოიხსენიებოდა. მათი გახსნა ხდებოდა მთავრობის ნებართვით. მიუხედავად სიდუხჭირისა, ქართველი გლეხობის დიდი სურვილი იყო, გაეფართოებინა დაწყებითი სკოლების ქსელი, მაგრამ, ხშირად მათ სურვილს წინ ეღობებოდნენ სასწავლო უწყების მოხელეები, რომლებიც უარს აცხადებდნენ სკოლების გახსნაზე იმ მოტივით, რომ არ ჰყოფნიდათ პედაგოგთა კადრი, განსაკუთრებით, ინსპექტორები. მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა სასკოლო ინსპექციების დაარსების შემდეგ, მაგრამ საზოგადოებათა სკოლების რიცხვი იმდენად მცირე იყო, რომ სრულებით ვერ აკმაყოფილებდა სწავლის მსურველებს. ამაზე მიუთითებს ნ. ნიკოლაძეც გაზეთ „დროებაში", რომელსაც 1873 წელს უმოგზაურია რაჭაში და დაინტერესებულა ამ საკითხით. იგი წერს, რომ ყოველი ათი ბავშვიდან ერთი სწავლობს და სკოლას ძალიან ხშირად ისიც მალე ტოვებსო.[1]

1870 წელს თბილისის გუბერნიაში არსებობდა საზოგადოებათა 27 სკოლა (1200 მოსწავლით), აქედან თბილისის მაზრაში იყო — 7, თელავის მაზრაში — 7, სიღნაღის მაზრაში — 9 და გორის მაზრაში — 4. ამ დროისათვის არც ერთი სკოლა არ იყო გახსნილი დუშეთის, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. ქუთაისის გუბერნიაში საზოგადოებათა სკოლების რიცხვი შეადგენდა 26-ს (2 ათასი მოსწავლით). აქედან ქუთაისის მაზრაში იყო 16 სკოლა,

[1] გაზ. „დროება", 1873 წ., № 10.

ოზურგეთის — 18, სენაკის — 11, ლეჩხუმის — 4, ზუგდიდის — 3, შორაპნის — 3 და რაჭის — 1.[1]

შემდეგ წლებში, განსაკუთრებით ქართველთა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების შემდეგ, საზოგადოებათა სკოლების რიცხვი შედარებით გაიზარდა,მაგრამ, საერთო ჯამში, იგი სრულებით არ იყო საკმარისი სოფლის მოსახლეობის უმეცრების დასაძლევად.

1897 წლის აღწერის მიხედვით საქართველოში ითვლებოდა 1.919.049 სული მცხოვრები.[2] გაზეთ „ივერიის" ცნობით, ამ დროისათვის საქართველოში ცხოვრობდა 1.336.397 სული ქართველი, მათ შორის წერა-კითხვის მცოდნე იყო 189.102 სული, ესე იგი, 14,2%.[3] ამრიგად, თუ დავუჯერებთ „ივერიას", მე-19 საუკუნის ბოლოს ქართველი მოსახლეობის 85,8% წერა-კითხვის უცოდინარი იყო.

ცარიზმის სუბიექტური მიზნების მიუხედავად, რეფორმისშემდგომ საქართველოში დაწყებითი სკოლების ქსელი საგრძნობლად გაფართოვდა. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ამ დროისათვის კაპიტალიზმის სწრაფი განვითარება რუსეთში იწვევდა ხელისუფლების ინტერესს განათლებისადმი. მთავრობა დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიბაძვით ერთგვარად ზრდიდა დაწყებითი სკოლების რიცხვს, რაზეც მიუთითებს შემდეგი სტატისტიკური მონაცემები: რეფორმამდელ პერიოდში, კერძოდ, 1801-1804 წლებში თბილისის გუბერნიაში მხოლოდ 4 დაწყებითი სკოლა იყო გახსნილი, ქუთაისის გუბერნიაში — არც ერთი. 1841-1845 წლებში ქუთაისის გუბერნიაში გაიხსნა ერთი დაწყებითი სკოლა. ათი წლის მანძილზე (1845-1855 წწ.) თბილისის გუბერნიაში გაიხსნა 2 სკოლა და ქუთაისის გუბერნიაში — 5. დაწყებითი სკოლების ქსელის ინტენსიური გაფართოება იწყება რეფორმისშემდგომი პერიოდიდან. თუ 1880 წლამდე თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში სულ არსებობდა 159 სკოლა, მარტო 1881-1885 წლებში თბილისის გუბერნიაში გაიხსნა 36 და ქუთაისის

---

[1] ვ. გაგუა, სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში, თბ., 1974 წ., გვ. 19.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1970, გვ. 766.

[3] გაზ. „ივერია", 1906 წ., № 12.

გუბერნიაში — 24 სკოლა, ხოლო 1896-1900 წლებში შესაბამისად — 77 და 79 სკოლა. ამგვარად, 1880-1900 წლებში დაარსებული სკოლების რაოდენობამ თითქმის ორჯერ გადააჭარბა 80 წლის მანძილზე დაარსებულ სკოლათა რიცხვს.[1]

თუ ზემოხსენებულ სტატისტიკურ მონაცემებს შევუდარებთ მე-19 საუკუნის ბოლოს ქართველი მოსახლეობის რაოდენობას, აშკარად ჩანს, რომ მთავრობის მიერ გახსნილი სკოლები მეტად მცირე იყო და ვერ აკმაყოფილებდა ხალხის ელემენტარულ მოთხოვნილებას განათლებისადმი. მაგალითად, 1890 წელს თბილისის გუბერნიაში 1 სკოლა მოდიოდა 5200 სულ ქართველ მცხოვრებზე, ქუთაისის გუბერნიაში — 6700 სულზე.[2] 1898 წელს მთელ საქართველოში სკოლის გარეთ დარჩენილი იყო 169650 ბავშვი.[3] შემდეგ წლებშიც, დაწყებითი სკოლების რაოდენობის ზრდის მიუხედავად, სასკოლო ასაკის ბავშვთა თითქმის 2/3 სკოლის გარეთ რჩებოდა. ამიტომ იყო, რომ წერა-კითხვის საზოგადოების მრავალფეროვან მოღვაწეობაში მთავარი ადგილი ეთმობოდა სახალხო განათლების საკითხებს. კერძოდ, დაწყებითი სკოლების გახსნას 1879 წლის წესდების მე-2 მუხლით საზოგადოებას უფლება ჰქონდა დახმარება გაეწია ღარიბი სახალხო სკოლებისათვის და თვითონაც გაეხსნა სკოლები თავის ხარჯით, გამოეცა სახელმძღვანელოები და სხვა წიგნები, გაემართა სახალხო კითხვა, შეედგინა სამწიგნობრო „ხალხისათვის საკითხავად", ჰქონოდა წიგნების საწყობები, უზრუნველეყო სკოლები გამოცდილი პედაგოგებით, გაემართა პედაგოგიური კურსები და მასწავლებელთა ყრილობები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მე-3 მუხლი, რომლის მიხედვით საზოგადოებას უფლება ეძლეოდა თავის სკოლებში სწავლა მშობლიურ ენაზე განეხორციელებინა,[4] რაც განასხვავებდა საზოგადოების სკოლებს სახაზინო სკოლებისაგან.

---

[1] ვ. გაგუა, დასახ. ნაშრ., გვ. 39.

[2] იქვე, გვ. 40.

[3] ჟურნ. „მოამბე", 1900 წ., № 3, II განყ., გვ. 60.

[4] იხ. წესდებულება „ტფილისის საზოგადოებისა, რომელმაც წიგნის ცოდნა უნდა გაახშიროს ქართველებ შუა, სადაც მოსახლეობენ კავკასიის სანამესტნიკოში", გაზ. „დროება", 1879 წ., № 101.

ქართველ განმანათლებლებს ეროვნული სკოლა მიაჩნდათ ერის აღმზრდელად. ილიას სიტყვით, ეროვნულ სკოლას უნდა მიეცა ხალხისთვის „საზრდოებელი სულისა და ხორცისა იმ პატარა საწყაოთი, რომელიც ზედ გამოჭრილია უმეტნაკლოდ ერის მოკლედ შემოხაზულ შინაურს ყოფა-ცხოვრებაზედ, მის სულიერ და ხორციელ მოთხოვნილებაზედ".[1] ამიტომაც, წერა-კითხვის საზოგადოება ცდილობდა წესდების მე-3 მუხლის საფუძველზე გაეხსნა ეროვნული სახალხო სკოლები, სადაც, სამინისტრო სკოლებისაგან განსხვავებით, მოზარდი თაობა ელემენტარულ განათლებას მიიღებდა მშობლიურ ენაზე.

— „არა სანუგეშო სურათს წარმოადგენენ ამ ჟამად ჩვენს სამშობლოში მყოფი შკოლები, — წერდა „ივერია", — რადგანაც არც ერთი მათგანი არ არის დაფუძნებული ნამდვილ პედაგოგიურ საფუძველზედ, ასე რომ, მათ შორის ვერც ერთს ვერ შეუძლიან გაბედვით უწოდოს თავის თავს „სახალხო შკოლა", იმ გვარი სახალხო შკოლა, რა გვარიც ძალიან კარგად არის ცნობილი დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში. აწინდელი შკოლები, მაგიურ ზნეობისა, სხეულის აღზრდისა და ჭკუა-გონების განხსნისა, სრულიად ახშობენ და აკერპებენ ჩვენს ნორჩ შვილებს".[2]

1879 წლის 20 ოქტომბერს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის სხდომაზე საზოგადოების თავმჯდომარემ დიმიტრი ყიფიანმა დააყენა საკითხი — საიდან დაეწყოთ მოქმედება, ჯერ გაეხსნათ ახალი სკოლები, რაც დიდ ხარჯებს მოითხოვდა, თუ დახმარება გაეწიათ „საზოგადოებათა სკოლებისათვის". გამგეობა ერთდროულად შეუდგა ორივე საკითხზე ზრუნვას. დაარსების პირველივე წელს საზოგადოებამ 565 მანეთის წიგნები და სასწავლო ნივთები დაუგზავნა ახალგორის, კონდოლის, ფშავის, ვანის, ბახვისა და სხვა სასოფლო სკოლებს. იმის გასარკვევად, თუ რომელ სკოლებს ესაჭიროებოდათ მეტი დახმარება, გამგეობამ თბილისისა და ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორებს სპეციალური კითხვარები

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწ. სრ. კრ., ტ. 4, 1955წ., გვ. 275.
[2] გაზ. „ივერია", 1878 წ., № 29.

დაუგზავნა, რომელიც ილიას მიერ იყო შედგენილი.[1] ამ კითხვარების მიხედვით გამგეობამ საყურადღებო ცნობები შეკრიბა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში არსებული სახალხო სკოლების რაოდენობისა და მათი მდგომარეობის შესახებ.

როგორც შეკრებილი ცნობებიდან ჩანდა, 1880 წლისათვის თბილისის გუბერნიაში იყო 29 დაწყებითი სამინისტრო სკოლა 1016 მოსწავლით, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში — 84 სკოლა 2607 მოსწავლით. სკოლების მასწავლებელთა პასუხების მიხედვით თითქმის ყველა სასოფლო სკოლა მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. სასკოლო შენობები და ავეჯი ვერ აკმაყოფილებდა არა თუ სასწავლო-აღმზრდელობით მხარეს, არამედ ელემენტარულ ჰიგიენურ მოთხოვნილებებსაც კი. მაგალითად, ვანის სასოფლო სკოლაში (ქუთაისის მაზრა) საკლასო ოთახს ორ აღლზე ნაკლები სიმაღლე ჰქონდა; ასეთივე მდგომარეობაში იყო სადმელის სკოლაც რაჭაში; ახუთის სკოლაში (ზუგდიდის მაზრა) მოსწავლეები სკამების უქონლობის გამო პირდაპირ მიწაზე და ქვებზე ისხდნენ; სხვავის სოფლის სკოლა ზედ ბოსელზე იყო გამართული.[2]

ილიას ინიციატივით, მაზრებში სკოლათა რაოდენობის გაზრდის მიზნით, ადგილობრივ ადმინისტრაციასთან მოსალაპარაკებლად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაიგზავნენ საზოგადოების რწმუნებულები (აგენტები): რაფიელ ერისთავი — სიღნაღისა და თელავის მაზრებში, პეტრე უმიკაშვილი — დუშეთის, იონა მეუნარგია — გურია-სამეგრელოს, ალექსანდრე ჭიჭინაძე — იმერეთისა და რაჭის, ალექსი მესხიშვილი — ახალციხისა და ახალქალაქის, კოტე აფხაზი — თბილისის მაზრაში. მათ მოლაპარაკება უნდა გაემართათ სოფლის მოსახლეობასთან ადგილობრივი ადმინისტრაციის თანდასწრებით და ხალხი შთაეგონებინათ ახალი სკოლების გახსნის საჭიროებაზე, მაგრამ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ახლოც არ მიუშვა საზოგადოების აგენტები სოფლის მოსახლეობასთან, რასაც მოწმობს წერაკითხვის საზოგადოების არქივში შემონახული რ. ერისთავისა და ი.

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 29, ფურ. 1-18.

[2] იქვე, ფურ. 5.

მეუნარგიას წერილები.[1] მაშინ გამგეობამ, ილიას ინიციატივით, შეიმუშავა „სანიმუშო განჩინება“, რომლის მიხედვით სოფელს თვითონ უნდა ეთხოვა საზოგადოებისათვის სკოლის გახსნა. სოფლის მოსახლეობას უნდა გამოეყო მიწა სკოლისათვის, აეშენებინა სასკოლო შენობა, ყოველწლიურად გაეღო 350 მანეთი სკოლისა და მასწავლებლის შესანახად, მიეტანა შეშა სკოლის გასათბობად. ეს თანხა უნდა ჩაეწერათ გადასახადთა ფურცლებში და შემდეგ, სოფლის თხოვნის საფუძველზე, იგი საზოგადოების განკარგულებაში გადავიდოდა. წერა-კითხვის საზოგადოება თავის მხრივ კისრულობდა: მოემარაგებინა სკოლა ავეჯით, სასწავლო ნივთებითა და სახელმძღვანელოებით, წიგნებით, გაეგზავნა მომზადებული მასწავლებელი და, საერთოდ, ხელმძღვანელობა გაეწია სასწავლო პროცესისათვის.

1879 წლის 18 დეკემბერს ი. გოგებაშვილმა გამგეობას წარუდგინა თავისი მოსაზრება თბილისში ქართული დაწყებითი სკოლის დაარსების შესახებ: — „მთელს თბილისში არცერთი სახალხო ქართული სკოლა არ არსებობს — გულისტკივილით აღნიშნავდა ი. გოგებაშვილი, — დაბალი სკოლები ბლომადაა გამართული, მაგრამ მათში ზოგი სომხურია, ზოგიც რუსული. ამის გამო მოზარდი ქართველობა ჩვენი დედაქალაქისა ან სრულიად მოკლებულია სწავლას, ან იძულებულია იაროს უცხო სკოლებში, სადაც გონებაც ეხშვება და ენაც უმახინჯდება. ეს გარემოება ძლიერ დაეხმარება ქართულ ელემენტის შესუსტებას ქალაქში, თუ მალე წამალი არ მივაშველეთ და არ გავხსენით სახალხო ქართული სკოლა ორივე სქესისათვის“.[2]

თბილისის სკოლა, ი. გოგებაშვილის ვარაუდით, თავდაპირველად 60 ბავშვისათვის უნდა გახსნილიყო ქალაქის ცენტრში, რომ სოფლის მასწავლებლებს საშუალება ჰქონოდათ აქ პრაქტიკულად გასცნობოდნენ სწავლების ახალ მეთოდებსა და ხერხებს. ამ მხრივ სკოლა სანიმუშო უნდა ყოფილიყო სოფლის სკოლებისათვის.

საზოგადოების თავმჯდომარე დ. ყიფიანი არ ყოფილა თანახმა თბილისის სკოლის გახსნაზე, რადგანაც, მისი აზრით, გამგეობას ჯერ დახმარება უნდა გაეწია არსებული სახალხო სკოლებისათვის

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 29, ფურ. 7-9.

[2] იქვე, საქ. 12, ფურ.1.

და შემდეგ შესდგომოდა სკოლის დაფუძნებას თბილისში. მიუხედავად ამისა, 1879 წლის 23 დეკემბერს, გამგეობის სხდომამ (დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ნ. ცხვედაძე, ი. გოგებაშვილი, რ. ერისთავი და ი. მაჩაბელი) გადაწყვიტა, რომ ი. გოგებაშვილის მოსაზრების თანახმად გაეხსნა თბილისში დაწყებითი სახალხო სკოლა.

1880 წლის 14 ოქტომბერს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა თბილისის სკოლა (მესანგრეთა ქუჩა, № 41). ზეიმს დაესწრნენ: გრ. ორბელიანი, კ. მამაცაშვილი, სასწავლო ოლქის ინსპექტორი და სხვა ოფიციალური პირები. სკოლა ორი განყოფილებისაგან შედგებოდა. გახსნისთანავე მიუღიათ 30 მოსწავლე (21 ვაჟი და 9 ქალი); მათ შორის გადასახადისაგან განთავისუფლდა 10 უღარიბესი მოსწავლე. მასწავლებლად მიიწვიეს დ. ღვინიაშვილი, თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული. სკოლაში ასწავლიდნენ: წერა-კითხვას, რუსულ ენას, საღვთო წერილს, ანგარიშს, სიმღერას და ჭრა-კერვას. სწავლის ფული შეადგენდა 1 მანეთს თვეში.

როგორც შემდგომ გაირკვა, თბილისის სკოლის შენახვა საზოგადოებას ყოველწლიურად 12 000 მანეთი უჯდებოდა, რასაც ვერ ფარავდა სკოლიდან შემოსული ფული (400 მანეთის ნაცვლად 1881 წელს სწავლის ფული მხოლოდ 119 მანეთი შემოვიდა). საზოგადოების შემოსავალმა ამ პერიოდში საგრძნობლად იკლო, რის გამოც თბილისის სკოლამ მხოლოდ ერთი წელი იარსება.

უსახსრობასთან ერთად, ახალი სკოლების გახსნაში წერა-კითხვის საზოგადოებას დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა სასწავლო ოლქის უწყება, რომელიც საზოგადოებისაგან კატეგორიულად მოითხოვდა სკოლებში სწავლება 1881 წლის ახალი სასწავლო გეგმის საფუძველზე წარემართა. გამგეობა ილიას თაოსნობით თავგამოდებით იცავდა თავის სასწავლო პროგრამას, რომლის მიხედვით საზოგადოების სკოლებში სწავლება ქართულ ენაზე წარმოებდა, ხოლო რუსული ენის სწავლა იწყებოდა მესამე წლიდან. გამგეობა ამას იმით ასაბუთებდა, რომ წერა-კითხვის საზოგადოების სკოლები კერძო ხასიათის იყო და არ ექვემდებარებოდა მთავრობის სასწავლო უწყებას. ამის თაობაზე ხშირად ხდებოდა ხანგრძლივი შეხლა-შემოხლა გამგეობასა და სასწავლო უწყებას შორის, მა-

გალითისათვის საინტერესოა სოფელ წინარეხის სკოლის ისტორია.

1879 წლის 28 ოქტომბერს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ სოფელ წინარეხის (გორის მაზრა) გლეხებისაგან მიიღო თხოვნა სკოლის გახსნის შესახებ. თხოვნას ხელს აწერდა 52 კაცი.[1] გამგეობამ მთავრობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა ნებართვის მისაღებად, რომელიც მეფისნაცვლის მოადგილემ დაამტკიცა 1881 წლის 4 სექტემბერს[2].

წინარეხის სკოლა საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 1882 წლის 1 იანვარს, მაგრამ სასწავლო ოლქის მზრუნველმა და სახალხო სკოლების დირექტორმა სკოლის სასწავლო პროგრამა არ დაამტკიცეს იმ მოტივით, რომ იგი არ ეთანხმებოდა 1881 წლის სასწავლო გეგმას და მოითხოვეს სკოლის დახურვა. გამგეობა ილიას თაოსნობით მტკიცედ იცავდა წესდების მე-3 მუხლით მინიჭებულ უფლებას. ამ მუხლის საფუძველზე 1882 წლის 2 ნოემბერს გამგეობამ წინარეხის სკოლის საკითხზე მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: „უმაღლეს მთავრობას გაეგზავნოს მიმართვა საზოგადოების მოქმედების გასამართლებლად; სკოლის დაკეტვაზე უარი ეთქვას, პასუხის შედგენა მიენდოს ი. ჭავჭავაძეს, გ. თუმანიშვილს, ნ. ცხვედაძეს და ი. გოგებაშვილს“.[3]

გამგეობის ამგვარმა გადაწყვეტილებამ არ დააკმაყოფილა სასწავლო უწყება და 1883 წელს წინარეხის სკოლა დახურა. ილიას მთელ გამგეობასთან ერთად დიდი ბრძოლა დასჭირდა სკოლის ხელახლა გასახსნელად, რაც მხოლოდ 1884 წლის იანვარში გახდა შესაძლებელი. ილია ასეთივე პრინციპულობით იბრძოდა სახალხო სკოლების გასახსნელად სოფელ თონეთში, ხელთუბანში, ბათუმში და სხვაგან, რაც, უმეტეს შემთხვევაში, წარმატებით გვირგვინდებოდა.

სამწუხაროდ, სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ ახერხებდა სასკოლო განათლების მიღებას და წერა-კითხვის უცოდ-

---

[1] ცსს, ფონ. 481, საქ. 13, ფურ. 6.
[2] იქვე, ფურ. 9.
[3] იქვე, ფურ. 15.

ინარი რჩებოდა. ამ მდგომარეობით შეწუხებული ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია სკოლისგარეშე განათლების გზით, საკვირაო და მოძრავი სკოლების საშუალებით ცდილობდა რამდენადმე მაინც შეემსუბუქებინა სოფლის მოსახლეობის მძიმე მდგომარეობა.

როგორც ცნობილია, 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანი წლების დასაწყისში, დემოკრატიული საზოგადოების ინიციატივით რუსეთში გავრცელდა სკოლისგარეშე განათლების ფორმები. ერთ-ერთ ასეთ ფორმას წარმოადგენდა საკვირაო სკოლა. 1859 წელს პირველი საკვირაო სკოლა გაიხსნა კიევში, შემდეგში საკვირაო სკოლები გამოჩნდა მოსკოვში, პეტერბურგში და ზოგიერთ სხვა ქალაქში, სადაც სწავლა იყო უფასო, მაგრამ სასწავლო პროგრამა გაცილებით უფრო ფართო, ვიდრე სახელმწიფო სკოლებში. რუსეთში საკვირაო სკოლების რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. ოფიციალური მონაცემებით, 1862 წელს 53 გუბერნიაში 300-ზე მეტი საკვირაო სკოლა ყოფილა გახსნილი, თუმცა იმავე წელს მთავრობამ საკვირაო სკოლების უმეტესობა დახურა. მათი გახსნა მხოლოდ ორი წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი, თუმცა სასწავლო პროგრამები მნიშვნელოვნად შემცირდა.

70-იან წლებში თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში საკვირაო სკოლები გახსნილი ჰქონდა „კავკასიის ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას". საქართველოში საკვირაო სკოლების ქსელის გაფართოებას თანაუგრძნობდნენ სახალხო განათლების ისეთი თვალსაჩინო მოღვაწენი, როგორიც იყვნენ: ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, ივ. როსტომაშვილი და სხვები.

1880 წელს ნ. ცხვედაძემ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წინაშე დააყენა საკითხი ხელოსნებისა და მათი შეგირდებისათვის თბილისში საკვირაო სკოლის გახსნის შესახებ[1]. 1881 წლის 15 ნოემბერს იგივე საკითხი დააყენა პეტრე უმიკაშვილმაც, რომელიც გამგეობას სთხოვდა რამდენიმე საკვირაო სკოლის გახსნას თბილისელი ხელოსნებისა და მოჯამაგირეებისათვის. პ. უმიკაშვილი იმედს გამოთქვამდა, რომ სკოლაში მასწავლებლობის მსურველი

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 34, ფურ.I.

ბევრი გამოჩნდებოდა ქალაქის პედაგოგთა და განათლებულ ახალგაზრდებს შორის, რომლებიც არ დაიზარებდნენ თავიანთ შრომას ამ კეთილი საქმისათვის. მისი აზრით, კარგი იქნებოდა, თუ გამგეობა ხელოსნებს შორის აგიტაციის გასაწევად მოიწვევდა უსტაბაშებს[1].

საკვირაო სკოლების გახსნაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლების პედაგოგები. 1884 წლის 5 იანვარს წერა-კითხვის საზოგადოებას განცხადებით მიმართეს თბილისის სათავადაზნაურო სკოლის პედაგოგებმა, რომლებიც გამგეობას სთხოვდნენ დახმარება გაეწიათ მათთვის ამ საქმეში. როგორც განცხადებიდან ჩანს, პედაგოგები აპირებდნენ სამგანყოფილებიანი საკვირაო სკოლის გახსნას. პირველ განყოფილებაში მიიღებდნენ წერა-კითხვის სრულიად უცოდინრებს, მეორეში — ნაკლებად მცოდნეებს და მესამეში — ვინც ქართული წერა-კითხვა იცოდა, მაგრამ სხვა საგნები არ ჰქონდა გავლილი. სკოლა უნდა გაეხსნათ თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის შენობაში. სკოლის ინსპექტორობას კისრულობდა მეორე კლასიკური გიმნაზიის პედაგოგი ივანე გამყრელიძე, ხოლო მასწავლებლობას — გ. აგლაძე, ს. ყიფიანი და რ. ჯაჯანაშვილი.[2]

იმავე წელს წერა-კითხვის საზოგადოების დახმარებით თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის შენობაში საკვირაო სკოლა მართლაც გაიხსნა, რომელიც წლების მანძილზე წარმატებით ეწეოდა დაკისრებულ მოვალეობას.

ქუთაისში პირველი საკვირაო სკოლა გაიხსნა 1892 წელს ქალაქის თვითმმართველობის ხაზით. ქალთა განყოფილება მოთავსებული იყო ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის შენობაში, ვაჟთა — ეფ. კლდიაშვილის სახლში. ამ სკოლაში ასწავლიდა 64 სხვადასხვა სკოლის პედაგოგი. სწავლა მიმდინარეობდა 11-დან 3 საათამდე, საღამოს ცვლაში — 6-დან 10-მდე. მოსწავლეები უფასოდ ღებულობდნენ სახელმძღვანელოებს, რაზედაც წელიწადში

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 53, ფურ. I.
[2] იგივე ფონდი, საქ. 34, ფურ. 2.

500-600 მანეთამდე იხარჯებოდა. ამ სკოლის შესახებ ცნობებს გვაწვდის გაზეთი „ივერია“. 1896 წელს აქ უსწავლია 187 მოსწავლეს (103 ვაჟი და 84 ქალი). მოსწავლეთა კონტინგენტის 50%-ს 10-დან 15 წლამდე ასაკის მოზარდები შეადგენდნენ; 30% იყო 15-დან 20 წლამდე ასაკისა, ხოლო 20% — 45 წლამდე ასაკის. სკოლაში ასწავლიდნენ ცნობილი პედაგოგები: მ. ვარდოსანიძე, მ. იოსელიანი, ნ. ღოღობერიძე, ა. კლდიაშვილი, მ. ყაუხჩიშვილი, ი. ოცხელი, პ. სურგულაძე, მ. ჩოგოვაძე, მ. ჯუღელი და სხვ.[1] გაზეთ „ცნობის ფურცლის“ მიხედვით, 1900 წლისათვის ამ სკოლაში უსწავლია 400 მოსწავლეს.[2]

საკვირაო სკოლა გახსნილი იყო ბათუმშიც. 1899 წლისათვის ბათუმის სკოლაში სწავლა კვირაში 4-ჯერ წარმოებდა. სკოლაში უმთავრესად მუშათა წრიდან გამოსული მოზარდები სწავლობდნენ. პირველად ამ სკოლაში აღიძრა საკითხი ბათუმში იაფფასიანი სახალხო წარმოდგენების გამართვის შესახებ. ეს საქმე იკისრეს დებმა ქეთევან და ანა სოღორაშვილებმა. მათი თაოსნობით 1899 წლის 20 ივნისს გაიმართა პირველი იაფფასიანი წარმოდგენა „არსენა“ (ალ. ყაზბეგის დრამა) და ვალ. გუნიას ვოდევილი „მონადირე“. როგორც ჟურნალი „კვალი“ იტყობინება, თეატრი სავსე იყო ხელოსნებითა და მუშებით.[3]

80-90-იან წლებში უმეცრებასთან ბრძოლაში ქართველი საზოგადოება დაინტერესდა მოძრავი სკოლებითაც. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი ჯერ ერთ სოფელში მუშაობდა გარკვეული პერიოდის მანძილზე, შემდეგ მეორე და მესამე სოფელში გადადიოდა და იქაც ამდენივე დროს უთმობდა სწავლების პროცესს, შემდეგ ისევ ბრუნდებოდა პირველ სოფელში და ა.შ. დანარჩენ ორ სოფლის სკოლაში მასწავლებლის არყოფნის დროს მოსწავლეები ასრულებდნენ დამოუკიდებელ სამუშაოს, რომელსაც აკონტროლებდა მასწავლებლის მიერ გამოყოფილი პირი, ხშირ შემთხვევაში, სოფლის მამასახლისი ან სხვა რომელიმე მოხელე.

---

[1] „ივერია“, 1896 წ., № 69.
[2] „ცნობის ფურცელი“, 1900 წ., № 1325.
[3] „კვალი“, 1899 წ., № 26.

1881 წელს პედაგოგი რ. ჯაჯანაშვილი გაზეთ „დროებაში“ მოძრავი სკოლების შესახებ წერს: „... იქნებ ამ სკოლების გახსნის სურვილი გავრცელდეს ჩვენს საზოგადოებაში, იქნება ეს იდეა შეესაბამოს ჩვენ ცხოვრებას და ამგვარი სკოლების დამართვამ ჩვენში ცოტათ არის წინ წასწიოს სწავლა-განათლების საქმე; იქნებ ეს სკოლები ჩვენში შეიქმნენ გამავრცელებელი ცოდნისა და მით ამოგვიყვანონ იმ ღრმა უფსკრულიდან, რომელშიც ეხლა ჩვენ ვართ ჩაცვინულნი“-ო.[1]

1890 წლის 21 ნოემბერს წერა-კითხვის საზოგადოების წლიურ კრებაზე დაისვა საკითხი მოძრავი სკოლების შესახებ. როგორც გამგეობის ანგარიშიდან ჩანს, იმ პერიოდში დაწყებითი სკოლების გამართვის საქმე, სხვადასხვა მიზეზების გამო, დაბრკოლებას განიცდიდა. ამიტომ კრებაზე გამოითქვა აზრი, რომ გამგეობას ჯერ საფუძვლიანად შეესწავლა მოძრავი სკოლების საკითხი — რამდენად სასარგებლო იქნებოდა ასეთი ტიპის სკოლები საზოგადოებისათვის და თავისი მოსაზრება მომავალი წლიური კრებისთვის ეცნობებინა.[2]

1893 წლის 11 დეკემბერს ვაჟა-ფშაველამ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას წარუდგინა მოხსენება ფშავში მოძრავი სკოლების გახსნის შესახებ. ვაჟა-ფშაველა დამაჯერებლად ასაბუთებდა მთიან ადგილებში, კერძოდ, ფშავში, სასოფლო სკოლების უვარგისობას: — „თუ პირუთვნელად ვიტყვით, ჩვენი ეხლანდელი სკოლები, არ ვიტყვი წერა-კითხვის, ანა-ბანის მეტს არაფერს ასწავლიან; დანარჩენი კანტი-კუნტად მიღებული ცოდნა მალე ქრება, რაკი სკოლას თავს ანებებენ მოსწავლენი და შეებმიან ცხოვრების უღელში“. მისი სიტყვით, ასეთი სკოლების რიცხვიც კი ფრიად მცირე იყო — ას სოფელზე მოდიოდა ერთი სკოლა; ვაჟას ეს დიდად აწუხებდა და გულისტკივილით წერდა: — „რა ქნან მთის მცხოვრებთა, რომელნიც დაქსაქსულად ცხოვრობენ. როგორ გზავნონ თავიანთი შვილები ოცისა და ოცდაათის ვერსის მანძილზე!“.[3]

---

[1] გაზ. „დროება“, 1881 წ., № 256.

[2] ცსსა, ფონდ. 481, საქ. 238, ფურ. 4.

[3] იგივე ფონდი, საქ. 372, ფურ. 38.

ვაჟა-ფშაველას აზრით, ფშავში ერთი მოძრავი სკოლის გამართვა, თუ ხეირიანი მასწავლებელი ეყოლებოდათ, ექვსი სკოლის მაგივრობას გასწევდა: მასწავლებელი ამოირჩევდა რვა დიდ სოფელს, რომლებსაც გარშემო პატარ-პატარა სოფლები ეკვროდა; თითო სოფელში მასწავლებელს სამოცზე ნაკლები ქალი და ვაჟი არ ეყოლებოდა, რომლებსაც ასწავლიდა ერთი წლის მანძილზე. წლის თავზე კარგ მასწავლებელს უკვე ეყოლებოდა 400-ზე მეტი წერა-კითხვის მცოდნე მოსწავლე. — „სხვა რომელი სკოლა შესძლებს ამას ერთი მასწავლებლის მეოხებით?" — კითხულობდა ვაჟა.[1]

მიუხედავად იმისა, რომ მოძრავი სკოლების შესახებ ფართო დისკუსია გაიმართა იმდროინდელ ქართულ პრესაში და ეს საკითხი თვით წერა-კითხვის საზოგადოების წლიური კრების მსჯელობის საგნადაც იქცა, გამგეობას არც ერთი პრაქტიკული ნაბიჯი არ გადაუდგამს ამ მიმართულებით არც მაშინ და არც შემდგომ წლებში, რადგანაც ასეთი ტიპის სკოლებს საზოგადოებისათვის უსარგებლოდ თვლიდა. მოძრავი სკოლები უმთავრესად იხსნებოდა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სახალხო სკოლების დირექციების ხაზით.

უმეცრებასთან ბრძოლას და ხალხის თვითგანვითარების დონის ამაღლებას ხელს უწყობდა იაფფასიანი სახალხო ბიბლიოთეკებიც. მათი საშუალებით მოსახლეობის ფართო წრეებში მიმდინარეობდა წიგნის ცოდნის პროპაგანდა. ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა ითვალისწინებდა არ დაეშვა ადგილობრივ მოსახლეობაში დედაენაზე წიგნის გავრცელება და ამ გზით მათი გათვითცნობიერება. 1890 წლის 15 მაისის წესდების მიხედვით სახალხო სამკითხველოებში ნებადართული იყო მხოლოდ სახალხო სამინისტროს მიერ დაშვებული წიგნები, მათზე ზედამხედველობა შინაგან საქმეთა სამინისტროს ევალებოდა, ხოლო ბიბლიოთეკის პასუხისმგებელ პირს გუბერნატორი ამტკიცებდა. იგი ვალდებული იყო საცენზურო კომიტეტში წინასწარ წარედგინა სია იმ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებისა, რომლის ბაზაზეც იხსნებოდა ბიბლიოთეკა.

სასკოლო ბიბლიოთეკები ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის წიგნზე მოთხოვნილებას, ხოლო სახაზინო და კერძო ბიბლიოთეკები დაბალი

---

[1] ცსსა, ფონდ. 481, საქ. 372, ფურ. 38.

ფენებისათვის ხელმიუწვდომელი იყო. გარდა ამისა, ბიბლიოთეკების ფონდი უმთავრესად რუსულენოვანი წიგნებისაგან შედგებოდა, რომელიც ხალხისათვის გაუგებარი იყო. ქართულ წიგნებს თბილისში მხოლოდ ივანოვის და ქუთაისში — ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკებში თუ შეხვდებოდით, ისიც, მცირე რაოდენობით.

1892 წლის 15 თებერვალს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრმა ანასტასია თუმანიშვილმა გამგეობაში დააყენა საკითხი თბილისში სახალხო ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ. მისი წინადადების საფუძველზე შედგა კომისია (ი. გოგებაშვილი, ან. თუმანიშვილი, გ. იოსელიანი), რომელსაც დაევალა, გამოეთქვა თავისი აზრი სახალხო ბიბლიოთეკის გამართვაზე და გამოენახა საამისო სახსარი.[1]

კომისიის აზრით, სახალხო ბიბლიოთეკების გახსნა საჭირო იყო არა მხოლოდ თბილისში, არამედ საქართველოს ყველა მჭიდროდ დასახლებულ დაბასა და სოფელში, სადაც თავს მოიყრიდა ქართულენოვანი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები. ამ საქმეში დახმარება უნდა ეთხოვათ თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკებისათვის.[2]

1892 წლის 20 მაისს წერა-კითხვის საზოგადოებამ აღძრა შუამდგომლობა გუბერნატორის წინაშე თბილისში სახალხო ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ. 31 მაისს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე ქარვასლაში გაიხსნა პირველი სახალხო ბიბლიოთეკა, რომელსაც მზრუნველობდა თბილისის ქალთა წრე ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის ხელმძღვანელობით. 1895 წლიდან ბიბლიოთეკაზე მეთვალყურეობა დაევალა წერა-კითხვის საზოგადოების მდივანს დ. კარიჭაშვილს. 1899 წელს გამგეობამ ბიბლიოთეკა საზოგადოების კანცელარიისა და წიგნსაცავის გვერდით გადაიტანა. თავდაპირველად ბიბლიოთეკაში ქალთა წრის მიერ შეგროვილი 124 ცალი წიგნი და რამდენიმე ჟურნალ-გაზეთი მოიპოვებოდა, მაგრამ რვა თვის მანძილზე წიგნადი ფონდი 1300-მდე გაიზარდა. 1896 წელს იგი მოიცავდა 1500

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 198, ფურ. 179.

[2] იქვე.

ერთეულს, 1902 წელს – 2600. მარტო ამ წელს ბიბლიოთეკიდან ხელზე გაუციათ 2.189 წიგნი, ხოლო სამკითხველო დარბაზით უსარგებლია 3.422 მკითხველს. ბიბლიოთეკის ხელისმომწერთა შორის, ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა გვერდით, მოხსენებულია მუშა-რევოლუციონერებისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენლებიც (ნ. თოდუა, ალ. ჯაფარიძე, ს. ჯუღაშვილი და სხვ).[1]

1894 წლის 4 დეკემბერს ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის ინიციატივით თბილისში, კუკიაზე, გაიხსნა მეორე იაფფასიანი სახალხო ბიბლიოთეკა, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია ადგილობრივ მოსახლეობას თვითგანვითარების საქმეში.

1896 წლის 29 დეკემბერს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ქუთაისში გახსნა იმერეთის ეპისკოპოსის – გაბრიელის სახელობის სახალხო ბიბლიოთეკა, რომელიც მალე მოსახლეობის დაბალი ფენებისათვის თვითგანათლების ცენტრად იქცა. გაზეთ „ცნობის ფურცლის“ მიხედვით, აქ თითქმის ყოველდღე 60-მდე მკითხველი მოდიოდა, ხოლო წლის განმავლობაში წიგნებით სარგებლობდა 300-ზე მეტი მკითხველი. 1900 წლისათვის გაბრიელის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 1395 ქართულ და 885 რუსულ წიგნს მოიცავდა. ბიბლიოთეკას გამოწერილი ჰქონდა 13 დასახელების ქართულ-რუსული ჟურნალ-გაზეთი.[2]

გაბრიელის ბიბლიოთეკას დახმარებას უწევდნენ ქუთაისელ ქალთა წრისა და ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები. სხვადასხვა დროს ბიბლიოთეკისათვის წიგნებით დახმარება აღმოუჩენიათ: აკ. წერეთელს, ნ. ღოღობერიძეს, ეკ. გაბაშვილს, დ. კლდიაშვილს, ს. ხუნდაძეს, გ. მაიაშვილ-ზდანოვიჩს და სხვებს.

1903-1904 წლებში ბიბლიოთეკის წიგნადმა ფონდმა 5 ათასამდე მიაღწია. ამ პერიოდში ხელზე გაუციათ 15.260 წიგნი, ხოლო სამკითხველო დარბაზით უსარგებლია 18.408 მკითხველს.[3]

---

[1] თ. ჩხიტუნიძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო და საგამომცემლო მოღვაწეობა, თბ., 1980 წ., გვ. 71-72.

[2] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900 წ., № 1325.

[3] თ. ჩიხუნიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 103.

1897 წლის 1 ივლისს იაფფასიანი სახალხო ბიბლიოთეკა გაიხსნა სოფელ უდეში (ახალციხის მაზრა). ბიბლიოთეკის გახსნას ხელი შეუწყო ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოებამ, რომელსაც ქალაქის ძველ უბანში გახსნილი ჰქონდა ქალთა სკოლა და ბიბლიოთეკა-სამკითხველო. უდეს ბიბლიოთეკა წიგნადი ფონდის ნაკლებობას განიცდიდა, რის გამოც ბიბლიოთეკის სამზრუნველო კომიტეტის წევრები ხშირად მიმართავდნენ კოლექტიური კითხვის წესს, განსაკუთრებით წერა-კითხვის უცოდინრებთან. რადგანაც მკითხველთა უმრავლესობა გლეხებისაგან შედგებოდა, მსმენელთა რიცხვი განსაკუთრებით ზამთარში იზრდებოდა (დღეში 30-40 კაცი). როგორც ბიბლიოთეკის ანგარიშიდან ჩანს, კომიტეტის წევრები მათ უკითხავდნენ ისტორიულ და მხატვრულ ლიტერატურას, აცნობდნენ პრესას და სამეურნეო ხასიათის წიგნებს.[1] რევოლუციის პერიოდში წერა-კითხვის საზოგადოება უდის ბიბლიოთეკას დახმარებას ველარ უწევდა. 1906 წელს იგი დროებით დაიხურა.

1900 წლის 5 დეკემბერს მარიამ დემურიამ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას წარუდგინა თხოვნა თბილისში, ნაძალადევის რაიონში („ნახალოვკა") იაფფასიანი სახალხო ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ. მ. დემურია წერდა: — „რადგანაც „ნახალოვკაში" დიდი მოთხოვნილება არის ბიბლიოთეკისა, გთხოვთ, იკისროთ და გახსნათ იქ ბიბლიოთეკა წერა-კითხვის საზოგადოების სახელზედ. ექვსას კომლზედ მეტი გადმოსახლებული სხვადასხვა სოფლიდან ქართველნი ცხოვრობენ, მაგის გარდა, დიდი მუშა ხალხია რაჭველი, მეგრელი, გურული და სხვ. სცხოვრობენ იმ ალაგას, სადაც ოთახი მაქვს დაქირავებული. ერთი ოთახი ოთხ მანეთად არის და ორიც ერთ თუმნად, ზედ მოედანზედ, ორივენი შუაგულში. ბიბლიოთეკარიც 12 მანეთად მყავს ნაშოვნი. თუ შესაძლებელია და წერა-კითხვის საზოგადოებას ღონისძიება მოეპოვება, გთხოვთ დააჩქაროს ეს საქმე. გამგეობას მე ვკისრულობ ჩემს თავზედ"-ო.[2]

1901 წლის 24 ივნისს ნაძალადევის რაიონში გაიხსნა მესამე

---

[1] ცსსა, ფონდ. 481, საქ. 595, ფურ. II.

[2] იგივე ფონდი, საქ. 713, ფურ. I.

იაფფასიანი სახალხო ბიბლიოთეკა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მუშათა შორის რევოლუციური იდეების პროპაგანდის საქმეში. თბილისის გუბერნატორი და ჟანდარმერია არაერთხელ შეეცადა ჯერ ბიბლიოთეკის დახურვას, შემდეგ – ბიბლიოთეკიდან ქართული წიგნებისა და პეროიდიკის ამოღებას, მაგრამ ვერც ერთხელ ამ ნაბიჯების გადადგმა ვერ გარისკა იმის გამო, რომ ბიბლიოთეკას წერა-კითხვის საზოგადოება მფარველობდა.

სახალხო ბიბლიოთეკებთან დაკავშირებით წერა-კითხვის საზოგადოების მდივანი სამსონ ფირცხალავა გადმოგვცემს: „წიგნი ცოტა იყო საზოგადოების სამკითხველოებში, მაგრამ ბიბლიოთეკების ინსპექტორს ესეც შეშურდა და მოგვთხოვა, თქვენს ბიბლიოთეკებში მხოლოდ ისეთი წიგნები უნდა იყოს, რომლებიც ნებადართულია რუსეთის სახალხო ბიბლიოთეკებისათვისო. ამ ნებადართულ კატალოგში არც ერთი ქართული წიგნი არ იყო შეტანილი და გამოდიოდა, რომ ჩვენი სამკითხველოები სრულიად უნდა დაგვეკეტა. ამის გამო მე წერილი მოვათავსე რუსულ გაზეთში. სხვა ნაბიჯებიც გადავდგით და ინსპექტორს უკან წავაღებინეთ მისი მოთხოვნა“.[1]

მთავრობა ხშირად ცდილობდა იაფფასიანი სამკითხველოები უფასო სამკითხველოებად გადაეკეთებინა, რადგანაც უფასო სამკითხველოებისთვის ოფიციალურად დამტკიცებულ კატალოგში არც ერთი ქართული წიგნი არ მოიხსენიებოდა. ადგილობრივი ხელისუფლების შეშფოთებას უფრო ის ფაქტი იწვევდა, რომ სახალხო სამკითხველოები ხშირ შემთხვევაში სოფლის ინტელიგენციის თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა, სადაც მიმდინარეობდა მსჯელობა ათასგვარ საჭირბოროტო საკითხზე. ეს ხელისუფლებას არ აწყობდა; გარდა ამისა, ბიბლიოთეკებიდან ვრცელდებოდა აკრძალული წიგნებიც. ამის გამო რევოლუციის პერიოდში ოზურგეთის მაზრაში მთავრობამ თითქმის ყველა იაფფასიანი სამკითხველო „დროებით“ დახურა.

1892-1907 წლებში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სასკოლო ბიბლიოთეკების გარდა გახსნილი ჰქონდა შემდეგი ბიბლიოთეკა-სამკითხველოები: თბილისის I-ლი სახალხო ბიბ-

[1] ს. ფირცხალავა, მოგონებათა ფურცლები, თბ., 1988 წ., გვ. 42.

ლიოთეკა (1892 წ.), თბილისის მე-2 სახალხო (ვერის) ბიბლიოთეკა (1894 წ.), ახალციხის (1895 წ.), ქუთაისის (1896 წ.), უდის (1897 წ.), დიდი ჯიხაიშის (1898 წ.), ხონის (1900 წ.), ნაძალადევის (1901 წ.), გეზათის (1906 წ.) და სხვ. რევოლუციის პერიოდში დაქვეითება დაეტყო საბიბლიოთეკო საქმიანობას: უსახსრობის გამო ზოგიერთი ბიბლიოთეკა-სამკითხველო დაიხურა, შემცირდა მკითხველთა რაოდენობა, შემოწირულობა, წიგნადი ფონდი და სხვ. მაგალითად, ვერის ბიბლიოთეკა 1905 წელს უსახსრობის გამო დაიხურა და 1909 წლამდე არ გახსნილა; ყვირილისა და ხარაგაულის ბიბლიოთეკები დაიწვა ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ექსპედიციების დროს; დაიხურა ქუთაისისა და დიდი ჯიხაიშის ბიბლიოთეკები და სხვ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოების კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა უფრო გაცხოველდა მას შემდეგ, რაც გაიხსნა წერა-კითხვის საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებები და გამგეობა დაიყო სექციებად. ამიერიდან საბიბლიოთეკო საქმიანობა სასკოლო სექციის კომპეტენციაში შეეიდა; შემდეგში საბიბლიოთეკო სექცია ცალკე ჩამოყალიბდა.

უმეცრებასთან ბრძოლაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხისათვის გასაგებ ენაზე დაწერილ პატარა იაფფასიან წიგნების გამოცემა-გავრცელებას. 70-80-იან წლებში წიგნების გამომცემლობას ეწეოდნენ კერძო მესტამბენი. მაგალითად, იმერეთში ქართული წიგნების ბეჭდვა პირველად დაიწყეს კოწია თავართქილაძემ, მიტროფანე ლაღიძემ, ფოთში — ლეო ტუღუშმა. კერძო პირების მიერ გამოცემული წიგნები ვერ აკმაყოფილებდა მწიგნობრობის მცოდნეთა სულიერ მოთხოვნილებას. ამ გარემოებას თავიდანვე ყურადღება მიაქცია წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ და შეუდგა სახელმძღვანელოებისა და წიგნების გამოცემაზე ზრუნვას. 1879 წლის 18 დეკემბერს საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა: — „არა გვაქვს სასკოლო პედაგოგიური გრამატიკა, ელემენტარული გეოგრაფია, მოთხრობანი საქართველოს ცხოვრებიდან, არითმეტიკა და სახელმძღვანელო წიგნი მასწავლე-

ბელთათვის".[1] ი. გოგებაშვილი წინადადებას იძლეოდა, ქართული სახელმძღვანელოების გამოცემის დასაჩქარებლად გამგეობას დაენიშნა წამახალისებელი ფულადი პრემიები.

იმავე წლის 23 დეკემბერს, ი. გოგებაშვილის წინადადების თანახმად, გამგეობამ აირჩია წიგნების გამომცემელი კომისია ი. მაჩაბლის, გ. უთურგაურის, ი. გოგებაშვილის და კ. ყიფიანის შემადგენლობით. კომისიას დაევალა სათანადო დარგის სპეციალისტების მოწვევა და მათი მონაწილეობით ქართული სახელმძღვანელო წიგნების განხილვა. კომისიის მიერ შერჩეული სახელმძღვანელოები ენის მხრივ უნდა გაესინჯათ დ. ყიფიანს, ი. ჭავჭავაძესა და რ. ერისთავს.

1888-1899 წლებში წერა-კითხვის საზოგადოებამ გამოსცა მხოლოდ 48 დასახელების წიგნი, მათ შორის 18 გამოცემა იყო ი. გოგებაშვილის „დედა ენა", „ბუნების კარი" და „რუსკოე სლოვო", რაც საზოგადოებას მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა. ამ პერიოდში გამოიცა აგრეთვე ექვთ. თაყაიშვილის „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა", ნ. ურბნელის „გიორგი ბრწყინვალე", ვაჟა-ფშაველას პოემები, მოთხრობები და ლექსები, კრილოვის არაკები, „დონ-კიხოტი", „რობინზონ კრუზო" და სხვ.

1888 წელს წერა-კითხვის საზოგადოებამ გახსნა წიგნის მაღაზია, რომელსაც ორგვარი დანიშნულება ჰქონდა: წიგნების გამოცემა და მათი რეალიზაცია. საზოგადოების გამოცემათა გარდა, აქ იყიდებოდა საკომისიო წესით მიღებული წიგნებიც. წიგნის მაღაზია საზოგადოებას დიდ შემოსავალს აძლევდა მისი არსებობის მთელ მანძილზე.

1886 წლის 25 მარტს წერა-კითხვის საზოგადოებამ დაამტკიცა წიგნების საგამომცემლო კომისიის სპეციალური ინსტრუქცია, რომელიც ითვალისწინებდა, თუ რა პირობების გათვალისწინებით უნდა მომხდარიყო წიგნების შერჩევა-გამოცემა. ინსტრუქციის მიხედვით კომისიას წინასწარ უნდა შეერჩია გამოსაცემი წიგნები, შეედგინა გამოცემის ხარჯები და დასამტკიცებლად წარედგინა გამგეობისათვის. წიგნების განხილვის დროს კომისიას უფლება ჰქონდა

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 12, ფურ. I.

თავისი შეხედულებისამებრ მოეწვია გარეშე პირები. კომისიისაგან მოწონებული წიგნები იბეჭდებოდა მხოლოდ გამგეობის ნებართვის საფუძველზე.[1]

წიგნების საგამომცემლო კომისიის შექმნასთან ერთად გამგეობამ დაიწყო ზრუნვა თბილისში სტამბის მოწყობაზეც. ამ მიზნით, 1886 წლის 26 ივლისს სოფელ საგურამოში, ილიას სახლში დიდი თათბირი გაიმართა პეტრე უმიკაშვილის თავმჯდომარეობით. თათბირს ესწრებოდნენ: ილია ჭავჭავაძე, ილია ოქრომჭედლიშვილი, ილია წინამძღვრიშვილი, ილია ბახტაძე, გრიგოლ ყიფშიძე, ალექსანდრე ჭყონია, გიორგი ქართველიშვილი, სოლიკო მაჩაბელი, მიხეილ მაჩაბელი და დიმიტრი ბაქრაძე.

თათბირზე გადაწყდა თბილისში შეეძინათ სტამბა, რომელსაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელი დაერქმეოდა. სტამბის მოსაწყობად ნავარაუდევი იყო 15 ათასი მანეთი. თანხის შემოტანა იკისრეს ცნობილმა ქველმოქმედებმა ი. ოქრომჭედლიშვილმა და გ. ქართველიშვილმა.[2] სტამბის შეძენის სურვილი გ. ქართველიშვილმა შემდეგაც გამოთქვა. წერა-კითხვის საზოგადოების არქივში შემოინახა მისი ერთი წერილი, სადაც იგი გამგეობას სთხოვს საჩუქრად მიიღოს მის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ და ვახუშტის „საქართველოს ისტორია“ იმ პირობით, რომ მათი გაყიდვის შემდეგ მიღებული თანხა მოხმარდებოდა სტამბის შეძენას.[3] მაგრამ, წერა-კითხვის საზოგადოებამ, სხვადასხვა მიზეზების გამო, სტამბის გახსნა თბილისში ვერც მაშინ და ვერც შემდეგ წლებში ვერ მოახერხა. მხოლოდ 1913 წელს ქუთაისის განყოფილებამ შეძლო შეეძინა სტამბა, რომელმაც ხელი შეუწყო წერა-კითხვის საზოგადოების საგამომცემლო საქმიანობის გაფართოებას.

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში საგამომცემლო საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა „წიგნების გამომცემელი ქართველთა ამხანაგობა“ (დაარსდა 1890 წელს). ამხ-

[1] ცსსა, ფონდ. 481, საქ. 123, ფურ. 19.
[2] იგივე ფონდი, საქ. 120, ფურ. I.
[3] იქვე, ფურ. 18.

ანაგობის პირველ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ალექსანდრე ჯაბადარი. 1890-1891 წლებში ამხანაგობაში გაერთიანებული იყო 148 წევრი. მათ შორის იყვნენ: ვლ. აღნიაშვილი, ლ. ბოცვაძე, გრ. გურული, იაკ. ზედგინიძე, ექვთ. თაყაიშვილი, მ. თოიძე, მიხ. თუმანიშვილი, კონ. მამაცაშვილი, იაკ. მანსვეტაშვილი, ივ. პოლტარაცკი, თ, რაზიკაშვილი, ვ. რცხილაძე, დ. სარაჯიშვილი, რ. ფანცხავა, ალ. ყიფშიძე, ილ. ჭავჭავაძე, ალ. ხახანაშვილი, მ. ჯანაშვილი და სხვ. ამ წელს საწევრო თანხა შემოსულა 11.432 მანეთი.[1]

„წიგნების გამომცემელი ქართველთა ამხანაგობის“ სტამბა მოთავსებული იყო ლორის-მელიქოვის ქუჩაზე (სახლი № 28), აქვე მდებარეობდა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაც. 1890 წელს წიგნების გამოცემაზე ამხანაგობას დაუხარჯავს 4.780 მანეთი, 1894 წელს – 72.877 მანეთი. 4 წლის მანძილზე ასეთი დიდი განსხვავება საგამომცემლო ხარჯებს შორის განაპირობა იმან, რომ წიგნებით ვაჭრობიდან ამხანაგობას 1894 წელს შემოუვიდა 67651 მანეთით მეტი, ვიდრე წინა წლებში.[2] ამხანაგობას სხვადასხვა წლებში უმთავრესად გამოცემული აქვს სიტყვაკაზმული მწერლობის, ისტორიული, რელიგიური და ხალხური ნაწარმოებები. მათ შორის აღსანიშნავია სულხან-საბა ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალ. ყაზბეგის ნაწარმოებები, ქართული ხალხური ზღაპრები და სხვ.

1895 წლისათვის „წიგნების გამომცემელი ქართველთა ამხანაგობის“ წევრთა რიცხვი 220-მდე გაიზარდა. ამ წელს ამხანაგობაში შევიდნენ: აკ. წერეთელი, ალ. ჭყონია, ზაქ. ჭიჭინაძე, პ. უმიკაშვილი, თ. სახოკია, ივ. რატიშვილი, ი. გოგებაშვილი, ზ. ბილანიშვილი და სხვ.[3] 900-იანი წლების დასაწყისში „ამხანაგობა“ წევრთა რაოდენობის მიხედვით კიდევ უფრო გაიზარდა, გაფართოვდა მისი საგამომცემლო საქმიანობა, რამაც ხელი შეუწყო უმეცრებასთან ბრძოლას.

---

[1] ანგარიში წიგნების გამომცემელი ქართველთა ამხანაგობისა, ტფ., 1892 წ., გვ 20-22.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ 7-8.

1892 წლის 4 თებერვალს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის სხდომაზე ივანე მაჩაბელმა შეიტანა წინადადება, რომ ხალხში განათლების გავრცელების მიზნით საზოგადოებას „იაფი ბიბლიოთეკის“ ეგიდით გამოეცა პატარ-პატარა წიგნაკები (40-50 გვერდი), რომლებშიც შევიდოდა ადვილად საკითხავი ორიგინალური და ნათარგმნი მოთხრობები ისტორიიდან, ლიტერატურიდან, ბუნებისმეტყველებიდან და სხვა დარგებიდან. ასეთი წიგნაკების შედგენისათვის გამგეობას უნდა დაეწესებინა წამახალისებელი ფულადი პრემია 20-დან 50 მანეთამდე.[1]

ასეთივე აზრის იყო დავით კარიჭაშვილიც. მისი სიტყვით, მარტო წერა-კითხვის ცოდნა საკმარისი არ იყო ხალხის განათლებისათვის. იგი საყვედურს გამოთქვამდა არსებული სამინისტრო და სამრევლო სკოლების მიმართ, სადაც მოზარდებს არ ავარჯიშებდნენ წიგნების კითხვაში, რის გამოც, სკოლის დამთავრების შემდეგ, ადვილად ავიწყდებოდათ კითხვა. — „ყველამ, ვისაც კი ხალხში წერა-კითხვის გავრცელება სურს, — აღნიშნავდა დ. კარიჭაშვილი, — უნდა ეცადოს, რაც შეიძლება მეტი წიგნაკი მიაწოდოს ხალხს საკითხავად“.[2] დ. კარიჭაშვილის აზრით, წიგნაკები პირველ რიგში უნდა გაევრცელებინათ ისეთ მხარეებში, სადაც ქართული ენა ყველაზე მეტად იდევნებოდა: — „ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა, რომ ვეწინააღმდეგოთ ამისთანა უზნეურ და მავნებელ მიმართულებას. მხოლოდ წიგნებს შეუძლიათ ამ ქვეყნების ჩვენთან ერთობა და ძმობა. ამიტომ ვიდრე ამ ქვეყნებში ქართული წერა-კითხვა სრულებით არ მოსპობილა და გამოდევნილა, უნდა დავეშუროთ და მოვფინოთ ისინი წიგნაკებით, რომლებიც არ გააწყვეტინებენ ჩვენთან ამ ქვეყნების მაკავშირებელ ჯაჭვებს, თორემ, როცა ეს ჯაჭვები გაწყდება, მაშინ ძნელი იქნება მათი დაკავშირება“.[3]

დ. კარიჭაშვილის მიხედვით, ხალხში გასავრცელებელი წიგნაკები უნდა ყოფილიყო მცირე ზომის (16-32გვერდი), გასაგებ ენაზე დაწერილი, საინტერესოდ საკითხავი და დასურათებული; წიგნაკები

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 310, ფურ. 3.
[2] იგივე ფონდი, საქ. 444, ფურ. 4.
[3] იქვე.

დაბა-ქალაქებსა და სოფლებში უნდა გაევრცელებინათ საზოგადოების აგენტებს, თავდაპირველად უფასოდ — „ვიდრე კითხვის გემოს გაიგებდნენ". აგენტებად გამოდგებოდნენ მღვდლები, მემამულეები, მასწავლებლები — ვინც იცოდა კითხვა. გამოსაცემი წიგნაკების შინაარსზე უნდა ეზრუნა სპეციალურ კომისიას, რომელიც შეადგენდა სათანადო პროგრამას და პრესის საშუალებით გააცნობდა მკითხველ საზოგადოებას. მსურველებს შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ წიგნაკების შედგენაში მოცემული პროგრამის მიხედვით, რისთვისაც გამგეობა აწესებდა ფულად პრემიას 10-დან 25 მანეთამდე.

— „წელიწადში რომ საზოგადოებამ ამისთანა წიგნაკების დასაბეჭდათ და გასავრცელებლად ხალხში გადასდოს 1000 მანეთი, — აღნიშნავდა დ. კარიჭაშვილი, — შესაძლებელია ამით დაიბეჭდოს და გავრცელდეს ოცამდე წიგნაკი. ამ ოცი წიგნაკის გავრცელება არანაკლებ სასარგებლო იქნება, ვიდრე ოცი სასოფლო სკოლა, რომლების შენახვა წელიწადში, ცოტა რომ ვთქვათ, ექვსასი თუმანი მაინც დაჯდება. ხუთი წლის შემდეგ საზოგადოებას ექნება გამოცემული 100 სახალხო წიგნაკი, რომელთაგან მშვენიერი პატარა ბიბლიოთეკა გაკეთდება. ასი თუმანი წელიწადში დიდი ხარჯი არ არის".[1]

დ. კარიჭაშვილი იმედს გამოთქვამდა, რომ თუ წერა-კითხვის საზოგადოება 1895 წლისათვის სკოლებისა და ბიბლიოთეკების დასახმარებლად განკუთვნილ თანხას (600 მანეთს) ერთი-ორად გაადიდებდა და ამ თანხას სახალხო წიგნაკების გამოცემა-გავრცელებას მოახმარდა, საზოგადოება ერთიასად მეტ სარგებლობას ნახავდა.

1896 წლის 13 ივნისს ვაჟა-ფშაველამ ხელშეკრულება გააფორმა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობასთან მისი ნაწარმოებების ცალკე წიგნაკებად გამოცემის შესახებ. ხელშეკრულების მიხედვით საგამომცემლო კომისიას უნდა გამოეცა პოეტის შემდეგი ნაწარმოებები: „ქუჩი", „მთანი მაღალნი", „დათვი", „სოფლის სურათები", „უძლური ვირი", „ჩვენი მამალი" და სხვა მოთხრობები. თითოეული წიგნაკი უნდა დაბეჭდილიყო 1200 ეგზემპლარის რაოდენობით.[2]

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 444, ფურ. 5.

[2] იგივე ფონდი, საქ. 212, ფურ. 5.

გამგეობა იმედოვნებდა, რომ ვაჟას წიგნაკები ადვილად გავრცელდებოდა ხალხში.

ზოგჯერ წერა-კითხვის საზოგადოება საგამომცემლო საქმიანობაში ზარალსაც ნახულობდა. მიუხედავად ამისა, იგი თავს არ არიდებდა დაკისრებულ მოვალეობას და ძალ-ღონეს არ იშურებდა მკითხველისათვის მიეწოდებინა მაღალ დონეზე გამოცემული წიგნაკები და ცნობარები, რაც ხელს უწყობდა მოსახლეობის გათვითცნობიერებას. ამის მაგალითია ვალ. გუნიას „საქართველოს კალენდრის" გამოცემა.

1902 წლის 4 მაისს ვალ. გუნიამ თხოვნით მიმართა წერა-კითხვის საზოგადოებას დახმარება გაეწია მისთვის განახლებული „საქართველოს კალენდრის" გამოცემის საქმეში, რომელიც 1889-1897 წლებში ყოველწლიურად შეუფერხებლად გამოდიოდა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქართველ საზოგადოებაში. მისი აზრით, კალენდრის გამოცემა საზოგადოებას 400 მანეთამდე დაუჯდებოდა; ვ. გუნია კალენდრის შედგენასა და კორექტურას თვითონ კისრულობდა, მოგების ნახევარი ავტორს უნდა დარჩენოდა, მეორე ნახევარი — საზოგადოებას. იმავე წლის 9 მაისს გამგეობამ განიხილა ვალ. გუნიას წინადადება და ამის შესახებ აზრის გამოთქმა დ. კარიჭაშვილს დაავალა.

დ. კარიჭაშვილის აზრით, „საქართველოს კალენდრის" გამოცემა საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმე იქნებოდა, თუ მისი შემდგენელი კალენდარს შეავსებდა ახალი ცნობებით, რასაც ადგილი ჰქონდა კალენდრის დახურვის შემდეგ. დ. კარიჭაშვილს სასურველად მიაჩნდა კალენდრიდან ამოეღოთ ლიტერატურული განყოფილება და მის ნაცვლად შეეტანათ უკანასკნელ პერიოდში გამოცემული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა. ამასთან ერთად, კალენდარში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოთავსებული უნდა ყოფილიყო მოთხრობები საქართველოს ისტორიიდან, ცნობები ქართველ მწერალთა შესახებ და სხვ. ვ. გუნიას აზრით, თუ კალენდარი დააკმაყოფილებდა ამგვარ მოთხოვნებს, მაშინ მისი გამოცემა შეიძლებოდა 1600-ზე მეტი ტირაჟითაც.

1904 წელს წერა-კითხვის საზოგადოებამ გამოსცა ვალ. გუ-

ნიას მიერ შედგენილი „საქართველოს კალენდარი“ და „კედლის კალენდარი“, თითოეული 2400 ტირაჟით, მაგრამ კალენდრების მცირე ნაწილი გაიყიდა და საზოგადოებამ დიდი ზარალი ნახა. ამის მიზეზს საზოგადოების მდივანი ს. ფირცხალავა იმაში ხედავდა, რომ კალენდრები დროულად არ გამოიცა და ფასიც არ იყო დაბალი. მიუხედავად ამისა, წერა-კითხვის საზოგადოება შემდეგ წლებშიც აგრძელებდა „საქართველოს კალენდრის“ გამოცემას და საინტერესო ცნობებს აწვდიდა ქართველ ხალხს მრავალ ისეთ საკითხზე, რაც ხელს უწყობდა მის გათვითცნობიერებას.

ქართული წიგნის გავრცელებას თავისი ენთუზიასტები ჰყავდა. მათ შორის პირველ რიგში მოიხსენიება ზაქარია ჭიჭინაძე — ქართული წიგნის რაინდი.

ზ. ჭიჭინაძე (1854-1931 წწ.) ცნობილი ისტორიკოსი, მწიგნობარი და საზოგადო მოღვაწე, აქტიურად იყო ჩაბმული იმდროინდელი საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობაში. როდესაც იგი გამოვიდა კულტურულ ასპარეზზე, როგორც თვითონ წერს, „ქართული მწიგნობრობის საქმე მეტად ბედშავ მდგომარეობაში იყო. ქართველ კაცს საქართველოში წიგნი ანთებული სანთლით უნდა ეძებნა“.[1]

1875 წლიდან ზ. ჭიჭინაძე დამოუკიდებლად ეწევა წიგნების გამოცემას. იგი თვითონვე იყო ავტორი, მბეჭდავი და წიგნების გამსაღებელი, რაც ერთი კაცისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. 1875-1896 წლებში მან 200-ზე მეტი სხვადასხვა სახელწოდების ქართული წიგნი გამოსცა.

ზ. ჭიჭინაძემ განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანა ახლად შემოერთებულ აჭარაში ქართული წიგნების გავრცელების საქმეში, რითაც ხელს უწყობდა მაჰმადიან ქართველებში ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებას. იგი ათი წლის მანძილზე წიგნებით ხელში დადიოდა ქობულეთში და მის მახლობელ სოფლებში, ბათუმისა და ართვინის ოლქებში, კინტრიშის მაზრაში, შავშეთსა და იმერხევში, მაჭახალაში — თითქმის მთელ სამაჰმადიანო საქართველოში, რათა

[1] გაზ. „კვალი“, 1897 წ., № 36.

მაჰმადიანი ქართველი მოსახლეობისათვის შეეყვარებინა ქართული წერა-კითხვა, მიეწოდებინა მათთვის ი. გოგებაშვილის „დედა-ენა“, „ბუნების კარი“, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა. ქართული წიგნების საშუალებით ქართველ მაჰმადიანთა შორის აღიძრა ინტერესი ქართული ენისა და კულტურისადმი. ზ. ჭიჭინაძემ აჭარის მიყრუებულ სოფლებში ბევრ მოზარდს შეასწავლა ქართული ანბანი და გაუღვივა სიყვარული დედაენისადმი. როგორც ცნობილია, აჭარაში მას „ზაქარია ეფენდის“ (სწავლულ ზაქარიას) ეძახდნენ.[1]

თუ როგორ ახერხებდა ზ. ჭიჭინაძე წიგნების გავრცელებას აჭარაში, ამის შესახებ გადმოგვცემს მისი ერთ-ერთი მოხსენება წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობისადმი, სადაც ნათქვამია შემდეგი:

— „შარშან მე წავედი ქობულეთში, აქედან ვიმგზავრე კინტრიშის მხარის სოფლებში, სადაც ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ, მე თან წავიღე 2500 მეტი წიგნი, 2000 მათებული ლექსები და დანარჩენი სხვა წიგნები. ქობულეთიდან ამ წიგნებს დარიგება დაუწყე. ამ საქმეს ქართველმა მოლებმა ეჭვის თვალით შეხედეს. ამიტომ მე მათ უახლოვდებოდი ყველა სოფელში, ძმურს საუბარს ვმართავდი თავმდაბლად. ვისწავლე მათებური ლოცვებიც, ესენი დავიწერე კიდეც. თვით მეც დავდიოდი მეჩეთებში და მათებურად ვლოცულობდი. ამ საქციელმა დიდი ნდობა გამიკეთა მათ წინაშე. ისინი პატივს მცემენ მე, როგორც თათრებთან ახლოს მდგომს; თავისუფლად მესაუბრებოდნენ ყოველ თავიანთ საქმეებზე; აქა-იქ თავისუფლათ მაძლევდნენ შესვლის ნებას. ყველა ამით ვისარგებლე და ქართული წიგნების დარიგება და კითხვა თავისუფლად დავიწყე... ლოცვიდან გამოსვლის შემდეგ მეჩეთის გალავანში ხალხს ლექსების კითხვას უმართავდი და თან წიგნებს ვურიგებდი, შემდეგ და შემდეგ საქმე ისე წავიდა, რომ... მეხვეწებოდნენ წიგნების და თან ანბანის წაკითხვას...

ბევრ სოფელში, ბევრ პატარა მოწაფეს დავაწყებინე ანბანის კითხვა და მან რამდენიმე წაკითხვის შემდეგ ქართული ასოები ისე

[1] იხ. თედო სახოკია, მოგზაურობანი. გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, თბ., 1950.

დაისწავლა, რომ „ქალვაჟიანის“ კითხვაც დაიწყო. მე ცხადად დავრწმუნდი, რომ ამ ხალხს პატრონი ჰყვანდეს, მაშინ ქართული ანბანი და წიგნები აქაც ისევე აღორძინდება, როგორც ქართლსა და ნამეტურ იმერეთში.

ეხლა მოვმართავ წერა-კითხვის სამმართველოს გამგეობას და ვსთხოვ, რომ თვის შეძლებისდაგვარად ამ საქმეში დახმარება აღმომიჩინონ და მე გამიადვილონ იქ წასვლა და წიგნების წაღება“.[1]

ზ. ჭიჭინაძის მოგზაურობას სამაჰმადიანო საქართველოში, ქართული წიგნების გავრცელების გარდა, სხვა სასარგებლო შედეგებიც მოჰქონდა. ხშირად მისი მეშვეობით ქართველი საზოგადოება ეცნობოდა ბევრ საყურადღებო ფაქტს ახლად შემოერთებული მხარის შესახებ, რაც დიდი ხნის მანძილზე, ჟამთა სიავის გამო, მისთვის ხელმიუწვდომელი იყო. ნიმუშისათვის მოვიტანთ ერთ-ერთ მის მოხსენებას წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობისადმი, რომელიც ზ. ჭიჭინაძეს შეუდგენია 1894 წლის 7 ივლისს. მოხსენებაში ვკითხულობთ:

— „სამი წლის განმავლობაში მე დავიარე ქობულეთის სოფლებში, აჭარის, ლივანის, მაჭახალის და ზეგნის. ამ ადგილებში 350 მეტი სოფელი აღმოჩნდა, ყველგან ქართულს ენაზე ლაპარაკობენ ქართველი მაჰმადიანები. მათი საჭირო სახმარებელი ენა ქართული ენა არის. სიმღერა, ტირილი, თამაში და სხვანი სულ ქართულია, ქობულეთსა და აჭარაში ქართული წიგნებიც გავრცელდა და ახლა საქმე ზეგანზეა, სადაც 100 სოფელზე მეტია და ლივანში იმედია რომ უკანასკნელს ადგილებშიც გაიდგამს ფესვს ქართული ანბანი: წელს მე მივდივარ შავშეთსა და იმერხევში. ეს ადგილები ქართველთათვის უცნობი ადგილებია. ჩვენ არ ვიცით, თუ ამ ადგილებში რამდენი სოფელი ძევს, სად როგორ ცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები და ან იქ რა ადგილებია, რა ხეობები და რა ძველი ისტორიული ძეგლ-ნაშთები. ჩვენდა სამწუხაროდ, არამც თუ მარტო შავშეთია ჩვენთვის უცნობი, არამედ ოსმალეთის ყოფილ საქართველოს უმეტეს ადგილების ამბებიც არ ვიცით, თუ დღეს

[1] ცსსა, ფ. 481, ანაწ. I, საქ. 318, გვ. 13.

სად და რომელს ხეობებში და ადგილებში სუფევს ქართული ენა, ქართული გვარტომობა, ქართული სოფლები და სხვანი — რადგანაც შავშეთი აჭარიდან კარგად შორს არის და იქ წასვლა, ერთის მხრივ, საშიშიც არის და, მეორე მხრივ, ძვირადაც ჯდება, ამიტომ მივმართავ საზოგადოებას და ვთხოვ დახმარებას. ფულით თუ არ იქნება დახმარება და წიგნებით იქნება, იქითკენ საჭირო იქნება შემდეგი წიგნები: დედა-ენა, „ბუნების კარი", ვეფხისტყაოსანი, აღნიაშვილის ანი და კარაბადინი და სხვა რამე საბავშვო სურათებიანი წიგნები. წვრილი წიგნები მე მაქვს"...[1]

წერა-კითხვის საზოგადოება ყოველთვის დიდი გულისხმიერებით ეკიდებოდა ყველა იმ საქმეს, რომელიც ხელს უწყობდა მაჰმადიან ქართველთა შორის ქართული ენისა და მწერლობის გავრცელებას და ამ გზით მათ სულიერ დაახლოებას.

კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა უმეცრების წინააღმდეგ გაგრძელდა ახალი საუკუნის დასაწყისშიც, განსაკუთრებით რევოლუციის შემდგომ პერიოდში, როდესაც უფრო გაიზარდა ხალხის მოთხოვნილება კულტურისა და განათლებისადმი. მიუხედავად ათასგვარი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებისა, განათლების დონის მხრივ საქართველოს მაინც მოწინავე ადგილი ეკავა მთელ რუსეთის იმპერიაში. ამაში დიდი დამსახურება მიუძღოდათ თვითმოქმედ საზოგადოებებს, განსაკუთრებით, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომელიც ათეული წლების მანძილზე თითქმის ასრულებდა ერობისა და სახალხო განათლების სამინისტროს ფუნქციებს და წარმოადგენდა მძლავრ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს საქართველოში.

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 398, ფურ. 55.

ბრძოლა დედაენაზე სწავლების უფლებისათვის. ეროვნული სკოლისათვის

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარ ამოცანას დედაენის უფლებებისათვის ბრძოლა შეადგენდა, რადგანაც „ხელი უმეცარის მოხელეებისა ყველაზე უწინარეს ენას მისწვდა“, რომელიც იყო „არსებითი ნიშანი ეროვნებისა“. ამიტომაც, თვითმოქმედ კულტურულ საზოგადოებათა მთავარი ყურადღება დედაენაზე სწავლების უფლების დაცვისაკენ იყო მიმართული.

ეროვნულ-კულტურული საზოგადოებების დამოკიდებულება დედაენისა და ეროვნული სკოლებისადმი გამოხატავდა ქართველ განმანათლებელთა შეხედულებებს. თერგდალეულებს საერო სკოლა მიაჩნდათ ერის აღმზრდელად, რომელმაც „უნდა აძლიოს ერს საზრდოებელი სულისა და ხორცისა“. მათი აზრით, მხოლოდ ეროვნული სულისკვეთებით აღზრდილ ახალგაზრდობას შეეძლო ჩამდგარიყო ხალხის სამსახურში, დაეცვა მისი ეროვნული ფასეულობები და ებრძოლა ეროვნული უფლებებისათვის. ამ ნიშნით ეროვნული სკოლა სასწავლო დანიშნულებასთან ერთად პოლიტიკურ დატვირთვასაც იძენდა, მით უფრო, რომ თვითონ ხელისუფლება სკოლას გარუსების მთავარ იარაღად იყენებდა.

ქართულ სამეცნიერო და პედაგოგიურ ლიტერატურაში საკმაოდ საფუძვლიანადაა შესწავლილი ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში, რომლის მთავარ მიზანს ქართველი ხალხის გარუსება შეადგენდა.[1]

თვითმოქმედი საზოგადოებების ბრძოლა დედაენაზე სწავლების უფლებისათვის ძირითადად გამოიხატა იმ დაპირისპირებაში, რასაც ადგილი ჰქონდა მათ ხელმძღვანელობასა და სასწავლო უწყებას შორის.

---

[1] იხ. ტრ. ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო სისტემა საქართველოში, თბ., 1940წ., გ. თავზიშვილი, პედაგოგიური განათლება მე-19 საუკუნის საქართველოში, თბ., 1948წ., ს. სიგუა, სახალხო განათლება რევოლუციამდელ საქართველოში, თბ., 1965წ., ჯ. გაგუა, სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმისშემდგომ საქართველოში, თბ., 1974წ. და სხვ.

სასწავლო ოლქის მზრუნველი და მისი მოხელენი პრინციპულად მოითხოვდნენ სასწავლო პროცესის წარმართვას 1881 წლის სასწავლო გეგმის მიხედვით, ხოლო საზოგადოებათა ხელმძღვანელები იცავდნენ თავიანთ სასწავლო პროგრამებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის ბრძოლა წინარეხის, თონეთის, ქუთაისის, ხელთუბნის, ბათუმის და სხვა სკოლებში დედაენაზე სწავლების უფლებისათვის. ხშირ შემთხვევაში კავკასიის ბიუროკრატიული სასწავლო უწყება იძულებული ხდებოდა უკან დაეხია და დათმობებზე წასულიყო. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ძველი სენაკის სკოლის ისტორია.

1884 წლის 11 იანვარს თ. იანოვსკის ხელმოწერით გამოიცა საგანგებო დადგენილება სამეგრელოს სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების აკრძალვის შესახებ, რასაც მალე შედეგად მოჰყვა მეგრული ანბანისა და სახელმძღვანელოების შედგენა სლავური ანბანის საფუძველზე, საეკლესიო წიგნების თარგმნა მეგრულ ენაზე, რაც სამეგრელოს საქართველოდან მოწყვეტის საშიშროების წინაშე აყენებდა. ასეთ პირობებში, წერა-კითხვის საზოგადოებამ ძველ სენაკში გახსნა ქართული სკოლა, რომელიც უნდა გამხდარიყო ქართული კულტურის კერა სამეგრელოში; წერა-კითხვის საზოგადოების აზრით, სკოლა ხელს შეუწყობდა სამეგრელოს მოსახლეობაში ეროვნული ცნობიერების გამთლიანებას და ხალხში შეიტანდა იმის შეგნებას, თუ რა დამღუპველი შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა მთავრობის ამგვარ გამთიშველ პოლიტიკას.

1885 წლის 27 ოქტომბერს, სენაკის სკოლის ახალ შენობაში გადატანასთან დაკავშირებით გამართულ ზეიმზე სამეგრელოში ჩავიდნენ: დ. ყიფიანი, აკ. წერეთელი და ივ. მაჩაბელი. ზეიმზე წარმოთქმულ სიტყვაში აკაკიმ მეგრელი მოსწავლეების ყურადღება გაამახვილა ამ სკოლის დიდ ეროვნულ მნიშვნელობაზე. მისი სიტყვით, საქართველოს მდიდარი ისტორიული წარსულის შესწავლა მოზარდ თაობას დაეხმარებოდა გაეთვითცნობიერებინა, რომ „საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი ძმები ვართ, სამის ძლიერის (მამული, ენა, სარწმუნოება — ლ.გ.) უხრწნელის კავშირით საუკუნოთ შეხორცებული“.

— „ვიმეორებთ, — ამბობდა აკაკი, რომ აქ, ამ სკოლაში მიხვდება იმერელი, რომ ის, კერძოდ, თუმცა, იმერელია, მაგრამ, საზოგადოდ კი, იგივე ქართველია; აქ გაიგებს მეგრელი, რომ, კერძოდ, ის მეგრელია, თავის საკუთარი ფერის მქონე, მაგრამ, საზოგადოდ კი, ძირეულად, იგივე ქართველია და თავის კერძო მეგრელობით მხოლოდ აფერადებს ქართველობას".[1]

1886 წლის 29 სექტემბერს ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორმა ლევიცკიმ წერილით მიმართა სენაკის სკოლის გამგეს სამსონ ყიფიანს. ლევიცკი მოითხოვდა, რომ ძველი სენაკის სკოლაში იმერელი ბავშვებისათვის სწავლა შემოეღოთ ქართულ ენაზე, მეგრელი ბავშვებისათვის — მეგრულ ენაზე, ხოლო რუსული ენის სწავლება დაეწყოთ მეგრული ენის სწავლების შემდეგ, თანახმად 1881 წლის სასწავლო გეგმისა, რაც უნდა განხორციელებულიყო მეგრული ენის საშუალებით; მეგრული ანბანის შედგენამდე მეგრული სიტყვები რუსული ასოებით უნდა დაეწერათ.[2] ლევიცკის ეს წერილი ს. ყიფიანმა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას გადაუგზავნა.

ილია ჭავჭავაძემ ლევიცკისათვის საპასუხო წერილის შედგენა მიანდო ი. გოგებაშვილს. ამის შესახებ ი. გოგებაშვილი აღნიშნავს: — „პასუხი ესე მე წავუკითხე ბატონს თავმჯდომარეს ჩვენი მმართველობისას ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც სცნა იგი კანონიერად და შესაბამისად"-ო.[3]

სამსონ ყიფიანი მტკიცედ იცავდა წერა-კითხვის საზოგადოების სასწავლო პროგრამას და დაბეჯითებით ასაბუთებდა ქართულ ენაზე სწავლების აუცილებლობას, რაშიც მას ზურგს უმაგრებდა წ-კ საზოგადოების გამგეობა. 1886 წლის 14 ნოემბერს გამგეობამ განიხილა ლევიცკის ზემოაღნიშნული წერილი და მიიღო შემდეგი სახის გადაწყვეტილება: — „მიეწეროს ინსპექტორს ამ კანონიერ საფუძვლიდან არ გადავიდეს, ყოველივე შემდეგი მიწერ-მოწერა დირექ-

---

[1] აკ. წერეთელი, თხზ., ტ. 12. გვ. 274-275.
[2] ცსსა, ფონ. 481, საქ. 117, ფურ. 7.
[3] იგივე ფონდი, საქ. 130, ფურ. 9.

ტორის მიმართ ამ კანონიერს საფუძველზედ დაამყაროს და როცა დირექცია საჭიროდ დაინახავს, პირდაპირ გამგეობას გამოელაპარაკოს ამ საგანზედ, მაშინ თვითონ გამგეობა ვალდებული იქნება წარუდგინოს დირექციას თავისი კანონიერი საბუთები".[1]

ძველი სენაკის სკოლა წერა-კითხვის საზოგადოების მეშვეობით ქართული ცნობიერების კერად იქცა სამეგრელოში. აქ ჩამოდიოდნენ და სკოლის მუშაობას ამოწმებდნენ საზოგადოების წევრები: აკ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ლ. ბოცვაძე, ექვთ. თაყაიშვილი, ნ. მთვარელიშვილი, დ. კარიჭაშვილი და სხვ. მათთან შეხვედრებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის. მათი სიტყვები სწავლა-განათლების მნიშვნელობაზე, პატრიოტიზმზე და ა.შ. ეროვნული სულისკვეთებით განაწყობდა სამეგრელოს მოსწავლე-ახალგაზრდობას. ამას ადასტურებს ცაიშის სოფლის სკოლის მასწავლებლის, ცნობილი პროვოკატორის თ. აშორდიას ერთი წერილიც, რომელიც მან გაუგზავნა 1887 წლის 28 აპრილს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს თ. იანოვსკის.

ამ წერილში თ. აშორდია იანოვსკის წერს, რომ სენაკის სკოლაში თითქმის ყოველთვიურად იკრიბებიან დიმიტრი ყიფიანი (რომელიც ახლა გადასახლებაშია), ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები და მსჯელობენ, თუ როგორ ააბუნტონ ხალხი 1884 წლის 11 იანვრის ცირკულარის წინააღმდეგო. ამავე წერილში თ. აშორდია ჩივის იმის შესახებაც, რომ მას პირად შეურაცხყოფასა და დამცირებას აყენებენ როგორც სამეგრელოს ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები, ასევე თბილისიდან ჩამოსულებიც. მაგალითისათვის იგი ასახელებს აკ. წერეთელს: — „Акакий Церетели в присутствии протоиерея и сына его Ионны Меунаргия говорил мне, что он если не боялся бы суда, убил бы меня и т.д. Таких примеров много".[2]

განაწყენებული თ. აშორდია იანოვსკის მოახსენებს, რომ მის წინააღმდეგ მოქმედებენ „ივერიის" საშუალებითაც; კერძოდ, სენაკის

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 66, ფურ. 128.
[2] ცსსა, ფონ. 107, საქ. 1723, ფურ. 15-16.

სკოლის ინსპექტორი სამსონ ყიფიანი „ივერიის“ ფურცლებზე დასცინის არა მხოლოდ მას, არამედ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორ გრენსაც.[1]

1887 წელს ლევიცკიმ ს. ყიფიანს გამოუგზავნა ა. გრენის მიერ შედგენილი მეგრული ანბანი, რომელიც სენაკის სკოლაში უნდა გამოეყენებინათ ქართული ანბანის ნაცვლად. ამის თაობაზე წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ ს. ყიფიანს აცნობა თავისი გადაწყვეტილება: — „მიღებულ იქმნან სკოლაში მხოლოდ ის მეგრელი ყმაწვილები, რომელთაც ქართული ლაპარაკი და წერა-კითხვა იციან, შეუძლიათ აგრეთვე მიიღონ ისინიც, რომელთაც ქართული ენა არ იციან, თუ დედ-მამა ამ ყმაწვილებისა თანახმა იქნებიან, რომ სწავლება სკოლაში ქართულ ენაზე დააწყებინონ.“[2]

წერა-კითხვის საზოგადოების ამგვარი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა მთავრობის განზრახვას, მაგრამ გამგეობის შეუპოვრობის შედეგად ძველი სენაკის სკოლაში სწავლა კვლავ დედაენაზე დარჩა. ქუთაისის სახალხო სკოლების დირექცია იძულებული გახდა უკან დაეხია, რასაც ადასტურებს ლევიცკის ერთ-ერთი მოხსენებითი ბარათიც თ. იანოვსკისადმი, სადაც იგი წერს: — „არის მრავალი მეგრელი აზნაური, რომელიც თავს ქართველად თვლის და სურს, რომ მისი ბავშვები სკოლაში ქართულ ენაზე სწავლობდნენ. ნაცნობი მეგრელებისა და ძველი სენაკის ბავშვთა გამოკითხვიდან მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ სამეგრელოს თითქმის ყველა აზნაური კითხულობს და წერს ქართულად და ბევრი დედა ასწავლის თავის ბავშვს ქართულ ენას სკოლაში მისვლამდის.

— ფაქტების გამო და აგრეთვე ყურადსაღებად იმისა, რომ სამეგრელოს თავადაზნაურობამ, რომელიც ინახავს ამ სკოლას, თავისი წარმომადგენლების პირით განაცხადა, რომ ის ქართულ ენას თვლის თავის მშობლიურ ენად და შუამდგომლობაც აღძრეს სამასწავლებლო უწყების წინაშე, რომ ძველი სენაკის სააზნაურო სკოლაში სწავლება წინანდებურად ქართულ ენაზე მიმდინარეობ-

---

[1] ცსსა, ფონ. 107, საქ. 1723, ფურ, 25-32.
[2] ცსსა, ფონ. 481, საქ. 66, ფურ. 128.

დესო. მე შესაძლებლად და დასაშვებად ვთვლი, რომ ქართული ენა დატოვებულ იქნას ამ სკოლაში სწავლების ენად".[1]

ამგვარად, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და სამეგრელოს ადგილობრივი ინტელიგენციის ერთობლივი წინააღმდეგობის შედეგად ვერ განხორციელდა იანოვსკისა და მისი მოხელეების ვერაგული ჩანაფიქრი, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის ეთნიკურად დაქსაქვას. ძველი სენაკის სათავადაზნაურო სკოლა დიდი ხნის მანძილზე (1884-1919 წწ.) სამეგრელოში დარჩა ქართული ცნობიერებისა და ქართული კულტურის კერად, მიუხედავად იმისა, რომ 90-იან წლებში სასწავლო ოლქის მოხელენი უკვე აშკარად მოითხოვდნენ სამეგრელოს სკოლებში სასწავლო პროცესის მხოლოდ მეგრულ და რუსულ ენებზე განხორციელებას. 1894 წელს ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორმა ლევიცკიმ გამოსცა მეგრული ანბანით შედგენილი რუსული ენის სახელმძღვანელო, რომელიც ე.წ. „მუნჯურ" მეთოდზე იყო აგებული: პედაგოგს რუსული სიტყვები და წინადადებები მოზარდებისათვის რუსული სიტყვებითვე უნდა აეხსნა, ხოლო თუ ამას ვერ მოახერხებდა, მაშინ თვალსაჩინოება ან მუნჯური მეთოდი (დახატვა, იმიტაცია და სხვ.) უნდა გამოეყენებინა, რადგანაც სასტიკად იკრძალებოდა დედაენაზე სიტყვიერი ახსნა-განმარტება. მიუხედავად ამისა, სამეგრელოს მოსახლეობა ყოველთვის ინარჩუნებდა ეროვნულ ცნობიერებას და წინააღმდეგობას უწევდა რუსიფიკაციისა და ასიმილაციის პოლიტიკას.

ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გაწეულ მუშაობას ახლად შემოერთებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეროვნულ-კულტურული შემომტკიცებისათვის.

70-იან წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის წინა პერიოდში, ქართველ საზოგადოებაში გაცხოველდა ინტერესი ოსმალოს საქართველოს

---

[1] ტრ. ხუნდაძე, ი. მიქაძე, ძველი სენაკის სკოლა, ჟურ. „სკოლა და ცხოვრება", № 2, 1965 წ., გვ. 76.

(როგორც მაშინ უწოდებდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილს) მიმართ. ამ პერიოდში იქ იმოგზაურეს დ. ბაქრაძემ, გ. ყაზბეგმა, გრ. გურიელმა, ა. მეფისაშვილმა და ივ. კერესელიძემ, რომლებმაც საყურადღებო ცნობები მიაწოდეს ქართველ საზოგადოებას მაჰმადიანი ქართველების შესახებ. პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და ისტორიული ხასიათის სტატიები ოსმალოს საქართველოზე. კავკასიის მმართველობის ოფიციალურმა გაზეთმა „კავკაზმაც" კი დაიწყო რუსულ ენაზე ბეჭდვა გიორგი ყაზბეგის წიგნისა „სამი თვე თურქეთის საქართველოში";[1] გაზეთ „დროებაში" გამოქვეყნდა რაფიელ ერისთავის „ცნობანი ოსმალოს საქართველოზე";[2] და სხვ.

სერგეი მესხი „დროებაში" წერდა, რომ დიდი ხნის მანძილზე ოსმალები ყოველნაირად ცდილობდნენ გადაეგვარებინათ იქაური ქართველები, რისთვისაც ყოველ ღონეს ხმარობდნენ, მაგრამ „ქართველ ტომის სიმტკიცეს რჯულის მეტი იმათ არა შეუცვლიათ და ისიც მხოლოდ ძალდატანებით და სხვადასხვა ოსმალური ოინებით შეაცვლევინეს. სამშობლოს ენა, ხალხის ხასიათი, ჩვეულებანი, თითქმის ცრუმორწმუნეობაც და ცხოვრებაც ქართული აქვთ"-ო.[3]

პავლე მჭედლიშვილი სტატიაში „ქართველები ოსმალეთში" ქართველ საზოგადოებას საყვედურობდა იმის გამო, რომ „ჩვენგან მოძულებულებსა და დავიწყებულებს (ქართველ მაჰმადიანებს) უფრო ვახსოვართ ჩვენ, ვიდრე ჩვენ ისინი გვახსოვს"-ო.[4]

1877 წლიდან „ივერიაში" გამოქვეყნდა წერილების სერია: „ოსმალოს საქართველო" პეტრე უმიკაშვილისა და ილია ჭავჭავაძის ავტორობით.[5] ერთ-ერთ წერილში ილია წერდა: — „თუმცა რამდენი საუკუნეა განვლილი მას შემდეგ, რაც ოსმალოს ქართველნი ანუ მესხნი ჩვენგან მოშორებულნი არიან, მაგრამ აქამომდე ისინი თითქოს

---

[1] იხ. გაზ. „კავკაზი", 1875 წ. № 4, 7, 8, 16, 19, 32, 33, 38, 39.

[2] გაზ. „დროება", № 80, 1875 წ.

[3] გაზ. „დროება", № 63, 1876 წ.

[4] გაზ. „დროება", № 126, 1878 წ.

[5] იხ. „ივერია", 1877წ., № 13,15,18,20,21,23-ეკუთვნის პ. უმიკაშვილს, №8,9 და 12 — ი. ჭავჭავაძეს.

არ განსხვავდებიან ჩვენში არც ხასიათით, არც ზნეობით და ჩვეულებით და არც შინაურის ყოფა-ცხოვრებით".[1] ამ პერიოდში სამხრეთ-დასავლთ საქართველოში გავრცელებული მითქმა-მოთქმის მიხედვით, საქართველოსთან შეერთებას მათი სარწმუნოების შეურაცხყოფა მოჰყვებოდა. ამის შესახებ ილია მიუთითებდა:

— „სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ უნდა გვაშინებდეს, ქართველმა, თავისი სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვისი სარწმუნოების. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე თავისი სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანიც ჩვენს შორის მცხოვრები, ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ"-ო.[2]

ოსმალოს საქართველოს მცხოვრებთ ღრმად სწამდათ, მოვიდოდა დრო, როცა ისინი დაუბრუნდებოდნენ დედასამშობლოს. ლ. ისარლოვის წიგნში „წერილი საქართველოს შესახებ" მოტანილია ერთი აჭარელის ნაამბობი თავის მასწავლებელ მოლას შესახებ, რომელიც შთაგონებდა — მსოფლიოში ოთხი გზაა და ოთხივე სტამბულისაკენ მიდისო. ამ აჭარელის აზრით, მოლა სტყუოდა, რადგან „ყველა გზა — აჭარიდან, შავშეთიდან, ართვინიდან, არტანუჯიდან, ლიკანიდან, ჩაქვიდან, ჭანეთიდან — რუსეთისაკენ მიდიოდა.[3]

როგორც ზაქარია ჭიჭინაძე შენიშნავს, ქართველ მაჰმადიანებში რუსეთ-თურქეთის ომისადმი დამოკიდებულების საკითხში ორი მხარე გამოირჩეოდა. ერთი იმ აზრისა იყო რომ, თუ ომში რუსეთი გაიმარჯვებდა, მათი ცხოვრება გაუმჯობესდებოდა, რადგანაც ამ გზით ისინი საქართველოს და ქართველ ერს დაუკავშირდებოდნენ, შეინარჩუნებდნენ თავიანთ სარწმუნოებას, ოსმალოს საქართველოში განვითარდებოდა ვაჭრობა, ხელოსნობა, გავრცელდებოდა განათლება და მაჰმადიანი ქართველებიც „ისე წავიდოდნენ, როგორც მათი მოძმე ქართველები მიდიოდნენ წინ"[4] ზ. ჭიჭინაძე ამ ჯგუფს

---

[1] გაზ. „ივერია", 1877 წლის 28 აპრილი.

[2] იქვე.

[3] Исарлов Л.С. Письмо о Грузии, Тиф., 1899г., стр. 74.

[4] ზ. ჭიჭინაძე, ქართველების გამაჰმადიანება, თბ., 1907 წ., გვ. 12.

მიაკუთვნებს: შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს, ახმედ-ბეგ ხალვაშს, გულოაღა კაიკაციშვილს და სხვებს; მეორე მხარის მიხედვით — თუ რუსეთი არ გაიმარჯვებდა, მაშინ ისინი უნდა აყრილიყვნენ და წასულიყვნენ იქ, სადაც მათი ფადიშაჰი იჯდა[1].

საქართველოს ქრისტიანი მოსახლეობა იმედის თვალით უყურებდა რუსეთ-თურქეთის ომს (1877-1878წწ). იგი ამ ომში ხედავდა თავისი ისტორიული მიწა-წყლის დაბრუნების რეალურ შანსს, რამაც ფაქტობრივად განაპირობა ქართველების ცხოველი მონაწილეობა ომში. ომში მოხალისედ წავიდა 36800 ქართველი, რაც კავკასიის ფრონტის ერთ მეოთხედს შეადგენდა.[2]

1878 წლის ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი (აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა-არტაანი) საქართველოს დაუბრუნდა, ამასთან დაკავშირებით გრიგოლ ორბელიანი სოფიო ორბელიანს წერს:

— „ასე ჩემო სოფიკო, უკეთილმსახურებს დიდი იმპერატორის ძლიერებამ დასცა საუკუნოდ მაჰმადიანობა, დაუძინებელი მტერი ქრისტიანობის და ჩვენი ძმანი, ძველი ქართველნი, აჭარა, ლივანა, ქობულეთი ბათუმით განთავისუფლდა ოთხასის წლის ტყვეობიდან და შეუერთდა დედა-საქართველოს“.[3]

ილია ჭავჭავაძე სიხარულით აღნიშნავდა: — „ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა ჩვენთვის ფრიად ღირ-სახსოვარია: ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად მებრძოლნი შავი ბედისა, ჩვენი უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო — დღეს ჩვენ შემოგვიერთდა...“.

ოსმალოს საქართველოს ტერიტორიული შემოერთება სისხლისღვრით მოხდა; უფრო ძნელი იყო მისი სულიერად შემომტკიცება. თუ რა გზით უნდა მომხდარიყო ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების სულიერი დაახლოება — ქართველი საზოგადოების დიდ საზრუნავს

---

[1] დ. ნაცვალაძე, ი. ჭავჭავაძე და აჭარა, ბათუმი, 1957 წ., გვ. 12.
[2] ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, თბ., 1941 წ., გვ. 122.
[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, 1955 წ., გვ. 18.

შეადგენდა, რაც სულ მარტივად გამოხატა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა 1878 წლის 20 ნოემბერს მუხრან-ბატონის სასახლეში აჭარელთა დეპუტაციის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე: – „განათლება ეჭირვება ბატონებო, იმათ (ოსმალეთის ქართველებს). ამდონი ახალგაზრდაი კაცები ხართ, განათლებულნი, წადით, გეიცანით, ზოგი აქ მოიყვანეთ, სკოლები გამართეთ, ასწავლეთ“-ო.[1]

შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი გახლდათ ცნობილი სელიმ-ფაშას შვილიშვილი. მას კარგად ახსოვდა მამამისის, ახმედ-ფაშას დანაბარები: „Знай Шериф, что рано или поздно, русские заберут наш край также, как забрали они Ахалцихе и другие земли. Веди дружбу с русскими и пограничными жителями. Наш климат, судьба, счастье будут зависеть от России, знай, что наша дорога будет туда, а не в Стамбул“.[2]

შერიფ-ბეგი მამის დანაბარების ბოლომდე ერთგული დარჩა, რასაც ადასტურებს მისი შემდეგი სიტყვებიც: – „მუდამ ვცდილობდი ჩემი თავის და ჩემის მოძმეთა გამოხსნას ჩემის ქვეყნითურთ ოსმალოს ხელიდან და რუს ხელმწიფის ქვეშევრდომათ შესვლას, რომლის მფარველობის ქვეშ იყვნენ დიდი ხნის მიღმა ჩემი უმრავლესი საყვარელი მოძმე მხარეთ ქვეყნები: იმერეთი, ქართლი, კახეთი, მესხეთის მცირე ნაწილი“.[3]

ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ, რომელმაც 1873 წელს ოსმალოს საქართველოში იმოგზაურა, სპეციალურად მოინახულა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის სახლი, მაგრამ შერიფს ვერ შეხვდა. დ. ბაქრაძე თავის წიგნში შერიფ-ბეგს მოიხსენიებს როგორც ერთ-ერთ გავლენიან და მდიდარ კაცს მთელს აჭარაში.[4]

შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის სიტყვას აჭარაში ქართული სკოლების გახსნის შესახებ მოწონებით შეხვდა ქართველი საზოგადოება. ილია ჭავჭავაძე წერდა:

---

[1] გაზ. „დროება“, № 146, 1878 წ.

[2] Исарлов Л.С., დასახ. ნაშრ., გვ. 74.

[3] გაზ. „დროება“, 1879 წ., 29 თებათვე.

[4] Д. Бакрадзе, Археологические путешествия по Гурии и Агаре, 1878 г., стр. 38.

— ეს შკოლები სხვა ყოველს საშუალებაზედ მეტად სულით და გულით შემოგვიერთებენ აჭარისა და ქობულეთის ერსა და ისევ-ისე ძმურს სიყვარულს ჩამოაგდებენ ჩვენში, როგორც უწინ, იმათ ოსმალოს ხელში ჩავარდნის დრომდე ყოფილა".[1]

1879 წლის 23 დეკემბერს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ: დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, რ. ერისთავი და ივ. მაჩაბელი, ნიკო ცხვედაძემ დააყენა საკითხი ბათუმში ქართული სკოლის გახსნის შესახებ.

— „აუცილებლად საჭიროა ეს, — აღნიშნავდა ნ. ცხვედაძე, — ჩვენ ქართველი საზოგადოების ბევრი აღთქმა მიგვიცია ამ ახლადშემოერთებულ ჩვენი თვისტომისათვის, მაგრამ საქმით ჯერ არა გაგვიკეთებია-რა"-ო.[2]

გამგეობის გადაწყვეტილებით, ბათუმში სკოლის გახსნისათვის მთავრობისაგან ნებართვის აღება მიენდო ილია ჭავჭავაძეს, ხოლო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება ნიკო ცხვედაძეს დაევალა. სკოლის გახსნას ისიც აჩქარებდა, რომ აჭარის შემოერთების შემდეგ ადგილობრივი რუსული მმართველობა ცდილობდა გაეთიშა ქართველი ხალხის ერთიანობა და აჭარა საქართველოსთვის დაეპირისპირებინა. ამ მიზნით აჭარის მაჰმადიან ქართველებს შთააგონებდნენ, რომ ისინი წარმოშობით თურქები იყვნენ და მათი მშობლიური ენაც თურქული იყო. ხელისუფლებამ განგებ დაივიწყა, რომ ქართველებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს რუსეთ-თურქეთის ომში, რომლებსაც, უპირველეს ყოვლისა, ამოძრავებდათ თურქეთის უღლისაგან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება რუსული იარაღის დახმარებით და თავისი ისტორიული მიწა-წყლის დედასამშობლოსთან შემოერთება.

რუსეთის ამგვარ გამთიშველ პოლიტიკას თავის სასარგებლოდ იყენებდნენ თურქეთის აგენტები, რომლებიც მაჰმადიან აჭარლებს თურქეთში გადასახლებისაკენ (მუჰაჯირობისაკენ) მოუწოდებდნენ, რომლის ოფიციალური ვადა დაწესებული იყო 1881 წლის 3 თებერვ-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., 1955 წ., ტ. 5, გვ. 46.
[2] ცსსა, ფონ, 481, საქ. 2, ფურ. 21-24.

ლამდე. მუჰაჯირობას ხელს უწყობდა აგრეთვე რუსული მმართველობა. ილია ჭავჭავაძის სიტყვით, რუსი მოხელეები „კალიასავით შეესიენ“ ახლად შემოერთებულ მხარეს, რომლებსაც არაფერი გაეგებოდათ ხალხის და ხალხს კიდევ მათი“.[1] ილია ჭავჭავაძემ უშიშრად ამხილა მეფის მოხელეთა თავგასულობა, რაც, მისი აზრით, სახელს უტეხდა დიდ რუს ხალხს. — „დღიდან შემოერთებისა, — წერს იგი, — მეფის ხელისუფლებამ აჭარაში გამოგზავნა პირწავარდნილი რეაქციონერები, რომლებსაც აზრადაც არ მოსდიოდათ გაღატაკებული და დაბეჩავებული აჭარლებისათვის ზრუნვა. იმის მაგივრად, რომ ხელისუფალთ ახლადშემოერთებულ ძმებში გაეწიათ აგიტაცია, თქვენ ქართველები ხართ და ქართველ ხალხთან ხელიხელჩაკიდებული უნდა იაროთ, აჭარლები თათრებად გამოაცხადეს და სამშობლო ენადაც თურქული დაუწესეს“.[2]

ჯერ კიდევ სანამ რუსული მმართველობა დამყარდებოდა აჭარაში, გრიგოლ ორბელიანი ლევან მელიბოვს სწერდა: — „დიდად მეშინია, რომ აჭარაში არ დააფუძნონ ჩვენი მიროკოის სუდები და არ აღმოჩნდეს ახალს შეუმჩნეველს ხალხში მეუფება ჩინოვნიკობისა, როგორც აფხაზეთში, სადაც დაუმტკიცეს, რომ მიწა ეკუთვნის გუშინდელ იქ შესულ ხაზინას და არა იმ ხალხს, რომელიც იქ მკვიდრობს ნოეს დაბადებიდან“-ო.[3]

მუჰაჯირობა განსაკუთრებით გაძლიერდა ბათუმის სამხედრო გუბერნატორის, გენერალ კომაროვის დროს, რომელიც აჭარის მთლიანი გადასახლების მომხრე იყო. ამ საქმეში დიდ როლს თამაშობდნენ სასულიერო პირებიც. მათი ინიციატივითა და რუსი კოლონიზატორების მხარდაჭერით განთავისუფლებულ აჭარაში პირველივე ხანებიდან მომრავლდა მეჩეთები და ჯამეები, რაც ხელს უწყობდა პროთურქული და პროაზერბაიჯანული ტენდენციების დამკვიდრებას.

იმდროინდელი მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, მუჰაჯირობის გაძლიერების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო არა იმდენად რელიგიური ფანატიზმი, რამდენადაც ცარიზმის

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, თბ., 1955 წ., გვ. 38.

[2] იქვე.

[3] იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, თბ., 1941 წ., გვ. 124.

ბიუროკრატიული მმართველობა, რომელიც დამყარდა აჭარაში. გიორგი წერეთელი მუჰაჯირობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ასახელებს იმ ფაქტს, რომ ქვეყანა გავერანებული იყო ომისაგან, რასაც დაერთო დიდი გადასახადები. როგორც იგი მიუთითებს, „კინტრიშის გადმოღმა ქობულეთის მხარე, სულ გავერანებული იყო... ერთ ნაჭერ პურში ექვს შაურს ვაძლევდით, ვისაც შიმშილით სიკვდილი არ უნდოდა, ის უნდა გაქცეულიყო ამ უბედური ადგილიდან".[1]

ქართველ საზოგადოებას არ მიუტოვებია გაჭირვებაში ჩავარდნილი მაჰმადიანი მოძმეები. ილია ქართველ ხალხს მიმართავდა: — „ხელი გაუწოდე შენს ძმებს და დებს, რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგული იყო და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ. შევეწიენოთ, რითაც შეგვიძლიან, ფულით, საჭმლით, საცმლით, ხორაგით, ამას ითხოვს ყველასაგან საზოგადოდ კაცთმოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობით მოვალეობაც ძმისა და დის წინაშე".[2]

აკაკი წერეთელი ქართველ ხალხს ასევე მოუწოდებდა, მაჰმადიანი მოძმეებისათვის გაეწიათ ისეთი მეგობრობა, რომ მათ ეფიქრათ — „სხვებთან ლხინს თქვენთან ჭირი გვირჩევნიაო".[3]

ქართველი ინტელიგენცია მტკივნეულად განიცდიდა აჭარის მძიმე მდგომარეობას, რომელსაც რუსული მმართველობის პირობებში კვლავ დაემუქრა დედასამშობლოდან მოწყვეტის საშიშროება. მართალია, აჭარელთა შორისაც იყვნენ პატრიოტი ძალები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ პანთურქიზმისა და პანისლამიზმის გავრცელებას, მაგრამ მათი რიცხვი ერთობ მცირე იყო იმისათვის, რომ მაჰმადიანი ქართველები ქართული ცნობიერებისაკენ შემოებრუნებინათ. ასეთ პატრიოტ-მოღვაწეთა შორის ზაქარია ჭიჭინაძე ასახელებს შერიფბეგ ხიმშიაშვილს, ახმედ-ბეგ ხალვაშს, გულო-აღა კაიკაციშვილს, ჰაიდარ აბაშიძეს და სხვ, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს მაჰმადიან ქართველთა შორის ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებაში.[4]

---

[1] გაზ. „დროება", № 32, 1878 წ.
[2] ი. ჯავჯავაძე, თხზ., ტ. 6. 1956წ., გვ 31.
[3] გაზ. „დროება", № 32, 1879 წ.
[4] ზ. ჭიჭინაძე, ქართველების გამაჰმადიანება, თბ., 1907 წ., გვ 15.

1880 წლის 1 ივნისს წერა-კითხვის საზოგადოების წლიურ კრებაზე დიდი მსჯელობა გაიმართა ბათუმში ქართული სკოლის დაარსების შესახებ. საზოგადოების წევრთა ერთი ნაწილი ბათუმში სკოლის გახსნას ნაადრევად მიიჩნევდა; მეორე ნაწილი (ი.ჭავჭავაძე, დ. ყიფიანი, ი. გოგებაშვილი, ივ. მაჩაბელი და სხვ.) მხარს უჭერდა სკოლის გახსნას 1881 წლისათვის.[1]

1880 წლის 12 დეკემბერს გამგეობის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ: ი. ჭავჭავაძე, ნ, ცხვედაძე, რ. ერისთავი, გ. თუმანიშვილი, თ. ჟორდანია, გ. წერეთელი, ი. მაჩაბელი და ი. მეუნარგია, გამოირკვა, რომ განზრახული დროისათვის შესაძლებელი იყო ბათუმში სკოლის გახსნა. გამგეობამ დაამტკიცა მომავალი სკოლის საავარაუდო ხარჯთაღრიცხვა, რომლის მიხედვით მასწავლებელს ენიშნებოდა 800 მანეთი წლიური ჯამაგირი, მოლას — ორასი, სახლის ქირისათვის საჭირო თანხა შეადგენდა 260 მანეთს და სხვ.[2]

1880 წლის 19 დეკემბერს ილია ჭავჭავაძემ სასწავლო ოლქის მზრუნველის თ. იანოვსკის წინაშე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით შუამდგომლობა აღძრა ბათუმში დაწყებითი სახალხო სკოლის გახსნის შესახებ. იმავე წლის 25 დეკემბერს გამგეობამ დაამტკიცა სკოლის სასწავლო გეგმა, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოების წესდების საფუძველზე იყო შედგენილი.[3] ბათუმის სამხედრო გუბერნატორი, გენერალი კომაროვი კატეგორიულად მოითხოვდა სკოლაში სწავლება თავიდანვე შემოეღოთ რუსულ ენაზე. ამასთან დაკავშირებით ბათუმის სკოლის მასწავლებელი ალ. ნანეიშვილი, შემდეგში ცნობილი სახალახო მასწავლებელი და პუბლიცისტი, ილია ჭავჭავაძეს ატყობინებდა:

— „ილია გრიგოლის ძევ!

თქვენი ტელეგრამა ეს-ესაა მივიღე. პასუხს ტელეგრამითვე გაძლევთ და თან წერილსაც გწერთ იმ იმედით, რომ მანდ კიდევ მოგისწრებთ. სკოლის გახსნა დაგვიანდა იმისათვის, რომ პროგრამა არ მქონდა კომაროვისათვის რომ წარმედგინა. ივანე მაჩაბელი გად-

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 2, ფურ. 147-149.

[2] იქვე, ფურ. 104-105.

[3] იქვე, ფურ. 107-108.

მოგცემდათ ჩემი და კომაროვის საუბარს. კომაროვმა პროგრამა მომთხოვა და როდესაც ვუთხარი, რომ პროგრამის მიღებისთანავე წარმოგიდგენ-თქო, მან მიპასუხა: „Я вам даю программу, если вы не будете с первых дней преподавать русский язык параллельно с грузинским, то я на первый же день закрою вашу школу; Я об этом говорил с попечителем, и он такого же мнения".[1]

ბათუმის სკოლა დაარსდა 1881 წლის 23 მარტს (ამჟამად შ. რუსთაველის სახელობის № 2 საშუალო სკოლა). ეს იყო პირველი სკოლა, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოების საკუთარი სახსრებით გაიხსნა. სკოლის გახსნაზე ჩავიდა ილია ჭავჭავაძე. ილიას ბათუმში ჩასვლას სხვა მიზანიც ჰქონდა — მაჰმადიან ქართველთა შვილების მოზიდვა, რაც პირველ ხანებში ძალიან ჭირდა. ადგილობრივი გავლენიანი ბეგები თავიანთ შვილებს სკოლაში არ აბარებდნენ; ვრცელდებოდა ხმები, თითქოს წერა-კითხვის საზოგადოება წინააღმდეგი იყო სკოლაში მაჰმადის სჯულის სწავლების შემოღებისა.

ილიამ ბათუმში ჩასვლისთანავე, ალ. ნანეიშვილის დახმარებით, მოიწვია გავლენიანი ბეგების თათბირი ნური-ბეგ ხიმშიაშვილის სახლში.[2] თათბირზე გამოირკვა, რომ ბეგებს სურდათ მაჰმადის სჯულის მასწავლებლად დაენიშნათ ვინმე აფხაზი ხოჯა, რომელიც ბათუმში ცხოვრობდა. ილიამ იგი მაშინვე მოაყვანინა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ხოჯამ ქართული სრულებით არ იცოდა, ამიტომ ილიამ უარი თქვა მის დანიშვნაზე. იგი ცდილობდა ამ საგნის მასწავლებლად შეერჩია ქართული ენის მცოდნე და ქართველებისადმი კეთილად განწყობილი პიროვნება.

ილია ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა წერა-კითხვის საზოგადოების სკოლებში მასწავლებელთა დანიშვნას და ცდილობდა შეერჩია უფრო გამოცდილი და შრომისმოყვარე პედაგოგები, რომლებიც არ შეუშინდებოდნენ სიძნელეებს და, რაც მთავარია, ხელს შეუწყობდნენ მოსწავლეებში ეროვნულ-პატრი-

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 33, ფურ. 24-25.

[2] იქვე, ფურ. 44-49.

ოტული გრძნობების აღზრდას. მაგალითად, ილიას რჩევით, 1882 წელს ბათუმის სკოლის მასწავლებლად დაინიშნა მოსე ნათაძე, ენერგიული და შრომისმოყვარე პედაგოგი, რომელმაც სულ მოკლე ხანში სკოლა ფეხზე დააყენა. მისი თავდადებული შრომის შედეგად სკოლაში ბევრი მაჰმადიანი ქართველი შემოვიდა. 1882 წლის 14 ნოემბერს მ. ნათაძე წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას ატყობინებდა:

— „ამ დღეებში ბათუმის მაჰმადიან ქართველებს მოვუყარე ერთად თავი და გამოვუცხადე, რომ მათ მოეცათ ჩემთვის უკანასკნელად კატეგორიული პასუხი — სურთ თუ არა შვილების მობარება ჩემდამი რწმუნებულ სკოლაში.

— ძალიან ბევრი ხალხი შეიკრიფა. ყრილობაზე დაესწრნენ მთელი ბათუმის მაჰმადიანი ქართველების წარჩინებული პირები და ახლო-მახლო სოფლების წარმომადგენლობა. ამ სხდომაზე გადაწყვიტეს, რომ ბათუმის სკოლაში შვილები მიეცათ და ეს აზრი ფაქტიურად დაამტკიცეს განჩინებით, რომელსაც ამ მოხსენებასთან ერთად ვუგზავნი მმართველობას“.[1]

მაჰმადიან ქართველთა „განჩინებას“ ხელს აწერდა 25 კაცი. ერთ-ერთ მუხლში აღნიშნული იყო, რომ მაჰმადის სჯულის მასწავლებლად წერა-კითხვის საზოგადოებას უნდა მოეწვია მათ მიერ ამორჩეული სულეიმან ეფენდი, რომელიც მაჭახალაში ცხოვრობდა.[2]

აღნიშნული „განჩინების“ საფუძველზე 1882 წლის 20 დეკემბერს ილია ჭავჭავაძემ შუამდგომლობა აღძრა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე ბათუმის სკოლაში მაჰმადის სჯულის მასწავლებლად სულეიმან ეფენდის დანიშვნის შესახებ.[3] იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მაჰმადიან ქართველთა შორის, იცოდა ქართული ენა და, რაც მთავარია, უყვარდა ქართველები.

1891 წელს, მ. ნათაძის გარდაცვალების შემდეგ, ილიას ინიციატივით ბათუმის სკოლის მასწავლებლად დაინიშნა მიხეილ შარაშიძე.

---

[1] ცსსა, ფონ. 481. საქ. 33, ფურ. 114-115.

[2] იქვე.

[3] იქვე, ფურ. 179.

აი, რას წერდა ილია ამასთან დაკავშირებით მიხ. შარაშიძეს:

— „ჩემი პირადი სურვილი და განკარგულება იყო, რომ შენ ასეთ პასუხსაგებ ადგილზე გამეგზავნე; იმედია, გაამართლებ ჩემს ნდობას... დიდი სიფრთხილით და მოხერხებით არის საჭირო ქართველ მუსულმანებს შორის მუშაობა; დიდი მიღწევა იქნება ჩვენის მხრით წერა-კითხვასთან ერთად თუ შეაგნებინებ, რომ ისინი ქართველები არიან, რომლებიც ჩვენგან განირჩევიან მხოლოდ და მხოლოდ სარწმუნოებით".[1]

ბათუმის სკოლის დიდ ეროვნულ მნიშვნელობაზე მიუთითებდა სერგეი მესხიც, რომელიც „დროებაში" წერდა: — „ბათუმში სკოლის დაარსება საზოგადოების მიერ ჩვენის ფიქრით სწორედ რომ კეთილი, მოსწრებული და ფრიად სასარგებლო საქმე იყო. ეხლა რა საშუალება აქვს ხალხს ერთობის გრძნობით შეემსჭვალოს დაკარგულ ძმათა, რომელნიც დროთა ვითარების გამო ისევ დაგვიბრუნდნენ, თუ არა სკოლა? მხოლოდ ამ სკოლის შემწეობით შეიძლებოდა ქართველთ მაჰმადიანთ და ჩვენს შორის ზნეობრივის კავშირის დამყარება, სულიერის თვისტომობის განმტკიცება და სწორედ ამ საშუალებასაც მიმართა საზოგადოებამ. ეს სწორედ დამსახურებაა მისი და არ შეიძლება არ დავუმადლოთ ამისათვის მაშინ, როცა სხვა საქმის შესახებ ბევრად ღირსი არის, რომ გავკადნიერდეთ და ვუსაყვედუროთ".[2]

1881 წლის 12 ნოემბერს ბათუმის სკოლა დაუთვალიერებია თ. იანოვსკის, იგი უკმაყოფილო დარჩენილა იმის გამო, რომ რუსული ენის სწავლება არ წარმოებდა მთავარმართებლის მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ხშირად ბათუმის სკოლა შევიწროებას განიცდიდა ადგილობრივი მთავრობის მხრივ. შემდეგ წერა-კითხვის საზოგადოება იძულებული გახდა ნაწილობრივ დაეთმო და რუსული ენის სწავლება სკოლაში პირველი წლის მეორე ნახევრიდან შემოეღო.

გახსნისთანავე ბათუმის სკოლაში მიუღიათ 28 მოსწავლე, მათ

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 33, ფურ. 172.

[2] „დროება", 1884წ., № 114.

შორის 11 მაჰმადიანი, 6 კათოლიკე და 11 მართლმადიდებელი. ქართველ მაჰმადიანთა შორის იყვნენ ბეგების შვილებიც: იუსუფ-ზია-ბეგ აბაშიძე (ჰუსეინ-ბეგ აბაშიძის ვაჟი), კერიმესი იულია-ხანუმ აბაშიძე, ბოლქვაძე შაბან, ალი-ბეგ აბაშიძე, აბდილ-ბეგ აბაშიძე, ფეევზი-ბეგ აბაშიძე, ოსმან-ბეგ ბეჟან-ოღლი და სხვ.[1]

პირველ ხანებში ბათუმის სკოლა, სხვადასხვა მიზეზების გამო, ვერ ასრულებდა თავის დანიშნულებას. მაჰმადიან ქართველთა შვილები სულ უფრო ნაკლებად დადიოდნენ სკოლაში და ხოჯის ჩაგონებით ქართული ენის სწავლებაზე უარს აცხადებდნენ. ალექსანდრე ნანეიშვილი ამ ფაქტს იმით ხსნიდა, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს სათანადოდ არ ჰქონდათ გათვითცნობიერებული სწავლა-განათლების მნიშვნელობა; გარდა ამისა, აჭარის მოსახლეობა არ იყო დაწყნარებული იმის გამო, რომ ჯერ არ იყო გასული ოსმალეთში მათი გადასახლების ოფიციალური ვადა; ამას ხელს უწყობდა მაჰმადიანთა სკოლის მასწავლებელიც, რომელიც მუსულმან ქართველ მოსწავლეთა შორის ავრცელებდა იმ აზრს, რომ ქართული ენის შესწავლა მათ სჯულს შეაცვლევინებდა და ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოაქცევდა. მაგალითად, ხოჯა აბხაზს ერთ დღეს ყველა მაჰმადიანი ყმაწვილი სასწავლებლიდან წაუყვანია.

მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა მოსე ნათაძის (შემდეგში ცნობილი პედაგოგის) თავდადებული მუშაობის შედეგად. მ. ნათაძის ინიციატივით 1882 წლის 30 ოქტომბერს ბათუმისა და მისი მახლობელი სოფლების მაჰმადიანმა ქართველებმა შეიმუშავეს „განჩინება“, რომლის მიხედვით ისინი თანხმობას აცხადებდნენ მიებარებინათ თავიანთი შვილები ბათუმის სკოლაში იმ პირობით, თუ თურქული ენისა და მაჰმადის სჯულის მასწავლებელსაც დანიშნავდნენ.

მ. ნათაძე გ. ყიფშიძეს ბათუმიდან სწერს:

— „ჯერჯერობით ისე მიდის საქმე, რომ ბევრი კარგი იმედები მეხატება თავში სკოლის რიგიანად წაყვანაზე და შემდეგში რა იქნება, ალახმა იცის. ამ ერთს წელიწადს თავს მოვიკლავ და

---

[1] ცსსა, ფონ. 481. საქ. 33, ფურ. 31-32.

მოვაწყობ, თუ ვერა გავხდი რა, ავიღებ გუდა-ნაბადს და წავალ ჩემს გზაზე, სირცხვილით როგორ დავენახო „საზოგადოებას“, მაგრამ, გიგა, ამ ცალ წვერულვაშს მოვიპარსავ, თუ მაჰმადიანების შვილებით არ გავავსე სკოლა“.[1]

1881 წლის 8 ივნისს, წერა-კითხვის საზოგადოების წლიური ანგარიშის განხილვისას, დადგა საკითხი ბათუმის სკოლის შესახებ. საზოგადოების წევრმა დ. აბდუშელიშვილმა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება სკოლისადმი ამგვარად გამოხატა: — „რისთვის გაიხსნა სკოლა ბათუმში, საქართველოს განაპირა ქვეყანაში, სადაც ლაზები ცხოვრობენ და არა მაგალითად, სვანეთში; შიგ შუა საქართველოშიც ბევრი დიდრონი სოფლებია, რომლებიც სკოლებს მოკლებული არიან. ბათუმის სკოლაზე ფულიც ბევრი იხარჯება.[2]

დ. აბდუშელიშვილს პასუხი გასცა ივ. მაჩაბელმა:

— „ბათუმში სკოლის გახსნა სრულიად ეთანხმება საზოგადოების მიზანსა და წესდებას, — ამბობდა იგი, — სკოლის გახსნას ბათუმში ძალიან კარგი შედეგი ჰქონდა. იქაური ქართველი მაჰმადიანები, რომელნიც ეჭვის თვალით უყურებდნენ ჩვენს დაწყობილობას, დღეს დიდი ხალისით აძლევენ ყმაწვილებს ჩვენს სკოლაში, ასე რომ ჩვენ ვერც დაგვიკმაყოფილებია მათი მოთხოვნილება. ამ მხრით თუ შევხედავთ საქმეს, 1500 მან. წლიური ხარჯი სრულებით არ უნდა გვებევრებოდეს. ჩვენი სკოლა უნდა სამაგალითო იყვეს იმ მხარეში და თავისი ნაყოფიერი მოქმედებით აღუძრას ხალხს ხალისი განათლებისა და სკოლების საქმისა“.[3]

1882 წლის ნოემბერში სკოლის ვითარების შესასწავლად ბათუმში გაიგზავნა გამგეობის წევრი სერგეი მესხი. როგორც მისი მოხსენებიდან ჩანს, იგი დასწრებია მ. ნათაძის გაკვეთილებს და კმაყოფილი დარჩენილა მოსწავლეთა მომზადების დონით. — „ერთი სიტყვით, ნათაძის ხელში ჩვენი ბათუმის სკოლა საიმედო და სასურველ ნიადაგზე იქნება დამდგარი, თუ შემდეგშიც ასე კეთილს-

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 33, ფურ. 91.
[2] საქ. 2, ფურ. 147.
[3] საქ. 33, ფურ. 92.

ინდისიერად წაიყვანა საქმე, როგორც დღემდის მიყავს“ — სწერდა იგი გამგეობას.[1]

ბათუმის სკოლა მოსე ნათაძის ხელმძღვანელობით სულ უფრო მყარ ნიადაგზე დგებოდა, რასაც ადასტურებს გამგეობის წევრი გ. გაბაშვილიც, რომელიც 1883 წლის 1 ივლისს სკოლის მოსწავლეთა გამოცდას დასწრებია. ამასთან დაკავშირებით იგი კმაყოფილებით ატყობინებს გამგეობას, რომ მოსწავლეები ყველა საგანში პროგრამაზე მეტ ცოდნას ამჟღავნებენ და იქაურ სამოქალაქო სკოლაში მაჰმადიან ქართველთაგან ერთიც აღარა სწავლობდა, ყველა ჩვენს სკოლაში გადმოვიდაო.[2]

ბათუმის სკოლის ყოფნა-არყოფნის საკითხი ხშირად გამხდარა გამგეობის მსჯელობის საგანი, რადგანაც სკოლის შენახვა წერა-კითხვის საზოგადოებას ძვირი უჯდებოდა. გამგეობა სკოლის საჭიროებისათვის ყოველწლიურად ორი ათას მანეთს ხარჯავდა, რაც მძიმე ტვირთად აწვა საზოგადოებას. მარტო 1887 წელს ბათუმის სკოლის ხარჯები შეადგენდა 1637 მანეთს, მაშინ, როდესაც საზოგადოების წლიური შემოსავალი სამი ათას მანეთს არ აღემატებოდა; ამასთან, გასავალი სულ უფრო მატულობდა და შემოსავალი კი მცირდებოდა. გამგეობა ცდილობდა რაიმე საშუალება გამოენახა სკოლის შესანახად: ნიშნავდა კომისიებს, მართავდა კონცერტებსა და წარმოდგენებს, მაგრამ მუდმივი მატერიალური წყაროს გამოძებნას მაინც ვერ ახერხებდა.

1887 წლის 24 მაისს წერა-კითხვის საზოგადოების წლიურ კრებაზე დიდი კამათი გაიმართა ბათუმის სკოლის შესახებ — ან საზოგადოება, ან ბათუმის სკოლა — ასე იდგა საკითხი. საზოგადოების ზოგიერთი წევრი (პ. მირიანაშვილი, ა. ჭყონია, პ. უმიკაშვილი და სხვ.) მოითხოვდა სკოლის დროებით დახურვას სახსრების უქონლობის გამო, ზოგი — სკოლის შენარჩუნების მომხრე იყო, თუ ხარჯები შემცირდებოდა და სკოლაში ოთხის ნაცვლად სამი, ან ორი განყოფილება დარჩებოდა.

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 33, ფურ. 93.

[2] იქვე.

ივანე მაჩაბლის აზრით, ბათუმის სკოლის მნიშვნელობა „ფულით არ აიწონებოდა“, ამიტომ, ყველა შემთხვევაში, საზოგადოებას სკოლა უნდა შეენახა.

იაკობ გოგებაშვილი მოითხოვდა ბათუმიდან სკოლის გადატანას „ახლადშემოერთებული ოსმალოს საქართველოს რომელიმე მჭიდროდ დასახლებულ სოფელში“, სადაც სკოლის შენახვა უფრო იაფი დაჯდებოდა, რაც საზოგადოების არსებობას საფრთხეს ააცდენდა.

აკაკი წერეთელი ამბობდა, რომ, თუ ერთხელ დავკეტავთ სკოლას, შემდეგში აღარ გაგვიხსნიანო — „ამისათვის საჭიროა დარჩეს ბათუმის სკოლა, რომ უფლება მაინც არ დავკარგოთ საბოლოოდ“-ო.

ნიკო ცხვედაძე იმედს გამოთქვამდა — როგორც აქამდე შევძელით, ისე შემდეგშიაც შევძლებთ ლატარია-ალეგრას გამართვას და ამ გზით საჭირო სახსრების გამოძებნასო. მისი აზრით, კარგი იქნებოდა, თუ სკოლასთან დაარსდებოდა სამზრუნველო კომიტეტი, რომელიც დაეხმარებოდა გამგეობას სკოლის შენახვაში. — „ჩვენ უნდა ვეცადოთ უკანასკნელ ღონისძიებამდე, დავიტოვოთ ეს სკოლა ჩვენდა სასახელოდ“ — ამბობდა ნ. ცხვედაძე.

კრებამ გადაწყვიტა შეენარჩუნებინათ ბათუმის სკოლა საკუთარი სახსრებით და აირჩია კომისია სამზრუნველო კომიტეტის შექმნის მიზნით. კომისიას სათავეში ჩაუდგა ნიკო ცხვედაძე, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო აგრეთვე ბათუმის ახალი სასკოლო შენობის მშენებლობისათვის. ამასთან დაკავშირებით დავით კლდიაშვილი, რომელიც იმ დროს სამსახურებრივი მოვალეობის გამო ბათუმში იმყოფებოდა და არჩეული იყო სამზრუნველო კომიტეტში, გადმოგვცემს:

— „...ენერგიით სავსე ნიკო ჩამოვიდა ბათუმში. მოუყარა სკოლის ეზოში ქართველობას თავი და მისებური, მხურვალე სიტყვით მიმართა ყრილობას, რომ შესდგომოდნენ სასწავლებლისა და მასწავლებლებისათვის შენობის აგებას. კეთილი განზრახვით მიმართული სიტყვა კეთილად დამთავრდა. ყველამ აღუთქვა დახმარება ამ საქმეში წერა-კითხვის საზოგადოებას, ვინ ფულით, ვინ საშენი მასალით, ვინ პირადი მუშაობით. საქმე ისე გაჩაღდა, რომ მეორე

წელიწადს სასწავლებელს უკვე მზად ჰქონდა სამაგალითო დიდი შენობა, მშვენივრად მოწყობილი და ცალკე ბინები მასწავლებლებისათვის. სასწავლებელს შეეძლო დაეტია ორასამდე მოსწავლე და მალე კიდეც მიაღწია ამ რიცხვამდე მოსწავლეთა რაოდენობამ. სასწავლებელი მშვენივრად იყო დაყენებული და დიდ სიმპათიას იწვევდა ხალხში. სწავლა ისე ჩინებულად იყო დაყენებული, რომ შემდეგში მეოთხე განყოფილებიდან ყოველწლობით 10-12 გადადიოდა აქაური შემზადების ბათუმის გიმნაზიაში. ამ სასწავლებლის ფეხზედ დაყენებაში, მისი მატერიალურად მოღონიერებაში დიდი მუყაითობა და შემწეობა აღმოუჩინეს ვოლსკის და მესხის ექვთიმე ბერძენიშვილმა და ნიკო საბაევმა. ორივე უანგაროდ, გულწრფელად და სიყვარულით ეკიდებოდა სასწავლებლის საქმეს.

შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია — ბათუმის წერა-კითხვის საზოგადოების სკოლამ დიდძალი შეგნებული ახალგაზრდობა მისცა ხალხს".[1]

ბათუმის სკოლას დიდი ამაგი დასდო ცნობილმა პედაგოგმა გრიგოლ ვოლსკიმ (1860-1909 წწ.), რომელიც 1887 წლიდან თავმჯდომარეობდა სკოლის სამზრუნველო კომიტეტს. მისი ენერგიული შრომის შედეგად 1895 წლიდან ბათუმის სკოლა ახალ შენობაში გადავიდა. იგი ივანე მესხთან (სერგეი მესხის ძმა) ერთად, რომელიც ასევე იყო წევრი სამზრუნველო კომიტეტისა, ხშირად მართავდა სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს სკოლის სასარგებლოდ. დ. კლდიაშვილის გადმოცემით, ყოველ 14 იანვარს, ნინაობას, გრ. ვოლსკი და ივ. მესხი მართავდნენ „განსხვავებულ საღამოებს" და ამ „საღამო-წარმოდგენებზე იწვევდნენ ქართველ მოღვაწეებს, განსაკუთრებით ილიასა და აკაკის.

ბათუმში ხშირად ჩადიოდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წარმომადგენლები: ილია, აკაკი, ი. გოგებაშვილი, პ. უმიკაშვილი, ს. მესხი და სხვები როგორც სკოლის ვითარების გასაცნობად, ისე ლიტერატურულ საღამოებში მონაწილეობის მისაღებად, რაც სკოლას გარკვეულ შემოსავალს აძლევდა. გრ. ვოლ-

---

[1] დ. კლდიაშვილი, მოთხრობები და პიესები, თბ., 1947 წ., გვ. 692-693.

სკის დამსახურებას უნდა მიეწეროს, რომ 1896 წლისათვის ბათუმის სკოლას უკვე სამი მასწავლებელი ჰყავდა, სკოლაში სწავლობდა 105 მოსწავლე, მათ შორის 25 მაჰმადიანი ქართველი, ხოლო 1898 წელს — 101 მოსწავლე, 1899 წელს — 155, მათ შორის 29 მაჰმადიანი, 118 ქრისტიანი, 3 ებრაელი და 5 სომეხი. ამ დროისათვის სკოლაში ოთხი მასწავლებელი ასწავლიდა (ის. რამიშვილი, ს. თოთიბაძე, ა. წულუკიძე და ივ. გოგოლაშვილი).[1]

წერა-კითხვის საზოგადოებას განზრახული ჰქონდა ქართული სკოლები გაეხსნა სამაჰმადიანო საქართველოს სხვა ადგილებშიც. კერძოდ, ქობულეთში, სადაც დიდძალი მაჰმადიანი ქართველი ცხოვრობდა. ამ მიზნით, 1892 წელს საზოგადოებამ ქობულეთში მიავლინა გამგეობის წევრი ექვთიმე თაყაიშვილი.

ექვთ. თაყაიშვილის მოხსენებაში, რომელიც მან გამგეობას წარუდგინა იმავე წლის 25 ოქტომბერს, მოცემული იყო ცნობები იმის შესახებ, თუ რა პირობების გათვალისწინებით შეეძლო გამგეობას სკოლის გახსნა ქობულეთში. როგორც მოხსენებიდან ირკვევა, იმ დროისათვის ქობულეთის მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა შორის არავინ იყო ისეთი, რომელსაც თვალსაჩინო დახმარების გაწევა შეეძლო ამ საქმეში. მართალია ქობულეთში გავლენიან პირებად ითვლებოდნენ დედი-აღა ნიჟარაძე და გულ-აღა კაკაც-ოღლი (კაკაცაიშვილი), მაგრამ იმ დროს ორივე მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა, სამაგიეროდ, მათ შეეძლოთ ზნეობრივი მხარდაჭერა აღმოეჩინათ საზოგადოებისათვის — შთაეგონებინათ მოსახლეობისათვის სკოლის გახსნის საჭიროება, შეეკრიბათ მოსწავლეები, დახმარებოდნენ მასწავლებელს სკოლის მოწყობაში, თავიანთ ხოჯასათვის უსასყიდლოდ ესწავლებინათ მაჰმადის სჯული.

ექვთ. თაყაიშვილის აზრით, სკოლის დაარსების საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეეძლო ადგილობრივ ადმინისტრაციას, თუ იგი „სეზონის ბილეთებს“ შემოიღებდა ქობულეთში დამსვენებლებისათვის და ამ თანხას სკოლას მოახმარდა; კარგი შემოსავალი შემოვიდოდა წარმოდგენა-კონცერტების გამართვის გზითაც, მაგრამ ადმინისტრაციის

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 580, ფურ. 9.

იმედი ექვთ. თაყაიშვილს ნაკლებად ჰქონდა. მისი ცნობით, სასკოლო შენობის დაქირავება საზოგადოებას შეეძლო წელიწადში 300-400 მანეთად. რაც შეეხებოდა მოსწავლეთა რაოდენობას, ექვთ. თაყაიშვილის ვარაუდით, მომავალი სკოლისთვის მარტო ქობულეთში შეიძლებოდა შეკრებილიყო არა უმეტეს 20 მოწაფისა, 20-30 მოწაფე შეგროვდებოდა ახლო-მახლო სოფლებში (ხუცუბანში, კინტრიშში, თეთროსანში, ლელვაში, აჭყვის თავში და სხვ.), ათიოდე აჭარიდან ჩამოვიდოდა. სკოლის შესანახი ხარჯები (მასწავლებლის ხელფასი, სასკოლო ავეჯი, სახელმძღვანელოები და სხვ) გამგეობას უნდა გაეწია.

— „ბოლოს, საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნოთ, რომ სურვილი ქობულეთში სკოლის გახსნისა ქართველ მაჰმადიანთა შორის დიდია და იმედი მარტო წერა-კითხვის საზოგადოებაზე აქვთ დამყარებული“-ო[1] — წერს ექვთ. თაყაიშვილი.

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, მიუხედავად მისი დიდი სურვილისა, ქობულეთში ქართული სკოლის გახსნა ვერ შეძლო, უმთავრესად, უსახსრობის გამო. იმავე მიზეზით სკოლები ვერ გახსნა შავშეთში და სამაჰმადიანო საქართველოს სხვა ადგილებში. ასეთ ვითარებაში იმედად რჩებოდა მხოლოდ ბათუმის სკოლა, რომელსაც დიდი სამსახური უნდა გაეწია მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების სულიერი დაახლოების საქმეში.

90-იანი წლების ბოლოსათვის, ი. გოგებაშვილის სიტყვით, ბათუმის სკოლა წარმოადგენდა ნამდვილ პედაგოგიურ სასწავლებელს, განათლების ჭეშმარიტ ლამპარს, რომელიც ხელს უწყობდა აჭარაში ქართველთა გავლენის გაძლიერებას.[2]

1881 წელს დაარსებულმა ბათუმის ქართულმა სკოლამ 1920 წლამდე იარსება და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აჭარის ეროვნულ-კულტურულ შემომტკიცებაში.

წერა-კითხვის საზოგადოება ყოველთვის ცდილობდა სკოლები გაეხსნა ისეთ ადგილებში, სადაც ქართულ ენასა და კულტურას მეტი საფრთხე მოელოდა. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 310, ფურ. 11-12.

[2] იგივე ფონ., საქ. 252, ფურ. 2.

კავკავში (ყოფილი ორჯონიკიძე) ქართული სკოლის დაარსებას, სკოლას ხელი უნდა შეეწყო იქაურ ქართველებში ეროვნული ვინაობის შენარჩუნებისათვის.

კავკავში ქართული სკოლის გახსნის სურვილი პირველად პეტრე უმიკაშვილმა გამოთქვა ჯერ კიდევ 1881 წელს კავკავში ყოფნის დროს; მის სურვილს მხარი აუბა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ. 1887 წელს გამგეობის დავალებით ივ. მარჯანიშვილმა და ილ. ბაქრაძემ აღწერეს კავკავის ქართველი მოსახლეობა, საიდანაც გამოირკვა, რომ იმ დროისათვის კავკავში ცხოვრობდა საკმაოდ დიდი რაოდენობა ქართველებისა, რომლებსაც შეეძლოთ საკუთარი ხარჯით სკოლის შენახვა.

კავკავის ქართული სკოლის დაარსებაში დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ საზოგადო მოღვაწეს მიხეილ ყიფიანს, რომელიც მაშინ სამსახურებრივი მდგომარეობის გამო იქ ცხოვრობდა. 1888 წლის 8 მაისს კავკავის ქართველმა საზოგადოებამ თხოვნით მიმართა მას ეთავა სკოლის გახსნის საქმე. იმავე წლის მაისში მ. ყიფიანი წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას წერდა: — „არის სრული იმედი, რომ, როდესაც სასწავლებელი გაიხსნება და თვალით დაინახავენ აქ მცხოვრებლები, უფრო ერთი-ორად მომჭირნედ მოეკიდებიან ამ საქმეს. ამჟამად კი თითქმის არც კი სჯერათ, რომ ქართული შკოლა გაიხსნებოდეს აქა“.[1]

წერა-კითხვის საზოგადოება თავიდანვე დიდ ყურადღებას უთმობდა კავკავის ქართულ სკოლას. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ კავკავის სკოლის სასწავლო მეთოდები პირადად ილია ჭავჭავაძეს შეუმუშავებია. წერა-კითხვის საზოგადოების ფონდის მასალებში შემონახულია ილიას მოხსენება ამ საკითხზე.[2]

1888 წლის 10 ნოემბერს, წმ. გიორგობის დღეს, მიხეილ ყიფიანის თაოსნობით წერა-კითხვის საზოგადოებამ ვლადიკავკავში გახსნა ქართული დაწყებითი სკოლა, რომელიც თავიდან ორი განყოფილებისაგან შედგებოდა. 1891 წლიდან გაიხსნა მესამე და მეოთხე განყოფილება. სკოლის სამზრუნველო კომიტეტს შეადგენდნენ ადგ-

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 173, ფურ. 14.

[2] იქვე, ფურ. 22.

ილობრივი ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები: ტ. კახიძე, სვ. გაბაშვილი. ნ. ფხაკაძე, ივ. მარჯანიშვილი, ილ. ბაქრაძე და სხვ. კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა მიხეილ ყიფიანი, რომელიც ამ მოვალეობას ასრულებდა 1891 წლამდე (გარდაცვალებამდე). მის შემდეგ ამ თანამდებობაზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: მართა ჭავჭავაძე, გ. სიდამონ-ერისთავი, მ. ნათიაშვილი, ი. ლორთქიფანიძე, ე. ერისთავი, ალ. სარაჯიშვილი და სხვ.

პირველ ხუთ წელიწადს სკოლა ნაქირავებ შენობაში იყო მოთავსებული. 1893 წლისათვის სამზრუნველო კომიტეტმა ადგილობრივი ქართველების დახმარებით შეძლო ახალი სასკოლო შენობის აგება. სკოლის გამგედ დაინიშნა კავკავის კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელი ტიტე კახიძე. 1892 წლიდან კავკავის სკოლაში ასწავლიდა ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ლუარსაბ ბოცვაძე, რომელსაც ილია ჭავჭავაძე დიდი პატივისცემითა და ნდობით ეპყრობოდა.

ახალი სკოლის შენობამ ვლადიკავკაველ ქართველებს უბიძგა ეზრუნა სკოლასთან ქართული ეკლესიის აშენებაზეც, რაც მათი დიდი ხნის ოცნებას წარმოადგენდა. აქამდე ისინი მიწერილი იყვნენ ოსების ეკლესიაზე, სადაც წირვა-ლოცვა ოსურ და რუსულ ენებზე სრულდებოდა. ამ სურვილის გაღვივებას ხელი შეუწყო ლუარსაბ ბოცვაძის ინიციატივამ — მან მოსწავლეებისაგან შეადგინა მგალობელთა გუნდი, რომელიც ოსების ეკლესიაში წირვა-ლოცვის დროს ქართულად გალობდა, ხოლო სამოციქულოს ქართულ ენაზე კითხულობდა თვითონ ლ. ბოცვაძე.

1898 წელს ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის სახსრებით კავკავის სკოლასთან აშენდა წმ. ნინოს სახელობის ეკლესია, სადაც მღვდლად მოიწვიეს ცნობილი პედაგოგი გიორგი ნათაძე, რომელიც სკოლაში საღვთო სჯულს ასწავლიდა. გიორგი ნათაძე (1870-1946 წწ.) 35 წელი მოღვაწეობდა ვლადიკავკავში, ამ ხნის მანძილზე მან დიდი ამაგი დასდო მთიელთა განათლების საქმეს. ქართული სკოლისა და ეკლესიის მეშვეობით ვლადიკავკავის ქართველობა ინარჩუნებდა დედაენასა და ეროვნულ კულტურას.

წერა-კითხვის საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდა მ. ყიფიანის

ინიციატივას სტეფანწმინდაში (ყაზბეგი) ქართული სკოლის გახსნის შესახებ და ამ საქმისათვის 200 მანეთიც გამოყო[1], მაგრამ, სამწუხაროდ, 1891 წელს მ. ყიფიანი გარდაიცვალა და ეს კეთილშობილური საქმე განუხორციელებელი დარჩა.

ჯერ კიდევ 1879 წელს ინგილო მასწავლებელმა ბათო ხუციშვილმა ახლად დაარსებულ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გაზეთ „დროების" საშუალებით თხოვნით მიმართა ზაქათალის ოლქში მცხოვრებ მუსულმან ინგილოებისათვის ქართული სკოლის დაარსების საჭიროების შესახებ. წერილის ავტორი იმედს გამოთქვამდა, რომ წერა-კითხვის საზოგადოება ამ ნაბიჯს გადადგამდა, რათა აღედგინა საინგილოში „მივიწყებული მშობლიური ენა და წერა-კითხვა".[2]

ზაქათალის მხარე, რომელიც მე-17 საუკუნიდან ლეკი ფეოდალების ჩაგვრას განიცდიდა, 1803 წელს რუსეთის შემადგენლობაში მოექცა და ჭარ-ბელაქნის მიწები 1860 წლიდან ზაქათალის ოლქად გამოცხადდა. კავკასიის ომების პერიოდში ჭარ-ბელაქნელი ლეკები შამილის დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ კავკასიონის სამხრეთ ნაწილში. რუსეთის მთავრობა ომის პერიოდში ქრისტიანობისა და რუსული სკოლების გავრცელების გზით ცდილობდა აქაურ მხარეში თავისი პოზიციების განმტკიცებას, მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ რუსეთის ინტერესი ზაქათალის ოლქის მიმართ საგრძნობლად შემცირდა და სკოლების გახსნაზე მთავრობის „მზრუნველობაც" შეჩერდა. ამით კარგად სარგებლობდნენ ადგილობრივი ფანატიკოსი მუსულმანები, რომლებიც, ისე როგორც ბათუმის ოლქსა და ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში, აქაც ეწეოდნენ გაძლიერებულ ანტიქართულ პროპაგანდას და ყოველმხრივ ცდილობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის პროთურქულ ორიენტაციაზე გადაყვანას.

გარდა პანთურქისტებისა, მაჰმადიან და ქრისტიან ინგილოებს ერთმანეთს უპირისპირებდნენ და მათ მშობლიურ ენას დევნიდნენ

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 246, ფურ. 2.
[2] გაზ. „დროება", 1879 წ., № 261.

ადგილობრივი რუსი მოხელეებიც. როგორც ჰაიდარ აბაშიძე მიუთითებს, ამ მხრივ ერთ ტაფაში იწვოდნენ ბათუმის ოლქში, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს მაზრებში და საინგილოში მცხოვრები მაჰმადიანი ქართველები. „...ამათი წმინდათა წმიდა დედა-ენა შელახულია, — წერს ჰ. აბაშიძე, — ეროვნული გრძნობა გმობილი, ერთის მხრივ რუსის მოხელეები იღწვიან, მეორეს მხრივ ოსმალოში განათლებული თურქი მოლები“.[1]

ადგილობრივი პედაგოგები ირეოდიონ ოქროპირიძე, ბათო ხუციშვილი, დიმიტრი ჯანაშვილი და სხვ. ცდილობდნენ ეროვნული გრძნობები გაეღვივებინათ ინგილოთა შორის, რომლებსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დავიწყებული ქართული ენა და ახსოვდათ თავიანთი წინაპრები. მაგალითად, 1881 წელს ბათო ხუციშვილმა სოფელ ალიაბადში საკუთარი ხარჯით გახსნა დაწყებითი რუსული სკოლა, სადაც არალეგალურად ქართულ ენასაც ასწავლიდა, ამის გამო იგი სკოლიდან დაითხოვეს. 1889 წელს სკოლაც დაიხურა.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 1882 წლიდან დაწყებული, თითქმის ყოველწლიურად ეხმარებოდა სახელმძღვანელოებით, კალენდრებით და სხვა სასწავლო ნივთებით კახის, ალიბეგლოს, ყორაღანის, კახის ქალთა, ქეთოქლოსა და მეშაბაშის სამრევლო სკოლებს. 1888 წელს საზოგადოებამ 11 მანეთის ღირებულების წიგნები და სასწავლო ნივთები გაუგზავნა კახის ქალთა სკოლას. მათ შორის „ანბანი“-4, „კოკორი“-10 ეგზემპლარი, „ბუნების კარი“— 3 ცალი, „დედა-ენა“ — 30 ცალი და კალენდარი 1889 წლისათვის.[2]

წერა-კითხვის საზოგადოება უფრო მეტ მზრუნველობას მაჰმადიანი ინგილოების მიმართ იჩენდა, ვიდრე ქრისტიანი ინგილოებისადმი, მაშინ, როცა სოფელ კახში, სადაც 500 კომლი ქრისტიანი ინგილო ცხოვრობდა, არ იყო არც ერთი ქართული სკოლა, ხოლო კახის ადგილობრივი მცხოვრებლები უფრო თათრულად ლაპარაკობდნენ, ვიდრე ქართულად.

---

[1] „სახალხო გაზეთი“, 1914 წ., № 1169.

[2] ცსსა, ფონ. 481, საქ. 176, ფურ. I.

სამწუხაროდ, წერა-კითხვის საზოგადოების ბიუჯეტი საშუალებას არ იძლეოდა ფართო სასკოლო მოღვაწეობისათვის. საზოგადოება ძლივს ახერხებდა ბათუმის ქართული სკოლის შენახვას; უსახსრობისა და სიშორის გამო დიდხანს ვერ შეძლო ვერცერთი სკოლის გახსნა ბორჩალოს მაზრაში, სადაც გადაგვარების საფრთხე ემუქრებოდა არა მხოლოდ ქართულ ენას, არამედ ქრისტიანულ სარწმუნოებასაც.

1889 წლის 12 ნოემბერს წერა-კითხვის საზოგადოების წლიურ კრებაზე გამგეობის წევრმა ანტ. ფურცელაძემ წინადადება შეიტანა სოფელ რეხაში (ბორჩალოს მაზრა) ქართული სკოლის დაარსების შესახებ. მისი სიტყვით, ეს მეტად საშური საქმე იყო, რადგან იქ მცხოვრები ქართველობა თათრების გარემოცვაში ცხოვრობდა. — „ეს საქმე იქამდის მისულა, რომ ქართველებს არამცთუ ენა, თითქმის სარწმუნოებაც დაუკარგავთო“.[1] — აღნიშნავდა ანტ. ფურცელაძე.

გამგეობა მაშინვე შეუდგა სოფელ რეხაში სკოლის გასახსნელად საჭირო ცნობების შეგროვებას. მან წერილით მიმართა ცნობილ საზოგადო მოღვაწეს მიხ. ქართველიშვილს, რომელიც მაშინ იქ მსახურობდა, რომ გამგეობისათვის ეცნობებინა, რამდენი კომლი ქართველი ცხოვრობდა რეხაში და შეეძლო თუ არა სოფლის მოსახლეობას საკუთარ ხარჯზე სკოლის მოწყობა.

იმავე წლის 14 დეკემბერს მიხ. ქართველიშვილმა წერილით აცნობა ი. გოგებაშვილს, რომ რეხაში ცხოვრობდა 120 კომლი ქართველი; მათ შორის დედაენაზე ლაპარაკობდნენ მხოლოდ ხანშიშესულები და ისიც დიდი გაჭირვებით, ახალგაზრდობა კი მარტო თათრულად ლაპარაკობდა. — „რეხიდან ხუთი ვერსის სიშორეზე არის ბერძნების სოფელი აფრანგლო და ამ სოფელში არსებობს სკოლა, სადაც ყმაწვილები სწავლობენ, მხოლოდ რუსულად და ბერძნულად. ამ სკოლაში სასწავლებლად აგზავნის შვილებს ზოგიერთი რეხელიც“[2] — წერს მიხ. ქართველიშვილი. მისი აზრით, რეხელებს დიდი სურვილი ჰქონდათ სკოლის გახსნისა, ამიტომ

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქმე 97, ფურ. 5-6.
[2] იგივე ფონდი, საქ. 207, ფურ. 3-4.

შეძლებდნენ წელიწადში 200 მანეთის გაღებას სკოლის სასარგებლოდ.

წერა-კითხვის საზოგადოების დიდი მცდელობის მიუხედავად, ამ პერიოდში სოფელ რეხაში ქართული სკოლის გახსნა ვერ მოხერხდა; ეს მხოლოდ 1904 წელს გახდა შესაძლებელი. საზოგადოება იმედოვნებდა, რომ ქართულ სკოლას გახსნიდა სოფელ წინახუხაშიც (ბორჩალოს მაზრა), სადაც არტაანის მაზრიდან 200 კომლზე მეტი ქართველი ყოფილა გადმოსახლებული. თათრული სოფლებით გარემოცულ სოფლის მოსახლეობას გადაგვარების საფრთხე ემუქრებოდა, რასაც კარგად გრძნობდა წერა-კითხვის საზოგადოება, მაგრამ, სამწუხაროდ, წინახუხაში სკოლის გახსნა ვერ მოხერხდა.

საინგილოში ქართული სკოლის დაარსებისათვის პირველი პრაქტიკული ნაბიჯები წერა-კითხვის საზოგადოებამ შედარებით მოგვიანებით გადადგა. ამ მიზნით სოფელ თასმალოში (ალიაბადის მაზრა) გამგეობამ მიავლინა საზოგადოების სკოლების მეთვალყურე გრ. ბურჭულაძე, რომელმაც 1916 წლის 2 მარტს ვრცელი მოხსენება წარუდგინა გამგეობას თასმალოში სკოლის გახსნასთან დაკავშირებით. გრ. ბურჭულაძის აზრით, წერა-კითხვის საზოგადოებას დიდი და ხანგრძლივი შრომა დასჭირდებოდა საინგილოს მაჰმადიან ქართველთა შორის ეროვნული თვითშეგნების ასამაღლებლად.[1]

1916 წლის 16 ივლისს წერა-კითხვის საზოგადოებამ თხოვნით მიმართა თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს, ალიაბადის მაზრის სოფელ თასმალოში სკოლის გახსნის შესახებ. თხოვნას თან ერთვოდა საზოგადოების მიერ შედგენილი სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვით რუსული ენის სწავლება იწყებოდა მეორე წლიდან. სასწავლო უწყებამ რუსული ენის სწავლება მოითხოვა პირველივე წლიდანვე და მხოლოდ ამის შემდეგ გასცა სკოლის გახსნის ნებართვა.[2]

თასმალოში სკოლის გასახსნელად თითქოს ყველაფრი მზად

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1617, ფურ. 13.

[2] იქვე, ფურ. 5.

იყო. დაინიშნა სწავლის დაწყების დრო და მასწავლებელი, მაგრამ ამ საქმეს თავი მაინც ვერ დაედგა. ამის მიზეზი იყო ის ანტიქართული პროპაგანდა, რასაც დიდი ხნის მანძილზე ეწეოდენ აქ ოსმალეთიდან გადმოსული ხოჯები და ადგილობრივი მოლები. ისინი თვლიდნენ, რომ ქართული სკოლა მათ მრევლს ქრისტიანობაზე მოაქცევდა და ყოველ ღონეს ხმარობდნენ ამ საქმის ჩასაშლელად; პირველ რიგში მაჰმადიან ინგილოებს შთააგონებდნენ, რომ მათი მშობლიური ენა იყო თათრული და მხოლოდ ამ ენაზე შეეძლოთ ესწავლათ.

საინტერესოა მასწავლებელ ბათო ხუციშვილის მოსაზრება თასმალოში სკოლის არგახსნის მიზეზებთან დაკავშირებით, რომელიც მან გამოთქვა გაზეთ „სახალხო ფურცელში". ამასთან დაკავშირებით ბ. ხუციშვილი ასახელებს შემდეგ 4 მიზეზს: 1. ინგილო-მუსულმანების სოფლებში მოლებმა დიდი ხანია დააარსეს მედრესები (სკოლები); 2. ქართველმა საზოგადოებამ აქამდის ვერ მოახერხა 35 ათას გამაჰმადიანებულ ინგილოთა შორის ერთი რიგიანი ქართული სკოლის დაარსება; ბურთი და მოედანი დავუთმეთ მოლებს; 3. ქართველ განათლებულ საზოგადოებას არავითარი კავშირი არა აქვს საინგილოსთან. საზოგადოებამ თავისი უყურადღებობით საინგილო საქართველოს „მოწყვეტილ" კუთხედ აქცია; ინგილოებსაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ქართველ საზოგადოებაზე და 4. დიდი ღვაწლი მიუძღვით ინგილო მისიონრებს, რომლებიც უშვებდნენ შეცდომებს.[1]

ჩამოთვლილი მიზეზები ობიექტურად ასახავდა შექმნილ ვითარებას, მხოლოდ გამონაკლისს წარმოადგენდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც პასიურად, მაგრამ, მაინც, ყოველთვის დახმარების ხელს უწვდიდა საინგილოს სამრევლო-საეკლესიო სკოლებს, განსაკუთრებით, კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მიერ დაარსებულ სკოლებს, სადაც რუსულთან ერთად ქართული ენაც ისწავლებოდა. 1916 წელს წერა-კითხვის საზოგადოებამ სკოლის გახსნის ნებართვაც მიიღო, რასაც, მართალია, წარმატება არ მოჰყოლია, მაგრამ, ფაქტია, რომ სა-

[1] გაზ. „სახალხო ფურცელი", 1916 წ., № 492.

ზოგადოებას დიდი სურვილი ჰქონდა ქართული წერა-კითხვის გავრცელების გზით ეროვნული გრძნობები გაეღვივებინა მაპმადიან ინგილოთა შორის.

1884 წლის 15 დეკემბერს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ მოზდოკში მცხოვრები ქართველებისაგან მიიღო თხოვნა, რომელსაც ხელს აწერდა 38 კაცი. ისინი წერდნენ: — „... დღეს ჩვენდა სასიხარულოდ შევიტყვეთ, რომ ჩვენს სამშობლოში დაწესებულია საზოგადოება, რომელსაც მიზნად აქვს გაავრცელოს ქართველთა შორის წერა-კითხვა და აგრძნობინოს ქართველ კაცს თავისი ვინაობა; ჩვენ, ძველი საქართველოს შვილები, მოზდოკის ქართველი საზოგადოებისაგან ამორჩეული პირნი, უმორჩილესი თხოვნით მივმართავთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რათა შეძლებისდაგვარად აღმოგვიჩინოს საშუალება ჩვენში ქართული სკოლის დასაარსებლად“.[1]

საზოგადოებამ სკოლის გახსნისათვის საჭირო პირობების შესასწავლად მოზდოკში მიავლინა ლუარსაბ ბოცვაძე. მის მიერ შეკრებილი ცნობების მიხედვით, იმ დროისათვის მოზდოკში უცხოვრია 84 კომლ ქართველს (300 სულზე მეტს), რომლებსაც შეეძლოთ გარკვეული დახმარება გაეწიათ სკოლისათვის, მიუხედავად ამისა, უსახსრობისა და სიშორის გამო, საზოგადოებამ ამ საქმის განხორციელება ვერ შეძლო.

ამგვარად, მე-19 საუკუნის 80-90-იან წლებში წერა-კითხვის საზოგადოებამ, უმთავრესად მატერიალური სახსრების სიმცირის გამო, ვერ მოახერხა ფართოდ გაეშალა თავისი სასკოლო მოღვაწეობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

მიუხედავად ამისა, საზოგადოებამ ამ პერიოდში სკოლები გახსნა ქუთაისში (1880 წ.), ბათუმში (1881 წ.), სოფელ წინარეხში (1882 წ.), თონეთში (1883 წ.), ხელთუბანში (1884 წ.), კავკავში (1888 წ.), გომარეთში (1897 წ.) და სხვ. ის, რაც გაკეთდა, მაინც ბევრს ნიშნავდა რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში დედაენის დაცვისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლების თვალსაზრისით.

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 76, ფურ. I.

ბრძოლა ეროვნული თეატრისათვის
(ქართული დრამატული საზოგადოება)

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მიმდინარეობდა განუწყვეტელი ბრძოლა ქართული სულიერებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, სადაც ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეროვნული თეატრისათვის ბრძოლას ეკუთვნოდა. ქართულ თეატრს, გარდა თავისი პირდაპირი დანიშნულებისა, დრომ და ვითარებამ სხვაგვარი მოთხოვნილებაც დააკისრა, რაც ქართველი ერის სულიერმა მოძღვარმა — ილია ჭავჭავაძემ სავსებით გარკვეულად ჩამოაყალიბა: — „ჩვენ ჩვენს სცენას, — წერს ილია, — ორ ღვაწლსა ვსთხოვთ, პირველი — რომ მართლა განწმენდელი იყოს ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენის ჭკუისა და გულის განმანათლებელი და მწვრთნელი და მეორე — იგი უნდა იქმნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა ფეხზედ უნდა წამოდგეს მთელის თავის მშვენებითა და სიმდიდრითა“.[1]

რუსეთის დენაციონალისტური პოლიტიკის პირობებში ქართულ თეატრს, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ფუნქცია ეკისრებოდა, მაგრამ ამისათვის ის უნდა ყოფილიყო ნამდვილი ეროვნული თეატრი ქართული რეპერტუარით, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს გამოხატავდა. — „თეატრი ბევრს შემთხვევაში მარტო ხელოვნების მსახური არ არის. ადგილი, დრო და გარემოება მას ზოგჯერ სხვა სამსახურსაც კისრად სდებს და ამ მხრით თეატრი დაუფასებელი რამ არის და ჩვენ არ ვიცით სხვა მისებრ უებარი საშუალება, რომელიც ეგრე გამარჯვებულად, სასწრაფოდ და პირდაპირ მოქმედებდეს ადამიანის უკეთესთა გრძნობათა გამოფხიზლებასა და მოძრაობაზე“[2] — წერს ილია.

ყოველივე ამის გამო, ილია დიდად აფასებდა იმ მოღვაწეთ, რომლებიც სათავეში ედგნენ ქართულ თეატრს და მის „მრავალგვარ მნიშვნელობას“ გზას უკაფავდნენ. ილიას მიაჩნდა, რომ მას შემდეგ, რაც დაარსდა დრამატული საზოგადოება, თეატრის საქმე

---

[1] ი. ჭავჭავაძე. თხზ., ტ. 5, თბ., 1991 წ., გვ 242.

[2] იქვე.

„მარჯვე კაცების“ ხელში მოექცა, რომლებიც ამ საქმეს უძღვებოდნენ ისეთი წარმატებით, რამდენადაც ამის საშუალებას იძლეოდა ადგილი, დრო და გარემოება.

თავის წერილში „თეატრის როლი ერის ცხოვრებაში“ ილია ქართული დრამატული საზოგადოების შესახებ წერს: — „ჩვენს თეატრს მართალის თეატრის ფერი დაედვა მას აქეთ, რაც მისი საქმე თავს იდვა ჩვენმა დრამატულმა საზოგადოებამ. თვითონ დარბაზი თეატრისა უფრო ფაქიზად და თვალთა სასიამოვნოდ იყურება ვიდრე უწინ, სცენის მოწყობილობა და მორთულობა ლაზათიანია, არტისტები სცენაზედ კარგად და მართებულად იცვამენ და იხურავენ და მაყურებელს თვალში აღარ ეჩხირება დახეული შარვალი, ტალახიანი ჩექმები და სხვა ამისთანა ხელდახელ ნაშოვნი, მიბლანდულ-მობლანდული სამკაული. წარმოდგენის მიმდინარეობას რიგიანობა და წესიერება ეტყობა, მოთამაშედ ჩვენნი უკეთესნი არტისტები არიან მოწვეულნი. ყოველივე ეს ცხადად გვარწმუნებს, რომ ეხლანდელ მეთაურთ თეატრისა მარჯვედ და ცნობიერად ჩაუკიდნიათ ხელი ამ ფრიად დიდ საქმისათვის, რომელსაც ჩვენ ჩვენის ერის ცხოვრებაში დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ“.[1]

თამამად შეიძლება ითქვას, რომ განახლებული ქართული თეატრი დრამატული საზოგადოების პირმშოს წარმოადგენს, რომლის მზრუნველობის გარეშე თეატრალური ხელოვნების განვითარება შეუძლებელი იქნებოდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში; მის დამსახურებას მიეწერება გ. ერისთავის მიერ დაარსებული ქართული პროფესიული თეატრის აღდგენა, ორიგინალური და ნათარგმნი დრამატული ლიტერატურის შექმნა, ქართველი საზოგადოების კულტურულ მოთხოვნილებათა გაზრდა და, რაც მთავარია, ეროვნულ-პატრიოტული გრძნობების გამოღვიძება, რომელიც ხელს უწყობდა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას და ქართული ცნობიერების გამთლიანებას.

მართალია ათასგვარ ხელისშემშლელ პირობებში საზოგადოება ყოველთვის ვერ ახერხებდა წესდებით განსაზღვრული მიზნების

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, 1955წ., გვ. 241.

პრაქტიკულად განხორციელებას, მაგრამ რასაც აკეთებდა, ისიც ბევრს ნიშნავდა ქართული თეატრის შენარჩუნებისათვის. საზოგადოების მოღვაწეობაში იყო დაქვეითების პერიოდები და ზოგჯერ ისეთიც, როდესაც ბეწვზე ეკიდა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი, მაგრამ იმდენად დიდი იყო საზოგადოების მესვეურთა პატრიოტული შემართება, რომ გამგე-კომიტეტი თეატრის ანტერპრენიორობითაც კმაყოფილდებოდა, მხოლოდ არ ჩაშლილიყო ქართული წარმოდგენების გამართვა. ამის მიზეზი იყო მატერიალური სახსრების სიმცირე, რომელიც საზოგადოებას საშუალებას არ აძლევდა დამოუკიდებლად გაძღოლოდა თეატრს. ასეთ შემთხვევებში ქართული თეატრის საქმეს ხელმძღვანელობდნენ ხან ვასო აბაშიძე და კოტე მესხი, ალექსანდრე ნებიერიძე, მარიამ საფაროვა, ხან — „ქართული დასის არტისტთა ამხანაგობა“ და სხვ.

ამასთან დაკავშირებით ცნობილი ქართველი რეჟისორი და მსახიობი ვალერიან გუნია წერს: — „დრამატიული კომიტეტის ხელქვეშ ქართული დასის საქმე საუცხოოდ მიდიოდა და ორ წელიწადს თეატრმა ისე მტკიცედ მოიდგა ნიადაგი, ისე ღრმად ჩაუშვა თავისი ფესვები „საზოგადო მოთხოვნილებაში“, რომ მისი მომავალი თითქმის შეურყეველი იყო და რომ საქმე გაეგრძელებინათ, ჩვენი სცენა ბევრ რუსულ სცენას არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ... ჩვენმა დაუდევრობამ, ურთიერთშეუწყნარებლობამ, პიროვნულმა ჭიამ თავისი იმოქმედა და 1883 წლიდან, თუმცა დრამატიული კომიტეტი ქაღალდზე ხსენებაში იყო, მაგრამ საქმით კი დაკუტდა, ლეთარგიულ ძილს მიეცა, დადგა ძნელი დრო“.[1]

1887 წლიდან ქართული წარმოდგენების გამართვას დამოუკიდებლად ხელმძღვანელობდა ქართული დრამატული საზოგადოების განახლებული კომიტეტი გიორგი თუმანიშვილის მეთაურობით. გამგეობაში არჩეული იყვნენ: დავით ერისთავი (თავმჯდომარის მოადგილე), ნ. ავალიშვილი, ვ. თუმანიშვილი და ვ. სულხანიშვილი (მდივანი)[2].

1887 წლის 4 ოქტომბრის წლიურ კრებაზე დრამატული სა-

---

[1] ვ. გუნია, დ. ჯანელიძის რედაქციით, თბ., 1953 წ., გვ. 98.
[2] „ივერია“, № 206, 1887 წ., გვ. 3-4.

ზოგადოების თავმჯდომარე გიორგი თუმანიშვილი თავის მოხსენებაში ბევრ საჭირბოროტო საკითხს შეეხო, რაც ხელს უშლიდა გამგე-კომიტეტის საქმიანობას. ამასთან დაკავშირებით საზოგადოების წევრებმა გამოთქვეს არაერთი საყურადღებო მოსაზრება:

ი. გოგებაშვილი: — „კომიტეტმა უმთავრესი ყურადღება რიგიანი რეპერტუარის მოპოვებას უნდა მიაქციოს, რადგანაც ჩვენი დღევანდელი პიესები მეტად გაცვდნენ, თავი მოგვაბეზრეს და საზოგადოებას აღარ იზიდავენ. ახალი პიესების შესაძენად საჭიროა პრემიები დაენიშნოს პიესების დამწერთა და მთარგმნელთა, შეიძლება ავტორს მიეცეს გადაწყვეტილი პროცენტი იმ შემოსავლიდან, რომელიც იმ პიესის წარმოდგენის გამო იქმნება“;

აკაკი: — „რეპერტუარი უპირველესი საქმეა დღეს ჩვენთვის. პიესები კარგი ქართული ენით უნდა იყოს დაწერილი. უმზგავსის ენით დაწერილი პიესების წარმოდგენით საზოგადოებას კი არ მივიზიდავთ თეატრში, უფრო დავაფრთხობთ.

მე უფრო ის მირჩევნია, სულ უფასოდ დავრჩეთ ჯერჯერობით და რეპერტუარი კი გავაუმჯობესოთ და რიგიანი პიესები გავიჩინოთ“;

ივ. მაჩაბელი: — „მე მგონი წელს უფრო უნდა იზრუნოს დრამატიულმა საზოგადოებამ დასის შედგენისათვის, თუ გვინდა, რომ ქართული თეატრის საქმე სამუდამოდ არ დაიმარხოს. ეხლა ახალი თეატრი შენდება, ამ თეატრში კვირაში 4-5-ჯერ რუსული წარმოდგენები გაიმართება. თუ ამ რუსული დასის გვერდზევე ქართული დასიც არ იმოქმედებს რიგიანად, ქართული თეატრის აღდგენა შემდეგ ძალიან გაძნელდება“.[1]

---

[1] „იერია“, 1887 წ., №206, გვ. 1-2.

ივ. მაჩაბლის აზრს ქართული დასის შედგენის შესახებ მხარი დაუჭირეს ი. გოგებაშვილმა და ან. ღულაძემ. კრების გადაწყვეტილებით, გამგეობას ყოველი ღონე უნდა ეხმარა მსახიობთა დასის შესადგენად.[1]

1887 წლისათვის კომიტეტმა ეს ნაბიჯი გადადგა და შეადგინა მსახიობთა დასი (მ. საფაროვა-აბაშიძისა, ე. ჩერქეზიშვილი, ვ. აბაშიძე, ვლ. ალექსი-მესხიშვილი და სხვ.); დასის შენახვის გარდა, კომიტეტი ახერხებდა ისეთი გამოჩენილი მსახიობების მოწვევასაც, როგორებიც იყვნენ: კ. ყიფიანი, კ. მესხი, ნ. გაბუნია-ცაგარლისა და სხვ. ამასთან ერთად, კომიტეტმა სათეატრო რეპერტუარიც განაახლა; რეპერტუარში შევიდა 14 ახალი ქართული დრამა და კომედია, მათ შორის: აკ. წერეთლის „თამარ-ცბიერი" (ამ წელს პირველად იქნა წარმოდგენილი), დ. ერისთავის „სამშობლო", კ. მესხის „თამარ-ბატონიშვილი", ავქ. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", „ხანუმა" და სხვ; რეპერტუარში პირველად შევიდა ალ. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან" და ივ. მაჩაბლის მიერ თარგმნილი შექსპირის „ჰამლეტი".[2]

1887 წლის თეატრალური სეზონი 5 თვეს გაგრძელდა. სულ გაიმართა 32 წარმოდგენა. კომიტეტმა ვერ შეძლო სრულად განეხორციელებინა ზემოხსენებული კრების დადგენილება — შეექმნა სპეციალური სათეატრო ფონდი, დაენიშნა წამახალისებელი პრემიები, განეახლებინა ბიბლიოთეკა და მსახიობთა გარდერობი.

დრამატული საზოგადოების შემოსავლის ძირითადი წყარო (საწევრო გადასახადი — წელიწადში 5 მანეთი) და სხვადასხვა შემთხვევითი შემოწირულობა ვერ სწვდებოდა თეატრის ათასგვარ საჭიროებას, რის გამოც თეატრალურ სეზონს ზოგჯერ კერძო პირები აწარმოებდნენ, ხოლო დრამატული საზოგადოება მათ სხვადასხვა სახის დახმარებას უწევდა; მაგალითად, 1890-91 წლებში დრამატული საზოგადოება ზრუნავდა მხოლოდ სათეატრო რეპერტუარის შექმნაზე. დასი იმ ხანებში წარმოდგენებს მართავდა ვ. აბაშიძის ხელმძღვანელობით, ხოლო დრამატული საზოგადოება მას ეხმარე-

[1] „ივერია", 1887 წ., № 206, გვ. 1-2.
[2] იქვე, გვ. 3-4.

ბოდა მსახიობთა გარდერობით, ბიბლიოთეკითა და, ზოგჯერ, ფულით; საზოგადოების მმართველობა არ ერეოდა წარმოდგენების გამართვაში და მხოლოდ სინჯავდა იმ პიესებს, რომლებიც საპრემიოდ ან სცენაზე დასადგმელად იყო წარდგენილი. კომიტეტმა ამ სეზონში სულ სამი პიესა შეარჩია: ვ. გუნიას „და-ძმა", ხაინდრავას „თავადი აფაქიძე" და „ვაი ვახტაიას".[1]

დრამატული საზოგადოების მიერ დადგმული სპექტაკლებიდან ქართველი ხალხის ეროვნულ თვითშეგნების გამოღვიძებაზე განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენდა ისტორიული ხასიათის დრამები, პირველ რიგში დ. ერისთავის „სამშობლო", რომლის პირველი წარმოდგენა გაიმართა 1882 წლის 20 იანვარს, ამის შემდეგ იგი დიდი ხნის მანძილზე არ ჩამოსულა ქართული სცენიდან. თუ როგორ ძლიერი იყო „სამშობლოს" პირველი წარმოდგენის ზემოქმედება ქართველ მაყურებელზე, ამისათვის საკმარისია გავიხსენოთ ეკ. გაბაშვილის შემდეგი მოგონება: — „სამშობლოს პირველი წარმოდგენის მოგონების დროს არ შემიძლიან არ ავღნიშნო კიდევ ერთი დიდი მომენტი, რომელიც იშვიათ წამად უნდა ჩაითვალოს ქართველთა ცხოვრებაში. ეს ის მომენტი იყო, როდესაც მესამე მოქმედებაში მეტეხის დარბაზში საბრძოლველად გამზადებულნი გმირები დროშაზედ ფიცს სდებენ სამშობლოსათვის თავის განწირვაზედ. საკვირველი იყო ეს წამი და სწორედ სასწაულთ მოქმედებად აღიბეჭდა მსმენელებზედ. მთელი საზოგადოება, პარტერის წინა რიგებიდან დაწყობილი, გალერიის უკან რიგებამდე, ფეხზედ იდგა და სასოებით გამსჭვალული მზად იყო მუხლიც მოედრიკა ეროვნული დროშის წინ, რომ თეატრი გაჭედილი არ ყოფილიყო და მუხლის მოსადრეკი ადგილი ჰქონოდა. ამისთანა წამები იშვიათია და მას არ ივიწყებს შთამომავლობა და მის მიმნიჭებელთ ათაყვანებს".[2]

სამშობლოსათვის თავდადების იდეამ გამოაფხიზლა ქართველი საზოგადოების ეროვნულ-პატრიოტული გრძნობები, გაახსენა ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ

---

[1] „ივერია", 1892 წ., № 109, გვ. 3-4.
[2] ჟურ. „კლდე", 1913 წ., № 7, გვ. 3.

დამოუკიდებლობისა და სარწმუნოების დასაცავად, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თავისუფლებადაკარგული ქვეყნისათვის.

ჟურნალ „იმედის“ სიტყვით, დ. ერისთავის „სამშობლომ“ ერთმანეთს დაუკავშირა გან-გან მოსიარულე, ერთმანეთის მიუნდობელი ხალხი, შეკრიბა ერთ ადგილას და „მისმა წევრებმა გადააბეს ერთმანეთზე თავიანთი გულების მოძრაობა, სულის ვითარება, მიენდნენ ერთმანეთს და გაიმაგრეს გული იმ იმედით, რომ ერთსა და ორს კი არ შესტკიებია სამშობლოსათვის გული, არამედ მთელს ხალხს“.[1]

როგორც არჩ. ჯორჯაძე მიუთითებს, ისტორიული პიესების („სამშობლო“, „მტარვალი“, „თამარ-ცბიერი“) ხილვისას ქართველი მაყურებელი აღტაცებით ხვდებოდა მტერზე გამარჯვებას, ხოლო მწუხარებას იწვევდა მასში მამულის შემუსვრის ამბავი. გარეშე პირს კი ეს არ ესმოდა და ვერ ხვდებოდა ქართველი მაყურებლის მღელვარების მიზეზს, იმდენად სუსტად იყო დადგმული ეს ისტორიული პიესები. არჩ. ჯორჯაძის აზრით, თუ გარეშე მაყურებელი გაეცნობოდა საქართველოს ისტორიულ წარსულს, მაშინ ადვილად მიხვდებოდა ქართველი კაცის მღელვარების მიზეზს, რომლის მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხლობდა საქართველოს გმირული ისტორიული წარსულის სურათები.

არჩ. ჯორჯაძის ღრმა რწმენით, ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის საკმარისი არ იყო მხოლოდ ისტორიული წარსულის მოგონება, არამედ საჭირო იყო აწმყოს გათვალისწინებაც; ხალხს უნდა სცოდნოდა ყოველივე ის, რაც გამოაფხიზლებდა მის გონებას.[2]

თეატრთმცოდნე ვ. კიკნაძე დ. ერისთავის „სამშობლოს“ თვლის ახალი სათეატრო სტილისტიკისა და ახლებური თეატრალური აზროვნების დასაწყისად, რომელმაც სცენაზე გამოავლინა ქართველი ხალხის პატრიოტული ენერგია და თეატრი პირდაპირ დაუკავშირა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.[3]

ქართველი საზოგადოება ეძებდა მკვიდრ სარბიელს ეროვნული

---

[1] ჟურნ. „იმედი“, № 2, 1882 წ.
არჩ. ჯორჯაძე, წერილები, გვ. 743.

[3] ვ. კიკნაძე, „რა უთხრა ქართველ ხალხს სამშობლომ“, ჟურნ. „საბ.ხელ.“, № 1, 1990 წ., გვ. 38.

თეატრის ასაღორძინებლად. უმრავლესობას ქართული თეატრის ბურჯად დრამატული საზოგადოება მიაჩნდა და მასზე ამყარებდა იმედს. საზოგადოების დიდ ნაწილს სწორედ ესმოდა დრამატული საზოგადოების დანიშნულება ეროვნული თეატრის შენარჩუნების საქმეში, რომლის არსებობაზე ბევრად იყო დამოკიდებული პროფესიული ქართული თეატრის ბედი.

ზოგიერთებს აწუხებდათ ის ფაქტი, რომ „ჩვენი ეგრედ წოდებული მაღალი საზოგადოება" მეტად გულგრილ დამოკიდებულებას იჩენდა ქართული თეატრისადმი და წარმოდგენებს არ ესწრებოდა; ილია ამას მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა და ყოველთვის იმასთან დაკავშირებით მოიხსენიებდა, რომ ქართულ თეატრს მარტო მდაბიო ხალხი ინახავდა და არა მაღალი საზოგადოება. ამიტომ ილია მოითხოვდა მდაბიო ხალხისათვის, რომელიც ეროვნულ საქმეში მეტ გულშემატკივრობას იჩენდა, ბილეთის ფასი შეემცირებინათ, რომ ქართულ თეატრს ბევრი მაყურებელი ჰყოლოდა და შემოსავალიც მეტი ჰქონოდა.[1]

1889 წლის 2 აპრილს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის დარბაზში გაიმართა ქართული დრამატული საზოგადოების საგანგებო კრება. საზოგადოების კომიტეტმა კრებაზე დააყენა ისეთი მტკივნეული საკითხები, როგორიც იყო: რეპერტუარის, სათეატრო ფონდის შექმნის, მსახიობთა დასის შენახვის და სხვ. კრებაზე გამოირკვა, რომ ყოველივე ამისათვის საზოგადოებას არ გააჩნდა საათანადო მატერიალური სახსრები. კომიტეტმა მოითხოვა დროებით შეეჩერებინათ წარმოდგენების გამართვა. დამსწრე საზოგადოების ერთი ნაწილი ამას კომიტეტის პასიურობით ხსნიდა; მეორე ნაწილი — ქართველი საზოგადოების გულგრილობას მიაწერდა. მათი სიტყვით, წარმოდგენების გასამართავად დიდი და ყოველდღიური შრომა იყო საჭირო, თანაც ამისათვის არავითარი გასამრჯელო არ იყო დაწესებული.[2]

ყველასათვის ცხადი იყო, რომ ქართული თეატრის საქმე არ

---

[1] ი. ჯავჯავაძე, თხზ., ტ. V, 1991წ., გვ. 242-243.
„ივერია", № 71, 1889 წ.

იდგა სათანადო სიმაღლეზე, მაგრამ დაქვეითების მიზეზებზე სხვადასხვა აზრი არსებობდა. პრესაში ხშირად გაისმოდა საყვედურები ქართველი საზოგადოებისა და დრამატული კომიტეტის მისამართით. ერთ-ერთ წერილში („თავმინებებული საზოგადოება"), რომელიც „ივერიაში" დაიბეჭდა, ავტორი წერდა: — „დღეს არც ერთი ჩვენი საზოგადო დაწესებულება ისე თავმინებებული და ზრუნვას მოკლებული არ არის, როგორც „დრამატიული საზოგადოება", რომელიც ქართულ სცენას უნდა უძღვებოდეს; ყოველ ჩვენს საზოგადოებას, წერა-კითხვისას, თავადაზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა შემწეველს და სხვათა, ყველას მზრუნველი ჰყავს, ყველას მოსაქმე და დამხმარებელი ეგულება, ყველგან წევრების რიცხვი ასიოდე მაინც ითვლება. დრამატიული საზოგადოება კი ყველა ამას მოკლებულია; წევრების რიცხვი კი ოცამდე არ მიაღწევს. მმართველობის წევრები რომ არ ირჯებოდნენ, ამ საზოგადოების ხსენებაც აღარ იქნებოდა".[1]

წევრთა რიცხვის სიმცირის მიზეზს ავტორი საწევრო ფულის გადაუხდელობაში ხედავდა. მისი აზრით, საზოგადოებას თუ წევრები არ ეყოლებოდა, ცხადია, იგი ვერ იარსებებდა და თეატრს „ერთადერთი ხელის მიმწვდომი და ერთადერთი მზრუნველი მოაკლდებოდა: — „დღეს ვაი-ვაგლახით ინახავს საზოგადოება თავის დასს, — წერდა ავტორი, — მაგრამ მაინც უძღვება და ცოტათი ხელს უწყობს. არტისტებს ეხმარება ბალებისა და კონცერტების შემოსავალით. თუ ეს ღონისძიება მოესპობათ საზოგადოების გაუქმებით, არტისტები დაიქსაქსებიან და დავრჩებით უთეატროდ, რომლის განახლებასაც შევსტრფოდით ამ ათის წლის წინად".[2]

1890 წლის „ივერიის" 213-ე ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით: „კიდევ საყვედური", რომლის ავტორი ქართული თეატრის დაქვეითებაში ქართველ ინტელიგენციას ადანაშაულებდა. მისი აზრით, საჭირო იყო ჯერ თვითონ დრამატული საზოგადოების გაძლიერება და შემდეგ მისი კომიტეტის პასუხისმგებლობის საკ-

---

[1] „ივერია", № 69, 1889 წ.
[2] „ივერია", № 213, 1890 წ.

ითხის დაყენება. — „სირცხვილია, მეტად სირცხვილია, — წერს ავტორი, — რომ ჩვენი ქართველი ინტელიგენცია არ აფასებს დრამატიული საზოგადოების არსებობას, არასა ზრუნავს მისი განმტკიცებისათვის, მისი მომავლის ბედისათვის და მხოლოდ საყვედურის ცალიერს ლაპარაკს უნდება... თუ დრამატიული საზოგადოება არსებობას შეწყვეტს, „მაშინ ხომ ვიქნებით შვილთა ჩვენთაგან გინებით მოსაგონარი"-ო.[1]

1892 წლიდან თბილისის დრამატულ საზოგადოებას სათავეში ჩაუდგა განახლებული კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: კ. თუმანიშვილი, ი. ანდრონიკაშვილი, ალ. მირიანაშვილი, ვლ. მიქელაძე და სხვ. თავმჯდომარედ აირჩიეს გიორგი თუმანიშვილი, რომელიც, ამავე დროს, თეატრის დირექტორადაც ითვლებოდა. ამიერიდან ქართული წარმოდგენების გამართვას უშუალოდ დრამატული საზოგადოება ხელმძღვანელობდა, კომიტეტმა სათეატრო დასის შედგენა გ. თუმანიშვილს დაავალა, რომელმაც რეჟისორად მოიწვია ნიკ. ავალიშვილი, ხოლო ადმინისტრატორად — ვალ. გუნია. მათი გულმოდგინე შრომის შედეგად შედგა მსახიობთა საკმაოდ დიდი დასი (ქ. ავალიშვილი, მ. საფაროვა, ელ. ჩერქეზიშვილი, ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ვ. გუნია და სხვ.). აღსანიშნავია, რომ დასის მონაწილეობით ერთ თეატრალურ სეზონში გაიმართა 34 წარმოდგენა, მათ შორის ათი ახალი ქართული პიესა („თამარ ბატონიშვილი", „პატარა კახი", „თამარ ცბიერი", „სამშობლო" და სხვ.) მარტო „სამშობლოს" სამი წარმოდგენიდან საზოგადოებას შემოუვიდა 2707 მანეთი შემოსავალი.[2]

1892-1898 წლები შედარებით ნაყოფიერია დრამატული საზოგადოების მოღვაწეობაში; წარმოდგენებს უძღვებოდა დრამატული საზოგადოების კომიტეტი, სპექტაკლებიდან შემოსავალი საკმაოდ სოლიდურ თანხას შეადგენდა (46583 მან. თითო წარმოდგენიდან დაახლ. 363 მან.). გარდა ამისა, ამ პერიოდში კომიტეტმა თბილისის სათავადაზნაურო ბანკისაგან დახმარების სახით მიიღო

---

[1] „ივერია", № 213, 1890 წ.

[2] „ივერია", 1892 წ., № 109, გვ. 3-4.

5950 მანეთის სუბსიდია, საქველმოქმედო საღამო-კონცერტებიდან შემოვიდა 7 ათასი მანეთი. კომიტეტს დიდი დახმარება აღმოუჩინეს ცნობილმა ქართველმა მანდილოსნებმაც (თ. გრუზინსკისამ, ნ. ჩოლოყაშვილისამ, დ. ჭავჭავაძისამ, თ. ანდრონიკაშვილისამ და სხვ.); დრამატული საზოგადოების სასარგებლოდ საქველმოქმედო საღამოებს მართავდა ბაქოს, განჯისა და სხვა ქალაქების ქართველი მოსახლეობა. განსაკუთრებით გულუხვი შემოწირულობა გაიღო თავადმა გოლიცინმა (2 ათასი მანეთი), რის გამოც იგი საზოგადოების საპატიო წევრად აირჩიეს. საპატიო წევრებად აირჩიეს აგრეთვე: თამარ გრუზინსკისა, ნ. ჩოლოყაშვილისა, რ. ერისთავი და გ. თუმანიშვილი.[1]

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართული დრამატული საზოგადოება, მიუხედავად მისი მოღვაწეობის შეზღუდული ხასიათისა, პროგრესულ იდეებს ემსახურებოდა. საზოგადოების მოღვაწეობის ძირითად ობიექტს ქართველი ხალხის სულიერი კულტურის ერთ-ერთი მძლავრი კერა — თეატრი წარმოადგენდა, რომელსაც საჯაროდ გამოჰქონდა ცხოვრების დრომოჭმული წესები და მავნე ჩვევები, იცავდა დედაენის სიწმინდეს და ხელს უწყობდა ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება-განმტკიცებას, ჰუმანისტური და დემოკრატიული იდეების გავრცელებას. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში ქართული თეატრი ჯერ კიდევ სრულად ვერ გამოხატავდა ქართველი ერის ზნე-ხასიათსა და მისწრაფებებს. ამის მთავარი მიზეზი იყო ქართული რეპერტუარის სიღარიბე, რომელიც შექსპირის, მოლიერის, შილერის და სხვა კლასიკოსთა დრამატული ნაწარმოებების გვერდით ივსებოდა რუსული და უცხო ენებიდან თარგმნილი ისეთი დრამატული ლიტერატურით, რომელიც ხშირ შემთხვევაში არ გამოხატავდა ქართველი ხალხის ეროვნულ მისწრაფებებს. ამაზე მიუთითებდა ილიაც 1886 წელს დაწერილ სტატიაში „ქართული თეატრის ნაკლოვანებანი", სადაც იგი წერს: — „ჩვენი თეატრის ერთი დიდი ნაკლი ის არის, რომ სათეატრო თხზულებანი არა გვაქვს, რომ ჩვენი საკუთრი,

[1] „ივერია", 1900 წ., № 4, გვ. 2.

ჩვენ მიერ ქმნილი, ჩვენის ცხოვრებიდან ამოღებული თხზულებანი არა გვაქვს...“[1]

ეროვნული რეპერტუარის შექმნა ქართული თეატრის დაარსებისთანავე იდგა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ყურადღების ცენტრში, რადგან ორიგინალური დრამატურგია მე-19 საუკუნემდე მხოლოდ რამდენიმე თხზულებას თუ ითვლიდა, თუმც, არც ამ საუკუნის პირველ ათეულ წლებში გამდიდრებულა მეტად. სარეპერტუარო პიესათა რიცხვმა განსაკუთრებით იმატა გ. ერისთავის მოღვაწეობის პერიოდში. მრავალი წლის განმავლობაში ქართულ სცენას გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის კომედიები ასაზრდოებდნენ.

ქართველი განმანათლებლები თეატრს სხვაგვარ მოთხოვნილებას უყენებდნენ. მათი შეხედულებით თეატრი უნდა ყოფილიყო ეროვნული კულტურის მძლავრი კერა, სადაც გამუდმებით გაღვივდებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ-პატრიოტული გრძნობები. პ. უმიკაშვილის აზრით, ქართულ თეატრს ჯერ კიდევ აკლდა ნაციონალური ხასიათი. მისი სიტყვით, „საჭირო იყო „შეგნება ცხოვრების ისტორიულის მომენტისა, ცოდნა ჩვენის ისტორიისა და მწერლობისა, ფართო მსოფლიო ქვეყნის მხედველობა და განათლება“.[2]

არჩ. ჯორჯაძეს „თეატრისა და ხალხის სამუდამო შეუღლების დღედ“ 1900 წლის 2 იანვარი – ქართული თეატრის აღდგენის 50-უ წლისთავის დღესასწაული მიაჩნდა.[3] ამ წელს ქართულ დრამატულ საზოგადოებას დაარსებიდან 20 წელი შეუსრულდა. საზოგადოების კომიტეტის საიუბილეო ანგარიშში, რომელიც „ივერიაში“ დაიბეჭდა, შეჯამებულია დრამატული საზოგადოების ოცწლიანი მოღვაწეობის შედეგები.[4] როგორც აქედან ჩანს, მთელი ამ ხნის მანძილზე ქართული თეატრის სცენაზე წარმოდგენილი ყოფილა 219 პიესა, მათ შორის ორიგინალური – 85 (50 კომედია-ვოდევილი და 35 დრამა-ტრაგედია), უმთავრესად, გ. ერისთავის, ზ. ანტონოვის,

---

[1] ი. ჭავჭავაძე. თხზ., ტ. 5, 1991წ., გვ. 310.
ჟურნ. „მოამბე“, 1900 წ., № 1, გვ. 1-14.
[3] არჩ. ჯორჯაძე. წერილები, 1989წ., გვ. 740.
[4] „ივერია“, 1900წ., № 4.

რ. ერისთავის, დ. ერისთავის, გ. სუნდუკიანის, ა. ცაგარლის, ა. წერეთლის, ი. კერესელიძის, ან. ფურცელაძის, პ. უმიკაშვილის, ა. ყაზბეგის, კ. მესხის, ვ. გუნიას პიესები. უცხო ენებიდან პიესები უთარგმნიათ: დ. ყიფიანს, ივ. მაჩაბელს, ან. თუმანიშვილ-წერეთლისას, ა. ღულაძეს, ალ. ჭიჭინაძეს, ი. მაჭავარიანს, პ. ყიფიანს და სხვ.[1]

ღღიდან დაარსებისა, დრამატულ საზოგადოებას დიდ დახმარებას უწევდა თბილისის სათავადაზნაურო ბანკი ილიას თაოსნობით. წესდების 90-ე პარაგრაფის მიხედვით ბანკს საზოგადოებრივი ხასიათი ენიჭებოდა — მოგების 30-40% ხმარდებოდა სხვადასხვა სამეურნეო თუ კულტურულ-საგანმანათლებლო წამოწყებას. საანგარიშო პერიოდში თბილისის სათავადაზნაურო ბანკს დრამატული საზოგადოებისათვის სუბსიდიის სახით გაუცია 5.950 მანეთი.

ქართული პრესა ფართოდ გამოეხმაურა ქართული თეატრის 50-ე წლის იუბილეს, რომელიც ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცა. ჟურნალ „მოამბეში" პ. უმიკაშვილი წერს: „ჩვენ თავმოწონებით შეგვიძლია ვთქვათ, ქართული თეატრი ხალხმა შექმნა თავისის ძალღონით, მეცადინეობით, სიყვარულით, შრომით და არა ფულის დახმარებით... ეს ამბავი თეატრის ისტორიაში მრავალ ხალხს არ შეხვედრია. ყველა დიდ ხალხებში თეატრს ხელს უწყობდა ჯერ ეკლესია, მერე სახელმწიფო და მეფეები".[2]

„მოამბის" ამავე ნომერში დაიბეჭდა გ. ლასხიშვილის სტატიაც, რომელშიც ავტორი ხაზგასმით მიუთითებს ქართული თეატრის დამსახურებაზე ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება-განმტკიცების საქმეში. იგი წერს: — „ ქართულ თეატრს დიდი ამაგი მიუძღვის ქართველი საზოგადოების წინაშე. მას ბევრი უმუშავნია ქართველთა თვითცნობიერების გაღვიძებისა და განვითარებისათვის... თეატრი, როგორც ეროვნული დაწესებულება, იცავს ხალხის ეროვნებას, ენას და ეროვნულ თვისებათ; და როგორც საზოგადო კაცობრიული დაწესებულება, რომელიც ამყარებს ერში საზოგადო კაცობრიულ

---

[1] „ივერია", 1900წ., № 4.
ჟურნ. „მოამბე", 1900 წ., № 1, გვ. 1-14.

იდეებსა და იდეალებს და ამით ხელს უწყობს ეროვნების პროგრესს".[1]

ამასთან ერთად, ავტორი მიუთითებს აგრეთვე იმ დიდ დამსახურებაზე, რომელიც მიუძღოდა ქართულ დრამატულ საზოგადოებას თეატრის განახლებისა და მისი შენარჩუნების საქმეში: — „20 წელიწადი სრულდება, რაც ეს საზოგადოება არსებობს, — აღნიშნავს გ. ლასხიშვილი, — და ამ ხნის განმავლობაში ის სინდისიერად ემსახურება საქმეს და ქართული თეატრი ტფილისში დაამკვიდრა საკმაოდ მაგარ ნიადაგზე".[2]

მთავარი მაინც ის იყო, რომ ქართულმა თეატრმა შეინარჩუნა თავისი არსებობა, როგორც ილია ამბობს — „ჩვენი თეატრი არა მხოლოდ „იქმნა", არამედ გაიზარდა, გაძლიერდა და ორმოც-და-ათ წლოვან ასაკამდე მოიყარა".[3] ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის ქართულ დრამატულ საზოგადოებას, რომელიც ახალი ეპოქის დასაწყისშიც ასევე თავდადებით ემსახურებოდა საქართველოში თეატრალური კულტურისა და თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეს.

„ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის"

„ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოებამ შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის" (იგივე „ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოება") მოქმედება დაიწყო 1878 წლის მაისიდან. საზოგადოების წესდების შედგენაზე მუშაობდა სპეციალური კომისია ილია ჭავჭავაძის, გ. ერისთავის, კ. მამაცაშვილის, დ. ერისთავის, დ. ბაქრაძის, ი. ბაგრატიონ-მუხრანელის, ა. ჩოლოყაშვილისა და დ. ავალიშვილის შემადგენლობით.

---

[1] ჟურნ. „მოამბე", 1900 წ., № 1.

[2] იქვე.

[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. V, თბ., 1991 წ., გვ. 582.

ილიამ დიდი შრომა გასწია საზოგადოების არსებობისათვის საჭირო მატერიალური სახსრების მოსაპოვებლად. „ივერიის“ საშუალებით იგი მოუწოდებდა ყველა ქართველს, განურჩევლად წოდებისა, თავისი წვლილი გაეღოთ საზოგადოების სასარგებლოდ. ამასთან ერთად, ილია ქართველ საზოგადოებას განუმარტავდა „ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოების“ მიზნებს, მის მიერ განზრახული სკოლის დაარსების ეროვნულ მნიშვნელობას და ამით ხელს უწყობდა ქართველ ხალხში საზოგადოებისადმი თანაგრძნობის გამოწვევას. როგორც უკვე ითქვა, ილია ამ სკოლას მიიჩნევდა მომავალი ქართული საშუალო სასწავლებლის საძირკვლად.[1]

ილია ჭავჭავაძის ინიციატივით თბილისის საადგილმამულო ბანკი „ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოებას“ ყოველწლიურად 30-85 ათას მანეთამდე დახმარებას აძლევდა თავის წმინდა მოგებიდან, რაც საზოგადოების შემოსავლის ძირითად წყაროს შეადგენდა. ამ თანხით საზოგადოება ინახავდა სათავადაზნაურო დაწყებით სკოლას, რომელიც თავისი პანსიონით გახსნა გამგე-კომიტეტმა 1879 წლის 6 თებერვალს. თავადაზნაურობის ერთი ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამდა სკოლაში დაბალი წოდების შვილების სწავლის გამო. ილია ყოველთვის მხარს უჭერდა სკოლაში ღარიბი ხალხის შვილების მიღებას და ცდილობდა ისინი სწავლის ფულისგანაც გაენთავისუფლებინა. ამაზე მიუთითებს სეით იაშვილიც, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ასწავლიდა სათავადაზნაურო გიმნაზიაში. იგი ერთ ასეთ ეპიზოდს გადმოგვცემს: „როდესაც 1898 წელს „ღარიბ მოწაფეთა საზოგადოებამ“ გახსნა მეშვიდე გიმნაზიური კლასი, გამგე-კომიტეტში დადგა საკითხი სწავლის ფულის გადიდების შესახებ (12 მანეთიდან 40 მანეთამდე). ამის საწინააღმდეგოდ საზოგადოების კრებაზე გამოსულა ილია და უთქვამს: — „სწავლის ფული კი არ უნდა გავადიდოთ, არამედ სულაც უნდა გავაუქმოთ, რადგანაც ჩვენს სკოლაში უფრო ღარიბი მოწაფეები სწავლობენო. ამ აზრს კრება დაეთანხმა და სწავლის ფული აღარ გაუდიდებიათ“.[2]

---

[1] „ივერია“, № 44, 1878 წ.

[2] ს. იაშვილი, მასალები თბილისის ქართული გიმნაზიის ისტორიისათვის (1879-1923 წწ.), თბ., 1956 წ., გვ. 34.

თავიდანვე „ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოება“ თავის ხარჯზე ასწავლიდა ბევრ ღარიბ მოსწავლეს. 1879 წელს სკოლის 80 მოსწავლიდან 25 განთავისუფლებული იყო სწავლის ფულისაგან, ხოლო 30 — პანსიონში ცხოვრობდა. შემდეგ წლებში სულ უფრო მეტი მოსწავლე იღებდა ცოდნას საზოგადოების ხარჯზე.

1879 წლის ივნისის საზოგადო კრების გადაწყვეტილებით, სკოლაში პირველ სამ წელიწადს ყველა საგანი ქართულ ენაზე ისწავლებოდა, მეოთხე წლიდან ხდებოდა მათი გამეორება რუსულ ენაზე. რადგანაც საზოგადოებას ჯერ არ ჰქონდა საკუთარი გიმნაზია, მოსწავლეებს სხვადასხვა სახაზინო სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად უხდებოდათ გამოცდების ჩაბარება რუსულ ენაში. ი. ჭავჭავაძე, გ. წერეთელი, ივ. მაჩაბელი მოითხოვდნენ, რომ სკოლაში მეოთხე წელსაც სწავლა ქართულ ენაზე გაგრძელებულიყო, ხოლო რუსული ენა მთელი კურსის განმავლობაში ესწავლებინათ როგორც ცალკე საგანი. ი. გოგებაშვილის და ნ. ცხვედაძის აზრით, უკეთესი იქნებოდა, თუ მეოთხე წელს მოსწავლეებს რუსულ ენაზე გაამეორებინებდნენ მხოლოდ იმ საგნებს, რომლებიც ადრე ქართულ ენაზე ისწავლებოდა[1].

1884-1885 სასწავლო წელს გაიხსნა პირველი პროგიმნაზიული კლასი, ხოლო 1890 წლიდან თბილისის კერძო სათავადაზნაურო სკოლა უკვე პროგიმნაზიის სახით არსებობდა. ამავე წლიდან გიმნაზიური კლასებიც გაიხსნა. უსახსრობის გამო მეხუთე გიმნაზიური კლასის გახსნა 1896 წლამდე ვერ მოხერხდა, ამიტომ 1890 წლიდან 1896 წლამდე პროგიმნაზიის კურსდამთავრებულები ზაფხულობით დამატებით მეცადინეობდნენ, რომ მისაღები გამოცდები ჩაებარებინათ სახელმწიფო გიმნაზიის მეხუთე კლასში. ამ პერიოდში გიმნაზიის გამგედ დანიშნული იყო ალ. ჭიჭინაძე.

1879 წლის 1 სექტემბრიდან გაიხსნა მეექვსე გიმნაზიური კლასი. გიმნაზიური კლასები, ისე როგორც მეორე, მესამე და მეოთხე განყოფილება, მოთავსებული იყო ერმოლოვის (შ. ჩიტაძის) ქუჩაზე, სელიკოვის სახლში, ხოლო პარალელური განყოფილებები

---

[1] „დროება“, № 34, 1879 წ.

და მოსამზადებელი კლასის პირველი განყოფილება — გუდოვიჩის (ჭონქაძის) ქუჩაზე, ყორღანოვის სახლში. 1898 წელს გაიხსნა მეშვიდე გიმნაზიური კლასი, 1899 წელს — მერვე და, ამრიგად, 1899-1900 სასწავლო წლისათვის სკოლამ დასრულებული რვაკლასიანი გიმნაზიის სახე მიიღო (4 მოსამზადებელი და 4 პროგიმნაზიური კლასით).

თბილისის ქართული გიმნაზია იმ დროისათვის ერთადერთ ეროვნულ საშუალო სასწავლებელს წარმოადგენდა მთელ საქართველოში, ამიტომ მის ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ილია, აკაკი, ი. გოგებაშვილი და სხვა თვალსაჩინო ქართველი მოღვაწეები. საზოგადოების ხელმძღვანელები გ. ერისთავი (1879-1880 წწ.), კ. მამაცაშვილი (1880-1888 წწ), გ. მაღალაშვილი (1884-1894 წწ), კ. ბაგრატიონ-მუხრანელი (1894-1903 წწ), მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი (1903-1907 წწ.) და სხვ. თავდაუზოგავად იღვწოდნენ იმისათვის, რომ შეენარჩუნებინათ ქართული გიმნაზია და გადაექციათ იგი ერთ-ერთ მძლავრ კულტურულ-საგანმანათლებლო კერად საქართველოში.

1897 წლის ნოემბერში, როდესაც მთელი საქართველო ილიას 40 წლის იუბილესათვის ემზადებოდა, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით გიმნაზიაში ილიას მოუწყვეს დიდი ლიტერატურული საღამო. ამ საქმის ინიციატორი იყო ექვთიმე თაყაიშვილი, გიმნაზიის მაშინდელი გამგე.

ექვთ. თაყაიშვილის გადმოცემით, საღამო საიდუმლოდ მზადდებოდა. ეს ამბავი არ სცოდნიათ არც „ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოების" წევრებს და არც თვით ილიას. — „ამის მიზეზი ჯერ-ერთი ის იყო, — წერს ექვთ. თაყაიშვილი, — რომ ვინმეს პატივსაცემად სალიტერატურო საღამოს მოწყობის ნებართვა ოფიციალურად უნდა მოგვეთხოვა კავკასიის მზრუნველისაგან; მეორე, შეიძლება ილია არც დათანხმებულიყო და არც დასწრებოდა იმ საღამოს".[1]

ცხადია, მთავრობა გიმნაზიის ხელმძღვანელობას ხელს შეუშ-

[1] ლიტერატურის მატიანე. წიგნი 6. ნაკვეთი პირველი, 1952 წ., გვ. 33.

ლიდა ილიას სალიტერატურო საღამოს გამართვაში, რადგან იგი ილია ჭავჭავაძეში ხედავდა ერის ქომაგსა და მის თავკაცს, რომელიც არაერთხელ გამოსულა ქართველი ხალხის შელახული ეროვნული უფლებების დასაცავად. ილია, ჯერ კიდევ 1884 წლიდან, პოლიციის დეპარტამენტის განკარგულებით, ფარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. მეფის ცენზურა განსაკუთრებული სისასტიკით ეკიდებოდა ილია ჭავჭავაძის ისეთ სტატიებსა და წერილებს, რომლებიც ხალხის ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებას და დედაენაზე სწავლა-აღზრდის საკითხებს ეხებოდა. 1896 წელს მთავრობამ რვა თვით დახურა „ივერია“ „მავნე მიმართულებისათვის“.

ქართველი საზოგადოების საიუბილეო სამზადისს მთავრობა თავიდანვე ეჭვის თვალით უყურებდა და ცდილობდა მის ჩაშლას. ასეთ პირობებში ილიას 40 წლის საიუბილეო საღამოს ფარულად მომზადება თბილისის ქართული გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს მხრივ სავსებით მართებულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

ილიას ამ საღამოს შესახებ გადმოგვცემს ს. იაშვილიც: — „როცა იუბილარი ილია შემოვიდა შენობაში, — წერს იგი, — ზ. ჩხიკვაძის მიერ გაწვრთნილი გიმნაზიის მომღერალთა გუნდი მას კახური „მრავალჟამიერით“ შეხვდა. მაშინ ამ გუნდში მღეროდა გიმნაზიის მოწაფე, შემდეგ „საქართველოს ბულბულად“ წოდებული ვანო სარაჯიშვილი. ამან ილია ისე ააღელვა, რომ კარგა ხანს გარინდებული იდგა და ბოლოს თქვა: ამ შეხვედრამ ჩემზე ისე იმოქმედა, რომ სიტყვა შემეკრა და მადლობის თქმაც ვეღარ მოვახერხეო“.[1]

შემდეგ გაიმართა საღამო-კონცერტი. გიმნაზიის მოწაფეები დიდი გრძნობით კითხულობდნენ ილიას ლექსებსა და ნაწყვეტებს მისი პოემებიდან. მუსიკალურ განყოფილებას ხელმძღვანელობდა ზაქარია ფალიაშვილი, რომელიც მაშინ გიმნაზიაში მუსიკას ასწავლიდა.

ილია ამ საღამოთი დიდად ნასიამოვნები დარჩენილა და ექ. თაყაიშვილისათვის პირად საუბარში უთქვამს კიდეც, რომ ეს საღამო არასოდეს დამავიწყდებაო.

ილიას 40 წლის აღსანიშნავი სხვა საიუბილეო საღამო არსად

---

[1] ს. იაშვილი, „მასალები ქართული გიმნაზიის ისტორიისათვის“, გვ. 34.

არ მოწყობილა, მთელი საქართველო კი ემზადებოდა ამისათვის. მთავრობამ ჯერ რამოდენიმეჯერ გადადო იუბილე, ხოლო შემდეგ — საერთოდ აკრძალა. 1898 წლის 18 მარტს კავკასიის საცენზურო კომიტეტი სასტიკად უკრძალავდა გაზეთ „ცნობის ფურცელს" ილიას იუბილეს გადადებასთან დაკავშირებით რაიმე ცნობის გამოქვეყნებასაც კი. მთავრობა შიშობდა, რომ ამგვარ ნაბიჯს საპროტესტო დემონსტრაცია არ მოჰყოლოდა.[1]

90-იანი წლების ბოლოსათვის „ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოების" გამგე-კომიტეტის შემადგენლობაში არჩეული იყვნენ: კონსტანტინე მუხრან-ბატონი (თავმჯდომარე), მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი (თანაშემწე), ნ. ცხვედაძე, ი. წინამძღვრიშვილი, ვ. ყიფიანი (ხაზინადარი), მ. ყიფიანი და გ. ჟურული (მდივანი).

საპატიო წევრთა შორის ითვლებოდნენ: კავალერიის გენერალი თავადი ი. ამილახვარი (1899 წლიდან), გენერალ-ლეიტენანტი კ. მამაცაშვილი (1889 წ.), გენერალ-მაიორი ნ. ჭავჭავაძე, თავადი ს. ბებუთაშვილი; ცნობილი ქველმოქმედები: კ. ზუბალაშვილი და დ. სარაჯიშვილი. ნამდვილ წევრებს შეადგენდნენ თბილისის სათავადაზნაურო ბანკის დამფუძნებლები (1700 წევრი) და ისინი, ვინც ყოველწლიურად იხდიდნენ საწევრო გადასახადს (3 მან).

1899 წლის 1 იანვრისათვის გიმნაზიაში ირიცხებოდა 537 მოსწავლე, მათ შორის პანსიონიდან იყო 121, გარედან მოსიარულე — 416.[2] მოსწავლეთა სოციალური შემადგენლობით გიმნაზია დემოკრატიულ ხასიათს ატარებდა. გიმნაზიაში იღებდნენ ყველა წოდების ყმაწვილებს. თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიამ კერძო გიმნაზიის უფლება სიმწიფის ატესტატის მისაღებად მიიღო 1905 წლიდან.

თუ როგორი ხასიათი უნდა მისცემოდა პროგიმნაზიას, ამის შესახებ ქართველ საზოგადოებაში სხვადასხვა აზრი არსებობდა. ზოგიერთი მოითხოვდა პროგიმნაზიული კლასების პარალელურად

---

[1] ჟურნ. „საისტორიო მოამბე", № 3, 1947 წ., გვ. 255.

[2] იხ. ანგარიში 1899 წლის მოქმედებისა „ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის", ტფ., 1900 წ.

გახსნილიყო რეალური კლასებიც, ზოგი — სამეურნეო სასწავლებლად გადაკეთებას.

1906 წლამდე პროგიმნაზიასთან არსებობდა პანსიონი (დაახლ. 150 მოსწავლისათვის), სადაც ზოგიერთი მოსწავლე საზოგადოების სრულ ხარჯზე იმყოფებოდა (მათ შორის, ქართველი მაჰმადიანები), ზოგი — ნახევარ ხარჯზე. პირველ განყოფილებაში უგამოცდოდ იღებდნენ 7-8 წლის ასაკის ბავშვებს, მეორე განყოფილებაში — 8-9 წლისას. გამოცდებს აბარებდნენ შემდეგ საგნებში: საღვთო სჯული, ქართული ენა, რუსული ენა და არითმეტიკა.

სკოლაში სხვადასხვა დროს ასწავლიდნენ ცნობილი პედაგოგები: რ. ჯაჯანიშვილი, ს. ყიფიანი, ლ. აღნიაშვილი, ა. მირიანაშვილი, დ. კარიჭაშვილი, გ. აგლაძე, არ. ქუთათელაძე, ან. ყარაშვილი, ა. მამულაიშვილი („ლალიონი") და სხვ.

1896 წლისათვის პროგიმნაზიაში ირიცხებოდა 308 მოსწავლე, მათ შორის — 112 პანსიონერი, 196 — გარედან მოსიარულე. პანსიონერთა შორის 27 მოსწავლე საზოგადოების სრულ ხარჯზე იმყოფებოდა, 57 — ნახევარ ხარჯზე. სწავლის ფულიდან განთავისუფლებული იყო 126. მოსწავლეთა სოციალური შემადგენლობის მიხედვით თავადაზნაური იყო 218, გლეხი და მოქალაქე — 169, სასულიერო წოდება — 21; ეროვნების მიხედვით, გარდა ორი სომეხისა და ერთი უცხოელისა, ყველა ქართველი იყო.

1896 წლისათვის „ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოებას" სტიპენდიანტები ჰყავდა სხვადასხვა უნივერსიტეტში. მათ შორის იყვნენ: კოტე მაყაშვილი (შემდეგში ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე), ნიკო ჯანდიერი (დამსახურებული ექიმი), მიხეილ ქორიძე (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე), შიო ჩიტაძე (თბილისის ქართული გიმნაზიის დირექტორი) და სხვ. ამასთან ერთად, „ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოება" მატერიალურად ეხმარებოდა ქართველ სტუდენტობას. მაგალითად, საზოგადოებამ სხვადასხვა დროს დახმარება აღმოუჩინა გრ. ქურდიანს, ი. მაყაშვილს, ლ. ანდრონიკაშვილს, ი. კარგარეთელს, გ. გაბაშვილს, ლ. ფავლენიშვილს, ელ. ბილანიშვილს და სხვა ქართველ სტუდენტებს.

თავი III

ეროვნული საუნჯე

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავ-მუზეუმი

„ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თავისის სულის ბგერას, თავის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თავის ვინაობას, თავის თვისებას“.

/ილია/

ქართული ეროვნული ცნობიერება ბუნებრივად უკავშირდება ერის კულტურულ მემკვიდრეობას, რომელშიც ჩადებულია მისი ვინაობა, წარსული, ეროვნული სულისკვეთება. „ეს ისეთი განძია, რომელიც ფასით არ იყიდება, და თუ ერთხელ დაიკარგა, აღდგენა აღარ შეიძლება. გაჰქრა ეს განძი, გაჰქრა ისტორია, ლიტერატურა, მეცნიერება და, საზოგადოდ, მთელი კულტურა ქართველი ერისა“ — ასე აფასებდა კულტურულ მემკვიდრეობას ქართველი ერის „მეჭურჭლეთუხუცესი“ ექვთიმე თაყაიშვილი.[1]

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში ერის კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა როგორც მისი მეცნიერული ღირებულების, ისე ეროვნულ-პოლიტიკური თვალსაზრისით. უძველეს ქართულ კულტურას თვითმპყრობელური ხელისუფლების შემოტევებისაგან დიდი ხნის მანძილზე „თავდაცვა“ უხდებოდა. მათ მოსაგერიებლად საჭირო იყო სათანადო იარაღის — ისტორიულ წყაროებზე დაფუძნებული საკუთარი ისტორიის გამოყენება. ამიტომ ისტორიული წყაროების (ძველი ხელნაწერები, სამართლის, ნივთიერი კულტურის ძეგლები, ქრონიკები, სიგელ-გუჯრები,

---

[1] ექვთ. თაყაიშვილი, მოხსენება წიგნსაცავ-მუზეუმის დაცვის შესახებ. იხ. ცსსა, ფონ. 481, საქ. 976, ფურ. I.

ეთნოგრაფიული მასალები, ხალხური სიტყვიერების ნიმუშები) შეკრება და მათი მეცნიერული შესწავლა ეროვნულ-პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენდა. ეს მით უფრო საშური საქმე იყო, რადგან იმ დროისათვის საქართველოში არ არსებობდა მუზეუმები და სიძველეთსაცავები. უპატრონობით ნადგურდებოდა ქართული კულტურის ბევრი შესანიშნავი ძეგლი, იკარგებოდა ხელოვნების უძვირფასესი ნიმუშები, უნიკალური მანუსკრიპტები, იკონოგრაფიული ძეგლები; ჯერ კიდევ ბევრი ხელნაწერი და ეთნოგრაფიული მასალა კერძო ოჯახებსა და ეკლესიებში იყო მიმოფანტული. ჟამთა სიმძიმე ეკლესია-მონასტრების კედლებიდან შლიდა უძველეს ქართულ წარწერებსა და მხატვრობის ნიმუშებს. ამასთან ერთად ნადგურდებოდა ძველი ქართული ხელნაწერების უმდიდრესი კოლექციები საზღვარგარეთის ქართული კულტურის ცენტრებშიც (ათონი, სინას მთა, პალესტინა და სხვ.).

ასეთ ვითარებაში ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა კერძო ინიციატივის საფუძველზე წარმოქმნილი ეროვნულ-კულტურული ორგანიზაციების მეშვეობით ხორციელდებოდა, რათა შთამომავლობას არ დაკარგვოდა ფასდაუდებელი საუნჯე ერისა — „მთხრობელი იმისი, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც“. მათ შორის ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებებს.

თუ როგორ ზრუნავდა წერა-კითხვის საზოგადოება ძველი ხელნაწერების, ისტორიული საბუთებისა და სამუზეუმო ნივთების შეკრება-შეძენაზე, ამაზე მიუთითებს არაერთი საბუთი, რომელიც საზოგადოების არქივში შემოინახა, კერძოდ, გამგეობის წევრების: ი. მეუნარგიას, ი. გოგებაშვილის, ექვთ. თაყაიშვილის, ნ. ცხვედაძის, დ. კარიჭაშვილის, ს. ფირცხალავას, ალ. მირიანაშვილის, გ. ყაზბეგის და სხვ. მოხსენებები, გამგეობის სხდომათა ოქმები, წლიური ანგარიშები, შემომწირველთა სიები და სხვ.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან ბიბლიოთეკა-წიგნსაცავის დაარსების ინიციატივა ეკუთვნის ცნობილ ქართველ

მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს იონა მეუნარგიას. 1880 წლის 3 აპრილს ი. მეუნარგიამ, რომელიც მაშინ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრი იყო, გამგეობას წარუდგინა მოხსენება, სადაც წესდების §2, მე-5 მუხლის საფუძველზე წინადადებას აყენებდა საზოგადოების კანცელარიასთან წიგნსაცავის დაარსების შესახებ: — „ამნაირი დადგინება მმართველობისა მით უფრო საჭირო და საჩქაროა, — აღნიშნავდა იგი, — რომ ეს წიგნები თანდათან იკარგება და მათი ერთ ადგილზე მოგროვება მოუტანს სარგებლობას არამც თუ მარტო საზოგადოების წევრებს, არამედ მთელს ჩვენს განათლებულ საზოგადოებას"-ო.[1]

1880 წლის 5 აპრილს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ განიხილა ი. მეუნარგიას მოხსენება და მოიწონა მისი წინადადება, მაგრამ უსახსრობის გამო თანხის გაღება ვერ შეძლო და ბიბლიოთეკისათვის კანცელარიაში მხოლოდ ორი კარადის გამოყოფა მოახერხა. ასე ჩაეყარა საფუძველი ბიბლიოთეკას, რომელიც თანდათანობით გაფართოვდა და წიგნსაცავ-მუზეუმად გადაიქცა.

თავდაპირველად გამგეობამ ძველი ხელნაწერებისა და წიგნების შეგროვება ი. მეუნარგიას დაავალა, რომელსაც სათანადო მიმოწერა უნდა გაემართა ქართული მწიგნობრობის მცოდნე პირებთან და მათი რჩევით შეეკრიბა როგორც ძველი ხელნაწერები, ისე ბეჭდური გამოცემები.

1882 წლისათვის წიგნსაცავში თავი მოიყარა 173 ძველმა ქართულმა ხელნაწერმა და 100-მდე წიგნმა; თანდათანობით შეგროვდა ქანდაკებები, სურათები, იარაღი, ჭურჭელი, ძველი ქართული, ბიზანტიური, რომაული, თურქული და სხვა ოქროსა და ვერცხლის მონეტები. ბევრი პატრიოტი ქართველი თავის მოვალეობად მიიჩნევდა საკუთარი წვლილი შეეტანა ამ დიდ ეროვნულ საქმეში. 1885 წლის 2 დეკემბერს ცნობილი ფოტოგრაფი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე როინაშვილი დ. ყიფიანს თავისი განზრახვის შესახებ სწერდა:

— „ბატონო დიმიტრი! ახლა ორიოდე სიტყვით მინდა მოგახსე-

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. I, ფურ. 5.

ნოთ ჩემს მოგროვილ ნივთებზე და ჩემს განზრახვაზე; ამგვარი ნივთების შეძენა და მოპოვება ისე მეხალისება და ისე მიყვარს, რომ თითქმის ყველაფერს ნაკლებულობას დიდის სიამოვნებით ავიტან ხოლმე, ოღონდ კი შევიძინო და შევმატო ჩემს კოლექციას რაიმე... ამ გვარი მუზეუმის შედგენა მისთვის განვიძრახე, რომ მინდა ჩემ სიცოცხლის შემდეგ დავუტოვო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასა, საიდანაც ექნება მუდმივი შემოსავალი, თუ საქმეს კარგად აწარმოებს, მე ჩემს სიცოცხლეში კიდევ არ დავიშლი და შეძლებისა და გვარათ ვეცდები, რომ ბლომათ შევმატო ძველი ნივთები ჩემს კოლექციას“.[1]

ალ. როინაშვილმა შეასრულა თავისი დაპირება და 1886 წელს წერა-კითხვის საზოგადოებას გადასცა მის მიერ შედგენილი ანდერძი, რომლის მიხედვით საზოგადოების ხელში გადადიოდა მთელი მისი მოძრავი ქონება, დიდძალი ფოტოგრაფიული მასალა, არქეოლოგიური და ანტიკვარული ნივთები, ნუმიზმატიკური კოლექციები. ანდერძი ძალაში შევიდა 1898 წლიდან, ალ. როინაშვილის გარდაცვალების შემდეგ. ამიერიდან წიგნსაცავი ნამდვილ მუზეუმად გადაიქცა.

ბიბლიოთეკა-წიგნსაცავი თანდათანობით მდიდრდებოდა როგორც შემოწირულობათა მიღების გზით, ისე საზოგადოების საკუთარი სახსრების ხარჯზე. წერა-კითხვის საზოგადოების საარქივო მასალებში შემონახული სიების მიხედვით სხვადასხვა დროს შემოწირულობანი გაუღიათ: დ. ყიფიანს, ი. ჭავჭავაძეს, რ. ერისთავს, დ. ბაქრაძეს, ვ. კარბელაშვილს, ივ. მესხს, ს. მგალობლიშვილს, ა. ხახანაშვილს, ზ. ჭიჭინაძეს, ივ. მაჩაბელს, ექვ. თაყაიშვილს, ქრ. მამაცაშვილს, აკ. წერეთელს, ნ. ხიზანიშვილს, დ. კარიჭაშვილს, ან. ფურცელაძეს, ეკ. გაბაშვილს, კ. ყიფიანს, კ. ლორთქიფანიძეს, ვ. გუნიასა და სხვ.[2]

1885 წელს ილია ჭავჭავაძეს წიგნსაცავისათვის შეუწირავს შვიდი ქათული ხელნაწერი წიგნი: „ქართლის ცხოვრება“ ვახტანგ VI, სულხან-საბას ორი ლექსიკონი, „რუსუდანიანი“, „ქილილა და

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 96, ფურ. 35-36.

[2] იგივე ფონდი, აღწ. I, საქ. 97, ფურ. 1-5.

დამანა“ და სხვ. 1886 წელს — „ივერიის“ ამ წლის ყველა ნომერი, 1892 წელს — ოთხი სურათი: თეიმურაზ II, ანტონ II კათალიკოსისა და დარეჯან დედოფლისა. შემდეგ წლებშიაც ილიას არაერთხელ გაუმდიდრებია წიგნსაცავი სხვადასხვაგვარი შემოწირულობით.

განსაკუთრებით მდიდარი შემოწირულობა მიიღო წერა-კითხვის საზოგადოებამ 1885 წელს სამეგრელოს მთავრის ნიკო დადიანისაგან. ნიშანდობლივია, რომ ნ. დადიანის მიერ შემოწირული ბიბლიოთეკა (169 ძველი ხელნაწერი და 10 ნაბეჭდი წიგნი), რომელიც მე-7-9 საუკუნეების ძვირფას მანუსკრიპტებს შეიცავდა, საფუძვლად დაედო წერა-კითხვის საზოგადოების ხელნაწერთა ფონდს. ცნობილია, თუ რა დიდი ღვაწლი დასდო ილია ჭავჭავაძემ ამ ბიბლიოთეკის სოფელ გორდიდან თბილისში გადმოტანას, რაც უშუალოდ მისი მონაწილეობით მოხდა. 1885 წლის 16 აპრილს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ ილია ჭავჭავაძის, ნიკო ცხვედაძის, დიმიტრი ჯანაშვილის და ივანე მაჩაბლის თანდასწრებით ჩაიბარა ნ. დადიანის ბიბლიოთეკა. ხელნაწერთა და წიგნების აღწერილობის სია თან ერთვოდა ბიბლიოთეკის ჩაბარების აქტს.[1]

შემოწირულობების მიღების გარდა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დაარსებისთანავე ინტენსიურ შემკრებლობით საქმიანობას ეწეოდა წიგნსაცავ-მუზეუმის გასამდიდრებლად. როგორც ექვთიმე თაყაიშვილი გადმოგვცემს, — „ქართველთა მიერ ქართული ძეგლების შეკრება იწყება მხოლოდ წერა-კითხვის საზოგადოების დაარსებიდან. ამას ხელი შეუწყო კიდევ საეკლესიო მუზეუმის დაარსებამ და განსაკუთრებით განაცხოველა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებამ“.[2]

საეკლესიო მუზეუმს („ტფილისის საეკლესიო სიძველეთა საცავი“) საფუძველი ჩაეყარა 1889 წელს დიმიტრი ბაქრაძის ინიციატივით, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებიდან ათი წლის შემდეგ. აქ თანამშრომლობდნენ: თ. ჟორდანია, ანტ. ნატროშვილი, ი. ფერაძე, მ. ჯანაშვილი. დროთა განმავლობა-

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 66, ფურ. 37

[2] ი. მეგრელიძე, ექვთ. თაყაიშვილი, თბ., 1989 წ., გვ. 265.

ში მუზეუმში თავი მოიყარა ძველი ქართული ხელნაწერების უნიკალურმა კოლექციებმა. მუზეუმის უცვლელი გამგე მთელი 30 წლის (1897-1926) მანძილზე იყო ცნობილი ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი. მან წარმატებით გააგრძელა თედო ჟორდანიას მიერ დაწყებული ხელნაწერთა აღწერილობა, რომელიც გამოქვეყნდა 1908 წელს,[1] ხოლო 1914 წელს დაიბეჭდა მუზეუმის სიძველეთა კატალოგიც.

მოწინავე ქართველი ინტელიგენცია მტკივნეულად განიცდიდა, რომ საქართველოს სიძველენი ჯერ კიდევ არ იყო ერთ ადგილას თავმოყრილი და საიმედოდ დაცული. ილია გულისტკივილით წერს: — „ვინ არ იცის, რამოდენა ძველი ნაშთია გაფუჭებული აქა-იქ ეკლესიებში, მონასტრებში, ტაძრებში. რა დიდძალი გუჯრები, სიგელები და სხვა ნაწერები უადგილო ადგილას ყრია დღეს აქა-იქ უპატრონოდ, მოუვლელად. რამდენი ამისთანა განძი ჩვენის ქვეყნის ისტორიისა და არქეოლოგიისა გამოუქვეყნებლად არის მიმალული და დროთა ვითარებაში... იკარგება, ფუჭდება, იღუპება“.

ცნობილი ფაქტებია: ექვთიმე თაყაიშვილმა ქართლში მოგზაურობის დროს ნაგვიდან ამოიღო ისეთი დიდმნიშვნელოვანი ძეგლი, როგორიცაა „ხელმწიფის კარის გარიგება“; ბ. ნიჟარაძემ მე-10 საუკუნის ერთი შესანიშნავი ხელნაწერი ოთხთავი იპოვა ძველი ხატებითა და ჯვრების ნამტვრევებით სავსე საარყე ქვაბში; დ. ბაქრაძემ მე-9 საუკუნის ერთ-ერთი ხელნაწერი ნიქოზის ტაძრის ეზოში ნაგავში აღმოაჩინა, იმავე ტაძრის ეზოში იპოვა პოეტმა ი. დავითაშვილმა მე-10 საუკუნის ხელნაწერი (ასკეტურ თხზულებათა კრებული) და სხვ.

სწორედ ამიტომ, ჩვენი სასიქადულო მამულიშვილები: ილია, აკაკი, ი. გოგებაშვილი, გ. წერეთელი, დ. ბაქრაძე, ექვ. თაყაიშვილი, პ. უმიკაშვილი, თ. ჟორდანია, თ. სახოკია, ალ. სარაჯიშვილი და სხვ. ქართველ ხალხს მოუწოდებდნენ გამოეჩინათ გულისხმიერება და შეეკრიბათ უპატრონობით „უადგილო ადგილას“ მიმოფანტული

---

[1] იხ. Описание рукописей Церковного Музея, духовенства грузинской эпархии, книга III, Тифлис, 1908.

ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების ამსახველი ძეგლები.

ილია ქართველ საზოგადოებას სთხოვდა შეედგინათ ეკლესია-მონასტრებში შემონახული ისტორიული საბუთებისა და ნივთების კატალოგები, დაედგინათ რა წიგნი, რა გუჯარი თუ სიგელი, როდის, ვის მიერ იყო შედგენილი თუ გამოცემული, რა მინაწერები ჰქონდათ, რითი გამორჩეულნენ და სხვ. ქართული კულტურის გულშემატკივარი ალექსანდრე სარაჯიშვილი „ივერიის" საშუალებით ქართველ საზოგადოებას არაერთგზის შეახსენებდა:

— ყველას უნდა ახსოვდეს, რომ წარსულის ნაშთების ღაცვა და პატივისცემა საზოგადო მოვალეობაა. ამიტომ თუ სადმე ძველი ნივთი თუ წიგნი ეგულებათ, უსათუოდ უნდა გადაარჩინონ დაღუპვას და უნდა აცნობონ ახალს საეკლესიო მუზეუმს და წერა-კითხვის საზოგადოებას".[1]

აღ. სარაჯიშვილი გულისტკივილით წერდა, რომ ისტორიული ძეგლები გაფანტული იყო საქართველოს საზღვრებს გარეთაც — სპარსეთში, ოსმალეთში, საბერძნეთში, რომში, რუსეთში და სხვ., რის გამოც ქართველები იძულებული ვართ „წარსულის ნაშთები ნაწილ-ნაწილად ვაგროვოთ და თითო ნაწილი ნაძღვილ მარგალიტად მივიჩნიოთ"-ო.[2]

წერა-კითხვის საზოგადოება ათეული წლების მანძილზე მარადიულ ნაწილ-ნაწილ კრებდა ისტორიულ წარსულის მარგალიტებს. ამ საქმეში ღიდი წვლილი მიუძღვის ექვთიმე თაყაიშვილს, რომელიც 1889 წლიდან არჩეული იყო წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრად. ამასთან დაკავშირებით ივი გადმოგვცემს: — „საზოგადოების წევრი რომ გავხდი, მივიხედ-მოვიხედე, შევატყვე, რომ ამ ძვირფასს ხელოსნურებს კაცი პატრონი არა ჰყავდა და ძალაუნებურად მოვკიდე ხელი, დავუწყე პატრონობა, მერე თანდათან გამიტაცა, შეშიყვარდა და ვიწყე ზრუნვა დაღუპვისაგან მათ გადარჩენაზე, ისინ ახალ-ახალსაც ვაგროვებდი, შემოწირულით აღარ ვკმაყოფილდი, საზოგადოების ხარჯზე შეძენაც დავიწყე, სხვადასხ-

---

[1] „ივერია", № 54, 1888 წ.
„ივერია", № 70, 1888 წ.

ვ. კუთხეში მიწერ-მოწერა გავაჩაღე, აგენტები გავიჩინე".[1]

პირველი ხელნაწერები ექვთიმე თაყაიშვილს 1889 წელს საკუთარი ხარჯით შეუძენია. ეს იყო ტყავის სვინაქსარი და სურათებიანი მეტაფრასტი. როგორც იგი გადმოგვცემს, ეს ხელნაწერები მას წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარის, ილიასთვის უჩვენებია და აუხსნია ამ მინაწერთა მეცნიერული ღირებულება. ილიას უყოყმანოდ აუნაზღაურებია ხარჯი; აქამდე ყველა ხელნაწერი საზოგადოებას მხოლოდ შემოწირულობის გზით ჰქონია შეგროვილი, გარდა „ქართლის ცხოვრების" მარიამ დედოფლისეული ნუსხისა, რომელიც ნ. მთვარელაშვილის თაოსნობით შეუძენიათ ერთი ქართველი ვაჭრისაგან.[2]

თუ როგორ ზრუნავდა წერა-კითხვის საზოგადოება ძველი გამოცემების შეძენაზე, ამაზე მიუთითებს გამგეობის სხდომების არაერთი ოქმი. მაგალითად, 1885 წლის 30 მაისს განუხილავთ ზაქარია ჭიჭინაძის მიერ წარმოდგენილი წიგნების სია, რომელთა შეძენას იგი სთხოვდა გამგეობას მეტად შეღავათიან ფასებში: — „კარგი იქნება, რომ წერა-კითხვის სამმართველომ ისარგებლოს ამით და შეიძინოს ყველა ეს წიგნები, თორემ შემდეგ ასე შეკრებილს ამდენ წიგნებს ვერსად ნახავენ, თუნდა წიგნების ნამდვილ ფასს გარდა მეტიც დახარჯონ"-ო.[3]

ზ. ჭიჭინაძისაგან წარმოდგენილი წიგნების სია, გამგეობის მინდობილობით, გადაუსინჯავს გამგეობის წევრს ალექსი მირიანაშვილს. მისი რეკომენდაციით წერა-კითხვის საზოგადოებამ შეიძინა 265 ძველი და ახალი ნაბეჭდი წიგნი, რომლებიც იმ დროისათვის უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა. მათ შორის იყო: პლ. იოსელიანის „გრამატიკა" (1863 წლის გამოცემა), გრ. ორბელიანის „განხილვა ქართულის ენისა" (1814 წ.), თეიმურაზ I „ვარდბულბულიანი" (1815 წ.), შავთელის „თამარ მეფის ქება" და სხვ.

ზ. ჭიჭინაძის დიდი მცდელობისა და მზრუნველობის შედეგად

---

[1] „ივერია", № 54, 1888 წ.
ე. თაყაიშვილი, რჩ. ნაშრ.,1968წ., ტ. I, გვ. 304.
[3] საქ. 96, ფურ. 12, წიგნების სრული სია გამოქვეყნდა „ივერიაში", № 12, 1885 წ.

წიგნსაცავში მოხვდა ბევრი უნიკალური გამოცემა და ხელნაწერი. ამაზე მიუთითებს ზ. ჭიჭინაძის ერთი მოხსენებაც, რომელიც მან წარუდგინა გამგეობას ივ. ბატონიშვილის „ბუნებისმეტყველების“ მოპოვებასთან დაკავშირებით. მოხსენება დათარიღებულია 1885 წლის 1 დეკემბრით. როგორც ამ მოხსენებიდან ჩანს, ივანე ბატონიშვილის ძველი ხელნაწერი წიგნი „ბუნებისმეტყველება“ 1870 წელს თბილისის „იარმურკაზედ“ შეუძენია სტეფანე გამრეკელს. ხელნაწერი შეიცავდა სხვადასხვა მცენარის, ბალახის, ხეების, ფრინველების, ცხოველების აღწერილობას. აქვე ყოფილა ლითონების აღწერილობაც. ზ. ჭიჭინაძის აზრით, ქართული ენის სამეცნიერო ტერმინებით გამდიდრება ბევრადაა დამოკიდებული ძველი მწერლობის შესწავლაზე, რომლის ერთ-ერთ ნიმუშსაც წარმოადგენს „ბუნებისმეტყველება“. — „როგორც შევიტყვე, ეს ხელთნაწერი დაწერილია ივანე ბატონიშვილის ხელით — წერს იგი — და როგორც ბროსეც იწერებოდა 1877 წელს, ეს ხელთნაწერი იშვიათია, რადგანაც სხვაგან არსად არის დაცული; ბროსემ ამ წიგნზე 15 მანეთი დამინიშნა მე, რომ მეშოვნა და გამეგზავნა მისთვის, მაგრამ მე ის ვერ ავასრულე, რადგან წიგნი ვერ ვიშოვნე, თუნდაც რომ მეშოვნა, მაინც ადვილად ვერ გავუგზავნიდი“.[1]

1889 წელს, წერა-კითხვის საზოგადოების დავალებით გამგეობის წევრებს ნ. მთვარელაშვილსა და თ. ჟორდანიას გაუსინჯავთ სომეხი ვაჭრის ენფიანჯანცის წიგნსაცავის ძველი ქართული ხელნაწერები და მათ შორის 22 ხელნაწერი შეურჩევიათ საზოგადოების წიგნსაცავისათვის.[2]

წიგნსაცავი კიდევ უფრო გამდიდრდა, რაც 1891 წელს ცნობილმა მეცნიერმა დავით ჩუბინაშვილმა ანდერძით დაუტოვა წერა-კითხვის საზოგადოებას თავისი მდიდარი ბიბლიოთეკის ის ნაწილი, რომელიც ქართულ ენაზე იყო, ან საქართველოს შეეხებოდა. წიგნების კატალოგიზაციისათვის პეტერბურგში გასამგზავრებლად წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ თხოვნით მიმართა მოსკოვში პროფესორ

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 96, ფურ. 26.
[2] იგივე ფონდი, საქ. 287, ფურ. 17-18.

ალექსანდრე ხახანაშვილს, რომელსაც არაერთხელ შეუსრულებია საზოგადოების დავალება.[1]

მიმართვაში აღნიშნული იყო:

— „საზოგადოების გამგეობა მოგმართავს თქვენ, რომლის გულშემატკივრობა წერა-კითხვის საზოგადოებისა და ყოველის საქართველოს სიკეთისადმი მან კარგად იცის და გთხოვს ინებოთ და თქვენს თავზე მიიღოთ შრომა ამ კატალოგის შედგენისა“.[2]

შემონახულია ალ. ხახანაშვილის საპასუხო წერილიც ილია ჭავჭავაძისადმი, სადაც იგი გამოთქვამს თანხმობას საზოგადოების ამ დავალების შესრულებაზე.[3]

მიუხედავად იმისა, რომ პირველხანებში წერა-კითხვის საზოგადოება დიდ მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა, ილია ჭავჭავაძე მაინც ახერხებდა გამოენახა სახსრები წიგნსაცავის გასამდიდრებლად. ამასთან, იგი კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ძველი ხელნაწერები და საბუთები შეეძინათ მათი ისტორიულ-ლიტერატურული ღირებულების წინასწარი გასინჯვის შემდეგ. ამ საქმეს ილია ხშირად ანდობდა გამგეობის წევრებს: დ. ბაქრაძეს, ნ. მთვარელაშვილს, თ, ჟორდანიას, ექვ. თაყაიშვილს, დ. კარიჭაშვილს, პ. უმიკაშვილს, ზ. ჭიჭინაძეს. ნიმუშისათვის მოვიტანთ პეტრე უმიკაშვილის რეცენზიას გაბრიელ ჭილაძის ხელნაწერზე. რეცენზიაში ვკითხულობთ:

— „ ხელნაწერი — დავთარი, კოტე ყიფიანისაგან წარმოდგენილი და მმართველობისაგან ჩემდამი გადმოცემული განსახილველად, გავსინჯე და აღმოჩნდა შემდეგი:

დავთარი არის შავად ნაწერი-მიწერ-მოწერა სხვადასხვა გვამთან, რომელთა შორის ვხედავთ: ბატონიშვილებს — ფარნავაზს, ქეთევანს, ბატონის რძალს მარიამს; გროველ მიტროპოლიტს, ეპისკოპოს გაიოზს, გამოჩენილ ექიმ თათულას, თავადებს და ძველ მოხელეთ, ნიკოლოზ ფალავანდოვს, ზაალ კობიევს /მთის მოურავს/, მღვდელსა და საკუთარ მის ნათესავებს და გლეხებს.

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 220, ფურ.I.

[2] იქვე.

[3] იგივე ფონდი, საქ. 284, ფურ. 19.

დამწერი არის გაბრიელ /ანუ გლახა/ ჭილაძე, დაბადებული 1762 წელს, ვახტანგ ბატონიშვილის დაახლოებული კაცი და მისი ამილახვარი /ქონების მოურავი/ არაგვზე. ეს უნდა იყოს პაპა ე.წ. ჭილაევებისა და ვახტანგთან ერთად გაგზავნილი პეტერბურგის რუსთ მთავრობისაგან, რადგანაც ეტყობა მომხრეობა ვახტანგისა.

წერილები ნაწერია 1807-დან 1817 წლამდე პეტერბურგში; შეიცავს გაფანტულად წვრილ-წვრილ ამბავს ბატონიშვილების ცხოვრებისას და მათ ერთმანეთთან დამოკიდებულებისას, აღწერილია სიკვდილი და დასაფლავება დარეჯან დედოფლისა /ერეკლე II მეუღლისა/; გვიხატავს თვით ავტორის აზრებს, როგორც იმდროის მოხელე-კაცისას, მის მოქმედებას, ქონებას, მის შრომისმოყვარეობას, ბატონყმურ ურთიერთობას, ნათესაობას, მეგობრობას, მეურნეობის მოყვარეობას და სხვას. წერილები მარტივი, მაგრამ მეტყველი ენით ნაწერია; ზოგი წერილი შემთხვევის კვალობაზე, ლიტერატურულის გამო არეულობითია. ავტორს ატყვია გონებითი სიფხიზლე, გამოცდილება, შორსმხედველობა. წერაში ემჩნევა თავდაჭერილობა, რომ შარი არავისგან მოედოს.

— ამ წერილებში მოხსენებულია ქაღალდები, სიგელები და დოკუმენტები, რომელიც ყურადღების ღირსი უნდა იყოს, რადგან შეეხება ბატონიშვილის მოხელეს და იქნება მოიპოვებოდეს კიდეც ჭილაევის სახლობაში. ამ დოკუმენტთაგან მიხეილ ჭილაევმა გადასცა „კრებულში“ და დაიბეჭდა შესანიშნავი „მორიგის ლაშქრობა“ მეფის ირაკლისა. სასურველია მონახულ იქნას.

— ჩემის აზრით, ჭილაძის ხელნაწერი ღირსია მოპოვებისა იმად, რომ გამოდგება ერთ მასალათ ამ საუკუნის პირველ ხანების სხვადასხვა ცნობისათვის, ანუ ნიშნის მიმცემ საგანსავით კვალის საძებრად ეხლანდელი უსახსრობის კვალობაზე უსასყიდლოდ“.[1]

პ. უმიკაშვილის ზემოხსენებული რეცენზიის საფუძველზე გამგეობამ უარი თქვა ამ ხელნაწერების შეძენაზე, მაგრამ თუ კ. ყიფიანი ხელნაწერებს უფასოდ შემოსწირავდა საზოგადოებას, შემოწირულობა დიდი მადლობით იქნებოდა მიღებული.

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 38, ფურ. 25.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნსაცავში დაცულ საისტორიო წყაროებს, მათი წმინდა მეცნიერული ღირებულების გარდა, დიდი ეროვნული მნიშვნელობაც ჰქონდათ, როგორც უტყუარ ისტორიულ საბუთებს საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში; ამიტომ, ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებისათვის საჭირო წყაროთმცოდნეობითი ბაზის შესაქმნელად წერა-კითხვის საზოგადოებასთან დაფუძნდა ძველი წიგნების გამომცემელი კომისია ექვ. თაყაიშვილის, ნ. მთვარელაშვილის და დ. კარიჭაშვილის შემადგენლობით. კომისიას უნდა შეესწავლა საზოგადოების წიგნსაცავში დაცული „ქართლის ცხოვრების" სხვადასხვა ნუსხა და თავისი აზრი გამოეთქვა მათ გამოცემასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, „ქართლის ცხოვრების" მეცნიერულ შესწავლაში მთავარი იყო მისი დათარიღებისა და ავტორობის საკითხი. უცხოელი მკვლევრები (სენ-მარტენი, კლაპროთი, დიუბუა დე მონპერე, მარი ბროსე) „ქართლის ცხოვრებას" ვახტანგ VI შემოქმედების ნაყოფად მიიჩნევდნენ. როგორც პროფ. კ. გრიგოლია მიუთითებს, ბევრი ვარაუდობდა, რომ იგი ვახტანგის დაწერილი თუ არა, მის მიერ შედგენილი მაინც უნდა ყოფილიყო ჩვენამდე მოღწეული სხვადასხვა მასალის მიხედვით და რომ ქართველებს ვახტანგამდე არ ჰქონიათ ნაციონალური ისტორია[1].

1883 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ქ. პატკანოვი თავის სტატიაში „ქართლის ცხოვრების" შესახებ ასაბუთებდა, რომ იგი შედგენილი იყო მე-12 საუკუნეში სომეხი ბერის მიერ, ხოლო ამაზე უფრო ადრინდელი წყაროები ქართველებს არ გააჩნიათო. ამგვარი ტენდენციური დამოკიდებულება ქართული ისტორიული წყაროებისადმი სცილდებოდა წმინდა მეცნიერულ ჩარჩოებს და შეურაცხყოფდა ქართველი ხალხის ეროვნულ ღირსებას. პატკანოვის შეხედულებათა წინააღმდეგ თერგდალეულთა თაობის გამოჩენილმა ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ „მოქცევაჲ ქართლისას" მარიამ დედოფლისეულ ნუსხაზე დაყრდნობით მეცნიერულად დაასაბუთა,

---

[1] კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954 წ., გვ. 93.

რომ „ქართლის ცხოვრება“ შედგენილი იყო ვახტანგ VI დიდი ხნით ადრე, კერძოდ, 1638-1648 წლებში და, მაშასადამე, გამორიცხული იყო ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიის მიერ „ქართლის ცხოვრების“ რაიმე მოკლე ვერსიის გამოყენების ვარიანტი. „... რამ აფიქრებინა ბ. პატკანოვს, — წერს დ. ბაქრაძე, — ვითომც ქართველი ერი ისეთ ველურ მდგომარეობაში იყო, რომ ვერა გრძნობდა საჭიროებას ისტორიისას მეთორმეტე საუკუნემდე და აქაც კი, თუ არ ისიც უმეცარის სომხის შემწეობით, მან ვერ შესძლო თავისი ისტორია თვითონვე შეედგინა“.[1]

ცნობილია, დ. ბაქრაძის შრომაზე დაყრდნობით, თუ როგორი საკადრისი პასუხი გასცა პატკანოვს ილია ჭავჭავაძემ თავის „ქვათა ღაღადში“. როგორც პროფ. შ. ბადრიძე სამართლიანად შენიშნავს, პატკანოვის კრიტიკისას ილია მთლიანად გამოდიოდა „ქართლის ცხოვრების“ შედგენის დროისა და მისი ღირებულების იმგვარი გაგებისაგან, რაც მაშინ ისტორიოგრაფიაში იყო დამკვიდრებული. ილიასათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო საკითხის არა მარტო აკადემიური მხარე, არამედ მისი ეროვნული ჟღერადობაც.[2]

1897 წლის 11 მარტს ძველი წიგნების გამომცემელმა კომისიამ წერა-კითხვის საზოგადოების წინაშე დააყენა საკითხი „ქართლის ცხოვრების“ როგორც მარიამისეული, ისე ვახტანგისეული რედაქციების პარალელურად გამოცემის შესახებ: — „კომისიას საჭიროდ მიაჩნია გამოიცეს ჯერჯერობით მარტო მარიამ დედოფლის ვარიანტი, როგორც უძველესი და დიდმნიშვნელოვანი და შემდეგ, როდესაც ამ გამოცემის ხარჯს დავიბრუნებთ, გამოიცეს ვახტანგის რედაქციის ტექსტიც ყველა ხელნაწერის ვარიანტების ჩვენებით“ — აღნიშნული იყო კომისიის მოხსენებაში. კომისიის ვარაუდით, მარიამისეული ნუსხის გამოცემა გამგეობას დაუჯდებოდა არა უმეტეს 800 მანეთისა (თუ 100 ცალზე მეტს არ გამოსცემდნენ). ტექსტი უნდა დაბეჭდილიყო უცვლელი სახით. ამასთან ერთად, დაისვა

---

[1] დ. ბაქრაძე, პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები, ტფ., 1884 წ., გვ. 13.

[2] შ. ბადრიძე, ილია ჭავჭავაძე, როგორც ისტორიკოსი, თბ., 1987 წ., გვ. 99.

საკითხი ამ ნუსხის ლითოგრაფიულად გამოცემის შესახებაც, მაგრამ გამოირკვა, რომ ამგვარი გამოცემა სამჯერ მეტი დაჯდებოდა, ვიდრე დაბეჭდვა, რის გამოც კომისიამ ამაზე უარი თქვა.[1]

იმავე წლის 15 აპრილს, წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილებით, ექვ. თაყაიშვილს დაევალა მოლაპარაკება გაემართა გუბერნიის მარშალ თ. მელიქიშვილთან, რომ ეკისრა მარიამისეული „ქართლის ცხოვრების" გამოცემის ხარჯები.[2] შემდეგში, 1906 წელს, წერა-კითხვის საზოგადოებამ საკუთარი სახსრებით გამოსცა ეს უძველესი ნუსხა ექვ. თაყაიშვილის მეცნიერული კომენტარებით.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნსაცავში დაცული მრავალი უნიკალური ხელნაწერი და ისტორიული საბუთი, რომლებსაც დიდი ისტორიულ-ლიტერატურული ღირებულება ჰქონდათ, მკვლევართათვის სხვაგან ხშირად ხელმიუწვდომელი იყო. მაგალითად, ბალავარიანის ყველაზე სრული ქართული ტექსტი მხოლოდ წერა-კითხვის საზოგადოების წიგნსაცავში ინახებოდა. მე-19 საუკუნის 80-იან წლებში დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ორიენტალისტები დაინტერესებული იყვნენ ბერძნული ბალავარიანის (ვარლაამისა და იოსაფის თხზულების) საკითხით; განსაკუთრებით დიდ ინტერესს იჩენდა ცნობილი არაბისტი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ვ. როზენი, რომელმაც თავის მოწაფეს ნ. მარს დაავალა, მოეძია მე-12 საუკუნეზე ადრინდელი ვერსია ქართული ბალავარიანისა, რაც საბოლოოდ დაამტკიცებდა როზენის ჰიპოთეზას ბერძნული ტექსტის ქართულისაგან მომდინარეობის შესახებ. 1889 წელს ნ. მარმა ექვ. თაყაიშვილთან ერთად წერა-კითხვის საზოგადოების წიგნსაცავში აღმოაჩინა ბალავარიანის ყველაზე სრული ქართული ტექსტი. მადლობის ნიშნად, იმავე წლის 19 ოქტომბერს, ნ. მარმა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას შემოსწირა ხუთი ცალი სპარსული სახარების აღწერილობა.

— „არა მნიშვნელობისათვის, არამედ მადლობის ნიშნად და

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 546, ფურ. 1-2.
[2] იგივე ფონდი, საქ. 822, ფურ. 4.

აგრეთვე საუწყებლადა მცირედზე მაინც, თუ რა ძვირფასი განძი იპოვება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავში, ავტორი ხსენებულ წიგნთსაცავს უგზავნის ხუთს ცალს სპარსული სახარების აღწერილობისას, რომელი სახარება იპოვება მუნვე"[1] — ვკითხულობთ ნ. მარის სამადლობელო წერილში.

ნ. მარმა, პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, თანდათანობით დღის სინათლეზე გამოიტანა ძველი ქართული მწერლობის უბრწყინვალესი ძეგლები, რომლებიც მიუთითებდნენ ქართული კულტურის მსოფლიო მნიშვნელობაზე. ამ საქმეში გარკვეული წვლილი მიუძღოდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

წერა-კითხვის საზოგადოების ხელნაწერთა ფონდებზე მუშაობისას ექვთიმე თაყაიშვილმა მიაგნო და აღწერა ბალავარიანის სხვადასხვა რედაქციები. 1895 წელს მან ბალავარიანის ქართული ტექსტი („სიბრძნე ბალავარისი") ცალკე წიგნადაც გამოსცა. 1899 წელს ექვ. თაყაიშვილის რედაქტორობით გამოვიდა „საქართველოს სიძველენი" (ტომი პირველი), სადაც მოთავსებული იყო წერა-კითხვის საზოგადოების წიგნსაცავში დაცული სიგელ-გუჯრები, შეწირულების, ნასყიდობის, ფიცის წიგნები და სხვა მნიშვნელოვანი ისტორიული აქტები. — „ამგვარი აქტების მნიშვნელობაზე ჩვენი ისტორიისათვის ლაპარაკს არ გავაგრძელებთ, — წერდა ექვ. თაყაიშვილი ამ შრომის წინასიტყვაობაში, — რადგანაც ეს ცხადია ყველა განათლებული ადამიანისათვის. ვიტყვით მხოლოდ, რომ ხსენებული გვარის ნაშთები შეადგენენ უმთავრეს და საუკეთესო მასალას ჩვენი წარსული ცხოვრების სურათის დასახატავად და საქართველოს ისტორიის აღსადგენად".[2]

1902 წლიდან ექვ. თაყაიშვილი შეუდგა წერა-კითხვის საზოგადოების წიგნსაცავის ხელნაწერთა აღწერილობას. ხელნაწერთა ფონდებზე მუშაობისას ექვ. თაყაიშვილი დარწმუნდა, თუ რა დიდ ეროვნულ საუნჯესთან ჰქონდა საქმე. „საქართველოს სიძველენის"

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 199, ფურ. 6.

[2] „საქართველოს სიძველენი", ტფ., 1899 წ., გვ. 3.

პირველი ტომის წინასიტყვაობაში იგი წერს: — „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა ფონდი თავისი სიმდიდრით პირველია საქართველოში. იგი აღემატება ასეთი სახის ყველა სხვა ფონდს ცალ-ცალკე როგორც რაოდენობით, ისე შინაარსით. მასში ქართული ლიტერატურის და, საერთოდ, ქართული დამწერლობის მრავალი ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლია დაცული, რომლებიც სხვა წიგნთსაცავებში არ არის".[1]

1912 წლისათვის, ათი წლის კოლოსალური შრომის შემდეგ, ექვ. თაყაიშვილმა დაასრულა ხელნაწერთა აღწერილობა. თავიდან იგი ვარაუდობდა მთელი ფონდის აღწერას, მაგრამ მხოლოდ ორი ტომის (თითოეული 4-ნაკვეთად) გამოქვეყნება მოახერხა. („Описание рукописей грамотности среди грузинского населения"). 1906 წელს, მეორე ტომის პირველი ნაკვეთის გამოქვეყნების შემდეგ, ნიკო მარმა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში ვრცელი რეცენზია წარადგინა ამ ნაშრომზე, რომლის საფუძველზეც იგი ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

ნიშანდობლივია, რომ 1896-1899 წლებში რუსულ ჟურნალში („Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа") ექვ. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებულ მთელ რიგ საყურადღებო მასალებს საქართველოს ისტორიიდან (სათანადო მეცნიერული კომენტარებით) თავისთავად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყველა იმათ წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინც საქართველოს ისტორიას აყალბებდა.

წერა-კითხვის საზოგადოება ილიას ხელმძღვანელობით ყოველთვის ეხმარებოდა ექვ. თაყაიშვილს ფულითა თუ მორალური მხარდაჭერით. მაგალითად, 1895 წლის 6 ივნისს გამგეობამ დააკმაყოფილა ექვთიმეს თხოვნა ჟურნალ „მოამბეში" სიგელ-გუჯრების დასაბეჭდად საზოგადოების ბიუჯეტიდან გამოეყოთ მისთვის 200 მანეთი; იმავე წლის 9 დეკემბერს გამგეობამ ექვ. თაყაიშვილს დამატებით გამოუყო ამდენივე თანხა. ასეთი მაგალითების მოტანა ბევრი შეიძლება. ილია „ივერიაში" დიდი სიამოვნებით ბეჭდავდა სიგელ-

[1] „საქართველოს სიძველენი", ტფ., 1899 წ., გვ. 3.

გუჯრებისა თუ სხვა ისტორიული საბუთების აღწერილობებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს მკითხველი საზოგადოებისათვის მოსაწყენი საკითხავი იყო, მაგრამ ილიამ იცოდა მათი ფასი![1] ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდის ექვ. თაყაიშვილის კვლევითი პუბლიკაციები და სამეცნიერო შრომები („სამი ისტორიული ხრონიკა", „წმ. ნინოს ცხოვრება", „საქართველოს სიძველენი" და სხვ.) ძირითადად წერა-კითხვის საზოგადოების წიგნსაცავში დაცულ მასალებს ეყრდნობოდა.

ექვ. თაყაიშვილს ყურადღების გარეშე არ რჩებოდა არც ძველი ისტორიული ნაშთების ფოტოგრაფიული ალბომების შედგენა. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობისადმი წარდგენილ ერთ-ერთ მოხსენებაში ამის შესახებ იგი წერს: — ჩვენ ჯერ არცერთი ძველი ნაშთის სურათი არ შეგვიძენია, თუმცა სურათები ჩვენი მონასტრებისა, ეკლესიებისა და სხვადასხვა არქეოლოგიურის ნივთებისა საკმაოდ მოიპოვება როგორც ჩვენს ფოტოგრაფიაში, ისე ერმაკოვისა და სხვებისაში. ვთხოვ გამგეობას, ნება დამრთოს შემდგარ იქნეს ალბომები მუზეუმისათვის ჯერ იმ სურათებისა, რომელნიც მოიპოვება ჩვენს ფოტოგრაფიაში და შემდეგ შეძენილ იქნას სურათები სხვა ფოტოგრაფიებიდანაც".[2]

ამგვარად, ექვ. თაყაიშვილმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ეროვნული საუნჯის — წიგნსაცავ-მუზეუმის სიძველეთა მოპოვებისა და მათი მეცნიერული აღწერა-გამოცემის საქმეში, რამაც დიდად შეუწყო ხელი ქართველი საზოგადოების მეცნიერული აზროვნებისა და მისი ეროვნული ცნობიერების განვითარებას.

ექვ. თაყაიშვილთან ერთად წიგნსაცავ-მუზეუმისათვის ისტორიული საბუთების მოძიებაში დიდი წვლილი შეიტანა მოსე ჯანაშვილმა (1855-1934წწ). მისი სიტყვით, „ქართლის ცხოვრება" უმთავრესად მეფეთა და ომების ისტორიას აშუქებდა, მაშინ, როდესაც სიგელ-გუჯრები, სამართლის, ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი, ენობრივი, ნუმიზმატიკური და სხვა მასალები ხალხის შინაგანი

---

[1] Вместо предисловия, Описание, I, стр. 11.
ცსსა, ფონ. 481, საქ. 820, ფურ. II.

ცხოვრების გაშუქებას ისახავდნენ მიზნად.[1] მ. ჯანაშვილმა თავის წიგნში „საქართველოს ისტორია“ ეს მხარე წინა პლანზე წამოსწია. ამ წიგნის მეორე გამოცემის გამო ილია ჭავჭავაძე „ივერიაში“ წერს: — „მოსე ჯანაშვილი თავის მოკლე ისტორიაში შეძლებისდაგვარად ასრულებს ისტორიის ფილოსოფიის მოთხოვნილებათაც. გვამცნობს არა თუ მარტო ქართველთა ომებს, არამედ მათს კულტურულს ცხოვრებასაც იმდენად, რამდენადაც საქართველოს საისტორიო არსებული წყაროები ნებას აძლევენ მას“.[2]

1891 წელს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ მოისმინა მ. ჯანაშვილის მოხსენება სახელმწიფო ქონებათა მმართველობაში არსებული სიგელ-გუჯრების გადმოცემის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნული იყო შემდეგი: — „კარგად უწყის პატივცემულ გამგეობამ, რომ საქართველოს ისტორიის შესასწავლად ფრიად საჭიროა, რათა გამოქვეყნებულ იქნას ის მასალა, რომელსაც ეწოდება „სიგელნი“ და „გუჯარნი“. უმეტესი ნაწილი ამ ძვირფას საუნჯისა შენახულია: ა/ გუჯარნი იმერეთისა — ტფილისის სახელმწიფო ქონებათა გამგეობის მმართველობაში და იმერეთისა — ქუთაისის სახელმწიფო ქონებათა გამგეობის მმართველობაში, ბ/ სიგელნი თავად-აზნაურთა — იმერეთისა ტფილისის საგუბერნიო მმართველობის არქივში და იმერეთისა — ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის არქივში. თუ რა ღირსებისანი არიან ეს ძეგლნი აღსადგენად წარსული ჩვენი ცხოვრებისა, სჩანს განსვენებულ ბროსეს სიტყვებიდან... აი, რას ამბობს მათ შესახებ: „საქართველოს სიგელ-გუჯარნი გამოხატავენ ერის სოციალურ ცხოვრებისა და კერძო პირთ დამოკიდებულებამდგომარეობას: საეკლესიოსა, სამოქალაქოსა და სამხედრო დაწესებულების ქვეყნისას; სჯულდების შესახებ, გაყიდვა-გამყიდვისა და მემკვიდრეობისა; ბეგარა-ხარჯების წესებსა; მოქალაქეთა ერთ-ერთი შორებრივ დამოკიდებულებასა და მათსავე მოვალეობის წინაშე უზენაესს უფლებისა; ყველა იმ წვლილთა, რომელნიც გვიჩვენებენ ერის ჭეშმარიტ თვისება-ჩვეულებასა და სამერმისო მის მისწრაფე-

---

[1] მოსე ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, ტ. I, 1906 წ., გვ. 298.
[2] „ივერია“, № 74, 1895 წ.

ბასა“ — ბროსეს ნათქვამს ჩვენ, ჩვენის მხრივ, უნდა დავუმატოთ, რომ იგივე სიგელ-გუჯარნი უებარნი წყარონია ქართული ენის ზრდისა და განვითარების შესასწავლად...

— ვსთხოვ გამგეობას, უკეთუ შესაძლებლად სცნობს ამ ჩემს მოხსენებას, სთხოვოს ვისადმი ჯერ არს, რათა „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ნება დართონ გადმოწეროს პირი ხსენებულ სიგელ-გუჯართა ბიბლიოთეკისათვის“.[1]

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნსაცავ-მუზეუმის ხელნაწერებისა და ნუმიზმატიკური კოლექციების სისტემატიზაციის საქმეს დიდი ამაგი დასდეს გამგეობის წევრებმა — ნ. მთვარელაშვილმა და დ. კარიჭაშვილმა. ეს უკანასკნელი დიდი ხნის მანძილზე მუშაობდა მუზეუმის გამგედ. 1887 წელს გამოიცა ნ. მთვარელაშვილის მიერ შედგენილი წიგნსაცავის კატალოგი, ხოლო 1904 წელს — დ. კარიჭაშვილის კატალოგი, რომელშიც 3875 ხელნაწერი იყო აღნუსხული. 1911 წელს დ. კარიჭაშვილმა იგი ხელმეორედ გამოსცა შევსებული სახით.

უკვე 90-იანი წლებისათვის წიგნსაცავ-მუზეუმში შეგროვდა ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის მდიდარი წერილობითი ძეგლები და პირველნაბეჭდი ქართული წიგნების დიდი ფონდი. 1894 წელს აქ ინახებოდა 939 ძველი ქართული ხელნაწერი და 2900-ზე მეტი ნაბეჭდი წიგნი, აგრეთვე სხვადასხვა ისტორიული საბუთი, სიგელ-გუჯრები (ნასყიდობის, წყალობის, შეწირულების, მზითვის წიგნები და სხვ.). მათი გამოკვლევა და მეცნიერული შესწავლა წერა-კითხვის საზოგადოების ზნეობრივ მოვალეობას შეადგენდა. გარდა ამისა, საჭირო იყო ჯერ კიდევ ბევრი ხელნაწერისა და ისტორიული საბუთის მოპოვება და მათი წიგნსაცავში შემოტანა. მიუხედავად ამისა, წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ საზრუნავს, პირველ რიგში, წიგნსაცავ-მუზეუმის მოვლა-პატრონობა შეადგენდა.

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა ხშირად იღებდა მომართვებს როგორც რუსეთიდან, ისე საზღვარგარეთიდან ძველი ქართუ-

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 287, ფურ. 6.

ლი ხელნაწერებისა და გამოცემების თხოვება-გადაგზავნის შესახებ. მაგალითად, ასეთი მომართვა მიიღო საზოგადოებამ 1889 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორისაგან, რომელიც დროებით სარგებლობისათვის გამგეობას სთხოვდა ფარსადან გორგიჯანიძის ხელნაწერს;[1] 1897 წლის 11 სექტემბრით დათარიღებულ წერილში მარჯორი უორდროპი ლონდონში რამდენიმე ძველი ქართული წიგნის გადაგზავნას ითხოვდა;[2] 1900 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტი 3 თვის ვადით სთხოვდა გამგეობას პრივატ-დოცენტ ნ. მარისათვის შატბერდისეულ ხელნაწერს.[3]

გამგეობა ხშირ შემთხვევაში აკმაყოფილებდა ასეთ თხოვნებს, მაგრამ მკაცრად იცავდა ხელნაწერთა გაფრთხილებისა და მათი დროულად უკან დაბრუნების წესებს. 1889 წლის 31 მარტს ილია ჭავჭავაძე პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორს მისი თხოვნის პასუხად წერდა: „Вследствие вашего предложния от 17 марта сего года за N376, Правление Общества распространения грамотности среди Грузин, имеет честь препроводить к Вам при сем из библиотеки Общества грузинскую рукопись Горгиджанидзе Фарсадана — 174-1, прося покорно, по миновании надобности не замедлить с высылкой книги обратно. Председатель Общества И. Чавчавадзе.“[4]

წერა-კითხვის საზოგადოებას შემუშავებული ჰქონდა სპეციალური „ინსტრუქცია წიგნთსაცავიდან წიგნებისა და ხელნაწერების სახლში სახმარებლად გაცემისათვის“, რომლის მიხედვით, ხელნაწერებისა და წიგნების გაცემა შეიძლებოდა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში გამგეობის ნებართვით, ერთი თვის ვადით. გაიცემოდა მხოლოდ ისეთი წიგნი, რომელიც რამოდენიმე ცალი იყო წიგნსაცავში; შემოღებული ჰქონდათ სპეციალური ბარათები, სადაც აღნიშნული იყო ხელნაწერის ზომა და ფურცლების რაოდენობა. ასე უფრთხილდებოდა წერა-კითხვის საზოგადოება კულტურულ

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 220, ფურ.3.
[2] იგივე ფონდი, საქ. 551, ფურ. 4-5.
[3] იგივე ფონდი, საქ. 725, ფურ. 4.
[4] იგივე ფონდი, საქ. 220, ფურ. 5.

მემკვიდრეობას, რათა შთამომავლობისათვის უკლებლივ გადაეცა ეს ფასდაუდებელი განძი.

ბინის მხრივ წიგნსაცავ-მუზეუმი დიდ სივიწროვეს განიცდიდა. დავით ჩუბინაშვილის მდიდარი ბიბლიოთეკა ჯერ ისევ ყუთებში იყო ჩალაგებული და მკვლევართათვის ხელმიუწვდომელი რჩებოდა; სივიწროვის გამო ძველი ხელნაწერები და ისტორიული საბუთები, ნუმიზმატიკური კოლექციები და სხვა ძვირფასი მასალა არ იყო სათანადოდ დაცული მოსალოდნელი საფრთხისაგან. 1889 წლის 3 იანვარს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წინაშე პირველად იაკობ გოგებაშვილმა დააყენა საკითხი წიგნსაცავისათვის საკუთარი შენობის გამონახვის შესახებ: — „მოხერხებული სადგურის უქონლობა შიშ ქვეშ ამყოფებს საზოგადოების ბიბლიოთეკას, ამ დაუფასებელ ნაციონალურ საუნჯეს“ — აღნიშნავდა იგი და წინადადებას აყენებდა ეთხოვათ ბანკის მმართველობისათვის უფასოდ დაეთმო ბანკის შენობის სამხრეთით მიმდებარე ცარიელი ადგილი წიგნსაცავ-მუზეუმის შენობის ასაგებად.[1]

სამუზეუმო შენობის აგებაზე ზრუნვა წერა-კითხვის საზოგადოებამ 90-იანი წლებიდან დაიწყო. ამ მიზნით 1897 წელს გამგეობის გადაწყვეტილებით, წერა-კითხვის საზოგადოებასთან არსებული საგანგებო ფონდები შეერთდა (გარდა რაფიელ ერისთავისა და სალიტერატურო ფონდებისა) და ამ გზით შეიქმნა ე.წ., სამუზეუმო ფონდი, რომელსაც 1909 წელს ილიას, რ. ერისთავის, სტამბისა და ძველი წიგნების ფონდებიც შეუერთდა და, ამგვარად, სამუზეუმო ფონდმა 10 ათას მანეთს მიაღწია. მიუხედავად ამისა, გამგეობა პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას ჯერ კიდევ ვერ ბედავდა — 1907 წლამდე საზოგადოებას უძრავი ქონების შეძენის უფლებაც არ გააჩნდა.

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრები ყოველთვის დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ წიგნსაცავ-მუზეუმში დაცული კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისადმი. პასუხისმგებლობის გრძნობა განსაკუთრებით გაიზარდა 1905 წლის რევ-

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 66, ფურ. 256.

ოლუციის პერიოდში. ამაზე მიუთითებს ექვ. თაყაიშვილის ერთი მოხსენებაც გამგეობისადმი, რომელიც დათარიღებულია 1905 წლის 27 დეკემბრით. ეს მოხსენება 1980 წელს პირველად ჩვენს მიერ იქნა მიკვლეული, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „საისტორიო მოამბეში".[1]

ექვთ. თაყაიშვილის მოხსენებაში აღნიშნულია შემდეგი: — „ყველას კარგად მოეხსენება, რომ წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავი და მუზეუმი წარმოადგენს ერთადერთ დაწესებულებას ჩვენში, სადაც შეკრებილია მთელი ქართველთა ერის ცხოვრების, ლიტერატურის და მეცნიერების ნაშთები. ეს ისეთი განძია, რომელიც ფასით არ იყიდება და თუ ერთხელ დაიკარგა, აღდგენა აღარ შეიძლება, გაქრა ეს განძი, გაქრა ისტორია, ლიტერატურა, მეცნიერება და საზოგადოდ, მთელი კულტურა ქართველი ერისა, თუ ამ განძის შეკრება შეადგენდა მოვალეობას საზოგადოების გამგეობისა, გამგეობა მით უმეტეს მოვალედ უნდა ხდიდეს თავის თავს, რომ ეს ფასდაუდებელი განძი კარგად დაიცვას, მოუაროს და არ დაუკარგოს ქართველ ერს. გამგეობა მოვალეა ყოველი ღონე იღონოს, რომ ხსენებული ნაშთი უზრუნველყოს ყოველი ხიფათისაგან. დღეს ჩვენში საშიში დრო დადგა, კერძო სახლი და კერძო პირი დიდ განსაცდელშია, წიგნთსაცავი საშიშ ადგილზეა, ამიტომ ვთხოვ გამგეობას, დაუყოვნებლივ შეიკრიბოს და ქართველი საზოგადოების საპატივსაცემო პირების თანდასწრებით გამოძებნოს ღონე წიგნთსაცავის და მუზეუმის საუკეთესოდ დაცვისათვის.

გამგეობის წევრი ექვთიმე თაყაიშვილი".[2]

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნსაცავ-მუზეუმი დიდი ხნის მანძილზე არწრუნისეულ ქარვასლაში იყო მოთავსებული, სადაც სრულიად ადვილად შეიძლებოდა გაჩენილიყო ხანძარი, ამიტომ საზოგადოების ხელმძღვანელობა ცდილობდა ეროვნული კულტურის ეს საგანძური უსაფრთხო ადგილას გადაეტანა. 1909 წლის 2 დეკემბერს საზოგადოების საერთო კრებაზე გიორგი ყაზბეგმა ვრ-

---

[1] იხ. ჟურნ. „საისტორიო მოამბე", ტ. 41-42, 1980 წ., დოკ. № 18, გვ. 262.
[2] ცსსა, ფონ. 481, საქ. 967, ფურ. 1.

ცელი მოხსენება წაიკითხა, რომელშიც გამოთქმული იყო გამგეობის აზრი წიგნსაცავ-მუზეუმის ილიასეულ სახლში (ანდრეევის ქუჩაზე) გადატანის შესახებ, რისთვისაც საჭირო იყო შენობის სათანადოდ გადაკეთება. გამგეობის ამგვარ წინადადებას, სხვადასხვა მოსაზრების გამო, მხარი არ დაუჭირა იაკობ გოგებაშვილმა, რომელიც მოითხოვდა წიგნსაცავ-მუზეუმისათვის სპეციალური შენობის აგებას.[1] გამგეობამ გაიზიარა ი. გოგებაშვილის წინადადება და შექმნა სამუზეუმო კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: ექვ. თაყაიშვილი, ალ. სარაჯიშვილი, კ. ცინცაძე, ნ. ელიავა, ს. კლდიაშვილი, დ. ჯორჯაძე, იპ. ვართაგავა და სხვ.[2]

ცნობილმა ქველმოქმედმა და საზოგადო მოღვაწემ დავით სარაჯიშვილმა სურვილი გამოთქვა, რომ მუზეუმს საკუთარი სახსრებით ააშენებდა იმ პირობით, თუ მუზეუმისათვის ადგილს თვითონ წერა-კითხვის საზოგადოება შეიძენდა. სამწუხაროდ, დ. სარაჯიშვილი მალე გარდაიცვალა (1911 წელს), მაგრამ თავისი ანდერძით მაინც უზრუნველყო მუზეუმის მშენებლობა. ანდერძის მიხედვით, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უნდა გადასცემოდა 300 ათასი მანეთი, აქედან ნახევარი მოხმარდებოდა მუზეუმის აშენებას, მეორე ნახევარი — რუსეთსა და საზღვარგარეთ მოსწავლე წარჩინებულ ქართველ სტუდენტობას.

1911 წელს წერა-კითხვის საზოგადოებამ მუზეუმის ასაშენებლად 60 ათას მანეთად შეიძინა 4656,75 კვ მ. ფართობის მიწა ვერაზე, ოლღას ქუჩისა და დუშეთის ქუჩის ბოლოში („ფიქრის გორაზე"), ხოლო წიგნსაცავ-მუზეუმი ექვთიმე თაყაიშვილის რჩევით, დროებით, შენობის აგებამდე, ქართული გიმნაზიის შენობაში გადაიტანა (თბილისის უნივერსიტეტის I კორპუსი). ამ დროისათვის წიგნსაცავში იყო 1835 ქართული ხელნაწერი და 3616 ნაბეჭდი წიგნი, 3276 — უცხო ენაზე ნაბეჭდი. ამ წელს შემოწირულების გზით წიგნსაცავს შეემატა ი. ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა; გარდა ამისა, სხვადასხვა გამოცემები შემოსწირეს: ნ. მარმა, ი. ყიფშიძემ, ალ.

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1142, ფურ. 21.

[2] იქვე.

ხახანაშვილმა, ს. ავალიანმა, კ. დოდაშვილმა, ქართულმა ფილარმონიულმა საზოგადოებამ, საეკლესიო მუზეუმმა, „ნაკადულის", „ჯეჯილის", „სახალხო განათლების" რედაქციებმა და სხვ.[1] 1914 წლის 1 იანვრისათვის წიგნსაცავ-მუზეუმში სულ ინახებოდა 11393 ხელნაწერი და ნაბეჭდი თაბახი.

პირველმა მსოფლიო ომმა შეაჩერა მუზეუმის მშენებლობის საქმე. წერა-კითხვის საზოგადოება დიდ მატერიალურ გასაჭირში ჩავარდა და უსახსრობის გამო ვეღარ მოხერხდა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა.

ქართული შემკრებლობითი ფოლკლორისტიკა

ეროვნულ სიძველეთა შორის ხალხურ ზეპირსიტყვიერებას განსაკუთრებული ადგილი მიეკუთვნება. იგი არის ხალხური საუნჯე, დაუშრეტელი ზღვა, რომელიც, ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვით, კოვზით არ ამოიწურება: — „ამ ზღვაში... მთელი ქართველი ერის ისტორიაა შერთული, მასში იხატება ჩვენი ხალხის სიბრძნე, გონების სიმკვირცხლე, მსოფლიოს თვალსაზრისი, მისი სულისკვეთება, სიმღერა და გალობა, გლოვა-გოდება, ზნე-ჩვეულება და შემოქმედებითი ნიჭი..." ამიტომაც განუზომელია ქართული ფოლკლორისტიკის მნიშვნელობა ძველი ხელნაწერებისა და ისტორიული ძეგლების მეცნიერული შესწავლისათვის და, საერთოდ, ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობის ღირსეულად წარმოჩენისათვის.

შემკრებლობითი ფოლკლორისტიკის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა სამოციანელებმა: ილიამ, აკაკიმ, იაკობ გოგებაშვილმა, გ. წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ და სხვ., რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ხალხში გაბნეული მარგალიტების (ლექსები, ლეგენდები, თქმულებები, ზღაპრები, ანდაზები, აპოკრიფები და სხვ.) შეკრებას და მათ ერთად თავმოყრას ეროვნულ საუნჯეში. ამ ეროვნუ-

[1] ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიში, ტფ., 1912წ., გვ. 59-63.

ლი საქმის დიდი ენთუზიასტები იყვნენ: რაფიელ ერისთავი, პეტრე უმიკაშვილი, დავით ხიზანიშვილი, თედო რაზიკაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ლადო აღნიაშვილი, გიორგი ჟორდანია და სხვ.

ილიას აზრით, მხოლოდ ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალების ღრმა და საფუძვლიანი შესწავლის გზით იყო შესაძლებელი ქართველი ხალხის წარსულისა და აწმყოს, მისი ავისა და კარგის, მისი წადილისა და საჭიროების ყოველმხრივი შეგნება.

— „საჭიროა, რომ ჩვენმა ნასწავლმა საზოგადოებამ ერთად თავი მოიყაროს, მოილაპარაკოს, ასწონ-დასწონოს ყოველიფერი ამ საგნის შესახებ და პროგრამა შეადგინოს ხალხის ზნე-ჩვეულებათა შეკრებისა და შესწავლისათვის"[1] — ასე ესახებოდა ილიას განათლებული ინტელიგენციის როლი ამ საქმეში. ამიტომაც, შემკრებთა პირველ პლეადას შეადგენდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გარშემო შემოკრებილი ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი (მწერლები, ეთნოგრაფები, ფოლკლორისტები, ენათმეცნიერები, პედაგოგები, სასულიერო პირები და სხვ.), რომელსაც კარგად ესმოდა ამ საქმის დიდი მეცნიერული და ეროვნული მნიშვნელობა.

1882 წელს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრებმა იაკობ გოგებაშვილმა და პეტრე უმიკაშვილმა გამგეობის წინაშე დააყენეს საკითხი ხალხური სიტყვიერების შეკრებისა და მათი გამოცემის საჭიროების შესახებ. სხდომას ილია თავმჯდომარეობდა. ესწრებოდნენ: გ. თუმანიშვილი, რ. ერისთავი, ივ. მაჩაბელი და ალ. სარაჯიშვილი. მომხსენებელთა აზრით, პირველ რიგში საჭირო იყო სათანადო პროგრამის შემუშავება (როგორც ამას ილიაც მოითხოვდა), რომელშიც ფართო მონაწილეობა უნდა მიეღოთ სახალხო მასწავლებლებსაც. გამგეობამ მოიწონა ეს აზრი და საჭიროდ მიიჩნია ერთობლივად შეემუშავებინათ სპეციალური პროგრამა ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შესაკრებად და იგი პრესაშიც გამოექვეყნებინათ[2].

---

[1] ი. ჭავჭავაძე. თხზ., ტ. 5/4, 1955 წ., გვ 192-194.
ცსსა, ფონ. 481, საქ. 45, ფურ. 51.

პეტრე უმიკაშვილი (1838-1904 წწ.) ცნობილი ფოლკლორისტი და საზოგადო მოღვაწე, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე დიდი ენთუზიაზმით კრებდა ხალხში გაბნეულ მარგალიტებს და ჰქონდა ქართული ფოლკლორის მდიდარი კოლექცია. 1874 წელს გამოსცა „ლექსები სახალხო სიმღერებისაგან შედგენილი", 1874-1876 წლებში — ქართული ანდაზების ორი კრებული, აგრეთვე დაბეჭდა „არსენას ლექსი", „ეთერიანი" და სხვ. პ. უმიკაშვილი ფართო აგიტაციას ეწეოდა ქართულ პრესაში ხალხური სიტყვიერების შეკრების მიზნით. 1888 წელს იგი „ივერიაში" წერდა: „...რაც დღეს ხალხში ტრიალებს, დღესვე სისრულით უნდა იყოს შეკრებილი, იმიტომ რომ ხვალ ან შეიცვლება, ან სხვა ახალი გამოჩნდება და ძველი გადაგვარდება, დავიწყებული იქნება. წელიწადი არ გავა, რომ არამც თუ სახალხო პოეზიის სათაურში, სოფელში, თვით ჩვეულებრივად ერის პოეზიასთან დაშორებულ ქალაქებშიაც ახალი სიმღერა, ახალი ლექსი არ გამოითქვას. მაშასადამე, ყოველ დღეს, ყოველ წელიწადს მოაქვს პოეზიას ახალი მასალა შემკრებისათვის..."[1]

1884 წლის 27 მაისს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიურ კრებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ: ივ. მაჩაბელი, თ. ჟორდანია, ი. გოგებაშვილი, ვას. მაჩაბელი, დ. ჯანაშვილი, ნ. ცხვედაძე, ან. ფურცელაძე, ან. თუმანიშვილისა, აკ. წერეთელი, ი. მეუნარგია, გრ. ყიფშიძე, პ. უმიკაშვილი და სხვ., კრების დასასრულს, აკაკიმ საუბარი წამოიწყო ხალხური სიტყვიერების შეკრებაზე და ამ საქმის დიდ ეროვნულ მნიშვნელობაზე. იგი სთხოვდა საზოგადოებას, რომ მცირე გასამრჯელო დაენიშნა იმ პირთათვის, ვინც იკისრებდა სოფელ-სოფელ სიარულს და შეკრებდა ფოლკლორულ მასალებს.

აკაკის არ დაეთანხმა ანტონ ფურცელაძე. მისი აზრით ამ საქმეზე ფულის დახარჯვა საზოგადოებისათვის ჯერჯერობით ზედმეტ ფუფუნებას წარმოადგენდა: — „კაცს რომ პური არა ჰქონდეს, ვარდზე ფიქრი რას არგებს"-ო — ამბობდა იგი. კრებამ აკაკის

[1] „ივერია", № 29, 1888 წ.

დაუჭირა მხარი და უმრავლესობამ აღიარა ზეპირსიტყვიერების შეკრების გადაუდებელი საჭიროება.[1]

ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრების საკითხი აკაკიმ უფრო აქტიურად დააყენა 90-იან წლებში. 1895 წელს ჟურნალ „კვალის" მე-6 ნომერში გამოქვეყნდა მისი წერილი „განცხადებასავით", რომელსაც წინ უძღოდა რედაქციის შენიშვნა — „ქართული საერო საქმე", სადაც რედაქცია ქართველ საზოგადოებას სთხოვდა მხარი დაეჭირა აკაკის განცხადებისათვის და თავისი წვლილი შეეტანა ზეპირგადმოცემების შეკრებაში, რისკენაც მოუწოდებდა პოეტი.

აღნიშნულ წერილში აკაკი საუბრობს ზეპირსიტყვიერების შეკრების დიდ ეროვნულ მნიშვნელობაზე და ცდილობს ქართველი საზოგადოება დაარწმუნოს ამ საქმის გადაუდებელ საჭიროებაში. აკაკის სიტყვით, მართალია ქართველებს ბევრი სხვა საქმეც ჰქონდათ საკეთებელი, მაგრამ არც ერთი მათგანი ისეთი საშური არ იყო, როგორც ზეპირგადმოცემების შეგროვება: — „სხვა დანარჩენი, მასთან შედარებით, „ჩხირ-კედელაობათ" უნდა ჩაითვალოს"-ო — ამბობდა იგი, რასაც იმით ასაბუთებდა, რომ ქართულ ზეპირგადმოცემებს მსოფლიო მნიშვნელობაც ჰქონდათ. როგორც აკაკი წერს, „არსად ისე არ გავრცელებულა" მეზღაპრეობა, მესტვირეობა" და მეშაირობა", როგორც ჩვენში. ძველი და ახალი აღთქმა სულ ერთიანათ გალექსილი იყო და ტრიალებდა ჩვენ ხალხში! აბა, რომელ გმირზე არ გამოუთქვამთ შაირი?... ამას გარდა, ძველი ხალხების მითოლოგია სულ ჩვენ ზღაპრებში არიან მოქცეულნი, აქვე შეხვდებით ჰომეროსისა და სხვა ძველი დროის მწერლების თხზულებებსაც ნაწყვეტ-ნაწყვეტათ, მაგრამ ქართული ხასიათით და სულით".[2]

აკაკი მტკივნეულად განიცდიდა, რომ თანდათანობით მოხუცებს საფლავში მიჰქონდათ ეს ძვირფასი განძი, ხოლო ახალ თაობას — აღარ ეხალისებოდა ეს ძველებური საზეპიროები. — „ერთი ათი წელიწადი კიდევ და მშვიდობით!.. ჩვენი დღევანდელი დაუდევრობით დავკარგავთ იმას, რისი მოპოვება მერე შეუძლებე-

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 65, ფურ. 16.

[2] ჟურნ. „კვალი", 1895 წ., № 6.

ლი იქნება...“[1] — აფრთხილებდა იგი ქართველ საზოგადოებას.

აკაკის მოწოდებამ დიდი თანაგრძნობა გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში, რაზეც მიუთითებს იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული უამრავი წერილი როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ისე შორეული ქვეყნებიდანაც. მაგალითად იოსებ მერკვილაძე ქალაქ ირკუტსკიდან „კვალის“ რედაქციას წერდა: „... ვისწრაფვი მოგმართოთ შორის ქვეყნიდან უმორჩილესის თხოვნით, რათა მიიღოთ შრომა და ამასთანავე ჩემ მიერ წარმოგზავნილი ათი თუმანი გადასცეთ დიდის მოწიწებით ჩვენს საყვარელ დიდებულს მგოსან მამულიშვილს აკაკის, საფუძვლათ მისი დიდებული ჩვენი საერო საქმისა, რომლისთვისაც მთელს ქართველობას მოგვიწოდებს. ამასთანავე სრული დაიმედებული ვარ, რომ არ დარჩება არც ერთი ქართველი, საცა და რა მდგომარეობაშიაც უნდა იყოს იგი, რომ აკაკის მოწოდებას ბანი არ მისცეს და თავის უკანასკნელი წვლილი — თავის საქვეყნო-საერო სალაროში არ შეიტანოს“.[2]

1895 წლის „კვალის“ 22-ე ნომერში გამოქვეყნდა აკაკის „შენიშვნა“ სადაც იგი კმაყოფილებას გამოთქვამდა ქართველი საზოგადოების ამგვარი თანაგრძნობის გამო.

1897 წლიდან, „აკაკის თვიური კრებულის“ გამოსვლის შემდეგ, შემკრებლობითმა ფოლკლორისტიკამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო, რასაც ხელს უწყობდა აკაკის მიერ შემუშავებული ფოლკლორული მასალების შეკრების პროგრამა. იგი ითვალისწინებდა იმ სოფლების კომპლექსურ შესწავლას, სადაც ეს მასალები იკრიბებოდა (ცნობები ამ სოფლების მოსახლეობის, ადათ-ჩვეულებების, ისტორიული ძეგლების, ფლორის, ფაუნის, მდინარეების, ტბების და სხვ. შესახებ). ამავე პერიოდში ალ. ხახანაშვილმა მოსკოვში მოსწავლე ქართველ სტუდენტებთან ერთად შეადგინა პროგრამა ეთნოგრაფიული და იურიდიული ცნობების შეკრების მიზნით, რომელიც სავსებით აკმაყოფილებდა ყველა მეცნიერულ მოთხოვნას ზეპირსიტყვიერების დარგში.

---

[1] ჟურნ. „კვალი“, № 6, 1895 წ.
[2] ჟურნ. „კვალი“, № 22, 1895 წ., გვ. 15.

აკაკის „კრებულში“ (1897-1900 წწ.) სისტემატურად იბეჭდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეკრებილი ლექსები, შაირები, ზღაპრები, ანდაზები, არაკები, გადმოცემები, შელოცვები და სხვ. ეს იყო პირველი ფოლკლორული ჟურნალი, რომელიც შეიძლება ექვთ. თაყაიშვილის „ძველი საქართველოს“ წინამორბედად ჩაითვალოს.[1]

1900 წელს ჟურნალ „კრებულის“ დახურვამ დიდად შეაფერხა ფოლკლორული მასალების შეკრება-გამოცემის საქმე. 1902 წლის 23 სექტემბერს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ მოისმინა სამსონ ფირცხალავას მოხსენება ხალხური სიტყვიერების შეკრების შესახებ. იგი საზოგადოების ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ ძველი ზნე-ჩვეულებანი და ხალხური გადმოცემები იკარგებოდა ცხოვრების ცვლილებასთან ერთად და ათი-ოცი წლის შემდეგ ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა მათი პირვანდელი სახით აღდგენა, — „ჩვენ არ ვადგენთ აქ გეგმას, თუ როგორ მოვაწყოთ სახალხო სიტყვიერების შეკრების საქმე, — აღნიშნავს ს. ფირცხალავა, — მხოლოდ მივაქცევთ გამგეობის ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ისეთის კომპეტენტურ და ჩვენს ქვეყანაში პატივცემულ დაწესებულებისათვის, როგორიც არის წერა-კითხვის საზოგადოება, უფრო შესაძლებელია, ვიდრე რომელისამე კერძო პირისათვის ამ მძიმე საქმის შესრულება.

— თუ არ ვცდებით, ჩვენს საზოგადოებაში წინათაც აღძრულა ლაპარაკი ამ საგნის შესახებ, მაგრამ, საუბედუროდ, დაუმთავრებელი დარჩენილა. ჩვენი გამგეობის მოვალეობაა ეხლა მაინც მოვკიდოთ საქმეს ხელი მხნედ და განვახორციელოთ დიდი ხნის განზრახვა“.[2]

სამსონ ფირცხალავა წინადადებას აყენებდა მოეწვიათ ამ საქმით დაინტერესებული გარეშე პირები და საერთო ძალებით შეემუშავებინათ სპეციალური პროგრამა. ს. ფირცხალავას წინადადების საფუძველზე 1903 წლის 20 ივნისს წერა-კითხვის საზოგადოების გამ-

---

[1] ექვთ. თაყაიშვილი, კრებული, თბ., 1966 წ., გვ. 157.
[2] ცსსა, ფონ. 481, საქ. 718, ფურ. 2.

გეობამ მოიწვია ოცდაათზე მეტი გარეშე პირი, მაგრამ სხდომაზე მხოლოდ თორმეტი გამოცხადდა; მათ შორის იყვნენ: მოსე ჯანაშვილი, გიგო რცხილაძე, დავით კარიჭაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ილია აგლაძე, შაქრო ბილანიშვილი, პეტრე უმიკაშვილი, იაკობ გოგებაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, დომინიკა განდეგილი (ერისთავი), იოსებ ბარათაშვილი და სამსონ ფირცხალავა.[1]

სხდომაზე განიხილეს შემდეგი ორი საკითხი: 1. ჯერ გამოეცათ ის მასალა, რაც უკვე შეკრებილი და გაფანტული იყო ჟურნალ-გაზეთებში, ან ხელნაწერების სახით არსებობდა, თუ თავიდანვე შეეკრიბათ ხალხური სიტყვიერება და შემდეგ გამოეცათ.

უმრავლესობის აზრით, პირველ რიგში უნდა გამოეცათ შეკრებილი მასალები მარტივი სისტემებით: ცალ-ცალკე ლექსები, ზღაპრები, გამოცანები, ანდაზები და ა.შ. რაც შეეხებოდა მათ მეცნიერულ კლასიფიკაციასა და გამოკვლევას, ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მათი გამოქვეყნების შემდეგ. გარდა ამისა, კრების აზრით, შეკრებილი მასალების გამოცემა ბევრ ენთუზიასტს წაახალისებდა და სტიმულს მისცემდა ახალი მასალების შეკრებაში;

2. საიდან მოეპოვებინათ სახსარი გამოცემისათვის. ამ საკითხზე კრებამ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ დახმარებისათვის მიემართათ წიგნების გამომცემელი ამხანაგობისათვის. ვარაუდობდნენ შემოწირულობების მიღებასაც, აგრეთვე შეიძლებოდა ხელმოწერების გამართვაც, როდესაც კრებული გამოსაცემად უკვე მზად იქნებოდა;

კრებამ შაქრო ბილანიშვილს დაავალა ჟურნალ-გაზეთებიდან გადმოეწერა ხალხური სიტყვიერების ნიმუშები და მოემზადებინა გამოსაცემად. მასვე მიანდო ხალხური სიტყვიერების შესახებ არსებული მცირე პროგრამის შესწორება და მისი დარიგება გაზეთების ხელისმომწერთათვის.[2]

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის ამგვარი მცდელობის მიუხედავად, საზოგადოებამ მაინც ვერ მოახერხა ფოლკლორული

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 850, ფურ. I.

[2] იქვე.

მასალების გამოცემა როგორც უსახსრობის, ისე სხვა საქმეებით გადატვირთვის გამო. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებამდე ხალხური სიტყვიერების გამოცემის საქმემ წინ ვერ წაიწია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1903 წელს თბილისის „ქალთა წრის" მიერ გამოცემულ ქართული ზღაპრების კრებულს და ალ. ხახანაშვილის ინიციატივით 1902-1904 წლებში დაბეჭდილ ქართულ ზღაპრებს (ორ წიგნად).

1896 წელს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას მუსიკათმცოდნე მელიტონ ბალანჩივაძისათვის უთხოვია გადაესინჯა ია კარგარეთელისა და ნოე ჩხიკვაძის მიერ შედგენილი ქართული ხალხური სიმღერები. ამასთან დაკავშირებით იმავე წლის 2 აპრილს მ. ბალანჩივაძემ გამგეობას წარუდგინა მოხსენება, რომელშიც იგი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ ხალხური სიმღერების გადაღება უნდა მომხდარიყო ყოველგვარი მელოდიური და ჰარმონიული ცვლილებების გარეშე. ეს წესი უნდა დაეცვა ყველა მუსიკათმცოდნეს, ვინც ამ ნიადაგზე მუშაობდა. მისი აზრით, კარგი იქნებოდა, თუ ამ საქმეში ქართველები მიბაძავდნენ ჩეხებს, „რომელნიც ჯერ შეუდგნენ ხალხური სიმღერების შეუცვლელად შეგროვებას და შემდეგ ეს სიმღერები მოიხმარეს ხელოვნური მუსიკის სხვადასხვა ფორმის გამოსახატავად. ამით ჩეხებმა შექმნეს სრულიად დამოუკიდებელი ნაციონალური მუსიკა და მიაღწიეს უმაღლეს განვითარებულ წერტილამდის" — წერდა მ. ბალანჩივაძე.[1]

1907 წელს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებით ახალი ეტაპი დაიწყო ქართულ შემკრებლობით ფოლკლორისტიკაში. ამიერიდან ამ დიდ ეროვნულ საქმეს სათავეში ჩაუდგა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება მისი უცვლელი თავმჯდომარის ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც გააგრძელა წინა პერიოდის შემკრებ-ენთუზიასტთა ტრადიცია და თავის მხრივ წინ წასწია ქართული ფოლკლორისტიკა.

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 497, ფურ. 4-5.

თავი IV

ქართული თვითმოქმედი საზოგადოებები 1900-1907 წლებში

900-იანი წლებიდან საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება. მზარდი სოციალური მოძრაობის ზეგავლენით საზოგადოებრივ ასპარეზზე ეროვნულ-კულტურულ ძალებს დაუპირისპირდნენ ახალი პოლიტიკური ძალები, რომლებიც მხოლოდ კლასობრივი და პარტიულობის პრინციპით მოქმედებდნენ და ცდილობდნენ ეროვნული ცნობიერება კლასობრივი ცნობიერებით შეეცვალათ, ხოლო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სოციალური მოძრაობისათვის დაექვემდებარებინათ.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში ახალი მიმდინარეობების ჩამოყალიბებამ გათიშულობა შეიტანა ერთიან ეროვნულ ძალებში და ნეგატიური როლი ითამაშა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საერთო ფრონტის შექმნაში. „ივერიის“ ბანკი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ახალ ეპოქაში კვლავ აგრძელებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძველ ტრადიციებს, რომელიც არც ახლა კარგავდა თავის აქტუალობას, რადგანაც რუსეთის კოლონიური ჩაგვრის მარწუხებში ქართველი ხალხის ეროვნულ თვითმყოფადობას ჯერ კიდევ საფრთხე ემუქრებოდა. თერგდალეულთა ეროვნული იდეალები, რომელიც მათ უანდერძეს ახალ თაობას, შესანიშნავად გამოხატა ექვთიმე თაყაიშვილმა 1916 წელს აკაკი წერეთლის წლისთავზე წარმოთქმულ სიტყვაში: „... აკაკიმ უფრო დიდი და საზოგადო ანდერძი დაუტოვა ჩვენს საზოგადოებრიობას, ჩვენს ხალხს, ჩვენს ინტელიგენციას... ეს არის პრაქტიკულად იმის განხორციელება, რასაც აკაკი და მისი თანამოაზრე ნიჭიერი და შეგნებული წრე ემსახურებოდა, რასაც აკაკიმ და მისმა წრემ გზა გაუკაფეს, ნიადაგი მოუმზადეს და ჩვენ მემკვიდრეობით გადმოგვცეს.

ეს გახლდათ თავგანწირული ზრუნვა ქართველი ერის კეთილდღეობისადმი, მისდამი სიყვარული, მისდამი თავგანწირვა, მისი

კულტურის დაცვა, ტერიტორიის შერჩენა, ენის და ლიტერატურის განვითარება, ეროვნული თვითშეგნება, დემოკრატიული მისწრაფება და თავისუფლების მოპოვება. აი აკაკის ანდერძი, აი რას გვასწავლიდა და გვიქადაგებდა აკაკი და ის მადლიანი წრე, რომლის დედაბოძნი იყვნენ აკაკი, ილია, დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო და ბესარიონ ღოღობერიძეები და სხვ."[1]

თერგდალეულთა ეროვნული იდეალების პრაქტიკულად განხორციელებას ემსახურებოდნენ ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებები, რომლებიც აღმოცენდნენ მე-19 საუკუნის 70-იან წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში და ახალ ეპოქაშიც ინარჩუნებდნენ თავიანთ ეროვნულ პლატფორმას, ხელს უწყობდნენ ქართული ეროვნული ცნობიერების გამთლიანებას. მაგრამ, მე-20 საუკუნის დასაწყისში ეროვნული თვითშეგნებისათვის ბრძოლას დაუპირისპირდა კლასობრივი თვითშეგნებისათვის ბრძოლა, რამაც, როგორც უკვე ითქვა, ხელი შეუშალა ეროვნული ძალების კონსოლიდაციას რუსეთის იმპერიული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

როგორც ცნობილია, 900-იანი წლების დასაწყისში ეროვნული მოძრაობისადმი განსაკუთრებით მტრული პოზიცია ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა დაიკავეს. მათ წინა პლანზე წამოწიეს სოციალური პრობლემები და ხალხის კეთილდღეობის მთავარ ბერკეტად სოციალური სამართლიანობა აღიარეს. ეროვნული და სოციალური პრობლემების დაპირისპირებამ შექმნა ნიადაგი იმ ცხარე პოლემიკისათვის, რომელიც მიმდინარეობდა ილია ჭავჭავაძესა და ქართულ სოციალ-დემოკრატიის მთავარ ლიდერს, ნოე ჟორდანიას შორის. ისტორიკოსთა აზრით, ეს იყო არა ორი პიროვნების, არამედ ორი ეპოქის, ორი სხვადასხვაგვარი გაგების დაპირისპირება, რომელიც რთული ეპოქის შედეგს წარმოადგენდა.[2]

ქართველი სოციალ-დემოკრატები („მესამე დასელები") ჯერ

---

[1] აკ. სურგულაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, 1977წ., გვ. 152.

[2] ვ. გურული, მ. ვაჩნაძე, ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918 წწ), თბ., 1999 წ., გვ. 68.

კიდევ 90-იანი წლებიდან აშკარად და მოურიდებლად ქადაგებდნენ ეროვნულ ნიჰილიზმს და აკრიტიკებდნენ თერგდალეულთა თაობის ბევრ თვალსაჩინო მოღვაწეს, ამცირებდნენ მათ როლს ეროვნულ-კულტურულ ასპარეზზე, რეაქციულად ნათლავდნენ მათ სოციალურ-ეკონომიკურ შეხედულებებს და, საერთოდ, უგულებელყოფდნენ მათ დამსახურებას ქართველი ერის წინაშე.

„მესამე დასელები" („კვალელები") შეეცადნენ ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებებისათვის გამოეცალათ ეროვნული ნიადაგი და ისინი თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაგალითზე, რომელიც წარმოადგენდა საქართველოში ყველაზე მოქმედ და ავტორიტეტულ კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციას ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით.

„კვალელები" აკრიტიკებდნენ წერა-კითხვის საზოგადოების ძველ გამგეობას და კონსერვატულობაში სდებდნენ ბრალს. ილიას წინააღმდეგ მიმართულ პოლემიკაში ნოე ჟორდანიას გარდა აქტიურად ჩაებნენ ფილიპე მახარაძე, პეტრე გელეიშვილი და სხვები, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ თერგდალეულთა ეროვნულმა კონცეფციამ უკვე მოჭამა თავისი დრო და საჭიროა საზოგადოების პროგრამის განახლება, გამგეობის ძველი შემადგენლობის შეცვლა, რომელიც, მათი ზრით, უინიციატივობას იჩენდა და სათანადოდ ვერ უძღვებოდა დაკისრებულ საქმეს. ამას ხელს უწყობდა ცნობილი „ბანკიაობა", რომელმაც იმ პერიოდში დიდი ზიანი მოუტანა ბევრ ეროვნულ-კულტურულ წამოწყებას და ჩრდილი მიაყენა ილიას მოღვაწეობასაც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. 1894-1895 წლებში ილიას გამგეობის 57 სხდომიდან მხოლოდ 7-ზე მოუხერხებია დასწრება, დანარჩენს — ხან ნიკო ცხვედაძე და ხან იაკობ გოგებაშვილი თავმჯდომარეობდა.[1] მიუხედავად ამისა, საზოგადოების

[1] ლ. გოდერიძე. ილია ჭავჭავაძე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, თბ., 1987 წ., გვ 220-245.

გამგეობა ვერ წყვეტდა ვერც ერთ მნიშვნელოვან საკითხს ილიას რჩევისა და მასთან შეთანხმების გარეშე.

1895 წელს, წერა-კითხვის საზოგადოების ახალი გამგეობის არჩევნების წინ, ჟურნალ „კვალში“ გამოქვეყნდა გიორგი წერეთლის სტატია სათაურით: „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრთა არჩევა“.[1]

ავტორი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მიიჩნევს, როგორც ყველაზე საუკეთესო განძს, რასაც კი მისი თანამედროვენი უტოვებდნენ შთამომავლობას. — „გაბედვით შეგვიძლია მოგახსენოთ, — წერს გ. წერეთელი, რომ ის ყველა ჩვენ საზოგადო დაწესებულებებზე უაღრესია, ვინც კი ღრმად ჩაუკვირდება ამ საქველმოქმედო დაწესებულების მნიშვნელობას. მისი მეოხებით ყოველს ჩვენგანს შეუძლია უშიშრათ აიღოს ხელში ქველმოქმედების ჯვარი და იღვაწოს ქალაქში, სოფელში, მაზრაში, ერთი სიტყვით, ყველგან, საცა კი ქართველი ცხოვრობს, განათლების გასავრცელებლად“.[2]

მიუხედავად ამისა, გ. წერეთელს საჭიროდ მიაჩნდა გამგეობის „ხალხში მოქმედება“, ხალხის გულის მოგება, რაც, მისი აზრით, მალე გამოიღებდა სათანადო ნაყოფს: — „თქვენი ღვაწლი უქმათ არ ჩაივლის, — წერს იგი გამგეობის მისამართით, — და წერა-კითხვის საზოგადოებასაც მალე მიეცემა ხალხისაგან საკმაო ნივთიერი ღონისძიება, რომ ერის განათლების მუშაკნი შესაფერად დააჯილდოვოს“.

მიუხედავად ამისა, გ. წერეთელი აუცილებლად თვლიდა გამგეობის სამოქმედო პროგრამის შეცვლას — „რაც ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში მოქმედების პროგრამა მუშაობდა, იმან მოჭამა თავისი დრო“. მისი სიტყვით, დიდ უმადურობას გამოიჩენდა საზოგადოება, თუ ძველი გამგეობის ხანგრძლივ უსასყიდლო შრომას არ დააფასებდა, მაგრამ — „დრო მოვიდა, — წერს იგი, — რომ უფრო მოუღალავი ენერგიის მქონე კაცები შეებან ამ საქველმოქმედო საქმეს“.

გ. წერეთლის აზრით, ბევრად უფრო სასარგებლო იქნებოდა, თუ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის სათავეში მოექცეოდა რომელიმე ისეთი ქართველი, ვისაც საპატიო ადგილი ეჭირებოდა

---

[1] ჟურნ. „კვალი“, № 9, 1895 წ.

[2] იქვე.

უმაღლეს მთავრობაში. რაც შეეხება გამგეობის წევრებს, ისინი უნდა ყოფილიყვნენ „ჭაბუკობის ენერგიით აღჭურვილნი და საკმაოდ გულშემატკივარნი თავის ერისა“. გ. წერეთელი იძლევა რჩევას, რომ ურიგო არ იქნებოდა, თუ გამგეობის წევრად მიიწვევდნენ თბილისის საოლქო სასამართლოს რომელიმე წარჩინებულ წევრს.[1]

1895 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ახალი გამგეობის არჩევნების დროს, პირველად, ილიას თავმჯდომარეობის ათი წლის მანძილზე, მის კანდიდატურას თავმჯდომარის პოსტზე დაუპირისპირდა შაქრო მაღალაშვილის კანდიდატურა, რომელიც მაშინ თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლად იყო დანიშნული. არჩევნებში ილიამ მეტი ხმები მიიღო და იგი კვლავ აირჩიეს თავმჯდომარედ.

— „ეს პირველი კრება იყო, — აღნიშნავს ექვთ. თაყაიშვილი, — რომელზედაც „საზოგადოების“ თავმჯდომარედ სხვა კანდიდატურა იყო დასახელებული მის წინააღმდეგ. ილიამ ეს გამოსვლა ვ. მაჩაბლის და გ. წერეთლის ინტრიგად მიიჩნია“.[2]

როგორც ჩანს, ამ პერიოდში კრიტიკის ობიექტი ხდება არა მხოლოდ ილიას სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნულ-პოლიტიკური შეხედულებები, არამედ მისი მოთავეობაც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია 900-იანი წლებიდან, როდესაც „კვალელებმა“ წერა-კითხვის საზოგადოების შიგნით შეადგინეს „ოპოზიცია“ და დაუპირისპირდნენ ძველ თაობას. საბედნიეროდ, ეს დაპირისპირება კულტურულ-საგანმანათლებლო ასპარეზზე ვერ აღმოჩნდა ისეთი ძლიერი, რომ შეეცვალა წერა-კითხვის საზოგადოების ილიასეული ეროვნული მიმართულება.

„კვალელები“ ცდილობდნენ მოეხდინათ საზოგადოების დემოკრატიზაცია და ეროვნულ იდეალებზე ნაშენი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობა პოლიტიკური ბრძოლის ამოცანებისადმი დაექვემდებარებინათ. ამ მიზნით 1900 წელს მათი წარმომადგენლები (ნ. ელიავა, ი. გომელაური, ა. მამულაიშვილი, მ. კლიმიაშვილი, ნ. ჯუღელი და სხვ.) ჩაეწერნენ წერა-კითხვის

---

[1] ჟურნ. „კვალი“, № 9, 1895 წ.

[2] ლიტერატურის მატიანე. წიგნი № 1, ნაკ.I, თბ., 1952 წ., გვ. 47.

საზოგადოების წევრებად და დაუპირისპირდნენ ძველ გამგეობას („დარბაისლებს"), რომელიც თავის მთავარ დანიშნულებას ხალხის განათლებასა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაში ხედავდა. 1900-1901 წლებში „კვალელების" ოპოზიციას შეუერთდა გაზეთ „ცნობის ფურცლის" გარშემო შემოკრებილი ახალგაზრდების ჯგუფიც (არჩ. ჯორჯაძე, გ. დეკანოზიშვილი, ს. ფირცხალავა, პ. სურგულაძე და სხვ.), რომელიც ძველ მოღვაწეებს უწუნებდა დემოკრატიზმს და გამგეობის განახლებას მოითხოვდა. 1904 წელს „ცნობის ფურცლის" ჯგუფმა შექმნა საკუთარი პოლიტიკური პარტია — სოციალ-ფედერალისტთა პარტია, რომელიც, სოციალ-დემოკრატებისაგან განსხვავებით, ეროვნული მიმართულების იყო და შესაძლებლად მიაჩნდა ეროვნული კონსენსუსი, რასაც სავსებით გამორიცხავდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები.

ეროვნული პრობლემებისადმი ამგვარი დამოკიდებულების გამო სოციალ-დემოკრატები ფედერალისტებს „ნაციონალისტებად" ნათლავდნენ და დაუნდობლად აკრიტიკებდნენ ეროვნული ავტონომიის იდეას, რომელიც სოციალ-ფედერალისტებმა წამოაყენეს. მათი აღიარებული ლიდერი არჩილ ჯორჯაძე „კვალელების" მისამართით წერდა: — ჩვენს „მარქსისტებს" არ შეუძლიათ არ დაინახონ, რომ რთული და საშიში საკითხი ქართველთა ცხოვრებისა ის კი არ არის, რომ ჩვენს ეკონომიურ დამოკიდებულებაში უთანხმოებაა, ის უთანხმოება, რომელიც ყველა თანამედროვე საზოგადოებათა ცხოვრებაშიცაა, არამედ ის, რომ მთელი ჩვენი ერი და ქვეყანა განსაცდელშია, რომ ჩვენს ერს თანდათანი გადაგვარება მოელის. ჯერ ერი უნდა დავიცვათ და მერე ის ვიზრუნოთ, თუ რა გზაზე უნდა დავაყენოთ იგი. როდესაც მოწმე ხარ ერის გადაგვარებისა, როდესაც ჰხედავ, რომ ეს გადაგვარება ერთნაირად ემუქრება ხალხის ყველა კლასთა, პირველი აზრი, რომელიც უნდა დაიბადოს ამ ხალხის გულის სიღრმეში, თუ ჯერ კიდევ სრულიად არ არის ღონე-მიხდილი — არის აზრი საერთო აღორძინებისა და საერთო მოქმედებისა თავის ვინაობის დასაცავად და შესარჩენად"[1].

---

[1] არჩ. ჯორჯაძე, სამშობლო და მამულიშვილობა, თბ., 1990წ., გვ. 269.

ქართველი საზოგადოების გათიშულობის თავიდან ასაცილებლად არჩ. ჯორჯაძემ წამოაყენა „საერთო მოქმედების ნიადაგის თეორია“, რომელიც მოითხოვდა ყველა პოლიტიკური მიმდინარეობის გაერთიანებას ეროვნულ ნიადაგზე. მისი ეროვნული კონსოლიდაციის იდეა ემყარება ილიასეულ ეროვნული ერთიანობის თეორიას, რომელიც უარყოფს ისედაც მცირე ეროვნული ძალების დაქსაქსვას რაიმე ნიშნის მიხედვით და ეროვნული კონსოლიდაციის ძირითად ქვაკუთხედად მამული, ენა და სარწმუნოება მიაჩნია.

არჩილ ჯორჯაძის „საერთო მოქმედების თეორია“ წინა პლანზე ეროვნულ ფენომენს აყენებს და მოითხოვს დედაენის დაცვას, ეროვნული ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას, ქართველი ინტელიგენციის ეროვნულ-კულტურული მოღვაწეობის გაცხოველებას და ა.შ. მართალია, არჩ. ჯორჯაძე ეროვნულ საკითხში ილიასეული პროგრამით ხელმძღვანელობდა, მაგრამ ამ პროგრამას იგი საფუძვლად უდებდა განსხვავებულ, ახალი ეპოქისათვის უფრო შესაფერის ეკონომიკურ პროგრამას, რომლის მიხედვით კაპიტალიზმის განვითარებას საქართველოში ეროვნული მიმართულება უნდა მისცემოდა.[1]

ამგვარად, არჩილ ჯორჯაძე ემხრობოდა სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების გაერთიანებას, რაც, მისი აზრით, აუცილებელ პირობას წარმოადგენდა მეფის ხელისუფლების რეაქციული პოლიტიკის დასამარცხებლად, მაგრამ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა არათუ მხარი დაუჭირეს არჩ. ჯორჯაძეს, არამედ სასტიკად გაილაშქრეს მის წინააღმდეგ, და ეს მაშინ, როდესაც რუსეთის იმპერიული პოლიტიკის მექანიზმები მე-20 საუკუნის დასაწყისში უფრო მძაფრად მოქმედებდნენ ქართველი ხალხის თვითმყოფადობის მოსასპობად. ქართველ სოციალ-დემოკრატებს არ ესმოდათ და არც სურდათ გაეგოთ, რომ საქართველოს „სულ სხვა ტკივილები“ ჰქონდა და „სულ სხვა ფათერაკი“ სდევდა, ვიდრე რუსეთს. ამიტომ ილია ცდილობდა ფართოდ განემარტა ქართველი საზოგადოებისათვის, რომ „... ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰღაღადებს... ის „სხვა რამე“

---

[1] არჩ. ჯორჯაძე, დასახ. ნაშრ., გვ 275.

არის ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან, რომ ეგ ფათერაკი რომ... დღესაც თავიდან არ აგვიცდენია...“[1].

სოციალისტ-ფედერალისტებისაგან განსხვავებით, ეროვნული იდეალების განხორციელებას ხელს უშლიდნენ სოციალ-დემოკრატები, რომლებსაც, ქართველი თავადაზნაურების მსგავსად, პირი ჩრდილოეთისაკენ ჰქონდათ მიქცეული და ყოველმხრივ ცდილობდნენ რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეები ქართული სინამდვილისათვის შეეგუებინათ. ძველი თაობის წარმომადგენელი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე თუმანიშვილი მათი მისამართით წერდა: — „სოციალ-დემოკრატებს უდიდესი დანაშაული მიუძღვით ქართველი ერის წინაშე. მათ და მხოლოდ მათ, ხალხის ფართო მასები შეაჩვიეს პოლიტიკურ აზროვნებაში მონობას და ამ მასების პოლიტიკურსა და კულტურულ მისწრაფებას ის მიმართულება მისცეს, რომელიც ყოველთვის ქართველი თავადაზნაურობის დამახასიათებელი ყოფილა.

— როგორც თავადაზნაურობა მუდამ ჩრდილოეთისაკენ იხედებოდა და იქიდან ელოდა შველას, ისე ჩვენებურმა სოციალ-დემოკრატებმა ჩრდილოეთისაკენ მიუბრუნეს თავი ხალხის ფართო მასებს და ჩრდილოეთიდან მოსულ ლოზუნგებს სავალდებულო კანონებად აცხადებენ. როგორც თავადაზნაურობა ჩრდილოეთიდან მოელოდა წყალობას და თავის საკუთარ, განსაკუთრებულ საჭიროებათა ხსენებას ერიდებოდა, რომ ამით არ განრისხებულიყვნენ იქ, ჩრდილოეთში, ისე ჩვენებური სოციალ-დემოკრატებიც ერიდებიან ქართველი ერის ეროვნულ იდეალების წამოყენებას, — სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია შემოგვიწყრესო“.[2]

1901 წლის წერა-კითხვის საზოგადოების წლიურ კრებაზე, რომელიც მიმდინარეობდა 28 ოქტომბრიდან 11 ნოემბრამდე, გამგეობის საანგარიშო მოხსენების განხილვის დროს ოპოზიციამ იერიშები მიიტანა ძველ გამგეობაზე და შეეცადა გამოეაშკარავებინა მისი „უსუსურობა“. ამ მიზნით ოპოზიციის წევრმა გიორგი დეკანოზიშვილმა გამგეობის გასული წლის საქმიანობა შეაფასა როგორც

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწ. სრ. კრ., ტ. 6, გვ. 127.
[2] „ივერია“, № 3, 1909 წ.

საკანცელარიო მუშაობა და მისგან უფრო აქტიური და ნაყოფიერი საქმიანობა მოითხოვა.

— „არ შემიძლია არ აღვნიშნო ის გარემოება, — განაცხადა გ. დეკანოზიშვილმა, — რომ უმრავლესობამ ჩვენის საზოგადოების უდიდესი მნიშვნელობა შეიგნო და ამ შეგნებას, ამ თანაგრძნობას პატრონი, მომვლელი უნდა. ჩვენი გამგეობა კი ყურსაც არ იბერტყავს, ზოგადის ხასიათის ფრაზებით გვაკმაყოფილებს"-ო. ოპოზიცია ძველი გამგეობისაგან მოითხოვდა კავკავის ქართულ სკოლაში არსებული წესების შეცვლას, კანცელარიის საშტატო ერთეულების შემცირებას, ბათუმის სკოლაში მესამე მასწავლებლის დანიშვნას, სარედაქციო კომისიის შექმნას, საგამომცემლო საქმიანობის გაფართოებას და სხვ.[1]

4 ნოემბრის სხდომა ილიას თავმჯდომარეობით გაიმართა. კრებას ესწრებოდა 118 წევრი და თითქმის ამდენივე გარეშე პირი. ოპოზიციის წევრები ა. მამულაიშვილი, პ. სურგულაძე და მ. კლიმიაშვილი მოითხოვდნენ, რომ გამგეობას უფრო დეტალურად განეხილა მომავალი 1902 წლის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა, რასაც ილია არ დაეთანხმა იმ მოტივით, რომ გამგეობის წლიური ანგარიში წინა კრებამ უკვე დაამტკიცაო. ვასილ მაჩაბელმა დამსწრე საზოგადოების ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ გასულ წელს გამგეობა სათანადოდ არ ზრუნავდა საწევრო გადასახადების შეკრებაზე. მისი სიტყვით, საზოგადოებას აქედან წელიწადში დაახლოებით 5 ათას მანეთამდე შემოსავალი უნდა ჰქონოდა, მაშინ, როცა ხარჯთაღრიცხვაში მხოლოდ 500 მანეთის შემოსავალი იყო ნავარაუდევი. გ. დეკანოზიშვილისა და პ. სურგულაძის აზრით, საჭირო იყო საზოგადო კრებას შეექმნა სპეციალური ორგანო საწევრო გადასახადების აკრეფის მიზნით, მაგრამ თავმჯდომარე არც ამ წინადადებას დაეთანხმა, რადგან ამის უფლებას წესდება არ გვაძლევსო.[2]

გ. დეკანოზიშვილს მხარი დაუჭირა ნ. ხუდადოვმა, რომელმაც ხანგრძლივად ილაპარაკა გამგეობის გულგრილობაზე საწევროების

---

[1] გაზ. „კვალი", № 47, 1901 წ.

[2] გაზ. „ცნობის ფურცელი", № 1626, 1901 წ.

აკრეფის საქმეში და ამის დამადასტურებლად პირადი მაგალითიც მოიშველია — 20 წელია საზოგადოების წევრი ვარ და აქამდე ერთხელაც არავის მოუთხოვია ჩემთვის საწევრო ფულის შემოტანაო. „ახლა, როცა შევიტყვე, რომ საზოგადოების მოქმედებამ სულ სხვანაირი ხასიათი მიიღო, ხალხმა სულ სხვანაირად შეხედა წერა-კითხვის საქმეს, ძილს თავი ანება და სწავლისაკენ მიისწრაფის, მეც მოვიგონე და საწევრო ფული წარმოვადგინე. ჩემთვის, რომ ვისმე მოეგონებია, საწევრო ფულს აქამდე შემოვიტანდი. ჩემის აზრით, მეტი მუყაითობა, მეტი ძალა უნდა ჰქონდეს გამგეობას, რომ საზოგადოების სწავლა-განათლების წყურვილს შემოუაროს“ — აღნიშნა ნ. ხუდადოვმა.

ის. რამიშვილმაც გამოთქვა თავისი აზრი ამასთან დაკავშირებით და წინადადება შეიტანა ამ მიზნით ბაქოში, ქუთაისში, ბათუმსა და სხვა ქალაქებში სააგენტოების დაარსების შესახებ. აკ. წერეთლის აზრით, მარტო ფულზეც არ იყო საქმე — „საქმე გულია და აქეთ უნდა იქნეს უმთავრესი ყურადღება მიქცეული. მე მგონია, საზოგადოების სამსახური მარტო შემოტანილ ფულის რაოდენობით არ გაიზომება“ — ამბობდა აკაკი.[1]

„კვალელებმა“ მთელი რიგი „ბრალდებები“ წამოუყენეს გამგეობას, რაც ძირითადად შემდეგ საკითხებს ეხებოდა: 1. გამგეობა სათანადო ყურადღებას არ უთმობდა სკოლების რევიზიას; 2. საჭირო ინიციატივას ვერ იჩენდა საზოგადოების მატერიალურ ღონისძიებათა გასაუმჯობესებლად; 3. კარგად ვერ უძღვებოდა წიგნებით ვაჭრობას და ფოტოგრაფიას; 4. ზოგჯერ უსამართლოდ დასჯილ პედაგოგებს თავის დაცვის საშუალებას არ აძლევდა; 5. კავკავის ქართულ სკოლას უნდა მინიჭებოდა თვითმმართველობის უფლება და სხვ.

ოპოზიციის გამოსვლებიდან აშკარად ჩანდა, რომ მათ საზოგადოების მმართველობის სადავეების ხელში ჩაგდება სურდათ. გაზეთმა „ივერიამ“ განგაში ატეხა: — ოპოზიციას „საგამგებო კოფოზე წამოსკუპების სურვილი ამოძრავებსო“.[2]

6 ნოემბერს კრებაზე, რომელსაც ილია თავმჯდომარეობდა,

---

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი“, № 1632, 1901 წ.
[2] გაზ. „ცნობის ფურცელი“, № 1633, 1901 წ.

დიდი კამათი გამოიწვია პ. სურგულაძის განცხადებამ ბათუმის სკოლაში მესამე მასწავლებლის მოწვევის შესახებ, რომელსაც მხარს უჭერდა ის. რამიშვილი. ილიამაც მხარი დაუჭირა ამას, მაგრამ გაირკვა, რომ გამგეობას საამისო სახსარი არ გააჩნდა. საქმეს იაკობ გოგებაშვილმა უშველა, რომელმაც საზოგადოებას ამ მიზნით 200 მანეთი შესწირა. ილია ფრთხილობდა, რომ ეს თანხა საკმარისი არ იქნებოდა მესამე მასწავლებლის შესანახად: — „ეგ ეხლა და მერე რაღანაირად შეგვიძლია საქმეს შემოვუაროთ, რომელიღა წყაროდან შევინახოთ მესამე მასწავლებელი?“ — წუხდა საზოგადოების თავმჯდომარე[1].

ის. რამიშვილის აზრით, წერა-კითხვის საზოგადოებას ბათუმში უნდა გაეხსნა თავისი განყოფილება, რომელიც იზრუნებდა ბათუმის სკოლის შენახვაზე. ამ აზრს მიემხრო იაკ. გოგებაშვილიც.

მ. კლიმიაშვილმა წამოაყენა წინადადება საზოგადოების სკოლებთან გახსნილიყო საკვირაო სკოლები და საღამოს კურსები, აგრეთვე გამოეცათ იაფფასიანი პატარა ბროშურები ხალხში გასავრცელებლად.

11 ნოემბერს წერა-კითხვის საზოგადოების წლიური კრება დასრულდა. ამჯერადაც კრებას ილია თავმჯდომარეობდა. კრებამ ფარული კენჭისყრით აირჩია ახალი გამგეობა, რომელშიც შევიდნენ როგორც ძველი მოღვაწეები, ისე ოპოზიციის წევრებიც. ძველი წევრებიდან გამგეობაში არჩეულ იქნენ: ილია ჭავჭავაძე (თავმჯდომარე), ნიკო ცხვედაძე (თავმჯდომარის ამხანაგი), იაკობ გოგებაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, დავით კარიჭაშვილი, ივანე რატიშვილი და ალექსანდრე სარაჯიშვილი; სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან — ნიკოლოზ ელიავა, ივანე გომართელი და კონსტანტინე ჯაფარიძე, „ცნობის ფურცლის“ ჯგუფიდან — გიორგი ლასხიშვილი, არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშვილი და იოსებ ღულაძე (ი. გოგებაშვილმა, რომელმაც არჩევნებში ყველაზე მეტი ხმა მიიღო, უარი განაცხადა გამგეობის წევრობაზე). სარევიზიო კომისიაში აირჩიეს ი. ღულაძე, ნ. გოგიტიძე და ვ. სულხანიშვილი[2].

---

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი“, № 1633, 1901 წ.

[2] „ივერია“, № 252, 1901 წ.

წერა-კითხვის საზოგადოების ამ წლიურ კრებას პრესაში ფართო გამოხმაურება მოჰყვა. „ივერიაში“, „ცნობის ფურცელში“, „კვალში“ გამოქვეყნდა ოპოზიციის საწინააღმდეგო თუ მხარდამჭერი არაერთი წერილი. როგორც მოსალოდნელი იყო, „ივერია“ ძველ გამგეობას გამოესარჩლა და ოპოზიციის ყველა ბრალდება დაუსაბუთებლად მიიჩნია. გამგეობის პასიურობის მთავარ მიზეზს იგი ერთი მხრივ უსახსრობაში და მეორე მხრივ, საზოგადოების წევრთა გულგრილობაში ხედავდა.

„ივერიაში“, ერთ-ერთ წერილში („სახელდახელო“) ავტორი აღშფოთებით წერდა „მესამე დასელებზე“ და მათ მთავარ მიზანს ნგრევაში ხედავდა — „დაინგრეს აღშენებული, რათა ახალის აშენება შეიძლებოდესო“. ეს მესამე დასი კი არა, რაღაცა „ბრბოა“, თუნდა მესამე უწოდეთ, — წერდა ავტორი, — ასეთი შინაური ბრბო გარეშე მტერზედ უარესია... ეს არის ყველაფრის შეგინება, შელახვა, შეურაცხყოფა და მინგრევ-მონგრევა!“.

ამ კრებას გამოეხმაურა ნიკო ხიზანიშვილიც (ურბნელი), რომელმაც ვრცელი ფელეტონი მოათავსა „ივერიის“ იმავე ნომერში სათაურით: „მასლაათი წარსული ცხოვრების „ინციდენტის“ გამო.[1] წერილში საუბარია იმ ინციდენტის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონია ამ კრებაზე. ოპოზიციის ერთ-ერთ წევრს პ. სურგულაძეს გაუკრიტიკებია თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლებში ქართული ენის სწავლების მდგომარეობა და ამასთან დაკავშირებით ქუთაისის სკოლის გამგე, რის გამოც ექვთ. თაყაიშვილს მისთვის შემდეგი სიტყვებით მიუმართავს: „რაც შეეხება სკოლის უფროსზე სიტყვებს ბატონ სურგულაძისას, მე უხერხულად მიმაჩნია, რომ ამ საგანზედ ილაპარაკოს ისეთმა პირმა, რომელიც ვერ შეეთვისა ორსავე სკოლას“-ო. ამ სიტყვებისთვის პ. სურგულაძეს და ნ. ჯუღელს ექვთ. თაყაიშვილისთვის შეუფერებელი სიტყვები უკადრებიათ, რასაც აღშფოთებაში მოუყვანია მთელი კრება. ამ ფაქტთან დაკავშირებით ნ. ხიზანიშვილი თავის შეხედულებას გამოთქვამს „ჩვენებურ კრებებზე“, სადაც, მისი სიტყვით, ხშირია „პრანჭიაობა, თავის გამოჩენა“,

---

[1] გაზ. „ივერია“, № 241, 1901 წ.

„ლიბერალობით“ კეკლუცობა. იგი წერს: — „ჩვენს თავმოყვარეობას საზღვარი არასოდეს არ ჰქონია და არც ახლა აქვს. მცირედი შეურაცმყოფობა საკმაოა, რომ ჩვენს აშფოთებულ გულს მსხვერპლად თვით საქვეყნო საქმე შევწიროთ. ეს უბადრუკი ზნე და თვისება ჰლუპავდა ჩვენს წარსულს და აწმყოსაც იგი ავერანებს. თუ მართალი გნებავთ, ჩვენი საზოგადოებრივი ველურობა სწორედ თავმოყვარეობის ასეთს უსაზომო გაბატონებასა და გამეფებაშია. აი აქ არის სენი და ჭლექი ჩვენებურის კრებისა“...[1]

ნ. ხიზანიშვილი აკრიტიკებს ოპოზიციას, რომელიც კრებაზე „დიდი ზარითა და ზეიმით გამოვიდა საიერიშოდ“, მაგრამ არ დასცალდა; მას არ მოსწონს ოპოზიციის „თავხედობა“ ძველი გამგეობის მიმართ, რადგან, მისი აზრით, წერა-კითხვის საზოგადოება ისეთ სათუთ დაწესებულებას წარმოადგენდა, რომ მის წინააღმდეგ მიმართულ სულ მცირე თავხედობასაც შესაძლო იყო ცუდი შედეგები მოჰყოლოდა. — „უამისოდაც ამ საზოგადოებას მრავალი განსაცდელი გარშემო ახვევია და ახლა კიდევ სათარეშოდ მიიწევენ... — წერს ნ. ხიზანიშვილი, — ბუკითა და ნაღარით იერიშის მიტანა გამგეობაზედ დაწესებულებას დიდად აზარალებს, თუ კი ძირს არ დასცა. გამგეობა მარტო იმიტომ კი არ უნდა გამოიცვალოს, რომ იქ იმყოფებიან ისეთნი, რომელნიც არ ეპრიანებათ მარკსიანებს. არა, ამ შემთხვევაში ადლი და ალაბი სხვა უნდა იყვეს. კანდიდატნიც შესაფერი უნდა დაასახელონ. ყველა გამოუცდელი და საზოგადო საქმეში გაუწვრთნელი ვინგინდავინ, თუნდა იგი მარქსის ქურუმიც იყვეს, არ გამოდგება“.[2]

ნ. ხიზანიშვილის აზრით, ქართველი ინტელიგენციის ერთ ჯგუფს არაფრად ეპიტნავებოდა ამა თუ იმ მოღვაწის ავტორიტეტი, რადგან მათ მიაჩნდათ, რომ ასეთი ავტორიტეტი ბრმა კერპთაყვანისმცემლობა იყო, რომელიც საზოგადო საქმეს ხელს უშლიდა და აზრის თავისუფლებას აფერხებდა. — „ჩვენი მდგომარეობა ისეთია, — წერს იგი, რომ ავტორიტეტი, სადაც არ მოგვეპოვება, იქაც კი

---

[1] „ივერია“, 1901 წ., № 241.

[2] იქვე.

უნდა გავიჩინოთ და არა უარვყოთ, გავდევნოთ; წინდახედულობა, დინჯობა, გონების დახმობა და გულის სპეტაკობა — აი, რით უნდა ვიხელმძღვანელოთ დღეს, როცა საქვეყნო საქმისათვის შევკრებილვართ".[1]

წერა-კითხვის საზოგადოების ამ კრების შესახებ თავისი აზრი გამოთქვა არჩილ ჯორჯაძემაც, რომელმაც „ცნობის ფურცელში" გამოაქვეყნა მცირე ფელეტონი: „რა მოხდა?". მისი აზრით, კრების მთელმა მსვლელობამ დაამტკიცა, რომ საერთო მოქმედების ნიადაგი ჩვენში ჯერ კიდევ გამოურკვეველია, რადგან ჯერ ვერ გამოაშკარავდა საზოგადოების რომელ ფენებს შეეძლოთ ერთმანეთთან პრაქტიკულ ნიადაგზე შეთანხმებულად მოქმედება. არჩ. ჯორჯაძე ფიქრობდა, რომ ეროვნული კონსენსუსის მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ საზოგადოებრივ ფენებს შორის, რომლებიც ემხრობოდნენ დემოკრატიის განმტკიცებას ეროვნულ ნიადაგზე. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: — „თუ „კვალს" ჰქონდა ცალმხრივი დემოკრატიის ხასიათი, „ივერიას" არანაკლებ ცალმხრივი პატრიოტიზმის დაღი ემჩნეოდა. და, აი, თვითონ ჩვენმა ცხოვრებამ დააყენა გასარკვევად მესამე კითხვა — ხალხისა და ეროვნების, დემოკრატიზმისა და პატრიოტიზმის დაკავშირება... ჩვენი მიზანი ნათელია — ხალხი და ეროვნება. და ყოველთვის, როდესაც ჩვენ ვცნობთ, რომ ესა თუ ის ჯგუფი არ ეწინააღმდეგება ჩვენს პრინციპს, ჩვენი მათთან დაკავშირება მიუცილებელი იქნება — წერა-კითხვის საზოგადოების საქმეა იგი, ბანკისა თუ საქალაქო არჩევნებისა".

არჩ. ჯორჯაძის შეფასებით, „ოპოზიცია" სუსტი და მოუმზადებელი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან თვითონაც „ოპოზიციას" მხარს უჭერდა, კრებაზე მაინც ვერ მოხერხდა „ცნობის ფურცლის" ჯგუფის შეთანხმება „მესამე დასელებთან". ამის შესახებ არჩ. ჯორჯაძე წერს: — „ჩვენი ჯგუფი არასოდეს არ უყურებდა წერა-კითხვის საზოგადოებაში მოქმედებას, როგორც უკანასკნელ მიზანს, ხოლო ჰფიქრობდა, რომ თუ მოგვიხდეს იქ მოღვაწეობა, ისევ ერთად ვიყვნეთ, რადგან შეთანხმებულებთან

[1] „ივერია", № 241, 1901 წ.

უფრო ადვილათ წაიყვანთ საქმეს, ვიდრე შეუთანხმებლებთან.

— ჩვენ ნიადაგ ვიყავით და ვიქნებით იმისი მტერი, ვისაც ეროვნული ვინაობის დაცვა არაფრად მიაჩნია, მხოლოდ არა ნაკლები მტერი ვართ ყველა იმათი, ვისაც კერძო ანუ წოდებრივი ინტერესების მოსარჩლეობა ეროვნების მოსარჩლეობად მიაჩნია".[1]

ცნობილი პუბლიცისტი სამსონ ფირცხალავა, რომელმაც „ცნობის ფურცლის" რედაქციაში 1902 წლიდან დაიწყო მუშაობა და ამავე წელს წერა-კითხვის საზოგადოების მდივნის თანამდებობაზეც აირჩიეს, თავის მოგონებებში ამასთან დაკავშირებით წერს: — „ამ დროისათვის „ცნობის ფურცელი" გამოხატავდა იმ ახალგაზრდების მისწრაფებებს, რომელიც არც „ივერიას" ეთანხმებოდა და არც „კვალს" და ბრძოლა ჰქონდა ორ ფრონტზე. იყო ამ სამ გამოცემაში მუდმივი პოლემიკა და ერთმანეთის წინააღმდეგ გალაშქრება, ხშირად მეტად გამწვავებული".[2]

როგორც ჩანს, „ცნობის ფურცლის" ჯგუფი უფრო „ივერიელებისაკენ" იხრებოდა, ვიდრე „კვალელებისაკენ", რომლებიც, არჩ. ჯორჯაძის სიტყვით, „შეუთანხმებლები" იყვნენ და მხოლოდ დემოკრატიზმს აღიარებდნენ პატრიოტიზმის გარეშე.

„ცნობის ფურცლის" ჯგუფის ამგვარი დამოკიდებულება წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის მიმართ „კვალელებმა" შეაფასეს, როგორც „ყალბი ოპოზიცია". 1902 წლის „კვალის" ერთ-ერთ წერილში („ოპოზიცია" და „ცნობის ფურცლის" სიყალბე) ამის შესახებ ვკითხულობთ: — „შარშან წ-კ საზოგადოების გამგეობის არჩევნები იყო. „ცნობის ფურცელი" ოპოზიციაში იყო, რადგან მაშინ გამგეობაში არავინ ყავდა. როგორი იყო ეს „ოპოზიცია?" წინააღმდეგობა და არც წინააღმდეგობა. ბოლოს არჩევნების ტაქტიკაში სავსებით გამოირკვა, რომ ამ გაზეთს გამგეობის წინააღმდეგ არაფერი ქონია, მხოლოდ მისი რამდენიმე წევრი არ მოსწონებია. აქ გამოჩნდა გაზეთის თეორიული სიყალბე".[3]

---

[1] „ცნობის ფურცელი", № 1662, 1901 წ.

[2] სამსონ ფირცხალავა, მოგონებათა ფურცლები, თბ., 1988, გვ. 37.

[3] „კვალი", № 23, 1902 წ.

უკვე 1902 წელს „ცნობის ფურცლის“ ჯგუფი წერა-კითხვის საზოგადოების ძველ მოღვაწეებთან შეთანხმებულად მოქმედებდა, რაც კარგად გამოჩნდა ამ წლიურ კრებაზე, როდესაც იგი საზოგადოების ინტერესებს იცავდა „კვალელების“ შემოტევისაგან. „ცნობის ფურცლის“ მიხედვით, მის გარშემო შემოკრებილი ახალგაზრდების ჯგუფის მიზანს არ შეადგენდა „ძველების“ — დამსახურებული პირების „ტახტიდან ჩამოგდება“ და მათი ადგილების დაპატრონება. მისი აზრით, გამგეობაში ახალგაზრდა ძალების შესვლა გამოიწვევდა მის განახლებას, მეტი სიცოცხლისა და ენერგიის შეტანას, რაც ხელს შეუწყობდა საზოგადოების საქმიანობის ნაყოფიერებას. — „დავარწმუნებთ პატივცემულ „მამებს“, რომ არავისი მონოპოლია არ არის საზოგადო საქმე და ძლიერ მანუგეშებელია ის გარემოება, რომ „საზოგადოებისადმი“ ინტერესი იღვიძებს სწორედ იმ ელემენტში, რომლებისათვის ყველაზე უფრო სასარგებლოა „საზოგადოების მოღვაწეობა“. — წერს „ცნობის ფურცლის“ თანამშრომელი „კალამის“ ფსევდონიმით.[1]

1901 წლის „კვალის“ ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა სოციალ-დემოკრატ ნ. ელიავას წერილი — „ოპოზიცია თუ პოზიცია?“, რომელშიც ავტორი ხაზგასმით მიუთითებს, რომ „დარბაისელთა“ გზას უკან გაჰყვა შარშანდელი „ნაოპოზიციონერი“ „ცნობის ფურცელი“-ო.[2]

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიუხედავად წერა-კითხვის საზოგადოების წევრთა სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებისა, უმრავლესობა გრძნობდა, რომ კლასობრივი და პარტიული ნიშნით კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გათიშვა მხოლოდ ნეგატიურ როლს შეასრულებდა ერის კულტურულ წინსვლაში. ამიტომ იყო, რომ საზოგადოების წევრთა უმრავლესობა მხოლოდ ეროვნულ ფენომენს აყენებდა წინა პლანზე და არ ექვემდებარებოდა კლასობრივ გათიშვას.

1902 წლის „კვალის“ მე-20 ნომერში დაიბეჭდა ვინმე „უცნო-

---

[1] „ცნობის ფურცელი“, № 1810, 1902 წ.

„კვალი“, № 25, 1902 წ.

ბის“ წერილი, რომელიც პატივისცემით მოიხსენიებს წერა-კითხვის საზოგადოების ახალ გამგეობას, მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ საქმით იგი ისევ „ძველებური“ დარჩა და მის მოქმედებაში ვერავითარ წინსვლას ვერ ეხედავთო. ავტორის კრიტიკა განსაკუთრებით წიგნების გამომცემლობას ეხებოდა. მისი აზრით, მაშინ, როდესაც ხალხში თანდათან იზრდებოდა სწავლის სურვილი, საზოგადოების გამგეობა უმოქმედობას იჩენდა. ამის დამადასტურებლად ავტორს მოჰყავს საზოგადოების მიერ 1899-1901 წლებში გამოცემული წიგნები, რომელთა რაოდენობა სამი წლის განმავლობაში სულ 14 გამოცემას შეადგენდა, მაშინ, როდესაც საზოგადოებასთან არსებობდა სპეციალური სალიტერატურო ფონდი, რომლის გაზრდაზე არავინ არ ზრუნავდა; ეს ჩანდა იქიდანაც, რომ სამი წლის მანძილზე ფონდმა მხოლოდ 1759 მანეთიდან 1887 მანეთამდე მოიმატა, რაც ვერ აკმაყოფილებდა ფართო საგამომცემლო საქმიანობას.

1902 წლის 19 მაისს ილიას თავმჯდომარეობით ჩატარდა წერა-კითხვის საზოგადოების მორიგი წლიური კრება. ისე, როგორც წინა წელს, ეს კრებაც დიდი ხალხმრავლობით გამოირჩეოდა. ამ მოვლენას „კვალი“ ხალხის განათლებისადმი მოთხოვნილების ზრდით ხსნიდა: — „ეს აუცილებელი საბუთია ჩვენი განვითარების, ჩვენი წინსვლის — წერდა ჟურნალი, — და ნურავინ იტყვის, რომ ეს წინსვლა რომელიმე დაწესებულების ფარგლებში იყოს მომწყვდეული. არა, იგი საზოგადო მოვლენაა და მისი შეჩერება არავითარ დაბრკოლებას არ ძალუძს. ყოველმა საზოგადოების წევრმა თავის უფლებების აღდგენა უნდა ეძიოს იმავე საზოგადოებაში და არ გამოვიდეს მის ფარგლებიდან“.[1]

კრებამ მოისმინა სარევიზიო კომისიის ანგარიში 1901 წლის საზოგადოების მოქმედების შესახებ და ამასთან დაკავშირებით გააკეთა ზოგიერთი შენიშვნა: 1. საანგარიშო პერიოდში გამგეობის არც ერთ წევრს არ შეუმოწმებია ქუთაისის, კავკავისა და გომარეთის სკოლები; 2. გამგეობა ნაკლებად ზრუნავდა გამოეძებნა სახსრები მუზეუმის შენობის ასაგებად; 3. წინა წელთან შედარებით

[1] ჟურნ. „კვალი“, № 22, 1902 წ., გვ. 351.

ნაკლები შემოსავალი იყო წიგნებით ვაჭრობიდან; 4. სასკოლო საქმეთა წარმოება თვით სკოლის მმართველობის ხელში უნდა ყოფილიყო და სხვ.

კრებამ მიიღო დადგენილება საზოგადოების კრებების ოქმების შედგენის წესის შესახებ, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ დიდ პასუხისმგებლობას, რასაც საზოგადოების წევრები გრძნობდნენ საკუთარი მოვალეობისადმი. დადგენილებაში აღნიშნული იყო: „შედგეს განაჩენი საზოგადო კრებაზე ყოველი განხილული საქმისა და ხელმოწერილი იქნას გამგეობისა და საზოგადო კრების რამდენიმე წევრის მიერ; ხოლო საქმისმწარმოებლის მიერ შესდგეს კრების ჟურნალი, სადაც მოყვანილი იქნება სხვადასხვა აზრი, გამოთქმული საზოგადო კრებაზე განხილული საქმეების შესახებ, ყოველ საზოგადოების წევრს ნება აქვს წარადგინოს წერილობითი აზრი ჟურნალში დასამატებლად, თუ ვინიცობაა მისი სიტყვა ისე ვრცლად არ იქნა ჩაწერილი, როგორც ნათქვამი იყო[1]“.

დადგენილებას ხელს აწერენ: ილია ჭავჭავაძე, ნ. ცხვედაძე, ექვთ. თაყაიშვილი, დ. კარიჭაშვილი, გ. დეკანოზიშვილი, ნ. ელიავა, ივ. რატიშვილი, დ. ჯაფარიძე და ი. ღულაძე. აქვე ილია ჭავჭავაძის ხელით ჩაწერილია:

— „ანგარიშში აღნიშნული იყოს ხოლმე, თუ რამდენი სხდომა არ შესდგა გამგეობის წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო. სწავლა-აღზრდის საქმე საზოგადოების სკოლებში ანგარიშში უფრო ვრცლად იყოს მოხსენებული, რისთვისაც გამგეობამ შეიმუშაოს განსაკუთრებული წესი, ხოლო სკოლები წელიწადში ერთხელ მაინც იყოს დათვალიერებული. გარდა ამისა, ქუთაისის სკოლის სამზრუნველოს მიეწეროს თავის წევრად დაასახელოს ორი ან სამი პედაგოგი. ილია ჭავჭავაძე“.[2]

1902 წლის 19 მაისის კრება გაგრძელდა 25 მაისს, ამჯერად ნიკო ცხვედაძის თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა ოპოზიციის წინადადებები, მაგრამ ბევრი მათგანის მიღებაზე უარი განაცხადა. ასე, მაგალითად, უარი თქვა ა. მამულაიშვილის წინადადებაზე,

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 789, ფურ. 9-11.
იგივე ფონდი, ფურ. 13.

რომ საზოგადოების სკოლებიდან პედაგოგების დათხოვნა საზოგადო კრების პრეროგატივა ყოფილიყო და არა გამგეობისა; ასევე არ მიიღო მეორე წინადადება, რომელიც ეხებოდა გამგეობის მიმართ პედაგოგთა საჩივრებს, აგრეთვე საზოგადოების მდივნის მეორე თანაშემწის გაუქმებას და სხვ. მხედველობაში იქნა მიღებული პედაგოგთა ხელფასების მომატების საკითხი, რომელსაც ოპოზიცია აყენებდა. კრებამ ამ საკითხზე ღონისძიების შემუშავება გამგეობას დაავალა. ნ. ცხვედაძემ კრებას მოახსენა გამგეობის გადაწყვეტილება სასკოლო ინსტრუქციის შეცვლასთან დაკავშირებით. ამავე კრებაზე აირჩიეს გამგეობის ახალი წევრები — ფილიპე გოგიჩაიშვილი და სამსონ ფირცხალავა, ნაცვლად ივ. გომართელისა და ალ. სარაჯიშვილისა, რომლებმაც გამგეობის წევრობაზე უარი განაცხადეს.[1]

როგორც საზოგადოების ამ წლიური კრებიდან ჩანს, გასულ წელთან შედარებით, ოპოზიცია უფრო სუსტი აღმოჩნდა. საზოგადოების გამგეობის შემადგენლობაში უმრავლესობას კვლავ ილიას მიმდევრები შეადგენდნენ.

წერა-კითხვის საზოგადოების საქმიანობისადმი ფართო ინტერესს, რაც აშკარად გამოჩნდა საზოგადოების წლიურ კრებებზე, ქართველი სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი ფილიპე მახარაძე საზოგადოებრივი თვითცნობიერების გაფართოებასა და მოქალაქეობრივი გრძნობების გაღვივებას მიაწერს. 1902 წელს ჟურნალ „კვალში“ იგი წერს: — „გასულმა წელმა ყველას აშკარად დაგვანახა, რომ ჩვენს ხალხში თანდათან მტკიცდება მოქალაქეობრივი გრძნობები, თავის ინტერესების და თავის ვინაობის შეგნება... რომ ჩვენი ხალხი ისე გულცივად და უდარდელად აღარ უყურებს საზოგადო საქმეს, როგორც წინათ. აი ამას ვეძახით ჩვენ საზოგადოებრივი თვითცნობიერების გაძლიერებას...“. ამის მაგალითებად ფილიპე მახარაძე ასახელებს სახალხო კითხვების, სახალხო თეატრების, ბიბლიოთეკების დაარსებას და 1901 წლის წერა-კითხვის საზოგადოების წლიურ კრებას. — „ის მოვლენა, რამაც ხსენებულ კრების დროს იჩინა თავი, — წერს იგი, — დამახასიათებლად უნდა

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 789, ფურ. 15.

ჩაითვალოს მთელ იმ მოძრაობისა, რომელიც დღეს ჩვენი საზოგადოების გულში ღვივის. ეს მოძრაობა არ დაწყებულა გასულ წელს და მას არც მარტო შარშან უჩენია თავი. მხოლოდ ამ განვლილმა წელმა დაგვანახა, თუ რამდენად გაძლიერებულა და ღრმა ფესვები გაუდგამს ამ მოძრაობას ჩვენს ცხოვრებაში".[1]

როგორც ამ წერილიდანაც ჩანს, სოციალ-დემოკრატები იმედოვნებდნენ, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება პოლიტიკური პარტიების გავლენის შედეგად თანდათან გადაიქცეოდა მასობრივ ორგანიზაციად და ეროვნული ბრძოლის ამოცანებს დაუქვემდებარებდა საერთო-სახალხო პოლიტიკურ ბრძოლას. ამ ნიადაგზე წლების მანძილზე მიმდინარეობდა ძველი და ახალი თაობის დაპირისპირება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შიგნით, რომელიც ახალი თაობის გამარჯვებით არ დაგვირგვინდა. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით ილიას და მის თანამოაზრეებს; მათ ღრმად სწამდათ ამ საზოგადოების ეროვნული დანიშნულებისა, რომელიც წარმოადგენდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ მთავარ კერას საქართველოში. ილიას თაობა თავგამოდებით იბრძოდა იმისათვის, რომ წერა-კითხვის საზოგადოება პოლიტიკური დაპირისპირების ასპარეზად არ გადაქცეულიყო და შეენარჩუნებინა ის ეროვნული ფუნქცია, რომელსაც იგი ასრულებდა დაარსების დღიდან. ძველი თაობა მიესალმებოდა საზოგადოების განახლებას, მაგრამ ეწინააღმდეგებოდა მისი საქმიანობის კლასობრივი ბრძოლის მიზნებისადმი დაქვემდებარებას. გარდა ამისა, როგორც საზოგადოების წევრი ალექსანდრე მიქაბერიძე შენიშნავს, „გამგეობის წევრები რაღაც უნდობლად უცქეროდნენ „ოპოზიციას" და მის წარმომადგენლებს. საზოგადოების გამგეობა შიშობდა, ახალგაზრდა ოპოზიციონერები, როცა საზოგადოების სათავეში მოექცევიან, საზოგადოების სახსრებს გაანიავებენ, საზოგადოების უძვირფასეს წიგნსაცავს ჯეროვან პატრონობას ვერ გაუწევენ, სკოლებისა და ბიბლიოთეკების ქსელს უსახსრობის გამო შეკვეცენ და ამრიგად მათ ხელში ქართველებ-

[1] ჟურნ. „კვალი", № 1, 1903 წ., გვ. 326.

ისათვის ეს საამაყო საზოგადოება უდღეოდ სულს დალევსო".[1]

900-იანი წლების დასაწყისისათვის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება არ წარმოადგენდა მასიურ ორგანიზაციას, მის საქმიანობაში ნაკლებად იყვნენ ჩაბმული მოსახლეობის დაბალი ფენების წარმომადგენლები. ეს გარემოება ბუნებრივად უკავშირდება ინტელიგენციის პრეროგატივას განათლების დარგში, რასაც მოკლებული იყო იმდროინდელი მშრომელი მოსახლეობა. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ისე როგორც სხვა დანარჩენ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებებს, დასახული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად ესაჭიროებოდათ სათანადო ცოდნითა და განათლებით აღჭურვილი პირები, რომლებსაც ჰქონდათ თავისუფალი დრო და შესაფერისი ცხოვრების პირობები. სამწუხაროდ, ასეთი პიროვნებები ნაკლებად მოიძებნებოდნენ იმ პერიოდის საქართველოში. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ხშირად ერთი და იგივე პიროვნება მონაწილეობას იღებდა რამდენიმე საზოგადოებაში. ამის გამო იყო, რომ ექვთიმე თაყაიშვილი წერდა — „ნამდვილი უკაცობა გვჭირდაო".[2] თვითონ ექვთიმე თანამშრომლობდა წერა-კითხვის, „დრამატულ", „ღარიბ მოწაფეთა შემწე" და სხვა საზოგადოებებში, იყო დამფუძნებელი და თავმჯდომარე საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ისე როგორც სხვა დანარჩენი კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების მმართველობის უმრავლესობა, ათეული წლების მანძილზე სრულიად უსასყიდლოდ, დროისა და ენერგიის დაუშურებლად ემსახურებოდა ეროვნულ საქმეს. ეს მით უფრო დასაფასებელია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მათი დიდი ნაწილი არსებობისათვის საჭირო სხვა სამსახურითაც იყო დაკავებული, რაც ხელს უშლიდა მათ ეროვნულ ენთუზიაზმს.

1904 წლის 15 მაისს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგა-

---

[1] ალ. მიქაბერიძე, მოგონება ი. ჭავჭავაძეზე. ძველი და ახალი თაობის შებრძოლება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ირგვლივ. იხ. საიუბილეო კრებული, ილია ჭავჭავაძე, თბ., 1939 წ., გვ. 332-333.

[2] იხ. კრებული, აკად. ექვთ. თაყაიშვილი, თბილისი, 1966 წ., გვ. 204.

დოებას დაარსებიდან 25 წელი შეუსრულდა, დრო და ვითარება საიუბილეო თარიღის ფართოდ აღნიშვნის საშუალებას არ იძლეოდა, არც საზოგადოების წევრები იყვნენ საამისოდ განწყობილი. საზოგადოების მდივანმა — სამსონ ფირცხალავამ 17 აპრილს გამგეობის სხდომაზე წინადადება შეიტანა, რომ იუბილე მხოლოდ წერა-კითხვის საზოგადოების სკოლებში აღენიშნათ, რასაც გამგეობამ მხარი დაუჭირა. სამსონ ფირცხალავას გეგმით იუბილეს ასეთი სახე უნდა მისცემოდა: სკოლებში გაეცნოთ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორია, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის სამახსოვროდ დაერიგებინათ ქართული წიგნები და ალბომები, ერთი დღით გაენთავისუფლებინათ მოსწავლეები მეცადინეობიდან; გამგეობას გადაეხადა პანაშვიდი საზოგადოების გარდაცვლილ მოღვაწეთა მოსაგონებლად.

15 მაისს წერა-კითხვის საზოგადოების წლიურმა კრებამ მოისმინა გამგეობის საიუბილეო მოხსენება. მოხსენებაში აღნიშნული იყო შემდეგი: „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობის მთავარი საგანი არის სწავლა-განათლების გავრცელება. მაგრამ სახალხო განათლება მხოლოდ სამშობლო ენაზეა შესაძლებელი და ჩვენი „საზოგადოება“ 25 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა მხოლოდ ამ გვარის სწავლა-განათლებისათვის. ამიტომ არის იგი არამც თუ კულტურული დაწესებულება, არამედ ჩვენი ეროვნული თავშესაფარი. ამ „საზოგადოებაში“ იკრიბება ჩვენი წარსული კულტურის ნაშთები, რაც კი რამ ქართველის უკვდავს სულს შეუქმნია, რაშიც კი გამოხატულია ჩვენის სულისა და გულის მოძრაობა და აღბეჭდილია წიგნებში, მხატვრობაში, ხუროთმოძღვრებაში, — ყველაფერი აქ იყრის თავს და ხელს უწყობს ჩვენი თავის გათვითცნობიერებას...“

— „საზოგადოების განვითარება არის ჩვენი განვითარება და რამდენად მეტი ინტერესი იქნება მისდამი, იმდენად დაწინაურებული ვიქნებით საზოგადოთ.

ჩვენი საზოგადოების 25 წლის ისტორია არ წარმოადგენდა არაფერს ტრაგიკულს, იშვიათს, არა-ჩვეულებრივს. მისი ისტორია მეტად ჩვეულებრივია, უბრალო, მაგრამ მეტად საინტერესოა, როგორც

მაჩვენებელი საზოგადო ჩვენი ვითარებისა. არ შეგვიძლია ვსთქვათ, „საზოგადოება“ იბრძოდაო 25 წლის განმავლობაში. არა, იგი მხოლოდ მუშაობდა წყნარად თავისი არსებობისათვის და მისი მუშაობა იყო მუშაობა ქართველი ერის არსებობისათვის“...[1]

1904 წელს, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, 16 მაისს საზოგადო კრებაზე საპატიო წევრებად აირჩიეს ნიკო ცხვედაძე, ვახტანგ თულაშვილი და სტეფანე ზუბალაშვილი, რომელმაც იუბილეს აღსანიშნავად საზოგადოებას 10 ათასი მანეთი შესწირა.

ნიკო ცხვედაძე (1845-1911 წწ.) ვახტანგ თულაშვილთან ერთად იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1878 წლიდან იგი და იაკობ გოგებაშვილი შეუდგნენ საზოგადოების დაარსებისათვის ზრუნვას. ვახტანგ თულაშვილის ხელშეწყობით მათ მოიპოვეს ხარკოვის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდება, რომლის საფუძველზე ნიკო ცხვედაძემ დიმიტრი ყიფიანთან ერთად შეადგინა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდების პროექტი. 1879 წლის 15 მაისს წერა-კითხვის საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე ნიკო ცხვედაძე აირჩიეს საზოგადოების პირველ გამგეობაში, სადაც მასთან ერთად შევიდნენ: დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი და რაფიელ ერისთავი; აქედან დაწყებული, სიცოცხლის ბოლომდე, ნიკო ცხვედაძე 1885-1907 წლებში იყო გამგეობის უცვლელი წევრი. ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობის პერიოდში, და თავმჯდომარის უცვლელი ამხანაგი. მთელი ამ ხნის მანძილზე ნ. ცხვედაძე უდიდესი ერთგულებითა და თავდადებით უძღვებოდა წერა-კითხვის საზოგადოების მრავალმხრივ ნაყოფიერ საქმიანობას. როგორც მისი თანამედროვე და ახლო მეგობარი თედო სახოკია გადმოგვცემს, ნ. ცხვედაძე, „მარად მოფუსფუსე“, საზოგადოების სკოლების აღორძინებისა და კეთილდღეობისათვის მუდამ მზრუნველი, ყოველთვის მხარ-

---

[1] ქართველთა შორის წ-კ გამავრცელებელი საზოგადოება 25 წლის განმავლობაში (1878-1904), მოხსენება გამგეობისა, წაკითხული 1904 წლის 15 მაისის წლიურ კრებაზე. იხ. „საქართველოს კალენდარი“ ვ. გუნიას რედაქციით, ტფ., 1905 წ., გვ. 275-276.

ში ედგა ილია ჭავჭავაძესა და იაკობ გოგებაშვილს და მისი მონაწილეობის გარეშე არც ერთი საზოგადო ხასიათის საქმე არ კეთდებოდა თბილისში[1].

ნიკო ცხვედაძე, გიორგი ლასხიშვილის სიტყვით, იყო შეუდარებელი ენერგიის მქონე ადამიანი, რომელიც არასოდეს არ დაჰკლებია გამგეობის სხდომებს; ზეპირად იცოდა ყველა მისი საქმე და „თუ საზოგადოებამ რაიმე გააკეთა და ერთგვარი სიმპათია დაიმსახურა ქართულ ერში, ამაში უდიდესი ღვაწლი სწორედ ნიკო ცხვედაძეს მიუძღოდა“.[2] ამას ადასტურებს წერა-კითხვის საზოგადოების არქივში ნ. ცხვედაძის ხელით შედგენილი არაერთი დოკუმენტი, გამგეობის სხდომებისა და საზოგადო კრებების ოქმები, რომლებსაც ხშირად თავმჯდომარის მაგიერ ხელს აწერს ნიკო ცხვედაძე. როგორც ამ მასალებიდან ჩანს, დიდი წვლილი მიუძღვის ნ. ცხვედაძეს ბათუმის, ქუთაისის, კავკავის, წინარეხის, თონეთის, ხელთუბნის და წერა-კითხვის საზოგადოების სხვა ქართული სკოლების დაარსებასა და მათ საქმიანობაში.

25 წლის იუბილესთან დაკავშირებით წერა-კითხვის საზოგადოებამ მრავალი მისალოცი ადრესი მიიღო, მათ შორის პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორ ალექსანდრე ცაგარელისაგან, ბერლინის, ოდესის, კიევის უნივერსიტეტების ქართველი სტუდენტებისაგან, ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციებიდან და სხვ.[3]

ოდესის ქართველი სტუდენტები წერდნენ: „გვწამს რა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სიდიადე ჩვენი ეროვნული თვითცნობიერების განმტკიცებაში, როგორც წარსულში, ისე მომავალში, ჩვენ ერთის სულით და გულით ვულოცავთ და ვთხოვთ ოდესის ქართველი სტუდენტობა ჩარიცხოს თავის ერთ ნამდვილ წევრად“.

საინტერესოა გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციის მისალოცი ადრესი, სადაც შეფასებულია წერა-კითხვის გამავრცელებელი

---

[1] თედო სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1984 წ., გვ. 47.
[2] გ. ლასხიშვილი, მემუარები, თბ., 1934 წ., გვ. 149-150.
[3] ცსსა, ფონ. 481, საქ. 933, ფურ. 26.

საზოგადოების, როგორც ერის განმანათლებლის როლი და მნიშვნელობა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ადრესში ვკითხულობთ: — „ყოველ ნაბიჯზე დამაბრკოლებელი გარემოება, ყოველ ფეხის გადადგმაზე ბრძოლა და ტანჯვა“ სხვაგან, სხვა პირობებში, ამგვარ საზოგადოებას ყოველივე და ყველა ხელს უწყობს, რათა სინათლის ლამპარი გაჩაღდეს წყვდიადში, მოეფინოს ხალხს სწავლა და ცოდნა. მით უფრო დიდია შრომა და ამაგი საზოგადოებისა, რომ ჩვენს პირობებშიაც შესძლო ცხოვრება და მოქმედება. დღეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელი მთელმა საქართველომ იცის, ყოველი შეგნებული ქართველი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებს. გაიზარდა ტალღა საზოგადოების თანამგრძნობთა და ხელშემწყობთა და ის დროც მოვა, როდესაც წმინდა მოვალეობის აღსრულებისათვის გზა ფართო მიენიჭება“.[1]

ასევე საგულისხმოა ჟურნალ „მოამბის“ რედაქციის ადრესიც, რომელშიც აღნიშნულია შემდეგი:

„... ამ საზოგადოებამ თავის მაგალითებით ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში დაგვიმტკიცა ჩვენ, ქართველებს, რომ ჩვენც შეგვძლებია მარტო ჩვენის ძალ-ღონით ჩვენი საქმეების წარმართვა. მართლაც, მთელი 25 წელიწადი საზოგადოება მხოლოდ თავის ძალ-ღონის მოიმედე იყო, ისე, რომ გარედან დახმარების მაგიერ, მხოლოდ დაბრკოლებას ელობებოდა წინ. მხოლოდ ამ დაბრკოლებას უნდა მიეწეროს, თუ საზოგადოებამ თავის ასპარეზზე იმოდენა ვერ შეასრულა, რამოდენიც სასურველი იყო, მაგრამ საზოგადოება მაინც მხნედ მოღვაწეობდა და დღემდე შეუჩერებლივ თავის მიზნისაკენ წინ მიდიოდა, რისთვისაც ყოველი ქართველი მისი მადლობელი უნდა იყოს...“[2].

როგორც ზემოხსენებული მისალოცი ადრესებიდან ჩანს, ქართველი საზოგადოება ღრმად თანაუგრძნობდა წერა-კითხვის საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს, სათანადოდ აფასებდა მის ღვაწლსა და

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 934, ფურ. 2.

[2] იგივე, ფურ. 4.

ამაგს ქართველი ხალხის განათლებისა და ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების საქმეში; აფასებდა მის თვითმოქმედებას და შემართებას დაბრკოლებებთან ბრძოლაში; ამავე დროს კარგად ესმოდა მისი წარუმატებლობის მიზეზებიც, მაგრამ, რაც მთავარია, სწამდა მისი მომავლისა ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ.

1905 წლის რევოლუციამ აამოძრავა საზოგადოების ყველა კლასი და სოციალური ფენა. იმპერიის განაპირა მხარეებში აზვირთდა მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. რევოლუციაში ჩაებნენ ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის ფართო ფენებიც: პედაგოგები, ექიმები, მსახიობები, მუსიკოსები, მოსწავლე-ახალგაზრდობა და ინტელიგენციის სხვა დარგის მუშაკები, რომლებსაც აქტიური პოზიცია ეკავათ რევოლუციის მთელ პერიოდში. მათი დიდი ნაწილი გაერთიანებული იყო სხვადასხვა თვითმოქმედ საზოგადოებებში, ამიტომ რევოლუციის წლებში კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებების მოღვაწეობას ერთგვარი დაქვეითება დაეტყო. საზოგადოების წევრები უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხებით იყვნენ დაკავებული და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის ნაკლებად ეცალათ; ზოგიერთი მათგანი მთავრობის მხრივ დევნა-შევიწროვებასაც განიცდიდა და იძულებული ხდებოდა დროებით ჩრდილში დარჩენილიყო. მიუხედავად ამისა, თვითმოქმედი ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციები შეძლებისდაგვარად ეხმიანებოდნენ ახალი ცხოვრების მოთხოვნებს და ხელს უწყობდნენ მოსახლეობის ფართო ფენებში საბრძოლო რევოლუციური სულისკვეთების გაძლიერებას.

რევოლუციის პერიოდში დაქვეითება დაეტყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობასაც. 1905 წლის განმავლობაში გამგეობის 18 სხდომიდან არ შედგა 6 წევრთა გამოუცხადებლობის გამო; გამგეობაში გაირჩა მხოლოდ 98 საქმე და 58 — გადაიდო; 1906 წელს საზოგადოების 9 სკოლიდან მოქმედებდა მხოლოდ 4 და 11 ბიბლიოთეკიდან — 5 (თბილისის პირველი, ახალციხის, უდის, ხონის და თბილისის მესამე); ყვირილისა და ხარაგაულის ბიბლიოთეკები დაწვა ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელმა

რაზმმა; თბილისის მეორე და შილდის ბიბლიოთეკები დაიკეტა უსახსრობის მიზეზით, დიდი-ჯიხაიშის ბიბლიოთეკა — არეულობის გამო;[1] გამგეობის შემადგენლობიდან გამოვიდნენ ნ. ელიავა (1906 წ.), ფ. გოგიჩაიშვილი (1907 წ.), ივ. რატიშვილი (1907 წ.) და სხვ. ამასთან დაკავშირებით ფილიპე გოგიჩაიშვილი თავის განცხადებაში აღნიშნავდა: „გარემოება ხელს მიშლის მხურვალე მონაწილეობა მივიღო საზოგადო საქმეებში"-ო.[2]

საზოგადოების შემოსავალმა ყოველმხრივ იკლო. საწევრო გადასახადი 1905 წელს წინა წელთან შედარებით თითქმის ორჯერ შემცირდა; 1907 წელს საწევრო შემოვიდა 2316 მანეთი, ყულაბებით — 40 მანეთი, შემოსავალი შემოწირულობებიდან შეადგენდა 4905 მანეთს, საქველმოქმედო ბაზრობიდან — 737 მანეთს;[3] შემცირდა წიგნების გამომცემლობაც; 1905 წელს გამოიცა მხოლოდ 6 წიგნი 5926 მანეთის ღირებულებისა, მაშინ, როცა 1904 წელს დაიბეჭდა 13 სახელწოდების წიგნი 10795 მანეთის ღირებულებისა; დარჩა შემოსავლის მხოლოდ ერთი მომგებიანი წყარო — წიგნების მაღაზია. 1906 წელს წიგნების მაღაზიიდან წმინდა მოგება შეადგენდა 587 მანეთს, 1907 წელს — 1556 მანეთს;[4] დაიხურა ფოტოგრაფია და მისი ნაწილი გადატანილ იქნა საზოგადოების კანცელარიაში და წიგნსაცავ-მუზეუმში, ნაწილი გაიყიდა.

1906 წელს წიგნების ვაჭრობიდან შემოსავალმა გამგეობას საშუალება მისცა ამ წლის სექტემბრისათვის გაეხსნა სამი დახურული სკოლა (ყალამშიას, გომარეთისა და წინარეხის); სწავლის განახლება უსახსრობის გამო ვერ მოხერხდა თონეთის, რეხისა და ხელთუბნის სკოლებში, ხელთუბანში დამსჯელი რაზმის დროს სკოლის შენობა ძლიერ დაზიანდა.

1907 წლიდან საგრძნობლად იკლო საზოგადოების წევრთა

---

[1] იხ. ანგარიში ქართველთა შორის წ-კ გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა 1905 წლისა, ტფ., 1906 წ., საქ. 939, ფურ. 1-59.

[2] ცსსა, ფონ. 481, საქ. 873, ფურ. 55.

[3] ანგარიში ქართველთა შორის წ-კ გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა, 1907 წლისა, ტფ.,1908 წ., საქ. 1010, ფურ. 5-8.

[4] იგივე ფონდი, საქ. 1281, ფურ. I.

რიცხვმა. თუ 1906 წელს საზოგადოებაში 1373 წევრი ირიცხებოდა, 1907 წელს იგი 420-მდე შემცირდა, 1908 წელს – 328-მდე. ეს ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ ძველი წესდებით ის, ვინც ერთხელ ჩაეწერებოდა საზოგადოებაში და საწევრო თანხას შეიტანდა, შემდეგ წლებშიც მექანიკურად ირიცხებოდა წევრად იმისდა მიუხედავად, იხდიდა საწევროს თუ არა. 1906 წლის 17 დეკემბრის საზოგადო კრების დადგენილებით საზოგადოების მოქმედ წესდებაში შეტანილ იქნა ახალი მუხლი,სადაც წერია: „წევრობა ჩამოერთმევა იმ წევრს, რომელსაც ერთი წლის გადასახადი არ ექნება შემოტანილი და იგი ხელახლა იქნება მიღებული წევრად უკენჭოდ, როცა სრულიად გადაიხდის მასზე დარჩენილ საწევრო ფულს.“[1] ახალი წესი ძალაში შევიდა 1907 წლიდან, რამაც საგრძნობლად გაცხრილა საზოგადოების რიგები ადგილობრივი განყოფილებების (ფილიალების) დაარსებამდე, რის შემდეგ წევრთა რიცხვი ისევ გაიზარდა, 1909 წელს გახდა – 842, 1910 წელს – 1163, 1911 წელს – 1511 და ა.შ.

1907 წლის 22 თებერვალს გამგეობამ მოისმინა საზოგადოების მდივნის – სამსონ ფირცხალავას მოხსენება საზოგადოების მატერიალური მდგომარეობის შესახებ. ს.ფირცხალავა გამგეობის ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზე, რომ დღითიდღე მცირდებოდა შემოსავალი და საჭირო იყო სასწრაფოდ რაიმე ღონისძიებების მიღება. ამასთან ერთად, შემოსავლის გადიდების მიზნით, ს. ფირცხალავა წინადადებას აყენებდა, რომ გამგეობას შეეცვალა ადრე მიღებული დადგენილება 20 მარტისათვის ზაქარია ფალიაშვილის დახმარებით საოპერო წარმოდგენის გამართვის შესახებ, რაც ჯერჯერობით ვერ ხერხდებოდა და მის ნაცვლად თბილისის არტისტული საზოგადოების საკონცერტო დარბაზში გაემართათ ბალი და ამისათვის დახმარება ეთხოვათ მხატვარ გიგო გაბაშვილისათვის.[2]

თუ რა მძიმე მატერიალურ კრიზისს განიცდიდა ამ დროის-

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 873, ფურ. 40.

[2] იქვე, ფურ. 49.

ათვის წერა-კითხვის საზოგადოება, ამაზე მიუთითებს თავმჯდომარის ამხანაგის, ნიკო ცხვედაძის მიმართვა საზოგადოების აგენტებისადმი 1907 წლის 7 მაისს. მიმართვაში აღნიშნულია შემდეგი: — „უკანასკნელი წლების საერთო კრიზისმა უკიდურეს მდგომარეობაში ჩააგდო წერა-კითხვის საზოგადოება და დღეს მას თითქმის არავითარი საშუალება არ მოეპოვება რომ უპატრონოს თავის სკოლებს და სამკითხველოებს. საზოგადოებას არ შემოსდის არც საწევრო ფული, არც შემოწირულობა და ახლო მომავალში მოელის სრული გაკოტრება და მოქმედების შეჩერება. 27 წლის განმავლობაში საზოგადოება მიუხედავად ათასნაირი გარეგანი დაბრკოლებისა, მხნედ ემსახურებოდა თავის წმინდა საქმეს, ხოლო დღეს, როცა საზოგადოებას მიენიჭა მეტი თავისუფლება და გაფართოვდა მისი მოღვაწეობის ასპარეზი, უსახსრობის გამო იძულებულია დაკეტოს დაარსებული სკოლები და ბიბლიოთეკები და შესწყვიტოს სწავლა-განათლების გავრცელება ხალხში“.

ნიკო ცხვედაძე საზოგადოების აგენტებს სთხოვდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დროულად შეეკრიბათ საწევრო გადასახადი და შემოწირულობანი, გაემართათ საქველმოქმედო ღონისძიებები, წარმოდგენები, კონცერტები და ყოველგვარი საშუალებით ხელი შეეწყოთ საზოგადოების არსებობისათვის.[1]

1907 წელს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ დახმარებისათვის თხოვნით მიმართა შორაპნის მაზრის შავი ქვის მწარმოებელთა კრებასაც. მიმართვაში დახასიათებული იყო საზოგადოების მძიმე მდგომარეობა:

— ასეთ ყოფაშია საზოგადოება დღეს, სწორედ მაშინ, როცა ყველაზე უფრო საჭიროა სწავლა-განათლების გავრცელება, გონებრივი საზრდოს მიწოდება ხალხისათვის, სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. არც ერთ ხალხს, ერს არ შეუძლია არსებობა, გამარჯვება, წინსვლა, თუ ის ბრმა და უვიცია. ბრძოლა არსებობისათვის მას გაანადგურებს, მოსპობს; მხოლოდ ცოდნით და სწავლით აღჭურვილი ერი შესძლებს გაუმკლავდეს ცხოვრების

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 873, ფურ. 29.

მრავალგვარ დაბრკოლებას და მოაწყოს თვისი საქმეები საერთო კეთილდღეობის ნიადაგზე".[1]

აღნიშნული „მიმართვა" საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ მასში გადმოცემულია საზოგადოების მესვეურთა თვალსაზრისი სწავლა-განათლების როლის მნიშვნელობის შესახებ ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში.

რევოლუციამ ხელი შეუწყო თვითმოქმედ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებებისადმი მოსახლეობის დაბალი ფენების ინტერესის ზრდას. ამასთან დაკავშირებით წერა-კითხვის საზოგადოებაში გაჩნდა აზრი საწევრო გადასახადის შემცირების და, საერთოდ, 1879 წლის საზოგადოების ძველ წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. 1905 წლის 26 სექტემბერს გამგეობისადმი წარდგენილ მოხსენებაში დავით კარიჭაშვილი აღნიშნავს: — „დიდი ხანია გამგეობას შენიშნული აქვს ზოგიერთი ნაკლი საზოგადოების წესდებისა, რომელიც აბრკოლებს მის მოქმედებას, მაგრამ ამ ნაკლის მოსპობა წესდების შეცვლით ან დამატებით ვერ შეიქმნა მოხერხებულ ღღემდე. დღეს კი ისეთი დროა, როდესაც ასეთი ცვლილება და დამატება წესდებისა ადვილი მოსახერხებელია".[2]

დ. კარიჭაშვილი პირველ რიგში მოითხოვდა საწევრო გადასახადის შემცირებას ნამდვილი წევრებისათვის ექვსიდან სამ მანეთამდე, ხოლო დამფუძნებელი წევრებისათვის — ოცდან ათ მანეთამდე, რაც, მისი აზრით, ხელს შეუწყობდა საზოგადოების რიგების დემოკრატიზაციას. ამასთან ერთად, იგი მოითხოვდა წესდებაში ჩაემატებინათ ზოგიერთი ახალი მუხლი, რომელიც საზოგადოებას უფლებას მისცემდა შეეძინა უძრავი ქონება, ადგილობრივი კომიტეტები შეექმნა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში, რომლებიც იმოქმედებდნენ მთავარი გამგეობის ინსტრუქციის მიხედვით.

დ. კარიჭაშვილის მოხსენების საფუძველზე 1906 წელს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ ძველ წესდებაში ცვლილებები

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქმე 873, ფურ. 43.

[2] იგივე ფონდი, საქმე 938, ფურ. 4.

და დამატებები შეიტანა. ამ სახით წერა-კითხვის საზოგადოების ახალი წესდება მთავრობამ დაამტკიცა 1907 წლის 21 მარტს.[1]

ახალი წესდებით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიზანი იგივე რჩებოდა, რაც პირვანდელი (1879 წ.) წესდებით იყო განსაზღვრული („ხელი შეუწყოს წერა-კითხვისა და დასაწყისის განათლების გავრცელებას კავკასიის სანამესტნიკოს მკვიდრ ქართველთა შორის"). ამ მიზნის მისაღწევად დასახულ ღონისძიებათა შორის ახალი ის იყო, რომ საზოგადოებამ უფლება მიიღო საკუთრებად შეეძინა უძრავი ქონება. გარდა ამისა, მე-11 პარაგრაფის მიხედვით, წევრობა ჩამოერთმეოდა იმას, ვისაც ერთი წლის საწევრო გადასახადი არ ექნებოდა შემოტანილი და იგი ხელახლა იქნებოდა მიღებული წევრად კენჭის ყრის გარეშე, როცა სრულად გადაიხდიდა მასზე დარჩენილ საწევრო თანხას; 25-ე პარაგრაფის მიხედვით, საზოგადოებას უფლება ეძლეოდა გაეხსნა ადგილობრივი განყოფილებანი (ფილიალები) იქ, სადაც საჭიროდ სცნობდა, ხოლო ყოველი განყოფილების გახსნის შესახებ უნდა ეცნობებინა თბილისის გუბერნატორისათვის. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი განყოფილებების გახსნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმ დროისათვის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, როდესაც რევოლუცია უკვე დამარცხების გზაზე იდგა და რეაქცია კარზე იყო მომდგარი.

1907 წლის 30 აგვისტოს ვერაგულად მოკლეს ილია ჭავჭავაძე. 6 წელიწადი იყო ილია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე (1879-1885 წწ.) და 22 — მისი თავმჯდომარე (1885-1907 წწ.) ამ 28 წლის მანძილზე ილიამ დიდი შრომა და ენერგია დახარჯა საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების პრაქტიკული განხორციელებისათვის. ილია, როგორც თავმჯდომარე, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობითა და პრინციპულობით გამოირჩეოდა საზოგადოების მრავალფეროვან საქმიანობაში. ამაზე მიუთითებს თუნდაც მისი თავმჯდომარეობაც წერა-

---

[1] საქ. 1007, ფურ. 1-9, წესდების სრული ტექსტი გამოქვეყნებულია ჩვენს მიერ ჟურნალ „საისტორიო მოამბეში", ტ. 41-42, 1980წ., გვ. 263-267.

კითხვის საზოგადოების საერთო კრებებზე. ამის შესახებ სამსონ ფირცხალავა წერს: — „ამ თავმჯდომარეობაში ჩანდა მთელი მისი ბუნება. მტკიცე ხასიათის იყო, დისციპლინის და წესის მოყვარე, თავის უფლების სასტიკი დამცველი. კომპრომისი არ იცოდა. მაგრად იჯდა და ადგილიდან დაძვრას ნურავინ იფიქრებდა. რკინა იყო, ფოლადი, ძნელად მოსაღუნი, დინჯი, იოლად არ აპილარდებოდა. მოუფიქრებელს არაფერს იტყოდა. მის ნათქვამს წონა ჰქონდა; მძიმე იყო, დატვირთული. თავის ძალას გრძნობდა, მოპირდაპირეს ყურადღებით უსმენდა. იცოდა მახვილი რეპლიკები...“.[1]

სამსონ ფირცხალავას გადმოცემით, ილია წერა-კითხვის საზოგადოების საერთო კრებას უკანასკნელად დასწრებია 1906 წლის დეკემბერში. მას დამწუხრებული გრძნობით გაუხსნია კრება და დამსწრე საზოგადოებისათვის უთხოვნია ფეხზე ადგომით პატივი მიეგოთ შიო ჩიტაძისა და ნიკო ხიზანიშვილის ხსოვნისათვის, რომლებიც ვერაგულად მოკლეს იმავე წელს. ილიას რაღაც საქმის გამო, თუ შეუძლოდ ყოფილა, კრება მალე დაუტოვებია.

— „სამგლოვიარო ამბის გახსენებით გამოეთხოვა ილია ჭავჭავაძე წერა-კითხვის საზოგადოებას და ვინ იფიქრებდა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ წიწამურის ტრაგედია დატრიალდებოდა და მთელ საქართველოს საგლოვი გაუხდებოდა თვითონ მისი საშინელი დაღუპვა“.[2] — გულისტკივილით წერს ს. ფირცხალავა.

ილიას მკვლელობა ქართველი ხალხის ეროვნულ ტრაგედიად იქცა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ გავითვალისწინებთ იმ დიდ ღვაწლსა და ამაგს, რომელიც ილიას მიუძღვოდა საკუთარი ხალხის წინაშე. სიცოცხლეშივე ერის სულიერ მამად აღიარებულმა, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება „ქართლის ჭირზე“ წუხილსა და „ქართლის ბედზე“ ზრუნვას შესწირა. ალბათ მხოლოდ ილიას შეეძლო ამის თამამად თქმა: „მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა, შენი ცხოვრების თანამდევი, უკვდავი სული...“

---

[1] ს. ფირცხალავა, მოგონებათა ფურცლები, თბ., 1988 წ., გვ. 68-69.
[2] იქვე.

სამწუხაროდ, ილიას ღვაწლის სიდიადის სრული გაცნობიერება სწორედ იმ ავადმოსაგონარი 30 აგვისტოდან დაიწყო...

განსვენებული ერისკაცის გარშემო შეიკრიბა მთელი ერი, განურჩევლად წოდებისა, საქართველოს ყველა კუთხეში და მის ფარგლებს გარეთ, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ, გლოვისა და პროტესტის ხმები ისმოდა. საგურამოდან თბილისის გზაზე უამრავი ხალხი მიაცილებდა ცხედარს, უკვე თბილისში სულ ცოტა, სამოცი ათასი კაცი და ქალი იქნებოდა, ხოლო 9 სექტემბერს, ილიას დაკრძალვის დღეს, პროცესიაში ასი ათას ქალსა და კაცზე მეტი იღებდა მონაწილეობას.[1]

მთელი საქართველო გლოვობდა ილიას, მაგრამ მისი მთავარი ჭირისუფალი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება იყო.

საზოგადოების გამგეობამ თავისი თავმჯდომარისა და საზოგადოების საპატიო წევრის, ილია ჭავჭავაძის დაკრძალვასთან დაკავშირებით საგანგებო სხდომა მოიწვია და შემდეგი სახის გადაწყვეტილება მიიღო: „გადაიხადოს პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად ოთხშაბათს, 6 ენკენისთვეს სიონის ტაძარში; მისი კუბო შეამკოს ყვავილების გვირგვინებით; განსვენებულის დასასაფლავებლად არჩეულ კომისიაში გაიგზავნოს ორ წევრი; გამგეობის ერთ-ერთ წევრს დაევალოს განსვენებულის დასაფლავების დროს სიტყვის წარმოთქმა; მთელი გამგეობა დასაფლავებას დაესწროს სამგლოვიარო ტანისამოსით; გამგეობის ორი წევრი გაიგზავნოს საგურამოში, საიდანაც იმათ კუბო უნდა გამოაცილონ ტფილისამდე; გამოიცეს და უფასოდ დარიგდეს 5000 წიგნი ი. ჭავჭავაძის საუკეთესო ლექსებისა".[2]

წერა კითხვის საზოგადოება თავის ლიდერსა და ერის სულიერ მამას, მთაწმინდაზე უკანასკნელად ნიკო ცხვედაძის სიტყვით გამოეთხოვა. ამ სიტყვაში ჩანდა გულისწუხილი არა მხოლოდ წერა-კითხვის საზოგადოებისა, არამედ მთელი ერისა. ეს იყო ილიას ცხედრის წინაშე დადებული ფიცი, რომლის ერთგული დარჩა წერა-კითხვის საზოგადოება ბოლომდე.

---

[1] ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, ტფ. 1907წ., გვ.149-155.

[2] იქვე, გვ 38-39.

— ...„საქართველოში არც ერთი საზოგადო დაწესებულება არ არის, რომ ან ილიას თაოსნობით, ან მისი რჩევით ან კიდევ დახმარებით არ იყოს დაარსებული — ამბობდა ნ. ცხვედაძე, — ყველა ამ დაწესებულებას აქვს საზოგადო მიზანი: დაეხმაროს ქართველობას ნაბიჯი წადგას კულტურულ სარბიელზე, დაადგეს ქართველობა წარმატების გზას როგორც განათლებით, ისე ეკონომიურის გაუმჯობესებით. ერთი ამ დაწესებულებათაგანი არის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება". 28 წელიწადი იყო ჩვენი მგოსანი ილია თავმჯდომარის ამხანაგად ამ საზოგადოების დაარსების პირველ წლებში და მერე თავმჯდომარედ, როდესაც შავმა ბედმა მოგვაშორა დაუვიწყარი დიმიტრი ყიფიანი, რომელიც აგრეთვე აქ განისვენებს და მისი ძეგლი დაჰყურებს ჩვენს გამოუთქმელ მწუხარებას. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების უმთავრესი მიზანი ის არის, რომ სწავლა მოაწყოს ყოველგან ქართულ ენაზე. საზოგადოებას დიდი დაბრკოლებანი ეღობებოდა წინ და ჩვენი ილია ხმარობდა თავის მძლავრ ძალას დაეთრგუნა ეს დაბრკოლებანი...

— ორმოცი წელიწადი ემსახურება ილია თავის ქვეყანას სახელოვნად. ჩვენ იმის მემკვიდრენი, ვალდებული ვართ განვაგრძოთ და გავაფართოვოთ მისი საქმენი, მისი ნაწერები მოვფინოთ საქართველოს ყოველ კუთხეში და ამით მივეშუქოთ იმათ, რომელნიც დარჩენილან კიდე სიბნელესა და უცოდინრობაში. თვით ილიას, როგორც ყოველგან, სადაც ხალხი თავის თავს პატივსა სცემს და თავის გამოჩენილ მოღვაწეებს და მგოსნებს აფასებენ, აუშენოთ შესაფერი ძეგლი.

— ილიამ თავისი უკეთესი დღენი გაატარა ტფილისში, უკეთესი ლექსები და მოთხრობები დასწერა აქ და მისი მოღვაწეობა ყველა ტფილისელთ, განურჩევლად გვარტომობისა, თვალ-წინა აქვს; მისი ლექსები, მისი მოთხრობები, მისი მჭერმეტყველება ბევრმა იცის ქალაქში. ამისათვის ძეგლიც უნდა დაედგას მას ტფილისში თვალსაჩინო ადგილას, რომ ყველას შეეძლოს ნახვა — შინაურსაც და გარეულსაც, პატარასაც და დიდსაც, მდიდარსაც და ღარიბსაც. ამას ექნება დიდი მნიშვნელობა როგორც წარმავალ, ისე მომავალ

თაობისათვის. მართალია, ყველა შეგნებულ ქართველს დიდი ხანია უდგას ილიას ძეგლი თავის გულის ფიცარზე, მაგრამ ეს ძეგლი უხილავია, მხოლოდ ხანდახან გადაიქცევა ხოლმე ხილულად — როგორც აი ეხლა მოხდა. საჭიროა ხილული ძეგლი ილიასი ყველასათვის.

— მშვიდობით, დიდებულო მგოსანო, შესანიშნავო, მჭერმეტყველო, ნამდვილო მოქალაქევ! მშვიდობით უკვდავო ილიავ! ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა მუხლ მოდრეკილი და გულდაკოდილი გეთხოვება შენ, გეთხოვება და ფიცს გაძლევს, რომ შენგან ამორჩეულ გზას არა დროს არ გადაუხვევს".[1]

ამგვარად, ილიას სახელის უკვდავყოფისათვის ზრუნვა წერა-კითხვის საზოგადოებამ მისი დასაფლავების დღიდანვე დაიწყო. როგორც ნიკო ცხვედაძის გამოსათხოვარი სიტყვიდან ჩანს, ამ საქმეს ძირითადად ორგვარი მიმართულება უნდა მისცემოდა: ერთი — დედაქალაქში ილიას ძეგლის დადგმა და მეორე — მისი ნაწარმოებების გამოცემა. ასე ესმოდათ წერა-კითხვის საზოგადოების წევრებს თვიანთი ზნეობრივი ვალი ილიას ხსოვნის წინაშე.

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის უფლებამოსილება ილიას ხსოვნის უკვდავსაყოფად უფრო გაფართოვდა მას შემდეგ, რაც 1907 წლის 9 სექტემბრის საღამოს, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან დასაფლავებაზე ჩამოსულმა დელეგატების კრებამ გიორგი ზდანოვიჩის თავმჯდომარეობით ამ საქმეზე ზრუნვა ოფიციალურადაც წერა-კითხვის საზოგადოებას დააკისრა. კრების გადაწყვეტილებით, საზოგადოებასთან უნდა შეექმნათ ილიას სახელობის ეროვნული ფონდი, რომელიც მოხმარდებოდა ქართული მწერლობის განვითარებასა და განათლების გავრცელებას.[2]

გამგეობამ „მოწოდებით" მიმართა ქართველ საზოგადოებას თავისი წვლილი გაეღო ილიას ეროვნული ფონდის დაარსებაში, რომელიც გამიზნული იყო იმ საქმისათვის, რასაც ილია მთელი სიცოცხლის

---

[1] ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, გვ. 207-209. ტფ. 1907წ.
[2] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1046, ფურ. 2.

მანძილზე ემსახურებოდა: — „ქვეყნის აყვავება, განათლების გავრცელება, მწერლობის გაძლიერება — აი ილია ჭავჭავაძის სათაყვანებელი საგანი, რომელსაც შეალია თავისი ძალა და ღონე, რომელსაც არ განშორებია ერთ წუთსაც და ყოველი ჩვენთაგანი, ვისთვისაც ძვირფასია სახელოვანი მამულისშვილის ხსოვნა, უნდა ემსახუროს სწორედ ამ საქმეს" — აღნიშნულია „მოწოდებაში".[1]

ამგვარმა ინიციატივამ ფართო მხარდაჭერა პოვა ქართველ საზოგადოებაში. წერა-კითხვის საზოგადოების არქივში დაცულია ამის დამადასტურებელი არაერთი წერილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველებისაგან. როგორც ამ წერილებიდან ჩანს, ყოველი წლის 27 ოქტომბერს, ილიას დაბადების დღის აღსანიშნავად, თითქმის ყველგან იმართებოდა „ილიას საღამოები", სადაც მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. აი ერთ-ერთი მათგანი, რომელიც გამოგზავნილია ბაქოდან იაკობ მანსვეტაშვილის მიერ წერა-კითხვის საზოგადოების მდივნის, სამსონ ფირცხალავას სახელზე და დათარიღებულია 1907 წლის 25 სექტემბრით, წერილში ვკითხულობთ:

— „სამსონ ჯან,

27 ოქტომბერს ვაპირებთ დიდ საღამოს გამართვას ილიას მოსაგონებლად. გვინდა ყველა აქაურმა კულტურულმა სომხებმა, რუსებმა და თათრებმა მიიღონ მონაწილეობა — ყოველ ენაზე წავიკითხოთ ილიას თხზულება, გვინდა ცოცხალი სურათებიც დავდგათ, რა საკვირველია, ილიას ნაწარმოებებიდან.

— ორიოდე კალამი მოუსვი, დაახლოებით თქვენი პროგრამა გაგვაცანი, იქნებ თუ რამ კარგი გამოგიგონიათ, წაგბაძავთ. მანამ კი ყველა ილიას თხზულებები (რა ენაზეც კი იქნება) გამოგვიგზავნე. მგონია, ნემეცურ ენაზედაც არის თარგმანები, ისიც გამოგვიგზავნე".[2]

ილიას დაკრძალვიდან ერთი კვირის შემდეგ, წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრმა, ალექსანდრე მირიანაშვილმა დააყენა საკითხი ილიას პირადი ნივთების მოვლა-პატრონობის შესახებ.

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1044. ფურ. 84.

[2] იგივე ფონდი, საქ. 1046, ფურ. 11.

მისი სიტყვით, გამგეობას უნდა ეზრუნა არა მხოლოდ ილიას ბიბლიოთეკაზე, არამედ მისი პირადი ნივთების (საწერი მაგიდა, კალამი, ტანისამოსი, ხელჯოხი, ხელთათმანები და სხვ.) შენახვაზეც, რომელიც ასი წლის შემდეგ „ქართველი ერის განძად „გადაიქცეოდა.[1]

საზოგადოების გამგეობას ილიას შემდეგ ფაქტობრივად ნიკო ცხვედაძე ხელმძღვანელობდა, რომელიც თავის წევრთაგან მხნე და თავდადებულ შრომას მოითხოვდა, რათა პირნათლად შეესრულებინათ ილიას ცხედრის წინაშე დადებული ფიცი. ამასთან ერთად, გამგეობა უფრო მეტად უნდა დაახლოებოდა ხალხს და გაეძლიერებინა მასზე თავისი კულტურული ზეგავლენა; ნ. ცხვედაძე ხალხისგანაც მოითხოვდა მეტ მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერას: „... საზოგადოება მოითხოვს ყველასაგან ქონებრივს, იდეურს, ზნეობრივს დახმარებას. იგი უნდა მიგვაჩნდეს ყველას საერთო საქმედ და იმავე დროს საკუთარ საქმედ. დღეს საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ ხალხის წარმატების საფუძველს შეადგენს სწავლა-განათლების გავრცელება და ვისთვისაც ძვირფასია ეს წარმატება, მისთვის ძვირფასი უნდა იყოს ის დაწესებულება, რომელიც ემსახურება სწავლა-განათლების საქმეს“.[2]

ეს იყო დროის მოთხოვნა, რასაც თითქმის ყველა გრძნობდა, ვინც წერა-კითხვის საზოგადოებას ემსახურებოდა.

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1034, ფურ. 6-8.

[2] იქვე.

ნაწილი მეორე

ილიას გზით
ილიას გარეშე

თავი V

კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის გაფართოება 1907-1917 წლებში

თვითმოქმედი საზოგადოებები და სახალხო განათლება

რევოლუციის დამარცხების შემდეგდროინდელი სტოლიპინის მმართველობის პერიოდი განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა იმპერიის განაპირა ნაციონალური რეგიონებისათვის, სადაც ხელისუფლებამ რევოლუციის დროს ძლიერი დარტყმები განიცადა და „მთლიანი და განუყოფელი იმპერია" დანგრევის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. რუსეთის მოდერნიზაციის სტოლიპინისეული გეგმა პირველ რიგში მოითხოვდა ქვეყნის შიგნით სტაბილიზაციასა და სიმშვიდეს. პ. სტოლიპინი დარწმუნებული იყო, რომ ხალხთა მასების „დაწყნარების" გარეშე მისი გეგმების განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა („ჯერ სიმშვიდე, შემდეგ რეფორმები"). როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის, ისე პრემიერ-მინისტრის პოსტზე, იგი თანამიმდევრულად ახორციელებდა „მშვიდობიანობის" პოლიტიკას, მკაცრ რეპრესიებს მიმართავდა ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელს უშლიდა სტაბილიზაციას.

რუსეთის დიდმპყრობელობისათვის მებრძოლი უკანასკნელი დიდი მოხელე შეეცადა ყველასათვის ეჩვენებინა, რომ „თვითმპყრობელური კონსტიტუციონალიზმი" შეთავსებადია ეკონომიკურ და იდეურ ევოლუციასთან და აუცილებელი არაა დაანგრიო ძველი იმისათვის, რომ შექმნა ახალი...[1]

„მთლიანი და განუყოფელი რუსეთის" შენარჩუნების მიზნით, სტოლიპინი საგანგებო ზომებს მიმართავდა მთელი იმპერიის მასშტაბით- ფინელების, პოლონელების, უკრაინელების, კავკასიელების და სხვა არარუსი ხალხების მიმართ, ავიწროებდა მათ ეროვნულ

[1] Аверх А.Я. Столыпин и судьбы реформ в России, М., 1991, ст. 256.

უფლებებს, დედაენას, ტრადიციებს, კულტურას და ენერგიულად ცდილობდა ძველი დიქტატორული მეთოდებით ჩაეხშო თავისუფალი აზრის ყოველგვარი გამოვლინება.

სტოლიპინი ეჭვის თვალით უყურებდა იმპერიის მასშტაბით მოქმედ არაპოლიტიკურ საგანმანათლებლო და სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებებს და მათში ხედავდა დესტაბილიზაციის კერებს. ამაზე მიუთითებს მისი 1908 წლის 28 იანვრის ცირკულარი, რომელიც მიმართულია გუბერნატორებისა და ქალაქისთავებისადმი. ცირკულარში სტოლიპინი კატეგორიულად მოითხოვს მკაცრი კონტროლის დაწესებას თვითმოქმედ საზოგადოებებზე, რომლებიც მომრავლდნენ რუსეთში 1906 წლის 4 მარტის დებულების საფუძველზე. ამ დებულების მიხედვით, რომელიც რევოლუციის ზეწოლით განხორციელდა, კერძო საზოგადოებების რეგისტრაცია ხდებოდა გამარტივებული წესით, განცხადების საფუძველზე, რაც აადვილებდა კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებების დაარსებას.

აღნიშნულ ცირკულარში სტოლიპინი გუბერნატორებისა და ქალაქისთავების ყურადღებას ამახვილებს საგანმანათლებლო საზოგადოებების წესდებიდან გადახვევის ფაქტებზე და ანტისახელმწიფოებრივი იდეების პროპაგანდაზე. მაგალითისათვის ასახელებს სანკტ-პეტერბურგის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებული იყო 1906 წლის 10 ოქტომბერს. როგორც ცირკულარშია აღნიშნული, ეს საზოგადოება პირველ ხანებში თავისი წესდების მიხედვით აწყობდა სახალხო კითხვებს, სასწავლო თემატიკის ფარგლებში, მაგრამ შემდეგში გაჩნდა ეკონომიკური და სოციალური ხასიათის თემებიც. საზოგადოება სახალხო კითხვების საშუალებით ცდილობდა მსმენელებისათვის ჩაენერგა გადამწყვეტი ბრძოლის აუცილებლობა არსებული სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ. ლექტორთა შორის დასახელებული იყვნენ ანტისახელმწიფოებრივ აგიტაციაში შემჩნეული პირები, ზოგიერთი მათგანი პასუხისგებაშიც კი იყო მიცემული.

სტოლიპინის სიტყვით, იგივე ნიშნებით ხასიათდება მოსკოვის სახალხო უნივერსიტეტისა და სხვა დანარჩენი საგანმანათლებლო საზოგადოებების საქმიანობაც, რომლებიც სახალხო კითხვებისა

და ლექცია-მოხსენებების გზით მსმენელებში აღვივებდნენ ანტი-სახელმწიფოებრივ სულისკვეთებას. აქედან გამომდინარე, სტოლი-პინი მოითხოვს მკაცრი კონტროლის დაწესებას საგანმანათლებ-ლო საზოგადოებებზე და წესდებიდან გადახვევის შემთხვევაში გადამწყვეტი ზომების მიღებას თვით საზოგადოებათა ლიკვიდა-ციამდე.[1]

სტოლიპინის ამგვარი შეშფოთება არ იყო საფუძველს მოკლე-ბული. როგორც ცნობილია, რევოლუციის დაქვეითებისა და მისი დამარცხების შემდგომ პერიოდში ბოლშევიკური ორგანიზაციების ტაქტიკა გამოიხატებოდა ლეგალური და არალეგალური მუშაობის ფორმების ურთიერთშეთანხმებაში. ამიტომ მათი ორგანიზაციული საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენდა სხვადასხვა ლეგალურ საზოგადოებებში მუშაობა, რომლებსაც ხელმძღვანელო-ბას გაუწევდნენ არალეგალური ორგანიზაციები. მაგალითად, 1909 წლის ოქტომბერში თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის საქალაქო კონფერენციამ აუცილებლად სცნო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გამოყენება სოციალ-დემოკრატიული მიზნებისათვის პარტიის გარშემო მასების დასარაზმავად. ამ მიზნით ლეგალურ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში დაიწყო სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების ჩამოყალიბება, რომლებიც თბილისის კომიტეტს უნდა დამორჩილებოდნენ. ამ პერიოდში სოციალ-დემოკრატებმა თავისი გავლენის ქვეშ მოაქციეს თბილისისა და ქუთაისის სახალხო უნი-ვერსიტეტის საზოგადოებები, ზუბალაშვილების სახალხო სახლთან არსებული თბილისის დრამატული წრე, გაიზარდა მათი გავლენა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე და ა.შ. ისინი მოითხოვდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო სა-ზოგადოებათა რიგების დემოკრატიზაციას და მათ გადაქცევას მა-სიურ ორგანიზაციებად. ამ მიზნით აყენებდნენ საწევრო გადასახა-დის შემცირების საკითხს, რათა მოსახლეობის დაბალ ფენებს სა-შუალება მისცემოდათ გაწევრიანებულიყვნენ თვითმოქმედ საზოგა-დოებრივ ორგანიზაციებში.

---

[1] ცსსა, ფონ. 17, საქ. 6337, ფურ. 38-39.

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებების მიმართ ცენტრალური ხელისუფლების „ქანჩების მოჭერის პოლიტიკას“ ზურგს უმაგრებდა კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი, რომელიც უდიდესი გულმოდგინებით ებრძოდა „ნიჰილიზმსა“ და „სეპარატიზმს“ კავკასიის ხალხებში, ყოველნაირად ცდილობდა ძირი გამოეთხარა პროგრესული საზოგადოებრივი მოძრაობისათვის და მისთვის ველიკორუსული შოვინიზმი დაეპირისპირებინა. მაგრამ, რაც უფრო ძლიერდებოდა მთავრობის ზეწოლა კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობაზე, მით უფრო ფართოვდებოდა ეროვნულ-კულტურული ძალების კონსოლიდაციის პროცესი. რევოლუციის შემდგომ პერიოდში კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობაში შეინიშნება ორგვარი ტენდენცია: ერთი მხრივ, ძველი თვითმოქმედი საზოგადოებების გააქტიურება და, მეორე მხრივ, ახალი საზოგადოებების ჩამოყალიბება. ამგვარი ვითარება აიხსნება იმ გარემოებით, რომ რევოლუციის პერიოდში თვითმოქმედ საზოგადოებათა ირგვლივ შემოკრებილი შემოქმედებითი ინტელიგენცია აქტიურ მებრძოლ ძალას წარმოადგენდა, რომელიც უფრო მეტად პოლიტიკური ბრძოლით იყო გატაცებული და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა; რევოლუციის დამარცხების შემდეგ კი, როდესაც გაძლიერდა რეპრესიები და კვლავ საფრთხე დაემუქრა ეროვნულ თვითმყოფადობასა და კულტურას, მოწინავე ქართველი ინტელიგენცია (მასწავლებლები, მწერლები, მსახიობები, მუსიკოსები, ექიმები, ადვოკატები და სხვ.) აქტიურად ჩაება კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობაში, რომელიც მიმართული იყო მთავრობის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ.

ამ პერიოდში თვითმოქმედ საზოგადოებათა რიცხვი საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამ დროს დაარსდა „საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება“ (1907 წ.), საზოგადოება „განათლება“ (1908 წ.), „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება“ (1908 წ.), „ქართული ფილარმონიული საზოგადოება“ (1907 წ.), „საარტისტო საზოგადოება“ (1907 წ.), ქუთაისის საზოგადოება „სინათლე“ (1908 წ.); 1909 წელს შეიქმნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებები

ქუთაისში, ახალციხეში, ბათუმში, ბაქოში, თელავში, კავკავში, სამტრედიაში, სენაკში, სოხუმში, ჭიათურაში და სხვ., რომლებმაც ხელი შეუწყეს კულტურულ-საგანმანათლებო მოძრაობის გაფართოებას საქართველოში.

სასკოლო მოღვაწეობა

მე-20 საუკუნის დასაწყისში თვითმოქმედ საზოგადოებათა მოღვაწეობა სასკოლო განათლების დარგში ითვალისწინებდა ეროვნული და დემოკრატიული სკოლისათვის ბრძოლას, რომელიც, ამავე დროს, გულისხმობდა მშობლიური ენის უფლებების დაცვას. მხოლოდ დემოკრატიულ საფუძველზე დამყარებულ სახალხო განათლების სისტემას შეეძლო დადებითად გადაეწყვიტა ეროვნული სკოლის შექმნის საკითხი.

როგორც ცნობილია, ამ საკითხის გარშემო მწვავე იდეური ბრძოლა მიმდინარეობდა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებსა და დაჯგუფებებს შორის. სოციალ-დემოკრატები ეროვნული და დემოკრატიული სკოლის შექმნას სოციალური რევოლუციის გამარჯვებას უკავშირებდნენ. მათი აზრით, მხოლოდ სოციალისტური საზოგადოების პირობებში გახდებოდა შესაძლებელი ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა. საწინააღმდეგო მოსაზრებებზე იდგნენ ქართული ნაციონალისტური პარტიები და ქართველი ინტელიგენციის დიდი ნაწილი. მათ მიაჩნდათ, რომ ეროვნული ჩაგვრის მოსპობა და, კერძოდ, თანასწორუფლებიანობის მოპოვება სახალხო განათლების სფეროში, შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიულ რუსეთთან კავშირში, როდესაც საქართველო მოიპოვებს ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას და ქართველ ხალხს მიეცემა უფლება თვითონ გადაწყვიტოს თავისი ეროვნულ-კულტურული პრობლემები.

ამგვარად, ეროვნული სკოლის საკითხი უკავშირდებოდა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის იდეას, რომელსაც მხარს უჭერდნენ თვითმოქმედი საზოგადოებები, განსაკუთრებით, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. მის პირდაპირ დანიშნულებას შეადგენდა ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული დაწყებითი სასკოლო გა-

ნათლების გავრცელება, რომელიც, საზოგადოების აზრით, ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებისათვის.

1913 წლის 24 ნოემბერს არჩეულ იქნა ახალი სასკოლო სექცია გერასიმე იმნაიშვილის, შალვა ქარუმიძის, ალექსანდრე მიქაბერიძის, სეით იაშვილისა და ივანე ზურაბიშვილის შემადგენლობით. სექციის თავმჯდომარედ დაინიშნა გამოცდილი პედაგოგი ლუარსაბ ბოცვაძე, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების ახლებურად ჩასწორების საქმეში. მართალია ამ საქმისათვის წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ სპეციალური კომისიაც შექმნა, მაგრამ, როგორც ამ კომისიის წევრი იპ. ვართაგავა გადმოგვცემს, მთელი ამ საქმის ნამდვილი სული და გული ლ. ბოცვაძე იყო. „ის მუშაობდა მინდობილ საქმეზე გატაცებით, დაუღალავად, — წერს იპ. ვართაგავა, — მე ამისი მოწმე ვიყავი. წითელი ფანქრით ხელში ჩაუკირკიტებდა ხოლმე სახელმძღვანელოს თითოეულ სიტყვას, ფრაზას და კომისიის წევრებთან რჩევისა და შეთანხმების შემდეგ თავისი ხელით ასწორებდა ტექსტს“.[1]

ლ. ბოცვაძის პროგრესული პედაგოგიური შეხედულებები ემყარებოდა პედაგოგიური აზროვნების ისეთ დიდ კორიფეებს, როგორიც იყვნენ: კომენსკი, პესტალოცი, გერცენი და ჩერნიშევსკი.

ლ. ბოცვაძემ დიდი როლი შეასრულა ი. გოგებაშვილის სასკოლო სახელმძღვანელოების დაცვის საქმეშიც. როგორც ცნობილია, ქართველი ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლები თავს ესხმოდნენ ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს და მიუთითებდნენ მათ ნაკლოვან მხარეებზე. ასეთ შემთხვევებში ლ. ბოცვაძე თავგამოდებით იცავდა თავისი სულიერი მამის მოწინავე პედაგოგიურ იდეებს. — „ამ იდეებით გაჟღენთილი სახელმძღვანელოებით ი. გოგებაშვილმა პირდაპირ გადაარჩინა ქართველი ხალხის რამდენიმე თაობა ეროვნულად გადაგვარებას, — წერს იპ. ვართაგავა, — გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ მეცხრამეტე საუკუნეში „დედა-ენა“ ისეთ სათაყვანებელ წიგნად იქცა,

[1] იპ. ვართაგავა, დასახ. ნაშრ., გვ. 259.

თითქმის ისეთივე ადგილი ეჭირა მას შეგნებული ქართველის გულში, როგორიც „ვეფხისტყაოსანს“ ძველად“.[1]

1913-1914 წლებში სასკოლო სექციამ ლ. ბოცვაძის ხელმძღვანელობით ჩაატარა 36 სხდომა და გაარჩია 147 საქმე, მათ შორის 20 ეხებოდა სკოლების გახსნას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, 18 — სასკოლო სახელმძღვანელოების განხილვას, 9 — სკოლების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვას.[2]

1914 წელს სასკოლო სექციამ ახალი სკოლები გახსნა ვარიანში, აკაურთაში და ბორჩალოში. ომიანობის გამო საქმე დროებით შეჩერდა განჯაში, სიღნაღსა და ზუგდიდში, ქობულეთში სკოლის გახსნის ნებართვა ვერ მიიღო. ამ წლის 1 იანვრიდან გამგეობასთან დაწესდა სკოლების მეთვალყურის თანამდებობა და საფუძველი ჩაეყარა სასკოლო ბიბლიოთეკებს.[3]

სკოლების მეთვალყურედ (ზედამხედველად) დაინიშნა გრ. ბურჭულაძე, რომელიც ამოწმებდა საზოგადოების განყოფილებათა სკოლების მუშაობას და მათ სათანადო მზრუნველობასაც უწევდა, აგრეთვე ხელმძღვანელობდა სახალხო ბიბლიოთეკებს; სკოლების საერთო ხელმძღვანელობა კი სასკოლო სექციის კომპეტენციაში შედიოდა. 1913-1917 წლებში სასკოლო სექციას სათავეში ედგა ლუარსაბ ბოცვაძე. სექციის წევრებად ითვლებოდნენ: ა. მიქაბერიძე, გ. ნათაძე, გ. იმნაიშვილი, ტერ. წერეთელი და გრ. ბურჭულაძე.

1914 წლის 1 თებერვალს სასკოლო სექციის დადგენილებით ნალჩიკში (თერგის ოლქი) სკოლის გახსნისათვის საჭირო პირობების შესასწავლად გაიგზავნა გ. ბურჭულაძე. იმ დროისათვის ნალჩიკი წარმოადგენდა სამაზრო ცენტრს, სადაც ძირითადად რუსები, ყაბარდოელები და ოსები მოსახლეობდნენ. აქ ბინადრობდნენ რაჭიდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდან ჩამოსული ქართველებიც. გრ. ბურჭულაძის მოხსენებაში, რომელიც მან გამგეობას წარუდგინა იმავე წლის 8 თებერვალს, აღნიშნულია, რომ იმ დროისათვის ნალჩიკში უცხოვრია 47 კომლ ქართველს.

---

[1] იპ. ვართაგავა, დასახ. ნაშრ., გვ. 260.
ცსსა, ფონ, 481, საქ. 1558, ფურ. 20-21.
[3] იქვე.

— საქმის გარემოება ისეთია, — წერს გ. ბურჭულაძე, — რომ ნალჩიკის ქართველობა დროთა განმავლობაში გადაგვარდებიან და ისე დაიკარგებიან ქართველობისათვის, როგორც ეს მოუვიდათ მოზდოკში და ყიზლარში ძველათ გადმოსახლებულ ქართველებს, თუ ახლავე არ ჩაიდგა იქ ეროვნების შემნახველი საძირკველი და არ გაიბა დაშორებულ ძმებთან შემაკავშირებელი ძაფი".[1]

ამგვარ ეროვნულ ფუძედ ნალჩიკის ადგილობრივი ქართველობა თვლიდა სკოლას, რომელსაც ეროვნული სულისკვეთებით უნდა აღეზარდა იქაური ქართველი ახალგაზრდობა, შეენარჩუნებინა მათთვის დედაენა და ეროვნული სული. ამაზე მეტყველებს ნალჩიკის ქართველი მოსახლეობის „თხოვნა" წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობისადმი, რომელიც მათ შეუდგენიათ 1913 წლის 24 დეკემბერს. თხოვნას ხელს აწერდა 40 კაცი; გამგეობისაგან მხოლოდ მასწავლებლებისათვის ხელფასის გადახდას ითხოვდნენ, დანარჩენ ხარჯებს თვითონ კისრულობდნენ. მათი სურვილი იყო მომავალ სკოლას დარქმეოდა რომელიმე გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სახელი.

გრ. ბურჭულაძის აზრით, ნალჩიკში სკოლის გასახსნელად საკმარისი იქნებოდა აღედგინათ ილიას სახელობის ფონდი, საიდანაც 9 ათასი მანეთი გადადებული იყო წიგნსაცავ-მუზეუმისათვის ადგილის შესაძენად; ამ თანხის სარგებელი მოხმარდებოდა ნალჩიკის სკოლას, რომელსაც დაერქმეოდა ილია ჭავჭავაძის სახელი.[2]

ნალჩიკის ქართული სკოლის გახსნა გამგეობამ მხოლოდ 1915 წლისათვის მოახერხა. სკოლის პირველ გამგედ დაინიშნა სამსონ მამულია. 1917 წლამდე სკოლას წერა-კითხვის საზოგადოება ინახავდა, მაგრამ შემდეგში, ომით გამოწვეული მძიმე პირობების გამო, მან ეს ვეღარ შეძლო და სკოლას დიდი გაჭირვებით ინახავდა ადგილობრივი მოსახლეობა.

1914 წლისათვის წერა-კითხვის საზოგადოებას გახსნილი ჰქონდა

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1558, ფურ. 20-21.

[2] ჟურნ. „განათლების" დამატება, ცნობები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა, 1914 წ., № 8, გვ. 117.

16 დაწყებითი სახალხო სკოლა. ამ წლის 9 ნოემბრის წლიურ კრებაზე მწვავე კამათი გამოიწვია საზოგადოების სკოლების მდგომარეობამ, რასაც გიორგი ყაზბეგი ომის მძიმე პირობებით ხსნიდა.

— „საზოგადოების მასწავლებელნი ძლიერ მცირე სასყიდელს ღებულობენ თავისი მძიმე შრომის ფასში — აღნიშნავდა გამგეობის წევრი თ. კივაძე, — 36 თუმანი ძლიერ მცირე ჯამაგირია. თუ გვინდა ჩვენი სასკოლო საქმე წესიერ კალაპოტში ჩადგეს, საჭიროა შესაფერი მასწავლებელნი იქმნას მოწვეულნი, ცენზიანი, სემინარიელნი და არა სამოქალაქო სასწავლებელში კურსდამთავრებულნი და შესაფერი ჯამაგირიც დაენიშნოთ. სჯობია ცოტა იყოს სკოლა, მაგრამ კარგი“.[1]

სასკოლო სექციის თავმჯდომარის, ლ. ბოცვაძის სიტყვით, გამგეობა მომხრე იყო მოეწვია კვალიფიციური პედაგოგები, მაგრამ მათი მოძებნა ჭირდა. მისი აზრით, თუ მასწავლებელი თავდადებით იშრომებდა და ექნებოდა საქმისადმი სიყვარული, მიზანს ადვილად მიაღწევდა. მაგალითად, სოფელ ყალამშიაში მასწავლებელმა არასე მინარიელმა იმდენი გამჭრიახობა და მხნეობა გამოიჩინა, რომ სკოლა ხალხს შეაყვარა. მაგრამ იმ სკოლებში, სადაც მასწავლებლები არ იცავდნენ საზოგადოების სასწავლო-სანიმუშო გეგმასა და პროგრამებს, სასკოლო სექცია მათ მიმართ გადამჭრელ ზომებს მიიღებდა. მაგალითად, ზოგიერთ სკოლაში საღვთო სჯულს ასწავლიდნენ როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე, რაც არ ეთანხმებოდა საზოგადოების სასწავლო გეგმას.

— „ ჩვენი მიზანია ხალხში წერა-კითხვის გავრცელება, — აღნიშნავდა ლ. ბოცვაძე, — არის ადგილები, მივარდნილი კუთხეები, სადაც უბრალო წერილის წამკითხველს სანთლით ეძებენ. აი, ასეთ ადგილებში რომ წერა-კითხვის ცოდნა გავავრცელოთ, ეს, მე მგონია, უფრო სასარგებლო იქნება, ვიდრე მთელი ჩვენი ნივთიერი საშუალება მხოლოდ ორი-სამი სკოლის შენახვას მოვახმაროთ“-ო.[2]

---

[1] ჟურნ. „განათლების“ დამატება, ცნობები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა, 1914 წ., № 10, გვ. 151.

[2] იქვე, № 10, გვ. 148.

კრებამ აღნიშნა საანგარიშო პერიოდში გამგეობის მუშაობის ზოგიერთი ნაკლი, მაგალითად, გამგეობამ ვერ გამართა პედაგოგიური კურსები, სახალხო კითხვები და ლექციები, ვერ მოიწვია მასწავლებელთა ყრილობა და სხვ.

ხელისუფლება განსაკუთრებულ სიფრთხილეს პედაგოგიური კურსების მიმართ იჩენდა და ხშირ შემთხვევაში საზოგადოებას მათი მოწყობის უფლებას არ აძლევდა. მაგალითად, 1910 წელს გამგეობამ მიიღო მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ახალი პროგრამა. ამასთან დაკავშირებით თბილისის გუბერნატორს წარუდგინა კურსების გეგმა, პროგრამა და ლექტორთა სია, რომელშიც ჩამოთვლილია შემდეგი პირები: ალ. ხახანაშვილი, მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი და ლაზარევის ინსტიტუტის მასწავლებელი; სიმონ ავალიანი, ნოვოროსიის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი; იასონ მოსეშვილი, ნოვოროსიის უნივერსიტეტთან არსებული ქიმიური ლაბორატორიის ლაბორანტი; ივანე ჯავახიშვილი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი; ალექსანდრე ჯავახიშვილი, მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი; ალექსანდრე მდივანი, სათავადაზნაურო გიმნაზიის გამგე; დავით კარიჭაშვილი, სათავადაზნაურო გიმნაზიის მასწავლებელი; ლუარსაბ ბოცვაძე, სათავადაზნაურო გიმნაზიის მასწავლებელი და ალექსანდრე მრევლიშვილი, თავისუფალი მხატვარი.[1]

თბილისის გუბერნატორმა კურსების გასახსნელად გამგეობას თავისი პირობები წაუყენა: 1. კურსებს უნდა დასწრებოდნენ მხოლოდ საზოგადოების სკოლების მასწავლებლები; 2. მეცადინეობა უნდა ყოფილიყო მხოლოდ რუსულ ენაზე; 3. პროგრამების გარდა უნდა წარედგინათ კვირეული საათების ცხრილიც; 4. საათები თითოეულ საგანზე გადანაწილდებოდა იმისდა მიხედვით, თუ რა ადგილი ეჭირა ამ საგანს სახალხო სკოლების სისტემაში. ასეთ პირობებში გამგეობამ შეუძლებლად ცნო კურსების გამართვა.[2]

სამინისტროსა და სასულიერო უწყების სკოლებისაგან განსხვავებით, წერა-კითხვის საზოგადოების სასწავლო გეგმები, პრო-

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1210, ფურ.I.

[2] იქვე.

გრამები და სწავლების საერთო სისტემა ეყრდნობოდა მოწინავე პედაგოგიურ პრინციპებსა და მეთოდებს. საზოგადოების სკოლებში სწავლების ხანგრძლივობა გადიდებული იყო ერთი წლით, ნაკლები საათები ეთმობოდა საღვთო სჯულს, შედარებით მეტი — ქართულ ენას (I და II განყოფილებებში კვირაში 8 საათი, III და IV განყოფილებებში — 6 საათი); მე-3 და მე-4 განყოფილებებში ცალკე საგნად ისწავლებოდა საქართველოს ისტორია და გეოგრაფია (კვირაში 4 საათი), რასაც სხვაგან არ ასწავლიდნენ; რუსული ენა იწყებოდა II განყოფილებიდან (კვირაში 6 საათი); ყველა განყოფილებაში ასწავლიდნენ არითმეტიკასა და პრაქტიკულ გეომეტრიას, გალობა-სიმღერასა და ხატვა-ხაზვას.

ამგვარი სასწავლო პროგრამა, რომელიც მიღებულ იქნა 1910 წელს, გაცილებით ფართო და საფუძვლიან ზოგად განათლებას იძლეოდა, ვიდრე სამინისტრო და სასულიერო უწყების სკოლები. იგი თითქმის უცვლელი სახით მოქმედებდა 1919 წლამდე.

წერა-კითხვის საზოგადოება თავიდანვე დიდ ინტერესს იჩენდა, მოსწავლეებისათვის მიეწოდებინა კარგი სახელმძღვანელოები, რომლებიც დააკმაყოფილებდნენ იმდროინდელი მოთხოვნილების დონეს. ჯერ კიდევ 1879 წელს გაზეთ „დროებაში“ კონკურსიც კი გამოცხადდა ოთხი სახის წამახალისებელი პრემიით კარგი სახელმძღვანელოების შედგენაზე; საზოგადოებასთან არსებობდა წიგნების საგამომცემლო კომისია. მის მიერ შერჩეული სახელმძღვანელოები მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა. ილია ჭავჭავაძე ხშირ შემთხვევაში თვითონ სინჯავდა მათ და გამგეობის წევრებსაც ავალებდა აზრის გამოთქმას.

წერა-კითხვის საზოგადოების სკოლებს ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებმა („ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“, „დედა-ენა“, „ბუნების კარი“, „რუსკოე სლოვო“), რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს მოზარდი თაობის ეროვნულ ნიადაგზე სწავლა-აღზრდის საქმეში. გარდა ამისა, ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდნენ საზოგადოების მთელი არსებობის მანძილზე. მარტო „დედაენის“ მეორე ნაწილის გამოცემა საზოგადოე-

ბას წელიწადში 1200 მანეთზე მეტ მოგებას აძლევდა (გამოიცემოდა ყოველწლიურად 20 ათასი ეგზემპლარის რაოდენობით).

ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების გარდა, წერა-კითხვის საზოგადოებას სხვადასხვა წლებში გამოცემული აქვს რ. ჯაჯანაშვილის — „არითმეტიკულ ამოცანათა კრებული“ (1903 წ.), ს. იაშვილის — „ფიზიკური გეოგრაფია“ (1906 წ.), მისივე — „მოკლე სახელმძღვანელო ბუნების მეტყველებისა“, I ნაწილი (1915 წ.), ივ. გომართელის — „ასტრონომია“ (1914 წ.), ე. ხრამელაშვილის — „არითმეტიკულ ამოცანათა კრებული“, I ნაწილი (1914 წ.), ნ. კალანდაძის — „ასტრონომია“, I ნაწილი (1916 წ.) და სხვ.

1914 წლისათვის წერა-კითხვის საზოგადოებას სულ გახსნილი ჰქონდა 16 დაწყებითი სკოლა. 1879-1914 წლებში ამ სკოლებში უსწავლია 26.763 მოსწავლეს.[1] 1915 წლის ივლისიდან საზოგადოების სკოლებში ყველა საგანი ისწავლებოდა ქართულ ენაზე, რუსული ენა რჩებოდა ცალკე საგნად. განზრახული ჰქონდათ სკოლები გაეხსნათ ბათუმის ოლქში, ქობულეთში, მესხეთში, ზუგდიდსა და ბორჩალოს მაზრებში.

საინგილოში ქართული სკოლის გახსნა დაგეგმილი იყო ჯერ კიდევ 1908 წელს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოხერხდა. 1916 წელს ქართული სკოლა გაიხსნა სოფელ თასმალოში (საინგილო), მაგრამ მალე დაიხურა იმის გამო, რომ ადგილობრივმა მაჰმადიანმა ქართველებმა მოლების ზეგავლენით უარი განაცხადეს სკოლაზე იმ მოტივით, რომ, თითქოს, წერა-კითხვის საზოგადოებას მათი გაქრიატიანება სურდა; იმავე წელს ქართული სკოლა გაიხსნა ბაისუბანშიც (კაბალზე მცხოვრები ქართველებისათვის), მაგრამ სკოლა მხოლოდ 6 თვე მოქმედებდა, რადგან ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ვერ შეძლეს მისი შენახვა და არც წერა-კითხვის საზოგადოებას გააჩნდა საამისო მატერიალური სახსარი; გალში (სამურზაყანო) სკოლის შენახვა იკისრა ქუთაისის განყოფილებამ, მაგრამ სკოლის გახსნა შეფერხდა არეულობის გამო.

---

[1] საიუბილეო ანგარიში, 1914 წ.

წერა-კითხვის საზოგადოების დიდი სურვილი იყო ქართული სკოლა გაეხსნა ფერეიდანში მცხოვრები ქართველებისათვის. 1907 წლის დასაწყისში ფერეიდანიდან ჩამოვიდნენ ყოლამ-ჰუსეინ ონიკაშვილი და ყოლამ-რეზა ხუციშვილი. მათ ზედმიწევნით კარგად შეისწავლეს ქართული წერა-კითხვა და ფერეიდანში დაბრუნების შემდეგ იქაურ ქართველებს ასწავლიდნენ, რომლებიც დიდ ინტერესს იჩენდნენ მშობლიური ენისადმი. ამასთან დაკავშირებით, 1908 წელს საზოგადოების მდივანი სამსონ ფირცხალავა გამგეობას მოახსენებდა:

— ერთი წელიწადია, რაც უკან დაბრუნდნენ შარშან სპარსეთიდან ჩამოსულნი ქართველები, დაბრუნდნენ სრულის იმედით, რომ წელს, აუცილებლივ დავუარსებდით ერთ სკოლას მაინც. ჩვენმა სპარსელმა მოძმეებმა დიდად დააინტერესეს ქართველი საზოგადოება და ყველგან ის სურვილი გამოთქვეს, რომ უთუოდ გახსნილიყო სკოლა ფერეიდანში და ამ სკოლის მოწყობა ეკისრა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას...“[1].

სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზების გამო, წერა-კითხვის საზოგადოებამ ვერც მაშინ, და ვერც შემდეგ, ვერ შეძლო ქართული სკოლის გახსნა ფერეიდანში, მაგრამ თვით ფაქტი ამგვარი განზრახვისა, მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ შორს სწვდებოდა წერა-კითხვის საზოგადოების მზრუნველი ხელი და როგორი იმედის თვალით უყურებდა მას ფერეიდანელი ქართველობა.

1917 წლისათვის წერა-კითხვის საზოგადოებას გახსნილი ჰქონდა სულ 23 დაწყებითი ქართული სკოლა: აკაურთის, ატენის, ბათუმის, ბაქოს, ბორბალოს, გერგეთის, გომარეთის, ვარიანის, ზუგდიდის, თელავის, კავკავის, ნავთლულის, ნალჩიკის, ნუკრიანის, საგურამოს, სოხუმის, ყალამშის, შრომის, წინარეხის, წერაქვის, არმავირის, გუდაუთის და მოდინახეს სკოლები. აქედან საზოგადოება თავისი ხარჯით და ადგილობრივი საზოგადოების დახმარებით ინახავდა 14 სკოლას, ხოლო ბათუმის, ბაქოს, თელავის, კავკავის, სოხუმის, არმავირის და გუდაუთის სკოლებს — წერა-კითხვის საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებები.

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1022, ფურ.3.

1917 წლის თებერვლიდან თვითმოქმედ საზოგადოებებს მუშაობა უხდებოდათ არანორმალურ პირობებში. ამასთან დაკავშირებით წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის ერთ-ერთ მოხსენებაში ვკითხულობთ: — „ზოგი დაიჭირეს, ზოგი იმალებოდა, ზოგიც ერიდებოდა... სარევიზიო კომისიას რომ გაეთვალისწინებინა არსებული ჯოჯოხეთური პირობები, რომელშიაც უხდებოდა საზოგადოებას მუშაობა, დიდ გმირობადაც ჩაუთვლიდა გამგეობას იმას, რისი გაკეთებაც მან შესძლო".[1]

ამას ადასტურებს ვ. ბურჯანაძის მოხსენებაც, რომელმაც იმავე წელს გამგეობის დავალებით შეისწავლა საზოგადოების სკოლების მდგომარეობა. იმდროინდელი ვითარების გათვალისწინების მიზნით მოგვყავს ერთი ნაწყვეტი ამ მოხსენებიდან აკაურთის სკოლის შესახებ. ვ. ბურჯანაძე წერს: — „...აკაურთის სკოლაში, დაარსების დღიდან (1914 წ.) ფაქტიურად მხოლოდ 8 თვე სწარმოებდა სწავლა. როცა შუბლაძე, პირველად გამწესებული მასწავლებელი სამხედრო ბეგარის მოსახდელად გაიწვიეს (1915 წლის მაისიდან), სკოლაში სწავლა შეწყდა. 1915 წლის ნოემბერში დავნიშნეთ ბაგრატ ბეთანელი, მაგრამ ერთი თვის შემდეგ ისიც ომში გაიწვიეს, სწავლა კვლავ შეწყდა სკოლაში; 1916 წლის თებერვალში დაინიშნა მასწავლებლად ივანე კვარაცხელია, რომელიც ასწავლიდა სკოლაში ფაქტობრივად მარტიდან მაისამდე; აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში კვარაცხელიამ თავი დაანება სამსახურს (მთელი ზაფხულის ჯამაგირი მიიღო); ნოემბრის დამლევამდე სკოლაში სწავლა შეწყვეტილი იყო; დეკემბერში, აკაურთაში, მისი სურვილის თანახმად გადაყვანილი იქნა ზუგდიდის სკოლის მასწავლებელი დოროთე უჩანეიშვილი; ამანაც ორი თვის შემდეგ სამსახურს თავი დაანება; მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან აპრილამდე სკოლაში სწავლა არ ყოფილა. აპრილში გაიგზავნა მასწავლებლად ბაისუბნის სკოლის ყოფილი მასწავლებელი ევგენია შავლიაშვილი, რომელიც ასწავლიდა სკოლაში მხოლოდ მაისის დამლევამდე, მთელი ზაფხულის ჯამაგირი მიიღო და ენკენ-

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 2042, ფურ. 40-41.

ისთვის პირველ რიცხვებში თავი დაანება სამსახურს. ამჟამად სკოლაში მასწავლებელი არ არის".[1]

მსგავს შემთხვევებს ადგილი ჰქონდა ზოგიერთ სხვა სკოლაშიც, რაც აიხსნებოდა მასწავლებელთა მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებით.

ვ. ბურჯანაძის აზრით, შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან თავის დასაღწევად საზოგადოების სკოლები უნდა გადასცემოდა ერობებსა და ქალაქის თვითმმართველობებს, რადგანაც, 1914 წლის 1 ივლისის კანონის გამოქვეყნების შემდეგ, ქართულ ენას საშიშროება აღარ მოელოდა.

— „ქართული ენა თანასწორუფლებიანი გახდა არამცთუ პირველ დაწყებით სკოლებში, არამედ საშუალო სასწავლებლებშიც — აღნიშნავს ვ. ბურჯანაძე, — იმ ქალაქებში, სადაც თვითმმართველობათა ორგანიზაციები უკვე მოეწყო დემოკრატიულ საფუძველზე, ყველა ჩვენი სკოლა უნდა გადაეცეს ამ თვითმმართველ ერთეულებს, ხოლო სოფლის სკოლები სახალხო სკოლების დირექტორებს".[2]

1917 წლისათვის სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა საზოგადოების მხოლოდ 17 სკოლაში, დანარჩენში — შეწყვეტილი იყო. თვითმოქმედი საზოგადოებები რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მოელოდნენ, რომ მალე საქართველოში შემოიღებდნენ ერობათა ინსტიტუტს და მის ხელში გადავიდოდა მთელი სახალხო განათლების საქმე. სკოლების ნაციონალიზაციის პროცესმა შეანელა წერა-კითხვის საზოგადოების მზრუნველობა სახალხო სკოლებზე, რაც ისედაც უჭირდა არსებულ მძიმე ეკონომიკურ-პოლიტიკურ პირობებში. საზოგადოებამ აქამდე ვერ შეძლო შეექმნა სასკოლო განათლების ფართო ქსელი, თუმცა მისი მოქმედების ასპარეზი მოიცავდა მთელ საქართველოს და სცილდებოდა მის ფარგლებსაც.

მიუხედავად ათასგვარი ხელისშემშლელი პირობებისა (უსახსრობა, სამოსწავლო უწყების წინააღმდეგობა, საზოგადოების გულგრილობა, ომი, რევოლუციები და სხვ.), წერა-კითხვის საზოგადოებამ შექმნა იმ დროის კვალობაზე საუკეთესო სახალხო სკოლა,

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1784, ფურ. 6.

[2] იქვე, ფურ. 10.

რომელიც ეროვნულ ნიადაგს ემყარებოდა. ეს მით უფრო დასაფასებელია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მთავრობა არავითარ ღონისძიებას არ ატარებდა ქართული სკოლების გასახსნელად, პირიქით, ეწინააღმდეგებოდა ამას და თავისი საქმიანობით ხელს უშლიდა თვითმოქმედ საზოგადოებების სასკოლო მოღვაწეობას. ბევრი ბიუროკრატი მოხელე, სახალხო განათლების დირექტორ-ინსპექტორები და მათი დამქაშები თავისი გავლენის ქვეშ აქცევდნენ ზოგიერთ პედაგოგს, რომელსაც საკუთარი აზრი არ გააჩნდა და მხოლოდ მათ ექვემდებარებოდა. საბედნიეროდ, ასეთი პედაგოგები გამონაკლისს შეადგენდნენ. სახალხო მასწავლებლების უმრავლესობა მუდამ მტკიცედ იდგა დედაენის სადარაჯოზე და გაბედულად იბრძოდა მშობლიურ ენაზე სწავლების უფლებისათვის.

წერა-კითხვის საზოგადოების სკოლების წამყვანი მასწავლებლები: ლუარსაბ ბოცვაძე, მოსე ნათაძე, ვარლამ ბურჯანაძე, გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი), ტიტე კახიძე, გიორგი ჟურული, ბარბარე წერეთელი, ალექსანდრე ჭიჭინაძე, მარიამ ანჩაბაძისა, იონა მეუნარგია, ვლადიმერ ყიფიანი, მიხეილ თაქთაქიშვილი და სხვანი ათეული წლების მანძილზე ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდნენ მოზარდი თაობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის საქმეს.

1908 წლიდან წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სათავეში ჩაუდგა გიორგი ყაზბეგი. თუ რატომ შეაჩერა საზოგადოებამ მასზე თავისი არჩევანი, ამის შესახებ სამსონ ფირცხალავა გადმოგვცემს: — „ი. ჭავჭავაძე რომ გარდაიცვალა, დადგა საკითხი, თუ ვინ უნდა აგვერჩია წ.კ. საზოგადოების თავმჯდომარედ. იმ დროს რეაქცია თანდათან ძლიერდებოდა და გვეშინოდა, წ.კ. საზოგადოებას რამე არ შემთხვეოდა. ამიტომ საერთო აზრი იყო, რომ საზოგადოების თავმჯდომარედ აგვერჩია ვინმე მთავრობის წინაშე დამსახურებული კაცი, რომლის სიტყვას ანგარიშს გაუწევდნენ მმართველი წრეები... ნ. ცხვედაძეს ეს ეწყინა, ფიქრობდა, რომ მისი კანდიდატურა იქნებოდა წამოყენებული...“[1].

---

[1] სამსონ ფირცხალავა, მოგონებათა ფურცლები, თბ., 1988წ., გვ. 100-101.

ნიკო ცხვედაძე, დიდი ქართველი განმანათლებელი და ეროვნული მოღვაწე, ჭეშმარიტად იმსახურებდა ამ მაღალ პატივს. მას ილია „ნიკო აღმაშენებლად“ მოიხსენიებდა ერის წინაშე გაწეული სამსახურისათვის. იგი როგორც ზემოთ ითქვა, იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი და მისი წესდების შემდგენელი იაკობ გოგებაშვილთან და დიმიტრი ყიფიანთან ერთად. როგორც მისი თანამედროვენი აღნიშნავენ, წერა-კითხვის საზოგადოების მუშაობის მთელი სიმძიმე, ეს იქნებოდა სასკოლო, საბიბლიოთეკო, საგამომცემლო საქმიანობა თუ სხვა რაიმე საყურადღებო ღონისძიება, ხშირად, ილიას მოუცლელობის გამო, ნიკო ცხვედაძის მხრებზე გადადიოდა, და ისიც, მთელი ენერგიითა და თავდადებით, ეწეოდა ამ ეროვნულ ტვირთს.

ნ. ცხვედაძის ბევრი საყურადღებო მოსაზრება წერა-კითხვის საზოგადოების საქმიანობის არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე დაფიქსირებულია საზოგადოების გამგეობის სხდომებისა და საერთო კრებების ოქმებსა და მოხსენებებში, მათ შესახებ საუბარია წიგნის სხვადასხვა თავში.

1908 წლის 25 მაისს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ პერგამენტზე დაწერილი სამადლობელო ადრესი მიართვა ნ. ცხვედაძეს მის მიერ გაწეული შრომისათვის და მთელი შემადგენლობით სახლში ეახლა, როცა მან გამგეობაში დარჩენაზე უარი განაცხადა. ადრესში აღნიშნულია შემდეგი:

— „...28 წელიწადი დაუღალავად მთელის ძალით და ღონით ემსახურებოდით წერა-კითხვის გავრცელების საქმეს, ხან როგორც წევრი გამგეობისა და ხან როგორც საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრებმა უკვე მიაქციეს ყურადღება თქვენს ასეთს მოღვაწეობას და ამ ოთხი წლის წინათ ერთხმად აგირჩიათ „საზოგადოების“ საპატიო წევრად. უკანასკნელ საზოგადო კრებაზე ამა წლის 9 მარტს, გამგეობის ახალი არჩევნების დროს, თქვენმა რწმუნებულმა აუწყა თავმჯდომარეს, რომ თქვენ აღარ შეგიძლიათ დარჩეთ გამგეობაში.

— კრებამ მოისმინა რა ეს განცხადება, დაადგინა გამოგიცხა-

დოთ თქვენ ულრმესი მადლობა ხანგრძლივი, მხნე, უანგარო, ნაყოფიერი მუშაობისათვის „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“. გამგეობა უერთდება ამ დადგენილებას და თავის სასიამოვნო მოვალეობათა სთვლის თავის მხრითაც მოგახსენოთ გულწრფელი მადლობა და პატივისცემა“.[1]

სამსონ ფირცხალავა გადმოგვცემს: „ნ. ცხვედაძემ თავაზიანად მიგვიღო სტუმრები, მაგრამ მის სახეს ნაღველი და სევდა ემჩნეოდა“-ო.[2]

გენერალი გიორგი ყაზბეგი (1839-1921 წწ.), რომელმაც 1908 წლის 9 მარტიდან დაიკავა თავმჯდომარის პოსტი, დამსახურებულ პიროვნებად ითვლებოდა მთავრობის წრეებში. ახალგაზრდობაში მას მაღალ სამხედრო თანამდებობებზე უმუშავია ჯერ ვარშავაში, შემდეგ ვლადივოსტოკში. გ. ყაზბეგს ყველა იცნობდა როგორც კარგ ქართველს, განათლებულ და ჭკვიან კაცს.[3]

1908-1918 წლებში გ. ყაზბეგი უცვლელად თავმჯდომარეობდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. გამგეობის ყოფილი წევრი, ღვაწლმოსილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იპოლიტე ვართაგავა თავის მოგონებებში გ. ყაზბეგის შესახებ წერს: — „თითქმის ცხრა წლის განმავლობაში ვმუშაობდი გ. ყაზბეგთან და სინდისის ქვეშ ვამბობ, რომ მან სრულიად გაამართლა საზოგადოების ნდობა და პატივი. იმ დიდ ეროვნულ საქმეს, რომლის სათავეში ქართველმა საზოგადოებამ ის დააყენა, იგი ჭაბუკური ენერგიით, გატაცებითა და წინდახედულად უძღვებოდა. ყველა საქმეს, ყველა საკითხს, რაც „საზოგადოებას“ ჰქონდა გასაკეთებელი და გადასაწყვეტი, ყაზბეგი წინასწარ დეტალურად სწავლობდა. საკითხების განხილვისა და გადაჭრის დროს საღ აზროვნებას, ნათელ გონებას და ღრმა ანალიზის უნარს იჩენდა. ის სრულებით არ იყო სადეკორაციო თავმჯდომარე, ფიქტიური წინამძღოლი. ის ნამდვილი, ფაქტიური ხელმძღვანელი იყო გამგეობის მუშაობისა...“.[4]

---

[1] ჟურნ. „ნიშადური“, 1908 წ., № 46.
[2] ს. ფირცხალავა, დასახ. ნაშრ., გვ. 101.
[3] იქვე, გვ. 100-101.
[4] იპ. ვართაგავა, მოგონებები, ნაწ. 2, თბ., 1962 წ., გვ. 243.

1908 წელს გ. ყაზბეგის თანაშემწედ (ამხანაგად) აირჩიეს იაკობ ღულაძე, რომელიც 1910 წლიდან ალ. მდივანმა შეცვალა. შემდეგში მდივნად მუშაობდა დ. კარიჭაშვილი. ამ დროისათვის გ. ყაზბეგის თავმჯდომარეობით გამგეობაში შედიოდნენ: ლ. ბოცვაძე, ფ, გოგიჩაიშვილი, გ. ზდანოვიჩი (მაიაშვილი), დ. კარიჭაშვილი, გ. ლასხიშვილი, ალ. მდივანი, პ. სურგულაძე, ს. ფირცხალავა, გრ. რცხილაძე, ი. ღულაძე და ალ. ყიფშიძე (ფრონელი). მათ კანდიდატებად არჩეული იყვნენ: ანა არდაზიანი, ტერეზა ხმიადაშვილი და ივ. ჭავჭავაძე. 1910 წლიდან გამგეობას დროებით ჩამოშორდნენ ს. ფირცხალავა, გ. ლასხიშვილი და გრ. რცხილაძე, რომლებიც მთავრობამ დააპატიმრა. 1914 წელს გ. ლასხიშვილი კვლავ შევიდა გამგეობაში.

წერა-კითხვის საზოგადოების აქტიურ წევრთა შორის გამოირჩეოდნენ: პეტრე უმიკაშვილი, იაკობ გოგებაშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე, დავით კარიჭაშვილი, გიორგი ლასხიშვილი, ვარლამ ბურჯანაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, სამსონ ფირცხალავა, ალექსანდრე ყიფშიძე, გრიგოლ რცხილაძე, იოსებ ღულაძე, ნიკო ღოღობერიძე, ნინო ნაკაშიძე, ალექსანდრე სარაჯიშვილი, შიო დედაბრიშვილი (არაგვისპირელი) და სხვ., რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ქართველ ხალხში განათლების გავრცელებისა და მისი ეროვნული ცნობიერების განმტკიცების საქმეში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებები (ფილიალები)

როგორც ზემოთ ითქვა, 1907 წლის ახალმა წესდებამ ცვლილებები შეიტანა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტრუქტურაში. წესდების 25-ე მუხლით საზოგადოებამ უფლება მიიღო მთავრობის ნებართვის საფუძველზე, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში, თავისი შეხედულებისამებრ გაეხსნა ადგილობრივი განყოფილებები (ფილიალები).

1908 წელს წერა-კითხვის საზოგადოების წლიურმა კრებამ გიორგი ყაზბეგის თავმჯდომარეობით დაამტკიცა ადგილობრივ განყოფილებათა ინსტრუქცია, რომლის მიხედვით ფილიალების გახსნა შეიძლებოდა მხოლოდ ისეთ ადგილებში, სადაც თავს მოიყრიდა წერა-კითხვის საზოგადოების არანაკლებ 30 წევრისა, რომლებიც გამოთქვამდნენ საამისო სურვილს, გადაიხდიდნენ საწევროს და სათანადო შუამდგომლობას აღძრავდნენ მთავარი გამგეობის წინაშე.

ინსტრუქციის მიხედვით თითოეული განყოფილების მიზანი და მოქმედების საშუალებანი იგივე იყო, რაც მთელი საზოგადოებისათვის. ყოველი განყოფილება თავის რეგიონში განაგებდა საზოგადოების სკოლებს, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს და სხვა დაწესებულებებს, შესაბამისად მთავარი გამგეობის ინსტრუქციებისა, პროგრამებისა და წესებისა; წესდების მეხუთე მუხლის თანახმად, ადგილობრივი განყოფილება კრებდა როგორც საწევრო თანხას, ისე სხვა შემოსავალს და ყოველგვარი შემოსავლის 20% (1916 წლიდან 10%) უგზავნიდა მთავარ გამგეობას, დანარჩენს თვითონ მოიხმარდა ადგილობრივი საჭიროებისათვის.

ფილიალები ავტონომიური უფლებებით სარგებლობდნენ. თითოეულ განყოფილებას ჰყავდა საკუთარი გამგეობა, რომელსაც თვითონ ირჩევდა, ადგილობრივი გამგეობა თავის რეგიონში ისეთივე საქმიანობას ეწეოდა, როგორსაც მთავარი გამგეობა კავკასიის სანამესტნიკოში, მხოლოდ მთავარი გამგეობა კონტროლს უწევდა განყოფილების საერთო საქმიანობას, ნიშნავდა სარევიზიო კომისიებს, ამოწმებდა მათ ანგარიშებს და ხარჯთაღრიცხვას; წესრიგის დარღვევის შემთხვევაში მთავარ გამგეობას შეეძლო გადაეყენებინა ადგილობრივი გამგეობის წევრები, მიეცა ისინი სამართალში, დაეშალა საერთო კრება. 1907 წლამდე თითოეული განყოფილება საზოგადოების საერთო კრებაზე თავის წარმომადგენელს გზავნიდა, 1907 წლის ახალი წესდებით ეს წესი შეიცვალა და საერთო კრების ნაცვლად ტარდებოდა განყოფილებათა რწმუნებულების (დელეგატების) ყრილობა.

ამგვარად, თუ მანამდე წერა-კითხვის საზოგადოება კულტუ-

რულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში თავისი რწმუნებულების (აგენტების) საშუალებით ახორციელებდა (რასაც ნაკლები ეფექტი ჰქონდა), ახლა, ფილიალების გახსნით, უფრო გაფართოვდა და ეფექტური გახდა მისი საქმიანობა. რაც მთავარია, წერა-კითხვის საზოგადოება დაუახლოვდა ხალხს და დაიწყო მისი მასიურ ორგანიზაციად გადაქცევა, განსაკუთრებით 1917 წლიდან, ახალი წესდების მიღების შემდეგ, როდესაც საწევრო გადასახადი 3 მანეთიდან 1 მანეთამდე შემცირდა. ამან ხელი შეუწყო საზოგადოების რიგების დემოკრატიზაციას.

ქუთაისის განყოფილება დაარსდა 1909 წლის 23 აპრილს. მის სამოქმედო ასპარეზს წარმოადგენდა ქუთაისის, შორაპნის, რაჭის და ლეჩხუმის მაზრები. პირველ გამგეობაში არჩეულ იქნენ: გიორგი ზდანოვიჩი (თავმჯდომარე), იოსებ ოცხელი (მოადგილე), იაკობ ფანცხავა, იასონ ბაქრაძე, სილოვან ხუნდაძე, სამსონ ყიფიანი და ბართლომე მოსეშვილი (ხაზინადარი).[1]

გიორგი ზდანოვიჩი-მაიაშვილი (1854-1917 წწ), ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და რევოლუციონერ-ხალხოსანი, 1889 წელს, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, აქტიურად ჩაება საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში; თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, მონაწილეობას იღებდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში; იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მისი მემარცხენე-ხალხოსნური მიმართულების ლიდერი.

გ. ზდანოვიჩი 1909-1917 წლებში უცვლელად ხელმძღვანელობდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას. მისი თავდადებული შრომისა და ავტორიტეტის შედეგად განყოფილებამ მოკლე ხანში შეძლო მოეკრიბა სათანადო ძალები დასახული მიზნების განსახორციელებლად. ამის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ 1909 წლის 6 ოქტომბრამდე ქუთაისის გუბერნიაში წერა-კითხვის საზოგადოების ფილიალები გაიხსნა ბათუმში, სენაკში, სამტრედიაში, ხონში, ყვირილასა და ჭიათურაში.

---

[1] ცსსა, ფონდი 481, საქ.1071, ფურ. 5.

1909 წელს განყოფილების წევრთა რიცხვი შეადგენდა 89-ს, 1910 წელს — 114-ს, 1912 წელს — 338-ს, 1914 წელს — 406-ს. შესაბამისად იზრდებოდა განყოფილების ბიუჯეტიც. თუ 1911 წელს იგი შეადგენდა 757 მანეთს, 1912 წლისათვის 3235 მანეთამდე გაიზარდა, ხოლო 1914 წელს — 10.662 მანეთს მიაღწია[1].

1911-1912 წლებში განყოფილებამ 18 სკოლას აღმოუჩინა დახმარება წიგნებით, ჟურნალებით და სასწავლო ნივთებით. 1914 წლისათვის განყოფილებას გახსნილი ჰქონდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოები ქუთაისში, სიმონეთში, ბურსებში, ხრესილში, სვირში, ქვიტირში, ამბროლაურში, სადმელში, ლაილაშში, ალპანაში და სხვ. ამ დროისათვის ქუთაისის გუბერნიაში სულ 18 ბიბლიოთეკა-სამკითხველო მოქმედებდა. შემოსავალი ბიბლიოთეკებიდან შეადგენდა წელიწადში 2367 მანეთს (თითოეულიდან საშუალოდ 131 მანეთი), მაშინ, როცა ერთი ბიბლიოთეკის შენახვა გამგეობას 112 მანეთი უჯდებოდა. მკითხველთა რაოდენობა ერთ ბიბლიოთეკაში დღეში საშუალოდ 7 კაცზე მეტი მოდიოდა, ხოლო ქუთაისის ბიბლიოთეკაში — 20-ზე მეტი.

განყოფილების წლიურ ანგარიშებში ხაზგასმითაა მითითებული, რომ სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილება განათლებისადმი სულ უფრო იზრდება და გამგეობა ვალდებულია ანგარიში გაუწიოს ამ ფაქტს: — „ხალხს უნდა კითხვა, უნდა ქვეყნის ავ-კარგის გაგება და ჩვენს მოვალეობას შეადგენს დავაკმაყოფილოთ სოფლის ეს კულტურული მოთხოვნილება“ — აღნიშნულია 1911 წლის ანგარიშში.[2] გამგეობა ფიქრობდა, რომ, 1914 წლის დამლევამდე ბიბლიოთეკების რიცხვი 30-მდე გაეზარდა (მთავრობისაგან ნებართვა უკვე მიღებულიც ჰქონდა), მაგრამ ომის შედეგად შექმნილი მძიმე პირობების გამო ეს გეგმა ვერ განხორციელდა.

1913 წლის 14 ნოემბერს ადგილობრივმა გამგეობამ ქუთაისში გახსნა საკუთარი სტამბა, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოების დიდი ხნის ოცნებას წარმოადგენდა. საზოგადოებამ თბილისში სტამბის გახსნა დიდი ხნის მანძილზე ვერ მოახერხა, რაც ხელს უშლიდა

---

[1] ცსსა, ფონდი 481, საქ. 1071, ფურ. 5.

[2] იქვე, ფურ. 38-39. ქუთაისის განყოფილების ანგარიში, 1911 წ.

მის საგამომცემლო საქმიანობას. ქუთაისის განყოფილებამ სტამბის მოწყობაზე 5840 მანეთი გამოყო და ამ საქმის გაძღოლა სილ. ხუნდაძესა და გ. დოლაბერიძეს დააკისრა. ძმები იოსებ და სიმონ ოცხელების ხელმძღვანელობით ქუთაისში დაარსდა გამომცემლობები: „განათლება" და „სკოლა"; მათი მიზანი იყო სახელმძღვანელოების ბეჭდვა და გავრცელება.

ქუთაისის ფილიალი ყოველთვის მხარში ედგა ცენტრალურ გამგეობას და აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოების ყველა ღონისძიებაში. ქუთაისში ხშირად ტარდებოდა გამოჩენილ მოღვაწეთა იუბილეები და ხსოვნის საღამოები, იმართებოდა წარმოდგენები, ლექცია-მოხსენებები, სახალხო სეირნობები და სხვ.

1914-1915 წლებში ქუთაისის განყოფილების გამგეობაში შედიოდნენ: გიორგი ზდანოვიჩი (თავმჯდომარე), იოსებ ოცხელი (მოადგილე), მარიამ გველესიანისა, იასონ ბაქრაძე, მარიამ ვარდოსანიძე, ისიდორე კვიცარიძე, გრიგოლ გიორგაძე, სერგო რობაქიძე, ტრიფონ ჯაფარიძე, ბართლომე მოსეშვილი, ევტიხი ჩხატარაშვილი, სილოვან ხუნდაძე, სვიმონ ხეჩინოვი, გიორგი ტუსკია, რაჟდენ კანდელაკი, ილია ფირცხალაიშვილი და სხვ. საანგარიშო პერიოდში (1914-1915 წწ.) გამგეობას ჩაუტარებია 39 სხდომა. მათ შორის გ. ზდანოვიჩი დასწრებია 25-ს, დანარჩენს ვერ დასწრებია პეტროგრადში ყოფნის გამო.[1]

1917 წელს გ. ზდანოვიჩი (მაიაშვილი) გარდაიცვალა. მან მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა.

ბათუმის განყოფილება გაიხსნა 1909 წლის 22 თებერვალს ადგილობრივი ქართული სკოლის სამზრუნველო კომიტეტის ინიციატივით, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდების 25-ე მუხლისა და ადგილობრივ განყოფილებათა ინსტრუქციის საფუძველზე. განყოფილების მიზანს შეადგენდა სახალხო სკოლებისადმი დახმარება და ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნა ბათუმსა და ბათუმის ოლქში.[2]

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1071, ფურ. 66-68.

[2] იგივე ფონდი, საქ. 1070, ფურ. 11-17.

თავდაპირველად განყოფილების წევრად ჩაეწერა 39 კაცი. პირველ გამგეობაში არჩეულ იქნენ: გ. ჟურული (თავმჯდომარე), ნ. საბაშვილი, ექვთ. ბერძენიშვილი, ს. მდივანი, ალ. შატილოვი, ნ. ნაკაშიძე, ე. კრინიცკი და გრ. ელიავა.

1910 წლიდან გამგეობაში შევიდა ილია ფერაძე. 1909-1910 წლებში ბათუმის განყოფილებასთან ჩამოყალიბდა პედაგოგიური, ფინანსთა, საბიბლიოთეკო და თეატრალური სექციები, რაც მიუთითებდა განყოფილების საქმიანობის ფართო ხასიათზე. ამ დროისათვის საზოგადოების წევრთა რიცხვი შეადგენდა 161 კაცს[1], მაგრამ გამგეობის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების პრაქტიკული განხორციელება ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული. საერთო კრიზისისა და უსახსრობის გამო თვით ბათუმის ქართული სკოლაც დიდ გასაჭირში იყო ჩავარდნილი. წერა-კითხვის საზოგადოების საერთო კრებებზე არაერთხელ გამხდარა ცხარე მსჯელობის საგანი ბათუმის სკოლის შენახვის საკითხი. მთავარი გამგეობა ყოველთვის მხარს უჭერდა სკოლის შენარჩუნებას, რომელიც წარმოადგენდა ქართული კულტურის ერთადერთ კერას მთელ აჭარაში.

1911 წელს არჩეულ იქნა ახალი გამგეობა ე. კრინიცკის თავმჯდომარეობით. გამგეობაში შევიდნენ: ა. შატილოვი, კ. ჩიხლაძე (მდივანი), გ. ბერძენიშვილი (ხაზინადარი), პ. გიგინეიშვილი, გ. ელიავა, ი. მელია, გ. ნიკიტინი, ნ. საბაშვილი, ვ. რუხაძე და ი. ფერაძე.[2] 1913 წელს განყოფილების თავმჯდომარე გახდა გრ. ელიავა, რომელმაც მოახერხა ბათუმის სკოლის დავალიანების დაფარვა და სკოლის მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ დროისათვის ბათუმის სკოლაში სწავლობდა 147 მოსწავლე, მათ შორის 11 — მაჰმადიანი. საზოგადოების წევრთა რიცხვი 336-ს შეადგენდა, საწევრო შემოსავალი — 991 მანეთს. 1913 წელს ბათუმის სკოლის გამგეს ივლიანე გოგოლაშვილს ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობისათვის მთავარმა გამგეობამ ყოველწლიური პენსია (400 მანეთი) დაუნიშნა.

1914 წლისათვის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოე-

---

[1] ცსსა, ფონ. 481. საქ. 1070, ფურ. 61-17.

[2] იქვე, ფურ. 68.

ბის ბათუმის ფილიალის წევრთა რიცხვი 203-მდე შემცირდა. თურქეთთან ომის დაწყებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა აჭარის მოსახლეობა და ბათუმის ქართული სკოლის არსებობასაც საფრთხე დაემუქრა. 1914 წლისათვის ბათუმის სკოლაში (დაარსების დღიდან) 3272 მოსწავლე იღებდა განათლებას.[1]

ომის პერიოდში აჭარას დიდ დახმარებას უწევდა ქართული საქველმოქმედო საზოგადოება, რომელმაც შეძლო დაწყებითი სკოლების გახსნა აჭარის ზოგიერთ სკოლებში და მოსახლეობისათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენა. საქველმოქმედო საზოგადოების საქმიანობა აჭარაში ცალკე თავად გვაქვს განხილული.

სოხუმის განყოფილება გაიხსნა 1909 წელს მარიამ დადიანი-ანჩაბაძისა და ანთიმოზ ჯუღელის ინიციატივით. განყოფილება პრაქტიკულ საქმიანობას შეუდგა 1910 წლიდან.

მარიამ დადიანი-ანჩაბაძისა (1870-1959 წწ.) იყო სამეგრელოს მთავრის ნიკო დადიანის ასული და ცნობილი საზოგადო მოღვაწის, შალვა დადიანის და, რომელიც თავის მეუღლესთან — ტარას ანჩაბაძესთან ერთად სოხუმში ცხოვრობდა. მიუხედავად იმისა, რომ მარიამს მხოლოდ ვიწრო ოჯახური განათლება ჰქონდა მიღებული, იგი თავდადებით იღვწოდა ხალხში განათლების გავრცელებისათვის და სახელოვნად აგრძელებდა მის წინამორბედ ქართველ მანდილოსანთა ტრადიციებს. მარიამ დადიანი-ანჩაბაძისა კარგად ხედავდა, თუ როგორი ეჭვის თვალით უყურებდნენ ცარიზმის რუსიფიკატორი მოხელეები ქართველი ინტელიგენციის ეროვნულ საქმიანობას აფხაზეთში, ამიტომ იგი ყოველთვის ქართველი და აფხაზი ინტელიგენციის გვერდით იდგა და უდიდესი ძალისხმევით ემსახურებოდა ეროვნულ საქმეს, ეს იქნებოდა ქართული სამკითხველოს გახსნა, წარმოდგენების გამართვა, ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გავრცელება თუ სხვა რამ.

აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ განხორციელებულ ყველა კულ-

---

[1] ცსსა, ფონდ. 481, საქ. 1070, ფურ. 106-108.

ტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებას, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობაში განამტკიცებდა იმის შეგნებას, რომ საქართველო იყო მათი დედასამშობლო, ხოლო რუსეთი — მჩაგვრელი ძალა და რომ ძალმომრეობისაგან სამშობლოს დაცვა იყო მათი მთავარი საქმე. ამ მიზანს ემსახურებოდა სოხუმის განყოფილება მარიამ დადიანი-ანჩაბაძის ხელმძღვანელობით.

1910 წლის სექტემბერში მარიამ დადიანის დაუღალავი შრომის შედეგად სოხუმში გაიხსნა პირველი დაწყებითი ქართული სკოლა აფხაზეთში. სკოლის გამგე-მასწავლებლად მოიწვიეს მეორე მასწავლებელიც — ცაიშის დაწყებითი სკოლის ზედამხედველი, ცნობილი პოეტი ნოე ქურიძე (ზომლეთელი). ერთი წლის შემდეგ სკოლა სამგანყოფილებიანი გახდა და მესამე მასწავლებლად თამარ თაყაიშვილი დაინიშნა. ამ დროისათვის სამივე განყოფილებაში სწავლობდა 142 მოსწავლე; 1912 წლისათვის სკოლას შეემატა კიდევ 92 მოსწავლე.

1912 წელს, წერა-კითხვის საზოგადოების მთავარი გამგეობის დავალებით, სოხუმის ქართული სკოლა შეამოწმა სასკოლო სექციის თავმჯდომარემ ლუარსაბ ბოცვაძემ, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა როგორც პედაგოგების, ისე მოსწავლეთა მომზადების დონეს. ამ დროს სკოლას უკვე საკუთარი შენობაც ჰქონდა, რომლის აშენებას მარიამ დადიანმა ნიკო ჯანაშიასთან ერთად დიდი შრომა და ენერგია შეალია. სკოლის შენობაში (ახლანდელი სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი) მოთავსებული იყო წიგნსაცავი, სამკითხველო, სცენა, კლუბი და საკრებულო დარბაზი.

ამ სკოლის მნიშვნელობის შესახებ მარიამ დადიანი-ანჩაბაძისა 1912 წელს წერა-კითხვის საზოგადოების მთავარი გამგეობის მისამართით წერდა: — „სკოლა არის ყოველივე საძირკველზე უმაგრესი და ამიტომ ყოველი ქართველი კაცი უნდა ცდილობდეს ეს საძირკველი გაამკვიდროს. ისე არ არის არსად საქართველოს საზღვარი შესუსტებული, როგორც აქ, აფხაზეთში“-ო.[1]

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მესვეურებს კარ-

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 3035, ფურ. 66.

გად ესმოდათ, რომ მათი მზრუნველი ხელი საქართველოს იმ ადგილებში უფრო საჭირო იყო, სადაც ქართულ ენასა და კულტურას მეტი საფრთხე მოელოდა, მაგალითად აფხაზეთში, მაგრამ უსახსრობის გამო ხშირად იძულებული ხდებოდნენ სკოლაზე მზრუნველობა ადგილობრივი განყოფილებისათვის მიენდოთ. ამიტომაც იყო, რომ მარიამ დადიანს თითქმის საკუთარი ძალებით მოუხდა სოხუმის სკოლის შენობის დამთავრება 1911 წელს.

სოხუმის ქართული სკოლის „საძირკვლის გამკვიდრებას" ხელს უწყობდა ნიკო ჯანაშია, რომელიც 1918 წლამდე მუშაობდა ამ სკოლის გამგედ. როგორც მისი მეგობარი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია გადმოგვცემს, ნიკო ჯანაშიას ხელში სოხუმის „სკოლა გადაიქცა ისეთ კერად, რომლის გარშემო თავს იყრიდა ადგილობრივი ქართველობა".[1]

სოხუმში მასწავლებლობის დროს ნ. ჯანაშია თანამშრომლობდა ქართულ გაზეთებში „ჰამეთ-ბეის" ფსევდონიმით და იქაურ ამბებს აწვდიდა ქართველ საზოგადოებას. იგი ცდილობდა პრესის საშუალებით სააშკარაოზე გამოეტანა შავრაზმელთა უკულმართობანი.

ნ. ჯანაშიასა და მარიამ დადიანი-ანჩაბაძის გვერდით იდგნენ ცნობილი ქართველი და აფხაზი მოღვაწეები: გიორგი შარვაშიძე, გრიგოლ შარვაშიძე, პეტრე ჭარაია, ნიკო თავდგირიძე, თედო სახოკია, ანთიმოზ ჯუღელი, გრიგოლ დადიანი, დესპინე გელოვანისა, ნ. ემუხვარისა, პ. ანჩაბაძე, ლ. ალშიბაია, ა. ინალიფა, სპ. ნორაკიძე, ივ. გეგია და სხვები. მათი დაჟინებითი მოთხოვნით სოხუმის სამოქალაქო სასწავლებლებში შემოიღეს ქართული ენის სწავლება.

სოხუმის ინტელიგენცია დიდი კმაყოფილებით ხვდებოდა, როცა თბილისიდან და ქუთაისიდან ჩამოსული სათეატრო დასები სოხუმის სცენაზე მართავდნენ ქართულ წარმოდგენებს, ისინი დიდ თანაგრძნობას გამოხატავდნენ აგრეთვე გარდაცვლილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მიმართ და ფართოდ აღნიშნავდნენ მათ დამსახურებას ერის წინაშე.

---

[1] თედო სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, გვ. 215-216.

1912 წლის 23 ივნისს განყოფილების წლიურ კრებაზე დაისვა საკითხი საწევრო გადასახადის ერთ მანეთამდე შემცირების შესახებ (ს. ცხომელიძე, ბ. დგებუაძე, გ. წიკწიკაძე, გრ. მახარაძე და სხვ.), რათა მდაბიო ხალხს საშუალება მისცემოდა დაახლოებოდა ეროვნულ საქმეს; კრების მეორე ნაწილს (ტ. ანუა, ი. ლოლუა, ალ. ჩხიკვაძე და სხვ.) ამ საკითხის აღძვრა მთავარი გამგეობის წინაშე ჯერ ნაადრევად ეჩვენებოდა. კრებამ 33 ხმით 6-ის წინააღმდეგ შეუძლებლად ცნო იმჯერად საწევრო გადასახადის შემცირება.

1912 წლისათვის სოხუმის განყოფილებაში ირიცხებოდა 200-მდე წევრი, 1913 წელს მათი რიცხვი 355-მდე გაიზარდა.

საზოგადოების საპატიო წევრებად ითვლებოდნენ: ბახვა გაბუნია (განყოფილებას შესწირა 40 ქცევა მიწა სოფელ ათარაში), ილარიონ მაღლაკელიძე (შემოსწირა 600 მანეთი) და არჩილ იოსელიანი (შემოსწირა 441 მანეთი); განყოფილების გამგეობის შემადგენლობაში შედიოდნენ: მარიამ ანჩაბაძისა (თავმჯდომარე), ელენე გაბუნიასი (თანაშემწე), ნ. ჯანაშია (მდივანი), ოლღა გოგრიჩიძისა (ხაზინადარი), ნინო თურქიასი, ალექსანდრე გრიგოლია, ანთიმოზ ჯუღელი, ნიკო თავდგირიძე და სხვ.[1]

1914 წლისათვის სოხუმის სკოლაში 160 მოსწავლე სწავლობდა (60 ქალი და 100 ვაჟი); სკოლა 4 განყოფილებისაგან შედგებოდა. აქ ასწავლიდნენ ისეთი გამოცდილი და დახელოვნებული პედაგოგები, როგორებიც იყვნენ: — თამარ თაყაიშვილი, ნოე ქურიძე და ნიკო ჯანაშია (სკოლის გამგე). ამ წელს სკოლა შეამოწმა წერა-კითხვის საზოგადოების სკოლების მეთვალყურემ გრ. ბურჭულაძემ და სწავლის შედეგებით კმაყოფილი დარჩა.

სკოლა მოთავსებული იყო საკუთარ შენობაში, რომელიც ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. მთავარი გამგეობისადმი წარდგენილ მოხსენებაში გრ. ბურჭულაძე აღნიშნავს: „სოხუმის განყოფილების გამგეობის მოქმედება იმდენად ნაყოფიერი და სიმპათიურია, რომ მე დარწმუნებული ვარ, მთავარი გამგეობა დახ-

---

[1] სოხუმის განყოფილების მოქმედების 1913 წლის ანგარიში, ჟურნ. „განათლების“ დამატება; 1913 წ., № 4, გვ. 51.

მარებას არ მოაკლებს მას და მისცემს სესხად საჭირო ფულს“-ო.[1]

სოხუმის განყოფილების საქმიანობამ იმდენად დიდი ავტორიტეტი მოუპოვა წერა-კითხვის საზოგადოებას, რომ მალე ახალი განყოფილებები გაიხსნა ოჩამჩირესა და გუდაუთშიც და, ამრიგად, თითქმის მთელი სოხუმის ოლქის ქართველი და აფხაზი ინტელიგენციის დიდი ნაწილი ჩაება ეროვნულ-კულტურულ საქმიანობაში.

გუდაუთის განყოფილებამ მოქმედება დაიწყო 1911 წლის 20 დეკემბრიდან დიმიტრი ნადარეიშვილის ინიციატივით. ამ დროისათვის გუდაუთაში იყო მხოლოდ ერთი სამონასტრო დაწყებითი სკოლა, ერთი — სამრევლო და ერთიც — კერძო პროგიმნაზია, არც ერთგან არ ისწავლებოდა ქართული ენა. 1912 წელს განყოფილების გამგეობამ (ვარლამ და ეროდიონ მასხულიები, იასონ გვაზავა, ნადეჟდა გიგაური, კირილე პაჭკორია, გ. ზენაიშვილი) შეძლო ერთგანყოფილებიანი ქართული სკოლის გახსნა გუდაუთაში, რასაც იმ დროისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

1913 წლისათვის განყოფილებაში ირიცხებოდა 86 წევრი, 1914 წელს — 101. 1916 წლიდან გამგეობის შემადგენლობა შეიცვალა, განყოფილების თავმჯდომარე გახდა მარიამ საბაშვილი, მდივანი — ალექსანდრე ზაქარაშვილი, ხაზინადარი — იასონ გიგიბერია; გამგეობის წევრებად ითვლებოდნენ: გ. ჩაჩავასი, ი. მასხულია, შ. ჩხიკვაძისა და კ. ბალავაძე. ამ წელს გამგეობას ჩაუტარებია 11 სხდომა და გაურჩევია 5 საქმე.[2] გუდაუთის განყოფილება 1918 წლამდე არსებობდა, მაშინ, როცა სხვა, უფრო ძლიერი განყოფილებები დაიხურა.

ახალი სენაკის განყოფილება გაიხსნა 1909 წელს. დამფუძნებელმა წევრებმა განყოფილების თავმჯდომარედ თავდაპირველად ლუკა ჟვანია აირჩიეს, მდივნად — პოლიკარპე ლორთქიფანიძე, სენაკის სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებელი. ამ წლის გამგეობის საანგარიშო მოხსენებაში ვკითხულობთ: — „ჩვენი უმთავრესი მიზანია ფართო მასების თვითშემეცნების ამაღლება. საკვირაო

---

[1] სოხუმის განყოფილების მოქმედების 1913 წლის ანგარიში, ჟურნ. „ვანათლების“ დამატება; 1913 წ., № 4, გვ. 51.

[2] ცსსა, ფონ. 481, საქ. 3035, ფურ. 66.

სკოლების, სახალხო სკოლების, სახალხო ბიბლიოთეკების მოწყობა, იაფფასიანი სახალხო წარმოდგენების მართვა, ღარიბ მოსწავლეთა დახმარება".[1]

1910 წლიდან სენაკის განყოფილებას სათავეში ჩაუდგა პედაგოგი ოლღა ხოფერია. მისი ინიციატივით ახალ სენაკში გაიხსნა უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სადაც ათასზე მეტი დასახელების ქართული და რუსული წიგნი შეგროვდა. ცნობილი მოღვაწის სპ. ნორაკიძის ქვრივს ბიბლიოთეკისათვის 424 წიგნი შეუწირავს. 1911 წლისათვის სენაკის განყოფილებას უკვე ოთხი ბიბლიოთეკა ჰქონდა გახსნილი: სენაკში, აბაშაში, ნოსირში და ონტოფოში. შემდეგში ბიბლიოთეკები გაიხსნა სოფელ სეფიეთში, აბედათში და ნოქალაქევში. განყოფილებამ უსახსრობის გამო საკვირაო სკოლების გახსნა ვერ შეძლო. ამის მიზეზად განყოფილების ანგარიშებში უსახსრობის გარდა მითითებულია, რომ კვირა დღეებში სენაკის მოსახლეობა უფრო ვაჭრობითაა დაკავებულიო.[2]

1913 წლისათვის სენაკის განყოფილებაში ითვლებოდა 200-მდე წევრი, მაგრამ მათ შორის რამოდენიმე თუ იხდიდა საწევროს, რაც მძიმე მდგომარეობაში აყენებდა განყოფილებას. ამასთან დაკავშირებით ამ წლის ანგარიშში აღნიშნულია: — „საზოგადოების წესდების მუხლი წევრობის შესახებ სენაკის განყოფილების გამგეობას უხერხულ მდგომარეობაში აყენებს; თანახმად ამ მუხლისა, ერთხელ მიღებულ წევრს შეუძლია ითვლებოდეს წევრად ამა თუ იმ წელს, თუ იგი გამოტოვებული წლების გადაუხდელ საწევრო ფულსაც შემოიტანს. ეს პირობა სამძიმო ხდება და წევრობაზეც ხელს იღებს ბევრი".[3]

როგორც წლიური ანგარიშებიდან ჩანს, 1909-1914 წლებში დაბა ახალ სენაკში განყოფილებას მოუწყვია სახალხო სეირნობები, წარმოდგენები, საჯარო ლექციები, ლიტერატურული საღამოები და სხვ. გარდა ამისა, სენაკის გამგეობა წიგნებითა და სასწავლო ნივთებით ეხმარებოდა სენაკის სათავადაზნაურო სკოლას, სამინის-

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1076, ფურ. 36.
[2] იქვე, ფურ. 76-77.
[3] იქვე, ფურ. 78.

ტროს ქალთა სასწავლებელს, სენაკის პროგიმნაზიას, სოფელ კოტიანეთის სამრევლო სკოლას, ნოსირის ბიბლიოთეკას და ძველი სენაკის ქალთა სასოფლო სკოლას. განყოფილების მომავალი გეგმების განხორციელებას ხელი შეუშალა ჯერ პირველმა მსოფლიო ომმა, შემდეგ 1917 წლის რევოლუციებმა.

კავკავის განყოფილება გაიხსნა 1909 წლის 4 აპრილს. ამ დროისათვის კავკავში მოქმედებდა წერა-კითხვის საზოგადოების ქართული სკოლა (დაარსდა 1888 წელს), ქალთა პროფესიული სასწავლებელი და ქართული ეკლესია, რომელიც სკოლის შენობასთან იყო მოთავსებული.

კავკავის განყოფილების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ი. შვილევი, მდივნად — მღვდელი გ. ნათაძე, ხაზინადარად — ზ. კიკნაძე; მათთან ერთად გამგეობაში შევიდნენ ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები: ი. ლორთქიფანიძე, მ. კალანდარიშვილი, ტ. კახიძე, გ. ბურდული, თ. სარაჯიშვილი, ა. გედევანიშვილი, ზ. მჭედლიშვილი და ი. ელერდაშვილი.[1]

1911 წლისათვის კავკავის საზოგადოება აერთიანებდა 205 წევრს. გამგეობის მთავარ საზრუნავს შეადგენდა საზოგადოების სკოლების საკითხი. ამ წელს კავკავის ქართული სკოლის გამგედ წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დანიშნა ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ვარლამ ბურჯანაძე, რომელიც ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1913 წლამდე. იგი ასწავლიდა პირველ განყოფილებაში ქართულ ენასა და ლიტერატურას; მასთან ერთად კავკავის სკოლაში ასწავლიდნენ: გრ. რაზმაძე, გრ. გორდელაძე, ნატ. იოსელიანი, ტ. შუბლაძე და მღვდელი გ. ნათაძე.

მეტად ნაყოფიერი იყო კავკავის სკოლისათვის ის წლები, როდესაც მის გამგედ ვარლამ ბურჯანაძე მუშაობდა (1911-1913 წწ.) იგი დიდ ყურადღებას უთმობდა სასწავლო პროგრამებს, განსაკუთრებით ქართული ენის სწავლების საკითხებს და ყოველთვის ცდილობდა კავკაველ მოსწავლეებში გაეღვივებინა ინტერესი ქართული მწერლობისა და ხელოვნებისადმი, საქართველოს ისტორიული წარ-

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1493, ფურ. 17-23.

სულისადმი, ამაზე მეტყველებს მის მიერ წაკითხული მოხსენებები: „ილია ჭავჭავაძე როგორც ბელეტრისტი“, „ალექსი მესხიშვილი“, „ქართლის სიმღერები“ და სხვა, რომლებიც 1912 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „განათლებაში“. ვ. ბურჯანაძე დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა კავკავის ქართველ მოსახლეობაში. იგი მათ წინაშე ხშირად გამოდიოდა საინტერესო საუბრებით, მართავდა წარმოდგენებს და ლიტერატურულ საღამოებს. მისი ინიციატივით დაიდგა დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“, ა. ცაგარელის „ორი ობოლი“, ვ. შიუკაშვილის „მეგობრობა“ და სხვ. წარმოდგენებში მონაწილეობდნენ კავკავის სკოლის პედაგოგები და სცენისმოყვარენი.

1912 წელს იაკობ გოგებაშვილისა და ცნობილი მეცნიერის ალექსნადრე ხახანაშვილის გარდაცვალება მწარედ განიცადა კავკავის ქართველობამ. ვ. ბურჯანაძემ გულთბილი სიტყვებით დაახასიათა ი. გოგებაშვილის ღვაწლი ქართველი ერის წინაშე მისი ხსოვნის საპატივსაცემოდ გამართულ კრებაზე. იმავე წელს მან ვრცელი სტატია დაბეჭდა ლ. ბოცვაძის კრებულში („იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად“). კრებულის მთელი შემოსავალი გადაეცა ი. გოგებაშვილის მიერ დაარსებულ სახალხო განათლების ფონდს.

კავკავის განყოფილების გამგეობა მთელი შემადგენლობით ბესლანის სადგურზე გვირგვინებით შეეგება გამოჩენილი ქართველოლოგისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ხახანაშვილის ცხედარს, რომელსაც მოსკოვიდან მოასვენებდნენ. გამგეობის თავმჯდომარე შვილევმა კუბოს ძვირფასი საფენელი გადააფარა. ასე გამოხატა კავკავის ქართველმა საზოგადოებამ თავისი პატივისცემა ღვაწლმოსილი მამულიშვილისადმი.

გიორგი ნათაძე (1870-1946 წწ.) ჯერ კიდევ 1898 წელს წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ დანიშნა კავკავის სკოლაში საღვთო სჯულის მასწავლებლად და ეკლესიის მოძღვრად. აქედან დაწყებული, მთელი 35 წლის მანძილზე, გ. ნათაძემ თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები კავკავის ქართველი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს შეალია. იგი იყო არა მხოლოდ პედაგოგი და მოძღვარი, არამედ კავკავის ქართული მოსახლეობის დიდი გულშე-

მატკივარი, რისთვისაც მან ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

1909 წელს გ. ნათაძე აირჩიეს კავკავის განყოფილების მდივნად. იგი ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1913 წლამდე. ამის გამო მჭიდროდ იყო დაკავშირებული წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრებთან, ჰქონდა მათთან საქმიანი მიწერ-მოწერა განყოფილებისა და სკოლის მუშაობის შესახებ. გ. ნათაძე დიდი ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობდა მთავარ გამგეობაში.

გ. ნათაძესთან ხშირად თავს იყრიდა კავკავის ინტელიგენცია: იასონ ლორთქიფანიძე, მოსე კალანდარიშვილი, იასონ მოზდოკელოვი, იოსებ შვილევი და სხვ. მისი თაოსნობით კავკავში შედგა სცენისმოყვარეთა წრე, რომელშიც შედიოდნენ: ილო ანდრონიკაშვილი, არჩილ ავალიშვილი, ნიკო კურდღელაშვილი, მოსე თხელიძე და სხვ. მათი მონაწილეობით ხშირად იმართებოდა საღამო-წარმოდგენები. მთელ შემოსავალს გ. ნათაძე სტიპენდიებისა და დახმარებების სახით უგზავნიდა ახალგაზრდა ნიჭიერ და ხელმოკლე ქართველ ახალგაზრდებს.[1]

1912-1913 წლებში კავკავის ქართულ სკოლაში სწავლობდა 190 მოსწავლე, მათ შორის 67 ქალი. განყოფილებას გახსნილი ჰქონდა ქალთა პროფესიული სკოლა, სადაც ჭრა-კერვასა და სხვადასხვა ხელსაქმეს 100-მდე ქალი ეუფლებოდა. მასწავლებლად თბილისიდან მოწვეული იყო სოფიო ჩიტაძე. სკოლას განაგებდა ქალთა წრე სოფიო კალანდარიშვილის თავმჯდომარეობით. 1912 წელს კავკავის სკოლა დაათვალიერეს სახალხო სკოლების დირექტორმა ბელიაევმა და ინსპექტორმა სოროკინმა. მათ მოითხოვეს სკოლაში 1881 წლის სასწავლო გეგმის მიხედვით ყოფილიყო სწავლა, მაგრამ სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა ვარლამ ბურჯანაძის თაოსნობით და ადგილობრივი განყოფილების ხელმძღვანელობამ ამაზე მტკიცე უარი განაცხადეს. კავკავის სკოლაში სწავლა კვლავ ქართულ ენაზე დარჩა. 1913 წლისათვის კავკავის ქართული

---

[1] სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრებული მესამე, თბ., 1968 წ., გვ. 194-195.

სკოლის მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. ამასთან დაკავშირებით განყოფილების გამგეობამ თხოვნით მიმართა მთავარ გამგეობას დახმარების შესახებ: — „ამ წლის იანვრიდან დაწყებული მასწავლებლების ჯამაგირისათვის ფულს ვსესხულობთ და ისე ვაკმაყოფილებთ. დღეს კი სასესხებელიც ვეღარ გვიშოვია. მასწავლებლებს მარიამობისათვის ჯამაგირი ჯერაც არ მიუღიათ. თუ სადმე რაიმე საშუალება არ აღმოვაჩინეთ, სკოლა 1913 წლის 20 ოქტომბერს უნდა დაიხუროს"[1] — ჩიოდა გამგეობა. ჩატარდა კავკავის განყოფილების წევრთა საერთო კრება. კრების დადგენილებით განყოფილება დაიყო სასკოლო, საეკლესიო, სათეატრო და სამეურნეო სექციებად. გამგეობის ახალ თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ალექსანდრე დუმბაძე, რომელიც იყო რუსეთ-აზიის ბანკის ადგილობრივი განყოფილების მმართველი. ამ კრებაზე კავკავის ფილიალის მდივნად აირჩიეს ქართული სკოლის გამგე ვარლამ ბურჯანაძე, რომელსაც დიდხანს აღარ დასცალდა ახალ თანამდებობაზე მუშაობა; 1913 წლის ბოლოს იგი გადავიდა ბაქოში ნავთის მრეწველთა სკოლის გამგედ; 1914 წელს წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ ვ. ბურჯანაძე გადმოიყვანა თბილისში და საზოგადოების მდივნად აირჩია.

1915 წლისათვის კავკავის საზოგადოების წევრთა რიცხვი 247-ს შეადგენდა. საპატიო წევრებად არჩეულ იყვნენ ცნობილი ქველმოქმედები ეკატერინე სარაჯიშვილი და სტეფანე ელიაძე. 1916 წელს, ეკ. სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ, კავკავის განყოფილებამ, მისი ანდერძის თანახმად, 30 ათასი მანეთი მიიღო ღარიბი მოსწავლეების (განურჩევლად ეროვნებისა) დასახმარებლად.

1915 წლის სექტემბერში, კავკავის ადგილობრივი განყოფილების შემოწმების მიზნით, იქ ჩავიდა წერა-კითხვის საზოგადოების მთავარი გამგეობის წევრი გ. ლასხიშვილი. იგი დასწრებია გაკვეთილებს კავკავის ქართული სკოლის ოთხივე განყოფილებაში. იმ დროისათვის სკოლაში უსწავლია 188 მოსწავლეს. შემოწმების შედეგებთან დაკავშირებით მთავარ გამგეობისადმი წარდგენილ მოხსენებაში

[1] ცსსა, ფონდ. 481, საქ. 1075, ფურ. 36.

გ. ლასხიშვილი აღნიშნავს: — „ყველა განყოფილებაში სწავლის საქმე რიგიანადაა დაყენებული, რაც უნდა მიეწეროს მასწავლებლების თანხმობით მუშაობას. გაკვეთილების მოსმენის შემდეგ გავმართეთ თათბირი, რომელზედაც მივეცით მასწავლებლებს ზოგიერთი შენიშვნები მოსმენილი გაკვეთილების შესახებ.

— დავათვალიერეთ აგრეთვე ქალთა პროფესიონალური სკოლა, რომელიც ოფიციალურად შეადგენს არსებული სკოლის განყოფილებას. ფაქტიურად სკოლაში სწავლის საქმეს აწარმოებს ქალთა წრე, სკოლაში ასწავლიან ხელ-საქმეს და ჭრა-კერვას. სკოლის საქმე კარგადაა დაყენებული".[1]

ამ დროისათვის კავკავის განყოფილებაში მოქმედებდა ახალი გამგეობა, რომლის თავმჯდომარედ არჩეული იყო ზ. კიკნაძე, ქალაქის თვითმმართველობის ყოფილი ხმოსანი (გროზნოს ქარხნის მეპატრონე), მდივნად — ვ. ქუმსიაშვილი, ნაფიცი ვექილის თანაშემწე; გამგეობაში შედიოდნენ: გრ. ბურდული, დ. ერქომაიშვილი, დ. ცისკარაული, გ. ნათაძე, ზ. მჭედლიშვილი, ი. მთავრელოვი და ჭილაევი.

1917 წლისათვის კავკავის ქართული სკოლა, სხვა სკოლებთან შედარებით, უკეთეს მდგომარეობაში იყო — ჰქონდა კარგად მოწყობილი საკუთარი შენობა და მასწავლებლებიც მატერიალურად უფრო უზრუნველყოფილი იყვნენ.

ბაქოს განყოფილება წარმოადგენდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველ ფილიალს. 1909 წლის 1 თებერვალს დამფუძნებელთა კრებამ რაჟდენ ნაცვლიშვილის თავმჯდომარეობით სურვილი გამოთქვა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს ადგილობრივი განყოფილების დაარსების შესახებ და ამ მიზნით აირჩია გამგეობა ცნობილი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, მიხეილ თაქთაქიშვილის თაოსნობით.

მიხეილ თაქთაქიშვილი (1872-1954 წწ.) დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ბაქოში; 1906 წლიდან ხელმძღ-

---

[1] ცსსა, ფონდ. 481, საქ. 1493, ფურ. 17-23.

ვანელობდა ბაქოს კომერციულ სასწავლებელს და 11 წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა ადგილობრივი ახალგაზრდების აღზრდის საქმეს.

1909 წლის 3 მაისს მიხ. თაქთაქიშვილმა მოიწვია განყოფილების წევრთა საერთო კრება. წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარემ გიორგი ყაზბეგმა გამგეობის სახელით დეპეშით მიულოცა მიხ. თაქთაქიშვილს ადგილობრივი განყოფილების გახსნა: „გამგეობის წევრები გულმხურვალედ მიესალმებიან თავიანთი საზოგადოების პირველი განყოფილების გახსნას ბაქოში" — აღნიშნული იყო დეპეშაში.[1]

ამ დროისთვის ბაქოში ცხოვრობდა 4 ათას ქართველზე მეტი,[2], რომლებიც კომპაქტურად იყვნენ დასახლებული ერთ რაიონში („ბაქოს ქართული კოლონია"). განყოფილების მიზანს შეადგენდა ერთმანეთთან დაეკავშირებინა ბაქოს ქართველობა, ხელი შეეწყო მათი კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის და, რაც მთავარია, შეენარჩუნებინა მშობლიური ენა და ეროვნული ცნობიერება, რომელსაც ადგილობრივი ქართველობა თანდათანობით ივიწყებდა. ამ მიზნით განყოფილებას უნდა გაეხსნა ქართული სკოლა, უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, საკვირაო სკოლა, მოეწყო ლექციები საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის მნიშვნელოვან საკითხებზე, შეექმნა მგალობელთა გუნდი და სხვ.

პირველივე წელს განყოფილების გამგეობასთან ჩამოყალიბდა სასკოლო, სათეატრო, სამეურნეო, სამშენებლო და მგალობელთა გუნდის მომწყობი სექციები. მათ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ გამგეობის წევრები: სვ. კვიტაიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), პლ. გელოვანი (მდივანი), რაჟ. ნაცვლიშვილი, ლ. ახობაძე, იოს. დადიანი, დ. თედეშვილი, ვას. ახვლედიანი, იაკ. მანსვეტაშვილი და სხვ.[3]

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1073, ფურ. 21.

[2] მ. გიულმამედოვი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და აზერბაიჯანის ქართველობა, თბ., 1985 წ., გვ 23.

[3] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1073, ფურ. 21.

1909 წლის 4 ოქტომბერს გამგეობამ გახსნა პირველი ქართული დაწყებითი სკოლა ბაქოში, რაც დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა იქაურ ქართველთა ცხოვრებაში. სასწავლო პროგრამის მიხედვით ბაქოს ქართული სკოლა იმით განსხვავდებოდა წერა-კითხვის საზოგადოების სკოლებისაგან, რომ აქ რუსულ ენას ქართულთან ერთად ასწავლიდნენ პირველი წლიდანვე; სასწავლო საგნებს შორის მთავარი ადგილი ქართულ ენას ეთმობოდა. სკოლის გამგედ დაინიშნა ცნობილი პედაგოგი მ. რამიშვილი, რომელიც I განყოფილებაში ასწავლიდა; II განყოფილებაში ასწავლიდა ნ. გამრეკელი, საღვთო სჯულს — მღვდელი ხიდაშელი. 1911-1912 წლებში სკოლა უკვე 4 განყოფილებისაგან შედგებოდა.

ბაქოს ქართულ სკოლაში ძირითადად დაბალი ფენების შვილები სწავლობდნენ. აღნიშნულ პერიოდში 82 მოსწავლიდან 58 ღარიბი იყო, თავადაზნაურთა შვილები შეადგენდნენ 22,5%-ს, ვაჭრების — 6%-ს, სამღვდელოების — 0,4%-ს.[1]

სკოლასთან არსებობდა ბიბლიოთეკა. 1910-1911 წლებში მისი წიგნადი ფონდი 446 ერთეულს მოიცავდა; 1913 წლისათვის იგი 1455-მდე გაიზარდა. წიგნების ნახევარზე მეტი ქართული იყო. ამ დროისათვის სკოლაში სწავლობდა 74 მოსწავლე. ამ წლის გამგეობის ანგარიშში აღნიშნულია შემდეგი: — „ქართულმა სკოლამ სავსებით გაამართლა ის იმედები, რომელსაც ამყარებდნენ მასზე სკოლის დამაარსებელნი. სკოლის ხუთი წლის არსებობამ დაგვიმტკიცა, რომ იგი უსაჭიროეს საგანს შეადგენს ბაქოელ ქართველთათვის, განსაკუთრებით კი ჩვენი ხალხის ხელმოკლე ნაწილისათვის... ქართული სკოლა სწორედ ის კულტურული ცენტრია, რომლის გარშემო იკრიბება ბაქოელი ქართველობა, სადაც აღიძვრის და სწყდება ხოლმე ყოველივე საზოგადოებრივი ხასიათის საკითხი“.[2]

1911 წლიდან ბაქოს განყოფილებას სათავეში ჩაუდგა ი. დადიანი (მ. თაქთაქიშვილმა თავმჯდომარეობაზე უარი განაცხადა ავადმყოფობის გამო), მის მოადგილედ არჩეულ იქნა სვ. კვიტაიშვილი; ახალი

---

[1] მ. გიულმამედოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 38.

[2] ჟურნ. „განათლების“ დამატება, ცნობები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა, 1913 წ., № 6, გვ. 82.

გამგეობის შემადგენლობაში შევიდნენ: პ. გელოვანი, მ. ნასიძე, რ. ნაცვლიშვილი, მ. კალანდარიშვილი, კ. ლორთქიფანიძე და სხვ.

1913 წელს საზოგადოების საპატიო წევრებად აირჩიეს იაკობ მანსვეტაშვილი და ლიზა ხანუმ მუხტაროვა. ი. მანსვეტაშვილმა სოლიდური თანხა (20 ათასი მანეთი) შესწირა განყოფილებას სკოლის შენობის დასამთავრებლად.

ლიზა ხანუმ მუხტაროვა თავის მეუღლე მურთუზ მუხტაროვთან ერთად 1912 წლიდან ითვლებოდა ბაქოს განყოფილების მუდმივ წევრად (ერთდროულად შეიტანა 100 მანეთი). მათი სახლის კარი ყოველთვის ღია იყო იმათთვის, ვინც ქართული კულტურის საქმეს ემსახურებოდა; მუხტაროვები აქტიურად მონაწილეობდნენ ყველა იმ კულტურულ ღონისძიებაში, რომელსაც განყოფილება ახორციელებდა.[1]

1909 წლიდან განყოფილებასთან ჩამოყალიბდა მუდმივი სათეატრო დასი, რომელშიც შევიდნენ მსახიობები: ეფემია მესხი, ნინო გამრეკელი, ანა ნადირაძე, გ. მატარაძე, მ. ამაშუკელი და სხვ. უმთავრესად იდგმებოდა ქართული წარმოდგენები („პატარა კახი", „თამარ ცბიერი", „სიძე-სიმამრი" და სხვ.). 1909-1910 წლებში გაუმართავთ 4 წარმოდგენა, დასწრებია 1700-ზე მეტი მაყურებელი. 1910 წელს ჩამოყალიბდა ქართველ მგალობელთა გუნდიც 30 კაცის შემადგენლობით, რომელიც სისტემატურად მონაწილეობდა ქართულ წარმოდგენა-საღამოებში.

ბაქოელი ქართველები ყოველთვის ეხმაურებოდნენ იმ მნიშვნელოვან კულტურულ ღონისძიებებს, რომელსაც ქართული თვითმოქმედი საზოგადოებები ახორციელებდნენ. მაგალითად, 1907 წელს ზეიმით აღნიშნეს ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 70 წლისთავი, 1908 წელს — აკაკის იუბილე, 1911წელს — ეკ. გაბაშვილის მოღვაწეობის 40 წლის იუბილე, 1913 წელს — ვლ. ალექსი-მესხიშვილის საიუბილეო საღამო და სხვ., ბაქოს ქართველობა ასევე დიდ მწუხარებას გამოხატავდა ქართველ მწერალთა და მოღ-

---

[1] ჟურნ. „განათლების" დამატება, ცნობები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა, 1913 წ., № 6, გვ. 82.

ვაწეთა გარდაცვალების გამო (ა. ცაგარელი, ეგ. ნინოშვილი, ა. ყაზბეგი, ნ. ღოღობერიძე, არჩ. ჯორჯაძე და სხვ.).

1913 წელს დრამატულმა სექციამ 29 წარმოდგენა გამართა, დაიდგა 35 პიესა, დაესწრო სულ 8200 მაყურებელი (თითო წარმოდგენაზე 382), რაც იმის მაჩვენებელია, რომ ქართული წარმოდგენები ადგილობრივი ქართველებისათვის სულიერ მოთხოვნილებად გადაიქცა. შემოსავალი შეადგენდა 6803 მანეთს.

1913 წლის ანგარიშში მითითებულია, რომ ამ დროისათვის ბაქოსა და მის რაიონში მცხოვრები ქართველები 6-7 ათას სულს არ აღემატებოდნენ — „ამ რიცხვით მცირე და ხელმოკლე ქართველობამ მოახერხა ერთი წლის განმავლობაში თეატრისათვის შვიდი ათასი მანეთის გაღება და შესაძლებელი გახდა ბაქოში სისტემატიური ქართული წარმოდგენების მართვა. მით უფრო გასახარელია ეს მოვლენა, რომ ბაქოში არიან სხვა ერნი, რიცხვით შვიდჯერ და რვაჯერ უფრო მეტნი ქართველობაზე და ამასთან ბევრად უფრო შეძლებულიც, მაგრამ მათ ჯერაც ვერ მოუხერხებიათ სისტემატიურ წარმოდგენების მართვა. ეს გარემოება ნათლად მიწმობს ბაქოელ ქართველობის დიდ სიყვარულზე ეროვნული თეატრისადმი".[1]

ამ პერიოდში წარმოდგენებში მონაწილეობდნენ დრამატული სექციის წევრები: ქ. ანდრონიკაშვილისა, გ. ბუდაგიშვილი, თ. გელოვანი, მ. იაქაშვილისა, ა. ლიახვისპირელი, ნ. ჩაგუნავა, ე. ქარუმიძისა, დ. აწყურელი, ბ. კანდელაკი და სხვ; რეჟისორებად მიწვეულ იყვნენ ვ. ამაშუკელი და ნ. გვარაძე.

1915 წელს ბაქოს ქართული სკოლა შეუმოწმებია წერა-კითხვის საზოგადოების მთავარი გამგეობის წევრს გ. ლასხიშვილს. ამის შესახებ გ. ლასხიშვილი გამგეობისადმი წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნავს: „... 12 ენკენისთვეს დავათვალიერე ქართული სკოლა. სკოლაში ოთხი განყოფილებაა. I განყოფილებაში 51 მოწაფეა, ასწავლის სკოლის გამგე მეთოდე კაკაბაძე, მეორეში — 35 მოწაფე, ასწავლის ქ-ნი მარიამ ჩიხლაძე, მესამეში — 23 მოსწავლე, ასწავ-

[1] ჟურნ. „განათლების" დამატება, ცნობები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა, 1913 წ., № 6, გვ. 88-89.

ლის ქ-ნი თამარ გელოვანი, მეოთხე განყოფილებაში – 16 მოსწავლე, ასწავლის ილია გოგია...

– გაკვეთილებს დავესწარით 1,2,3 და 4 განყოფილებაში. ჩვენთან ერთად იყო სასკოლო სექციის წევრი ბ-ნი კალანდარიშვილიც. მოწაფეებმა თითქმის ყველა სასწავლო საგნებში, განსაკუთრებით ქართულ ენაში და ქართულ ისტორიაში კარგი ცოდნა გამოიჩინეს. მასწავლებელთა შორის არსებობს სრული სოლიდარობა, ურთიერთთანხმობა, რაც ეჭვი არ უნდა, აორკეცებს საქმის ნაყოფიერებას".[1]

როგორც გ. ლასხიშვილის მოხსენებიდან ჩანს, ბაქოს განყოფილების საქმისწარმოება (შემოსავალ-გასავლის, ინვენტარის, ოქმის ჩანაწერები, საკვიტანციო წიგნაკები და სხვ.) კარგად ყოფილა დაყენებული. ამ წელს გამგეობას გაუმართავს 17 სხდომა. განზრახული ჰქონდათ ახალი ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნა ვაგზლისა და სამრეწველო რაიონებში, სადაც უმრავლესობას მუშები შეადგენდნენ. – „საზოგადოთ, ბაქოს განყოფილების გამგეობა ღირსია უღრმესი მადლობისა ერთგული და ნაყოფიერი მუშაობისათვის"[2] – აღნიშნავს გ. ლასხიშვილი.

ომის პერიოდში ბაქოს განყოფილებამ ქართულ სკოლასთან თავშესაფარი მოაწყო ომისაგან დაზარალებულ ქართველ მაჰმადიან ბავშვებისათვის. 1917 წლისათვის ბაქოს ქართული სკოლის მდგომარეობა სხვებთან შედარებით უკეთესად გამოიყურებოდა, რაშიც მთავარი დამსახურება ფილიალის ხელმძღვანელობას მიუძღოდა.

ფოთის განყოფილების დაარსების სურვილი ადგილობრივ ინტელიგენციაში 1909 წლიდან გაჩნდა. იონა მეუნარგიას თაოსნობით ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა შეკრიბა 37 წევრი, შეაგროვა 111 მანეთი საწევრო თანხა და შუამდგომლობა აღძრა წერა-კითხვის საზოგადოების მთავარი გამგეობის წინაშე. დამფუძნებელ წევრთა შორის იყვნენ: იონა მეუნარგია, ნიკოლოზ იაკოვლევი, კონსტანტინე გამყრელიძე, ვლადიმერ გაგუა, იოსებ კოხრეიძე, ლავრენტი წულაძე, მოსე კალანდარიშვილი, ანა მიქაბერიძისა და სხვ.[3]

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1493, ფურ. 17-23.

[2] იქვე, ფურ. 23.

[3] იგივე ფონდი, საქ. 1147, ფურ. 6-7.

1910 წლის 1 აპრილს იონა მეუნარგიამ მთავარი გამგეობისაგან მიიღო ნებართვა ფოთის განყოფილების გახსნის შესახებ. 27 მაისს ჩატარდა წევრთა საერთო კრება, რომელმაც თავმჯდომარედ იონა მეუნარგია აირჩია. ამ წელს ფოთის განყოფილების წევრად ჩაეწერა 73 კაცი, შემდეგში წევრთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1912 წლისათვის საზოგადოების შემოსავალი 542 მანეთს შეადგენდა.

1912 წლის 14 აპრილს განყოფილების საზოგადო კრებამ დაავალა გამგეობას შეედგინა თეატრის შენობის გეგმა და მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა. ამის თაობაზე გამგეობამ შეიტანა ქალაქის გამგეობაში თხოვნა თეატრის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ, რაც დადებითად გადაწყდა.

1912 წელს ფოთის განყოფილების მუშაობა შეამოწმა წერაკითხვის საზოგადოების გამგეობის წევრმა ლ. ბოცვაძემ, რომელმაც გამგეობას წარუდგინა ვრცელი მოხსენება ამ საკითხზე.

— „საზოგადოდ ფოთის განყოფილებას უსაქმურობა არ ეტყობა, — აღნიშნავს ლ. ბოცვაძე, — შეძლებისდაგვარად ცდილობენ საქმე გააკეთონ, რისთვისაც საჭიროა ზოგჯერ ერთმანეთის დათმობა და ხელშეწყობა იმ საქმეში, რასაც უმრავლესობა გადასწყვეტს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ფოთის განყოფილება უფრო მეტს უნარს გამოიჩენს საზოგადო საქმეში".[1]

იმავე წელს საერთო კრებამ დაადგინა საწევრო ფულის 2 მანეთამდე შემცირება, რამაც ხელი შეუწყო საზოგადოების წევრთა რიცხვის გაზრდას.

1912 წლის 28 აპრილს ი. ალექსიშვილის თაოსნობით ფოთში მიწვეულ იქნა ვაჟა-ფშაველა, რომელმაც ვასო აბაშიძესთან, კ. ყიფიანთან, ი. გრიშაშვილთან ერთად მონაწილეობა მიიღო ლიტერატურულ საღამოში. ფოთელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ვაჟას სტუმრობამ.

1913 წელს ნაბადაში, ფოთის მუშათა რაიონში, განყოფილებამ გახსნა დაწყებითი სკოლა 80 ბავშვისათვის. თავდაპირველად სკო-

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1147, ფურ. 39-40.

ლაში 29 მოსწავლე მიუღიათ. სკოლის მუშაობა შეუმოწმებია ცენტრალური გამგეობის სასკოლო სექციის თავმჯდომარეს გრ. ბურჭულაძეს და სწავლის მდგომარეობით კმაყოფილი დარჩენილა.[1]

ახალციხის განყოფილება წერა-კითხვის საზოგადოების მთავარი გამგეობის მიერ ოფიციალურად დაკანონდა 1913 წლის 23 ოქტომბრიდან, მაგრამ იგი მოქმედებდა უფრო ადრე, 1911 წლის 15 იანვრიდან. განყოფილება გაიხსნა ვ. გვარამაძისა და მ. კვალიაშვილის ინიციატივით. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დიმიტრი ხახუტაშვილი, გამგეობის წევრებად — ვ. გარდავაძე და პ. მეტრეველი.[2]

განყოფილებას მატერიალური დახმარება აღმოუჩინეს ახალციხის ქართველობამ, თბილისის თავადაზნაურობამ და ახალმა კლუბმა. ამ დროისათვის ახალციხეში და სოფელ უდეში წერა-კითხვის საზოგადოებას უკვე გახსნილი ჰქონდა სახალხო ბიბლიოთეკები, რომლებიც ამიერიდან მათი მზრუნველობის ქვეშ გადავიდნენ.

1914 წლისათვის ახალციხის განყოფილების შემოსავალი შეადგენდა 253 მანეთს (საწევრო გადასახადიდან — 111 მანეთი, განყოფილების მიერ ახალციხეში ჩატარებული ლიტერატურული საღამოებიდან — 142 მანეთი). ამ მცირე თანხით განყოფილებას არ შეეძლო ფართოდ გაეშალა მუშაობა. მარტო ახალციხის ბიბლიოთეკაზე ამ წელს დაიხარჯა 119 მანეთი, უდის ბიბლიოთეკა თითქმის არ მოქმედებდა. ამ პერიოდში გამგეობას ისევ დ. ხახუტაშვილი თავმჯდომარეობდა, მდივნად მუშაობდა ა. მეტრეველი. გამგეობას შეადგენდნენ: მოლა ასლან ჩომახიძე, ნინო ლაზარიშვილისა, ზაქ. დიდიმამიშვილი და სხვ. 1914 წელს საზოგადოების წევრთა რიცხვი 34 შეადგენდა. 1915 წლის აგვისტოდან ახალციხის განყოფილების საქმიანობას უკეთესობა დაეტყო — დაიწყო ზრუნვა სოფელ სვირში ქართული სკოლის გახსნაზე და სოფელ უდეს ბიბლიოთეკის აღდგენაზე; განზრახული ჰქონდათ კლუბებისა და უფასო სახალხო სამკითხველოების გახსნა უმთავრესად მაჰმადიან ქართველებში, მაგრამ

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1147, ფურ. 59.
[2] იგივე ფონდი, საქ. 1284, ფურ. 2.

ომისაგან გამოწვეული დაბრკოლებები დიდ შეფერხებას უქმნიდა განყოფილების მუშაობას.

ახალციხის განყოფილებამ სამწუხაროდ, მთავარი გამგეობის იმედები ვერ გაამართლა, თუმცა, კარგად ესმოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას აქაური მაჰმადიანი ქართველი მოსახლეობის ქართული ცნობიერებისაკენ შემობრუნებისათვის.

— „ახალციხის განყოფილება მეტად სუსტია ძალებით, — აღნიშნულია მთავარი გამგეობის ერთ-ერთ მოხსენებაში, — იქაურ ქართველთა ვიწრო წრეში არ მოიპოვებიან ისეთი პირნი, რომ მუშაობის სურვილთან ერთად მოცლა და ენერგია ჰქონდეთ და შესაფერი მომზადებაც...“[1].

1916 წელს ახალციხის ფილიალს გაუმართავს 2 ქართული წარმოდგენა; შემოსავალი ძლიერ შემცირდა (348 მან.) და 1917 წლისათვის ფილიალმა არსებობა შეწყვიტა.

ცხინვალის განყოფილება 1914 წელს ჩამოყალიბდა, თუმცა ცხინვალის ქართველი ინტელიგენციის ნაწილი 1908 წლიდან ირიცხებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრად. მათ შორის იყვნენ: გიორგი მაჩაბელი, ალექსანდრე მაჩაბელი, დიმიტრი დიასამიძე, დავით ჯავახიშვილი, ნიკოლოზ კეცხოველი, გიორგი ამილახვარი, ივანე ორჯონიკიძე, ილია მაჭავარიანი და სხვ. წერა-კითხვის საზოგადოების არქივში შემონახულია 50 კაცის სია, რომლებიც ძირითადად დაბა ცხინვალის (გორის მაზრა) მცხოვრებნი არიან.[2]

1910 წლის 1 მარტს ილია მაჭავარიანი წერა-კითხვის საზოგადოების მდივანს სამსონ ფირცხალავას სწერს:

— „ბატონო სამსონ!

გიგზავნით სიას, რომელთაც ისურვეს წევრობა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა. ყველანი კეთილსინდისიერნი არიან, ფული ზოგს აქვს შემოტანილი, ზოგიც მალე შემოიტანს. გთხოვთ,

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1284, ფურ. 2.

[2] იგივე ფონდი, საქ. 1072, ფურ. 2.

რომ მალე მიიღოთ ეს აღნიშნულნი პირნი წევრებად, რადგან მალე მოვახდენთ კრებას და გავხსნით განყოფილებას".[1]

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება ცხინვალში ვერ გაიხსნა 1914 წლამდე. ამ წლის 20 აგვისტოს გიორგი დავიდოვის ინიციატივით ცხინვალში ჩატარდა კრება, რომელსაც 30 კაცი ესწრებოდა; ისინი ჩაეწერნენ წერა-კითხვის საზოგადოების ნამდვილ წევრებად და გამოთქვეს სურვილი ადგილობრივი განყოფილების გახსნის შესახებ. კრებამ დროებით თავმჯდომარედ იასონ ხიმშიაშვილი აირჩია.

იმავე წლის 17 ნოემბერს ცხინვალის განყოფილების საზოგადო კრებამ თავმჯდომარედ აირჩია გიორგი დავითაშვილი, გამგეობაში შეავიდნენ: იროდიონ ოქროპირიძე, იასონ ხიმშიაშვილი, გიორგი ღვთისავრიშვილი, არჩილ დედანაშვილი და იოსებ გოგინაშვილი; სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში აირჩიეს: ივანე ორჯონიკიძე, ლავრენტი ჯობავა და ნიკოლოზ ჭანიშვილი.[2]

1915 წლისათვის განყოფილების გამგეობას შემოუვიდა საწევრო შემოსავალი 900 მანეთის რაოდენობით; შემოსავალი გამგეობის მიერ მოწყობილ საღამო-კონცერტებიდან 200 მანეთს აღემატებოდა; იყო სხვადასხვა შემოწირულობანი, სულ შემოსავალი შეადგენდა 320 მანეთს. ეს, რა თქმა უნდა, მცირე სახსრები იყო განყოფილების საქმიანობის გასაფართოებლად, მაგრამ გამგეობის წევრები იმედს არ კარგავდნენ და ენერგიულად განაგრძობდნენ საქმის გაძღოლას. მარტო ამ წელს 14-ჯერ მოუწვევიათ სხდომა და გაურჩევიათ 8 საქმე.

1916 წელს განყოფილებამ ცხინვალის მკვიდრ ეკატერინე ორჯონიკიძისაგან ანდერძით მიიღო 50 დღიური მამული სოფელ წუნათში ქართული სკოლის გასახსნელად, მაგრამ განყოფილებამ უსახსრობის გამო ვერც ერთი სკოლის გახსნა ვერ მოახერხა. გამგეობა გაჭირვებით უძღვებოდა რამოდენიმე ბიბლიოთეკას, სადაც ყოველთვის იგრძნობოდა ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ნაკლებობა.

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1072, ფურ. 17.

[2] იგივე ფონდი, საქ. 1082, ფურ. 13-14.

1917 წლის 15 აპრილს ცხინვალის განყოფილების გამგეობის ერთ-ერთი წევრი დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე მთავარ გამგეობას წერილობით ატყობინებდა, რომ 1916 წლის 17 აპრილის შემდეგ ცხინვალის განყოფილების გამგეობის წევრთაგან დავრჩით მხოლოდ მე და კიდევ ერთი წევრობის კანდიდატი მიხეილ კობალაძე, რომელიც ეხლახან დაბრუნდა ცხინვალში. დანარჩენები, როგორც თავმჯდომარე გიორგი დავითაშვილი, ასევე ხაზინადარი და მდივანი არჩილ დედანაშვილი და გამგეობის სხვა წევრები სამხედრო ბეგარაზე გაიწვიესო.[1]

ცხინვალის განყოფილებამ არსებობა შეწყვიტა 1918 წელს.

ზუგდიდის განყოფილება დაარსდა 1908 წელს. გამგეობაში შედიოდნენ: ავ. ფაღავა, ნ. ბუკია, ს. კვეშელავა და სხვ. გამგეობის ვარაუდით, სკოლის გახსნის საკითხი დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ ზუგდიდის განყოფილება სთხოვდა მთავარ გამგეობას დაეტოვებინა მისთვის შემოსავლის 20%, რომელიც წესდების მიხედვით განყოფილებას უნდა გადაეხადა. გარდა ამისა, გამგეობა ცდილობდა გაეზარდა საზოგადოების წევრთა რიცხვი, მოეწყო მეტი წარმოდგენები, სეირნობები და ამ გზით შემოსული თანხით გაეხსნა კიდევ ორი ახალი ბიბლიოთეკა ანაკლიასა და წალენჯიხაში.

1914 წლის 15 მარტს განყოფილების მორიგ საზოგადო კრებაზე, რომელსაც თბილისიდან საგანგებოდ მოწვეული სკოლების მეთვალყურე გრ. ბურჭულაძე ესწრებოდა, გამგეობის წევრმა სოკ. კეშელავამ ვრცელი არგუმენტირებული მოხსენება გააკეთა ზუგდიდის მაზრის სახალხო სკოლებში ქართული ენის შევიწროების შესახებ. მაგალითად, სოფელ ნაოღაფევის სკოლაში (ინსპექტორი ლაბარტყავა), ბავშვებს ფრანგულ-ლათინურ-ნემეცურს ასწავლიდნენ და დედაენისათვის „არა თუ დედის, დედინაცვლის როლიც არ ურგუნებიათ“.[2] ზოგიერთი სახალხო სკოლის მასწავლებელი რუსული ენის, როგორც სახელმწიფო ენის შესწავლას მეტ უპირატესობას ანიჭებდა, ვიდრე მშობლიურის და ამით ხელს უწყობდა სკოლებიდან

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1072, ფურ. 49.

[2] ჟურნ. „განათლების“ დამატება, ცნობები ქ.შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა, 1914 წ., № 5, გვ. 74-75.

ქართული ენის გამოდევნას. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც თვითონ ვერ ერკვეოდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნაში, რის გამო მათი ინტერესიც ამ საგნებისადმი ნაკლები იყო. ყოველივე ეს და სხვა ფაქტებიც მიუთითებდნენ იმაზე, რომ გამგეობას ყოველი ღონე უნდა ეხმარა ზუგდიდში ქართული სკოლის გასახსნელად.

ზუგდიდის სკოლა გაიხსნა 1915 წლის 1 სექტემბერს. ამ დროისათვის მოქმედებას იწყებს 1914 წლის 1 ივლისის კანონი, რომელიც უფლებას ანიჭებდა კერძო სკოლებს თვითონ შეერჩიათ სასწავლო საგნები (გარდა ზოგიერთი სავალდებულო საგნისა) და სწავლაც მშობლიურ ენაზე განეხორციელებინათ. ამ კანონმა რამდენადმე შეამსუბუქა ქართული ენის მდგომარეობა სახალხო სკოლებში, თუმცა სასწავლო მთავრობა ზოგ შემთხვევაში ამას ნაკლებად ითვალისწინებდა და სწავლას ისევ ძველი მეთოდებით მოითხოვდა.

ადგილობრივ განყოფილებათა უფლებები შესამჩნევად გაიზარდა წერა-კითხვის საზოგადოების 1916 წლის ახალი წესდებით, რომლის მიხედვით ცენტრალურ გამგეობას რწმუნებულები ირჩევდნენ და მათი საშუალებით ანხორციელებდნენ თავიანთ ფუნქციებს მთავარ გამგეობაში. რწმუნებულები (აგენტები) წელიწადში ერთხელ იკრიბებოდნენ წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილებათა საერთო კრებაზე და შეერთებული ძალებით წყვეტდნენ ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხს.

1916 წლის წესდების საფუძველზე ადგილობრივი განყოფილებები გაიხსნა თბილისში, ჩოხატაურში, სამურზაყანოში, ხაშმში და ალექსანდროპოლში.

თბილისის განყოფილების თავმჯდომარედ აირჩიეს ანასტასია მაჩაბელი, რომელიც გარდაიცვალა 1917 წლის ზაფხულში; მის ნაცვლად თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ალექსანდრე მდივანი, მოადგილედ — პარმენ კახიანი, მდივნებად — ვარლამ ბურჯანაძე და მაქსიმე ბერძენიშვილი.[1] სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებს შორის დიდი დავა გამოიწვია თბილისის განყოფილებიდან

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1700, ფურ. 3-4.

ცენტრალურ გამგეობაში ასარჩევი წევრებისა და მათი კანდიდატების რაოდენობის საკითხმა.

სოციალ-დემოკრატებმა თავიანთ წარმომადგენლებად წამოაყენეს შემდეგი კანდიდატები: ნ. რამიშვილი, კ. გვარჯალაძე, პ. კახიანი, თ. კიკვაძე, გ. მაჭავარიანი, მ. ტოროშელიძე, გ. ცინცაძე, ალ. ნაცვლიშვილი, ნ. ელიავა, კ. ნინიძე, ტ. წერეთელი, რ. ჩიხლაძე, ნ. ცინცაძე, ა. მამულაიშვილი (ლალიონი), ფ. მგელაძე, პ. ქავთარაძე და სხვ., წევრობის კანდიდატებად — ნ. ხიზანიშვილი, ვ. ქავთარაძე და სხვ.

სოციალ-ფედერალისტებმა თავიანთ რწმუნებულებად დაასახელეს: გ. ლასხიშვილი, გრ. რცხილაძე, ალ. მდივანი, დ. უზნაძე, ლ. ბოცვაძე, ნინო ნაკაშიძე, აკ. შანიძე, აკ. პაპავა, ს. იაშვილი, ქრ. რაჭველიშვილი და სხვ. წევრობის კანდიდატებად — ანა ხახუტაშვილი (ცქვიტი), ალ. მიქაბერიძე, მარიამ ვახვახიშვილი, დ. პარკაძე, ი. სტურუა და დ. ყიფშიძე.

ეროვნულ-დემოკრატებმა წამოაყენეს — დ. კარიჭაშვილის, იპ. ვართაგავას, ივ. ავალიშვილის, ივ. ციციშვილის, დ. დუმბაძის, გ. იმნაიშვილის, ივ. ბერძენიშვილის და სხვ. კანდიდატურები, წევრობის კანდიდატებად — თამარ კეცხოველი, თამარ ჩიქვაიძისა და ელენე პავლიაშვილი.

რადიკალ-დემოკრატების მხრივ წამოყენებული იყო შიო დედაბრიშვილი, წევრობის კანდიდატად — დ. კარიჭაშვილი.

ესერებმა დაასახელეს: ხარ. ზაქარიაშვილი, გრ. ნათაძე და მ. ზანდუკელი; წევრობის კანდიდატებად — ქ-ნი ბაბუკაშვილი, ნ. ჩიგოგიძე და ზ. ბაქრაძე.

უპარტიოებიდან დასახელებულ იქნა გიორგი ყაზბეგი, წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე.

დასახელებული რწმუნებულებისა და წევრობის კანდიდატების სია კრებამ ერთხმად დაამტკიცა. ცენტრალურ გამგეობაში თბილისის განყოფილებიდან სულ აირჩიეს 50 რწმუნებული.[1]

თბილისის განყოფილებამ მცირე ხანს იარსება, იგი მზრუნველობდა თბილისის სახალხო სკოლებსა და სამკითხველოებს, მა-

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1700, ფურ. 4.

გრამ საერთო ვითარების გამო ისიც დაიხურა 1917 წელს.

სამურზაყანოს განყოფილება დაარსდა 1916 წელს დაბა გალში დიმიტრი ემუხვარის, მღვდელ მ. ქეციბაიას, ივ. გეგიას და სხვ. ინიციატივით. განყოფილების თავმჯდომარედ აირჩიეს ივანე გეგია. თავიდანვე განყოფილების წევრთა რიცხვი 165 კაცს შეადგენდა; 1917 წლისათვის მათი რიცხვი 205-მდე გაიზარდა, ამ წელს განყოფილების შემოსავალი 2.488 მანეთს შეადგენდა.[1]

1917 წელს, მიუხედავად რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისა, სამურზაყანოს განყოფილებამ შეძლო გაეხსნა 7 უფასო სამკითხველო შემდეგ სოფლებში: ოტობაიაში, ბარღეფში, ჭუბურთსხინჯში, აჩიგვარაში, ოქუმში და საბერიოში. ამასთან ერთად, განყოფილება მართავდა ქართულ წარმოდგენებს, უგზავნიდა ქართულ წიგნებს რუსეთში მოსწავლე სამურზაყანოს ახალგაზრდობას, ხოლო ახლად კურსდამთავრებულებს აწყობდა ქართულ სკოლებში და მატერიალურადაც ეხმარებოდა. ომის პერიოდში შექმნილი არეულობა სამურზაყანოში ხელს უშლიდა ნორმალურ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას. სამურზაყანოსა და სოხუმის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებების საქმიანობას ეჭვის თვალით უყურებდა ადგილობრივი ხელისუფლება, რაც მძიმე პირობებში აყენებდა ფილიალის გამგეობას. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ როგორც სოხუმში, ისე სამურზაყანოში ადგილობრივი ინტელიგენცია ძლიერ მცირე იყო.

სამურზაყანოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე, ცნობილი პედაგოგი ივანე გეგია არაერთგზის სთხოვდა დახმარებას საზოგადოების მთავარ გამგეობას, განსაკუთრებით მიუთითებდა იმ ფაქტორზე, რომ სამურზაყანო ყოველთვის უყურებდა საქართველოს, როგორც თავის დედას და ამიტომაც მეტ ყურადღებას იმსახურებდა. მისი აზრით, ეროვნული ცნობიერების ამაღლებისათვის განსაკუთრებით საჭირო იყო სამურზაყანოში ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გავრცელება და ქართული ენის კურსების გახსნა.[2]

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1576, ფურ. 2.

[2] იქვე.

ცენტრალური გამგეობა ყოველთვის დიდი გულისყურით ეპყრობოდა სამურზაყანოს განყოფილებას და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა როგორც ქართული წიგნებითა დ ჟურნალ-გაზეთებით, ისე მატერიალურად.

1917 წლის დამდეგისათვის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გახსნილი ჰქონდა სულ 39 განყოფილება. წლის განმავლობაში ახალი ფილიალები გაიხსნა ყარსში, სარაყამიშში, ბორჩალოში, გროზნოში, პეტროვსკში, ფუქში და ხარაგაულში. 1918 წლის 1 იანვრისათვის უკვე 47 ფილიალი მოქმედებდა.

ამ დროისათვის წერა-კითხვის საზოგადოებაში ირიცხებოდა 6951 წევრი. მარტო ამ წელს ადგილობრივ განყოფილებებში მიიღეს 1935 წევრი; 1918 წლის დამდეგისათვის საზოგადოებაში 8886 წევრი იყო გაერთიანებული.

ასრულდა ილიას ნატვრა — თვითმოქმედ საზოგადოებებში ასასობით კი არა, ათას-ათასობით უნდა ეწერებოდნენო...

ადგილობრივ განყოფილებათა მუშაობამ ყველას დაანახა, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ ამ მიმართულებით გადადგმულმა ნაბიჯებმა გაამართლა. საზოგადოება განიტვირთა იმ მრავალი საქმისაგან, რომელსაც იგი დაუღალავად ემსახურებოდა სამი ათეული წლის მანძილზე. მართალია, აქ სრულად არ არის განხილული ყველა განყოფილების მუშაობა, მაგრამ ისიც, რაც ნაჩვენებია, წარმოდგენას გვაძლევს მათი საქმიანობის ხასიათსა და მიმართულებაზე. უნდა ითქვას, რომ სოხუმის, ბაქოს და კავკავის განყოფილებათა მუშაობის მოცულობა დაახლოებით ერთნაირი იყო და ძირითადად ამართლებდა დასახულ ამოცანებს; დანარჩენი ფილიალების საქმიანობა შედარებით მცირე მასშტაბებს მოიცავდა და მეტ-ნაკლებად ამართლებდა თავის დანიშნულებას.

საერთო ჯამში, ადგილობრივი განყოფილებების დაარსებამ ხელი შეუწყო კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის გაფართოებას და დიდი როლი შეასრულა საქართველოში სახალხო განათლების გავრცელების საქმეში.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება

როგორც ზემოთ ითქვა, ქართველი ხალხის ეროვნული საუნჯის შექმნაში დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომლის მთავარ დანიშნულებას ერის კულტურული მემკვიდრეობის შეკრება და მისი მეცნიერული შესწავლა შეადგენდა. 1917 წლის 16 დეკემბერს საიუბილეო მოხსენებაში ექვთიმე თაყაიშვილმა შეაჯამა საზოგადოების მოღვაწეობის ათი წლის (1907-1917 წწ) შედეგები და ხაზგასმით აღნიშნა: „თუ ჩვენი ერი პოლიტიკურად მომწიფდა და დაწინაურდა შედარებით, ამის თავი მიზეზი მემკვიდრეობით გადმოცემული და ქართველთ ფსიქიკაში ღრმად ჩანერგილი ძველი ქართული კულტურაა — ის კულტურა, რომელიც ყოველთვის აშკარად არ სჩანს, მაგრამ ერს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი. ყოველი ჩვენი კულტურული დაწესებულება თუ საზოგადოება ცდილობდა და ცდილობს თვითშეგნების გზაზე დაეყენებინა ქართველი ერი, შეექმნა ახალი კულტურა ძველი კულტურის ნიადაგზე, გაეცნო ერისათვის თავისი წარსული და აწმყო. ამათი წყალობით ჩაენერგა ქართველ ხალხს ლტოლვილება უკეთესი მერმისისადმი. ერთ ასეთს, ფრიად მნიშვნელოვან კულტურულ დაწესებულებას წარმოადგენს „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“[1].

საისტორიო საზოგადოების შექმნის იდეა ქართველ ინტელიგენციაში ჩაისახა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 80-იანი წლების პოლიტიკური რეაქციის პერიოდში, კერძოდ, 1883 წლიდან, როდესაც პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ქ. პატკანოვმა გამოაქვეყნა სტატია „ქართლის ცხოვრების“ შესახებ, სადაც იგი ამტკიცებდა, რომ „ქართლის ცხოვრება“ შედგენილი იყო მე-12 საუკუნეში სომეხი ბერის მიერ და ამაზე უფრო ადრინდელი წყაროები ქართველებს არ გააჩნიათო. ამგვარი ტენდენციური დამოკიდებულე-

---

[1] ექვთიმე თაყაიშვილი, „მცირე უწყება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მოღვაწეობის პირველი ათი წლის განმავლობაში (1907-1917 წწ)“, აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, კრებული, თბ., 1966 წ., გვ. 191.

ბა საქართველოს ისტორიული წყაროებისადმი სცილდებოდა წმინდა მეცნიერულ ჩარჩოებს და შეურაცხყოფდა ქართველი ხალხის ეროვნულ ღირსებას.

ქართველი საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებმა პრესის ფურცლებიდან საკადრისი პასუხი გასცეს პატკანოვს და მეცნიერული პოზიციებიდან დაიცვეს საქართველოს უძველესი ისტორიული ტრადიციები. 1884 წელს თერგდალეულთა თაობის გამოჩენილმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ პატკანოვის შეხედულებების გასაბათილებლად გაზეთ „დროების" ხუთ ნომერში გამოაქვეყნა ვრცელი სტატია სათაურით: „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები",[1] სადაც იგი კონკრეტული მაგალითებით დამაჯერებლად ასაბუთებდა პატკანოვის შეხედულებათა მცდარობას.

ისტორიკოს მ. დუმბაძის სამართლიანი შენიშვნით, დ. ბაქრაძის კრიტიკულმა გამოსვლამ პატკანოვის წინააღმდეგ მთელი ეტაპი შექმნა საქართველოს ისტორიის წყაროების კრიტიკულად შესწავლა-დაფასების საქმეში და მას თავის დროს დიდი რეზონანსი ჰქონდა.[2] ამას ადასტურებს იმდროინდელი ქართული პრესაც, რომელიც დ. ბაქრაძის გამოსვლის შემდეგ აქტიურად ჩაება პატკანოვის საწინააღმდეგო პოლემიკაში.

დ. ბაქრაძემ ზემოხსენებულ შრომაში პატკანოვის შეხედულებების კრიტიკასთან ერთად, ნათლად ჩამოაყალიბა საქართველოს ისტორიის შესწავლის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგ საკითხებს: 1. უნდა მოვიძიოთ ყველგან ჩვენი ქრონიკები. გადმოვიწეროთ თუ გადმოვხაზოთ ისტორიული მინაწერები (ტაძრებიდან, მანუსკრიპტებიდან, საეკლესიო სამკაულებიდან და სხვ); 2. უნდა შევისწავლოთ შინაარსი გუჯრებისა და სიგელებისა; 3. უნდა გავიცნოთ წინაპართა სასულიერო და საერო ნაწარმოებები, რომლებიც ასახავენ ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებასა და ეკონომიკურ მდგომარეობას (ხელოვნების სხვადასხვა დარგებში,

---

[1] იხ. გაზ. „დროება", 1884 წ., № 94, 95,96,97,98. ეს ნაშრომი 1884 წ. იგივე სახელწოდებით ცალკე წიგნადაც გამოიცა. იგი იმავე წელს დაიბეჭდა „ივერიაშიც" /NN 6,7/.

[2] მ. დუმბაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ბათუმი, 1950წ., გვ. 65.

არქიტექტურაში, მანუსკრიპტების მინიატურებში, ტაძრების მოხატულობაში, ხელსაქმობაში და ა.შ.); 4. უნდა შევამოწმოთ ქართული წყაროები უცხოური წყაროებით (სირიული, ბერძნული, არაბული, რომაული და სხვ).[1]

დ. ბაქრაძის მიერ დასახული ამ პროგრამის პრაქტიკული განხორციელება, ცხადია, დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული და მოითხოვდა სპეციალურ სამეცნიერო საზოგადოების დაარსებას, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევდა მთელ ამ საქმეს. მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრი ისტორიული წარსულის შესწავლას ეროვნულ ფუნქციასაც აკისრებდა. ამასთან დაკავშირებით გრ. ყიფშიძე 1884 წელს გაზეთ „დროებაში" დ. ბაქრაძის მისამართით წერს: — „წავიდა ის დრო, როდესაც გამოურკვეველი ჩვენი გონება ვერას ახერხებდა და არ იცოდა რისთვის მოეკიდნა ხელი. დღეს გამოფხიზლებულს ნაწილს საზოგადოებისას ნათლად აქვს დახატული და შეგნებული ის პირობანი, რომელთა შორისაც შეიძლება რიგიანად იწარმოვოს ჩვენმა წარმატებამ და განვითარებამ. ერთ ამგვარ პირობად იგი აღიარებს წარსულის ჩვენის თავ-გარდასავალის ცოდნას, საქართველოს ისტორიის შემეცნებას. იგი დარწმუნებულია, რომ უამისოდ ვერ შევისწავლით ეხლანდელის ჩვენ მდგომარეობას, ვერ მივხვდებით მის ვითარებას, ვერ გაუზომავთ ვერც სიღრმეს და ვერც სიგანეს... წარსულის შეუსწავლელად არამც თუ ეხლანდელის ჩვენის მდგომარეობისას ვერ გავიგებთ, არამედ მომავლის შესახებაც უსინათლოებსავით ვიქნებით".[2]

გრიგოლ ყიფშიძეს გამოეხმაურა ახალგაზრდა ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი, რომელმაც გაზეთ „დროებაში" დაბეჭდა „მცირე შენიშვნა", სადაც ავტორი გულისტკივილით საუბრობს იმდროინდელი საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის სავალალო მდგომარეობაზე, თუმცა იქვე მიუთითებს, რომ ფრანგმა მეცნიერმა მარი ბროსემ უკვე „მთელს განათლებულს ქვეყანას გააცნო ჩვენი ვინაობა, ჩვენი მატიანეები, ჩვენი ბუნება", რის შედეგადაც მრავალ-

---

[1] გაზ. „დროება", № 70, 1884 წ. გვ. 2-3.

[2] იქვე.

მა საზღვარგარეთელმა მეცნიერმა აღიარა, რომ საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლა ნათელს მოჰფენდა კაცობრიობის ისტორიის უძველეს ხანას და გადაწყვეტდა ბევრ სამეცნიერო პრობლემასო. მ. ჯანაშვილის აზრით, პირველ რიგში საჭირო იყო შეედგინათ ისტორიის მოყვარულთა წრე ან საზოგადოება, რომელსაც სათავეში ჩაუდგებოდა დიმიტრი ბაქრაძე. საზოგადოება გამოსცემდა საისტორიო ჟურნალს, სადაც დაბეჭდავდა ძველ მატიანეებს, სიგელ-გუჯრებს, იეროგლიფურ წარწერებს, ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალებს და, ამასთან ერთად, ევროპელი და ქართველი მეცნიერების გამოკვლევებს.[1]

მოსე ჯანაშვილის „მცირე შენიშვნის" საპასუხოდ იმავე წლის „დროების" „შინაურ ქრონიკაში" გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ დიმიტრი ბაქრაძე უკვე შეუდგა საისტორიო-საარქეოლოგიო საზოგადოების წესდების შედგენას, რომელიც ითვალისწინებდა საისტორიო ჟურნალის გამოცემასაც.[2] სამწუხაროდ, დ. ბაქრაძემ, სხვადასხვა მიზეზების გამო, ვერ მოახერხა ამ საქმის ბოლომდე მიყვანა; 1890 წელს იგი გარდაიცვალა, მაგრამ მის მიერ დაწყებული საქმე მაინც წარმატებით დაგვირგვინდა — 1900 წელს ექვთ. თაყაიშვილის ინიციატივით თბილისში შეიქმნა პატარა კერძო წრე „ქართული ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარულთა წრის" სახელწოდებით. წერა-კითხვის საზოგადოების ფონდის მასალებში შემოინახა ამ წრის ერთი პატარა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია შემდეგი:

— „ქართული ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარეთა წრეს" ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით, აზრადა აქვს გამოსცეს ყოველგვარი მასალა, რომელსაც ქართული ისტორიისა და ლიტერატურისათვის მნიშვნელობა აქვს. ამიტომ მიმართავს ქართველთა საზოგადოებას და სთხოვს, ვინც თანაუგრძნობს ამგვარ საქმეს, ამ ფურცელზე ხელის მოწერით გამოაცხადოს თავისი სურვილი, რომ ზემოხსენებული წრის გამოცემული წიგნი მიერთმევა თუ არა, ფასი წარმოადგინოს".[3] ეს წიგნი უნდა ყოფილიყო „თიმსარიანი"

---

[1] გაზ. „დროება", № 75, 1884 წ.

[2] იქვე.

[3] ცსსა, ფონ. 481, საქ. 719, ფურ. 3.

(სინდბადის წიგნი), იგავ-არაკების კრებული, რომელიც მეფე თეიმურაზ მეორეს უთარგმნია ახალი სპარსულიდან. 1903 წელს წრის წევრებს საკუთარი ხარჯით გამოუციათ „თიმსარიანი“ ექვთ. თაყაიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით.

საბუთის ბოლოში ჩამოთვლილია გვარები: ერმილე ნაკაშიძე, ნიკოლოზ ღოღობერიძე, ალექსანდრე ნათაძე, ივანე რატიშვილი, ალექსანდრე ციმაკურიძე, დავით ქადაგიძე, კონსტანტინე მაყაშვილი და იოსებ მეგრელიძე. საფიქრებელია, რომ დასახელებული პირები წარმოადგენდნენ აღნიშნული წრის წევრებს, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ამ გამოცემით. 1907 წლის 20 სექტემბერს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების პირველ საერთო კრებაზე ექვთიმე თაყაიშვილმა კრებას მოახსენა, რომ „ქართული ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარულთა წრემ“ ახლად დაარსებულ საზოგადოებას შემოსწირა „თიმსარიანის“ მთელი გამოცემა და ფულადი თანხა (68 მან. 40 კაპ.), აგრეთვე წრემ გაიღო 22 მანეთი საზოგადოების წესდების გადაწერასა და დამტკიცებაზეო.[1]

შეიძლება ითქვას, რომ „ქართული ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარულთა წრემ“ ნიადაგი მოუმზადა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებას. ამ აზრს იზიარებენ ისტორიკოსები რ. მეტრეველი, რომელმაც სპეციალური ნარკვევი მიუძღვნა ამ საზოგადოებას[2] და აკ. სურგულაძე თავის მონოგრაფიაში ექვ. თაყაიშვილის შესახებ[3].

1907 წლის 20 სექტემბერს გაიმართა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების პირველი საერთო (საზოგადო) კრება თბილისის დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში (დ. სარაჯიშვილის სახლი, ბელინსკის ქ. № 2-ში), კრებამ საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩია ექვთიმე თაყაიშვილი, ხოლო საზოგადოების ნამდვილ და დამფუძნებელ წევრებად — პ. თუმანიშვილი, ივ. აფხაზი, მიხ. მაჩაბელი, ალ. სარაჯიშვილი, გრ. ყიფშიძე, დავ. კარიჭაშვილი, ილ.

---

[1] კრებული „ძველი საქართველო“, I, 1909 წ., მე-6 განყ. გვ. 4.

[2] როინ მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1982 წ., გვ. 8.

[3] აკ. სურგულაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1977 წ., გვ. 72.

ფერაძე, გრ. დიასამიძე, კ. მაყაშვილი, მღვდელი კალ. ცინცაძე, დეკანოზი კორ. კეკელიძე, ს. გორგაძე, ა. ცაგარელი, ვ. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი, მ. ჯანაშვილი, ალ. ყიფშიძე, ა. ხელაია, ი. ზურაბიშვილი და ი. გოგებაშვილი (ოქმი № 1).[1]

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს ექვთიმე თაყაიშვილი ვრცლად შეეხო საზოგადოების კრებულის „ძველი საქართველოს" პირველი ტომის წინასიტყვაობაში, სადაც იგი ქართველ საზოგადოებას სთხოვს დახმარება გაუწიოს ახლად დაარსებულ საზოგადოებას: — „ნურვინ იფიქრებს, რომ სპეციალურ საზოგადოებას მარტო სპეციალისტების დახმარება ეჭირვებოდეს, — წერს იგი, — ჩვენი საზოგადოების მიზანი ძლიერ ფართოა. მას საგნათ აქვს შესწავლა საქართველოს წარსულისა და აწმყოსი, მაგრამ საქართველოს ყოველგვარი შესწავლისათვის მასალაა საჭირო და მასალის შეკრება ამჟამად უმთავრეს მიზანს შეადგენს ჩვენი საზოგადოებისათვის. ყველა შეგნებულ ქართველს შეუძლია დიდი დახმარება აღმოუჩინოს ჩვენს საზოგადოებას".[2]

ექვთიმე თაყაიშვილი ქართველ საზოგადოებას მოუწოდებდა შეეკრიბათ და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის მიეწოდებინათ ძველი ხელნაწერები, სიგელ-გუჯრები, იარაღი, სამკაულები, ჭურჭელი, ტანისამოსი, ძველი ფულები, არქეოლოგიური ნივთები; ჩაეწერათ ხალხური ზღაპრები, სიმღერები, გადმოცემანი, არაკები, თქმულებები, შელოცვები, გამოცანები; აღეწერათ ყველა ქართველი მოდგმის ხალხის ზნე-ჩვეულება, ქორწილი, ტირილი, დღეობა, ხატობა, სხვადასხვა გართობა და ა.შ.

იმავე წლის 25 სექტემბერს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს პირველ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: დავით კარიჭაშვილი (თავმჯდომარის ამხანაგი), ალექსანდრე სარაჯიშვილი (ხაზინადარი), ილია ფერაძე (წიგნსაცავ-მუზეუმის გამგე), სერგი გორგაძე (მდივანი), მოსე ჯანაშვილი და იუსტინე აბულაძე; სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხების

---

[1] „ძველი საქართველო", I, 1909 წ., 5 განყ. გვ. 1,2.

[2] იქვე, გვ. 4.

განხილვის შემდეგ, დავით კარიჭაშვილმა საბჭოს მოახსენა ნიკოლოზ ხიზანიშვილის ქერივის შემოწირულების შესახებ. ნიკო ხიზანიშვილი (ურბნელი), ცნობილი საზოგადო მოღვაწე და საქართველოს ისტორიის ნიჭიერი მკვლევარი, ტრაგიკულად დაიღუპა 1906 წლის 15 დეკემბერს. იგი აქტიურად თანამშრომლობდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში და ნაყოფიერ ჟურნალისტურ მოღვაწეობას ეწეოდა. როგორც დ. კარიჭაშვილის მიერ წარმოდგენილი ორი სიიდან ჩანდა, ელისაბედ ხიზანიშვილს თავისი მეუღლის ხსოვნის სამახსოვროდ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის შემოუწირავს 52 სხვადასხვა სახელწოდების რუსული და ფრანგული წიგნი, 25 სახელწოდების ქართული წიგნი, მათ შორის ნ. ხიზანიშვილის მონოგრაფია „ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი“ (50 ცალი).

ეს იყო პირველი შემოწირულება, რომელიც საფუძვლად დაედო საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ბიბლიოთეკას. წიგნების კატალოგიზაცია დაევალა ბიბლიოთეკის მცველს ილია ფერაძეს, რომელსაც მთელი ეს წიგნები ბიბლიოთეკის დაარსებამდე დროებით შესანახად წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის უნდა გადაეცა.

1907 წლის 25 ოქტომბერს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს მესამე სხდომაზე ექვთიმე თაყაიშვილმა წარმოადგინა საზოგადოების კრებულის გამოცემის პროგრამა, რომელიც თორმეტ განყოფილებას მოიცავდა. მათ შორის იყო: გამოკვლევები და მასალები, წარწერები, ნუმიზმატიკა, მოგზაურობანი და შენიშვნები, ხალხური ნაწარმოებები: ზღაპრები, ლექსები, ანდაზები, ლეგენდები და სხვ. ლინგვისტიკა, მასალები მეგრული, ლაზური, სვანური და სხვა კილოკავების შესასწავლად; ბიბლიოგრაფია, ძველი სიტყვაკაზმული მწერლობა, ოქმები და ანგარიშები, ნეკროლოგები, საზოგადოების წევრთა სია და სხვ. საბჭოს გადაწყვეტილებით, კრებულისათვის უნდა ეწოდებინათ „ძველი საქართველო“.[1]

როგორც ამ პროგრამიდან ჩანს, კრებულის დანიშნულება ფარ-

---

[1] საქ. სახ. მუზეუმი, საგანძ. განყ. ფონდი, № 1-63, ფურ. 5.

თო და მრავალმხრივია, რომელიც ხელს უწყობდა კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერულ შესწავლას და მის პოპულარიზაციას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამასთან ერთად, კრებულში მოთავსებულ მასალებს საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ (ოქმები, ანგარიშები, წევრთა სიები, შემოწირულობათა და შემომწირველთა სიები და სხვ.) პირველწყაროს მნიშვნელობა გააჩნიათ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ისტორიის შესასწავლად.

„ძველ საქართველოში" (გამოიცა ოთხი ტომი) იბეჭდებოდა სამეცნიერო რეფერატები და გამოკვლევები, სხვადასხვა საისტორიო, სალიტერატურო, საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო მასალები.; გარდა ამისა, საზოგადოებას ჰქონდა მეორე სერიული გამოცემაც — „საქართველოს სიძველენი" (გამოიცა სამი ტომი), სადაც იბეჭდებოდა სიგელ-გუჯრები, ისტორიული წერილები და სხვა მასალები. 1915 წელს საზოგადოების საბჭოს გადაწყვეტილებით დაარსდა ორი ახალი სერია — „ქართული ხალხური სიტყვიერება" და „ძველი ქართული მწერლობა", მაგრამ ქაღალდისა და სტამბის უჩვეულო სიძვირის გამო მათი ბეჭდვა შეწყდა. 1916 წელს საზოგადოებამ მაინც მოახერხა დაემთავრებინა და გამოეცა „ძველი ქართული მწერლობის" პირველი ტომი, რომელიც შეიცავდა 888 გვერდს. მასში შევიდა მეფეთა წიგნის ანუ „შაჰნამეს" ქართული ვერსიების პირველი ნაწილი (სამაანი, ზაქაანი და როსტომანი), რომლის ტექსტი მოამზადა და ცალკე ლექსიკონი დაურთო იუსტინე აბულაძემ. 1917 წელს დაიბეჭდა „ძველი საქართველოს" 1-2-3 ტომებში მოთავსებული ხალხური ლექსები, ანდაზები, სიტყვის მასალანი და გამოცემანი („ხალხური სიტყვიერება", I ნაწილი).

1907-1917 წლებში ხალხური სიტყვიერებიდან კრებულებში დაბეჭდილია 2 ათასამდე ხალხური ლექსი, 1385 არაკი და ზეპირსიტყვიერების მასალა, 118 გამოცანა, 16 სიმღერა ნოტებით, 4 გადმოცემა და თქმულება, 33 ზღაპარი, 1527 სიგელ-გუჯარი და სხვა საბუთები.[1]

---

[1] ექვთ. თაყაიშვილი, მცირე უწყება... გვ. 193-194.

საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საგამომცემლო საქმიანობა ხელს უწყობდა კულტურული მემკვიდრეობის შესწავლასა და მის მეცნიერულ კვლევას და რაც მთავარია, ეროვნული ცნობიერების განვითარებას, ქართული მენტალიტეტის ამაღლებას და მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების თვალში საქართველოს წარმოაჩენდა როგორც უძველესი ისტორიისა და კულტურის მქონე ქვეყანას, რომელსაც თავისი წვლილი მიუძღოდა ქრისტიანული კულტურის განვითარებაში.

1907 წლის 29 ნოემბერს საბჭომ მოისმინა ექვთიმე თაყაიშვილის ინფორმაცია იაკობ მედვედევის ნუმიზმატიკური კოლექციის მოპოვების შესახებ (ოქმი № 6). ი. მედვედევის კოლექცია შეიცავდა 872 ძველ ქართულ მონეტებს (მათ შორის 114 ვერცხლისა, 5 ბრინჯაოსი და 753 სპილენძისა), 168 ქართულ-რუსულსა და 77 მუსულმანურს, რომელიც თბილისში იყო მოჭრილი, სულ იყო 1117 ცალი (მათ შორის, 281 ვერცხლისა). ექვთ. თაყაიშვილის სიტყვით მთელ ამ კოლექციას მედვედევი აფასებდა 4 ათას მანეთად. რადგანაც საზოგადოებას არავითარი წყარო არ გააჩნდა ამ კოლექციის შესაძენად, ექვთიმე თაყაიშვილის წინადადებით საბჭომ გადაწყვიტა დახმარებისათვის მიემართა ქართული კულტურის ისეთი გულშემატკივრებისათვის, როგორიც იყო ეპისკოპოსი კირიონი, დავით სარაჯიშვილი და იაკობ ზუბალაშვილი. მათ თავიანთი სახსრებით უნდა შეეძინათ მედვედევის კოლექცია და შემდეგ, მისი შესწავლის მიზნით გადაეცათ წერა-კითხვის საზოგადოებისათვის ან იმ მუზეუმისათვის, რომლის დაარსებასაც საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება უახლოეს მომავალში აპირებდა.[1] ამ გზით შეძენილი იაკობ მედვედევის კოლექცია საფუძვლად დაედო საზოგადოების ნუმიზმატიკურ კოლექციას, რომელსაც შემდეგში შეემატა ექვთიმე თაყაიშვილისა და კირიონ მეორის მიერ შემოწირული ნუმიზმატიკური კოლექციებიც და, ამგვარად, შეიქმნა ერთ-ერთი საუკეთესო ნუმიზმატიკური კოლექცია ცნობილ კოლექციათა შორის.

როგორც ექვთ. თაყაიშვილი აღნიშნავს, ამ კოლექციაში საკ-

---

[1] საქ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ანგარიში, 1909 წ.

მაოდ ბევრი „უნიკუმი“ (იშვიათი ფულები) მოიპოვებოდა, ბევრი იყო ისეთიც, რომლებიც არ იყო ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში და გაურკვეველი იყო, თუ რომელი მეფის დროს იყო მოჭრილი. „რაღა თქმა უნდა, რომ ბევრია ისეთი ქართული ფულებიც, „უნიკუმები“ და „არა უნიკუმები“, — აღნიშნავს ექვთ. თაყაიშვილი, — რომელნიც მოიპოვებიან ბერლინის, ერმიტაჟის, ზუბოვის და სხვა კოლექციებში და ჩვენ კი არ მოგვეპოვება. ასეთებია, მაგალითად, სასანიანთა დინასტიის ფულები (გარდა სტეფანოსისა), დავით კურაპალატის ფული, დავით აღმაშენებლისა და სხვ“.[1]

მიუხედავად ამისა, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ნუმიზმატიკური კოლექცია ძვირფასი შენაძენი იყო საზოგადოებისათვის; 1917 წლისათვის მასში მოიპოვებოდა 3883 მონეტა, მათ შორის — 1081 ვერცხლისა, 2794 სპილენძისა და 4 ბრინჯაოსი. კოლექცია იწყებოდა კოლხური მონეტებით და მთავრდებოდა რუსულ-ქართული მონეტებით, რომელთა მოჭრა შეწყდა 1833 წელს.[2]

კულტურული მემკვიდრეობის შეგროვება, მისი მოვლა-პატრონობა და მეცნიერული შესწავლა ოფიციალურად (წესდების მიხედვით), წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან შედარებით, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების პრეროგატივას შეადგენდა, რადგანაც ამგვარი მიზნები არ შედიოდა წერა-კითხვის საზოგადოების პირდაპირ დანიშნულებაში. მიუხედავად ამისა, წერა-კითხვის საზოგადოების მიზნები და ამოცანები ხშირ შემთხვევაში სცილდებოდა მისი წესდების ფარგლებს და ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს ემსახურებოდა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ თავდაპირველად საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსება ზედმეტად ეჩვენებოდათ წერა-კითხვის საზოგადოების დამფუძნებლებს. ისინი შიშობდნენ, რომ ორი ერთი და იგივე მიზნის მქონე საზოგადოების არსებობას შესაძლებელია ისეთი ნაყოფი არ გამოელო, როგორც ამას მისი დამფუძნებლები მოელოდნენ. ამ ფაქტს არც ექვთიმე თაყაიშვილი უარყოფდა. მისი გადმოცემით, იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე ხმამაღლა აცხადებდნენ თურმე, რომ ორი

[1] ექვთ. თაყაიშვილი, „მცირე უწყება“... გვ. 196.
[2] იქვე.

მონათესავე საზოგადოება ერთმანეთს ხელს შეუშლიდა. როდესაც იხილავდნენ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების წესდებას, იაკობ გოგებაშვილს განუცხადებია:

„ — სანამ წესდებას გავარჩევდეთ, ჯერ თითონ ის საკითხი გადავწყვიტოთ, ამ ახალი საზოგადოების დაარსება საჭიროა თუ არაო? მე მგონია არაა საჭირო, რადგან წერა-კითხვის საზოგადოება გვაქვს და ეს ახალი საზოგადოება ზედმეტია, მხოლოდ ხელს შეუშლის ძველსაო...“, მაგრამ შემდეგში, როდესაც ახალმა საზოგადოებამ მოქმედება დაიწყო, იმავე ექვთიმეს სიტყვით, „გოგებაშვილი კიდევაც ჩაეწერა მასში, საწევრო გადასახადსაც იხდიდა და მუშაობაშიც მონაწილეობდა“-ო.[1]

1907 წლის 9 დეკემბერს, წერა-კითხვის საზოგადოების წლიურ კრებაზე, როდესაც იხილებოდა საზოგადოების მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა, დაისვა საკითხი მისი წიგნსაცავ-მუზეუმის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის გადაცემის შესახებ. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება გავიცნოთ კრების მონაწილეთა აზრი ამ საკითხზე, რის საშუალებასაც გვაძლევს კრების ოქმი.[2]

კრებაზე გამოიკვეთა ორგვარი პოზიცია: ერთი — ილიას გზის მიმდევრებისა (აკ. წერეთელი, ნ. ცხვედაძე, ექვთ. თაყაიშვილი, ივ. რატიშვილი, პ. სურგულაძე), რომლებსაც სამართლიანად მიაჩნდათ, რომ წიგნსაცავ-მუზეუმზე მზრუნველობა ისევ წერა-კითხვის საზოგადოებას უნდა გაეგრძელებინა; განსხვავებულ პოზიციაზე იდგნენ პარტიული მოღვაწეები (ფ. მახარაძე, ირ. რამიშვილი და სხვ.), რომლებიც საერთოდ ნეგატიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ საქართველოს ისტორიული წარსულისადმი და მხოლოდ მომავალი აინტერესებდათ. მათი აზრით, წერა-კითხვის საზოგადოებას სკოლებისა და ბიბლიოთეკების გახსნაზე და წიგნების გამოცემაზე უნდა ეზრუნა, როგორც ეს მისი წესდებით იყო გათვალისწინებული, ხოლო წიგნსაცავ-მუზეუმი სხვა დაწესებულებისთვის უნდა გადაეცა.

აი, როგორ უარყოფს ამ აზრს სამსონ ფირცხალავა, რომელიც

---

[1] ექვთ. თაყაიშვილი, რჩ. ნაშრ., ტ. I, თბ., 1968 წ., გვ. 343.

[2] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1008, ფურ. 2-5.

1902 წლიდან მუშაობდა საზოგადოების მდივნის თანამდებობაზე:

— „უსაფუძვლოა ის მოსაზრებაც, — ამბობდა იგი, — რომ წ.კ. საზოგადოების „პირდაპირ" საქმეს არ შეადგენს ხელნაწერების და კულტურული ნაშთების შეგროვება. პირიქით, ეს განძი საუკეთესო ფურცელია ჩვენი „საზოგადოების" ისტორიაში, ამ ფურცელს ჩვენ ვერ ამოვგლეჯთ და არც უნდა ამოვგლიჯოთ. ეს ბიბლიოთეკა წ.კ. საზოგადოების სულიერი საკუთრებაა, მისი ძალაა, მისი საუკეთესო ტრადიცია, ძვირფასი მოგონება და გამამხნევებელი, წამახალისებელი იმპულსია მომავალი მოღვაწეობისათვის".[1]

როგორც კრებაზე გამოირკვა, წერა-კითხვის საზოგადოებას საანგარიშო წელს წიგნსაცავ-მუზეუმზე დაუხარჯავს 320 მანეთი. ამასთან დაკავშირებით ფილიპე მახარაძემ წამოაყენა წინადადება, რომ საზოგადოება განთავისუფლებულიყო ამგვარი „ზედმეტი" ხარჯისაგან და მთელი სახსრები სკოლებისათვის მოეხმარა.

ი. რატიშვილი: „ბიბლიოთეკის დაარსება გამოიწვია ჩვენი ცხოვრების პირობებმა, წერა-კითხვის საზოგადოება ერთადერთი დაწესებულება იყო, რომელიც აგროვებდა და იცავდა ჩვენი ქვეყნის კულტურის საუკეთესო ნაშთებს და ხელნაწერებს. ხელნაწერების შესაძენად დანიშნული ხარჯის გამორიცხვა ყოვლად შეუძლებელია".

ილია ნაკაშიძემ დასვა საკითხი — რას აკეთებდა გამგეობა ახალი წიგნების გამოცემისათვის.

ნიკო ცხვედაძე: „ახლებს ვბეჭდავთ; საზოგადოებას დაარსებიდან 90 სხვადასხვა წიგნი გამოუცია ნახევარ მილიონ ცალად. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ დღეს ახალ წიგნებს სხვებიც ბეჭდავენ, ხოლო ძველ ხელნაწერებს ჩვენს მეტი პატრონი არავინა ჰყავს".

პეტრე სურგულაძე: „ოცდაათი თუმანი კი არა, ოცდაათი მილიონი რომ მოგვცა, უნდა მოვახმაროთ ჩვენი ძველი ხელნაწერების და ისტორიული ნაშთების შეკრებას, მოვლას და პატრონობას. ეს კულტურული ნაშთები სწორედ ხალხისთვის არსებობს და ხალხი არას დაკარგავს, თუ ფულს გამოიღებს მათ შესაძენად. ზოგიერთ

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1008, ფურ. 3.

ჩვენებურ ინტელიგენტს ეზიზღება ჩვენი წარსული იმიტომ, რომ არ ცნობს მას, ასეთი არაა ხალხი. მართალია, ჩვენს წარსულში ბევრი რამაა დასაგმობი, მაგრამ იმავე წარსულმა ბევრი რამ შექმნა საამაყო და მოსაწონი. ხალხი დღეს არ იწყებს ცხოვრებას. მისი ახლანდელი ცხოვრება გადაბმულია გუშინდელზე, მისი დღევანდელი კულტურაც უნდა აღმოცენდეს წარსულის კულტურაზე; ერთი მეორეს ასაზრდოვებს და ვისაც მართლა სწადია ემსახუროს ხალხს, მან მაგრად უნდა ჩასჭიდოს ხელი წარსულ ცხოვრების კულტურას".

ნიკო ცხვედაძე: „წერა-კითხვის საზოგადოების ერთი მიზანთაგანი თავიდანვე იყო საკითხავი წიგნების მიწოდება თავის წევრებისათვის, განსაკუთრებით ისეთი წიგნებისა და ხელნაწერებისა, რომელნიც აუცილებელი საჭირონი არიან ისტორიისა და კულტურის გასაცნობად. ამ მიზანს ემსახურებოდა ის ბიბლიოთეკა, რომელიც მოეპოვება „საზოგადოებას". არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ბიბლიოთეკა საჭიროა მარტო სპეციალისტ-ისტორიკოსებისათვის, არამედ ყველასათვის, ვისაც აინტერესებს კულტურა, უნდა განათლება შეიძინოს".

ისიდორე რამიშვილი აკრიტიკებს გამგეობას და სვამს კითხვას: „გამგეობას წიგნები არ გამოუცია, წიგნების გამოცემა თქვენი პირდაპირი საქმე იყო. ისტორიაში რომ წავიკითხე, კარგნი ვიყავით, დღეს სასოწარკვეთილებაში ვვარდებით, განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ მარტო ისტორია არა კმარა?".

აკაკი წერეთელი: „ნათქვამია, „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისაო". ხალხს, რომელსაც წარსული არ ჰქონია, მომავალიც არა აქვს, ის მკვდარია. ჩვენი ხალხი ასეთი არ იყო, ის ცხოვრობდა, კულტურა ჰქონდა. პატარა ხალხს რომ მტერი მოერევა, ყველაფრის წაშლას და წართმევას მოუნდომებს. გვეუბნებიან: წარსულში არაფერი გქონიათ, არც მომავალი გექნებათო. ჩვენ ამას არ უნდა ავყვეთ. განა ქართველი ამით წახდება, რომ თავისი კულტურა უყვარდეს? მომავალი რომ გვინდა, ამას არავინ უარყოფს, ხოლო აწმყო და მომავალი უნდა შეუთანხმოთ წარსულს. რუსთაველი ძველათ იყო, მე ახლა, განა მე შევეღრები იმას? არა, წარსულს უნდა ვაფასებდეთ და ისე უნდა შევიძინოთ ძველი ხელნაწერები და ნაშთები, როგორც დღემდის ვიძენდით".

ექვთიმე თაყაიშვილი: „არავის შეუძლია უსაყვედუროს წერა-კითხვის საზოგადოებას, რომ აგროვებდა ძველ ხელნაწერებს და ნაშრომებს. ეს ნაშთები ჩვენი უძვირფასესი განძია. თუ წერა-კითხვის საზოგადოებას რამე გაუკეთებია ღირსშესანიშნავი, — ეს არის მისი ძველი წიგნების და ხელნაწერების ბიბლიოთეკა, ხოლო დღეს კი საჭიროა, რომ ეს საქმე სხვას გადაეცეს".

დასასრულს, კრებამ დაამტკიცა გამგეობის მიერ წარმოდგენილი 1908 წლის ხარჯთაღრიცხვა და აირჩია კომისია (ექვთ. თაყაიშვილი, ალ. სარაჯიშვილი, გრ. რცხილაძე), რომელსაც გამგეობასთან ერთად უნდა გამოერკვია ბიბლიოთეკა-მუზეუმის საკითხი.

1908 წლის 15 მაისს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობისა და სამუზეუმო კომისიის გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ: გ. ყაზბეგი (თავმჯდომარე), ი. ღულაძე (თავმჯდომარის თანაშემწე), ბ. ლასხიშვილი, ალ. მდივანი, ლ. ბოცვაძე, პ. სურგულაძე, დ. კარიჭაშვილი, გრ. რცხილაძე, ს. ფირცხალავა, ექვთ. თაყაიშვილი და ალ. სარაჯიშვილი, კვლავ დაისვა საკითხი წერა-კითხვის საზოგადოების წიგნსაცავ-მუზეუმის ახლად დაარსებული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის გადაცემის შესახებ. — „ბიბლიოთეკა და მუზეუმი დაუყოვნებლივ უნდა გადმოგვეცეს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას — განაცხადა ექვთიმე თაყაიშვილმა, ხოლო ბიბლიოთეკა-მუზეუმი დარჩება დღევანდელ ბინაზე, ეს ბინა უნდა დაგვითმოთ სრულიად, უნდა დაგვინიშნოთ ის მუდმივი შემწეობა ფულით, რომელსაც დღეს თვითონ თქვენ ხარჯავთ ძველი წიგნებისა და ხელნაწერებისათვის და ჩვენ ვუპატრონებთ და მოვუვლით ბიბლიოთეკას. ამასთანავე უნდა გადმოგვცეთ მუზეუმისა და ძველი წიგნების ფონდი და ჩვენ ვეცდებით ამ ფულის შემწეობით მოვიპოვოთ სხვა უკეთესი ბინა".

ექვთ. თაყაიშვილის ამ განცხადების მიხედვით, ყოველგვარი ხარჯი წიგნსაცავ-მუზეუმის მოვლა-პატრონობაზე წერა-კითხვის საზოგადოებას უნდა გაეწია, ხოლო საქმეს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება გაუძღვებოდა. ალ. სარაჯიშვილმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ წიგნსაცავ-მუზეუმი არ შეადგენდა მხოლოდ წერა-კითხვის საზოგადოების საკუთრებას, იგი მთელი ერის საკუთრება

იყო და მის მოვლა-პატრონობაზე ყველას უნდა ეზრუნა.

სამსონ ფირცხალავა: „... ბიბლიოთეკა-მუზეუმი ერთსა და იმავე დროს წ.კ. საზოგადოებისაცაა და მთელი ერის. ეს ბიბლიოთეკა წ.კ. საზოგადოების მოღვაწეობის ნაყოფია, ეს ძვირფასი ხელნაწერები მისი შრომით და მეცადინეობითაა აქ შეგროვილი... საზოგადოებამ გააკეთა დიდი საქმე, რომ ეს ხელნაწერები და წიგნები შეკრიბა, და ეს გაკეთებული საქმე ავალებს მას უპატრონოს ბიბლიოთეკას შემდეგშიაც და არ გადასცეს სხვას, მით უმეტეს, როცა ეს სხვა არ გვაძლევს საფუძველს რომ უკეთესი პატრონი იქნება. ამ ჟამათ ჩვენს ბიბლიოთეკას ესაჭიროება უკეთესი ბინა, სადაც შევიძლებთ წესზე დავაწყოთ ყველაფერი და კარგად მოვუაროთ, — ამის შესრულება კი წ.კ. საზოგადოებას უფრო შეუძლია, ვიდრე საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას“.

როგორც სხდომაზე გამოირკვა, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას არავითარი წინასწარ შემუშავებული გეგმა არ გააჩნდა ეროვნული საუნჯის მოსავლელად. კენჭისყრის შედეგად, რვა ხმის უმეტესობით (გ. ყაზბეგი, ი. ღულაძე, ა. მდივანი, პ. სურგულაძე, ს. ფირცხალავა, ლ. ბოცვაძე, გ. ლასხიშვილი, გრ. რცხილაძე) წინააღმდეგ ოთხისა (ა. ყიფშიძე, დ. კარიჭაშვილი, ექვთ. თაყაიშვილი, ალ. სარაჯიშვილი) სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება წიგნსაცავ-მუზეუმი ისევ წერა-კითხვის საზოგადოების საკუთრებაში დარჩენილიყო.

საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმი თანდათანობით მდიდრდებოდა ძირითადად შემოწირულობათა მიღების გზით. შემომწირველთა და შემოწირულობათა სიები იბეჭდებოდა საზოგადოების კრებულში, საიდანაც ვგებულობთ, თუ ვინ რამდენი შემოსწირა: სიგელ-გუჯრები, ხელნაწერები, არქეოლოგიური ნივთები, ეთნოგრაფიული მასალები, ნუმიზმატიკური კოლექციები, უძრავი ქონება, ფულადი თანხა და სხვ. ერთი ასეთი შემომწირველთა და შემოწირულობათა ნუსხა (1911-1912 წწ.) დართული აქვს რ. მეტრეველის ზემოხსენებულ წიგნს.[1]

---

[1] იხ. რაინ მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 300-313.

საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას თავისი ქონების ნაწილი უანდერძა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ბესარიონ ღოღობერიძემ (13 ათასი მანეთი); აკაკი წერეთელმა ზეპირსიტყვიერების ფონდისათვის საზოგადოებას ანდერძით დაუტოვა თავისი თხზულებანი, მამული საჩხერეში და ის ფოდი, რომელიც გვირგვინების სანაცვლოდ უნდა შეკრებილიყო (13 ათასი მანეთი); იაკობ გოგებაშვილმა შესწირა ერთი მომგებიანი ბილეთი, რომლის ღირებულება ათას მანეთს შეადგენდა; საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კირიონ მეორემ — თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა, მრავალი არქეოლოგიური ნივთი, ალბომები, სურათები და დიდი ნუმიზმატიკური კოლექცია; განსაკუთრებით დიდი შემოწირულება გაიღო ცნობილმა ქველმოქმედმა ეკატერინე სარაჯიშვილმა, რომელმაც მუზეუმის ასაშენებლად საზოგადოებას დაუტოვა 600 ათას მანეთზე მეტი; თავისი პირადი შრომით საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას დიდი ღვაწლი დასდეს: ალექსანდრე სარაჯიშვილმა, რომელიც საზოგადოების დაარსების დღიდან ასრულებდა ხაზინადარისა და ბიბლიოთეკა-მუზეუმის გამგის თანამდებობას; ალექსანდრე ყიფშიძემ (ფრონელი), ეროდიონ სონღულაშვილმა, სერგი გორგაძემ, დავით კარიჭაშვილმა და სხვ.

1917 წლისათვის საზოგადოების წიგნსაცავში შეგროვდა 9875 სახელწოდების ნაბეჭდი წიგნი (მათ შორის 1495 — ქართულ ენაზე, 8380— უცხო ენაზე), 160 ალბომი, 1427 ხელნაწერი და 8 ათასზე მეტი სიგელ-გუჯარი, ხოლო მუზეუმში — 2432 სხვადასხვა არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთი, 550 ნაქსოვ-ნაკერი, 62 ქანდაკება, 585 მხატვრული ნაწარმოები და ისტორიულ პირთა პორტრეტები, 73 ძველი ფრესკის პირები, მდიდარი ნუმიზმატიკური კოლექციები და სხვ. ხელნაწერთა შორის ბევრი იყო ეტრატზე ნაწერი და დასურათებული. ქრონოლოგიურად უძველესი ხელნაწერები მიეკუთვნებოდნენ მეათე საუკუნეს, უახლესი — მეოცეს; სიგელ-გუჯართა შორის უძველესი იყო მე-12 საუკუნისა, უახლესი — მე-19 საუკუნის დასაწყისისა.[1]

---

[1] ექვთ. თაყაიშვილი, „მცირე უწყებანი...", გვ. 195.

მატერიალური და სულიერი კულტურის ასეთი ღირსშესანიშნავი ძეგლები, რომლებმაც თავი მოიყარეს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების წიგნსაცავ-მუზეუმში, დიდი ხნის მანძილზე დაუცავი და სათანადო შენობის გარეშე იყო მიტოვებული. საზოგადოების მესვეურთა დიდი მცდელობის მიუხედავად, ცალკე ეროვნული მუზეუმის გახსნა მაინც ვერ მოხერხდა. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების წიგნსაცავ-მუზეუმი (ისე როგორც წერა-კითხვის საზოგადოებისა) მოთავსებული იყო სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში და დიდ სივიწროვეს განიცდიდა. მიუხედავად ამისა, თავისი ღირებულებით იგი წარმოადგენდა ნამდვილ ეროვნულ საუნჯეს, რომლითაც დღეს ამაყობს ქართველი ხალხი.

საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას, როგორც მეცნიერული ქართველოლოგიის ცენტრს, მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა რუსეთისა და საზღვარგარეთის სამეცნიერო საზოგადოებებთან. ამის შესახებ საკმაო ცნობებს ვხვდებით საზოგადოების საბჭოს სხდომათა ოქმებში — ხშირ შემთხვევაში ითხოვდნენ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემებს და სანაცვლოდ უგზავნიდნენ თავიანთ შრომებს. ასე მაგალითად, 1910 წლის 9 თებერვალს (ოქმი N) 47) საბჭომ მიიღო მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების გამოცემები („Материалы по Археологии Кавказа", I-XII тт.), ხოლო გაუგზავნა თავისი კრებულის — „ძველი საქართველოს" 1-2 ტომები; იმავე წელს მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულმა „ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საიმპერატორო საზოგადოებამ" გადმოგზავნა თავისი გამოცემა „Этнографическое обозрение", ტ. 76-82 (ოქმი № 49) და სხვ. გარდა ამისა, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება დაკავშირებული იყო ისეთ ავტორიტეტულ სამეცნიერო საზოგადოებებთან, როგორიც იყო: — „კიევის სასულიერო აკადემიასთან არსებული საეკლესიო და საისტორიო-არქეოლოგიური საზოგადოება", „ოდესის ისტორიისა და სიძველეთა საიმპერატორო საზოგადოება", „მართლმადიდებელთა პალესტინის საიმპერატორო საზოგადოება" და სხვ.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა 1913 წელს თბილისში გამართულ რუს ექიმთა და ბუნებისმეტყველთა მეხუთე ყრილობაზე ექვთიმე თაყაიშვილის გამოსვლის შემდეგ, სადაც მან წაიკითხა მოხსენება საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ. ეს მოხსენება დაიბეჭდა ზემოხსენებული ყრილობის შრომების კრებულში 1916 წელს. მოხსენებაში ექვთ. თაყაიშვილმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა საზოგადოების მოღვაწეობის ორგვარ მიმართულებას: მასალების შეკრება მომზადებას წიგნსაცავ-მუზეუმისათვის და საგამომცემლო საქმიანობას. უკვე იმ დროისათვის საზოგადოების მოღვაწეობა ფრიად სასარგებლო და ნაყოფიერი იყო, როგორც ამას თვითონ ექვთ. თაყაიშვილიც აღნიშნავს.[1]

ეროვნული საუნჯის შექმნაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საექსპედიციო საქმიანობას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ექვთ. თაყაიშვილის აზრით, კარგად ორგანიზებულ ექსკურსიების (ექსპედიციების) გზით შეიძლებოდა საქართველოს წარსულისა და აწმყოს სათანადოდ შესწავლა. ექსპედიციებში მონაწილეობას იღებდნენ როგორც საზოგადოების საბჭოს წევრები, ისე საგანგებოდ მოწვეული მეცნიერები, მხატვრები, ხუროთმოძღვრები და ფოტოგრაფები. ექსპედიციების გზით წლების მანძილზე საზოგადოების წიგნსაცავ-მუზეუმისათვის შეგროვდა უამრავი უნიკალური საისტორიო, საეთნოგრაფიო, საარქეოლოგიო ძეგლები და ხალხური სიტყვიერების მასალები, ეკლესია-მონასტრებიდან გადმოღებულ იქნა ფრესკების პირები, წარწერები და სხვადასხვა დეტალები; ხდებოდა ქართული ენის კილოკავების შესწავლა და სხვ. 1910 წელს ლეჩხუმ-სვანეთის ექსპედიციის დროს, რომელსაც ექვთ. თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა, გადაღებულ იქნა სვანეთის ისტორიული ძეგლებისა და ხელოვნების ნიმუშების ფოტოპირები. ექსპედიციაში

---

[1] Е.С. Такаишвили. О деятельности грузинского общества истории и этнографии, იხ. კრებული „აკადემიკოსი ექვთ. თაყაიშვილი", თბ., 1966 წ., გვ. 208-212.

მონაწილეობდნენ ხუროთმოძღვარი სვ. კლდიაშვილი, ცნობილი ფოტოგრაფი დიმ. ერმაკოვი და თბილისის პირველი გიმნაზიის მასწავლებელი ივ. ნიჟარაძე; 1912 წელს ხუროთმოძღვრებმა კალგინმა და გრინევსკიმ გადმოიღეს ბოლნისის სიონის აღმოსავლეთის ფასადი, ფიტარეთის ტაძრის ფასადი, განაჭერი და დეტალები; ყინწვისის წმინდა ნიკოლოზის ტაძრიდან — ზაზა ციციშვილ-ფანასკერტელისა და პეტრე მოციქულის ფრესკები; არქიტექტორმა კალაშნიკოვმა გადმოიღო ბოდბისა და ჭერემის ტაძრების გეგმები; 1914 წელს ცნობილმა მხატვარმა-ფოტოგრაფმა თ. კიუნემ საზოგადოების საბჭოს დავალებით იმოგზაურა იოანე ნათლისმცემლისა და დავით გარეჯის უდაბნოში, საიდანაც გადმოიღო თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის ფრესკები; 1916 წელს რაჭაში იმოგზაურა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრმა აკაკი შანიძემ ადგილობრივი კილოკავების შესწავლის მიზნით, რომელმაც შემდეგ იქ შეკრებილი მასალები გააცნო საბჭოს წევრებს. 1917 წელს სამეცნიერო ექსპედიციები მოეწყო თორთუმსა და ისპირის ხეობებში, ნეკრესში, გრემსა და მცხეთაში. ექსპედიციებს მატერიალური დახმარება აღმოუჩინეს თბილისის სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულომ, კათალიკოსთა საბჭომ და ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ. ექსპედიციებში მონაწილეობას იღებდნენ: ექვთ. თაყაიშვილი, მხატვრები ს. პოლტარაცკი და ლ. გუდიაშვილი, ბიზანტოლოგი ბ. გორდეევი, ხუროთმოძღვარი ა. კალგინი, ეთნოგრაფი-ალპინისტი ი. ზდანევიჩი და სხვ. სულ 1907-1917 წლებში საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას 35 ექსპედიცია მოუწყია, მათ შორის სამეცნიერო თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქსპედიციებს სვანეთში, სამეგრელოსა და თორთუმ-ისპირში.

საყურადღებოა, რომ ქართული ტაძრებისა და მონასტრების კედლებს შემოუნახავთ არა მხოლოდ სასულიერი პირთა, არამედ ისტორიულ მოღვაწეთა ფრესკებიც, დაწყებული მე-7 საუკუნიდან, დამთავრებული მე-19 საუკუნით; ზოგჯერ იყო ჟანრობრივი სურათებიც. ასე მაგალითად, მცხეთის ტაძრის სამხრეთ კედელზე შემორჩენილი ყოფილა ქალების ცეკვა ნაციონალურ ტანსაცმელში,

რომელსაც ასრულებდნენ ტაძრის დღესასწაულის დროს. როგორც ექვთ. თაყაიშვილი მიუთითებს, ქართული ფრესკების მეცნიერული შესწავლა ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს როგორც ნაციონალური კულტურის ისტორიის გასაცნობად, ისე უცხო ქვეყნების (ბიზანტია, არაბეთი, სპარსეთი, თურქეთი და სხვ.) კულტურული გავლენის დასადგენად.[1]

საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების, როგორც სამეცნიერო-საგანმანათლებლო საზოგადოების ავტორიტეტის ამაღლებას ხელს უწყობდა მის საქმიანობაში პროფესორ ივანე ჯავახიშვილის მონაწილეობა. იგი საზოგადოების დაარსებისთანავე ღრმად თანაუგრძნობდა მის მიზნებსა და ამოცანებს. 1907-1910 წლებში ივ. ჯავახიშვილი პეტერბურგიდან თბილისში ჩამოსვლისას ხშირად გამოდიოდა საზოგადოების საჯარო სხდომებზე საყურადღებო ლექცია-მოხსენებებით. მაგალითად, 1908 წელს ივ. ჯავახიშვილს წაუკითხავს საინტერესო მოხსენება თემაზე: „ქართველ ისტორიკოსთა ფილოსოფიურ და მეთოდოლოგიურ შეხედულებათა განვითარება VIII-XII საუკუნეებში"; 1910 წლის 27 მაისს — „საქართველოს ეკონომიკური ვითარება მონღოლების დროს" და სხვ.

1919 წლის 5 ოქტომბერს, ექვთ. თაყაიშვილის წინადადებით, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ივანე ჯავახიშვილი აირჩია საზოგადოების საბჭოს წევრად. ამ დროისათვის იგი უკვე საქართველოში მოღვაწეობს და მისი მონაწილეობაც საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობაში უფრო ინტენსიურია: სისტემატურად ესწრება საბჭოს სხდომებს, გამოთქვამს საყურადღებო მოსაზრებებსა და რჩევებს საბჭოს მუშაობის სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, კითხულობს ლექცია-მოხსენებებს ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა: „ვეფხისტყაოსნის" კრიტიკული შესწავლის საფუძველი: საკითხი ამბავის სადაურობისა, დროისა და ავტორის პიროვნების შესახებ", „ქართული ანბანის განვითარება ისტორიულ ხანაში და მისი წარმოშობის საკითხი", „ქართლის ცხოვრების" ხელნაწერებისა და თამარ მეფის ისტორიკოსის შესახებ",

---

[1] Е. Такаишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 210.

„იაფეტური ენათმეცნიერების ზოგიერთი ძირითადი საკითხი“ და სხვ.

1924 წლის 2 თებერვალს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო კრებამ საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარედ პროფესორი ივანე ჯავახიშვილი აირჩია, რომელიც ამ დროისათვის იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. საბჭოთა პერიოდში ივ. ჯავახიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში არსებული მატერიალური კულტურის სიძველეთა რეგისტრაციისა და მათი დაცვის ორგანიზაციის საქმეში.[1]

ივანე ჯავახიშვილის გარდა, სხვადასხვა დროს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს სხდომებსა და საჯარო კრებებზე საყურადღებო ლექცია-მოხსენებები წაუკითხავთ: სერგი გორგაძეს („ადერკი მეფე და ეგრეთ წოდებული ორმეფობის ხანა ძველს ივერიაში“, „ივერიის მეფე ვახტანგ I და მისი დრო“), იუსტინე აბულაძეს („მე-12 საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთაველის ვეფხისტყაოსანი“), დავით კარიჭაშვილს („დავით დიდი კურაპალატის გენეალოგია“, „ვინ უნდა იყოს სუმბატის ქრონიკის დამწერი“), გიორგი ჩუბინაშვილს („ქართული ბაზილიკა“), კორნელი კეკელიძეს („ქართული აგიოგრაფიული მწერლობის სამეცნიერო მნიშვნელობა“), ალექსანდრე ჯავახიშვილს („საქართველოს ეკონომიკური წესწყობილება და მდგომარეობა XVII-XVIII საუკუნეებში“), მოსე ჯანაშვილის („ინგილოთა ყოფა-ცხოვრებისა და ენის შესახებ“), სარგის კაკაბაძეს („მეფის კურთხევის წესი და განგება მე-13 საუკუნეში“) და სხვ.

განსაკუთრებით საინტერესო მოხსენებები წაუკითხავს ექვთიმე თაყაიშვილს, მათ შორის აღსანიშნავია: „ქალაქის მოურავის სარგო და უფლებანი (ოქმი № 19, 1909 წ.), „სამეფო კარის გარიგება ძველ საქართველოში“ (ოქმი № 39, 1910 წ.), „დარბაზობა მეფისა და სიგელის გაცემის წესი“ (ოქმი № 46, 1911 წ.), „ბორჩალოს მაზრის

---

[1] იხ. ლამარა გოდერიძე, ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, ჟურნ. „მნათობი“, № 10, 1976წ., გვ. 138-142.

ქართული ნაშთები და მათი წარწერანი“ (ოქმი № 74, 1913 წ.), „საარქეოლოგიო მოგზაურობის შესახებ იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიებში) (ოქმი № 89, 1914 წ.), „ლეჩხუმის ეკლესიები“ (ოქმი № 118, 1916 წ.), „მცირე უწყება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობის პირველი ათი წლის განმავლობაში (1907-1917) და სხვ.

ეროვნული საუნჯის შექმნაში თავისი წვლილი შეიტანა ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1912 წლის 17 ივნისს. პირველი გამგეობა არჩეულ იქნა 1913 წლის 18 თებერვალს. გამგეობაში შევიდა 13 კაცი, მათ შორის: ტრიფონ ჯაფარიძე (თავმჯდომარე), სამსონ ყიფიანი (თავმჯდომარის ამხანაგი), ვუკოლ ბერიძე (მდივანი), გრიგოლ გველესიანი (მუზეუმის გამგე), სამსონ ქვარიანი, ვიქტორ ასათიანი და სხვ.

საზოგადოების მთავარ დანიშნულებას შეადგენდა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის გახსნა და სამუზეუმო ნივთების შეგროვება. გამგეობის საქმიანობის დახასიათება მოცემულია საზოგადოების ანგარიშებში, რომლებიც ყოველწლიურად ქვეყნდებოდა. ამ ანგარიშებიდან ჩანს, თუ როგორ ზრუნავდა საზოგადოება თავისი მატერიალური სახსრების გასაძლიერებლად, რათა მკვიდრ ნიადაგზე დამდგარიყო და ეთავა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გაბნეული ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა. ამ მიზნით იგი იღებდა სხვადასხვა სახის შემოწირულობებს, მართავდა ლექცია-მოხსენებებს, საქველმოქმედო საღამოებს და სხვ.

ამგვარ ღონისძიებებში ჩაბმული იყო ქუთაისის ინტელიგენციის არაერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომლებიც ითვლებოდნენ საზოგადოების წევრებად. მათ შორის აღსანიშნავია: კირილე ლორთქიფანიძე, ალექსანდრე ლორთქიფანიძე, თედო ჟორდანია, სამსონ ყიფიანი, მოსე ქიქოძე, იაკობ ფანცხავა, სილოვან ხუნდაძე, დავით ბაქრაძე, თეოფილე ხუსკივაძე, ალექსანდრე გარსევანიშვილი, გიორგი ზდანევიჩი, დიმიტრი უზნაძე და სხვ.

ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც 1916

წელს გაიხსნა მისი განყოფილება ტრიფონ ჯაფარიძის თავმჯდომარეობით. იგი ამავე დროს ხელმძღვანელობდა საზოგადოების მუზეუმს, სადაც თანდათანობით თავი მოიყარა მრავალმა უნიკალურმა ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა ნივთმა. შემდეგში ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ შეკრებილი მდიდარი სამუზეუმო კოლექციები საფუძვლად დაედო ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს, რომელსაც 1965 წელს ნ. ბერძენიშვილის სახელი მიეკუთვნა.

ქართველ ქალთა თვითმოქმედი საზოგადოებები

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მოწინავე ქართველმა ქალებმა. მათ დიდი ამაგი დასდეს ქართველი ხალხის განათლებისა და მისი ეროვნული ცნობიერების განვითარების საქმეს: ისინი ხსნიდნენ ეროვნულ სკოლებს მთავრობის გამარუსებელი სკოლების საპირისპიროდ, აარსებდნენ სახალხო კლუბებსა და თეატრებს, თარგმნიდნენ წიგნებს და ა.შ.

ყოველივე ამისათვის საჭირო მატერიალური სახსრების მოსაპოვებლად ქართველ ქალთა ინიციატივითა და მათი უშუალო მონაწილეობით იმართებოდა საქველმოქმედო საღამოები, წარმოდგენები, ლატარია-ალეგრა და ასე კაპეიკობით გროვდებოდა ფული უამრავ კეთილ საქმეთა საკეთებლად. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც ხშირად ქართველ ქალთა მიერ ამგვარი საშუალებებით შეკრებილი ფულით საზრდოობდა.

მათი ამაგი მით უფრო დასაფასებელია, თუ გავითვალისწინებთ იმ რთულ სოციალურ და პოლიტიკურ გარემოს, რომელშიც უხდებოდათ მოღვაწეობა. მიუხედავად ამისა, ქართველ ქალთა მთელი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა მიმართული იყო ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკის წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა განათლების გავრცელების გზით ქართველი ხალხის ეროვნული

თვითშეგნების ამაღლებას, — „ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა მარტო ქველმოქმედებას კი არ ემყარებოდა, — აღნიშნავს ცნობილი მოღვაწე ნინო ყიფიანი, — არამედ იგი იყო ფართო საზოგადოებრივი შემოქმედებითი მუშაობა ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკის წინააღმდეგ".[1]

ქართველ ქალთა საზოგადოებრივ-შემოქმედებით მუშაობაში მთავარი ადგილი ეროვნული სკოლისათვის ბრძოლას ეკუთვნოდა, რადგანაც მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე ქართველი მოზარდი თაობა განათლებას მისთვის უცხო სკოლაში იღებდა, რომელსაც ხელისუფლება იარაღად იყენებდა მისი გარუსებისათვის. ამას თავისთავად მძიმე შედეგები მოჰქონდა — შეირყვნა და დაქვეითდა დედაენა, დაეცა ერის სულიერი შემოქმედებითი ძალა, უცხო ნიადაგზე აღზრდილ ახალგაზრდობას ეროვნული პრობლემები ნაკლებად აწუხებდა; ბევრი გადაგვარებული ქართველი ქალი, პატრიოტი მამულიშვილების ნაცვლად, ერს ასევე გადაგვარებულ შვილებს უზრდიდა. ასეთ ვითარებაში, ნ. ყიფიანის სიტყვით, „დასამონავებლად მოჭერილი მუხრუჭებიდან თავის ხსნა მხოლოდ ძლიერი ეროვნული გრძნობების შეგებებითა და კულტურული ბრძოლით შეეძლო პატარა საქართველოს, ხალხის გამოფხიზლებით, რომ თვით ხალხს მოეფშვნიტა თვალები, ეგრძნო რა ხდება მის გარშემო და დაეცვა თავისი თავი".[2]

მოწინავე მანდილოსანთა აზრით, ეროვნულ-პატრიოტული გრძნობების აღზრდა ყველაზე უკეთ შეეძლო ქართველ ქალს, რომელიც ბუნებით იყო მოწოდებული ამისათვის, მაგრამ ჯერ თვითონ ქალი უნდა ყოფილიყო ეროვნულად აღზრდილი და გათვითცნობიერებული. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ იმდროინდელი მოწინავე ქალები: ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა, მარიამ ჯამბაკურორბელიანი, დომინიკა ერისთავი (განდეგილი), ეკატერინე გაბაშვილი, ნინო ყიფიანი, მარიამ დემურია, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, ნინო ნაკაშიძე, ეკატერინე მესხი, კატო ნიკოლაძე,

---

[1] აკად. გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმი, ნინო ყიფიანის არქივი, № 2343.
[2] იქვე. № 2280.

ეკატერინე სარაჯიშვილი, ოლღა გურამიშვილი-ნიკოლაძისა, მართა სოლოლაშვილი, მარიამ მაჩაბელი, ვერა მიქაბერიძე და სხვები თავდაუზოგავად იღვწოდნენ ქალთა განათლებისა და მათი გათვითცნობიერებისათვის.

როგორც ნინო ყიფიანი გადმოგვცემს, ქართველ ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობით დაინტერესებას ხელი შეუწყო „ტფილისის ქალთა წრის კომისიის“ საქმიანობამ რომელიც დაარსდა 1907 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“.

ნინო ყიფიანი (1867-1937 წწ.) ცნობილი მსახიობის კოტე ყიფიანის მეუღლე და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის რძალი, თავისი ლიტერატურული და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობით ღირსეულად აგრძელებდა ოჯახურ ტრადიციებს. მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, თეატრის მეცენატი ნინო მუდამ გვერდში ედგა თავისი დროის ღვაწლმოსილ ქართველ მანდილოსნებს და მათთან ერთად ზრუნავდა ქართველი ხალხის გათვითცნობიერებისა და კულტურული წინსვლისათვის. მისი აქტიური მონაწილეობით დაარსდა არაერთი თვითმოქმედი ეროვნულ-კულტურული საზოგადოება: „ქართველ ქალთა საზოგადოება“, „ქართული საქველმოქმედო საზოგადოება“, საზოგადოება „იმედი“, „ქალთა კომიტეტები“ და სხვ. ნინო ყიფიანი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი და აქტიურად იყო ჩაბმული მის საქმიანობაში.

ამგვარად, ნინო ყიფიანი, ღვაწლმოსილი ქართველი მანდილოსანი, იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში იდგა, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მის მოგონებებსა და წერილებს, რომლებიც ეხება ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ჩვენთვის საინტერესო პერიოდში. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი წერილი „ქართველი ქალის კულტურული მოღვაწეობა მე-19 საუკუნის მიწურულში რუსეთიდან გამოყოფამდე“. წერილი დათარიღებულია 1928 წლით და დაცულია აკად. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში (ნ. ყიფიანის არქივი, № 2280).

ნ. ყიფიანის არქივში დაცული მასალებიდან ცნობილი ხდება, რომ „ტფილისის ქალთა წრის კომისიის“ შექმნა უკავშირდება 1907 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ფონდის დაფუძნებას, რომელიც ქართული ლიტერატურისა და განათლების გავრცელებას უნდა მოხმარებოდა. ამასთან დაკავშირებით ნინო ყიფიანი გადმოგვცემს: — „ამის თაობაზე მარიამ დემურიამ თავის ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქციაში მოიწვია ქალთა კრება იმ მიზნით, რომ ილიას სახელის ხსოვნა ქალებსაც აღენიშნათ რითიმე... ქალებმა გადაწყვიტეს წერა-კითხვის საზოგადოებასთან დაარსებული ფონდის გაძლიერებისათვის ქალთა კომისიის შედგენა და ამ საზოგადოების სახელით მუშაობა, ვინაიდან საერთო ძალით შევქმნით საერთო ფონდს ლიტერატურისა და სწავლა-განათლებისათვის და ეს ფონდი არა ერთ ქართველ ქალსაც აღზრდის უმაღლეს სასწავლებელში. მით უმეტეს, რომ თვით ილია ეტრფოდა ასეთი ფონდის შექმნასაო. ამ დადგენილების წერა-კითხვის გამგეობასთან შეთანხმებით, ქალთა მეორე კრებამ აირჩია 25 ქალისაგან შემდგარი კომისია და შეუდგა მუშაობას“.[1]

„ქალთა კომისიაში შევიდნენ: მარიამ დემურია, ეკატერინე გაბაშვილი, ნინო ნაკაშიძე, ნინო ყიფიანი, ანა პავლიაშვილი-თიკანაძისა, ნინო ჯორჯაძე, ელენე დარჩიაშვილი, ელენე ბროძელი-ანტონოვსკაია, თამარ ბაქრაძე, ნინო ბერელაშვილი, ელენე თულაშვილი, თამარ ფორაქიშვილი, ნინო უგრელიძე, ანა ამირაჯიბი-ქიქოძისა და სხვ“.[2]

„ქალთა კომისიამ“ შეიმუშავა „მოწოდება ქართველ საზოგადოებისადმი“, რომელსაც თან ერთვოდა ჩეხების „მატიცას“ მოკლე ისტორია (თარგმანი კიტა აბაშიძისა). „მოწოდებაში“ კომისია თხოვნით მიმართავდა მთელ ქართველ მოსახლეობას — მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას — ყველას განურჩევლად წოდებისა, სოციალური მდგომარეობისა და პოლიტიკური მიმართულებისა, ვისაც გული

---

[1] აკად. ვ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმი, ნ. ყიფიანის არქივი, 2363, ფურ. 3. იქვე.

შესტკიოდა საზოგადო საქმეზე, მონაწილეობა მიეღო ილიას ფონდის გაძლიერებაში. „მატიცასთან“ დაკავშირებით „მოწოდებაში“ ნათქვამია — „ეს გეტყვით თქვენ, რა შესძლებია ერის ძლიერ-სულოვანობას, რა საქმეებს ქმნის „კაპეიკი“. ჩვენ ვითხოვთ მხოლოდ კაპეიკებს, მაგრამ ვითხოვთ ყველასაგან“.

„მოწოდებას“ საქართველოს თითქმის ყველა კუთხე დიდი თანაგრძნობით შეხვდა. ამის მაჩვენებელია ისიც, რომ 1908 წლისათვის ქალთა ანალოგიური წრეები მუდმივმოქმედი კომისიებით დაარსდა თელავში, სიღნაღში, ახალციხეში, გორში, ოზურგეთში, ხონში, ბათუმში, სოხუმში და სხვ. ამავე მიზნით მოქმედებდნენ კერძო პირებიც ბორჯომში, ყვირილაში, საჩხერეში, სურამში, ხაშურში, მცხეთაში, ფასანაურში, ცხინვალში, კავკავში, პეტერბურგში, მოსკოვში, ყარსში, პეტროვსკში, ნოეობაიაზეთში. წრის წევრი ქალები მართავდნენ წარმოდგენებს, ლიტერატურულ და საქველმოქმედო საღამოებს, დადიოდნენ სოფელ-სოფელ, კარდაკარ, სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ და ასე კაპიკ-კაპიკობით აგროვებდნენ შემოწირულობებს ილიას ფონდის გასაძლიერებლად. ქალთა კომისიების დაუღალავი მუშაობის შედეგად 1908 წელს ილიას ფონდი შეადგენდა 10.818 მანეთს, რომელიც ხელუხლებელ თანხად ითვლებოდა. მაგრამ შემდეგში, წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ ამ ფონდის დანიშნულება შეცვალა და განიზრახა იგი გამოეყენებინა საზოგადოების წიგნსაცავ-მუზეუმისათვის მიწის ნაკვეთის შესაძენად.

— „ ეს თავისთავად იქნება საპატიო მიზეზიც იყო ილიას ფონდის დანიშნულების შეცვლისათვის, — წერს ნ. ყიფიანი, — მაგრამ ქალთა კომისიას მაინც გაუცრუვდა ამ ფონდზე დაყრდნობილი მომავალი იმედები ცოცხალი კულტურული საქმეების შექმნისა, ამით ნიადაგიც გამოეცალა და მოქმედების ხალისიც დაკარგა“.

მიუხედავად ქალთა კომისიების ხანმოკლე არსებობისა (1907-1909 წწ.), მათ საქმიანობას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ქველმოქმედების გარდა, ეროვნული მნიშვნელობაც ჰქონდა. თვითმოქმედმა კომისიებმა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის გამოაღვიძეს ქალთა ფართო ფენები და გაუღვიძეს ინტერესი საერთო-სახალხო საქმისადმი. აღსანიშნავია, რომ ქალთა კომისიების დაშლის შემ-

დეგ, თითქმის ყველგან, სადაც ისინი მოქმედებდნენ, შეიქმნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებები. რაც მთავარია, ქალთა კომისიებმა „დათესეს ქალთა წრეებში თესლი ნაყოფიერი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისა... მიზანი კი იყო კულტურული შებრძოლებით თვითმპყრობელური რუსეთის მთავრობის გამარუსებელი პოლიტიკის შენელება ჩვენი გადარჩენისათვის“ — წერს ნინო ყიფიანი.

მთავრობის გამარუსებელი საგანმანათლებლო პოლიტიკის საპირისპიროდ, ქართველ ქალთა ეროვნული სწავლა-აღზრდის საქმეს თავდადებით ემსახურებოდა საზოგადოება „განათლება“, სადაც ქართველი მანდილოსნები თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე დიდი შემართებით იბრძოდნენ ეროვნული სკოლებისათვის.

„განათლების“ საზოგადოების ისტორიის ამსახველი მასალები დაცულია თბილისის სახალხო განათლებისა და აკადემიკოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმებში. ამ მასალების დიდი ნაწილი 1976 წელს ჩვენ გამოვაქვეყნეთ ჟურნალ „საისტორიო მოამბეში“.[1] აქ არის საზოგადოების წესდება, საერთო კრებების ოქმები, მოხსენებები, წლიური ანგარიშები, ინსტრუქციები, მოგონებები და სხვა საყურადღებო დოკუმენტები, რომლებიც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს „განათლების“ საზოგადოების მოღვაწეობის შესასწავლად.

საზოგადოების დამფუძნებელთა აზრით, ქალი ითვლებოდა ოჯახისა და ერის ბურჯად, მის განათლებაზე ბევრად იყო დამოკიდებული მომავალი თაობის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა, მათში მაღალი მოქალაქეობრივი თვისებების ჩამოყალიბება. ამ მიზნით, ჯერ კიდევ 1902 წელს, თბილისში, ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის ინიციატივით, მოწინავე ქართველ ქალთა ერთმა ჯგუფმა შეადგინა პატარა წრე (კომიტეტი), რომელმაც გადაწყვიტა საკუთარი სახსრებით გაეხსნა ქალთა სკოლა ღარიბი ხალხის შვილებისათვის, სადაც მთავრობის სახაზინო სკოლების

---

[1] ლ. გოდერიძე, მასალები საზოგადოება „განათლების“ ისტორიისათვის, ჟურნ. „საისტორიო მოამბე“, ტ. 33-34, 1976 წ., გვ. 117-222.

საპირისპიროდ, სწავლება მშობლიურ ენაზე განხორციელდებოდა. ქალთა წრეში შედიოდნენ: ეკატერინე მესხი, მარიამ ბარათაშვილი, ანა პავლიაშვილი-თიკანაძისა, ნინო უგრელიძე, ნინო ბარათაშვილი, ელენე ყაზბეგი და ვერა მიქაბერიძე. ქალთა წრეს დიდად თანაუგრძნობდნენ და მონაწილეობდნენ კიდეც მის საქმიანობაში ოლღა ჭავჭავაძე და ეფროსინე ჭიჭინაძე (ნ. ნიკოლაძის ასული). ოლღა ჭავჭავაძე ხშირად ამბობდა თურმე, ამ საქმისათვის არ დავიშურებ ჩემს საგურამოს მამულსაცაო. წრის წევრებს ქალთა კომიტეტის თავმჯდომარედ თავდაპირველად მოუწვევიათ მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი.[1]

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი (1852-1941 წწ), ერეკლე მეფის საყვარელი ასულის, თეკლა ბატონიშვილის შვილიშვილი და ცნობილი პოეტის, ვახტანგ ორბელიანის ერთადერთი ასული, იმ დროისათვის აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. ჯერ კიდევ 1882 წელს მარიამი არჩეული იყო თბილისის ვაჟთა სათავადაზნაურო სკოლის კომიტეტის წევრად, შემდგომში — მის თავმჯდომარედ. 1886 წლიდან იყო „მასწავლებელ ქალთა საზოგადოების წევრი“ და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქართველ საზოგადოებაში; ამიტომ, მის მოწვევას ქალთა წრისათვის ბევრი სარგებლობის მოტანა შეეძლო, მაგრამ, როგორც ჩანს, ქალთა შორის არ იყო ერთიანი აზრი სკოლის დაარსების შესახებ; ზოგიერთი მოითხოვდა დიდი სასწავლებლის გახსნას, რაც დიდ სახსრებთან იყო დაკავშირებული. ამ აზრს მხარს უჭერდა მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანიც („ან დიდი სკოლა, ან არაო“). წრის სხვა წევრები უფრო პრაქტიკულად უყურებდნენ საქმეს. მათ მიაჩნდათ, რომ სანამ დიდ თანხას იშოვნიდნენ, ჯერ გაეხსნათ დაწყებითი სკოლა და შემდეგ გაეფართოებინათ. შეთანხმება ვერ მოხერხდა და ზოგი მათგანი, მათ შორის მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანიც, ჩამოშორდა საქმეს.

1902 წლის გაზაფხულისათვის თბილისის ქალთა წრემ ნიკო ცხვედაძის დახმარებით მოახერხა ვინმე ვორობიოვას ქალისაგან

---

[1] სახალხო განათლების მუზეუმი, № 2100, საქ. 45, ფურ.I.

შეეძინა პატარა სასკოლო შენობა, რომელიც ვერაზე, ყაზბეგის ქუჩაზე მდებარეობდა და იქ გახსნა დაწყებითი სასწავლებელი ქალებისათვის. ქუჩის სახელის მიხედვით სკოლას „ყაზბეგის სკოლა“ ეწოდა.

თავდაპირველად ყაზბეგის სკოლა მეტად კეთილმოუწყობელი იყო: აკლდათ სასკოლო ინვენტარი, სახელმძღვანელოები, არ ჰყავდათ მასწავლებლები. მიუხედავად ამისა, იმდენად დიდი აღმოჩნდა სკოლაზე მზრუნველ ქალთა ენთუზიაზმი, რომ სულ მოკლე ხანში შესაძლებელი გახდა ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვა და სკოლის ფეხზე დაყენება. წრის წევრი ქალები: ეკ. მესხი, ან. პავლიაშვილი-თიკანაძისა, ნ. ბარათაშვილი, ნ. ყიფიანი, ვ. მიქაბერიძე საქველმოქმედო საღამოებს მართავდნენ თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში; ლიზა ყაზგებმა სკოლას შესწირა წინდების საქსოვი მანქანა; მისივე დახმარებით წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ სკოლას დაუნიშნა წელიწადში 60 მანეთი, ნატალია ხერხეულიძემ შემოსწირა 100 მანეთი, ეკატერინე სარაჯიშვილმა გაიღო ყოველწლიური 200 მანეთის დახმარება და სხვ.

ყაზბეგის სკოლის გამგედ დაინიშნა ვერა მიქაბერიძე. სკოლაში ასწავლიდნენ ანგარიშს, ქართულ ენას, საქართველოს ისტორიას, საქართველოს გეოგრაფიას, ხატვას, მუსიკას, ხელგარჯილობას. ყველა საგანი ისწავლებოდა ქართულ ენაზე, რაც, რა თქმა უნდა, არაოფიციალურად ხორციელდებოდა, როგორც მთავრობის საწინააღმდეგო ქმედება.

სკოლაში თავდაპირველად პედაგოგებად მუშაობდნენ: ეფემია გიორგიევა, გიორგი ნატრაძე, ვერა მიქაბერიძე, სალომე სულხანიშვილი, ზინაიდა სმირნოვა და სხვ., რომლებსაც დიდი შრომა უხდებოდათ რუსული სახელმძღვანელოების გადმოსაქართულებლად.

მოსწავლეთა სოციალური შემადგენლობის მიხედვით ყაზბეგის ქალთა სკოლა უმთავრესად ღარიბი ხალხის შვილებისაგან შედგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სწავლის ქირა მცირე იყო (24 მანეთი წელიწადში), მისი გადახდა მაინც უჭირდათ მოსწავლეთა მშობლებს.

1905 წლის რევოლუციის დროს სკოლას მატერიალურად ძლიერ გაუჭირდა და დახურვის საშიშროების წინაწე აღმოჩნდა. ამასთან დაკავშირებით გამგეობის მოხსენებაში ვკითხულობთ: — „ისე სამძიმო იყო საერთოდ ყველასათვის მოსალოდნელი სკოლის დაკეტვა, რომ ყველას ვთხოვდით ფულს, პირის კანს ვაცლიდით და ძლივძლივობით ბაქოდან მივიღეთ 100 მან. სამეურნეო ბანკიდან — 100 მან. და ქართული წარმოდგენიდან 400 მან. ამითი ცოტა არ იყოს ხელი მოვითბეთ და წლის ბოლომდის წავიყვანეთ საქმე“.[1]

მიუხედავად ამგვარი გაჭირვებისა, სკოლის გამგეობა მაინც ახერხებდა საარსებო წყაროს გამოძებნას. 1905 წლისათვის სკოლის ხარჯი შეადგენდა 2990 მანეთს, შემოსავალი — 2338 მანეთს. შემოსავლის წყაროებში შედიოდა: ეკ. სარაჯიშვილისაგან — 200 მანეთი, სამეურნეო ბანკიდან — 100 მანეთი, საწევროებიდან — 100 მანეთი, სწავლის ფულიდან — 480 მანეთი, თავადაზნაურობიდან — 936 მანეთი, არტისტული საზოგადოებიდან — 50 მანეთი, ქალაქის თვითმმართველობიდან — 200 მანეთი, თეატრიდან — 500 მანეთი და სხვ.[2]

1906 წლის 8 მაისს სკოლის გამგეობის კრებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ: ნინო ბარათაშვილი, ვერა მიქაბერიძე, ეკატერინე მესხი, ანა პავლიაშვილი, ტერეზია ხმიადოვა, ანა არდაზიანი, ანა წერეთელი და პედაგოგები: პეტრე სურგულაძე, ივანე რატიშვილი, გიორგი ნატრაძე და გერასიმე იმნაიშვილი, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მომავალი წლიდან გაეხსნათ ქალთა ქართული პროგიმნაზია ორი მოსამზადებელი განყოფილებითა და ოთხი კლასით. ამასთან დაკავშირებით შედგა კომისია (ივ. რატიშვილი, ვ. მიქაბერიძე, ტ. ხმიადოვა, ან. არდაზიანი, ნ. წერეთელი), რომელსაც უნდა შეედგინა სასწავლო პროგრამა და ეზრუნა მატერიალური წყაროების გამონახვაზე,[3] მაგრამ, ყაზბეგის ქალთა სკოლას დიდხანს არ

---

[1] სგმ, № 2210, საქ. 50, ფურ. 4-5.

[2] იქვე.

[3] სგმ, № 2020, საქ. 38, ფურ. 1-2.

დასცალდა „არალეგალური“ მუშაობა; 1908 წლის 19 აპრილს სკოლას თავს დაესხა სასწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი, რომელიც მოსწავლეთა გამოკითხვის შემდეგ ძლიერ აღშფოთდა და განრისხებულმა დატოვა სკოლა მუქარით — თუ რუსულ ენაზე არ შემოიღებდნენ სწავლას, სკოლას დახურავდა.

იმავე დღეს შეიკრიბნენ სკოლის პედაგოგები, ქალთა წრის წევრები (სკოლის გამგეობა), მოსწავლეები და მათი მშობლები, ქართული გიმნაზიის პედაგოგები. კრებამ პროტესტის ნიშნად გადაწყვიტა სწავლა კვლავ მშობლიურ ენაზე გაეგრძელებინათ — „ძალლსაც კი აქვს თავისი ენა და ჩვენ რაღა დავაშავეთო“[1] — ამბობდნენ მშობლები. ერთ-ერთ მოგონებაში, რომლის ავტორი უცნობია, ვკითხულობთ: — „ისიც კი დანაშაულად ჩაგვითვალეს, რომ სკოლას ყაზბეგისას ვეძახდით, თუმცა სხვა ქუჩაზე გადავედით; ალბათ თქვენი მწერლის სახსოვრად დაგირქმევიათო...“ რედოლფმა პირდაპირ განაცხადა: თუ გინდათ ბოლოს საკერავი სკოლა იქონიეთ, მაშინის სატრიალებლად რა საჭიროა წიგნის სწავლაო“.[2]

1908 წლის 1 მაისს მთავრობამ ყაზბეგის ქალთა სკოლა დახურა. ამ დროისათვის სკოლაში სწავლობდა 50-ზე მეტი მოსწავლე. სკოლის დახურვამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში. ამ ამბავს ფართოდ გამოეხმაურა ქართული პრესაც. ჟურნალი „განათლება“ წერდა: „შესაძლებელია ჩვენმა დღევანდელმა წელკავიანმა საზოგადოებამ შესაფერისად ვერ დააფასოს ქალთა წრის მიერ გადადგმული ნაბიჯი, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ თუ ჩვენ რაიმე მომავალი გვაქვს, ესეთ ქალთა წრის გადაწყვეტილება შესაფერად დაფასდება და აღინიშნება როგორც ერთი ძლიერი პროტესტთაგანი ამ მუდმივი იერიშის წინაშე, რომელიც ჩვენს გასანადგურებლად მომართულია აგერ 100 წელიწადია“.[3]

სკოლის გამგეობის გადაწყვეტილებით, მოსწავლეები რომ არ დაფანტულიყვნენ, საჭირო გახდა ოფიციალური საზოგადოების დაარსება.

---

[1] სგმ, № 2089, საქ. 37, ფურ. 1-5.
[2] სგმ, № 2037, საქ. 45, ფურ. 4.
[3] ჟურნ. „განათლება“, № 5-6, 1908 წ., გვ. 116-117.

1908 წლის 13 ივნისს თბილისის გუბერნატორმა ა. ჩერნიავსკიმ დაამტკიცა საზოგადოება „განათლების“ წესდება. წესდების მიხედვით საზოგადოების მიზანს შეადგენდა განათლების გავრცელება თბილისის გუბერნიის მოსახლეობაში და მათთვის მატერიალური დახმარების აღმოჩენა. საზოგადოებას უფლება ეძლეოდა გაეხსნა პირველდაწყებითი და საშუალო სასწავლებლები, დახმარება გაეწია ღარიბი მოწაფეებისათვის სწავლა-განათლების საქმეში, რომლებიც სწავლობდნენ საზოგადოების მიერ გახსნილ სკოლებში, დაეარსებინა სკოლებთან მუზეუმი და ბიბლიოთეკა.[1]

საზოგადოების მატერიალურ სახსარს შეადგენდა: საწევრო გადასახადი, უძრავ-მოძრავი ქონების შემოსავალი, სხვადასხვა სახის შემოწირულობანი, შემოსავალი საზოგადოების მიერ ჩატარებული ღონისძიებებიდან და სხვ.

საზოგადოების მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა საერთო კრება, სადაც იხილებოდა მნიშვნელოვანი საკითხები /წლიური ანგარიშები, ხარჯთაღრიცხვები, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენებები, საზოგადოების სასწავლებლის ანგარიშები და სხვა/; საზოგადოების საქმეებს უშუალოდ განაგებდა საერთო კრების მიერ არჩეული გამგეობა /საბჭო/ 7 კაცის შემადგენლობით. გამგეობა ირჩეოდა ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ. მის მოქმედებას კონტროლს უწევდა სარევიზიო კომისია 3 წევრის შემადგენლობით, რომელიც ანგარიშვალდებული იყო საერთო კრების წინაშე.[2]

1908 წლის 19 ივნისს არჩეულ იქნა „განათლების“ საზოგადოების პირველი გამგეობა, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა (თავმჯდომარე), ნინო ბარათაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), გიორგი ნატრაძე (ხაზინადარი) და ნინო ერისთავი (მდივანი).

ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა (1894-1932 წწ.) ცნო-

---

[1] საზოგადოება „განათლების“ წესდება, ტფ., 1909წ., სახალხო განათლების მუზეუმი, № 2099, საქ. 15, ფურ. 1-5.

[2] იქვე.

ბილი საბავშვო მწერალი, პუბლიცისტი, ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქტორი (გიორგი წერეთლის მეუღლე), აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობაში. ჯერ კიდევ 1886 წელს მისი ინიციატივით დაარსდა „თბილისის მასწავლებელ ქალთა საზოგადოება“, იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი, „განათლების“ საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარე (1908-1925 წწ.). აი რას წერს გაზეთი „სახალხო ფურცელი“ „განათლების“ საზოგადოების შესახებ: — „ამ საზოგადოებამ, რომლის გარშემო უმთავრესად შემოკრებილნი არიან ტფილისის ქართველი ქალები პატ. ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის მეთაურობით, უკვე დაიმსახურა საყოველთაო პატივისცემა და თანაგრძნობა. მის მიერ დაარსებული საქალო სასწავლებელი ერთი საუკეთესოთაგანია მთელს ტფილისში და სასწავლებლის ხელმძღვანელთა უდიდესი ღირსება ისაა, რომ ყოვლის ღონით ცდილობენ დაუახლოვდნენ ხალხს, სკოლა დაუკავშირონ საზოგადოებას და ცხოვრებას და მისცენ მას, რაც შეიძლება ეროვნული ხასიათი, თავგამოდებით ემსახურებიან საქმეს და თავის საკუთარის ინიციატივითა და მეცადინეობით ახერხებენ უზრუნველყონ სასწავლებლის არსებობის ქონებრივი მხარე, მიუხედავად იმისა, რომ ათასნაირი დაბრკოლება და გაჭირვება ეღობებათ წინ. ქართველი საზოგადოება სამართლიანის ნდობითა და ყურადღებით ეპყრობა „განათლების“ მოღვაწეებს და მათ სასწავლებელს, რადგან ნათლად ხედავს მათ მუშაობაში საქმის სიყვარულს, უნარს, ენერგიას და სიმტკიცეს სასწავლებლის ყოველმხრივი წარმატებისა და დაწინაურებისათვის“.[1]

საზოგადო საქმისადმი უდიდესი თავდადება და ერთგულება ამოძრავებდათ ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის გარშემო შემოკრებილ პატრიოტ-მოღვაწე ქალებს: ეკატერინე მესხს, ვერა მიქაბერიძეს, ივლიტა ნაკაშიძეს, მარიამ მაჩაბელს, ნინო ჯორჯაძეს, ოლიმპიადა მიქელაძეს, ანა პავლიაშვილ-თიკანაძისას, ნინო ერისთავს,

---

[1] გაზ. „სახალხო ფურცელი“, № 156, 1914 წ.

ნინო ყიფიანს და სხვებს, რომლებიც არ იშურებდნენ თავიანთ გამოცდილებასა და ენერგიას იმისათვის, რომ აღეზარდათ ქვეყნისათვის სასარგებლო, შრომისმოყვარე, ზნეობრივად სპეტაკი ახალგაზრდობა.

„განათლების“ საზოგადოება ძირითადად თბილისის მოწინავე ქალებისაგან შედგებოდა, მაგრამ მის საქმიანობაში ჩაბმული იყვნენ მამაკაცებიც. საზოგადოების წევრებად ირიცხებოდნენ: გიორგი ნატრაძე, ვასილ მაჩაბელი, ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი მუსხელიშვილი, ალექსანდრე კოლუბანსკი, გერასიმე იმნაიშვილი, ივანე რატიშვილი, პეტრე მამრაძე და სხვ. მუდმივ წევრებად არჩეული იყვნენ: პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, ნინო ზურაბიშვილი, ნინო გაბაშვილი; საპატიო წევრებად ითვლებოდნენ იაკობ ზედგინიძე და კონსტანტინე მამაცაშვილი.

იაკობ ზედგინიძეს (1859-1943 წწ.) ცნობილ პედაგოგს, განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის „განათლების“ საზოგადოების წინაშე, საზოგადოების დაარსებიდან ბოლომდე უდიდესი თავდადებით ემსახურებოდა საზოგადოების სკოლებში სწავლა-აღზრდის საქმეს. მისი შედგენილი იყო სასწავლო პროგრამები და სხვა სახის მეთოდური ლიტერატურა; განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანა ქალთა სამასწავლებლო სემინარიის დაარსებაში; მისი მუყაითი შრომის შედეგად სემინარიასთან შეიქმნა მდიდარი ბიბლიოთეკა და მუზეუმი.

1908 წლის 9 სექტემბერს გიორგი ზდანევიჩისეულ სახლში (სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩაზე) გაიხსნა „განათლების“ საზოგადოების ქალთა დაწყებითი სკოლა სამი მოსამზადებელი განყოფილებითა და ერთი პროგიმნაზიული კლასით; შემდეგ წლებში თანდათანობით შესაძლებელი გახდა ახალი პროგიმნაზიული კლასების გახსნაც, ასე რომ, 1912 წლისათვის ქალთა სკოლა უკვე 3 მოსამზადებელი განყოფილებისა და 4 პროგიმნაზიული კლასისაგან შედგებოდა.

მოსამზადებელ განყოფილებაში სწავლა მიმდინარეობდა 1881 წლის სასწავლო გეგმის საფუძველზე იმ განსხვავებით, რომ დაწყებით კლასებში სწავლა იწყებოდა დედაენაზე, შემდეგ თანდათანობით

გადადიოდნენ რუსულ ენაზე; პროგიმნაზიულ კლასებში ყველა საგანი რუსულად ისწავლებოდა. ქართულ ენას აქ, მთავრობის სასწავლებლებისაგან განსხვავებით, შედარებით მეტი საათები ეთმობოდა.

სკოლაში ასწავლიდნენ: ქართულ ენას, საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიას, ბუნებისმეტყველებას, რუსულ ენას, მათემატიკას და ფრანგულ ენას.

I მოსამზადებელ განყოფილებაში ასწავლიდა ივლიტა ნაკაშიძე, II-ში — ეკატერინე საგინაშვილი და III-ში — ნინო წერეთელი; I პროგიმნაზიულ კლასში — ეფემია გიორგიევა, ბუნებისმეტყველებას ასწავლიდა ივლიტა ნაკაშიძე, გეოგრაფიას — ზინაიდა სმირნოვა, ხატვას — სალომე სულხანიშვილი, ფრანგულს — პოლტარაცკის ქალი, ხელგარჯილობას — ოლღა თედოშვილი, სიმღერას — გიორგი ნატრაძე.

ზინაიდა სმირნოვა, სალომე სულხანიშვილი და გიორგი ნატრაძე წლების მანძილზე სრულიად უსასყიდლოდ მუშაობდნენ, ასევე უსასყიდლოდ მკურნალობდა მოსწავლეებს სკოლის ექიმი მარიამ იოსელიანი და წამლებსაც უფასოდ აძლევდა; დანარჩენი პედაგოგებიც მცირე გასამრჯელოთი კმაყოფილდებოდნენ.

1908-1909 სასწავლო წელს სკოლაში ირიცხებოდა 85 მოსწავლე: 1909-1910 წწ. — 132, 1910-1911 წწ. — 168, 1911-1912 წწ. — 192, 1912-1913 წწ. — 207, 1913-1914 წწ. — 224 და 1914-1915 წწ. — 250 მოსწავლე.

ახალი სკოლის კონტინგენტი, ისე როგორც ყაზბეგის სკოლისა, ძირითადად ღარიბი ხალხის შვილებისაგან შედგებოდა (ხელოსნები, დღიური მუშები, მოსამსახურეები და სხვ.), რომელთაგან ბევრი საზოგადოების ხარჯზე (უფასოდ) სწავლობდა. 1914-1915 სასწავლო წელს სკოლის მოსწავლეთა შორის 52 იყო თავადაზნაურთა წრიდან, 22 — სასულიერო, 46 — გლეხების და 96 — მოქალაქეთა წრიდან.

უღარიბეს მოსწავლეთა მატერიალური დახმარების მიზნით 1910 წელს სკოლასთან შეიქმნა ე.წ. „ღარიბ მოწაფეთა დამხმარე წრე" (მარიამ ღოღობერიძე, ალექსანდრე ლომინაძე, ილია ბარათაშვილი, ნინო ჯორჯაძე, ელენე გომართელი და ოლიმპიადა მიქელაძე).

წრის აქტიური დახმარებით 1908-1915 წლებში სწავლის ქირისაგან განთავისუფლდა 424 მოსწავლე, ნახევარფასად სწავლობდა — 81, კერძო პირთა ხარჯზე — 33; გარდა ამისა, წრის წევრები ღარიბ მოსწავლეებს ეხმარებოდნენ ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და სასწავლო ნივთებით.

„განათლების" საზოგადოება არ იყო მრავალრიცხოვანი. 1910 წელს საზოგადოებაში ირიცხებოდა 43 წევრი, 1911 წ. — 50, 1912 წ. — 65, 1913 წ. — 97, 1915 წ. — 114, 1916 წ. — 136 და 1917 წ. — 200-მდე. წევრთა რაოდენობის ყოველწლიური მატება მიუთითებს საზოგადოების საქმიანობის წარმატებაზე.

„განათლების" საზოგადოების მოღვაწეობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროფესიული სკოლის დაარსებას. ჯერ კიდევ ყაზბეგის სკოლასთან ზემოხსენებულმა ქალთა წრემ გახსნა წინდის საქსოვი პატარა სახელოსნო, სადაც სპეციალურ საქსოვ დაზგებზე სკოლის მოსწავლე ქალები წინდის ქსოვას სწავლობდნენ. შემდეგში ამ სახელოსნოს ბაზაზე მოეწყო პროფესიული განყოფილება იმ მიზნით, რომ მოსწავლეებს სასწავლო საგნებთან ერთად გარკვეული პროფესიული ცოდნაც მიეღოთ.

1912 წელს აღნიშნული პროფესიული განყოფილება გადაკეთდა სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებლად /ხარფუხის სამხატვრო-საოსტატო სახელოსნოები/. სკოლა მოთავსებული იყო ავლაბარში, სუფსარქისის ქუჩაზე მდებარე სამსართულიან სახლში, რომელიც „განათლების" საზოგადოებას უანდერძა თბილისის მკვიდრმა ბერძენმა სოლომონ კიპროზოვმა იმ პირობით, რომ იქ რაიმე სასწავლებელი გაეხსნათ. სკოლის კეთილმოსაწყობად დიდი თანხა /50 ათასი მან./ გაიღო ეკატერინე სარაჯიშვილმა.

1914 წლის 8 მარტს ხარფუხის სამხატვრო-საოსტატო სახელოსნოების წესდება მთავრობამ დაამტკიცა და ამიერიდან სკოლამ ოფიციალური ხასიათი მიიღო. წესდების პირველ პარაგრაფში განსაზღვრული იყო სკოლის მიზანი — მიეცა მოსწავლეთათვის სამხატვრო განათლება და პროფესიული ცოდნა ჭრა-კერვასა და ხელგარჯილობის სხვა სახეობებში.

წესდების მიხედვით, სკოლაში ღებულობდნენ მხოლოდ ქალებს,

განურჩევლად წოდებისა და ეროვნებისა, რომლებსაც გავლილი ჰქონდათ დაწყებითი სკოლის კურსი. სწავლის პერიოდი განისაზღვრებოდა სამი წლით, თუმცა კურსდამთავრებულები ვერ ღებულობდნენ სათანადო ოფიციალურ მოწმობას. მიუხედავად ამისა, ამგვარი სკოლის დაარსება თბილისში ქმნიდა პროფესიული განათლების ისეთ კერას, სადაც სწავლობდნენ სხვადასხვა ხელობას საქართველოს სოფლებიდან ჩამოსული ქალები იმ პირობით, რომ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კვლავ სოფელს დაუბრუნდებოდნენ და იქ გაშლიდნენ თავიანთ პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამ მიზნით „განათლების" საზოგადოებამ სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებელთან გახსნა ზოგადსაგანმანათლებლო კურსები, სადაც ასწავლიდნენ შემდეგ საგნებს: ქართულ ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიას, ბუნებისმეტყველებას, რუსულ ენას და ლიტერატურას, რუსეთის ისტორიას, მსოფლიო ისტორიას, მათემატიკას, ხატვას, ხაზვას და ჰიგიენას. სკოლაში ასწავლიდნენ გამოცდილი პედაგოგები: ელ. დარბაისელი, ა. პიტაური, ნ. ხოსიტაშვილი, თ. გელოვანი-გეგეჭკორისა და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორ ივანე თიკანაძის ღვაწლი, რომელიც სრულიად უსასყიდლოდ ასწავლიდა ჰიგიენას. სკოლის გამგედ მუშაობდა მარიამ მაჩაბელი.

თავდაპირველად ხარფუხის სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებელში მიიღეს 60 მოსწავლე ქალი, უმთავრესად სოფლებიდან. შემდეგ წლებში მოსწავლეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. 1915-1916 სასწავლო წელს აქ პროფესიულ განათლებას ეუფლებოდა 400-მდე ქალი, მათ შორის არაქართველებიც: სომხები, თათრები და ბერძნები. აქ ასწავლიდნენ ჭრა-კერვას (თეთრეულის, კაბების), სხვადასხვა ქსოვილების, ხალიჩების, არშიების, წინდების ქსოვას და სხვ.

სკოლის გამგის, მარიამ მაჩაბლის დაუღალავი და თავდადებული შრომის შედეგად მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა ყოველთვის საზოგადოების მაღალ შეფასებას იმსახურებდა. განზრახული იყო სკოლაში ძველებური ხელსაქმის სწავლებაც — ოქრომკერდითა და აბრეშუმით ქარგვა, ფაიფურზე ხატვა და სხვ. მაგრამ, იმის გამო, რომ „განათლების" საზოგადოებას არ გააჩნდა მტკიცე მატერი-

ალური ბაზა ხარფუხის სასწავლებლის შესანახად, ეს ფრიად კეთილშობილური საქმე ბოლომდე ვერ განხორციელდა.

ხარფუხის სასწავლებელი უმთავრესად მოსწავლე ქალების მიერ დამზადებულ ნამუშევართა შემოსავლით არსებობდა, რაც მეტად უმნიშვნელო იყო სასწავლებლის შესანახად მაშინდელ მძიმე ეკონომიკურ პირობებში. ამასთან, ხარფუხის სკოლის საქმიანობა ხორციელდებოდა სასწავლო უწყების მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ. სკოლის გამგე ვალდებული იყო ყოველწლიური ანგარიში წარედგინა როგორც სასწავლო უწყებაში, ისე საიმპერიო აკადემიაშიც.

ამ სასწავლებლის პირველი გამოშვება მოხდა 1915 წელს. იმავე წელს კურსდამთავრებულნი მასწავლებლად მიიწვიეს ბაზალეთში, ფასანაურში, სურამში, ცხინვალში, რუისში და სხვა სოფლებში; თბილისშიც ბევრი კვალიფიციური მუშა-ქალი შეემატა ქართველ საზოგადოებას.

1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, „განათლების" საზოგადოებამ თავისი სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებელი შინამრეწველობის განყოფილებას გადასცა. ამიერიდან ხარფუხის სამხატვრო-საოსტატო სასწავლებელი გადაკეთდა სამხატვრო-საოსტატო სახელოსნოებად, რომლებზედაც მზრუნველობა მთავრობამ იკისრა. სახელოსნოების გამგედ კვლავ მარიამ მაჩაბელი დატოვეს.

1922 წელს ქართველმა საზოგადოებამ საზეიმო ვითარებაში აღნიშნა ხარფუხის სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებლის ათი წლის იუბილე.

1916 წლის 27 სექტემბერი მნიშვნელოვანი თარიღია „განათლების" საზოგადოების ისტორიაში. ამ დღეს ჩაეყარა საძირკველი საქართველოში ქალთა პირველ სამასწავლებლო (დედათა საოსტატო) სემინარიას, რომელსაც უნდა მოემზადებინა ეროვნულ ნიადაგზე აღზრდილი პედაგოგ ქალთა კვალიფიციური კადრი სოფლის სკოლებისათვის.

სემინარიის დაარსებას ხელი შეუწყო 1914 წლის 1 ივლისის კანონმა კერძო სასწავლებლების შესახებ, რომელიც უფლებას აძლევდა კერძო პირებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს

საკუთარ ხარჯზე გაეხსნათ ყოველგვარი ტიპის სასწავლებელი (დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი), განურჩევლად სქესისა. ამ კანონის მე-7 მუხლით, სასწავლებლის დამფუძნებლებს შეეძლოთ საკუთარი სურვილის მიხედვით ეწარმოებინათ სასწავლო პროცესი, მაგრამ აუცილებელი იყო რუსული ენისა და ლიტერატურის, რუსეთის ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლება რუსულ ენაზე. დანარჩენი სასწავლო საგნების არჩევა და მათი პროგრამების შედგენა დამფუძნებელთა კომპეტენციაში შედიოდა, მხოლოდ საღვთო სჯული ითვლებოდა სავალდებულო საგნად. 29-ე მუხლის მიხედვით, კერძო სასწავლებლების კურსდამთავრებულებს ეძლეოდათ ისეთივე უფლება, როგორითაც სარგებლობდნენ სახაზინო სკოლების კურსდამთავრებულნი იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჩააბარებდნენ გამოცდებს სახაზინო სასწავლებლების პროგრამით რუსულ ენაზე.

1914 წლის 1 ივლისის კანონის გამოსვლისთანავე, 6 დეკემბერს გაიმართა „განათლების“ საზოგადოების წლიური კრება, რომელსაც უნდა გამოერკვია საზოგადოების დამოკიდებულება ამ კანონისადმი. გამგეობის წევრმა ი. ზედგინიძემ კრებას წარუდგინა ვრცელი მოხსენება „განათლების“ საზოგადოების სკოლის გადაკეთებასთან დაკავშირებით.

მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ქალთა სასწავლებელი, რომელიც შედგებოდა 3 მოსამზადებელი და 4 პროგიმნაზიული კლასისაგან, ვეღარ აკმაყოფილებდა სკოლის მოსწავლეთა და მშობელთა მოთხოვნებს, ამიტომ უნდა ესარგებლათ 1 ივლისის კანონით და გადასულიყვნენ ქართულად სწავლებაზე. „ქართულად სწავლების მოწყობით ჩვენს მოწაფეებს უკეთ შესწავლილ-შეთვისებული ექნებათ ქართული ენა, მათი გონებრივი განვითარება უფრო ბუნებრივი გზით ივლის და ამავე დროს ხელს შევუწყობთ როგორც ტერმინების და საერთოდ პედაგოგიური ლიტერატურის აღორძინება-განვითარებას მშობლიურ ენაზედ, ისე ეროვნული სკოლის დაარსებას. ქართული ეროვნული სკოლის აღორძინება კი დამოკიდებულია მასწავლებლის სიავკარგეზედ. მასწავლებელს შეუძლიან გარდაქმნას მოზარდი თაობა, მას შეუძლია იქონიოს გავლენა საზოგადოდ

პირველდაწყებით სწავლაზედ ჩვენში. ერთადერთი ხსნა მიზნის მისაღწევად არის საკუთარი სამოსწავლო სემინარიის დაარსება“ — აღნიშნავდა ი. ზედგინიძე.[1]

1 ივლისის კანონის საფუძველზე გამგეობამ აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე „განათლების“ ქალთა სასწავლებლის ქართულენოვან სკოლად გადაკეთების შესახებ, რაც დაკმაყოფილდა 1915 წელს; ამრიგად, „განათლების“ საზოგადოების ქალთა სკოლა წარმოადგენდა პირველ ქართულ ეროვნულ სკოლას მთელ საქართველოში, ამ სკოლის ბაზაზე საზოგადოებას უნდა გაეხსნა ქალთა სამასწავლებლო სემინარია, სადაც სწავლება განხორციელდებოდა მშობლიურ ენაზე.

„განათლების“ საზოგადოების გადაწყვეტილებამ ქალთა სემინარიის გახსნის თაობაზე ქართველ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, ბევრი იწონებდა და მხარს უჭერდა ამას, ზოგიერთი კი ნაადრევად მიიჩნევდა და პირველ რიგში სახალხო სკოლების გახსნას მოითხოვდა. — „ჯერ სკოლა და მერე მასწავლებელი, თუ ჯერ მასწავლებელი და მერე სკოლა? რა დროს სემინარიის გახსნაა, როცა სკოლები არა გვაქვს, ეს საქმის ბოლოდან დაწყებაა“, — ამბობდნენ ისინი.

„განათლების“ საზოგადოების წევრები კი სხვაგვარად უყურებდნენ ამ საკითხს. მათი აზრით, ქალებს საშუალება უნდა მისცემოდათ მიეღოთ ისეთივე საშუალო და უმაღლესი განათლება, როგორც მამაკაცებს, ხოლო პედაგოგ ქალს, მამაკაცთან შედარებით, უპირატესობაც ჰქონდა იმ მოსაზრებით, რომ ქალი თავისი ბუნებით უფრო ახლოს იდგა მოზარდის ფსიქიკასთან, ქალს უფრო ადვილად შეეძლო ესწავლებინა ხელსაქმეც; რაც მთავარია, ქალთა სემინარია ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იქნებოდა ქართველი ქალის საზოგადო ასპარეზზე გამოსაყვანად, ქართული ოჯახისთვის ეროვნული სახის შესანარჩუნებლად.

— „... ეროვნული მოვალეობით შეგნებული დედა არის სიმდიდრე და ძლიერება ოჯახისა, ოჯახი კი — ერისა. ამ მოსაზრებით, პირვე-

---

[1] სგმ, № 2091, საქ. 14, ფურ. 1-10.

ლად დედათა სკოლის დაარსება სწორედ რომ სამართლიანი და გონივრულია“ — ასე ესმოდათ ეს საკითხი „განათლების“ საზოგადოების წევრებს.[1]

საზოგადოების აზრი დედათა საოსტატო სემინარიის დაარსების მნიშვნელობის შესახებ ფართოდაა გადმოცემული „განათლების“ საზოგადოების მიერ გამოცემულ წიგნაკში — „დედათა საოსტატო სემინარია“, რომლის ტექსტი, საზოგადოების საბჭოს დავალებით, შეადგინა იაკობ ზედგინიძემ.

წიგნაკს ეპიგრაფად ჰქონდა წამძღვარებული ილია ჭავჭავაძის სიტყვები: — „ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“ და ბრძნული თქმულება: — „ყოველი საეროვნო საქმე ერისავე შეგნებული ნაწილის განსაკუთრებული მზრუნველობის საგანს უნდა შეადგენდეს“.[2]

„განათლების“ საზოგადოების ეს გამოცემა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. მისდამი დიდი ინტერესის გამო ამ წიგნაკის სრული ტექსტი 1976 წელს ჩვენ გამოვაქვეყნეთ ჟურნალ „საისტორიო მოამბეში“.[3]

— „ერის მომავალი დაფუძნებულია პირველ ყოვლისა, ახალი თაობის შესაფერისად აღზრდაზე, — მაშასადამე, ეროვნული სკოლის შექმნა და მისთვის შესაფერი მასწავლებლის მომზადება შეადგენს უპირველეს საზრუნავს ყოველი ქართველისას“ — აღნიშნულია ზემოხსენებულ წიგნაკში.

საზოგადოების აზრით, სკოლა კი არ უნდა დაქვემდებარებოდა ქვეყნის პოლიტიკურ მიზნებს, არამედ იგი, უპირველეს ყოვლისა, მოზარდი თაობის გონებრივი და სულიერი აღზრდის კერა უნდა ყოფილიყო. ამასთანავე, სწავლას აუცილებლად ეროვნული ხასიათი უნდა მისცემოდა, რადგან უცხო ენაზე სწავლება ხელს უშლიდა ქართველი ახალგაზრდობის გონებრივ განვითარებას, მისი შემო-

---

[1] დედათა საოსტატო სემინარია, საზოგადოება „განათლების“ გამოცემა, ტფ., 1915წ.

[2] იქვე.

[3] ჟურნ. „საისტორიო მოამბე“, ტ. 33-34, 1976წ.

ქმედებითი ძალების ზრდას. გარდა ამისა, ერის სულიერი ძალები კნინდებოდა, და, ამრიგად, მშობლიური ენის დაცემისა და გარყვნა-გადაგვარების საფრთხე იქმნებოდა.

წიგნაკს თან ერთვის „განათლების" საზოგადოების „მოწოდება ქართველ საზოგადოებისადმი", სადაც საზოგადოება სთხოვს ყველა შეგნებულ ქართველს, სემინარიის დაარსება მიიჩნიოს საერთო-სახალხო საქმედ და მონაწილეობა მიიღოს სემინარიისათვის საჭირო მატერიალური წყაროს შექმნაში. აქვე ჩამოთვლილია ის პირები, რომლებმაც თავიდანვე ამ საქმეში საზოგადოებას დახმარება გაუწიეს: ქართველი თავადაზნაურობა (ყოველწლიურად 3000 მან.), ცნობილი ექიმი ნ. მელიქიშვილი (100000 მან.), ი. ფურცელაძე (5000 მან.), ს. კიპრიზოვი (70000 მან.) და სხვები.

„მოწოდებამ" ფართო მხარდაჭერა პოვა ქართველ საზოგადოებაში. ამ საქმეში საზოგადოებას როგორც მორალურ, ისე მატერიალურ დახმარებას უწევდნენ ქართველი პატრიოტი-მოღვაწეები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები და ორგანიზაციები, მთელი ქართველი საზოგადოება.

1915 წელს საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა ე.წ. „დამხმარე კომიტეტი", რომელშიც შევიდნენ: სოფიო კალანდარიშვილი /თავმჯდომარე/ თინათინ ფორაქიშვილი, ივანე მაყაშვილი /ხაზინადარი/, ეროდიონ თავზიშვილი /საქმეთა მწარმოებელი/, იაკობ ზედგინიძე და ზ. ბოსტაშვილი. კომიტეტის დასახმარებლად ქართულ „კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირმა" ცალკე შექმნა სპეციალური კომისია, რომელშიც შევიდნენ ცნობილი მოღვაწეები: დომინიკა ერისთავი (განდეგილი), სოფიო ფორაქიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, ვალერიან გუნია, ალექსანდრე წუწუნავა, მიხეილ ტურიაშვილი, გიორგი ჟორდანია, ივანე გომართელი, პართენ გოთუა და სხვ.

„დამხმარე კომიტეტის" გადაწყვეტილებით, სასწავლო მხარე მომავალ სემინარიაში იმდროინდელი სახაზინო სემინარიების დონეზე უნდა ყოფილიყო. ამ პრინციპის მიხედვით, სახელმძღვანელოდ მიღებულ იქნა სახაზინო სემინარიების სასწავლო პროგრამა, მხოლოდ გაფართოებული და შევსებული სახით; დამატებით შეისწავლებოდა ქართული ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, გეოგრა-

ფია და ბუნებისმეტყველება და, რაც მთავარია, სწავლება განხორციელდებოდა მშობლიურ ენაზე.

საზოგადოების გამგეობისა და „დამხმარე კომიტეტის“ თხოვნით, სემინარიის სასწავლო საგნების პროგრამების შესადგენად მოიწვიეს სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. ასე მაგალითად: საქართველოს ისტორიის პროგრამის შესადგენად — პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე ყიფშიძე, ივანე რატიშვილი, დავით კარიჭაშვილი, ს. აბულაძე და სერგი გორგაძე.

საქართველოს ისტორიის გარდა, სასწავლო პროგრამები წინასწარ შემუშავდა ყველა საგანში. ამ საქმეში საზოგადოებას დიდი დახმარება აღმოუჩინეს მოწინავე მასწავლებლებმა: მ. ზანდუკელმა, ს. გორგაძემ, ვ. ბარნოვმა, გ. იმნაიშვილმა, ა. ჯაფარიძემ, ი. ზედგენიძემ, ილინსკიმ, რადკევიჩმა; სემინარიის საერთო სახელმძღვანელო პროგრამად მიღებულ იქნა ხონის საოსტატო სემინარიის პროგრამა.

მომავალ სემინარიაში უნდა ესწავლებინათ სხვადასხვა ხელობაც, რომელიც გამოადგებოდათ სოფლის დაწყებითი სკოლების პედაგოგებს: — „ჩვენ გვსურს შევქმნათ მასწავლებლები მცოდნე ქართული ენისა და ჩვენი ჭირ-ვარამისა, რომელნიც შესძლებენ გამოაღვიძონ ჩვენი სოფელი, სადაც ხშირად ინიშნება ისეთი მასწავლებელი, რომელმაც სრულებით არ იცის ქართული ენა, არ ესმის სოფლის გაჭირვება და მისი ზნე-ჩვეულება“ — ვკითხულობთ საზოგადოების 1915 წლის ანგარიშში.[1]

დედათა საოსტატო სემინარია გაიხსნა 1916 წლის 27 სექტემბერს სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩაზე მდებარე სამსართულიან სახლში, რომელიც საზოგადოებას უანდერძა თბილისელმა ბერძენმა მ. კაპრიზოვმა. ამ დღეს აქ უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ წარმომადგენლები სხვადასხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებიდან, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, გიმნაზიებიდან და სხვა. სემინარიის გახსნას ესწრებოდნენ აგრეთვე ქართული გიმნაზიის დირექტორი ალ. ჭიჭინაძე, პირველი გიმნაზიის

[1] აკად. გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმი, ფონდი № 1276.

დირექტორი ი. ღულაძე, თავადაზნაურობის წინამძღოლი კ. აფხაზი, ილ. წინამძღრიშვილი, ივ. გამყრელიძე, ოლქის ინსპექტორი კ. კრამარენკო, თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ა. ოდოევი და სხვ.

საზეიმო შეკრებაზე საინტერესო მოხსენებით „განათლების" საზოგადოების ისტორიის შესახებ გამოვიდა საზოგადოების თავმჯდომარე ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა. მოხსენების შემდეგ სემინარიის დამფუძნებლებს მიესალმნენ წერა-კითხვის საზოგადოების სახელით ლ. ბოცვაძე, „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების" სახელით — გ. ჟორდანია, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" რედაქტორი ი. იმედაშვილი და სხვ.

ქართულმა პრესამ ფართოდ აღნიშნა თამარის სახელობის ქალთა პირველი სამასწავლებლო სემინარიის დაარსება თბილისში.

— „რაც ვერ გაბედეს და ვერ შესძლეს ქართულმა სათავადაზნაურო გიმნაზიებმა, ეს შესძლო „განათლების" საზოგადოებამ, სიმპატიური ისაა, რომ ეროვნული სულის გამეფება სწავლა-აღზრდაში კვლავ ქართველი ქალების გარშემო ხდება და ხორციელდება. ეს მეტად სასიხარულო და საგულისხმო მოვლენაა" — წერდა „სახალხო გაზეთი".[1]

სემინარია შედგებოდა სამი მოსამზადებელი, ოთხი პროგიმნაზიული და ორი სპეციალური კლასისაგან. სემინარიაში ღებულობდნენ ქალიშვილებს უმთავრესად საქართველოს შორეული სოფლებიდან იმ აუცილებელი პირობით, რომ სემინარიის დასრულების შემდეგ დაუბრუნდებოდნენ სოფელს და თავიანთ ცოდნასა და ენერგიას მოახმარდნენ სოფლის მოსახლეობაში სწავლა-განათლების გავრცელების საქმეს.

სემინარიაში სწავლის მსურველთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა, მაგრამ უადგილობის გამო გამგეობა იძულებული ხდებოდა ბევრი უარით გაესტუმრებინა. — „წელს იძულებული ვიყავით უადგილობის გამო 150 ბავშვისათვის უარი გვეთქვა. კლასები მოწაფეებს ვერ იტევს. დასვენების დროს ბავშვები სკოლის ეზოში ძლივს თავს-

[1] „სახალხო გაზეთი", № 213, 1916 წ.

დებიან“ — აღნიშნულია საზოგადოების 1916 წლის ანგარიშში.[1]

სემინარიაში ასწავლიდნენ მოწინავე პედაგოგები: ს. ქიქოძე, სვ. ყაუხჩიშვილი, გ. ნატრაძე, ნ. ჩაგანავა, ანტ. ფაღავა, ფატ. ხუნდაძე, საღვთო სჯულს — დეკანოზი თალაკვაძე და სხვ., რომლებიც მოსწავლეებში ნერგავდნენ კეთილშობილურ მისწრაფებებს — ხალხისადმი უანგარო სამსახურს, შრომისმოყვარეობას, კაცთმოყვარეობას და ა.შ.

სემინარიის დირექტორად დაინიშნა ალექსანდრე ფაღავა, მის თანაშემწედ — ივლიტა ნაკაშიძე, „განათლების“ საზოგადოების ქალთა სასწავლებლის ყოფილი გამგე, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ამ სასწავლებლის წარმატების საქმეში.

სემინარია შენობის მხრივ დიდ სივიწროვეს განიცდიდა, რაც ხელს უშლიდა სასწავლო პროცესის ნორმალურ მსვლელობას: — „მარტო საქმის სიყვარულითა და იდეის სამსახურით აიხსნება, რომ ასეთ პირობებში, ამ სიძვირეში, სულ მცირე სასყიდელში მუშაობენ მასწავლებლები“ — აღნიშნულია საზოგადოების 1916-1917 წლების ანგარიშში.[2] ამიტომ, სემინარიისათვის შესაფერისი შენობის გამონახვა „განათლების“ საზოგადოების გამგეობისათვის მეტად მტკივნეულ საკითხს წარმოადგენდა. აღსანიშნავია ის დიდი მატერიალური დახმარება, რასაც საზოგადოებას უწევდნენ სემინარიის შესანახად წერა-კითხვის გამავრცელებელი, ქართული საქველმოქმედო, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებები, ასევე იაკობ გოგებაშვილი /უანდერძა საზოგადოება „განათლებას“ ყოველწლიურად 120 მან./, ზუბალაშვილების სახალხო კლუბი /400 მან./, კ. მამაცაშვილი /300 მან./ და სხვ. 1917 წელს სემინარიისათვის ახალი შენობის ასაგებად სხვადასხვა შემოწირულებათა გზით შეგროვდა 22 284 მან.; მიუხედავად გამგეობის დიდი მცდელობისა, იმდროინდელი მძიმე ეკონომიკური პირობების გამო, მაინც ვერ მოხერხდა ამ საქმის მოგვარება.

1917 წლის დასაწყისისათვის სემინარიაში სწავლობდა 387 მოსწავლე; 1918 წლიდან გათვალისწინებული იყო სპეციალური საგნების — პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სწავლებაც.

[1] გ. ლეონიძის სახ. საქ. სახ. ლიტ, მუზ. ხელნაწ. ფონდი № 2762, ფურ. 20.
[2] სგმ, № 2093, საქ. 17-18, ფურ. 1-2.

„განათლების“ საზოგადოება უსახსრობის გამო იძულებული გახდა მთავრობისათვის ეთხოვა სემინარიის სახელმწიფო ხარჯზე აყვანა. 1918 წლის 11 ივლისის საზოგადოების საერთო კრების დადგენილების საფუძველზე როგორც დედათა საოსტატო სემინარია მთელი ინვენტარით, ბიბლიოთეკითა და მუზეუმით, ისე პროგიმნაზია, დაწყებითი კლასებით, გადაეცა საქართველოს მაშინდელ მთავრობას. ამით ფაქტობრივად დასრულდა „განათლების“ საზოგადოების ნაყოფიერი მოღვაწეობის ხანა.

ქალთა თანასწორუფლებიანობის საკითხი და თვითმოქმედი საზოგადოებები

ქალთა თანასწორუფლებიანობის საკითხი ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად დადგა 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში. თუ როგორ ესმოდათ ეს საკითხი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 60-იანი წლების საქართველოში, ამის შესახებ გაზეთი დროება გვამცნობს: — „დედაკაცის ემანციპაციას (თავისუფლებას) ამას წინათ სულ სხვა აზრი ჰქონდა, ახლა სულ სხვა აზრი აქვს, — წერს გაზეთი, — უწინ ამ სიტყვას საძრახ მნიშვნელობას აძლევდნენ. ახლა ემანციპაცია ისე ესმით, რომ დედაკაცს უნდა ღონისძიება მიეცეს, რომ თავისის შრომით დააწყოს საკუთარი ცხოვრება და გონების გახსნით ზნეობითი დამოუკიდებლობა მოიპოვოს, ასე რომ, ამგვარათ კეთილმოქმედი გავლენა იქონიოს საზოგადოებაზე“.[1]

ამგვარად, 60-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, თვითმოქმედებას და განათლებას უნდა გამოეყვანა ქართველი ქალი ცხოვრების ფართო ასპარეზზე, რომელიც მისთვის ჯერ კიდევ ძლიერ შეზღუდული იყო იმდროინდელი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნულ-პოლიტიკური ვითარების გამო, რასაც ემატებოდა ტრადიციული ოჯახური პირობებიც.

— „ქართველ ქალებში პირველმა ეკ. გაბაშვილმა მიაპყრო ყურადღება მდგომარეობას ქართველ მოზარდ ქალებისას, რომლებიც სკოლის გარეშე რჩებოდნენ, — გადმოგვცემს თედო სახოკია, — მაგალ-

[1] გაზ. „დროება“, № 19, 1867 წ.

ითად, ქალებისათვის არსებობდა მხოლოდ გიმნაზიები, წმ. ნინოს სასწავლებელი (გიმნაზიის კურსით), საეპარქიო სასწავლებელი სასულიეროთა შვილებისათვის, ამიერკავკასიის საქალებო ინსტიტუტი და ოთხკლასიანი ჭრა-კერვის სასწავლებელი. ეს სასწავლებელი იყო მხოლოდ ასე თუ ისე შეძლებულთა შვილებისათვის, ხოლო ღარიბი და უქონელი დედ-მამის ქალები კი სკოლის გარეშე რჩებოდნენ".[1]

ეკატერინე გაბაშვილმა ჯერ კიდევ 80-იან წლებში პრესის ფურცლებზე მკაცრად გააკრიტიკა თბილისის სათავადაზნაურო ბანკის დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილება, რომელიც მხოლოდ ვაჟთა სკოლების გახსნას ითვალისწინებდა; იმავე მიზეზით გააკრიტიკა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობაც, რომელიც მხოლოდ ვაჟთა სკოლებზე ზრუნავდა და ქალების ბედი ნაკლებად აწუხებდა. ეს ნათლად გამოჩნდა საზოგადოების წლიურ კრებაზე, როდესაც ხარჯთაღრიცხვის საკითხებს იხილავდნენ. — „მართლათაც და გასაკვირველია, — წერს ეკატერინე „დროებაში", — როგორ ერთს ან საზოგადოების წევრს, ან საზოგადოების მმართველებს ფიქრათ არ მოუვიდათ ქალების ბედის გახსენებაც"!...[2]

ეკატერინე წერა-კითხვის საზოგადოების სკოლებში ვაჟებთან ერთად ქალების სწავლასაც მოითხოვდა: — „განა ცუდი იქნებოდა, როგორც ბათუმისა და ტფილისის შკოლებზედ ლაპარაკობდნენ, ესეც გადაეწყვიტნათ, რომ ეს შკოლები საქალ-ვაჟო შკოლები ყოფილიყვნენ"!...[3]

„დროებაში" გამოქვეყნებული წერილი რეალურად ასახავს ქართველ ქალთა სწავლების მაშინდელ ვითარებას და მისდამი მწერალი ქალის დამოკიდებულებას, რის გამოც წერილის ტექსტი ვრცლად მოგვაქვს. ეკ. გაბაშვილი წერს: — „მართალია ჩვენ სასოფლო შკოლებში ქალებიც სწავლობენ, მაგრამ ეს სრულიად მასწავლებლებზეა დამოკიდებული: თუ სურვილი აქვთ, ქალებსაც ასწავლიან, თუ არა და არა. რათ არის ასე? რატომ ყველა შკოლები ვალდებულნი არ არიან ერთნაირად მიიღონ მსურველნი ვაჟებიცა და ქალებიც? რატომ პედაგოგიურს

---

[1] თედო სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1984 წ., გვ. 67.

[2] გაზ. „დროება", 1880 წ., № 124.

[3] იქვე.

კურსებზე ქალებიც არ უნდა იყვნენ მიღებულნი? განა ჩვენში ცოტა ქალები არიან, რომელნიც დიდის სიამოვნებით იკისრებდნენ სასოფლო შკოლების მასწავლებლობას, ამ საქმისათვის სპეციალური მომზადება რომ ჰქონდეთ? განა არ მოგეხსენებათ, რომ ევროპაში და მომეტებულათ ამერიკაში საუკეთესო და მომეტებული რიცხვი მასწავლებლებისა ქალები არიან? რატომ ჩვენც არ უნდა გამოვცადოთ? თქვენ თვითონვე არ ამბობთ ჩვენს კაცებში იშვიათად იპოვნით რიგიანს მასწავლებელსაო? ნუ თუ ჩვენი წერა-კითხვის საზოგადოება უადგილოთა სახავს ქალების განათლებას საერთო სიკეთისათვის საქართველოში? მე კი ჩემის აზრით ქალებისათვის უფრო საჭიროთ ვხედავ ქართულის ენის ცოდნას, ამიტომ რომ ქალი არის პირველი მასწავლებელი შვილებისა; ყმაწვილს თუ ბავშვობიდანვე სიყვარული არა აქვს სწავლისა და თვის დედა-ენისა, ის შემდეგშიაც ძნელათ შეითვისებს იმას; და თუ ჩვენმა წერა-კითხვის საზოგადოებამ ქართველი ქალების აღზრდა მარტო ინსტიტუტსა და ზავედენიებს მიანება, სადაც ქალებს სრულიათ არა აქვთ ღონისძიება, პრაქტიკის უქონლობის გამო ქართულის ენის შესწავლისა, იმასაც ჩქარა მოვესწროთ, რომ ჩვენ ბავშვებს, დედების მოწყალებით, სასირცხვილოდ მიაჩნდებათ თავის დედაენაზედ ლაპარაკი.

— ამის მაგალითები ეხლაც ბევრია ჩვენში; მე მგონია ამაზედ ბევრი დამემოწმება. წარსულის კვირის კრებაში ვიყავით რამდენიმე ქალი და ვერც ერთმა ჩვენთაგანმა ვერ მოვახერხეთ ხმის ამოღება ქალების გამოსასარჩლებლად. რატომ? იმიტომ რომ შევკრთით, ვერ გავბედეთ ხმა -მაღლა გამოგვეთქვა ჩვენი აზრი; არა ვართ ქალები შეჩვეულნი საზოგადო საქმეებში მონაწილეობის მიღებას.

— იმედი გვაქვს, „საქართველოში წერა-კითხვის საზოგადოება“ მიიღებს მხედველობაში ამ აზრს და შემდეგისათვის მისცემს ღონისძიებას ქართველ ქალებს თავის დედა-ენის შესწავლისას, ვგონებთ, საქმითაც მალე გამოჩნდეს, რომ ეს საზოგადოების ზრუნვა, უსარგებლოდ არ ჩაივლის“.[1]

ეკ. გაბაშვილის წერილს „დროების“ იმავე ნომერში კომენტარი გაუკეთა გაზეთის რედაქციამ, რომელიც სავსებით ეთანხმებოდა ავ-

[1] გაზ. „დროება“, №124, 1880წ.

ტორის აზრს ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების შესახებ. ამასთან ერთად, რედაქცია მკითხველ საზოგადოებას შეახსენებდა ისტორიულ წარსულში ქართველი ქალის როლს წერა-კითხვის გავრცელების საქმეში, როდესაც „...კაცები-მამები, ქმრები და ძმები მუდამ ომში, ლაშქარში იყვნენ მტრის მოსაგერებლად და სამშობლოს დასაცველად; ჩვენი წერა-კითხვისა და მწიგნობრობის საქმე ქალების მოღვაწეობით მიდიოდა და იმ დროს ჩვენში ქართული წერა-კითხვა ერთი-ორად უფრო ყოფილა გავრცელებული, ვინემ ახლა არის".[1]

ეკ. გაბაშვილის წერილს გამოეხმაურა წერა-კითხვის საზოგადოების მმართველობაც, რომელმაც გაზეთ „დროების" 124-ე ნომერში დაბეჭდა საპასუხო წერილი („პასუხი ეკ. გაბაშვილისას"). წერილს ხელს აწერს ვინმე „მმართველობის წევრი". ავტორი გამოხატავს მმართველობის სურვილს თავის სკოლებში ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების შესახებ, სადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა. მაგალითად, თბილისის სკოლაში, რომელიც იმავე წლის სექტემბერში უნდა გახსნილიყო, ქალებიც და ვაჟებიც თანაბარ პირობებში მიიღებოდნენ; სოფელ კავთისხევის სკოლაში, სადაც 80 მოსწავლე სწავლობდა, ნახევარს ქალები შეადგენდნენ. მმართველობა იმედს გამოთქვამდა, რომ შემდეგშიც მეტ დახმარებას გაუწევდა ასეთ სკოლებს, ხოლო თუ პედაგოგიურ კურსებსაც გახსნიდნენ, იქაც თანაბარ პირობებში მიიღებდნენ ქალებს. — „ერთის სიტყვით, — წერს ავტორი, — მმართველობა სრულიად თანაუგრძნობს ეკ. გაბაშვილისაგან წარმოთქმულს აზრს და ეცდება მისი იმედი მალე ხორც-შესხმულ საქმეთ გადააქციოს"-ო.[2]

ეკატერინე გაბაშვილი ბოლომდე დარჩა ამ საქმის ენთუზიასტად. იგი თვითონაც შეეცადა საკუთარი წვლილი შეეტანა ქალთა განათლების საქმეში. 1897 წელს მან ღარიბი ქალებისათვის თბილისში გახსნა უფასო ჭრა-კერვის სკოლა, რომელსაც 25 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა. სკოლაში ჭრა-კერვის გარდა ასწავლიდნენ ზოგადსაგანმანათლებლო საგნებსაც დაწყებითი სკოლის სასწავლო გეგმისა

---

[1] გაზ. „დროება", № 124, 1880 წ.

[2] იქვე.

და პროგრამების მიხედვით. სკოლასთან არსებობდა გამგეობა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ოლღა ჭავჭავაძე, ოლღა ბეჟანიშვილი, ნინო მაჭავარიანი, ეკატერინე სარაჯიშვილი, ეკატერინე ფურცელაძე, ეფემია მესხიშვილი და სხვ.[1]

ეკ. გაბაშვილი (1851-1938 წწ). ახალგაზრდობიდანვე გაიტაცა ხალხისნურმა იდეებმა, განსაკუთრებით, ამ მოძრაობის კულტურულ-საგანმანათლებლო ამოცანებმა. მან ცხოვრების მიზნად დაისახა თავისი ლიტერატურული და საგანმანათლებლო მოღვაწეობით დახმარებოდა ქართველ გლეხობას გათვითცნობიერების საქმეში. ეკატერინეს სწამდა, რომ სოფლად სწავლა-განათლების გავრცელების გზით შესაძლებელი იქნებოდა გლეხთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. ამასთან ერთად, იგი თავგამოდებით იბრძოდა ქალების განათლებისა და მათი თანასწორუფლებიანობისათვის. თერთმეტი შვილის დედა, ყოველთვის ახერხებდა აქტიური მონაწილეობა მიეღო ქართველ მანდილოსანთა არაერთ ეროვნულ-კულტურულ წამოწყებაში. ეკატერინემ, როგორც მოწინავე ქალმა, ილია ჭავჭავაძის მაღალი შეფასება დაიმსახურა. იგი იყო პირველი ქართველი ქალი, რომელიც 1880 წელს აირჩიეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობაში, რაც მაშინ დიდ პატივად ითვლებოდა.

ეკ. გაბაშვილი მოწინავე ქართველ ქალებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქალთა თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლაში 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში. — „როცა 1905 წლის განმათავისუფლებელმა ქარიშხალმა დაიგრიალა, — წერს იგი, — როცა მთელი რუსეთი და ამასთან ერთად ჩვენი ქვეყანაც შეინძრა... მაშინ ჩვენ, ქალებიც ავხმაურდით... პირველმა კრებამ, რომელიც ჩემს სახლში იყო დანიშნული, იმდენი მსურველი გამოიწვია, რომ არამც თუ ჩემს სადგურში, მთელი ქუჩა სავსე იყო... კრებას დაესწრო ისეთი წრისა და ისეთი ხნის ქალები, რომელიც მანამდე არავის ენახა არც საზოგადოებაში და არც ქართულ თეატრშიც“.[2]

---

[1] გ. თაეზიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, თბ., 1963 წ., გვ. 8.
[2] ი. ბოცვაძე, პრესა და მწერლობა, თბ., 1976 წ., გვ. 213.

რევოლუციის წლებში ქართველ ქალთა კრებების შესახებ გვამცნობს ცნობილი საბავშვო მწერალი ნინო ტყეშელაშვილიც, რომელიც ეკ. გაბაშვილის, მარიამ დემურიას, ნინო ნაკაშიძის, ეფროსინე ჭიჭინაძის, კატო ნიკოლაძის და სხვა ღვაწლმოსილ ქართველ მანდილოსანთა გვერდით იბრძოდა ქალთა უფლებრივი თანასწორობისათვის. ამ საკითხზე მას დაწერილი აქვს საინტერესო წერილი — „კავკასიელ ქალთა ბრძოლა სწორუფლებისათვის რევოლუციონურ კულტურულ ფრონტზე", რომელიც დაცულია სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში (იხ.ნინო ტყეშელაშვილის არქივი, № 95036, საქ. 9502-6).

ნინო ტყეშელაშვილის გადმოცემით, 1905 წელს თბილისის ქალთა წრეს რამდენიმე კრება გაუმართავს ქალთა ორგანიზაციის შექმნის მიზნით. პირველი ასეთი კრება ჩაუტარებიათ ნინო მაჭავარიანის სახლში, რომელსაც აურჩევია კომისია წესდების შესადგენად. მეორე კრება შემდგარა მასწავლებელ ლ. არდაზიანის ბინაზე მარიამ დემურიას თავმჯდომარეობით, მაგრამ მის ჩატარებას ხელი შეუშალეს სოციალ-დემოკრატმა ქალებმა, რომლებიც ქალთა ცალკე ორგანიზაციის შექმნის წინააღმდეგი იყვნენ და მოითხოვდნენ ქალების შესვლას სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. მესამე კრებასაც იგივე ბედი ეწია ექიმ მიხ. გედევანიშვილის ბინაზე. შემდეგი კრება გამართულა ეკ. გაბაშვილის სახლში, რომელსაც ნინო ნაკაშიძე თავმჯდომარეობდა. კრებამ მხარი არ დაუჭირა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ქალთა გაწევრიანებას და საფუძველი ჩაუყარა დამოუკიდებელ ორგანიზაციას — „ქართველ ქალთა თანასწორობის კავშირს".

1905 წელს ქართველ ქალთა ანალოგიური „კავშირი" დაარსდა ქუთაისშიც. ამასთან დაკავშირებით ნ. ტყეშელაშვილი გადმოგვცემს:

— „თუმცა კრებები აკრძალული იყო, ჩვენ მაინც მოვახერხეთ საიდუმლო კრების გამართვა კბილის ექიმის სალომე კერესელიძის ბინაზე. ხალხი ბლომათ დაესწრო. თავმჯდომარეობდა ეფროსინე ჭიჭინაძე. მოხსენება გააკეთა მარო ვახვახიშვილმა. აქაც ს.დ.პ. ქალები მოვიდნენ თამარა თაქთაქიშვილის მეთაურობით. ისინი წინააღმდეგი იყვნენ ცალკე ქალთა ორგანიზაციისა, მაგრამ მე დავუმტკიცე საბუთით ხელში, რომ გერმანიაში, სადაც ს.დ.პ. ძლიერია, იქაც არსებობს

ცალკე ქალების საზოგადოება სწორედ იმ მიზნით, როგორიც ჩვენ გვინდა, აგრეთვე მიუთითე ბებელზე, რომელიც ამბობს: „როგორც მუშა თავის ინტერესების დაცვას ბურჟუას არ ანდობს, თვითონ იცავს, აგრეთვე ქალებმა თითონ უნდა დაიცვას თავისი ინტერესები. გამტყუნებული ს.დ. ქალები წავიდნენ. აქაც შესდგა ქალთა სწორუფლების კავშირი. გამგეობაში აირჩიეს: ეფროსინე ჭიჭინაძე, კატო ნიკოლაძე, სალომე კერესელიძე, ოლინკა ქარქაშვილი".[1]

1905 წელს „ქართველ ქალთა სწორუფლებიანობის კავშირის" დაარსების შესახებ ცნობას გვაწვდის პროფესორი ალ. ჯავახიშვილიც, რომელმაც 1906 წელს მოსკოვში გამართულ „რუსეთის ქალთა თანასწორობის კავშირის" დელეგატთა კრებაზე ქართველ ქალთა ორგანიზაციის სახელით წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ქალთა თანასწორობის საკითხი საქართველოში". ეს მოხსენება დაიბეჭდა მოსკოვის გაზეთებში, მისი თარგმანი იმავე წლის 14 ივლისს გამოქვეყნდა გაზეთ „შრომაში".[2]

ალ. ჯავახიშვილი წერს: — „1905 წელს მარტში ტფილისში მოხდა დამფუძნებელი კრება, რომელმაც შეიმუშავა პროგრამა, განსაზღვრა წევრთა რაოდენობა (მაშინ იყო 250 წევრი) და ამოირჩია დროებითი ბიურო. ბიუროს მიენდო პროგრამის შემუშავება და შემდეგ კრებისათვის წარდგენა. ბიურომ შეიმუშავა პროგრამა და გაგზავნა პროვინციაში დელეგატები კავშირის განყოფილებათა დასაარსებლად. ეს პროგრამა დამტკიცებულ იქნა შარშან 20 ნოემბერს საერთო კრებაზე".[3]

ალ. ჯავახიშვილის აღნიშნული მოხსენება მრავალმხრივ საყურადღებოა, იგი გამოხატავს ქართველი ხალხის მისწრაფებას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისადმი, მზადყოფნას, დაიცვას ქალთა თანასწორობის უფლებები და, საერთოდ, ადამიანთა ღირსებები, იბრძოლოს ყოველგვარი ძალმომრეობისა და მონობის წინააღმდეგ.

---

[1] აკად. გ. ლეონიძის სახელობის მუზეუმი, ნ. ტყეშელაშვილის არქივი, № 95036, საქ. 9502-6, ფურ. 3.

[2] გაზ. „შრომა", № 80, 1906 წ.

[3] იქვე.

ამასთან დაკავშირებით მოხსენებაში ვკითხულობთ: — „ქართველი ხალხი საუკუნოებით არის მიჩვეული ქალის პატივისცემას, მოწიწებით და თავგამოდებით იცავს იმის ხელუხლებელ სიწმინდეს. როდესაც იგი მოიპოვებს მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებებს, მას არ შეუძლიან დაივიწყოს ქალი ან გამოაკლოს იგი ქვეყნის ცხოვრებაში მონაწილეობასა, პირიქით, იგი უსათუოდ მიანიჭებს ქალს ისეთსავე უფლებას, როგორიც ექნება მამაკაცს და როგორსაც მოითხოვს თვით ისტორიული აუცილებლობა. ქართველმა ხალხმა ძალიან კარგად იცის უფლებამოკლებულ ადამიანთა მდგომაერობა, რომ მან ერთხელ და საბოლოოდ არ მოუღოს ბოლო ადამიანის ღირსების დამამცირებელ მონობას, რომელსაც სხვადასხვა ფორმებით თავზე ახვევენ კაცს ადამიანთა მოძულენი. ქართველი ხალხი იბრძვის მონობის მოსპობისათვის, და არა მარტო ეკონომიკურ, არამედ სულიერ მონობის მოსპობისათვისაც, ამასთან არა მხოლოდ თავისთვის, არამედ საყოველთაო მონობისა და ძალმომრეობის მოსასპობად“.[1]

„ქართველ ქალთა თანასწორობის კავშირის“ მიზანს შეადგენდა ხელი შეეწყო რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, მხარი დაეჭირა დამფუძნებელი კრების მოწვევისათვის საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე. რევოლუციის დაქვეითების პერიოდში რეპრესიების გაძლიერებამ ხელი შეუშალა მისი მოქმედების შემდგომ გაფართოებას. ამის შესახებ მიუთითებს ალ. ჯავახიშვილიც:

— „ამ ბოლო დროს, ცოტა არ იყოს, შეფერხდა მოქმედება „ქართველ ქალთა თანასწორობის კავშირისა“, — აღნიშნავს იგი, რომელსაც ტფილისში 300 წევრი ჰყავს და აქვს პროვინციაში ორი განყოფილება. მიზეზი ამისა დამსჯელი ექსპედიციები და ის უბედურება იყო, რომელიც თავს დაატყდა საქართველოს“.[2]

1908 წელს „ქართველ ქალთა თანასწორობის კავშირმა“ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა პეტერბურგში „სრულიად რუსეთის

---

[1] გაზ. „შრომა“, № 80, 1906 წ.

[2] იქვე.

ქალთა კავშირების“ დელეგატთა პირველ ყრილობას, რომელშიც ქართველმა ქალებმა გამოხატეს თავიანთი მზადყოფნა საერთო ძალებით ებრძოლათ ქალთა თავისუფლებისა და მათი კულტურული განვითარებისათვის.

„ქართველ ქალთა თანასწორობის კავშირის“ არსებობა ხანმოკლე აღმოჩნდა. 1909 წელს იგი შეუერთდა კავკასიელ ქალთა საზოგადოებას, რომლის წესდება თბილისის გუბერნატორმა ა. ჩერნიავსკიმ ოფიციალურად დაამტკიცა იმავე წელს. „კავკასიელ ქალთა საზოგადოება“ მიზნად ისახავდა განათლების გავრცელებას კავკასიაში მცხოვრებ ქალთა შორის, განურჩევლად ეროვნებისა.

საზოგადოების უმრავლესობას შეადგენდნენ რუსი, ქართველი, სომეხი და ებრაელი ქალები, უმთავრესად, ექიმები და პედაგოგები. თავდაპირველად საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს ექიმი ა. შჩერბინინა; 1910 წელს — ელენე მელიქ-შახნაზაროვა, ხოლო 1914 წელს — ცნობილი საბავშვო მწერალი ნინო ნაკაშიძე.

1909 წელს „კავკასიელ ქალთა საზოგადოების“ ნამდვილ წევრთა შორის ირიცხებოდა 30-მდე ქართველი ქალი, მათ შორის იყვნენ: ეკ. ასათიანი, ს. ასათიანი, ნ. იოსელიანი, ე. მესხი, ა. ფაღავა, ნ. რცხილაძე, ეკ. გაბაშვილი, ნ. ნაკაშიძე, ნ. ტყეშელაშვილი, ს. თარხნიშვილი, ნ. ხელიძე, ა. ერდელი და სხვ. საზოგადოების მდივნებად აირჩიეს ნინო იოსელიანი და სოფიო სპერანსკაია[1].

„კავკასიელ ქალთა საზოგადოების“ საჯარო სხდომებზე წაკითხული მოხსენებები ძირითადად ქალთა უფლებრივ მდგომარეობას ეხება. მაგალითად, 1909 წელს მოხსენება თემაზე: — „ქალთა უფლებები საერობო არჩევნებში“ გააკეთა ელენე მელიქ-შახნაზაროვამ; 1910 წელს ნ. ასტახოვამ წაიკითხა მოხსენება: — „ქალთა განათლებისათვის ბრძოლის ისტორიიდან, ე. შახნაზაროვამ — „ქალთა უმაღლესი განათლებისათვის ბრძოლა“ და სხვ.

დემოკრატი ქალები მოითხოვდნენ კავკასიაში ერობების შემოღებას და არჩევნებში მამაკაცებთან ერთად ქალების მონაწილეობას. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ წელს „კავკასიელ ქალთა საზოგა-

---

[1] აკად. გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმი, ნ. ტყეშელაშვილის არქივი, № 9502-6.

დოებამ" ოფიციალური შუამდგომლობა აღძრა სახელმწიფო სათათბიროს წინაშე, რათა ქალებს მინიჭებოდათ საერობო არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

1911 წელს „კავკასიელ ქალთა საზოგადოებამ", პეტერბურგის ქალთა ორგანიზაციებთან ერთად, თხოვნით მიმართა სახელმწიფო სათათბიროსა და განათლების მინისტრს, რომ ქალებისათვის მიეცათ უნივერსიტეტში შესვლის უფლება. საზოგადოება აქტიურ მონაწილეობას იღებდა სრულიად რუსეთის ქალთა კავშირების მიერ გამართულ ღონისძიებებშიც. მაგალითად, 1910 წელს მონაწილეობა მიიღო პროსტიტუციის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობაში, რომელიც ჩატარდა „სრულიად რუსეთის ქალთა კავშირების" ინიციატივით; 1913 წელს მონაწილეობდა ქალთა განათლების საკითხებთან დაკავშირებით პეტერბურგში გამართულ სრულიად რუსეთის ქალთა კავშირების კონგრესზე და სხვ.

1910 წელს ქართველ ქალთა აქტიური მონაწილეობით „კავკასიელ ქალთა საზოგადოებამ" მუშა-ქალთა გონებრივი და ზნეობრივი განვითარების მიზნით თბილისში, კუკიის საქალაქო სკოლის შენობაში გახსნა კლუბი (შემდეგში გადაიტანეს გოგოლის ქუჩაზე მდებარე კერძო სახლში), რომელშიც თავიდანვე 136 მუშა-ქალი ჩაეწერა, მათ შორის 58 რუსი, 63 ქართველი, 12 სომეხი, 2 პოლონელი და 1 გერმანელი. კლუბში ძირითადად მახლობელი ქარხნებიდან (ენფენჯიანცის, სეილანოვის, მედნიკოვის და სხვ.) იყვნენ. მათ უმრავლესობას შეადგენდნენ 15-დან 20 წლამდე ასაკის გოგონები. თვიური საწევრო გადასახადი შეადგენდა 20 კაპიკს, მეცადინეობა მიმდინარეობდა რუსულ-ქართულ-სომხურ ენებზე. კლუბთან არსებობდა სამკითხველო, სადაც ყოველთვის იყო ახალი ჟურნალ-გაზეთები. ამ კლუბისათვის იაკობ გოგებაშვილს შეუწირავს თავისი სახელმძღვანელოები. კლუბში ასწავლიდნენ ჭრა-კერვას და სხვადასხვა ხელგარჯილობას. ხელსაქმის დროს რომელიმე მათგანი წიგნს კითხულობდა. — ასე ეცნობოდნენ ნეკრასოვს, გოგოლს, პუშკინს და სხვა მწერლებს. საუბრები ტარდებოდა რუსეთის ისტორიიდან, გეოგრაფიიდან, ბუნებისმეტყველებიდან ბუნდოვანი სურათების ჩვენებით. მეცადინეობის შემდეგ იმართებოდა კულტურული ღონისძიებები, მათ

შორის ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოებიც[1].

მუშა-ქალთა კლუბის მმართველობაში ქართველ ქალთაგან აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ნინო იოსელიანი, ნინო რცხილაძე და ნინო ტყეშელაშვილი. საზოგადოებას სურდა ასეთი კლუბები გაეხსნა ავლაბარში და ვერაზე, მაგრამ მთავრობამ ამის ნება არ მისცა.

„კავკასიელ ქალთა საზოგადოების" გავლენით ცნობილმა მწერალმა ქალმა ანასტასია ერისთავ-ხოშტარიამ 1913 წელს გორში დააარსა ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი". ამის შესახებ თვით ანასტასია წერს: — „ჩემს მიერ დაარსებული ქართველ ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი" წარმოებაში შევიდა 1913 წელს, აპრილის 5-დან, დამტკიცდა თუ არა ტფილისის გუბერნატორისაგან. ამ საზოგადოების გამგეობის მმართველი ვიყავი თვითონ მე, რომელსაც ყოველთვის ვთავმჯდომარეობდი"[2].

„მანდილოსნის" დამფუძნებელ წევრებად ითვლებიან გორის ქალთა გიმნაზიის პედაგოგები: ოლღა გოგლიჩიძისა, ქეთევან ჯავახიშვილი, ანა ქარუმიძე, მარიამ კეზელი, თინათინ ჯავროევისა, ანა მაისურაძისა და მარიამ ელიოზაშვილისა.[3]

საზოგადოება „მანდილოსნის" მიზანს შეადგენდა ზნეობრივი და მატერიალური დახმარება გაეწია გაჭირვებაში ჩავარდნილ ქალებისათვის. წესდების მე-2 მუხლის მიხედვით, საზოგადოებას უფლება ეძლეოდა გაეხსნა საგანმანათლებლო ხასიათის დაწესებულებანი (სკოლები, კურსები, ბიბლიოთეკა— სამკითხველოები), დაეარსებინა ურთიერთდამხმარე სალაროები, მაღაზიები, საკონდიტროები, სასტუმროები, საავადმყოფოები, გაემართა წარმოდგენები, საღამოები, საქველმოქმედო ბაზრობები და სხვ.

საზოგადოების წევრად ყოფნა შეეძლო ყველა სრულწლოვან ქართველ ქალს, გორის გარდა სხვა ქალაქებიდან და სოფლებიდანაც. საწევრო გადასახადი წლიურად შეადგენდა 1 მანეთს.

1913 წელს „მანდილოსნის" წევრმა ქალებმა ანასტასია ხოშტარიას თაოსნობით გორში გახსნეს დაწყებითი სკოლა, რომელშიც

---

[1] აკად. გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმი, საქმე № 12777.

[2] აკად. გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმი, ნ. ტყეშელაშვილი, არქივი, № 13195.

[3] იქვე.

60-ზე მეტი ბავშვი უფასოდ სწავლობდა. მათ უფასოდ ურიგდებოდათ როგორც სასწავლო ნივთები, ასევე ტანსაცმელი. გარდა ამისა, საზოგადოებას გახსნილი ჰქონდა საკვირაო სკოლაც, სადაც ასევე უფასოდ ასწავლიდნენ წერა-კითხვას. ეს სკოლა ღარიბი ბავშვებისათვის ერთგვარ თავშესაფარსაც წარმოადგენდა. საზოგადოებას მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით გორში გახსნილი ჰქონდა საჩაიე, სასადილო და კოოპერატივი, რითაც ხშირად სარგებლობდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები, რაც უკმაყოფილებას იწვევდა კერძო მოვაჭრეთა შორის. 1915 წელს ანასტასია ხოშტარია ამის გამო იძულებული გახდა თავმჯდომარეობაზე უარი ეთქვა და თბილისში გადმოსულიყო. ამის შემდეგ გორის „მანდილოსნის" თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ოლღა სოლოღაშვილი, მდივნად — მარიამ ღვინიაშვილი.

1916 წელს საზოგადოებამ თავისი განყოფილებები გასსნა დაბა სურამსა და სოფელ მეჯვრისხევში. სურამის განყოფილებას ხელმძღვანელობდა მარიამ ლომინაძე. 1917 წლისათვის სურამის განყოფილებაში 92 წევრი ირიცხებოდა, მისი შემოსავალი შეადგენდა 2800 მანეთს.[1] 1916 წლისათვის მეჯვრისხევის განყოფილებაში გაერთიანებული იყო 152 წევრი, შემოსავალი შეადგენდა 949 მანეთს. განყოფილებას სოფლის ღარიბი ქალებისათვის გახსნილი ჰქონდა საფეიქრო სკოლა.

გორის „მანდილოსანი" ადგილობრივი განყოფილებების გახსნას გეგმავდა ხაშურშიც; განზრახული ჰქონდა კავშირი დაემყარებინა საქართველოში მოქმედ ქალთა სხვა ორგანიზაციებთან, მაგრამ 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ ჩაშალა საზოგადოების გეგმები.

1913 წელს „კავკასიელ ქალთა საზოგადოების" წევრმა ქართველმა ქალებმა გადაწყვიტეს საზოგადოების შიგნით დაეარსებინათ ცალკე ავტონომიური სექცია იმ მიზნით, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა ქალთა უფრო ფართო წრეში გადაეტანათ. ამ გადა-

[1] გაზ. „სახალხო ფურცელი", № 913, 1917 წ.

წყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საზოგადოების წევრებმა დომინიკა ერისთავმა და ნინო რცხილაძემ, რომლებიც მოითხოვდნენ ქართველ ქალთა დამოუკიდებელი საზოგადოების დაარსებას.

დომინიკა ერისთავი (1864-1929 წწ.) ქართულ მწერლობაში „განდეგილის" ფსევდონიმით ცნობილი ღვაწლმოსილი მანდილოსანი, ნახევარი საუკუნის მანძილზე მთელი თავისი საზოგადოებრივ-შემოქმედებითი საქმიანობით უდიდესი თავდადებით ემსახურებოდა ქართველ ქალთა ეროვნულ-პოლიტიკური თვითშეგნების ამაღლების საქმეს. დ. ერისთავმა თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ქართველი ქალის უფლებების დაცვით დაიწყო. მან ფრანგი მწერალი ქალის ჟორჟ სანდის მსგავსად ქალთა თავისუფლების იდეა წამოაყენა. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ დომინიკა ერისთავ-განდეგილს „ქართველ ჟორჟ სანდს" ეძახდნენ.[1]

საინტერესოა დ. ერისთავის შეხედულება საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის როლის შესახებ, რომელიც მან შესანიშნავად ჩამოაყალიბა თავის ერთ-ერთ წერილში („დღევანდელი ქართველების აზრი ქალთა შესახებ").[2] წერილის ავტორს ქალი მიაჩნია ერის სულიერი ძლიერების საზომად: როგორც იგი წერს: — „რამდენათ მთლიანი თავისუფალი პიროვნებაა დედაკაცი, იმდენად საღია საზოგადოება..., ყოველი დიდი შემოქმედებითი ნიჭი იქ წარმოიშობის, სადაც დედაკაცი მონა კი არაა, თავისუფალი ადამიანია... შეუგნებელი დედა ვერ აღზრდის შეგნებულ მოქალაქეს".

ამგვარი შეხედულებით ხელმძღვანელობდა დომინიკა ერისთავი (განდეგილი) ქალთა უფლებების დაცვისათვის ბრძოლაში და ყოველთვის მოწინავე რიგებში იდგა ქართველი ერის საპატიო მანდილოსანთა შორის.

1913 წელს დომინიკა ერისთავის ინიციატივით დაარსდა „ქართველ ქალთა საზოგადოება". ამ საზოგადოების ორი ოქმი გამოქვეყნებულია ნ. ჩიხლაძის წიგნში დომინიკა ერისთავის შესახებ.[3] პირველი ოქმი ეხება საზოგადოების დაარსებას. ამასთან დაკავშირებით ოქმში

---

[1] ნინო ჩიხლაძე, ღვაწლმოსილი ქართველი მანდილოსნები. თბ., 1976წ., გვ. 11. „სახალხო გაზეთი", № 1090, 1904 წ.

[3] ნ. ჩიხლაძე, დომინიკა ერისთავი (განდეგილი), თბ., 1960წ., გვ. 36-39.

ვკითხულობთ: „თავმჯდომარეობს ეკ. მესხი. მან მოახსენა კრებას, რომ კომისიას მინდობილი აქვს კავკასიელ ქალთა საზოგადოებასთან მოლაპარაკება:

— „ქართველი ქალების პირველ საზოგადო კრებაზე დადგენილი იყო მოლაპარაკება გაგვემართა კავკასიელ ქალთა საზოგადოებასთან ქართველ ავტონომიურ სექციაში შესვლაზე, თუ არ დაგვეთანხმებიან ამაზე, მაშინ კომისიამ იზრუნოს საკუთარ საზოგადოების დაარსებაზე.

— დაიწყო ამ საგანზე მსჯელობა. ქ-ნ ნ. ნაკაშიძემ განაცხადა — პრინციპიალურად შეერთების საკითხი გადაწყვეტილია, არ დათანხმდა მხოლოდ განდეგილიო.

— ხელის აწევით უმეტესობამ უარჰყო შეერთება. ამ გადაწყვეტილების შემდეგ კომისია გადადგა და თავმჯდომარემაც უარი განაცხადა თავმჯდომარეობაზე. მიუხედავად კომისიის არეულობისა და ხმაურისა, კრება არ ჩაშლილა..... ამოირჩიეს თავმჯდომარე ქ. განდეგილი“.

„ქართველ ქალთა საზოგადოებაში“ შედიოდნენ მაშინდელი საზოგადო მოღვაწე ქალები: ნინო დაფქვიაშვილი, ნინო ნეიმანი, ოლღა აღლაძე, მარიამ უგრელიძე და სხვ. საზოგადოების მდივნად მუშაობდა ნინო რცხილაძე.[1]

მეორე ოქმი ეხება „ქართველ ქალთა საზოგადოების“ საჩაიეს („ძმური ნუგეში“) დაარსებას. ამასთან დაკავშირებით ოქმში ვკითხულობთ: „1915 წელს საღამოს 8 საათზე შესდგა წლიური კრება „თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოებისა“. კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ ქ-ნ განდეგილმა.

— თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ჩვენი დიდი მგოსნის აკაკის და სათათბიროც წევრის ვარლამ გელოვანის ხსოვნას.

— „...რადგან ამ დღეს „სახალხო ფურცელში“ მოთავსებული იყო ქ-ნ განდეგილის წერილი აჭარელთა უმწეო მდგომარეობის შესახებ, საზოგადოება დაინტერესებული იყო და ამიტომ ერთბაშად მოითხოვეს რაიმე დახმარება აღმოეჩინათ ტანჯული მოძმეთათვის.

---

[1] ნ. ჩიხლაძე, დომინიკა ერისთავი (განდეგილი), თბ., 1960წ., გვ.37.

გამგეობას პრინციპიალურად გადაწყვეტილი ჰქონდა რაიმე შემოსავალი წყარო გამოენახა დახმარებისათვის. ასეთ შემოსავლიან წყაროდ გამგეობამ „საჩაიე“ დაასახელა. თავმჯდომარე: დ. ერისთავი, მდივანი: ნ. რცხილაძე“.[1]

როგორც ამ ოქმიდან ჩანს, საჩაიე — „ძმური ნუგეში“ ქართველ ქალთა საზოგადოებას დაუარსებია ომით დაზარალებულ აჭარელთა დახმარების მიზნით, მაგრამ საჩაიემ შემდეგში ერთგვარი ლიტერატურული სალონის დანიშნულებაც მიიღო (მდებარეობდა ოპერის მოპირდაპირე მხარეს). თანამედროვეთა გადმოცემით, აქ თავს იყრიდნენ იმდროინდელი პოეტი-ქალები და მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები, უმთავრესად ახალგაზრდობა, რომელთაც სჯაბაასი ჰქონდათ ათასგვარ საჭირბოროტო საკითხზე. ი. გრიშაშვილის გადმოცემით, „ძმურ ნუგეშში“ ხშირად დადიოდნენ: კ. გამსახურდია, ი. მჭედლიშვილი, ნ. ნაკაშიძე, მარიჯანი, დარია ახვლედიანი და სხვ.

პირველი მსოფლიო ომის დროს საჩაიედან შემოსული ფულით „ქართველ ქალთა საზოგადოება“ წმინდა ნინოს ლაზარეთში (უნივერსიტეტის პირველი კორპუსი) ათობით ომში დაჭრილს პატრონობდა.

ომის პერიოდში ქართველ ქალთა თვითმოქმედი საზოგადოებები უმთავრესად საქველმოქმედო საქმიანობით იყვნენ დაკავებული. რამდენი დრო და ენერგია იხარჯებოდა ომში წასულთა ოჯახების დასახმარებლად. ამის ერთ-ერთი მაგალითია „ქართველ ქალთა სექციის“ მიერ 1914 წლის 1 დეკემბერს ვერაზე გახსნილი უფასო სასადილო, სადაც ყოველდღიურად 130-ზე მეტი უმწეო ბავშვი იკვებებოდა, მათ შორის აჭარიდან გადმოხვეწილი ბავშვებიც. ნ. ტყეშელაშვილის გადმოცემით, არაერთი უმწეო ბავშვი შეუფარებია საკუთარ სახლში ნინო ნაკაშიძეს, ხოლო მისი მეუღლე, ცნობილი პუბლიცისტი ილია ნაკაშიძე სასადილოში საღამოობით ბავშვებს წიგნებს უკითხავდა და ექსკურსიებზეც დაჰყავდა. 1916 წლის 9 ოქტომბერს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო სექციის დავალებით ვერის უფასო სასადილოს ბავშვებ-

[1] ნ. ჩიხლაძე, დომინიკა ერისთავი (განდეგილი), თბ., 1960წ., გვ. 39.

ისათვის საუბარი თემაზე: „რისგან იხოცებიან ბავშვები უდროოდ“ ჩაუტარებია ცნობილ პედაგოგს ივ. როსტომაშვილს, მასვე წაუკითხავს აკ. წერეთლის მოთხრობები.[1] ვერის სასადილო 1917 წელს დაიხურა სანოვაგის სიძვირის გამო.

„ქართველ ქალთა სექციაში“ ნინო ნაკაშიძის გარდა, თავისი აქტიურობით გამოირჩეოდნენ ეკატერინე მესხი (სექციის თავმჯდომარე), მატრონა ქიქოძე (ხაზინადარი), მარიამ ნათაძე, დარია ახვლედიანი, ნინო გველესიანი, სოფიო ისაკაძე, ნინო ტყეშელაშვილი და სხვები. ისინი აგროვებდნენ და კერავდნენ ტანსაცმელს ჯარისკაცებისათვის, ზრუნავდნენ მათ ოჯახებზე და სხვ.

1915 წელს ნინო ნაკაშიძისა და პოეტი ქალის დარია ახვლედიანის ინიციატივით თბილისის თავართქილაძის სტამბაში გაიხსნა ასოთამწყობთა სკოლა 30 მუშა-ქალისათვის. იმავე წელს ალექსანდროვის ბალთან მათ გახსნეს პირველი კოოპერატიული სასადილო და შრომის ბიურო უმუშევარი ქალებისათვის.

ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობაში დიდი ადგილი უჭირავს საქართველოს სხვადასხვა სოფლებში გამართულ „სახალხო კითხვებს“, რომელიც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით ტარდებოდა. ამგვარი ღონისძიებები ხელს უწყობდა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას და სოფლის მოსახლეობაში განათლების გავრცელებას. სახალხო კითხვების ჩასატარებლად საჭირო იყო მთავრობისაგან სპეციალური ნებართვის აღება, რადგანაც ადგილობრივი მთავრობისათვის წინასწარ ცნობილი უნდა ყოფილიყო პროგრამის შინაარსი, დრო და იმ პირთა ვინაობა, ვინც კითხვებს ატარებდა. ნიმუშისათვის მოვიტანთ ერთ-ერთ ასეთ „სახალხო კითხვას“, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ზრუნავდნენ მოწინავე ქართველი ქალები სოფლის მოსახლეობის გათვითცნობიერებაზე და რამდენ შრომასა და დროს ხარჯავდნენ ამ საქმეზე. ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის დაწყებითი სკოლის მასწავლებლის, ანა ახალშენიშვილის საანგარიშო მოხსენება წერა-კითხვის გამავრცელე-

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1628, ფურ. II.

ბელი საზოგადოების გამგეობის სახელზე, რომელიც შედგენილია 1915 წლის 25 ივნისს.[1]

ანა ახალშენიშვილი მოახსენებს გამგეობას, რომ სოფელ მეჯვრისხევში (გორის მაზრა) მოეწყო სახალხო კითხვები, რომელშიც მასთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ მცხეთის ქალთა სამონასტრო სკოლის მასწავლებელი ეკატერინე კასრაძე, თბილისის ქალთა უმაღლესი კურსების მსმენელი ანა ხახუტაიშვილი (შემდეგში ქართულ მწერლობაში „ცქვიტის" ფსევდონომით ცნობილი) და პედაგოგი ნინა ხახუტაშვილი. სულ გაუმართავთ 10 კითხვა, რომლებსაც 500 ბავშვი და 316 მოზრდილი დასწრებია. პროგრამაში შეტანილი ჰქონდათ ქართული ზღაპრები და მოთხრობები, სხვადასხვა სახის კითხვები ბუნებისმეტყველებიდან, საქართველოს ისტორიიდან, გეოგრაფიიდან, ზოოლოგიიდან სინემატოგრაფიული სურათების ჩვენებით.

21 ივნისს ანა ახალშენიშვილს წაუკითხავს ი. გოგებაშვილის „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი". კითხვის დაწყებამდე მან განუმარტა ბავშვებს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა დამოუკიდებელი ეროვნული სამეფოს არსებობას ქვეყნის გავითარებისათვის, როდესაც არ იზღუდებოდა დედაენა, „თვითმოქმედება ყოველი ადამიანისა და მთელი ერისა". მისი სიტყვით, განსაკუთრებული ინტერესი გამოუწვევია ი. გოგებაშვილის მოთხრობებს — „თავდადებულნი ქართველნი" (ცოტნე დადიანი, იოთამ ზედგენიძე, გლეხი გმირები — გელა ნათელაშვილი, გიორგი მახათაძე, თევდორე მღვდელი); კითხვას დასწრებია 54 მოზრდილი და 40 ბავშვი.

6 აგვისტოს ანა ხახუტაიშვილს უსაუბრია ახლად გარდაცვლილი ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფიის შესახებ და განუმარტავს პოემა „ბახტრიონის" ეროვნული მნიშვნელობა, რის შემდეგაც ანა ახალშენიშვილს წაუკითხავს ეს პოემა — „როდესაც წავუკითხე „ბახტრიონი" — წერს ა. ახალშენიშვილი, — და წიწალოს შესახებ ვუამბე — თუ როგორ დაჰგმო თემმა წიწალო და უარჰყო ყველამ, დამსწრეთა შორის იყვნენ 18 წლის სასალდათე ბიჭები, ერთმანეთ-

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1148, ფურ. 30-32.

ში ჩურჩული აუტყდათ: ოჯახი დაექცა იმას, ეგეთი საქმე როგორ ჩაიდინაო... იმათაც დაჰგმეს იგი".[1]

დიდ შრომასა და ენერგიას მოითხოვდა სახალხო კითხვების მოწყობა. ამის შესახებ მოხსენებაში ვკითხულობთ: „....კედლებზედ ვაკრავდით ხელით დაწერილ აფიშებს, სადაც მოხსენებული იყო, თუ რას წაიკითხავდნენ და როდის. გარდა ამისა, დავდიოდით და უბან-უბან ვატყობინებდით. პირველ ხანებში თითქმის ძალად შეგვყავდა ხალხი დარბაზში. გლეხი იძახდა — არა მცალიანო, თუმცა ხშირად იჯდა თავის კარებზედა და უბრალოდ ლაზღანდარობდა: დედაკაცი კიდევ ერიდებოდა — ჩაცმულ დახურული არა ვარო. იყო ასეთი პასუხებიც ჩვენ მოწვევაზედ: — „ერთი სიტყვით, მანდ თუ წამოვედით და მოვისმინეთ, ფოჩტის ფული კი არ მაპატიონ" და ბევრი სხვა...ისე გაძვალტყავებული და გულგაწყალებულია საბრალო გლეხი, რომ მას აღარაფერი ახალისებს, არ აინტერესებს. ჩვენ კიდევ იმას ვუმეორებდით — ფასს არ გართმევენ და ხარჯს, ხელს აღარაფერი გიშლით, მოდით და მოისმინეთ უფასოთ, ნახეთ, გაიგეთ. კითხვებზედ სიარულს ხელს უშლიდა აგრეთვე სკოლის დარბაზის სივიწროვე, უჰაერობა და სიცხე. გარდა ამისა, მეტად ემკვლელებოდათ სიბნელე, სულ ვერა სძლებდნენ უჩვევნი. თუმცა ყოველივე ამეებს იმიზეზებდნენ, მაგრამ ბოლოსა და ბოლოს, შეუყვარდათ კითხვები და თითონვე მეკითხებოდნენ — როდის იქნება და რას წაიკითხავთო. კითხვებზედ ესწრებოდნენ: აზნაურიც, გლეხიც, და სამღვდელოც. მეტად სასიამოვნო სანახავი იყო, რანაირად გამორბოდნენ ბავშვები და თან ერთმანეთს უყვიროდნენ, ხომ არ დაიწყო, დავგვიანდით?! მეტად უყვარდათ ისტორიული ამბების მოსმენა. მათში იღვიძებდა ეროვნული გრძნობა..."[2]

თუ როგორი დიდი პოპულარობა მოიპოვა სახალხო კითხვებმა ქართველ მოსახლეობაში, ამაზე მიუთითებს სახალხო თეატრის სცენისმოყვარის გიორგი ჯაბაურის ერთი განცხადებაც, რომელიც დაწერილია წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის სახელზე 1915

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1142, ფურ. 31.

[2] იქვე.

წლის 21 აგვისტოს. განცხადებაში ვკითხულობთ: — „მე მოვიწადინე მომეწყო სოფლად სახალხო იაფფასიანი კითხვები ბუნდოვანის სურათებით. მართლაც მივაღწიე კიდეც მიზანს და გავმართე ოთხი სახალხო კითხვა სოფლებში ძეგვში, კასპში, ჭალაში და ლამისყანაში. მიუხედავად დღევანდელის მდგომარეობისა, ამ კითხვებმა ხალხი ბევრი მიიზიდა. მთელი შემოსავლიდან 40 მან. აჭარლების სასარგებლოდ გაუგზავნე თვითონ კნ. მარიამ ვახტანგის ასულის ჯამბაკურ ორბელიანის ხელით, რომელიც დაესწრო ამ კითხვას ლამისყანაში, იკისრა იმ ღამის ხარჯი და ბილეთების გაყიდვაც. მე მსურდა კიდევ ბევრს ადგილას გამემართა, მაგრამ ადმინისტრაცია გადამეღობა წინ და მოითხოვა — შენ ვინა ხარ რომ კითხვებს მართავო? ანდა წარმოადგინე შენი ვინაობა თუ რამდენად სანდო პირი ხარო.

ამისათვის ვთხოვ გამგეობას აღმჭურვოს მე ნებართვით, რომ წინ არავინ გადამეღობოს და განვაგრძო ჩემი განზრახული და გულით სასურველი საქმე. ყველა ეს სახალხო კითხვები ბუნდოვანის სურათებით გამართული იქნება ძლიერ იაფფასიანი, რათა ყველას საშუალება მიეცეს დასწრებისა. თუ თქვენი ნებაც იქნება და ხარჯს გამგეობა იკისრებს, იმ შემთხვევაში მე გავმართავ სრულიად უფასოდ“.[1]

ამგვარად, სახალხო კითხვები, ისე როგორც სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებები, ხელს უწყობდა ხალხის დაინტერესებას განათლების საკითხებით.

---

[1] ცსსა. ფონ. 481, საქ. 1383, ფურ.7.

დრამატული საზოგადოებები და ქართული თეატრი

ახალი ეპოქა ახალი მოთხოვნილებების წინაშე აყენებდა ქართულ დრამატულ საზოგადოებებს და, კერძოდ, თეატრს, რომელიც ხალხის სულიერი კულტურის განვითარების ერთ-ერთ მძლავრ კერას წარმოადგენს. დრამატული საზოგადოებები თავის მოღვაწეობაში უნდა დაყრდნობოდნენ არა ქველმოქმედებას, როგორც ეს აქამდე იყო, არამედ თვითმოქმედებას და საკუთარი ძალებით, სხვისი დახმარების გარეშე, ემსახურათ თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის. თვითმოქმედებას უნდა აემოძრავებინა ეროვნული ენერგია და საზოგადოების მესვეურებისათვის შთაენერგა წარმატების რწმენა. ეროვნული ენერგია მოდიოდა ერის იმ ნაწილიდან, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკური ქარტეხილების დროს ეროვნულ ღირსებებს იცავდა, ძალმომრეობას არ ნებდებოდა და ხალხში ეროვნულ თვითშეგნებას აღვივებდა.

საზოგადოების მესვეურებს სწამდათ ქართული თეატრის მოღვაწეთა ინტელექტისა და მათი ნიჭიერებისა. ეს რწმენა წარმატების იმედს იძლეოდა; იმედი აცხოველებდა ეროვნულ მისწრაფებებს და აადვილებდა მიზნის მიღწევას. და, მაინც, თვითმოქმედების გარეშე ეროვნული ენერგია და რწმენა თავის მნიშვნელობას კარგავდა.

ისეთ ქვეყნებში, სადაც თეატრის გარდა არსებობდა საზოგადოებრივ მისწრაფებათა გამომხატველი ბევრი სხვა საშუალება, სადაც არ იზღუდებოდა თავისუფალი აზრი, მშობლიური ენა, ეროვნული სკოლა, პრესა, მწერლობა და ა.შ., თეატრს წმინდა ესთეტიკური დანიშნულება გააჩნდა. მაგრამ, საქართველოში, მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის საზოგადოებრივი აზრი ჯერ კიდევ შებოჭილი იყო, დედაენა დამუნჯებული, ეროვნული ღირსებები დამცირებული და უარყოფილი.

ასეთ ვითარებაში ქართულ თეატრს ესთეტიკური მნიშვნელობის გარდა, უფრო მაღალი, „ხალხის მწვრთნელისა და ხალხის გამზრდელის“ ფუნქცია ეკისრებოდა. ეს ფუნქცია ქართულ თეატრს თერგდალეულებმა დააკისრეს, რომელსაც, უპირველეს ყოვლისა,

უნდა დაეკმაყოფილებინა ხალხის სულიერი მოთხოვნილებანი და საზრდოც ხალხისაგან მიეღო. ამ ფუნქციის შესასრულებლად ქართული კულტურის ასპარეზზე ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა თეატრალური ცხოვრების ხანგრძლივი ისტორიული ტრადიცია და თეატრალურ მოღვაწეთა ის სახელოვანი პლეადა, რომელსაც მე-20 საუკუნის დასაწყისში ამშვენებდა ვასო აბაშიძის, ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის, კოტე მესხის, კოტე ყიფიანის, ნატო გაბუნიას, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ნუცა ჩხეიძის, ელისაბედ ჩერქეზიშვილის, ვალერიან გუნიას, შალვა დადიანის და სხვათა სახელები.

ქართულმა თეატრმა, მიუხედავად ათასგვარი ხელისშემშლელი პირობებისა, ახალ ეპოქაში შესძლო გადაქცეულიყო იმ წმინდა ტაძრად, საიდანაც გამუდმებით მოედინებოდა სინათლის სხივი და ღვივდებოდა „ეროვნული ცეცხლი"; მისი ნაპერწკლები ქართველ ხალხში აღანთებდა უკეთილშობილეს გრძნობებს. რუსულმა თეატრმა, რომელიც ვითარდებოდა „ოქროსა" და „ვერცხლის" საუკუნეთა წიაღში და თავისი განვითარების დონით ევროპის თეატრზე მაღლა იდგა, ვერ შეძლო უვიცობითა და სიბნელით მოცულ იმპერიაში გამხდარიყო ხალხში სინათლის შემტანი და მისი სულისკვეთების გამომხატველი — ხალხი შორს იდგა თეატრიდან და მოკლებული იყო მის სიკეთეს.

ნ. ერისთავი მე-20 საუკუნის დასაწყისში წერდა: — „უცხოელებს უკვირთ, როდესაც ხედავენ იმ პატივისცემას და ზეიმს, რომლითაც ვუმასპინძლდებით ნიჭიერ მსახიობებს იუბილის დროს. იმათ არ იციან, რომ ჩვენთვის თეატრს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რომ ჩვენი მსახიობნი იგივე საზოგადო მოღვაწენი არიან, რომელნიც გმირულად, შიმშილისა და წყურვილის გზით მიდიან წინ, რათა მშობელ ერს გაუღვიძონ გულში მიმქრალი ცეცხლი, დაუყუჩონ სულის ტკივილები და აზიარონ მაღალ ესთეტიკურ სიტკბოებას".[1]

სწორედ ამიტომ ითვლებოდა ქართველი მსახიობი საზოგადო მოღვაწედ, ეროვნულ საქმის მსახურად. ესთეტიკურ სანახაობათა

---

[1] ჟურ. „თეატრი და ცხოვრება", 1914წ., №16, გვ.2.

გზით იგი ერის აღზრდა-გათვითცნობიერებას ხელს უწყობდა; თეატრი „ცხოველის სურათებით ელაპარაკებოდა კაცის გულსა და ჭკუას“ და ძლიერად მოქმედებდა „ადამიანის გრძნობაზე და შემეცნებაზე“.

მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის ქართული თეატრი უკვე 50 წელს ითვლიდა, ქართული დრამატული საზოგადოება — 2 ათეულს. ამ ხნის მანძილზე იგი ერთგულად ემსახურებოდა ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეს. 1902 წელს ქართული თეატრის იუბილესთან დაკავშირებით ილია დრამატული საზოგადოების შესახებ „ივერიაში“ წერდა: — „აგერ მალე მეოთხედი საუკუნეა რაც არსებობს ის საზოგადოება, რომელიც ღონესა და შრომას არ ზოგავს, რომ მრავალ მხრივ გაჭირვებულ ჩვენს თეატრს ხელი შეუწყოს და მტკიცე ნიადაგზე დააყენოს. ის საზოგადოება, რომელმაც შეგვყარა ჩვენ ყველანი აქ ერთად ჩვენის თეატრის ორმოცდაათი წლის სადღესასწაულოდ“.[1]

900-იანი წლებიდან ქართული დრამატული საზოგადოების მოღვაწეობის ასპარეზი უფრო გაფართოვდა. მისი მზრუნველობით წარმოდგენები იმართებოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, უფრო ხშირად, ქუთაისში, ჭიათურაში, ფოთსა და ბათუმში. ამ დროისათვის საზოგადოებას ჰყავდა საკმაოდ დიდი მსახიობთა დასი, რომლის ძირითადი ნაწილი თბილისში იყო დასაქმებული, ნაწილი — ქუთაისში.

ამ დროისათვის ქართულ დრამატულ საზოგადოებაში გაერთიანებული იყო 271 წევრი. საწევრო გადასახადი შეადგენდა 6 მანეთს; ზოგიერთი წევრი საწევროს რეგულარულად ვერ იხდიდა, რაც აფერხებდა გამგე-კომიტეტის საქმიანობას. 1903 წლისათვის დრამატული საზოგადოების ნამდვილ წევრთა შორის მოიხსენებიან: გ. ანდრონიკაშვილი, ნ. ავალიშვილი, გ. ავალიშვილი, ვ. აბაშიძე, ივ. აფხაზი, ვლ. ალექსი-მესხიშვილი, პ. გრუზინსკი, ვალ. გუნია, პ. გოთუა, გრ. დიასამიძე, ზ. ბილანიშვილი, შ. დავითაშვილი, ალ. ზუბალაშვილი, გ. ზდანოვიჩი (მაიაშვილი), ექვთ. თაყაიშვილი, გ. ლასხიშვილი, ანტ. ფურცელაძე, ი. მანსვეტაშვილი, ს. მგალობლიშვილი, ი. მეუნარგია, ალ. ორბელიანი, პ. მირიანაშვილი, ნ.

---

[1] გაზ. „ივერია“. 1902 წ., №2.

ჟორდანია, გრ. რცხილაძე, ივ. რატიშვილი, მ. საფაროვა-აბაშიძისა, კ. მესხი, თ. სახოკია, გ. ჟურული, ვ. შალიკაშვილი და სხვ.

საპატიო წევრებად ითვლებოდნენ: ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, თამარ გრუზინსკისა, ნინო ჩოლოყაშვილისა, გ. თუმანიშვილი, გ. სუნდუკიანცი, სტ. ზუბალაშვილი და გ. გოლიცინი.[1]

როგორც საზოგადოების წევრთა შემადგენლობიდან ჩანს, თბილისის დრამატულ საზოგადოებაში თავს იყრიდნენ თავადაზნაურული და დემოკრატიული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებიც დაინტრესებული იყვნენ პროფესიული თეატრის განვითარებით და შეეძლოთ მისთვის დახმარების გაწევა როგორც მატერიალურად, ისე პირადი შრომით. საზოგადოების საქმიანობაში თავადაზნაურული ელემენტების მონაწილეობის გამო ქართულ დრამატულ საზოგადოებას ხშირად საყვედურობდნენ ჟურნალ „კვალის" კორესპონდენტები, რომლებიც მას კონსერვატორად მოიხსენიებდნენ და მოითხოვდნენ საზოგადოების რეორგანიზაციას: ძველი გამგეობის შეცვლას, მის შემადგენლობაში პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების შეყვანას, საწევრო გადასახადის შემცირებას და ამ გზით საზოგადოების დემოკრატიზაციას — მუშების, ხელოსნების, ვაჭრების და სხვ. საზოგადოებაში ჩართვას. 1901 წელს დრამატული საზოგადოების მისამართით ჟურნალი „კვალი" წერდა: — „ეს საზოგადოება ჯერ კიდევ ძველი ელემენტებისაგან შედგება, ისევ იმ ცნობილი ინტელიგენტებისაგან, რომლებიც ორჯერ მაინც უნდა გააფრთხილო, საზოგადო საქმეზე თუ იწვევ. აქაც დემოკრატიზაციაა საჭირო"-ო.[2]

ზოგიერთი ქართველი თეატრმცოდნის აზრით, დრამატული საზოგადოების მასიურ ორგანიზაციად გადაქცევას ხელს უშლიდა ის, რომ „თავადაზნაურობის მმართველ წრეებს ეჭირათ ხელში ამ საზოგადოების საჭე და მისი მასიურ ორგანიზაციად გადაქცევის გზა დახშული იყო".[3]

---

[1] ქართული დრამატული საზოგადოების ანგარიში 1903-1904 წწ., ტფ. 1904, საზოგადოების წევრთა სრული სია აღნიშნულ წლებში თან ერთვის ანგარიშს.

[2] ჟურ. „კვალი", 1901წ., №51.

[3] გ. ბუხნიკაშვილი, წერილები თეატრზე, თბ., 1964წ. გვ.31.

ასეთი მოსაზრება არარეალურად გამოიყურება, რადგანაც ქართული დრამატული საზოგადოება თავიდანვე პროფესიული ხასიათის ორგანიზაციას წარმოადგენდა, სადაც ვაჭრების, ხელოსნების, მუშებისა და სხვათა მონაწილეობა, მათი გაუნათლებლობისა და მატერიალური სიდუხჭირის გამო, საზოგადოებას სარგებლობას ვერ მოუტანდა. გარდა ამისა, ეს გამოიწვევდა საზოგადოების შიგნით კლასობრივ დაპირისპირებას, თავადაზნაურთა ინტერესებისადმი დაბალი ფენების მტრულ დამოკიდებულებას, რაც გათიშავდა საზოგადოების რიგებს და საბოლოო ჯამში მას ლიკვიდაციამდე მიიყვანდა.

მართალია, თბილისის დრამატული საზოგადოება მუდმივ უსახსრობას განიცდიდა, რაც უარყოფითად მოქმედებდა ახალი სათეატრო რეპერტუარის შედგენაზე და, საერთოდ, ქართული თეატრის განვითარებაზე, მაგრამ საზოგადოების გამგე-კომიტეტი ხშირ შემთხვევაში ახერხებდა შექმნილი მძიმე კრიზისიდან თავის დაღწევას და თეატრზე მზრუნველობას. ასე, მაგალითად, 1902 წლისათვის დრამატული საზოგადოების შემოსავალი შეადგენდა 320 მანეთს, 1903 წელს შემოსავალი რამდენადმე შემცირდა (263 მან); 1904 წელს იგი შეადგენდა – 324 მანეთს; მიუხედავად ამისა, 1903-1904 წლებში საზოგადოებამ ქუთაისში, ბათუმსა და ფოთში გამართა 37 წარმოდგენა. მათ შორის ქუთაისში დაიდგა 24 წარმოდგენა, ბათუმში – 8 და ფოთში – 5; თბილისში გაიმართა 58 წარმოდგენა, რომელსაც ესწრებოდა 25410 მაყურებელი (თითო წარმოდგენაზე – საშუალოდ 438); არანაკლები მაყურებელი ჰყავდა ქუთაისის თეატრსაც ლადო მესხიშვილის რეჟისორობით. თითო წარმოდგენას აქ დაახლოებით 400-მდე მაყურებელი ესწრებოდა; აღნიშნულ წლებში მარტო თბილისის თეატრალური სეზონიდან გამგე-კომიტეტმა მიიღო 18.812 მანეთის შემოსავალი, ქუთაისიდან – 6 969 მანეთი, ბათუმიდან – 2830 მანეთი, ფოთიდან – 597 მანეთი, სულ – 29209 მანეთი; ამასთან შედარებით, საწევრო გადასახადის გზით მიღებული შემოსავალი მიზერულ თანხას – 195 მანეთს შეადგენდა.

საზოგადოების შემოსავალი საგრძნობლად შემცირდა 1905 წლის რევოლუციის პერიოდში, რაც თავისთავად მძიმე მდგომარეობაში

აყენებდა გამგე-კომიტეტს, ამიტომ იგი უარს ვერ იტყოდა თავადაზნაურთა და მაღალჩინოსანთა შემოწირულებების მიღებაზე. პირიქით, იგი უდიდესი მადლიერების გრძნობით ღებულობდა ყოველგვარ დახმარებას, რაც ხელს უწყობდა ქართული თეატრის წინსვლას. 1900 წელს გენერალ-ადიუტანტმა თავადმა მ. გოლიცინმა საზოგადოებას 2 ათასი მანეთი შემოსწირა, რისთვისაც იგი საზოგადოების საპატიო წევრად აირჩიეს; 1905 წელს თბილისის სათავადაზნაურო კრებამ დრამატული საზოგადოების სასარგებლოდ 4 ათასი მანეთი გაიღო; ცნობილმა ქველმოქმედებმა ძმებმა ზუბალაშვილებმა საზოგადოებას შემოსწირეს 5 ათასი მანეთი, თბილისის სათავადაზნაურო ბანკმა — ათი ათასი მანეთი და სხვა.

ყოველივე ეს არ მოსწონდათ „კვალელებს". მათ „ეთაკილებოდათ" თავადაზნაურობისაგან რაიმე დახმარების მიღება. ისინი საზოგადოების მატერიალური მდგომარეობის გამოსწორების გზას საწევრო გადასახადის შემცირებაში ხედავდნენ, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა შემოსავლისა და საზოგადოების რიგების ზრდა დაბალი ფენების ხარჯზე.

1901 წლიდან თბილისის დრამატული საზოგადეობის ნამდვილ წევრთა შორის მოიხსენიებიან სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობის წარმომადგენლები: გ. დეკანოზიშვილი, გრ. რცხილაძე, გ. ლასხიშვილი, გ. ზდანოვიჩი, თ. სახოკია, პ. გოთუა, ნ. ჟორდანია, ნ. ქართველიშვილი, ზ. ბილანიშვილი და სხვ.

ნიშანდობლივია, რომ ქართული დრამატული საზოგადოება პროფესიულ ხასიათს ატარებდა და მის საქმიანობაში დაბალი ფენების ჩართვა, მათი გაუნათლებლობის გამო, საზოგადოებას დიდ სარგებლობას ვერ მოუტანდა და ვერც იმდენ შემოსავალს მისცემდა, როგორსაც თავადაზნაურთა შემოწირულობანი. გარდა ამისა, ქართველი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი კულტურისა და განათლების სფეროში არასოდეს არ იჩენდა კონსერვატორობას და ყოველთვის ანგარიშს უწევდა ეროვნულ-კულტურულ ინიციატივებს, ესმოდა მათი ეროვნული მნიშვნელობა და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა კიდეც. ამისათვის საკმარისია გავიხსენოთ თბილისის სათავადაზნაურო ბანკის მოღვაწეობა, რომლის დახმარებითაც არაერთი ქართული

საქმე გაკეთებულა. ბანკის წესდების 90-ე პარაგრაფის მიხედვით, მის საქმიანობას საზოგადოებრივი ხასიათი ენიჭებოდა და ბანკის ყოველწლიური მოგებიდან 30-40% სხვადასხვა სამეურნეო თუ ეროვნულ-კულტურულ ღონისძიებებს ხმარდებოდა. 1880-1900 წლებში თბილისის სათავადაზნაურო ბანკმა მარტო „დრამატული საზოგადოების" სასარგებლოდ სუბსიდიის სახით 5950 მანეთი გაიღო.

ქუთაისში თეატრალური ხელოვნების განვითარებას მზრუნველობას უწევდა ქუთაისის დრამატული საზოგადოება, რომელიც ჩამოყალიბდა 1907 წელს. მისი წესდება შედგენილ იქნა თბილისის დრამატული საზოგადოების წესდების საფუძველზე. წესდების მიხედვით საზოგადოების მიზანს შეადგენდა, დახმარება გაეწია დრამატული ხელოვნების განვითარებისათვის ქუთაისის გუბერნიაში. ამ მიზნის მისაღწევად საზოგადოებას უფლება ეძლეოდა ჰყოლოდა მსახიობთა დასი, გაემართა წარმოდგენები, მატერიალური დახმარება გაეწია მსახიობებისათვის, ეზრუნა რეპერტუარზე, სათეატრო შენობაზე და სხვ.[1]

ქუთაისის საზოგადოებაში არსებობდა ძველი თეატრალური ტრადიციები. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში აქ სცენის მოყვარულთა მიერ იმართებოდა გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის კომედიები. პირველი წარმოდგენა — გ. ერისთავის „გაყრა" გაიმართა 1861 წლის 3(15) მარტს ისტორიკოსს დ. ბაქრაძის თაოსნობით, რომელმაც წარმოდგენიდან შემოსული თანხა იოანე ბატონიშვილის „კალმასობის" გამოცემას მოახმარა. მომდევნო წელს აკ. წერეთლის ინიციატივით და რეჟისორობით ქუთაისის თეატრის სცენაზე წარმოდგენილი იქნა ზ. ანტონოვის კომედია „მზის დაბნელება საქართველოში". აკ. წერეთლის რუსეთში გამგზავრების შემდეგ ქუთაისში წარმოდგენების გამართვა შეწყდა და იგი 1867 წლამდე აღარ განახლებულა.

70-იან წლებში ქუთაისში ჩამოყალიბდა სცენისმოყვარეთა დრამატული წრეები ეფრო კლდიაშვილის აქტიური მონაწილეობით. რეჟისორად მუშაობდა ან. ლორთქიფანიძე. წარმოდგენები იმართე-

---

[1] იხ. ქუთაისის დრამატიული საზოგადოების წესდება, ტფ., 1907წ.

ბოდა საზოგადო საკრებულოში, რომელსაც მაშინ „სამეფო სახლს“ ეძახდნენ.

1872 წელს ქუთაისის სცენაზე პირველად გამოვიდა ვასო აბაშიძე (1854-1926 წწ.), ქართული რეალისტური აქტიორული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. თავდაპირველად იგი მონაწილეობდა ქუთაისის სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში, ხოლო 1879 წლიდან, მუდმივი ქართული თეატრის აღდგენის შემდეგ, ვ. აბაშიძე პროფესიული თეატრის მსახიობი ხდება. მის შესახებ ი. იმედაშვილი თავის მოგონებებში წერს: — „ვასო აბაშიძე არა მხოლოდ უნიჭიერესი მსახიობი იყო, არამედ მრავალმხრივი მოღვაწეც ქართული თეატრისა: ჟურნალისტი, დრამატურგი, პიესების გადმომკეთებელი, რეჟისორ-ანტრეპრენიორი, სასცენო თეორიული წერილების მწერალი და სხვ. მშობლიურ თეატრის მომავალს ვასო მუდამ დიდის იმედით და რწმენით შეჰყურებდა, ამ მომავლისათვის წამოწყებულ ყოველგვარ საქმიანობას აღტაცებით ეგებებოდა“.[1]

ვ. აბაშიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა სახალხო თეატრის სცენაზეც და დიდი პოპულარობით სარგებლობდა მოსახლეობის დაბალ ფენებში. მან ქართულ სცენაზე შექმნა მრავალი კოლორიტული სახე: გეურქა (ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“), ავეტიკა, აკოფა, გასპარა, ოსეფა, გრიქულა (ავქ. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „ხანუმა“, „ბაიყუში“, „მათიკო“), ზიმზიმოვი, ისაია (სუნდუკიანცის „პეპო“, „ხათაბალა“), ბესო (ა. სუმბათაშვილის „ღალატი“), ფამუსოვი (ალ. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“), გოროდნიჩი (ვ. გოგოლის „რევიზორი“) და სხვ.

1874 წლიდან ქუთაისის სცენისმოყვარეთა დასში მონაწილეობდა გამოჩენილი მსახიობი და რეჟისორი კოტე მესხი (1857-1914წწ). პირველად იგი მსახიობად მიიწვიეს თბილისის მუდმივ პროფესიულ დასში 1879 წელს და ამის შემდეგ აღარ მოსცილებია ქართულ სცენას.

ამ წელს ქუთაისში საგასტროლოდ ჩამოვიდა თბილისის მუდმივი სათეატრო დასი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ნატო

---

[1] ი. იმედაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 370.

გაბუნია, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ვასო აბაშიძე და კოტე ყიფიანი. დასის ჩამოსვლამ დააჩქარა ქუთაისში სათეატრო შენობის აგების საქმე, რომელიც იკისრეს ძმებმა ხარაზიშვილებმა. ქალაქის მმართველობამაც გამოუყო მიწა 4 წლის იჯარით. შენობა დამთავრდა 1880 წელს და გადაწყდა ქუთაისში მუდმივი პროფესიული თეატრის დაარსება. ამ მიზნით შეიქმნა დრამატული კომიტეტი (კირილე ლორთქიფანიძე, ივანე მესხი, მოსე ქიქოძე, დიმიტრი ნაზაროვი, კოტე ყიფიანი და ევტიხი ლოსაბერიძე). დასს სათავეში ჩაუდგა კ. მესხი. 1880 წლის 21 თებერვალს ახალ შენობაში ან. ლორთქიფანიძის რეჟისორობით გაიმართა გ. ერისთავის კომედია „მზის დაბნელება საქართველოში", რომელსაც დიდი წარმატება ჰქონდა. კ. მესხის საზღვარგარეთ გამგზავრების შემდეგ ქუთაისის დასს რეჟისორობდა აკ. წერეთელი (1881-1882წწ), ხოლო მისი თბილისში გადასვლის შემდეგ წარმოდგენები ქუთაისში აღარ გამართულა 1885 წლამდე.[1]

1885 წელს კ. მესხის თაოსნობით შეიქმნა მსახიობთა მუდმივი დასი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქუთაისის პროფესიულ თეატრს.

კოტე მესხი 9 წლის მანძილზე (1885-1894წწ) დიდი თავდადებით ემსახურებოდა ქუთაისის თეატრს. მან ქუთაისის სცენაზე პირველად გამოიყვანა ქართული თეატრალური ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი: ნინო ჩხეიძე, კოტე მარჯანიშვილი და შალვა დადიანი. 1894 წლიდან კ. მესხი გადავიდა თბილისის დრამატულ თეატრში, სადაც მსახურობდა როგორც რეჟისორი და მსახიობი; ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელობა კი დროებით ისევ სცენისმოყვარეთა ამხანაგობამ იკისრა, რომელსაც ეხმარებოდა 1896 წელს ლადო მესხიშვილის მიერ დაარსებული დრამატული საზოგადოების ქუთაისის ფილიალი.

აკ. ფაღავას გადმოცემით, ლადო მესხიშვილი, როგორც მსახიობი, 1881 წელს ქართული კულტურის გულშემატკივრებს ი. ჭავჭავაძეს, დ. ერისთავს და მ. ბებუთაშვილს აღმოუჩენიათ, როდესაც

[1] ი. იმედაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 370.

იგი კურჩაევის როლს ასრულებდა რუსი დრამატურგის ჩერნიშოვის პიესაში. ამის შესახებ აკ. ფაღავა წერს: „ლადო ძლიერ მოეწონათ ზემოხსენებულ პირთ და იმ საღამოსვე, ანტრაქტში გაიცნეს, თან უსაყვედურეს, რომ ქართველი კაცი ქართულ სცენას გაურბოდა. ლადომ სამშობლო ენის უცოდინარობით იმართლა თავი, მაგრამ დაარწმუნეს, რომ ენას მალე და ადვილად შეასწავლიდნენ, ოღონდ მას ქართულ სცენაზე გადმოსვლის პრინციპული თანხმობა მიეცა. ლადომ ეს პირობა მისცა და იმავე წლის 10 (22) ოქტომბერს ლადოს ქართულ სცენაზე ვხედავთ მელოდრამაში „შეშლილია" ვალკენის როლში.[1]

1881 წელს ლ. მესხიშვილი შევიდა თბილისის ქართულ დრამატულ დასში, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი მის მსახიობად ჩამოყალიბებას; 1882 წელს ლ. მესხიშვილმა წარმატებით შეასრულა ლევან ხიმშიაშვილის როლი დ. ერისთავის „სამშობლოში" და მალე პირველხარისხოვან მსახიობთა რიგებში ჩადგა, ხოლო 1894 წლიდან თეატრის რეჟისორობასაც მიჰყო ხელი.

1897 წელს ლ. მესხიშვილი მიწვეულ იქნა ქუთაისის დასის რეჟისორად, სადაც 1906 წლამდე მუშაობდა ხან როგორც რეჟისორი, ხან როგორც ანტრეპრენიორი. თეატრალური დადგმების საკუთარი სტილი მან აქ მუშაობის დროს შეიმუშავა. ლ. მესხიშვილის მიერ განსახიერებული როლები ლევან ხიმშიაშვილი (დ. ერისთავის „სამშობლო"), გაიოზ ფაღავა (ვ. გუნიას „და-ძმა"), სულეიმანი (ა. სუმბათაშვილის „ღალატი"), ჰამლეტი, რომეო, ოტელო, ედგარი — შექსპირის პიესებიდან, კარლოს და ფრანც მოორი (შილერის „ყაჩაღები"), ურიელ აკოსტა (კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა) და სხვ. დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ იმდროინდელ ქართველ მაყურებელში. ლ. მესხიშვილის შესრულებული როლები — ჰამლეტი, ურიელ აკოსტა, გაიოზ გრაკხი, რუი ბლაზი და სხვ. თავისუფლებისათვის ბრძოლით აღანთებდა ქართველ მაყურებელს. ამასთან დაკავშირებით, აკ. ფაღავა წერს: — „ჰამლეტი მესხიშვილის შესრულებით, განსაკუთრებით 900-იან წლებში, რევოლუცი-

[1] აკ. ფაღავა, ლადო მესხიშვილი, თბ., 1957წ., გვ. 4-5.

ურ სპექტაკლს წარმოადგენდა... მოსწავლე ახალგაზრდობა და მოწინავე ინტელიგენცია, ნოქრები და გათვითცნობიერებული მუშები, რევოლუციური სულისკვეთებით გაჟღენთილნი, „ჰამლეტში“ მეთექვსმეტე საუკუნის დანიას ან ინგლისს კი არ ჭვრეტდნენ, არამედ თანამედროვე რუსეთის იმპერიას. ჰამლეტი მათთვის თავისუფლებას მოწყურებული, მომავლის იდეალებისათვის მებრძოლი ახალგაზრდა იყო...“[1]

ლ. მესხიშვილის მიერ დადგმული ევროპელ, რუს და ქართველ დრამატურგთა პიესები საინტერესო და ორიგინალურ ინტერპრეტაციას პოულობდნენ მის სარეჟისორო ხელოვნებაში. როგორც რეჟისორი, იგი ყოველთვის იდგა რეალისტი ხელოვანისა და სცენის მაღალი ოსტატის სიმაღლეზე.

1907 წლიდან ქუთაისის თეატრს ოფიციალური მზრუნველი გამოუჩნდა ქუთაისის დრამატული საზოგადოების სახით, რომლის პირველი თავმჯდომარე იყო კ. ერისთავი. საზოგადოების მთავარ საზრუნავს თავიდანვე მსახიობთა დასის შედგენა და თეატრალური სეზონის წარმოება შეადგენდა.

1908 წელს შედგა მსახიობთა დასი, რომელმაც პირველივე თეატრალურ სეზონში თავი გამოიჩინა თავისი პროფესიული დონით. დასის წარმატებას ხელს უწყობდა ვალ. გუნიას ქუთაისში ჩამოსვლა, რომელიც რეჟისორად იქნა მიწვეული.

1909 წელს ქუთაისის დრამატულმა საზოგადოებამ საზეიმო ვითარებაში დაიწყო პირველი თეატრალური სეზონი. ამასთან დაკავშირებით „ივერიაში“ ვკითხულობთ: — „1909 წლის სექტემბრის 20-ს გაიხსნა სეზონი ქუთაისში ადგილობრივი დრამატული საზოგადოების ხელმძღვანელობით. წარმოადგინეს სენკევიჩის 5-მოქმედებიანი ისტორიული დრამა „ვიდრე ხვალ უფალო!“ — თარგმანი აკ. წერეთლისა. წარმოდგენის დაწყებამდე გამოვიდა მთელი დრამატული დასი და გამგეობის წევრნი, სამხედრო მუსიკამ დაკრა „მრავალჟამიერი“. დრამატული საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგმა ბ. ჩიქოვანმა საზოგადოების სახელით წარმოთქვა სიტყვა.

---

[1] აკ. ფაღავა, ლადო მესხიშვილი, თბ., 1957წ., გვ. 23-24.

მან ქართველი ერი შეადარა იმ ნავს, რომელიც აღელვებული ზღვის ზვირთებშია მოყოლილი და რომლის შველაც ბეწვზე კიდია.... მოიგონა დ. ყიფიანი „გაყრაში", ივანეს როლის შემსრულებელი, ქება-დიდება შეასხა მას, რომელიც უღვთოდ იქნა მოკლული. შემდეგ გამოაცხადა დრამატული საზოგადოების მიზანი".[1]

1909 წლიდან თეატრალური სეზონები ვ. გუნიას რეჟისორობითა და მონაწილეობით წარმატებით მიმდინარეობდა ქუთაისში. ამის მაჩვენებელია საზოგადოების წლიური ანგარიშები. როგორც აქედან ჩანს, 1909 წელს ქუთაისის თეატრის სცენაზე 53 წარმოდგენა დაიდგა. „არც ერთი სეზონის განმავლობაში არ ყოფილა დადგმული ამდენი წარმოდგენა, — ვკითხულობთ ანგარიშში, — ამ მხრივ ქუთაისის სეზონი პირველი მაგალითია".[2]

უშრეტი ენერგიის პატრონი, დიდი პატრიოტი და ეროვნული მოღვაწე ვალერიან გუნია (1862-1938წწ) 1883 წლიდან მოღვაწეობდა ქართულ პროფესიულ თეატრში. იგი იყო გამოჩენილი მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი და თეატრალური კრიტიკოსი, რომელიც მუდმივ გუშაგად იდგა ქართული თეატრის სადარაჯოზე. მის მიერ შესრულებული როლები: მეფე ლირი, ოტელო, ოიდიპოსი, კაკო (ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი"), ოთარ-ბეგი (ალ. სუმბათაშვილის „ღალატი") და მრავალი სხვა, დიდი სცენური მომხიბვლელობითა და შთამბეჭდაობით გამოირჩეოდა. როგორც შ. გომელაური გადმოგვცემს, „იყო სეზონი, როდესაც მთელი რეპერტუარის ერთი მესამედი, თუ მეტი არა, მის კალამს ეკუთვნოდა... მისი პიესები „და-ძმა", „ორი გმირი", „ციხის საიდუმლო", „არც აქეთ, არც იქით", „სიძე-სიმამრი", „აღლუმი" და მრავალი სხვა — საკუთარი, გადმოკეთებული თუ თარგმნილი, მრავალი სეზონის განმავლობაში ასაზრდოვებდა როგორც თბილისისა და ქუთაისის, ისე პერიფერიების თეატრებს, სახალხო სახლებსა და მუშათა კლუბებს. მაშინ ხომ არავითარი ჰონორარი არ ეძლეოდათ ავტორებს, მარტო ესეც კმარა იმის

---

[1] „ივერია", 1909წ., გვ. 39.

[2] იხ. ანგარიში ქუთაისის დრამატული საზოგადოების გამგეობის 1909-1910წწ. და 1910-1911 წლების, ქუთაისი, 1912წ., გვ.3.

აღსანიშნავად, თუ რა დიდი ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული თეატრის არსებობას და წინსვლა-წარმატებას".[1]

1909-1910 წლების თეატრალურ სეზონში ქუთაისის მსახიობთა დასს შეადგენდნენ: ელ. ანდრონიკაშვილი, ბარ. ასათიანი, ნინო დავითაშვილი, ნინო ჩხეიძე, ვალერიან გუნია, შალვა დადიანი, ალექსანდრე იმედაშვილი, ვასილ ბალანჩივაძე და სხვ. დროგამოშვებით დასში მონაწილეობას იღებდნენ: ნატო გაბუნია, ნ. ჯავახიშვილი, ვ. აბაშიძე, ი. ბაქრაძე და სხვ.[2]

ქუთაისის თეატრის სცენაზე წარმატებით გამოდიოდნენ მსახიობები: ელენე ანდრონიკაშვილი, ოლიმპიადა ღოღობერიძე, ნინო ჩხეიძე, ეველინა წუწუნავა და სხვ.

1909 წლის 3 დეკემბერს ქუთაისის დრამატულმა საზოგადოებამ ზეიმით აღნიშნა გამოჩენილი ქართველი მსახიობის ნატო გაბუნია-ცაგარლის სასცენო მოღვაწეობის 30-ე წლისთავი. ნატო გაბუნია (1859-1910წწ), ცნობილი დრამატურგის ა. ცაგარლის მეუღლე, 1897 წლიდან მუშაობდა თბილისის ქართულ პროფესიულ თეატრში და მის ერთ-ერთ წამყვან მსახიობად ითვლებოდა. მის მიერ განხორციელებული როლები: დედა (ი. ჭავჭავაძის „ქართლის დედა"), სალომე (ა. წერეთლის „კინტო"), ხანუმა (ა. ცაგარლის „ხანუმა"), შუშანიკი (სუნდუკიანცის „პეპო") და სხვ. გამოირჩეოდა უშუალობითა და ბუნებრიობით, ხალხური, ეროვნული კოლორიტით. ნ. გაბუნია დიდი პოპულარობით სარგებლობდა როგორც თეატრალურ წრეებში, ისე მთელ ქართველ ხალხში.

ამ პერიოდში ქუთაისის დრამატული საზოგადოების გამგეობის შემადგენლობაში შედიოდნენ: მ. ანჯაფარიძისა, ილ. ჩიქოვანი (თავმჯდომარე), ა. ავალიშვილი (მდივანი), ა. კრინეცკი (ხაზინადარი), ი. პურადოვი და დ. კლდიაშვილი.[3] გამგეობის მითითებით, სათეატრო რეპერტუარში შეჰქონდათ როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი პიესები. განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდნენ დ. ერისთავის

---

[1] შაქრო გომელაური, მოგონებანი, თბ., 1958წ. გვ. 96-97.

[2] იხ. დასახ. ანგარიში, გვ. 8.

[3] იქვე. გვ.3.

„სამშობლო“, ალ. სუმბათაშვილის „ღალატი“, ვ. შიუკაშვილის „მეგობრობა“, ს. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“, ალ. ყაზბეგის „ქეთევან წამებული“, ვ. გუნიას „და-ძმა“. ნათარგმნი პიესებიდან რეპერტუარს ამშვენებდა შექსპირის ტრაგედიები („ოტელო“, „ჰამლეტი“, „მეფე-ლირი“), შილერის „ყაჩაღები“, სენკევიჩის, ზუდერმანის, ალ. დიუმას, ლ. ანდრეევის, ვ. გოგოლის, მ. გორკის დრამატული ნაწარმოებები, რაც ქუთაისის თეატრის მაღალ კულტურულ დონეზე მიუთითებდა.

1910-1911 წლის ზამთრის სეზონში ქუთაისის დასში 21 მსახიობი ითვლებოდა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში დადგმული 51 წარმოდგენიდან 13 იაფფასიანი იყო. გამგეობა ცდილობდა მდაბიო ხალხი თეატრში მოეზიდა და ამ გზით გაეღვივებინა მისი კულტურული მოთხოვნილებანი. ამ მიზნით გამგეობამ რამოდენიმეჯერ შეამცირა სათეატრო ბილეთების ფასი. — „ჩვენი თეატრი მდაბიო ხალხთან დაახლოების გზაზე მხოლოდ ახლა დაადგა, — აღნიშნულია გამგეობის ანგარიშში, — და იმდენად ჯერ არ გაუხდია მათთვის თეატრი აუცილებელ საჭიროებად“.[1]

გაზეთი „ივერია“ აღნიშნავდა: „ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას თავის თავზე დიდი შრომა აქვს აღებული. მათ ნაშრომს საზოგადოებამაც მიაქცია ყურადღება და იმედია, რომ შემდეგაც ხელს შეუწყობს თეატრში სიარულით, რადგან ფასები ერთობ დაკლებულია“-ო.[2]

გამგეობა ხშირად ჩიოდა, რომ ქუთაისის არისტოკრატია ნაკლებად ესწრებოდა წარმოდგენებს: „წელს მაღალ წრეებიდან თეატრში თითქმის არავინ არ დადიოდა, — ვკითხულობთ 1910-1911 წლების ანგარიშში, — ეს იმას ნიშნავს, რომ უმაღლესი წრეები ნელ-ნელა ივიწყებენ მშობლიურ სცენას და მდაბიო ხალხში იგი ნელ-ნელა ფეხს იკიდებს“.[3]

საერთოდ, მაყურებელთა მხრივ ქუთაისის თეატრი ნაკლებობას არ განიცდიდა. მაგალითად, 1912 წლის სეზონში, მიუხედავად

---

[1] იხ. დასახ. ანგარიში. გვ. 9.
გაზ. „ივერია“, 1909წ., №39, გვ.4.
[3] იხ. დასახ. ანგარიში, გვ. 10.

იმისა, რომ გამგეობას მატერიალურად ძლიერ უჭირდა, თეატრს 19 397 მაყურებელი მაინც ჰყავდა (თითო წარმოდგენას საშუალოდ 338 კაცი ესწრებოდა), ხოლო შემოსავალი წარმოდგენებიდან 6 826 მანეთს შეადგენდა. ეს თანხა მართალია მცირე იყო თეატრის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ამით, შემოწირულებებთან ერთად, გამგეობა მაინც ახერხებდა მდგომარეობიდან გამოსვლას. მაგალითად ამ წელს, შემოწირულებათა სახით გამგეობამ მიიღო 6892 მანეთი, რამაც რამდენადმე შეამსუბუქა მისი მდგომარეობა. გარდა ამისა, ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას ყოველწლიურად ათასი მანეთით ეხმარებოდა ეკ. სარაჯიშვილი, დახმარებას უწევდნენ აგრეთვე ქუთაისის საადგილმამულო ბანკი და შავი ქვის მრეწველთა საბჭო, თუმცა ეს დახმარება ყოველთვის არ იყო საკმარისი.

1913 წლის სათეატრო სეზონის გამართვა ქუთაისის გამგეობამ ვერ მოახერხა მსახიობთა დასის გამო. გამგეობამ მტკივნეულად განიცადა ეს ამბავი. ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება"-ში არაერთი წერილი დაიბეჭდა ამასთან დაკავშირებით. ერთ-ერთ წერილში („ქართული წარმოდგენების საქმე ქუთაისში") ილია ბახტაძე თეატრალური სეზონის ჩაშლას შემდეგი მიზეზებით ხსნის:

— „დრამატულმა საზოგადოებამ და მისმა გამგეობამ დიდი ენერგია დახარჯა, რომ წარმოდგენების საქმე რიგიანად დაეყენებინა. ამან ნაყოფი გამოიღო: 1910-1911-1912 წლებში საზოგადოებას შესანიშნავი დასი ჰყავდა. წარმოდგენების რიგიანმა დადგმამ — ხარჯები მოითხოვა...რიგიანი ხარჯების დაფარვას კი ჩვენ ჯიბე-სქელ „მამულიშვილების" თანაგრძნობა ესაჭიროებოდა, ამ თანაგრძნობის სისუსტემ დაასამარა ქუთაისში ქართული წარმოდგენების საქმე".[1]

წერილის ავტორი საყვედურს გამოთქვამს ქუთაისის არისტოკრატიის მისამართით, რადგანაც ქართულ წარმოდგენებს მხოლოდ მუშები, ნოქრები და მოსწავლეები ესწრებოდნენ, რის გამოც პარტერი, ლოჟები და ფასიანი ადგილები მუდამ ცარიელი იყო. სამაგიეროდ, როდესაც ქუთაისს რომელიმე რუსული დასი ესტუმ-

[1] ჟურ. „თეატრი და ცხოვრება", 1914წ., №2, გვ. 14.

რებოდა (თუნდაც ქართველ მსახიობთა დონეზე ნაკლებხარისხოვანი), მაშინ მთელი ქუთაისის არისტოკრატია თავისი ცოლ-შვილით ლოჟებში გამოიჭიმებოდა. ასე არ ხდებოდა, როცა ქართული სცენის ვარსკვლავები გასტროლებზე ჩამოდიოდნენ ქუთაისში.

ავტორი ამგვარ მოვლენას მაღალი არისტოკრატიის გადაგვარებითა და ეროვნული თეატრისადმი მისი ინდიფერენტული დამოკიდებულებით ხსნის. — „გადაგვარებული ინტელიგენცია მიდის, — წერს ი. ბახტაძე, — მასში უარყოფილია ყოველგვარი მშობლიური; სამაგიეროდ, ხალხში, დემოკრატიაში ღვივდება ეროვნული კულტურისადმი პატივისცემა, დრამატული საზოგადოებაც ამ შემთხვევაში ხალხს უნდა დაეყრდნოს ქუთაისში ქართული წარმოდგენების საქმის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად".[1]

პრესა ფართოდ აშუქებდა „გადაგვარებული ქართველი ინტელიგენციის" გულცივობასა და უზრუნველობას ეროვნული თეატრალური კულტურისადმი. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება" წერს: — „არა ერთხელ თქმულა, რომ დღეს ქართული თეატრის მაყურებელი ხალხია, დემოკრატია, იშვიათ შემთხვევაში არისტოკრატია, ისიც მხოლოდ ქველმოქმედების მიზნით... ეს არ შეეფერება ჩვენი თეატრის ღირსებასა და მის მსახურთ; ერთხელ და სამუდამოდ უარყოფილ უნდა იქნეს ხელგაშვერა და მოწყალებით საზრდოობა... დღევანდელმა ქართულმა თეატრმა მხოლოდ მუდმივი მაყურებლის სულიერი წყურვილის დაკმაყოფილება უნდა დაისახოს მიზნად და საზრდოსაც მუდამ მისგან ელოდოს...".[2]

1914 წლის 18 სექტემბერს ქუთაისის დრამატულმა საზოგადოებამ მოახერხა თეატრალური სეზონის დაწყება. სეზონი 5 თვეს გაგრძელდა. გაიმართა 59 წარმოდგენა (10 საბენეფისო), შემოსავალი შეადგენდა 12714 მანეთს.[3] წარმოდგენილ იქნა ალ. სუმბათაშვილის „ღალატი", შილერის „დონ-კარლოსი", შექსპირის „მეფე ლირი" და „ოტელო" ივ. მაჩაბლის მონაწილეობით; სოფოკლეს

---

[1] ჟურ. „თეატრი და ცხოვრება", 1914 წ., №14, გვ 2.

[2] იქვე.

[3] ანგარიში ქუთაისის დრამატული საზოგადოების გამგეობისა, 1914-1915 წწ, ქუთაისი.

„ანტიგონე“, გუცკოვის „ურიელ აკოსტა“, დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“, ა. წერეთლის „პატარა კახი“ და სხვ. სათეატრო დასს შეადგენდნენ: ტასო აბაშიძე, ნინო დავითაშვილი, ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ვ. გუნია, გ. იშხნელი, გ. გურული, ლ. თუხარელი და სხვ. რეჟისორებად მუშაობდნენ ვლ. ალექსი-მესხიშვილი და ვ. შალიკაშვილი.

ამ წლიდან საზოგადოებას ხელმძღვანელობდა ახალი გამგეობა ი. ჩიქოვანის თავმჯდომარეობით. გამგეობაში შედიოდნენ: ყ. დათეშიძე, კ. კაჭახიძე, ს. კილაპე, ა. კრინიცკი, მ. ლორთქიფანიძისა, ი. პურადაშვილი, ი. ჩიმაკაძე, ჯ. ჯორჯიკია.

წევრთა რიცხვის მიხედვით საზოგადოება საგრძნობლად შემცირდა. საზოგადოებაში ირიცხებოდა სულ 34 წევრი, მათ შორის 4 საპატიო, 13 მუდმივი და 17 ნამდვილი.

1915 წლის აგვისტოში მოწვეულ იქნა ქუთაისის დრამატული საზოგადოების საგანგებო კრება, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ზამთრის თეატრალური სეზონის საკითხი. გამგეობის აზრით იგი ვერ შესძლებდა მსახიობთა დასის შენახვას, რადგან საერთო სიძვირის გამო მსახიობები დიდ ხელფასს ითხოვდნენ, ხოლო თუ რომელიმე სცენისმოყვარეთა ამხანაგობა ამ საქმეს ხელს მოკიდებდა, გამგეობა მას დაეხმარებოდა სეზონის წარმოებაში. ამ დროისათვის გამგეობის შემადგენლობაში შედიოდნენ: ი. ანჯაფარიძე (თავმჯდომარე), ა. კრინიცკი, მ. ლორთქიფანიძისა, ე. მეფისაშვილი, ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ალ. სუმბათაშვილ-იუჟინი და პ. მოსეშვილი. დასის რეჟისორად მოიწვიეს შ. დადიანი, რომელმაც ითავა ქუთაისში თეატრალური სეზონის გამართვა.[1] მან შეადგინა მსახიობთა დასი და ბევრი მაყურებელიც მოიზიდა თეატრში, განსაკუთრებით დაბალი ფენების წარმომადგენლები.

1915 წელს ქუთაისის დრამატული საზოგადოების ინიციატივით მოწვეულ იქნა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების კრება, რომელმაც შექმნა საორგანიზაციო კომიტეტი და აღმასრულებელი ბიურო ქუთაისში ახალი სათეატრო შენობის ასაგე-

[1] ანგარიში ქუთაისის დრამატული საზოგადოების გამგეობისა, 1915-1916წწ, ქუთაისი, 1916წ.

ბად, რომლის აუცილებლობას ყველა გრძნობდა, მაგრამ საქმის დაწყება ვერავის გაებედა. ამგვარად დასაბამი მიეცა თეატრის აშენების საქმეს, რასაც დიდი თანაგრძნობით შეხვდა ქუთაისის საზოგადოება. ეკ. სარაჯიშვილმა თავისი ანდერძით 25 ათასი მანეთი დაუტოვა ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას, ხოლო თეატრის ასაშენებლად 150 ათასი მანეთი უანდერძა.

წარმატებით აგრძელებდა მოღვაწეობას თბილისის დრამატული საზოგადოება. 1908 წელს გამგე-კომიტეტმა შეიმუშავა სპეციალური ინსტრუქცია – „წესები ქართულ დრამატულ საზოგადოების დასში მყოფ სცენის მოღვაწეთათვის", რომლის მიხედვით სათეატრო საქმის ხელმძღვანელობა და მასზე მზრუნველობა ეკისრებოდა ქართულ დრამატულ საზოგადოებას, მას უნდა დამორჩილებოდა საზოგადოების სამსახურში მყოფი სცენის ყველა მოღვაწე. გამგე-კომიტეტი მოქმედებდა როგორც კოლეგიალური დაწესებულება, რომელსაც ყავდა უცვლელი თავმჯდომარე. მის კომპეტენციაში შედიოდა რეპერტუარის შედგენა, რომელიც რეჟისორისათვის უნდა წარედგინა თეატრალური სეზონის დაწყებამდე; მსახიობები ვალდებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ რეჟისორის განკარგულებებს; დრამატული საზოგადოება თავის მხრივ ვალდებული იყო სცენის მოღვაწეთათვის (რეჟისორი, კაპელმეისტერი, მსახიობები, მუსიკოსი, სუფლიორი, დეკორატორი) გაეცა ხელფასი ნახევარ-ნახევარი თვისა.

ინსტრუქციაში დაწვრილებით იყო განსაზღვრული სცენის მოღვაწეთა ვალდებულებები. მაგალითად, მსახიობის მოვალეობას შეადგენდა როლების შემოქმედებითი შესწავლა (ცვლილებების შეტანა, შემოკლება, გადაკეთება); მსახიობს შეეძლო უარი ეთქვა წარმოდგენაში მონაწილეობაზე, გამოეთქვა საკუთარი აზრი და სხვ. რეჟისორს ევალებოდა მოემზადებინა პიესა, მსახიობები, მოეწყო სცენა და ა.შ.

თბილისის დრამატული საზოგადოების მოღვაწეობაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა დრამატული კურსების გახსნა, რომელიც საზოგადოების დამფუძნებელთა დიდი ხნის ოცნებას წარმოადგენდა. ეს საკითხი ჯერ კიდევ გ. თუმანიშვილმა დააყენა საზოგადოების წინაშე 80-იან წლებში. მან საზოგადოების კო-

მიტეტს ვრცელი, დასაბუთებული მოხსენება წარუდგინა, სადაც მჭერმეტყველურად ასაბუთებდა მსახიობთა დრამატული კურსების (კლასების) დაარსების აუცილებლობას.

გ. თუმანიშვილის აზრით, კურსების გასახსნელად კომიტეტს დიდი ხარჯის გაწევა არ მოუწევდა, რადგანაც მოსწავლეები წარმოდგენებში უსასყიდლოდ მიიღებდნენ მონაწილეობას. მისი ვარაუდით, ამ საქმეზე დაიხარჯებოდა დაახლოებით 500-დან 1000 მანეთამდე წელიწადში.[1]

სამწუხაროდ, გ. თუმანიშვილის ეს წამოწყება მაშინ ვერ განხორციელდა. მიუხედავად ამისა, გამგე-კომიტეტმა თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ მიიღონ წინადადება დრამატული კურსების დაარსების შესახებ იმ მოსაზრებით, რომ ამ წინადადებით ისარგებლებდნენ შემდეგში.

1913 წელს თბილისის დრამატულმა საზოგადოებამ შეძლო დრამატული კურსების გახსნა. კურსებზე სწავლის ხანგრძლივობა ორ წელიწადს შეადგენდა, კურსიდან კურსზე გადასაყვანი გამოცდები მიმდინარეობდა წელიწადში ერთხელ წინასწარ შემუშავებული პროგრამის ფარგლებში მასწავლებლებისა და კომიტეტის წევრების თანდასწრებით.

დრამატულ კურსებზე მიიღებოდნენ ვაჟები — 17 წლის, ქალები — 15 წლის ასაკიდან, სწავლის ფასი წლიურად 40 მანეთს შეადგენდა. ვინც 6 თვის მანძილზე ვერ გამოიჩენდა შესაფერის ცოდნას, კურსებიდან ირიცხებოდა ისე, რომ შემოტანილი თანხა უკან არ უბრუნდებოდა.

დრამატული კურსების დირექციას ყოველწლიურად უნდა გაეგზავნა საჩვენებელი წარმოდგენები. ის, ვინც თავს გამოიჩენდა, აჯილდოებდნენ პირველი ხარისხის დიპლომით და ქართული თეატრის ნიჭიერი თანამშრომლის წოდებით; მეორე ხარისხის დიპლომიანი კურსდამთავრებულები ღებულობდნენ მხოლოდ ქართული თეატრის თანამშრომლის წოდებას, ხოლო მესამე ხარისხის — დრამატული კურსების დამთავრების მოწმობას.

---

[1] ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1914წ., №6.

კურსებზე იკითხებოდა ზოგადი კურსები ანატომიაში, ფიზიოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, მსოფლიო ისტორიაში, საქართველოს ისტორიაში, საზღვარგარეთისა და რუსული მწერლობის ისტორიაში, ქართული მწერლობის ისტორიაში (ძველი და ახალი პერიოდი), ხელოვნების ისტორიაში, მხატვრობასა და ქანდაკებაში. სპეციალური საგნებიდან ისწავლებოდა: დიქცია და სოლფეჯიო, დეკლამაცია და მელოდეკლამაცია, პლასტიკა და ცეკვა, მიმიკა, გრიმი და სხვ.

კურსებზე ლექციებს კითხულობდნენ დამსახურებული მსახიობები და მოწვეული ლექტორები. კურსებს ხელმძღვანელობდნენ ვლ. ალექსი-მესხიშვილი და ვალ. გუნია. სამწუხაროდ, დრამატული კურსები ერთი წლის შემდეგ დაიხურა მატერიალური უსახსრობის გამო.

1913 წლის თებერვალში ქართულმა თეატრალურმა საზოგადოებამ ფართოდ აღნიშნა ვლ. ალექსი-მესხიშვილის სასცენო მოღვაწეობის 30-ე წლისთავი. საიუბილეო კომიტეტს ხელმძღვანელობდა აკ. წერეთელი. იუბილემ ეროვნული დღესასწაულის სახე მიიღო, არ დარჩენილა არც ერთი ქართული თვითმოქმედი საზოგადოება, რომელსაც ამ დღესასწაულში მხურვალე მონაწილეობა არ მიეღო. იუბილარს საკუთარი ლექსები მიუძღვნეს ვაჟა-ფშაველამ, ი. გრიშაშვილმა, ალ. აბაშელმა, გ. ქუჩიშვილმა და სხვ. კომპოზიტორმა ნ. სულხანიშვილმა იუბილარს ამ დღისათვის ვაჟა-ფშაველას ლექსზე დაწერილი სპეციალური საგუნდო ნაწარმოები მიუძღვნა.

თბილისის შემდეგ ლადო მესხიშვილის იუბილე გადაიხადეს ქუთაისის, ფოთის, ბათუმის, ხონის, ოზურგეთის და ბაქოს დრამატულმა საზოგადოებებმა.

13 მარტს ბაქოს დიდ თეატრში მოეწყო ლ. მესხიშვილის საიუბილეო საღამო. როგორც „სახალხო გაზეთი“ იუწყებოდა, საღამომ მეტად გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. იუბილარს მიესალმნენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების წარმომადგენლები, აზერბაიჯანის, ებრაელთა და სომეხთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, ბაქოს ქართული სკოლის მოსწავლეები და სხვ.

საღამოს დასასრულს, ლ. მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა დ. ერისთავის „სამშობლოს“ უკანასკნელი მოქმედება და „ედმონდ კინის“ მესამე აქტი. საღამოზე შემოსულმა თანხამ ათას მანეთს გადააჭარბა, რომელიც იუბილარს გადაეცა.[1]

ბაქოს ქართულმა დრამატულმა დასმა არსებობა დაიწყო ჯერ კიდევ 1903 წლიდან, რომელიც დროგამოშვებით მართავდა წარმოდგენებს ქველმოქმედების მიზნით. 1904 წელს წარმოდგნილ იქნა ვ. გუნიას „და-ძმა“, სოციალ-დემოკრატ ალ. ჯაფარიძის მონაწილეობით. მთელი შემოსავალი გადაუციათ ბაქოს პარტიული ორგანიზაციისათვის. 1905 წელს ალ. ჯაფარიძეს მეორედაც მიუღია მონაწილეობა ა. ცაგარლის „ქართველ დედაში“, სადაც იგი უსუფ-ფაშას როლს ასრულებდა. ამ წელს მისი ინიციატივით დრამატულმა დასმა კიდევ ორი წარმოდგენა დადგა, რომლის შემოსავლის დიდი ნაწილი გადაეცა სომეხ-თათართა შეტაკების დროს დაზარალებულთა დასახმარებლად შექმნილ ფონდს, დანარჩენი — იაფ-ფასიან სამკითხველოებს.[2]

ბაქოელი ქართველები თითქმის ყოველთვის ეხმაურებოდნენ საქართველოს კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს. მათ ხელს უწყობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს განყოფილება და მასთან არსებული დრამატული სექცია. 1917 წლის სექტემბერში მოხდა დრამატული სექციის რეორგანიზაცია — შედგა დრამატული კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ წერა-კითხვის საზოგადოების ბაქოს განყოფილების გამგეობის ოთხი და სექციის ორი წევრი, შვიდი გარეშე პირი. დრამატული კომიტეტის მოვალეობაში შედიოდა რეპერტუარის შედგენა და ადმინისტრაციული და ფინანსური მხარეები.

ბაქოს დრამატული კომიტეტის წევრებად ითვლებოდნენ: ი. აგლაძე (თავმჯდომარე), ვ. ამაშუკელი, ვ. გელოვანი, ა. ჟორჟოლიანი, მ. მარჯანიშვილი, მ. ნასიძე, პ. ქარუმიძე, ს. ჭანტურიშვილი (თავმჯ-

---

[1] „სახალხო გაზეთი“, 1913 წ., №848.

ლ. ყურულაშვილი, ქართული თეატრი ბაქოში, თბ., 1974 წ., გვ. 36-37.

დომარის თანაშემწე), დ. თედეიშვილი (ხაზინადარი), მ. კაკაბაძე (მდივანი).[1]

1914-1915 წლებში ბაქოს დრამატულ კომიტეტს თავმჯდომარეობდა ღვაწლმოსილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ თაქთაქიშვილი; მან ამ წლის თეატრალურ სეზონში რეჟისორად მოიწვია შალვა დადიანი, რომელიც აქ მხოლოდ ერთი სეზონი მუშაობდა. შემდგომში დასს ხელმძღვანელობდნენ ვ. შალიკაშვილი და ი. ზარდალიშვილი. 1916 წელს, მ. თაქთაქიშვილის ქუთაისში გადასვლის შემდეგ, ბაქოს დრამატული კომიტეტის საქმიანობა მნიშვნელოვნად შეფერხდა.

ქართული თეატრის ასპარეზის გაფართოებამ გამოიწვია სრულიად საქართველოს სცენისმოყვარეთა ყრილობის მოწვევის აუცილებლობა. ამ საკითხზე არაერთი საყურადღებო წერილი გამოქვეყნდა ქართული პრესის ფურცლებზე. 1910 წელს ქართული დრამატული საზოგადოების მაშინდელმა თავმჯდომარემ პართენ გოთუამ საზოგადოების საერთო კრებას ვრცელი მოხსენება წარუდგინა, სადაც იგი დამაჯერებლად ასაბუთებდა ყრილობის მოწვევის აუცილებლობას. მისი აზრით, ყრილობას უნდა შეექმნა ერთი საერთო ცენტრი მთელი საქართველოს მასშტაბით, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევდა სხვადასხვა ქალაქებსა და პროვინციებში მოქმედ დრამატულ საზოგადოებებსა და სცენისმოყვარეთა წრეებს. თუ როგორი დამოკიდებულება იქნებოდა ცენტრსა და რეგიონებს შორის, ყრილობა გამოარკვევდა, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ხელოვნების მუშაკებს.[2]

პ. გოთუას ზემოხსენებულ მოხსენებაში ჩამოთვლილი იყო მთავარი საკითხები, რომელიც მომავალ ყრილობას უნდა განეხილა (რეპერტუარი, რეჟისურა, საარტისტო სკოლა, თეატრალური ჟურნალი, მსახიობთა პენსიები და სხვ). კრებამ პროგრამის შესამუშავებლად სპეციალური კომისია აირჩია, მაგრამ ეს საქმე მალე დავიწყებას მიეცა.

---

[1] ცსსა, ფონდი 481, საქ. 1073, ფურ. 14-17.

[2] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1910წ., №7.

1912-1913 წლებში დრამატულ საზოგადოებათა რიცხვის ზრდამ განაპირობა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ამ საკითხის ხელახლა დაყენება. 1914 წლის დასაწყისში ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ წერდა: — „დღეს ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში უკვე სდგება დრამატული საზოგადოებანი, სცენის მოყვარეთა ჯგუფები, აშენებენ სასცენო დარბაზებს და სხვ. ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებს, რომ სათეატრო საქმე ჩვენში წინ მიდის“.[1]

ჟურნალში გამოთქმული იყო სურვილი, მოწვეულიყო საკანონმდებლო ხასიათის მქონე სცენისმოყვარეთა ყრილობა, რომლის გადაწყვეტილებანი სავალდებულო იქნებოდა ყველა თეატრალური მოღვაწისათვის.

ყრილობის მოწვევის საკითხის გააქტიურებას ხელი შეუწყო ჭიათურის დრამატულმა საზოგადოებამ, რომელმაც თხოვნით მიმართა თბილისის ქართულ დრამატულ საზოგადოებას სათავეში ჩასდგომოდა ამ საქმეს. ჭიათურელთა აზრით, ყრილობას ერთმანეთთან უნდა დაეკავშირებინა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და პროვინციებში მოქმედი დრამატული საზოგადოებები და სცენის მოღვაწენი, „რათა მჭიდრო ორგანიზაციისა და შრომის განაწილების საშუალებით უფრო გაენაყოფიერებინათ თავისი მუშაობა“.[2]

ჭიათურის დრამატული საზოგადოების გამგეობის წევრი ის. ვარაზიშვილი წერს: — „ჩვენი დრამატული საზოგადოებანი და სცენის მოყვარეთა წრენი — ყველანი ცალ-ცალკე მოქმედებენ, ერთმანეთს ვერ ეხმარებიან, ამიტომ სუსტნი არიან. სცენაზე მხოლოდ მსახიობი გამოჰყავთ, ხელოვნების სხვა დარგებთან ახლოს არ დგანან — მუსიკა, პოეზია, მხატვრობა; ჩვენი დრამატიული საზოგადოებანი ანტრეპრენიორობის უღელში შებმულან და მთელ ძალ-ღონეს სეზონის გაძღოლას უნდებიან“.[3]

ის. ვარაზიშვილის აზრით, საჭირო იყო „თეატრისა და ხე-

---

[1] ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1914წ, №6.

[2] იგივე ჟურნალი, №11, გვ. 5-6.

[3] იქვე.

ლოვნების საზოგადოებათა კავშირის“ შექმნა, რომელშიც გაწევრიანდებოდნენ დრამატული, სიტყვაკაზმული მწერლობის, ფილარმონიული და მხატვართა საზოგადოებები, კავშირში შეეიდოდნენ აგრეთვე სცენის მუშაკთა პროფესიული ორგანიზაციები, სცენისმოყვარეთა წრეები და სექციები.

ყრილობის ორგანიზაციის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ქართულ დრამატულ საზოგადოებასთან არსებულმა სპეციალურმა კომისიამ არჩ. ავალიშვილის თავმჯდომარეობით. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ: გრ. დიასამიძე, ს. ტარუაშვილი, შ. დადიანი, ა. წუწუნავა, კ. მესხი, ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ვ. გუნია, ვ. შალიკაშვილი, მ. ქორელი და ივ. ბარველი. კომისიამ წინასწარ შეიმუშავა მომავალი ყრილობის სამოქმედო პროგრამა.

სრულიად საქართველოს სცენისმოყვარეთა I ყრილობა გაიხსნა 1914 წლის 8 ივნისს ქართულ თეატრში. ყრილობას ქართული ხელოვნების მუშაკთა 200-ზე მეტი დელეგატი ესწრებოდა. პრეზიდიუმის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს აკაკი წერეთელი. პრეზიდიუმის შემადგენლობაში შევიდნენ: გ. ლასხიშვილი (თავმჯდომარე), კ. აბაშიძე, ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ი. ბარათაშვილი და ალ. კრინიცკი (დარახველიძე), პრეზიდიუმის სამდივნო კოლეგიაში — კ. ანდრონიკაშვილი, შ. დადიანი, ი. იმედაშვილი, ს. რომანიშვილი და ს. ჭანტურიშვილი.[1]

ყრილობამ იმუშავა ერთი კვირის მანძილზე, წაკითხულ იქნა შემდეგი მოხსენებები: „ჩვენი დრამატურგია“ (მომხსენებელი ა. ანდრონიკაშვილი), „რეპერტუარი“ (შ. დადიანი), „ქართული ენა ქართულ თეატრში“ (არჩ. ავალიშვილი), „დრამატულ საზოგადოებათა კავშირი“ (ს. ტარუაშვილი), „რეცენზია და თეატრალური კრიტიკა“ (კ. აბაშიძე), „დრამატული კურსების დაარსების შესახებ“ (ვ. ღამბაშიძე), „თეატრი სოფლად“ (ა. ჯაჯანაშვილი), „პროფესიული კავშირი“ (შ. დადიანი), „სახალხო თეატრი“ (ი. იმედაშვილი), „რეჟისურის შესახებ“ (გ. ახობაძე და ა. ფაღავა), „მსახიობის ვითარების შესახებ“ (ა. წუწუნავა და ა. ფაღავა), „ბენეფისისა და

---

[1] ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1914წ. №11, გვ. 5-6

იუბილეს შესახებ (ვლ. ალექსი-მესხიშვილი) და სხვ[1].

იოსებ იმედაშვილის გადმოცემით, ყრილობაზე წარმოდგენილი მოხსენებები შორაპნის (მ. გაჩეჩილაძის) სტამბას გადაეცა დასაბეჭდად. მათი გამოსაცემი თანხა ბანკმა გაიღო გ. ლასხიშვილის დახმარებით. გამოცემის საქმე დაევალათ კ. ანდრონიკაშვილს, შ. დადიანსა და ი. იმედაშვილს, მაგრამ, მსოფლიო ომის დაწყებამ და შემდეგ რევოლუციამ ხელი შეუშალეს ამ ძვირფასი მასალების გამომზეურებას.[2]

ყრილობის შესახებ შ. დადიანი წერდა: — „არავინ მოელოდა, არავის სჯეროდა, თუ ასე რიგიანი და შინაარსიანი სხდომების წაყვანა შეგვეძლო ქართველებს. მადლობა ღმერთს, სცენის მოღვაწეთა ყრილობამ მაინც გვამცნო, რომ დამჯდარი ბაასი და პარლამენტარული კამათი ჩვენც შეგვიძლია და ისიც ჩვენს მშობლიურ ენაზე".[3]

ყრილობაზე მთავარი ყურადღება დაეთმო რეპერტუარის საკითხს. როგორც მომხსენებელმა შ. დადიანმა აღნიშნა, რეპერტუარი თეატრის ყველაზე მტკივნეულ მხარეს წარმოადგენდა. წინა წლებში ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობამ რამოდენიმეჯერ გამოაცხადა კონკურსი (1899,1901, 1903, 1905წწ.) საუკეთესო ორიგინალურ, ნათარგმნ თუ გადმოკეთებულ პიესებზე, მაგრამ არ იყვნენ კვალიფიციური დრამატურგები, არ იქმნებოდა მაღალხარისხოვანი პიესები და, ამდენად, არც რეპერტუარის საკითხი გვარდებოდა შესაბამისად. მომხსენებლის აზრით, რეპერტუარის შედგენისას უპირატესობა უნდა მისცემოდა ორიგინალურ პიესებს, მაგრამ რეპერტუარში კლასიკოსთა დრამატული ნაწარმოებების შეტანა მეტად სასარგებლო საქმე იქნებოდა. ისტორიული შინაარსის პიესებიდან უნდა შეერჩიათ მაღალმხატვრული ნაწარმოებები, მხოლოდ მათი დადგმა ახლებურად უნდა განხორციელებულიყო.

პეტრე მირიანაშვილმა დააყენა საკითხი ქართული თეატრის ისტორიის 1791 წლიდან დაწყების შესახებ, როდესაც მეფე ერეკლე II დროს დაიდგა პირველი ქართული პიესა „მეფე თეიმურაზი" დ. ავალიშვილისა.

---

[1] ჟურ. „თეატრი და ცხოვრება", 1914 წ., №17, გვ. 12-14.
[2] ი. იმედაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 427.
[3] ჟურ. „თეატრი და ცხოვრება", 1914წ., №22, გვ.5.

დიდი ინტერესი გამოიწვია ჯ. ღამბაშიძის მოხსენებამ დრამატული კურსების დაარსების შესახებ, აგრეთვე სასოფლო თეატრის, რეჟისურის, ბენეფისის და იუბილეს მოწყობისა და სხვა საკითხებმა.

სცენისმოყვარეთა I ყრილობამ მიიღო მთელი რიგი საყურადღებო დადგენილებანი, რომლებიც გამოხატავდნენ იმდროინდელ საზოგადოებრივ აზრს ქართული დრამატული ხელოვნების მრავალ საჭირბოროტო საკითხზე. მათი დიდი მნიშვნელობის გამო მოვიტანთ ზოგიერთ მათგანს:

1. რეპერტუარის შესახებ (მომხსენებელი შ. დადიანი) — „რადგანაც თეატრი სახელოვნო დაწესებულება არის, ამიტომაც მისი რეპერტუარი უნდა შეიცავდეს ხელოვნურ ნაწარმოებს როგორც ყოფა-ცხოვრების, კომედიას, სოციალურ ან ფსიქოლოგიურ განცდათა დრამას, აგრეთვე ისტორიულ პიესებსაც.

უპირატესობა უნდა მიეცეს ორიგინალურ პიესებს. რაც შეეხება კლასიკურ ნაწარმოებებს, მათი რეპერტუარში შეტანა მეტად სასარგებლოა და საჭირო.

ისტორიული პიესები, რომლებიც საკვლევით მოკლებული არიან ხელოვნურ ელფერს, სრულებით უნდა განიდევნონ რეპერტუარიდან, ხოლო ის ისტორიული პიესები, რომელნიც კოჭლობენ, უნდა დაიდგას იმ შემთხვევაში, თუ ისინი ახალი გზით იქნებიან დადგმულნი და სასცენო განსახიერება პიესისა დაფარავს თვით პიესის ნაკლს.

თარგმანებში სასურველია დაიდგას მხოლოდ საუკეთესო ნიმუშები უცხოელ მწერალთა შემოქმედებისა“.

2. რეცენზია და თეატრალური კრიტიკა (მომხსენებელი კ. აბაშიძე) — „ სასურველია პრესა სიფრთხილით მოეპყრას საზოგადოდ თეატრალურ კრიტიკას და რეცენზიას და ეცადოს ამ საქმის გაუმჯობესებისათვის. რეცენზიების წერა კი დაევალოს სპეციალისტ თეატრალურ კრიტიკოსებს“.

3. ქართული ენის შესახებ (მომხსენებელი არჩ. ავალიშვილი) — „ქართული ენა ჩვენს სცენაზე ცუდ მდგომარეობაშია, ყრილობამ გადაწყვიტა ეთხოვოს დრამატულ საზოგადოებებს ყურადღება მიაქციოს დრამატულ ნაწარმოებთა ენის სიფაქიზეს და მოსთხოვოს არტისტებს ქართული ენის სრულის სიმართლით დაცვა. ამისათვის

ყრილობა აღნიშნავს შემდეგ ღონეს: ა) სცენაზე მიიღებოდეს მსახ-იობი საჯარო გამოცდის შემდეგ ქართული ენისა და ლიტერატურ-ის ცოდნაში; ბ) ვისაც დეფექტები აქვთ ქართული ენის ცოდნაში, ეს ნაკლი აიშორონ; წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შესახებ მიღებუ-ლი იქნეს შენიშვნები და ჯარიმები; გ) სცენაზე და დრამატულ ლიტერატურაში გაბატონებული იქნეს ქართული ლიტერატურა და განიდევნოს პროვინციალური კილო; დ) დრამატულ საზოგადოე-ბებს ეთხოვოს არ დართონ ნება წარმოადგინონ ისეთი პიესები, რომელთა ენა შესწორებული არ იქნება სპეციალისტთა მიერ.

4. ქართული თეატრის დასაბამის შესახებ (წინადადება პ. მირი-ანაშვილისა) — „რადგან პირველი ქართული წარმოდგენა გაიმართა ერეკლე მეფის დროს, 1791 წელს, ყრილობამ გადაწყვიტა ეთხოვოს თბილისის დრამატიულ საზოგადოებას მომავალ 1916 წელს გადაიხ-ადოს 125 იუბილე და ეცადოს დადგას ის პიესა, ე.ი. „მეფე თეიმუ-რაზი“ ავალიშვილისა. ვინაიდან ჯერ დღე არ არის გამორკვეული პირველი ქართული წარმოდგენის, ვიდრე ეს გამოირკვეოდეს, დარჩეს სადღესასწაულოთ ისევ დღე 2 იანვრისა, მით უმეტეს, რომ ამ დღეს ჩაეყარა საძირკველი მუდმივ ქართულ თეატრს“.

5. სასცენო ხელოვნების შესახებ (მომხსენებელი აკ. ფაღავა). — „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სცენა შეძლებისდაგვარად ემსახურე-ბა თავის დანიშნულებას და წინსვლა ეტყობა, დღევანდელი მისი მდგომარეობა კიდევ მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას:

ა) მოწვეულ იქნეს ნიჭიერი და გემოვნებიანი რეჟისორი და მსახიობი;

ბ) ყოველი ღონე იქნეს მიღებული ქონებრივი მდგომარეობის გასაძლიერებლად დრამატიულ საზოგადოებათა და იმ დაწესებულე-ბათა, რომელნიც სათავეში უდგანან ქართული თეატრის საქმეს.

გ) სასცენო მოწყობილობა უნდა იქნეს დაყენებული თანახმად სპეციალისტ-რეჟისორის მოთხოვნილებისა“.

6. დრამატიული კურსების დაარსების შესახებ (მომხსენებელი ექიმი ვ. ღამბაშიძე) — „ ა) ყრილობა საჭიროდ თვლის დრამატი-ული კურსების დაარსებას ფართო პროგრამით. ამ კურსების პრო-გრამის შედგენა დაევალოს სპეციალურ კომისიას;

ბ) ყრილობა გამოთქვამს სურვილს დაუყოვნებლივ დაარსდეს პრაქტიკული სტუდიები თუ ყველა არსებულ თეატრთან არა, თბილისის დრამატიული საზოგადოების გამგეობასთან მაინც.

გ) დრამატულმა საზოგადოებებმა და წრეებმა ყოველ წარმოდგენიდან გადასდონ, არანაკლებ 1 მანეთისა მომავალ დრამატიული კურსების ფონდისათვის".

7. სოფლის თეატრის შესახებ (მოხსენება არჩ. ჯაჯანაშვილისა) — „ დრამატიულმა საზოგადოებებმა და წრეებმა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილებებმა ხელი შეუწყონ პროვინციასა და სოფლად თეატრის საქმის განვითარებას; საჭიროა შემუშავდეს შესაფერი ტიპი მოძრავი თეატრისა, ხოლო სადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელი არ იქმნება, ხელი შეუწყონ შესაფერის მუდმივი ბინის შექმნას. ერთი რომელიმე დღე სეზონის განმავლობაში გამოცხადდეს სახალხო დღედ, როდესაც გაიმართება წარმოდგენები სოფლის თეატრის ფონდის გასაძლიერებლად. ქართული თეატრი იმ პროვინციებშიც განვითარდეს, სადაც ქართველი მაჰმადიანები მოსახლეობენ".

8. სახალხო თეატრის შესახებ (მომხსენებელი ი. იმედაშვილი) — „ დრამატიული საზოგადოებების გამგეობებმა ყურადღება მიაქციონ იაფ-ფასიან წარმოდგენების მართვას, მეტი ყურადღება მიაქციონ სახალხო თეატრის წარმოდგენების მმართველ წრეთ სხვადასხვა გვარის დახმარებით, რეჟისურის მხრით, შემუშავებულ იქნეს სახალხო თეატრისათვის ერთნაირი რეპერტუარი.

აღიძრას შუამდგომლობა, რომ თბილისის ქართული თეატრი გადაკეთებული იქნას ისე, რომ იაფ-ფასიანი ადგილების რიცხვი მოემატოს".

გარდა ამისა, ყრილობამ სურვილი გამოთქვა შექმნილიყო ქართველ დრამატურგთა, დრამატულ საზოგადოებათა და მსახიობთა პროფესიული კავშირები.[1]

ამრიგად, სცენისმოყვარეთა I ყრილობამ ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების მიზნით ფართო საზოგადოების წინაშე

---

[1] ჟურ. „თეატრი და ცხოვრება", 1914წ., №17.

დააყენა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: დედაენის სიწმინდის დაცვა, იდეური რეპერტუარის შერჩევა, დედაქალაქისა და სასოფლო თეატრების დაახლოება და მათი საერთო გეგმით მოქმედება, მსახიობთა კვალიფიციური კადრის შერჩევა, საქართველოში მოქმედ დრამატულ საზოგადოებათა გაერთიანება, მსახიობთა პროფესიული კავშირის შექმნა, ორიგინალური პიესების ავტორებისათვის პრემიების დაწესება, მსახიობთა ფონდის დაფუძნება და სხვ.

1914 წელს სცენისმოყვარეთა I ყრილობამ ახალი ეტაპი დაიწყო ქართული დრამატული ხელოვნების განვითარებაში. ი. იმედაშვილი წერდა: „...ამ ყრილობამ უნდა ჩაუყაროს საძირკველი ჩვენი სცენის განახლება-აღორძინებასა და ამით ხელი შეუწყოს ქვეყნის გათვითცნობიერებასა და წინსვლას“-ო.[1]

ყრილობის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებას იმედის თვალით უყურებდა ქართველი საზოგადოება და მისგან მოელოდა ქართული თეატრალური ხელოვნების განახლებას. ისტორიული მომენტი მოითხოვდა საზოგადოებრივ-კულტურულ ძალთა გაერთიანებას, რომელიც მძლავრ იარაღად უნდა გადაქცეულიყო ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაბეჩავებულ ქართველი ხალხისათვის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში. ამის შესახებ მიუთითებდა გ. ლასხიშვილი თავის გამოსვლაში („ჩვენი ზრდა“): „...ის, რაც წინათ ერთ ნიჭიერ ადამიანს შეეძლო ეკისრა და გადაეკეთებინა — აღნიშნავდა იგი, — დღეს მხოლოდ საერთო შეთანხმებით და კავშირით გაკეთდება. ის დროც იყო, როცა ჩვენს თეატრს მეცენატებიც კი ჰყავდა გაბატონებულთა წარმომადგენლებს შორის, მაგრამ როცა დაინახეს, რომ თეატრი და სხვა კულტურული დაწესებულებანი ჩვენს ხელში ეროვნულ გაღვიძებისა და წინსვლის იარაღად გადაიქცა, წინ გადაგვეღობენ და ხელს გვიშლიან. გაგვიჩნდა ბევრი გარეშე მიზეზი და ამასთან საქმეც გართულდა და ამიტომ შეიქმნა საჭირო საერთო მოლაპარაკება, შეთანხმება და გათვალისწინება ქართული თეატრის მდგომარეობისა...

---

[1] ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1914წ., გვ. I.

— შეიძლება ამ პირველ ჩვენის ცდის პრაქტიკული შედეგი არ იქნეს თვალსაჩინო, მაგრამ მისი პრინციპიალური მნიშვნელობა მაინც დიდია, როგორც პირველის ნაბიჯისა"[1].

მიუხედავად ყრილობის დიდი მნიშვნელობისა, 1914 წელი ვერ გამოდგა სვებედნიერი ქართული თეატრალური ხელოვნებისათვის. ჯერერთი, დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა თეატრის განვითარების საქმე და, მეორე, ამ წლის 25 სექტემბერს დაიწვა ქართული თეატრის შენობა და, მასთან ერთად, თეატრის არქივიც.

სულ ცოტა ხნის წინ, კონსტან-ანდრონი (ანდრონიკაშვილი), რომელსაც იმ ხანებში დაუთვალიერებია თეატრის არქივი, ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში" წერდა: — „ქართული დრამატიული საზოგადოების არქივი — მთელი განძია მისთვის, ვინც ჩვენი თეატრის ისტორიის შესწავლას მოიწადინებს. როდესაც ამ არქივს ვათვალიერებდი, მართალი ვთქვა, გამაკვირვა მასალათა სიმრავლემ. ყოველი საკითხი და ყოველი საქმე შემუშავებულია. ნათლად ჩანს, თუ რაოდენი ენერგია, შრომა და უნარია დახარჯული აღძრულ საკითხთა წესიერ დონეზე დასაყენებლად. ეს ხანა ხომ ჩვენი თეატრის საორგანიზაციო ხანაა, შემოქმედების ხანა.

— თეატრის ხე მრავალშტოიანია, — განაგრძობს კონსტან-ანდრონი, — თვითეულ შტოს მოვლა ესაჭიროება. აი ამ მოვლის საბუთები უხვად მოიპოვება ქართული დრამატიული საზოგადოების არქივში. ბევრი ოქმი, მოხსენება...დავასახელებ თუნდაც მსახიობთა კურსების საკითხს, ბევრი შრომაა დახარჯული... ამ არქივს არა აქვს ჯეროვანი ყურადღება მიქცეული, საჭიროა მისი სისტემაში მოყვანა".[2]

სამწუხაროდ, ცეცხლმა შთანთქა მთელი ეს ძვირფასი მასალა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა დრამატული საზოგადოებების, კერძოდ, ქართული თეატრის ისტორიის შესწავლის საქმეს, ხელი შეუშალა თეატრალური მუზეუმის დაარსებას, რომელიც ქართველი საზოგადოების დიდი ხნის ოცნებას წარმოადგენდა.

---

[1] ჟურ. „თეატრი და ცხოვრება", 1914წ., №17, გვ. 2-3.
[2] იქვე, №6.

ქართული თეატრის შენობის დაწვამ მთელი საქართველო შეძრა. პრესა ერთხმად აღნიშნავდა, თუ რა უბედურება დაატყდა თავს მთელ ქართველ ერს, მაგრამ, ამასთან ერთად, გამოთქვამდა ღრმა რწმენას, რომ ქართველი ხალხი დასძლევდა ამ უბედურებას და ხელოვნების ახალ ტაძარს ააგებდა.

1914 წლის 5 ოქტომბერს გაიმართა ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დიდი კრება, რომელსაც ესწრებოდნენ აკაკი წერეთელი და სახელმწიფო სათათბიროს წევრი აკაკი ჩხენკელი.

კრებამ მიიღო შემდეგი სახის რეზოლუცია:

— „ ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა წარმომადგენლების საერთო კრება საჭიროდ სცნობს დაარსდეს საგანგებო კომიტეტი ქართული ეროვნული თეატრის აღსადგენად. კომიტეტში შევა ქართულ კულტურულ დაწესებულებათა 25 წევრი, რომლებიც იმავ დროს ქართული დრამატიული საზოგადოების წევრებად ირიცხებიან. ეს კომიტეტი, დრამატიული საზოგადოების მე-18 მუხლის ძალით, თეატრის აღდგენის საქმეში სრულიად დამოუკიდებლად იმუშავებს, იგი დაემორჩილება დრამატიული საზოგადოების წევრთა და სხვა ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენლების კრებას“.[1]

კომიტეტში აირჩიეს 39 წევრი: დომინიკა ერისთავი (განდეგილი, მ. ორბელიანისა, ა. თუმანიშვილი-წერეთლისა, ე. წულუკიძისა, ნ. ერისთავი, პ. თუმანიშვილი, ვ. ყიფიანი, გ. ლასხიშვილი, გ. ყაზბეგი, ნ. ჟორდანია, ს. ფირცხალავა, ნ. დიასამიძე, ნ. ჟურული, ვ. გუნია, ა. წუწუნავა, ექვთ. თაყაიშვილი, ზ. ფალიაშვილი და სხვ. კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს თავადაზნაურთა წინამძღოლი კ. აფხაზი, საპატიო წევრებად — აკ. წერეთელი, ა. სუმბათაშვილ-იუჟინი, სახელმწიფო საბჭოს წევრი ა. ერისთავი და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები: ვ. გელოვანი, კ. ჩხეიძე და აკ. ჩხენკელი.[2]

---

[1] ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1914წ. №32, გვ. 12.

[2] იქვე.

ამიერიდან ქართული თეატრის აღდგენაზე ზრუნვა საერთო ეროვნულ საქმედ იქცა. დაიწყო შემოწირულობების შეგროვება სათეატრო ფონდის შესაქმნელად, მაგრამ ომიანობა დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა ისედაც გასაჭირში ჩავარდნილ ქართველ ხალხს და აფერხებდა თეატრის მშენებლობის საქმეს.

1914 წლის 26 ოქტომბერს შედგა თბილისის დრამატული საზოგადოების წლიური კრება. საზოგადოების თავმჯდომარე პ. თუმანიშვილი ერცელი საანგარიშო მოხსენებით წარსდგა კრების წინაშე. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ გამგე-კომიტეტმა საზაფხულო თეატრალური სეზონი დეფიციტის გარეშე დაასრულა, მიუხედავად იმისა, რომ თავადაზნაურობამ საზოგადოებას ერთდროული დახმარება 2 ათასი მანეთით შეუმცირა. ასეთ ვითარებაში კომიტეტმა მაინც მოახერხა პენსიები დაენიშნა დამსახურებულ მსახიობებისათვის.

კრებამ განიხილა 1913/14 წლების საზოგადოების ხარჯთაღრიცხვა და ამ წლის თეატრალური სეზონის წარმოების საკითხი. გამოითქვა აზრი, რომ რადგანაც ქართული დრამატული საზოგადოება წარმოადგენდა ისეთ ეროვნულ ორგანიზაციას, რომელიც ემსახურებოდა არა რომელიმე წოდებას, არამედ მთლ ერს და მოქმედებდა მისი სახელით, ამასთან, ჰქონდა ხანგრძლივი თეატრალური ტრადიცია და საზოგადოებაში მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა, იგი სათავეში უნდა ჩასდგომოდა ქართული თეატრის შენობის აღდგენის საქმეს. ამ მიზნით საზოგადოებასთან უნდა შექმნილიყო სპეციალური კომიტეტი, რომელიც იზრუნებდა თეატრის აღდგენაზე (ფულის შეგროვება, ადგილის შოვნა, შენობის პროექტის შედგენა და სხვ.)[1].

თბილისის ქართული დრამატული დასი შენობის გარეშე დაიქსაქსა — წარმოდგენები იმართებოდა ხან სად და ხან — სად. კომიტეტმა 1915 წლის ბოლოსათვის ძლივს იშოვა თავისუფალი დღეები სახალხო სახლში და ცირკის შენობაში; წარმოდგენებს დგამდნენ ხარფუხის, ნაძალადევის, ავლაბრის და მუშათა სხვა კლუბების სცენებზე.

---

[1] ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1914წ. №32.

– „როდისღა შევალთ საკუთარ ტაძარსა შინა?“ – ეს კითხვა გამუდმებით აწვალებდა ქართული თეატრის რეჟისორებსა და მსახიობებს, დრამატურგებსა და თეატრის ყველა გულშემატკივარს.

1916 წლის 6 დეკემბერს ქართული დრამატული საზოგადოების წლიურ კრებაზე სამეურნეო ბანკის დარბაზში დიდი კამათი გამოიწვია თეატრის შენობის აღდგენის საკითხმა. რ. გაბაშვილმა დაადანაშაულა საზოგადოების გამგე-კომიტეტი, რომელმაც აქამდის ვერ მოაწესრიგა ეს საქმე. კომიტეტის მისამართით ასევე საყვედურს გამოთქვამდა მ. ხერხეულიძე „რომელმაც ჯერ კიდევ ვერ განახორციელა სცენის მოღვაწეთა I ყრილობის დადგენილებების სისრულეში მოყვანაო“. კომიტეტს აკრიტიკებდნენ სხვებიც: – ა. იმედაშვილი, აკ. პაპავა, ა. შახნაზაროვა, ა. ჭუმბაძე, ს. რამიშვილი და ი. გედევანიშვილი.

კრებაზე საპასუხო ვრცელი სიტყვით გამოვიდა გამგე-კომიტეტის წევრი შ. მესხიშვილი, რომელმაც მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზი ჩამოთვალა კომიტეტის გასამართლებლად; მათ შორის მთავარი იყო მატერიალური უსახსრობა, რასაც ხელს უწყობდა ომიანობა.

თეატრის შენობის აგებასთან დაკავშირებით კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება: – „ერთი თვის განმავლობაში მოწვეულ იქნეს თეატრის ამგები კომიტეტი და ეთხოვოს ფულის შეგროვების საქმე გააცხოველოს“.[1]

1916-1917 წლებში ომის შედეგად გამოწვეულმა ცხოვრების მძიმე პირობებმა გააუარესა დრამატული საზოგადოებების მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, საზოგადოების წევრები მაინც მხნედ და თავდადებით განაგრძობდნენ შემოქმედებით საქმიანობას.

– „ჩვენ მდგომარეობის სიმწვავეს არ შევუდრკით და მხნეთ განვაგრძეთ სვლა იმ გზით, რომელსაც სულიერ-გონებრივ-ზნეობრივი საზრდო უნდა მიეწოდებინა მრავალტანჯულ და გვემული ხალხისათვის, – ვკითხულობთ ქუთაისის დრამატული საზოგადოების წლიურ ანგარიშში, – იყო წამი, როდესაც გამგეობას თვით

[1] ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1916წ, №52, გვ.13-14.

ვერ გადაეწყვიტა, თუ საბოლოოდ რა გზას დასდგომოდა, მაგალითად, სეზონის საქმეში, მაგრამ რაკი ამ საკითხის შესახებ მან საბოლოოდ დასტური მიიღო საზოგადო კრებისაგან, იგი მხნედ და მტკიცედ შეუდგა სეზონის მოგვარებას".[1]

1916 წლისათვის ქუთაისის დრამატული საზოგადოების გამგეობამ განაახლა თეატრის შენობა, შეადგინა მსახიობთა დასი, მსახიობებს დაურიგა ხელფასები (12.859 მანეთი), შეიძინა ახალი დეკორაციები და სხვ.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქუთაისის დრამატულმა საზოგადოებამ კიდევ რამოდენიმე წარმოდგენა გამართა, მაგრამ თეატრს მაყურებელი არ ჰყავდა, რამაც აიძულა გამგეობა საზაფხულო სეზონი შეეწყვიტა. ამ დროისათვის მისი სათეატრო ფონდი შეადგენდა 153.915 მანეთს.

როგორც ჩანს, ქუთაისის დრამატულმა საზოგადოებამ 1907-1917 წლებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. ამ პერიოდში ქუთაისის თეატრში მოღვაწეობდნენ ისეთი სახელგანთქმული რეჟისორები და მსახიობები, როგორიც იყვნენ: კ. მესხი, ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ვ. გუნია, შ. დადიანი, ვ. შალიკაშვილი, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ვ. აბაშიძე, ალ. იმედაშვილი და სხვ., რომლებიც ქართველ მაყურებელში აღვივებდნენ ეროვნულ-პატრიოტულ გრძნობებს და ხელს უწყობდნენ ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას.

შ. დადიანი თავის „წერილებში" 1917 წელს ქართული თეატრის შესახებ წერს: — „მართალია ქართული თეატრი უბადრუკად მოაჯახირებს თავის ცხოვრებას, მაგრამ ერთი კი უტყუარია, რომ ქართველების თვითშეგნებას დიდათ ემსახურება ჩვენი მელპომენის ტაძარი — გააღრმავა და ფესვი გაუდგა ქართული ენის სიყვარულს, ქართულ მამულიშვილურ გრძნობას. ეს იმისთანა დამსახურებაა, რომელსაც ხელს ვერავინ გადააფარებს და რომელიც სხვაფრივ მოუწყობელ ჩვენ სცენის ტაძარს ბევრს რამეს აპატიებს".[2]

---

[1] ანგარიში ქუთაისის ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობისა 1916-1917 წწ. ქუთაისი, 1917 წ.

[2] შ. დადიანი, წერილები, წიგნი II, თბ., 1954წ., გვ. 223.

სამწუხაროდ, თბილისის ქართული თეატრის შენობის აღდგენა 1920 წლამდე ვერ მოხერხდა, რამაც დიდად შეუშალა ხელი ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებას მე-20 საუკუნის ათიან წლებში.

ამგვარად, ქართული დრამატული საზოგადოებები თავიანთი პრაქტიკულ-კულტურული მოღვაწეობით ხელს უწყობდნენ თეატრალური ხელოვნების განვითარებას საქართველოში მე-20 საუკუნის დასაწყისში. ისინი პროგრესული მიმართულების თვითმოქმედ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ, რომლებსაც ფართო საგანმანათლებლო მიზნები ამოძრავებდათ. მათი მზრუნველობის შედეგად რუსეთის დენაციონალისტური პოლიტიკის პირობებში შესაძლებელი გახდა ქართული თეატრის აღდგენა და, რაც მთავარია, მისი შენარჩუნება. თეატრი ხელს უწყობდა ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებას და მისი კულტურული მოთხოვნილებების ზრდას.

თავი VI

ქართული კულტურის შესწავლა და მისი პოპულარიზაცია

„ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულთა წრე“

თვითმოქმედ საზოგადოებათა შორის თვალსაჩინო ადგილი ეკუთვნის „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებას“, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეროვნული კულტურის განვითარებისა და მისი პოპულარიზაციის საქმეში მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში. საზოგადოებას საფუძველი ჩაეყარა მოსკოვის უნივერსიტეტში. აქ, 1907 წელს ქართველ სტუდენტთა ერთი ჯგუფის ინიციატივით დაარსდა „ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულთა წრე“, რომელიც წარმოადგენდა საზოგადოების პირვანდელ უჯრედს. წრემ პირველ მსოფლიო ომამდე იარსება.[1]

„ილია ჭავჭავაძის წრის“ მიზანს შეადგენდა ეროვნული კულტურის სხვადასხვა დარგის (ენა, მწერლობა, ისტორია, ეთნოგრაფია, ხელოვნება, სამართალი) მეცნიერული შესწავლა და რუსეთის საზოგადოებაში ქართული კულტურის პოპულარიზაცია.

მოსკოვის უნივერსიტეტთან „ილია ჭავჭავაძის წრის“ დაარსებამდე ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობა მიმდინარეობდა იქ არსებულ ქართველთა „სათვისტომოში“ („Землячество“), სადაც იკითხებოდა მოხსენებები და რეფერატები საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მაგრამ ამას სისტემატური ხასიათი არ ჰქონია. სათვისტომო უფრო სტუდენტთა მატერიალურ დახმარებას ითვალისწინებდა და, ამდენად, სამეცნიერო საქმიანობას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. მიუხედავად ამისა, იქ წაკითხულ მოხსენებებსა და მათ გარშემო გამართულ კამათს

---

[1] მოსკოვის ცსა, ფონ. 418, აღწ., 499, საქ. 14, ფურ. 1-3.

ათასგვარ საჭირბოროტო პრობლემაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ეროვნული კულტურის მრავალმხრივი შესწავლისათვის. გარდა ამისა, სათვისტომოს სხდომებმა და შეკრებებმა ქართველ ახალგაზრდებს დაანახა, თუ რა დიდ ინტერესს იჩენდა მოწინავე რუსული საზოგადოება საქართველოს ისტორიისა და მისი კულტურისადმი, რაც მათ სტიმულს აძლევდა უფრო ახლოს გაეცნოთ რუსული საზოგადოებისათვის ქართველი ხალხის უძველესი კულტურული ტრადიციები და ადათ-წესები. იმ დროისათვის ამგვარი საქმიანობა გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული, რადგან მაშინდელ რეაქციულ წრეებში გაბატონებული შეხედულების მიხედვით კავკასიელები ითვლებოდნენ „ნახევრად ველურ" ხალხებად და თავისი განვითარების დაბალი დონის გამო არ იმსახურებდნენ ცივილურ რეფორმებს.

უნივერსიტეტში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდების მოწინავე ნაწილისათვის ცხადი შეიქნა, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა ეროვნული თვალსაზრისით მოსკოვის უნივერსიტეტში — რუსული მეცნიერებისა და კულტურის ამ დიდ ტაძარში — ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის დაარსებას, რომელიც, ერთი მხრივ, სამშობლოდან მოშორებულ ქართველ ახალგაზრდებს მშობლიურ ენაზე მეცნიერული კვლევის ინტერესს აღუძრავდა ეროვნული კულტურის სხვადასხვა დარგის მიმართ, მეორე მხრივ, რუსულ საზოგადოებას ახლოს გააცნობდა საქართველოს ისტორიასა და კულტურას და ამით ხელს შეუწყობდა სწორი წარმოდგენის შექმნას ქართველებზე, როგორც უძველესი ისტორიისა და კულტურის მქონე ხალხზე.

ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მიზნების პრაქტიკულად განხორციელებას ხელს უწყობდა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გიორგი ჟორდანია, ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, თედო ჟორდანიას უფროსი ვაჟი. იგი აღზრდილი იყო ტრადიციულ ქართულ ოჯახში, სადაც ყოველთვის წინა პლანზე იდგა ეროვნული ინტერესები. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ სწორედ გიორგი ჟორდანია გამოვიდა „ილია ჭავჭავაძის წრის" დაარსების ინიციატორად. ამას ადასტურებენ წრის ყოფილი წევრები: კ. ფანიაშვილი, ვლ. ჯაფარიძე, აკ. ფაღავა, ს. დანელია და სხვ.

გ. ჟორდანია (1885-1937წწ.), შემდეგში ცნობილი ადვოკატი და

საზოგადო მოღვაწე, სტუდენტობის დროიდანვე გამოირჩეოდა თავისი მოწინავე შეხედულებებით. ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტი წერს მცირე ისტორიულ-იურიდიულ მიმოხილვას — „აქვს თუ არა საქართველოს კანონიერი უფლება მოითხოვოს ავტონომია", სადაც იგი იცავს აზრს საქართველოში დემოკრატიული წყობილების დამყარების შესახებ. ეს სტატია ცალკე ბროშურად დაიბეჭდა 1907 წელს ქუთაისში, მაგრამ ცენზურამ აკრძალა უკვე დაბეჭდილი ეგზემპლარები. იგი ხელმეორედ დაიბეჭდა 1917 წელს თბილისში.[1]

გ. ჟორდანიას მიაჩნდა, რომ ეროვნული ბედის გამგებლობა ერისავე საქმე უნდა იყოს, რომ მთელმა ერმა, ყოველმა მისმა შემადგენელმა ნაწილმა უნდა მიიღოს მონაწილეობა ეროვნული ბედის გადაწყვეტაში. იგი საქართველოს ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებად თვლიდა დამფუძნებელ კრებას, რომელსაც აირჩევდნენ საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით.

გ. ჟორდანიას სტუდენტობისდროინდელი სხვა სტატიები და შენიშვნები დაბეჭდილია გაზეთებში: „ისარი", „ამირანი", „ზაკავკაზიე", „სახალხო გაზეთი", „ლამპარი" და სხვ., უმთავრესად, „გრაკხის" ფსევდონიმით. როგორც აქედან ჩანს, გ. ჟორდანია მოწინავე შეხედულებების მქონე, მრავალმხრივ განათლებული, თვითმპყრობელობის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლი, ქართველი ერის ინტერესების დამცველი ახალგაზრდა იყო.

1907 წელს ილია ჭავჭავაძის ვერაგულმა მკვლელობამ პროტესტის გრძნობა გამოიწვია ეროვნულად მოაზროვნე ქართველ სტუდენტთა შორის, რომლებმაც თავიანთი ღრმა პატივისცემა ილიას ხსოვნისადმი მისი სახელობის წრის დაარსებაში გამოხატეს. წრის მიზნები და ამოცანები სავსებით ესიტყვებოდა ილიას ეროვნულ მისწრაფებებს.

1908 წლის 26 მარტს მოსკოვის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ოფიციალურად დაამტკიცა წრის წესდება, რომლის საფუძველზე ჩამოყალიბდა წრის ხელმძღვანელი ბიურო გიორგი ჟორდანიას თავმჯდომარეობით. ბიუროს შემადგენლობაში შევიდნენ: მიხ-

[1] გ. ჟორდანია, აქვს თუ არა საქართველოს კანონიერი უფლება მოითხოვოს ავტონომია, თბ., 1917 წ.

ეილ თუხარელი, მიხეილ ქარუმიძე, გრიგოლ ჯაფარიძე და დიმიტრი წითლანაძე.[1] წრის ერთ-ერთი წევრის, კონსტანტინე ფანიაშვილის ცნობით, ამ დროისათვის წრეში 40-მდე სტუდენტი ჩაწერილა. მათ შორის იყვნენ: ალ. ღამბარაშვილი, ვლ. ჯაფარიძე, გრ. ჯაფარიძე, გრ. ვეშაპიძე, მ. ზანდუკელი, გრ. კუძაიძე, ს. ვაჩნაძე, ლ. შურღაია, ნ. ჭეიშვილი, ჩ. კაპანაძე, აკ. ფაღავა, დ. დავითაშვილი და სხვ.[2] წრეში გაერთიანებული იყვნენ სხვა ეროვნების სტუდენტებიც: ი. ალიბეგოვი, ვ. ბაშკოვსკი, ნ. ჩახორუკოვი, ი. მიხაილოვი, ვ. ხალიმოვი, დ. იანოვიჩი, პ. პახდუკოვსკი და სხვ.[3]

1909 წლის 7 ოქტომბერს წრის წევრებმა თხოვნით მიმართეს უნივერსიტეტის პრორექტორს მიენიჭებინათ წრისათვის ილია ჭავჭავაძის სახელი. ამასთან ერთად განცხადებაში მითითებული იყო, რომ ილია ჭავჭავაძე, სახელმწიფო საბჭოს ყოფილი წევრი, იყო გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და პოეტი.[4] საფიქრებელია, რომ ქართველ სტუდენტებს წრის დაარსებისთანავე მიემართათ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისთვის ამგვარი თხოვნით, რაც დაკმაყოფილდა 1909 წელს, ი. ჭავჭავაძის მკვლელობიდან ორი წლის შემდეგ.

„ილია ჭავჭავაძის წრის" წევრი აკაკი ფაღავა გადმოგვცემს: „ჩვენი მუშაობა უმთავრესად აქცენტირებული იყო ჩვენი კლასიკოსების შესწავლასა და მათი შემოქმედების პოპულარიზაციაზე; იკითხებოდა მოხსენებები რუსულ ენაზე შ. რუსთაველის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და სხვ. შემოქმედებაზე. წრის სხდომებს ხშირად ესწრებოდნენ პროფესორები: ალ. ხახანაშვილი, ალ. ჯავახიშვილი, პ. საკულინი, ა. ვორმსი, ვ. ფრიჩე და სხვ. მოსკოველ ქართველ ახალგაზრდებთან განსაკუთრებით ახლოს იყო ალექსანდრე ხახანაშვილი"[5]

ალექსანდრე ხახანაშვილი (1866-1912წწ) მრავალმხრივ ნაყოფიერ კულტურულ-სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად აქტიურ

---

[1] გაზ. „ამირანი", 1908წ. №41, გვ.3.
[2] ცსსა, ფონ. 1813, საქ.392., ფურ. 38.
[3] ცსსა, ფონ. 2094, საქ.2, ფურ.1-3.
[4] მოსკოვის ცსა, ფონ. 481, საქ. 14, ფურ.4.
[5] საქ. სახელ. თეატრ. მუზეუმი, ფონ.I, აღწ. I, საქ. 72, ფურ.10.

მონაწილეობას იღებდა სტუდენტური ორგანიზაციების საქმიანობაში. „ილია ჭავჭავაძის წრის“ წევრი სილოვან გაბუნია მის შესახებ გაზეთ „ზაკავკაზიე“-ში წერს: „А.С.Хаханов был постоянным посетителем всех кружков грузин-студентов, которые устраивали встречу нового года и высокоторжественных праздников. Его посещения и беседы вносили много приятного в умы и сердца собравшихся“[1]

საყურადღებოა, რომ სილოვან გაბუნია ალექსანდრე ხახანაშვილს მიაწერს მოსკოვში სტუდენტური ორგანიზაციების დაარსების იდეას. მისი სიტყვით, ალ. ხახანაშვილმა ჯერ კიდევ 1901 წელს საქართველოში ყოფნის დროს, ჩაუნერგა ქართველ ახალგაზრდებს აზრი მოსკოვში ქართველ სტუდენტთა ორგანიზაციების დაარსების შესახებ. ალ. ხახანაშვილის აზრით, ამგვარი სტუდენტური ორგანიზაციები ერთმანეთთან დააკავშირებდა მოსკოვში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდებს; გარდა ამისა, მათ მიერ მოწყობილი „საღამოებიდან“ კარგ მატერიალურ დახმარებასაც მიიღებდნენ ხელმოკლე სტუდენტები. სილოვან გაბუნიას ცნობით, მოსკოვში ჩასვლის შემდეგ, ალ. ხახანაშვილს განუხორციელებია კიდეც ეს იდეა და მისი უშუალო ინიციატივით შექმნილა „მოსკოვის ქართველთა საზოგადოება“, „ილია ჭავჭავაძისა“ და „აკაკი წერეთლის“ სტუდენტური წრეები უმაღლეს სასწავლებლებთან.[2]

ალ. ხახანაშვილმა მთელი თავისი სიცოცხლე და ცოდნა მოახმარა ქართული მეცნიერებისა და კულტურის აღორძინებას. 1900 წელს მან მოწინავე რუსი პროფესორების დახმარებით მოსკოვის უნივერსიტეტში საფუძველი ჩაუყარა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას, რომელსაც 12 წლის მანძილზე უსასყიდლოდ განაგებდა; იყო მოსკოვის ლაზარევის სახელობის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის პროფესორი; მის კალამს ეკუთვნის მრავალი მეცნიერული გამოკვლევა და ნაშრომი საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ხალხური სიტყვიერების, სახალხო განათლებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

---

[1] გაზ. „Закавказье“, 1908წ., N135, გვ2.

[2] იქვე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი „ქართული სიტყვიერების ისტორიის ნარკვევები“, რომელიც 1895-1906 წლებში დაიბეჭდა მოსკოვში რუსულ ენაზე, ხოლო შემდეგ, შემოკლებული რედაქციით 2 ტომად გამოქვეყნდა ქარიულ ენაზე. ეს ნაშრომი წარმოადგენს ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველ სისტემატურ კურსს, რომლითაც სარგებლობდნენ ქართული კულტურით დაინტერესებული რუსი და უცხოელი მკვლევრებიც.

პროფესორი ალ. ხახანაშვილი არაერთხელ გამოსულა საინტერესო მოხსენებით „ი. ჭავჭავაძის წრის“ საჯარო სხდომებზე. მრავალფეროვანი იყო მისი მოხსენებების თემატიკა, სადაც მთავარი ადგილი ქართველი კლასიკოსების შემოქმედებას ეკუთვნოდა, განსაკუთრებით ილიასა და აკაკის. ალ. ხახანაშვილს, როგორც მკვლევარსა და ლიტერატურის ისტორიკოსს, სხვადასხვა მხრივ უხდებოდა ილიას მოღვაწეობის გაშუქება ფართო საზოგადოების წინაშე. მაგალითად, 1908 წლის 12 მარტს მოსკოვის „ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა“ სამეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე ალ. ხახანაშვილმა საინტერესო მოხსენება წაიკითხა ილიას შესახებ — „ილია ჭავჭავაძე როგორც ეთნოგრაფი“, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. მასთან ერთად მოხსენებებით გამოვიდნენ დიმიტრი არაყიშვილი („ილია ჭავჭავაძე და მისი ლექსები ქართულ ხალხურ სიმღერებში“) და „ილია ჭავჭავაძის წრის“ თავმჯდომარე გიორგი ჟორდანია („ქართველი ხალხის ადათ-წესები მე-19 საუკუნის შუა ხანებში ი. ჭავჭავაძის ლიტერატურული ნაწარმოებების მიხედვით“).

დ. არაყიშვილის მოხსენება ილუსტრირებული იყო რამდენიმე ვოკალური ნომრით ქალბატონ ნ. ისკანდერისა და ქართველ სტუდენტ ვაჟთა გუნდის შესრულებით.[1] გ. ჟორდანიას მოხსენება გამოქვეყნდა ზემოხსენებული საზოგადოების სამეცნიერო კრებულში, რომელიც შემდეგ ცალკე ბროშურადაც დაიბეჭდა.[2]

„ილია ჭავჭავაძის წრეს“ სამეცნიერო კონტაქტები ჰქონდა მოსკ-

---

[1] გაზ. „Закавказье“, 1908წ., №65.

ჟურ. „Этнографическое обозрение“, 1-2, М., 1908. იხ. აგრეთვე ცსსა, ფონ. 1813, საქ. 296, ფურ. 1-3.

ოვის „ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიის და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საზოგადოებასთან“ (1863-1931წწ.). მისი დახმარებით წრის წევრები სპეციალური სამივლინებო ფურცლებით არაერთხელ გაემგზავრნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში როგორც ეთნოგრაფიული მასალების შესაგროვებლად, ისე ლექცია-მოხსენებების წასაკითხად. მაგალითად, 1909 წლის 22 მაისს გ. ჟორდანია პროფესორ ალ. ხახანაშვილთან ერთად გაემგზავრა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ადგილობრივი მოსახლეობის ადათ-წესების, ხალხური სიტყვიერებისა და სარწმუნოების შესასწავლად.[1] 1909 წლის 7 აგვისტოს დაბა სურამის ადგილობრივ თეატრში გ. ჟორდანიას საჯარო ლექცია წაუკითხავს თემაზე: „ხალხური ადათ-ჩვეულებანი და მათი მეცნიერული ფასი“.[2]

გ. ჟორდანია განსაკუთრებით დაინტერესებული ყოფილა ხალხური ადათ-ჩვეულებებისა და ადათ-სამართლის საკითხების შესწავლით, რასაც ამტკიცებს მის პირად ფონდში დაცული სტუდენტობისდროინდელი კონსპექტები, თხზულებები, გამოკვლევები, ეთნოგრაფიული ხასიათის ჩანაწერები და სხვადასხვა პროგრამები ეთნოგრაფიული მასალების შეგროვების მეთოდების შესახებ. მაგალითად, გ. ჟორდანიას სტუდენტობის პერიოდში შეუგროვებია მასალები: „სასოფლო თემი ქართლში“, „საქორწილო და სამგლოვიარო ადათები“, „დანაშაულ-სასჯელი“ და სხვ.

1909 წელს „ილია ჭავჭავაძის წრის“ სხდომაზე ბიუროს წევრმა აკ. ფაღავამ ვრცელი მოხსენება წაიკითხა თემაზე: „საქართველოს კულტურა მე-12 საუკუნეში“ (რუსულ ენაზე), რომელიც შემდეგში მოსკოვის პოლიტექნიკური მუზეუმის აუდიტორიაში გამართულ საჯარო სხდომაზეც გაიმეორა, ხოლო ზაფხულში, არდადეგების პერიოდში წაიკითხა თბილისში, ქუთაისში, ბორჯომში და სხვ.[3]

1910 წლის 26 ნოემბერს, წრის მე-15 სხდომაზე წრის წევრმა, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა ვ. ნალიმოვმა გააკეთა საინტერესო მოხსენება თემაზე: „ხალხთა საადათო სამართალი მათ

---

[1] ცსსა, ფონ. 1813, საქ.29, ფურ. 1-5.
იქვე, საქ. 30, ფურ. 1.
[3] საქ. სახელმწ. თეატრ. მუზ. ფონ., I, აღწ.I, საქ. 72., ფურ.12.

რელიგიურ შეხედულებებთან დაკავშირებით". მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა: დ. იანოვიჩმა, პ. პახდუკოვსკიმ, ა. პეტროპავლოვსკიმ და სხვ.[1]

ამ სხდომაზე პროფესორი ვორმსი, რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტში კითხულობდა სამართლის ისტორიას და აქტიურ მონაწილეობას იღებდა „ილია ჭავჭავაძის წრის" მუშაობაში, არჩეულ იქნა წრის საპატიო წევრად.

1908 წლის 6 დეკემბერს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში „ილია ჭავჭავაძის წრისა" და ქართველთა „სათვისტომოს" სახელით გაიმართა აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამო, რომელსაც 800-მდე სტუმარი დაესწრო. მათ შორის იყვნენ გამოჩენილი რუსი პროფესორები, საზოგადო მოღვაწეები, მოსკოვის სხვადასხვა დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. საღამოს შესახებ ვრცელი წერილი დაბეჭდა გაზეთმა „დროებამ", სადაც ვკითხულობთ: — „უნივერსიტეტის სააქტო დარბაზი სადღესასწაულოდ იყო მორთული. ესტრადაზე წითელი მაუდით დაფენილი მაგიდა იდგა, მაგიდის უკან — კერძოდ ამ დღესასწაულისათვის დახატული აკაკის სურათი იყო ამაღლებულ ადგილზე დადგმული. სურათს ამშვენებდა დაფნის გვირგვინი, მაგიდის გარშემო ქართული კულტურის მოყვარულთა წრის ბიუროსა და „თვისტომობის" წარმომადგენელთა გარდა, რამდენიმე პროფესორს ეჭირა ადგილი, მაგალითად: პ. ნ. საკულინს*, ა.ს. ხახანაშვილს, ლაზარევის ინსტიტუტის არაბული ენის პროფესორს მ. ოტაიას შამბინადოს და სხვ. კრება გახსნა „თვისტომობისა" და წრის სახელით უკანასკნელი ბიუროს თავმჯდომარემ გ. ჟორდანიამ, რომელმაც დამსწრეთ წინადადება მისცა თავმჯდომარედ პროფესორი პ. საკულინი ამოერჩიათ.[2]

— პირველი სიტყვა პროფესორმა საკულინმა წარმოთქვა. მან მიუთითა ქართული და რუსული ლიტერატურის ზოგიერთ მსგავსებაზე, შეადარა ერთმანეთს ის სულიერი პროცესები, რომელსაც

---

[1] ცსსა, ფონ. 2094, საქ. I, ფურ. I.

[2] გაზ. „დროება", 1908წ., №3, გვ.3.

* პროფ. პ.ნ. საკულინი მოსკოვის უნივერსიტეტში კითხულობდა ახალ და უახლეს რუსულ ლიტერატურას.

განიცდიდა რუსი და ქართველი პოეტი მე-19 საუკუნიის II ნახევარში და მიუთითა ამ პროცესების იდენტურობაზე. — „თქვენ, ქართველებს, თითქმის ერთადერთ ერს დედამიწის ზურგზე, ჩინებული ჩვეულება გქონიათ, — აღნიშნა პ. საკულინმა — წარჩინებულნი გლეხებს აძლევდნენ აღსაზრდელად თავის ბავშვებს და აი ამიტომ იყო, რომ რაც პუშკინს მისმა გამდელმა ჩააგონა, ის აკაკის თვით ხალხის გულიდან აღმოხეთქილმა ხმამ აგრძნობინა. ერთის გამდელის მაგიერ, მას მთელი სოფელი აგონებდა თავის ჭირ-ვარამის ამბავს...“[1].

— შემდეგ პროფესორმა ა. ხახანაშვილმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება აკაკი წერეთლის შემოქმედების შესახებ, განსაკუთრებით შეეხო აკაკის ლირიკას.

გაზეთი „დროება“ განაგრძობს: — „ ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილმა მუსიკალურმა მწერალმა დ. არაყიშვილმა ფრიად საინტერესო მოხსენება წაიკითხა აკაკის იმ ნაწარმოებებზე, რომლებიც სახალხო მუსიკამ შეითვისა. — „აკაკიმ ბევრი იშრომა ხალხური პოეზიის გამშვენიერებაზე, ქართული თქმულებების შემუშავებაზე, მაგრამ ხალხმაც არ შეინახა მისი ვალი — მან თავისად შეითვისა მწერლის ნაწარმოები, ბევრი მათგანი სიმღერებში შეიტანა, ეს კი ისეთი ჯილდოა, რომლითაც ერი მარტო ეროვნულ გმირებს აჯილდოვებს“ — ასეთი იყო ბ-ნ არაყიშვილის მოხსენების დედა-აზრი“.[2] შემდეგ იუბილარისადმი მისასალმებელი სიტყვები წაიკითხეს სტუდენტებმა: კ. ფანიაშვილმა, ს. ვაჩნაძემ, გ. ჟორდანიამ და სხვებმა. სიტყვები წარმოთქვეს სტუდენტური წრეების დელეგატებმაც.

— შემდეგ წაკითხულ იქნა მისალოცი დეპეშები, მათ შორის უნივერსიტეტის რექტორის, ა. მანუილოვისა და ალ. სუმბათაშვილ-იუჟინისაგან.

დასასრულს გაიმართა მუსიკალურ-ვოკალური განყოფილება. ქართულმა ხორომ სტუდენტ ტიტე მგალობლიშვილის ლოტბარო-

---

[1] გაზ. „დროება“, 1908წ., №3, გვ. 3.

[2] იქვე.

ბით შეასრულა რამდენიმე სიმღერა; შემდეგ წაკითხული იქნა ლექსები ქართულ და რუსულ ენებზე; ილიკო აბაშიძემ ვიოლონჩელოზე შეასრულა დ. არაყიშვილის რომანსი „მთვარე"; მომღერალმა პ. ლურიემ — „სალამური" დ. არაყიშვილის მუსიკაზე.

— „საზოგადოდ, საღამომ ჩინებულად ჩაიარა და დამსწრე საზოგადოება კმაყოფილი დაიშალა — წერს გაზეთი, — დაშლის წინ, პროფ. საკულინის წინადადებით დეპეშა გაუგზავნეს აკაკის. დეპეშა შემდეგი შინაარსის იყო: „მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა მრავალი სტუმარი, შეკრებილნი უნივერსიტეტში ქართველთა ეროვნული პოეტისა და სიამაყის პატივსაცემად, მხურვალე სალამს უძღვნიან საქართველოს მგოსანსა და მოქალაქეს. ვუსურვებთ, რომ საქართველოსათვის ძვირფას იუბილარს — აკაკის ეცოცხლოს კიდევ მრავალი წელი. კრების თავმჯდომარე პროფ. საკულინი".[1]

საიუბილეო დღისათვის „ილია ჭავჭავაძის წრემ" გამოსცა აკაკის ლექსების პატარა კრებული. ვლ. ჯაფარიძის გადმოცემით, კრებულის მომზადებაში მონაწილეობა მიუღიათ წრის წევრებს: აკ. ფაღავას, ვლადიმერ და გრიგოლ ჯაფარიძეებს და მ. ზანდუკელს. კრებულში შევიდა აკაკის ოცზე მეტი ლექსი ტხორჟევსკების თარგმანით, რომლებსაც ზოგიერთი ლექსი სპეციალურად ამ კრებულისთვის უთარგმნიათ. კრებულს თან ერთვოდა ალ. ხახანაშვილის წინასიტყვა.

აკაკის ლექსების კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით აკ. ფაღავა თავის მოგონებებში ერთ კურიოზს იხსენებს: — „...მოსკოვის გარდა საქართველოშიც გვინდოდა მიგვეწოდებინა ჩვენი გამოცემა და 500 ცალი გამოვუგზავნეთ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიას გასაყიდად, რადგანაც ჩვენ ამ ღონისძიებისათვის (წიგნის გამოსაცემად) ვალი გვქონდა აღებული. გასავრცელებლად გამოგზავნილ 500 ცალს ცალკე დავურთეთ 25 ცალი ავტორისათვის. ამ საკითხის მოგვარება დავალებული ჰქონდა მაშინ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტს სილოვან გაბუნიას, რომელიც ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო და ურომლისოდაც არც

[1] გაზ. „დროება", 1908 წ., №25, გვ. 3.

ერთი ჩვენი ღონისძიება არ ჩატარებულა, ვიდრე იგი მოსკოვში სწავლობდა. გაზაფხულზე, როგორც ყოველთვის, მერცხლებივით სამშობლოში გასაფრენად მოვემზადეთ. ამ წიგნების ბედ-იღბლის გამორკვევა მე დამეკისრა, როგორც „ილია ჭავჭავაძის ქართული კულტურის მოყვარულთა წრის“ გამგეობის წევრს. დავალების შესასრულებლად მივადექი წერა-კითხვის საზოგადოებას. ამ საზოგადოების წიგნის მაღაზია იმყოფებოდა იმ ეზოში, სადაც ეხლა გრიბოედოვის სახ. თეატრია (1914 წლამდე იქ ქართული თეატრი იყო). წიგნის მაღაზიაში წიგნების გამყიდველს ვასო ედიშერაშვილს გავუზიარე ჩემი დავალება და ვთხოვე ჩემს მიერ გამოგზავნილ წიგნების საფასური მოეცა დანიშნულებისამებრ გადასაცემად.

— ის წიგნები, მართალია, მივიღეთ და გავყიდეთ კიდეც, მხოლოდ ფული აკაკიმ წაიღო, რადგანაც წიგნები ჩვენ იმისგან მივიღეთ გასასყიდათო — მიპასუხა ვასომ.

— ცხადი შეიქმნა, რომ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. 525 ცალი მთლიანად და არა 25 ცალი, რომელიც ჩვენ გვქონდა ნავარაუდევი და გამოგზავნილი, აკაკის საჩუქრად ჩაეთვალა და თავის სახელით დაევალებინა მაღაზიისათვის გაესაღებია. ცხადია, რაკი საქმე ასე დატრიალდა, ფულსაც აკაკი წაიღებდა. — არის კიდევ 4 მან. დარჩენილი და თუ აკაკი ნებას მომცემს, თქვენ გადმოგცემთო — დაატანა ვასომ.

— ჩავარდი საგონებელში. არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავი, გამებედნა ამ ისტორიის თქმა აკაკისათვის, თუ არა. მაღაზიის გვერდით, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარია იყო, სადაც ჩვენი საზოგადო მოღვაწენი, მათ შორის აკაკიც, იკრიბებოდნენ ხოლმე. ერთ მშვენიერ დღეს ძალ-ღონე მოვიკრიბე და ვუამბე აკაკის ჩვენი გასაჭირი.

— აკაკი მაშინ ოლიმპიელს გავდა. ისე გამოიყურებოდა, როგორც ეხლა ოპერის თეატრის ბაღის სკვერში მდგარი ბიუსტით არის წარმოდგენილი. აკაკიმ რომ ჩემი სიტყვები მოისმინა, თავი კიდევ უფრო გადასწია და წვრილი ხმით (აკაკის ტენორი ჰქონდა) წარმოსთქვა ყველას გასაგონად: „ყმაწვილო, გაგიგონიათ, კაცმა ჯერ რამე გაჩუქოს და მერე წაგართვას?!“

— ამ სიტყვებმა თავში რომ დამკრა, ტერფამდე ჩამიარა. ვიდექი მდუმარე საბოლოო განაჩენის მოლოდინში. საკმაო პაუზის შემდეგ ეს განაჩენიც გამოტანილი იქნა. — „მიეცით, მიეცითო“ — გასცა განკარგულება აკაკიმ და 125 მანეთის ნაცვლად ვასო ედიშერაშვილმა გადმომცა 4 მანეთი (ამ გამოცემის ვალი კი ჩვენს წრეს ჰქონდა 74 მანეთი)“.[1]

1908 წლის 24 იანვარს „ილია ჭავჭავაძის წრემ“ მონაწილეობა მიიღო წრის საპატიო თავმჯდომარის, ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავ იუბილეში, რომელიც მოეწყო მოსკოვის მცირე თეატრში. წრის სახელით იუბილარს მიესალმა გიორგი ჟორდანია და საჩუქრად გადასცა ილია ჭავჭავაძის სურათი.[2] იმავე წლის ოქტომბერში „ილია ჭავჭავაძის წრემ“ მონაწილეობა მიიღო აგრეთვე მოსკოვის სამხატვრო თეატრის დაარსების მეათე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო დღესასწაულში. წრის წევრებს ქართველ სტუდენტთა სახელით ადრესი მიურთმევიათ თეატრისათვის. ამის შესახებ აკ. ფაღავა გადმოგვცემს: — „ 1908 წლის 14 ოქტომბერს დაინიშნა მოსკოვის სამხატვრო თეატრის 10 წლის იუბილე. დატრიალდა ჩვენი სტუდენტობა. როგორც ყოველთვის, ასეთი საქმის ავან-ჩავანი იყო სილოვან გაბუნია. მივმართეთ ჩვენს მეგობარს — ცნობილ თეატრალს და საზოგადო მოღვაწეს ვლადიმერ გილიაროვსკის (მისი ქალიშვილი ნინა ჩვენთან სწავლობდა ფილოლოგიურ ფაკულტეტზე). ჩვენ მათ გავაცანით ჩვენი გულისწადილი და ხასიათი — როგორ გვინდოდა მიგველოცა თეატრისათვის იუბილე ქართველ სტუდენტთა სახელით. ჩვენი ადრესი მათ ასეთ ლექსად დაგვაწერინეს:

„Мы дети Грузии далекой
От всей души приносим Вам
Привет почтительный, глубокий
Искусства славного жрецам.

---

[1] საქ. სახელმწ. თეატრი, მუზ., ფონ.I, აღწ. I, საქ. 72, ფურ. 10-12.

[2] ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 878, აღწ.I, საქ. 137, ფურ. 31.

Вы храм воздвигли совершенный,
Вы жизнь на сцену принесли
И новый жертвенник священный
Рукою смелою зажгли!

И верим мы, тот факел ясный
Что ярко здесь, в Москве горит,
Наш юг свободный, юг прекрасный
Отчизну нашу озарит.

Цветущей Грузии долины,
Алмазы цепи снеговой,
Бездонных пропастей покой
Потоки бурные, обвалы,
Орлов заоблачных приют,
Туман седой, седые скалы
Вам, через нас, поклон свой шлют!

_ ეს ადრესი მიართვა თეატრს მოსკოვის ქართველ სტუდენტთა სახელით დელეგაციამ (დ. გაგუა, აკ. ფაღავა და ლ. ჯაფარიძე). ლექსი დ. გაგუამ წაიკითხა. დ. გაგუა და ლ. ჯაფარიძე ჩოხებში იყვნენ გამოწყობილი, მე კიდევ სტუდენტის ფორმაში. ჩვენი ადრესის წაკითხვას უშუალოდ უსწრებდა დიდი არტისტის თედორე შალიაპინის მილოცვა. შალიაპინმა უმღერა კ. სტანისლავსკის რახმანინოვის მიერ სპეციალურად ამ შემთხვევისათვის დაწერილი კანტატა. ადვილად წარმოიდგენთ, თუ რა წარმატება ექნებოდა იმ დროს თავის დიდების უმაღლეს მწვერვალზე მომღერალ არტისტის გამოსვლას, მაგრამ ჩვენმა ადრესმაც არანაკლები ოვაციები გამოიწვია".[1]

1909 წლის 24 ნოემბერს „ქართული კულტურის მოყვარულთა წრემ" უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ილია ჭავჭავაძის ხსოვნის პატივსაცემად გამართა დიდი ლიტერატურული საღამო, რომელ-

[1] საქ. სახელ. თეატრ. მუზ., ფონ., I, აღწ.I, საქ. 72, ფურ. 12-13.

საც სხვადასხვა ეროვნების მრავალი სტუმარი დაესწრო. საღამოს ამშვენებდა სტუდენტ გრ. მესხის მიერ ამ დღისათვის საგანგებოდ შესრულებული ილია ჭავჭავაძის პორტრეტი. საღამოს პროგრამა შემონახულია ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის პირად ფონდში. პროგრამის მიხედვით საღამოზე მოხსენებები წაუკითხავთ: ალ. ხახანაშვილს („ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობა"), სტუდენტებს: გრ. ლაღიძეს („ილია ჭავჭავაძის პოეზია"), კ. ფანიაშვილს („ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ისტორიული შეფასება") და გ. ჟორდანიას („ილია ჭავჭავაძე როგორც სახალხო პოეტი").[1]

აღნიშნული მოხსენებებიდან ხელმისაწვდომია მხოლოდ გ. ჟორდანიას მოხსენება, რომელიც ხელნაწერის სახით დაცულია მის პირად ფონდში[2].

მოხსენებათა შემდეგ გაიმართა მხატვრული განყოფილება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: თამარ ძნელაძემ (ვიოლინო), ვ. შარაშიძემ (სიმღერა), ი. აბაშიძემ (ვიოლონჩელო), ვ. კავსაძემ (სიმღერა) და სხვებმა. ილიას ლექსები რუსულ ენაზე წაიკითხეს სტუდენტებმა: მ. თუხარელმა, მიქელაძემ, დ. გაგუამ და სხვებმა. საღამომ დიდი მოწონება დაიმსახურა დამსწრე საზოგადოებაში.[3]

„ქართული კულტურის მოყვარულთა წრე" შემდეგ წლებშიც აწყობდა ლიტერატურულ საღამოებს ილია ჭავჭავაძის ხსოვნის პატივსაცემად. 1912 წლის 2 ნოემბერს წრის ინიციატივით მოსკოვში, საზოგადოება „კობზარის" დარბაზში მოეწყო ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 75 და გარდაცვალებიდან 5 წლისთავის აღსანიშნავი თარიღი, საღამოზე უამრავმა სტუმარმა მოიყარა თავი. სცენაზე, შემაღლებულ ადგილას მოთავსებული იყო დაფნის გვირგვინით შემკული ილიას პორტრეტი. ამ საღამოს შესახებ ცნობებს გვაწვდის გაზეთი „ზაკავკასკაია რეჩ", რომელშიც ეკითხულობთ: — „საღამოს კარგად გააზრებულმა შინაარსმა ამ ეროვნულ-კულტუ-

---

[1] ლიტ. და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონ. 878, აღწ.I, საქ. 68, ფ. 2.

[2] ცსსა, ფონ. 1813, საქ. 261, ფურ. 3-21.

[3] ლიტ. და ხელოვნების ცენტრალ. სახ. არქივი, ფონ. 878. აღწ. I, საქ. 68, ფურ. 2.

რულ დღესასწაულზე ისეთი განწყობილება შექმნა, რომ იგი დიდ როლს შეასრულებს მოსკოვის ქართველთა კოლონიის სულიერ ცხოვრებაში".[1]

„ილია ჭავჭავაძის წრის" სხდომებზე წაკითხული მოხსენებები და რეფერატები ხშირად სცილდებოდა ადგილობრივი წრის ფარგლებს და იკითხებოდა ფართო აუდიტორიის წინაშე. საჯარო სხდომებს, უნივერსიტეტის სტუდენტების გარდა, ესწრებოდნენ სხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო საზოგადოებების წარმომადგენლებიც. მოხსენებების განხილვაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ უნივერსიტეტის პროფესორები: ვორმსი, პ. საკულინი, ვ. ფრიჩე, ალ. ხახანაშვილი, ალ. ჯავახიშვილი და სხვები, რაც წრის სხდომებს სამეცნიერო კონფერენციის ხასიათს აძლევდა.[2]

ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის წრის წევრთა მოგონებები და პრესაში შემონახული ზოგიერთი ცნობა.[3]

წრის ერთ-ერთი წევრი ვლადიმერ ჯაფარიძე გადმოგვცემს: — „მახსოვს, რომ სხვა მოხსენებების გარდა, წრეში წავიკითხე საკმაოდ ვრცელი მოხსენება ბესიკის პოეზიის შესახებ სინოდალური სასწავლებლის დიდ დარბაზში, რომელიც გერცენის ქუჩაზე იყო მოთავსებული. წრის სხდომებს ხშირად ესწრებოდნენ პროფესორი ალ. ხახანაშვილი, ალ. ჯავახიშვილი, პ. საკულინი და სხვები.[4]

პროფესორი ს. დანელია იგონებს: — „იმ წლებში, როდესაც მოსკოვის უნივერსიტეტში ვსწავლობდი (1908-1911 წწ.), პროფესურის მნიშვნელოვანი ნაწილი პროგრესულად იყო განწყობილი და ეს განწყობილება სტუდენტებზეც ვრცელდებოდა. პროფ. ს.ა. მურომცევი, პროფ. პ.გ. ვინოგრადოვი, პროფ. ა.ა. მანუილოვი, პრივატ-დოცენტი ა.ა. კიზეველერი, პრივატ-დოცენტი ს.ა. კოტლიარევსკი, პროფ. ვ. ტრუბეცკოი, პროფ. პ.ი. ნოვგოროდცევი და ზოგიერთი სხვა პროფესორი და დოცენტი თავიანთ ლექციებში ლიბერ-

---

[1] გაზ. „Закавказкая речь", 1912, № 259, გვ. 3.

[2] გაზ. „Закавказье", 1908, № 65, გვ. 3. გაზ. „ალი", 1908 წ., № 19, გვ. 2 და სხვ.

[3] იხ. გაზ. „Закавказье", 1908, № 65; გაზ. „ალი", 1908, № 19 და სხვ.

[4] ცსსა, ფონ. 1813, საქ. 54, ფურ. 3.

ალურ იდეებს ატარებდნენ, ზოგიერთი კი (მაგალითად, პ.ნ. საკულინი და ვ.მ. ფრიჩე) — მარქსისტადაც იყო ცნობილი".[1]

ცხადია, უნივერსიტეტის მოწინავე პროფესურა თავის მხრივ გავლენას ახდენდა ქართველი ახალგაზრდების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე და ხელს უწყობდა მათში პროგრესული მისწრაფებების გაღვივებას.

„ილია ჭავჭავაძის წრის" მიერ გამართული ქართველი მწერლების იუბილეები, ქართული საღამოები და ხსოვნის აღსანიშნავი საჯარო სხდომები მოსკოვში ქართული კულტურის პოპულარიზაციის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა. ამგვარ ღონისძიებებს „ილია ჭავჭავაძის წრე" ზოგჯერ მართავდა სათვისტომოსთან, ან „მოსკოვის ქართველთა საზოგადოებასთან"* ერთად და, ამგვარად, მასში მონაწილეობას იღებდა მთელი მოსკოველი ქართველი ახალგაზრდობა. „ამ საღამოებს არა მარტო მატერიალური მხარე ჰქონდა, არამედ ქართული კულტურის პროპაგანდაც ევალებოდა და რუსეთის მოწინავე ინტელიგენციასთან დაახლოვება"[2] — წერს აკ. ფაღავა.

საღამოების მოწყობაში „ილია ჭავჭავაძის წრეს" დახმარებას უწევდა გამოჩენილი მსახიობი და დრამატურგი, რუსეთში ქართული კულტურის უბადლო პოპულარიზატორი ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი, რომელიც არჩეული იყო წრის საპატიო თავმჯდომარედ. როგორც აკ. ფაღავა წერს, — „ალ. სუმბათაშვილ-იუჟინს ფართო ნაცნობობა ჰქონდა მთელ მოსკოვთან, იყო ყველა დიდი კლუბის წევრი, მოსკოველთა საყვარელი ლიტერატურული წრის დამაარსებელი და სიკვდილამდე მისი უცვლელი თავმჯდომარე. იგი იყო მოსკოველი ქართველი სტუდენტების ჭეშმარიტად საყვარელი ადამიანი".[3]

---

[1] ჟურნ. „მნათობი", № 6, 1956 წ., გვ. 152.

* „მოსკოვის ქართველთა საზოგადოება" დაარსდა 1907 წელს ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის ინიციატივით. მის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ: ალ. ხახანაშვილი, მ.ო. ზანდუკელი, ი. თულაშვილი, ალ. ჯავახიშვილი და სხვ; იარსება 1917 წლამდე.

[2] საქ. სახელმწ. თეატრ. მუზ. ფონ, I, აღწ.I, საქ. 72, ფურ. 11.

[3] იქვე.

ალ. სუმბათაშვილის მეშვეობით მოსკოველი ქართველი სტუდენტობა ახლოს ეცნობოდა რუსული ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს, რომელთაგან ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, თ. შალიაპინი, ა. კაჩალოვი, ვ. სობინოვი, ა. ნეჟდანოვა და სხვ. მონაწილეობას იღებდნენ ქართველ სტუდენტთა საღამოებში.

ალ. სუმბათაშვილი ყოველთვის გულთბილად ეხმაურებოდა ქართველ სტუდენტთა ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული კულტურის პოპულარიზაციას რუსეთში. „ილია ჭავჭავაძის წრის“ წევრებს არაერთგზის მიუმართავთ მისთვის დახმარებისათვის. მაგალითად, 1909 წელს ილია ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოსთან დაკავშირებით გ. ჟორდანია ალ. სუმბათაშვილს სთხოვს მონაწილეობა მიიღოს ამ ღონისძიებაში. იგი წერს: „Надеемся, что вы не откажете в Вашем содействии предпринимавшемуся шагу для увековечения памяти И.Г. Чавчавадзе, создавшего неруковторный памятник в лице кружка его имени, и ознакомите с его произведениями и его личностью русскую публику“.[1]

ქართული საღამოების ორგანიზაციის საქმეში „ილია ჭავჭავაძის წრის“ წევრთა შორის განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა სილოვან გაბუნია, რომელიც ამ საღამოების „სული და გული“ იყო. მისი მონაწილეობის გარეშე თითქმის არც ერთი საღამო არ გამართულა. „Силованские грузинские вечера“ მოსკოველთა საყვარელი სანახაობა იყო.[2] პროფესორ ს. დანელიას გადმოცემით, 1907 წელს სილ. გაბუნიას თაოსნობით მოწყობილ ქართულ საღამოს ისეთი წარმატება ჰქონია, რომ წრეს მიღებული შემოსავლიდან რეგულარული სტიპენდიების დანიშვნაც კი მოუხერხებია ხელმოკლე სტუდენტებისათვის.[3]

სილ. გაბუნიასთან ერთად ქართული საღამოების მოწყობაში აქტიურობდნენ წრის სხვა წევრებიც: აკ. ფაღავა, მ. თუხარელი, მ.

---

[1] საქ. ლიტ. და ხელოვნ. ცენტრალ. სახელმწ. არქივი, ფონ. 878, აღწ.I, საქ. 1054, ფურ. 2.

[2] გაზ. „Закавказская речь“, 1911 წ., № 32, გვ. 2.

[3] ჟურნ. „მნათობი“, 1956 წ., № 6, გვ. 155.

ქარუმიძე, ტ. მგალობლიშვილი, გრ. ვეშაპიძე და სხვ.

აღსანიშნავია, რომ „ილია ჭავჭავაძის წრის“ წევრები უნივერსიტეტის ქაითველ სტუდენტებთან ერთად ხშირად ხმას იმაღლებდნენ მოსკოვის რეაქციული პრესის შემოტევისაგან ქართველი ერის ინტერესების დასაცავად. ისინი ქართულ ჟურნალ-გაზეთების საშუალებით ამხელდნენ მათ ტენდენციურ, ცილისმწამებლურ შეხედულებებს. 1913 წელს გაზეთ „თემში“ ქართველი სტუდენტი ალ. ბურთიკაშვილი წერს: — „ვინც თვალყურს ადევნებს რუსეთის პერიოდულ გამოცემებს, ლიტერატურას, ის უეჭველად ხშირად შენიშნავს კავკასიელთა ცხოვრების ფაქტების ტენდენციურ დამახინჯებას. მწერლების აღწერით კავკასიაში ცხოვრობს გაუნათლებელი, ნახევრად ველური ხალხი, რომელსაც სრულიად გულდამშვიდებით შეუძლიან გამოუდაღოს უდანაშაულო ადამიანს ყელი ხანჯლით. „პროგრესული“ მოსკოვის გაზეთი „Русское слово“, როდესაც აღწერს ამა თუ იმ ბოროტმოქმედებას კავკასიელთა ცხოვრებიდან, შემდეგი სათაურით ნათლავს ხოლმე წერილს: „Кавказские нравы, ან და „Кавказские шутки“, თითქოს ბოროტმოქმედება, ძარცვა-გლეჯა მარტო კავკასიაში ხდებოდეს“-ო.[1]

ასეთივე ხასიათის წერილია დაბეჭდილი 1913 წლის 24 მარტის ქუთაისის გაზეთში „შრომა“ — „წერილი მოსკოვიდან. რუსეთის პრესა და ქართველი ხალხი“, წერილის ავტორი „პ.ჩ.“ გულისწყრომას გამოთქვამს გაზეთ „რუსკოე სლოვოს“ მიმართ იმის გამო, რომ მას ჩვეულებად გაუხდია კავკასიიდან მოწერილი კონკრეტული ამბებისათვის მიეცა ზოგადი სათაური: „კავკასიური ზნე-ჩვეულებანი“.[2]

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა მოსკოვში ქართველი სტუდენტების „საპროტესტო წერილი“ „რუსკოე სლოვოს“ წინააღმდეგ. წერილი დაბეჭდილია გაზეთში „უტრო როსიი“, რომელსაც ხელს აწერს 162 სტუდენტი, მათ შორის „ილია ჭავჭავაძის წრის“ წევრები: ალ. ბურთიკაშვილი. აკ. ფაღავა, მ. თუხარელი, დ. გაგუა და სხვ. ამ „წერილის“ შესახებ ჩვენ ვგებულობთ გაზეთ „თემის“

---

[1] გაზ. „თემი“, 1913წ. № 155, გვ. 4.

[2] გაზ. „შრომა“, 1913 წ., № 121, გვ. 3.

მეშვეობით, რომელსაც „უტრო როსიიდან“ უცვლელად გადმოუბეჭდავს ხსენებული წერილი.

გაზეთი „თემი“ წერს: — „გაზეთ „რუსკოე სლოვოს“ № 254-ში დაბეჭდილია თბილისიდან დეპეშა სათაურით: „კავკასიური ხუმრობა“. გაზეთის კორესპონდენტი იწერება, რომ დღეს თბილისის საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე თავად ფალავანდიშვილებისა და ბეგთაბეგიშვილებისა, რომელთაც ბრალდებოდათ გაძარცვა და გადაწვა დუქნისა გორის მაზრაში. ეს საქმე წარმოადგენს ცხად სურათს კავკასიის თავისებურ ზნე-ჩვეულებათა და სხვა“.

— „ჩვენ ყურადღებას არ მივაქცევდით ამ შენიშვნას — წერენ ქართველი სტუდენტები, — მაგრამ „რუსკოე სლოვო“ ხშირად აღნიშნავს უსიამოვნო ამბებს კავკასიის ცხოვრებიდან „კავკასიის ზნე-ჩვეულებების“ სათაურით და წარმოუდგენია ეს ამბავი, როგორც კავკასიის ხალხთა ზნე-ჩვეულებების დამახასიათებელი თვისებანი. გაზეთს მოჰყავს რამდენიმე ფაქტი, მაგალითად, როგორ მოკლა შვილმა მამა, — ფაქტი, რომელიც არ შეიცავს არაფერს წმინდა კავკასიურს და ამ ფაქტს ეძლევა მწარე დაცინვის გამომხატველი სათაური: — „კავკასიის ზნე-ჩვეულებანი“. იქვე გვერდით მოყვანილია იმგვარივე ამბავი, ან უფრო აღმაშფოთებელი რუსეთის ცხოვრებიდან, მაგრამ ეს ამბავი დახასიათებულია, როგორც „შემზარავი შემთხვევა“, „ადამიანი-მხეცი“ და სხვა.

— ჩვენ ვთვლით შეუწყნარებლად ამგვარ ხსენებას კავკასიის ერებისას, თხზვას და გავრცელებას ლეგენდებისას კავკასიის შესახებ გაზ. „რუსკოე სლოვოს“ მხრით, რომელსაც პრეტენზია აქვს იყოს პროგრესული ორგანო, რადგანაც მწარე დაცინვა „რუსკოე სლოვოსი“, რომელიც მიმართულია საზოგადოდ კავკასიის წინააღმდეგ, ეხება ქართველ ერსაც. ჩვენ, ქ. მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელში მყოფი მოსწავლე ქართველები, ჩვენს მოვალეობად ვთვლით, გამოვაცხადოთ ჩვენი პროტესტი გაზ. „რუსკოე სლოვოს“ ასეთი ტენდენციის წინააღმდეგ, რომელიც სრულებით არ შეეფერება პროგრესული ორგანოს დანიშნულებას“.[1]

---

[1] გაზ. „თემი“, № 155, 1913წ., გვ. 4.

როგორც ჩანს, ქართველ სტუდენტთა ამგვარ პროტესტს უკვალოდ არ ჩაუვლია. ამის შემდეგ „რუსკოე სლოვოს“ რედაქცია უფრო ფრთხილად ეკიდებოდა კავკასიიდან მოწოდებულ ცნობებს და აღარ უკეთებდა მათ გამაღიზიანებელ სენსაციურ სათაურებს და კომენტარებს.

„ილია ჭავჭავაძის წრის“ წევრი ზოგიერთი სტუდენტი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სტუდენტთა რევოლუციურ გამოსვლებშიც. როგორც ცნობილია, 1905-1907 წლებში რუსეთის მოწინავე სტუდენტობა რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ მძლავრ რაზმს წარმოადგენდა. სტუდენტობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდა რევოლუციის დამარცხების შემდეგაც. განათლების მინისტრი შვარცი სასტიკად ავიწროებდა უნივერსიტეტებს, ცდილობდა პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტებისათვის წაერთმია ავტონომია, შემოეღო პროცენტული ნორმა ებრაელებისათვის და სხვ.

1908 წლის შემოდგომაზე შვარცის რეაქციული კურსის პროტესტის ნიშნად პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტების სტუდენტები გაიფიცნენ. სტუდენტთა ამ გაფიცვის შესახებ „ილია ჭავჭავაძის წრის“ თავმჯდომარემ გ. ჟორდანიამ რამდენიმე წერილი დაბეჭდა გაზეთ „ამირანში“ („სტუდენტთა შორის“), „გრაკხის“ ფსევდონიმით: — „წელიწადზე მეტია რეაქციამ ხელი მიჰყო ავტონომიის შეკვეცას, — წერს გ. ჟორდანია, — შემოღებულ იქნა ხელახლა ფოტოგრაფიული სურათები, შემდეგ მოწმობა პოლიტიკურად უვნებლობის შესახებ, ინსპექცია და სხვ. გაუქმებული იქნა ცენტრალური ორგანო, რომლის წესდებაც დამტკიცებული იყო თვით სამინისტროს მიერ. სტუდენტები კი (წევრები ცენტრალური ორგანოსი) ზოგნი ეხლაც სხედან ციხეებში, როგორც პოლიტიკური დამნაშავენი. სტუდენტობამ პასიური პროტესტის მეტს არაფერს მიმართა. ბოლოს უკანასკნელი ცირკულარი, რომლითაც განდევნეს ქალები, შემოიღეს ფორმა, განიზრახეს პროგრესული პროფესორების გარეკვა...“[1].

---

[1] გაზ. „ამირანი“, № 165, 1908 წ., გვ. 2.

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებმა თავიანთი მოთხოვნები ჩამოაყალიბეს რეზოლუციის სახით, რომელიც მოიცავდა შემდეგ მუხლებს: 1. მეცნიერებისა და სწავლის თავისუფლება; 2. სტუდენტური კრებებისა და წარმომადგენლების სრული თავისუფლება; 3. რეალურ სასწავლებლებში და სემინარიებში მოსწავლე ქალების უნივერსიტეტში მიღება და 4. პროცენტული ნორმის გაუქმება (ებრაელებისათვის).

პეტერბურგის სტუდენტთა გავლენით 1908 წლის 24 სექტემბერს გაფიცვა დაიწყო მოსკოვის უნივერსიტეტშიც. განსაკუთრებით აქტიურობდნენ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები. თითქმის არც ერთ პროფესორს მსმენელი არ ჰყავდა. გაფიცვას ხელმძღვანელობდა სტუდენტთა „აღმასრულებელი ორგანო", რომელშიც შედიოდნენ უნივერსიტეტის სამეცნიერო წრეებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები. „ილია ჭავჭავაძის წრიდან" შედიოდნენ: ს. ღამბარაშვილი, ჭეიშვილი, სილ. გაბუნია და კ. ფანიაშვილი.[1]

1911-1912 წლებში „ილია ჭავჭავაძის წრის" წევრმა ქართველმა სტუდენტებმა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სამშობლოს მოაშურეს (გ. ჟორდანია, სილ. გაბუნია, დ. წითლანაძე). ამის შემდეგ წრემ 1914 წლამდე იარსება.

გ. ჟორდანიას შემდეგ თუ ვინ თავმჯდომარეობდა წრეს, ამის შესახებ საარქივო და პრესის მასალებში არ ჩანს. 1912 წელს ბიუროს მდივნად მოიხსენიება აკ. ფაღავა; 1913 წელს ბიუროს თავმჯდომარის მოადგილეა მ. ზანდუკელი, მდივანია — ი. ტატიშვილი. 1914 წელს წრის მდივნად იხსენიება დიმიტრი არაყიშვილი.[2] საერთოდ, 1914 წლის შემდეგ „ილია ჭავჭავაძის წრის" შესახებ პრესაში მეტად მწირი ცნობები გვხვდება. საფიქრებელია, რომ პირველი მსოფლიო ომის შედეგად შექმნილ მძიმე ვითარებაში წრემ ვეღარ შეძლო თავისი არსებობის შენარჩუნება. ამის საფუძველს გვაძლევს 1913 წელს გაზეთ „ზაკავკაზიე"-ში დაბეჭდილი ერთი

---

[1] ირ. ტატიშვილი, თ. დეკანოსიძე, მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა, თბ., 1960 წ., გვ. 89.

[2] ცსსა, ფონ. 2094, საქ. 8, ფურ. 1-3.

წერილი, სადაც ავტორები ჰ. ჩარეკოვი და შ. ტატიშვილი მიუთითებენ, რომ მოსკოვში არსებობს ორი სტუდენტური ორგანიზაცია — „სათვისტომო“ და „ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულთა წრე“, რომლებიც ერთი საერთო სტუდენტური ოჯახის ორი ნაწილია. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ორგანიზაციების მიზნების განხორციელებას წინ ეღობება მათი მძიმე მატერიალური მდგომარეობა, რის გამოც ისინი ვეღარ მართავენ ტრადიციულ ქართულ საღამოებს და ვეღარც ხელმოკლე სტუდენტებს ეხმარებიან. კურსდამთავრებული სტუდენტების უმრავლესობა კი „სათვისტომოსაგან“ მიღებულ ვალს უკან აღარ აბრუნებსო.[1]

ასეთივე ცნობას ვხვდებით ქუთაისის გაზეთში „იმერეთი“, სადაც აღნიშნულია, რომ როგორც მოსკოვის ქართველ სტუდენტთა „სათვისტომო“, ისე „ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულთა წრე“, მატერიალური უსახსრობის გამო ქართულ საღამოებს ვეღარ მართავდნენ. გაზეთის ცნობით, 1913 წლის 5 მაისს, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მათ მოუწყვიათ პატარა საღამო, მაგრამ ამ საღამოდან მიღებული შემოსავალი იმდენად მცირე ყოფილა, რომ მის ორგანიზაციაზე გაწეული ხარჯებიც კი ვერ დაუფარავს.[2]

1913 წლის გაზეთში „თემი“ გამოქვეყნდა „ილია ჭავჭავაძის წრის“ წევრთა „მიმართვა ქართველ საზოგადოებისადმი“, სადაც წრის წევრები ითხოვდნენ მატერიალურ დახმარებას, ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების მიწოდებას.[3]

ამგვარად, მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულმა „ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულთა წრემ“ (1907-1914 წწ.) მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მოსკოვის საზოგადოებაში ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში, რასაც მაშინდელ პირობებში დიდი ეროვნულ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. გარდა ამისა, ქართველი ახალგაზრდები, რომელთა უმრავლესობას

---

[1] გაზ. „ზაკავკაზიე“, 1913 წ., № 105.
გაზ. „იმერეთი“, 1913 წ., № 60, გვ. 4.
[3] გაზ. „თემი“, 1913 წ., № 133, გვ. 4.

დამთავრებული ჰქონდა რუსული გიმნაზიები და გადაჩვეული იყო ქართულად აზროვნება-მეტყველებას, „ილია ჭავჭავაძის წრის“ საშუალებით ეჩვეოდნენ მშობლიურ ენაზე მეცნიერულ კვლევა-ძიებას, რაც ხელს უწყობდა ეროვნული სამეცნიერო კადრის მომზადებას.

„ილია ჭავჭავაძის წრის“ სამეცნიერო-პოპულარულმა მოღვაწეობამ მოსკოვში ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა შემდეგში თბილისში იმავე სახელწოდების საზოგადოების დაფუძნებისათვის, რომელსაც იგივე მიზნები და ამოცანები ჰქონდა და, არსებითად, აგრძელებდა წრის საქმიანობას.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“

მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა „ილია ჭავჭავაძის წრის“ ყოფილმა წევრებმა, ცნობილი იურისტისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ჟორდანიას ინიციატივით, 1912 წელს თბილისში საფუძველი ჩაუყარეს მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის ორგანიზაციას – „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებას“, რომლის წესდება თბილისის გუბერნატორმა დაამტკიცა 1912 წლის 29 ოქტომბერს.[1]

30 ოქტომბერს მიხ. მაჩაბლის ბინაზე გაიმართა საზოგადოების პირველი დამფუძნებელი კრება, რომელმაც მიიღო ახალი წევრები და აირჩია საბჭო გიორგი ჟორდანიას თავმჯდომარეობით. საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ: სილოვან გაბუნია (თავმჯდომარის ამხანაგი), დავით კასრაძე (მდივანი), დიმიტრი წითლანაძე, რევაზ გაბაშვილი და ვასილ კარბელაშვილი. გ. ჟორდანიას წინადადებით კრებამ დაადგინა, რომ „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებას“ მინიჭებოდა იმხანად ახლადგანსვენებულ ალექსანდრე ხახანაშვილის სახელი. კრებამ დაავალა კიდეც საზოგადოების საბჭოს, შუამდგომლობა აღეძრა მთავრობის წინაშე ზემოხსენებული დადგენილების სისრულეში მოსაყვანად; მაგრამ, როგორც ჩანს,

[1] იხ. „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების წესდება“. თბ., 1915წ.

მთავრობამ არ დააკმაყოფილა საბჭოს ამგვარი შუამდგომლობა, რასაც გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ამ საზოგადოების ფონდში დაცულ ოფიციალურ დოკუმენტებში საზოგადოება არსად არ იხსენიება ალ. ხახანაშვილის სახელობის საზოგადოებად.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების" ისტორიის ამსახველი დოკუმენტები და მასალები თავმოყრილია საზოგადოების არქივში (ცსსა, ფონდი № 2094) და გ. ჟორდანიას პირად ფონდში (ფონდი № 1813). აღნიშნული ფონდებიდან დოკუმენტების დიდი ნაწილი ჩვენს მიერ გამოქვეყნებულია 1973 წელს ჟურნალ „საისტორიო მოამბეში" („მასალები ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების ისტორიისათვის", ჟურნ. „საისტორიო მოამბე", 1973 წ., № 27-28, გვ. 226-303).

საზოგადოების პირველი საჯარო კრება მიეძღვნა ალ. ხახანაშვილის ხსოვნას, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღოდა „ილია ჭავჭავაძის წრის" საქმიანობაში. კრება გაიმართა 1913 წლის 1 თებერვალს ზუბალაშვილების სახალხო სახლში, რომელსაც 120-ზე მეტი წევრი და მოწვეული სტუმარი დაესწრო. სცენას ამშვენებდა ამ დღისათვის საგანგებოდ დამზადებული ალ. ხახანაშვილის ბიუსტი (ავტორი ალ. გედევანიშვილი).

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების" სახელით კრება გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ — გ. ჟორდანიამ, რომელმაც დამსწრეთ მოკლედ გააცნო ახლად დაარსებული საზოგადოების მიზანი და დანიშნულება: — „ჩვენს საზოგადოებას განზრახული აქვს პირველ ყოვლისა, ქართველი ერის სულიერი კულტურის გაცნობა, შეთვისება იმ დიდი განძისა, რომელიც ჩვენ მამა-პაპათ შეუქმნიათ და ჩვენთვის გადმოუციათ — აღნიშნავდა გ. ჟორდანია, — მდიდარი და მრავალფეროვანია ქართული კულტურა, ჩვენი ხალხის სულიერი საუნჯე. მის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს. არას ვიტყვი ამ შესწავლის წმინდა მეცნიერულ მნიშვნელობაზე, ეს ისედაც ეჭვგარეშეა. ვიტყვი მხოლოდ მის ეროვნულ-პოლიტიკურ მნიშვნელობაზე და საჭიროებაზე, განსაკუთრებით იმ პირობებში, რომელშიც ცხოვრობს დღეს ქართველი ერი... გვწამს, რომ ყველა ის, ვინც დღემდე ცალკ-ცალკე მუშაობდა ქართული კულტურის

სხვადასხვა დარგში, თავს მოიყრის ჩვენს საზოგადოებაში და გააძლიერებს მას თავისი შრომით".[1]

როგორც გ. ჟორდანიას სიტყვიდან ჩანს, საზოგადოება მთავარი ყურადღებას უთმობდა ქართული კულტურის შესწავლის ეროვნულ-პოლიტიკურ მხარეს, რასაც იმ დროისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების განვითარების თვალსაზრისით.

გ. ჟორდანიას შესავალი სიტყვის შემდეგ მოხსენება ალ. ხახანაშვილის ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის გასაცნობად წაიკითხა საბჭოს წევრმა, ცნობილმა მწერალმა დავით კასრაძემ. მომხსენებელი ფართოდ შეეხო ალ. ხახანაშვილის ღვაწლს ქართული კულტურის წინაშე. როგორც მან აღნიშნა, „მისი შრომების საშუალებით ქართველი ხალხის წარსულს და მის კულტურას გაეცნო არა მარტო რუსი, არამედ ევროპის სხვა ხალხებიც, რომლებმაც ალ. ხახანაშვილის შრომებით გაიგეს, რომ იბერიაში ცხრათავიანი ველურები და დევები კი არ დაძრწიან, არამედ ცხოვრობს ერი, რომელსაც აქვს საკუთარი კულტურა და რომელსაც შესძლებია რუსთაველისა და ილია-აკაკი-ვაჟა-ფშაველას წარმოშობა. ქართველმა ერმა ალ. ხახანაშვილის სახით დაკარგა უბადლო პოპულარიზატორი ჩვენი მწერლობისა, საუკეთესო მკვლევარი ჩვენი წარსულის ნაშთებისა და სახელოვანი დარაჯი ჩვენს საჭიროებათა და მოთხოვნილებათა გამოსაქომაგებლად".[2]

დ. კასრაძის გარდა, მოხსენებებით გამოვიდნენ პ. მირიანაშვილი და გ. ჟორდანია. გ. ჟორდანიას მოხსენება („ალ. ხახანაშვილი, როგორც ადამიანი და მასწავლებელი") ეხებოდა ალ. ხახანაშვილის პედაგოგიურ მოღვაწეობას და სტუდენტებთან მის ურთიერთობებს. მომხსენებლის სიტყვით, ალექსანდრე ხახანაშვილი იყო „თავმდაბალი, სპეტაკი, კაცთმოყვარე, გულისხმიერი, მუყაითი და უაღრესად შრომისმოყვარე ადამიანი". ამ ძვირფასი ადამიანური ღირსებების გარდა, ალ. ხახანაშვილი გამოირჩეოდა როგორც საუკეთესო მასწავლებელი, რომელიც ყოველთვის ახლოს იდგა სტუდენტ-

[1] ცსსა, ფონ. 2094, საქ. 20, ფურ. 16-17.
[2] იგივე ფონ., საქ. 10, ფურ. 18-19.

ებთან, იზიარებდა მათ გასაჭირს და სიხარულს, ხოლო ზოგიერთ მათგანს მატერიალურადაც ეხმარებოდა.

— „ვინ მოთვლის, რამდენი სრულიად უცნობი სტუდენტი მიულებინებია უნივერსიტეტში — აღნიშნავდა გ. ჟორდანია ხახანაშვილის შესახებ — რამდენისათვის მოუხერხებია სტიპენდია, ერთდროული დახმარება, რამდენ უბინაო ქართველს შესწევნია თავის საკუთარი ჯიბიდან“.[1]

მოხსენების დასასრულს გ. ჟორდანიამ მოიტანა ერთი ნაწყვეტი გ. ქუჩიშვილის ლექსიდან, რომელიც მგოსანმა ალ. ხახანაშვილის ხსოვნას მიუძღვნა:

„მეცნიერების ტრაპეზზე
სანთელივითა დნებოდა,
მისი შუქი და ნათელი
სიბნელეს ერკინებოდა.

ჰქრებოდა მისი სიცოცხლე
მაგრამ არ ენანებოდა,
რადგანაც ღვაწლი ამ სოფლად
სამარადისოდ რჩებოდა“.[2]

შემდეგ წაიკითხეს მისალოცი დეპეშები საზოგადოების დაარსებასთან დაკავშირებით, მათ შორის იყო მოლოცვა მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის დირექტორის — გიდულიანოვისაგან, გორის ქალაქის მმართველობისაგან, ისტორიკოს თედო ჟორდანიასაგან და სხვ.

ქართველმა პოეტებმა: ალ. აბაშვილმა, ახოსპირელმა, თურდოსპირელმა, ნ. ჩხიკვაძემ, ი. გრიშაშვილმა, ი. მჭედლიშვილმა, გ. ქუჩიშვილმა და სხვ. წაიკითხეს ალ. ხახანაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები.[3]

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ ეს პირველი საჯარო კრება ფართოდ გააშუქა ქართულმა პრესამ. ჟურნალი „კლდე“ წერდა: „ამ საზოგადოებას — განსაკუთრებით კულტურუ-

---

[1] ჟურნ. „კლდე“, 1913 წ., № 7, გვ. 5.
[2] იქვე.
[3] ცსსა, ფონ. 2094, საქ. 10, ფურ. 18.

ლი მიზნები აქვს დასახული, რაც პირველ კრებაზედვე გამოირკვა იმ სიტყვებიდან, რომელნიც უძღვნეს ალ. ხახანაშვილს როგორც საზოგადოების მისაბაძ მაგალითს გ. ჟორდანიამ, დ. კასრაძემ და სხვათა. საზოგადოება ნაკლებად დაესწრო ამ საჯარო სხდომას, მაგრამ საზოგადოების დამაარსებელთა გულწრფელმა და მოსაზრებულმა სიტყვებმა წრფელი სიხარული და წარმატების სურვილი გამოიწვიეს დამსწრეთა შორის".[1]

პირველ ხანებში საბჭოს საქმიანობას წინ ბევრი დაბრკოლება ელობებოდა, განსაკუთრებით უსახსრობა, რომელიც ხელს უშლიდა საზოგადოების მიზნების პრაქტიკულად განხორციელებას. 1912-1913 წლებში საზოგადოების წევრთა რიცხვი 57-ს შეადგენდა, შესაბამისად, შემოსავალიც მცირე იყო, მაგრამ თანდათანობით, წევრთა რიცხვის ზრდა (1913-1914 წწ. – 76, 1914-1915 წწ. – 216, 1915 – 312) და სხვადასხვა სახის შემოსავალი (ქართლ-კახეთის თავადაზნაურობისაგან, ფასიანი დილა-საღამოებიდან, წიგნების გამომცემლობიდან და სხვ.)[2] ფეხზე აყენებდა საზოგადოებას და საშუალებას აძლევდა ფართოდ გაეშალა თავისი საქმიანობა. ამას ემატებოდა საზოგადოების მესვეურთა დიდი მონდომება და პატრიოტული ენთუზიაზმი დასახული მიზნების განხორციელების საქმეში.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება" უმთავრესად მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის ორგანიზაციას წარმოადგენდა. საზოგადოებაში თავს იყრიდა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც დაინტერესებული იყო ეროვნული კულტურის სხვადასხვა დარგის საფუძვლიანი შესწავლით და მისი განვითარებით.

საზოგადოების წევრებად ითვლებოდნენ და მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ცნობილი მეცნიერები, მწერლები, კომპოზიტორები, მსახიობები, პედაგოგები და ინტელიგენციის სხვა დარგის მუშაკები: მ. ჯანაშვილი, კ. აბაშიძე, თ. ჟორდანია, ექვთ. თაყაიშვილი, პროფესორები ი. შარლემანი და ილ. ჯანდიერი, პ. მირიანაშ-

---

[1] ჟურნ. „ალდე", 1913 წ., № 7, გვ. 5.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების" 1912-1915 წლების მოკლე ანგარიში, ცსსა, ფონ. 2094, საქ. 13, ფურ. 2-4.

ვილი, დ. კარიჭაშვილი, ვას. ბარნოვი, დ. კლდიაშვილი, ლ. ბოცვაძე, შ. დადიანი, ი. გრიშაშვილი, დ. არაყიშვილი, ზ. ფალიაშვილი, კ. მარჯანიშვილი, ვ. გუნია და სხვები.

საზოგადოების საპატიო წევრებად არჩეულ იყვნენ: ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი, ალექსანდრე ხახანაშვილი, მაქსიმ გორკი, კონსტანტინე ბალმონტი, მაქსიმე კავალევსკი, ნიკოლოზ ოსტროგრადსკი და სხვები.

იმ პერიოდში „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება", ისე როგორც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი და სხვა დანარჩენი თვითმოქმედი საზოგადოებები, ერთგვარ ასპარეზს ქმნიდნენ ქვეყნის სულიერი ძალების გაერთიანებისათვის, რითაც ხელს უწყობდნენ ეროვნული კულტურის სხვადასხვა დარგის შესახებ ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებას.

— „საზოგადოების კრებებს არა მარტო წმინდა სამეცნიერო მნიშვნელობა აქვთ, — ვკითხულობთ „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების" ანგარიშში, — მათი დანიშნულება ისიც არის, რომ პრაქტიკულად შეაჩვიონ ჩვენი საზოგადოება ქართულ ლაპარაკს, ქართულად აზროვნებას".[1]

„კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ" თავისი მოღვაწეობის პერიოდში (1907-1928 წწ.) ნაყოფიერი მუშაობა გასწია ეროვნული კულტურის სხვადასხვა საკითხების შესწავლისა და მათი პოპულარიზაციის თვალსაზრისით. ამ მხრივ საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სიტყვაკაზმულ მწერლობის და ხალხური სიტყვიერების შესწავლას, ქართული ენისა და მართლწერის საკითხების გარკვევას, კულტურის სიძველეთა დაცვა-შეგროვებას და სხვ. ყველა ამ საკითხს საზოგადოება უდგებოდა მეცნიერულ-პოპულარული თვალსაზრისით.

---

[1] „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების" 1912-1915 წლების მოკლე ანგარიში, ცსსა, ფონ. 2094, საქ. 13, ფურ. 4.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, თავისი პრაქტიკული საქმიანობით ხელს უწყობდა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის განვითარებას. საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები ხშირად გამოდიოდნენ საჯარო კრებებზე საყურადღებო მეცნიერული და მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის მოხსენებებითა და რეფერატებით ქართული მწერლობის არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე.

1913 წლის 5 აპრილს საზოგადოების მორიგ საჯარო კრებაზე, რომელსაც 200-ზე მეტი კაცი ესწრებოდა, ახალგაზრდა მკვლევარმა პ. ინგოროყვამ გააკეთა საინტერესო მოხსენება: — „როდის ცხოვრობდა შოთა რუსთაველი“.[1] ეს იყო მისი პირველი საჯარო გამოსვლა შ. რუსთაველის შესახებ. პ. ინგოროყვას მოხსენება მიმართული იყო ს. კაკაბაძის მოსაზრებათა წინააღმდეგ. საქმე იმაში იყო, რომ ამავე წლის 5 მარტს ქალთა უმაღლეს კურსებთან არსებულ ეთნოგრაფიის, ისტორიისა და ენათმეცნიერების საზოგადოების კრებაზე ს. კაკაბაძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე: — „როდის ცხოვრობდა ცნობილი ქართველი პოეტი შ. რუსთაველი“.[2]

ს. კაკაბაძის მოხსენება შეიცავდა მცდარ მოსაზრებას შ. რუსთაველის ცხოვრების დროისა და „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის შესახებ. ს. კაკაბაძის შეხედულებით, თითქოს რუსთაველი ცხოვრობდა არა თამარის მეფობის დროს, მე-12 საუკუნეში, არამედ მე-14 საუკუნის ბოლოსა და მე-15 საუკუნის დასაწყისში, ხოლო „ვეფხისტყაოსანი“ სპარსულიდან გადმოთარგმნა მე-13 საუკუნის მოღვაწემ სარგის თმოგველმა; პოემის სიუჟეტი კი შემდეგში შ. რუსთაველმა გამოიყენა.[3]

პ. ინგოროყვას მოხსენება შ. რუსთაველის შესახებ „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ არქივში არ შემოინახა, მაგრამ არსებობს ამ კრების ოქმის ჩანაწერი და რამდენიმე რეცენ-

---

[1] ცსსა, ფონ. 2094, საქ. 10, ფურ. 12.
[2] გაზ. „თემი“, 1913 წ., № 64, გვ. 4.
[3] გაზ. „თემი“, 1913 წ., № 116, გვ. 3.

ზია მოხსენების ირგვლივ, რომელიც მაშინდელ პრესაში დაიბეჭდა.

როგორც ამ მასალებიდან ირკვევა, პ. ინგოროყვას მოხსენება ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველ ნაწილში გაკრიტიკებული იყო ს. კაკაბაძის მიერ გამოყენებული არგუმენტები თავის მოსაზრებების დასასაბუთებლად, მეორე ნაწილში კი განხილული იყო პოემის ტექსტი და მთელი რიგი ისტორიულ-ლიტერატურული წყაროები ს. კაკაბაძის შეხედულებათა გასაბათილებლად.

ს. კაკაბაძის ზემოხსენებული მოხსენების შესახებ იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის გასათვალისწინებლად საინტერესოდ გვეჩვენება მოვიტანოთ ერთი ნაწყვეტი გაზეთ „თემიდან". გაზეთი წერს: — „...ამ უკანასკნელმა მოხსენებამ შოთას შესახებ ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილა. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ მეცნიერება ისეთი რამეა, რომელიც მოითხოვს მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტების აღმოჩენას, მიუხედავად იმისა, საწყენია იგი ვისმესთვის, თუ არა. მაგრამ არის ისეთი გადმოცემანი, ისეთი ტკბილი ტრადიციები, რომლის ხელის ხლება, დარღვევა მეტად ფრთხილად უნდა ხდებოდეს.

— ჩვენს ხალხს სწამს, რომ შოთა რუსთაველი ცხოვრობდა დიდი თამარ მეფის დროს მე-12 ს-ში. ამის დარღვევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ისტორიკოსს ხელში ჩაუვარდება უტყუარი ძლიერი საბუთები. მარტო სხვადასხვა ფიქრით, მოსაზრებით და დასკვნებით ამის უარყოფა არ შეიძლება. წარმოუდგენელია, რომ ისეთი დიდი ქმნილება, როგორც „ვეფხისტყაოსანია", დაწერილი ყოფილიყო იმისთანა ყოვლად უბადრუკ დროს, როგორიც იყო მე-15 ს-ის დასაწყისი საქართველოს ისტორიაში, როდესაც საზოგადოებრივი და ეროვნული ცხოვრება მოდუნებული იყო.

— არ შეიძლება კაცმა დაიჯეროს, რომ „ვეფხისტყაოსანი" დაეწეროს დიდ მგოსანს მაშინ, როდესაც ცხოვრობდნენ აფხაზეთის თამარ მეფე და ბორჩალოელი დავით მეფე. რამდენადაც ვიცით, სულ ახალი სახელია — თათრული, ადრე იწოდებოდა ეს კუთხე სომხითად, რომელთაც არაფრით არ უსახელებიათ თავი. ადვილად შესაძლებელია, რომ შოთამ ისარგებლა სპარსული ამბით, მაგრამ ეს ამბავი მან მარტო კი არ გალექსა, არამედ გარდაქმნა პოემად.

მართლაც გალექსილი რომ ყოფილიყო „ვეფხისტყაოსანი“, მაშინ ხომ ლექსად თქმული იქნებოდა მარტო მისი არაკი, ფაბულა. მაგრამ ვინ არ იცის, რომ შოთას ქმნილება მარტო არაკის მბობას კი არ წარმოადგენს, არამედ დიდი გონების, დიდი გრძნობის და დიდი განცდის ნაყოფს. ვინ მოსთვლის რამდენი ფილოსოფიური აზრია ამ პოემაში გატარებული. განა შესაძლებელია, რომ ეს ფილოსოფიური მსჯელობა იმ უცნობ სპარსულ ამბავში იყოს მოყვანილი? იქ უეჭველია მარტო არაკი იქნებოდა და სხვა არაფერი. ამგვარად, ჩვენის ღრმა რწმენით, დაუსაბუთებელი გამოდგა ს. კაკაბაძის ჰიპოთეზა „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის და შ. რუსთაველის ცხოვრების დროის შესახებ. ჩვენ ვიმედოვნებთ, იქნება ამ მოხსენებამ მაინც, რომელმაც ასე აალაპარაკა ჩვენი საზოგადოება, გამოიწვიოს ახალი გამოკვლევა ქართული ლიტერატურის საამაყო განძისა. ქართველი ხალხის შეგნებული ნაწილი დიდის მოუთმენლობით მოელის ამ გამოკვლევას“.[1]

პ. ინგოროყვას მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ წევრებმა: დ. კარიჭაშვილმა, პ. მირიანაშვილმა, ს. გორგაძემ, გერ. იმნაიშვილმა და სხვ., რომლებმაც გაიზიარეს ახალგაზრდა მკვლევრის არგუმენტები და დებულებები ს. კაკაბაძის მოსაზრებათა წინააღმდეგ და გამოთქვეს თავისი აზრი.

დ. კარიჭაშვილის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ბევრი სტროფი და ეპიზოდი არ ეკუთვნის პოემის ავტორს. დროთა განმავლობაში ტექსტი ხშირად ირყვნებოდა სხვადასხვა გადამწერის მიერ, რომლებსაც სურდათ შეევსოთ თითქოსდა პოემაში არსებული ხარვეზები ამბებს შორის, რაც, მათი აზრით, ხელს უშლიდა პოემის მთლიანობას.[2]

ქართულმა პრესამ დადებითად შეაფასა პ. ინგოროყვას მოხსენება შ. რუსთაველის შესახებ. ჟურნალი „კლდე“ წერს: — „მომხსენებელმა ყოველმხრივი განხილვით, ისტორიულად, ლინგვისტური და სტილის-

---

[1] გაზ. „თემი“, 1913 წ., № 113, გვ. 3.
[2] ჟურ. „კლდე“, 1913 წ., № 16, გვ. 3.

ტური შედარებით, ტექსტის სოციალური მომენტების ანალიზით, მისი ფილოსოფიურ და თეორიულ შემეცნებათა გარკვევით ნათელჰყო ყველასათვის, რომ ეს ძეგლი ეროვნული შემოქმედებისა ეკუთვნის მე-12 ს-ს და სწორედ თამარის მეფობის დროს, როცა ჩვენს ისტორიას ოქროს ხანა დაუდგა და კულტურულმა საზოგადოებრივმა და ეროვნულმა შეგნებამ და ძლიერებამ აპოგეას მიაღწია".[1]

ამგვარად, მე-20 საუკუნის პირველ ათეულ წლებში შ. რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის" საკითხი კვლავ ამოტივტივდა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ზედაპირზე. „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ" პირველმა დაგმო ს. კაკაბაძის ამგვარი შეხედულება და საჯაროდ გამოთქვა სწორი თვალსაზრისი პოემის დაწერის დროისა და შ. რუსთაველის მოღვაწეობის შესახებ, რასაც იმ დროისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსთველოლოგიის განვითარების თვალსაზრისით. ამასთან ერთად, საზოგადოებამ გაამახვილა „ვეფხისტყაოსნის" მკვლევართა ყურადღება პოემის ტექსტის კრიტიკულ შესწავლაზე, მისი მხატვრული კონსტრუქციის, მსოფლმხედველობისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელთა შესწავლას მანამდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

საყურადღებოა, რომ „ვეფხისტყაოსნის" გარშემო ასეთი საჯარო კამათის ვითარებაში დაიბადა აზრი შ. რუსთაველის სახელობის საზოგადოების დაარსების შესახებ, რომელიც სპეციალურად შეისწავლიდა რუსთველოლოგიის საკითხებს და, საერთოდ, იზრუნებდა ქართული მწერლობის განვითარებაზე.

საინტერესო ღონისძიება ჩაატარა „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ" 1913 წლის 9 მაისს ზუბალაშვილების სახალხო სახლში, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი პოეტის, ვახტანგ ორბელიანის ხსოვნას. სხდომას ესწრებოდა საზოგადოების 70-ზე მეტი წევრი და 200-მდე გარეშე პირი. ვ. ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებები გააკეთეს დ. კასრაძემ („ვ. ორბელიანის ბიოგრაფია") და კ. აბაშიძემ („ვ. ორბელიანის პოეზია"), პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკუთარი

[1] გაზ. „თემი", 1913 წ., № 117, გვ. 3.

ლექსები წაიკითხეს ი. გრიშაშვილმა, ალ. აბაშელმა, ი. მჭედლიშვილმა და სხვ; ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს მსახიობებმა კ. ყიფიანმა, ი. ივანიძემ და სხვ. ნ. სულხანიშვილის გუნდმა შეასრულა ხალხურ კილოზე გადამუშავებული პოეტის ლექსები.[1]

1913 წლის აპრილში „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების" საჯარო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა ვაჟა-ფშაველას სამწერლო მოღვაწეობის 35-ე წლისთავს, საინტერესო მოხსენება — „სიმღერა მთის შვილის ვაჟა-ფშაველასი", წაიკითხა ცნობილმა მწერალმა და ლიტერატურის კრიტიკოსმა იპოლიტე ვართაგავამ.*

მოხსენებაში ვაჟა-ფშაველა დახასიათებულია როგორც ქართველი ხალხის უსაყვარლესი მგოსანი, რომლის შემოქმედება ჰუმანიზმით, გმირული პათოსითა და პატრიოტული სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. იპ. ვართაგავამ ერთ-ერთმა პირველთაგანმა საჯაროდ აღიარა ვაჟას პოეზიის მებრძოლი სული და მისი ოპტიმიზმი.

იპ. ვართაგავას სიტყვით „პოეტის გრძნობა-გონება უმთავრესად არკვევს ცხოვრების სამ კითხვას: ა) ფიქრ-ოცნება საქართველოს წარსულ ბედ-იღბალზე, ბ) ფიქრ-ზრახვა საქართველოს თანამედროვე მდგომარეობაზე და გ) ფიქრ-იმედი საქართველოს მომავალზე".

იპ. ვართაგავას ამ ეტიუდმა თავის დროზე დიდი გამოხმაურება პოვა და თვით ვაჟას პასუხიც გამოიწვია.[2]

როგორც ი. ბოცვაძე მიუთითებს, რევოლუციამდელ ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში იპ. ვართაგავას ზემოხსენებული ეტიუდი ყველაზე ვრცელი, მწყობრი და საფუძვლიანი განხილვაა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისა, თუმცა რიგი ხარვეზებისა ამ გამოკვლევასაც ახასიათებს. იპ. ვართაგავამ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა საფუძვლიანი შესწავლის შედეგად ნათლად დაანახა მკითხველს,

---

[1] ცსსა, ფონ. 2094, საქ. 10, ფურ. 17.

* ეს მოხსენება დაიბეჭდა ჟურნ. „განათლებაში" 1913 წ., № 10 და 1914 წ., № 1,2,3 და 4-ში. ცალკე წიგნად გამოიცა 1921 წ.; 1955 წ. იგი შეიდა ი. ბოცვაძის მიერ შედგენილ ქრესტომათიაში „ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში", I, გვ. 3-125.

[2] გაზ. „სახალხო ფურცელი", 1914 წ., № 21, 22, 23.

თუ რა სიძლიერით შეძლო მწერალმა მთის ბუნების გრანდიოზული სურათების დახატვა, მისი მრავალფეროვნების მხატვრულ სახეებში გადმოცემა. აქვე კრიტიკოსმა სავსებით სამართლიანად იმ გარემოებაზეც მიუთითა, რომ პოეტის მხატვრული გააზრების საგანს და შთაგონების წყაროს მხოლოდ მთა არ წარმოადგენს, იგი არ იფარგლება მხოლოდ ფშავ-ხევსურეთის თვალწარმტაცი პეიზაჟებით, არამედ „ვაჟას უყვარს ბარიც — ეს მეორე უფრო დიდი და ვრცელი ნაწილი თავისი სამშობლოისა და არა ნაკლები სიძლიერით გადმოსცემს ბარის სილამაზესა და სიუხვეს".[1]

იპ. ვართაგავა არაერთგზის გამოსულა საინტერესო მოხსენებებით „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების" საჯარო კრებებზე. 1915 წლის 27 აპრილს მან წაიკითხა საყურადღებო მოხსენება აკაკის შესახებ („აკაკი როგორც სატირიკოსი"). მოხსენებაში დახასიათებული იყო აკაკის სატირა, რომელიც დაუნდობლად ამხელდა გადაგვარებულ ქართველებს და ყველა იმ მანკიერ მხარეს, რაც იმდროინდელ ქართველ საზოგადოებას ახასიათებდა. მომხსენებლის აზრით, ასეთ შემთხვევაში აკაკი მოურიდებელი იყო, მისი ბასრი კალამი არავის ინდობდა და სააშკარაოზე გამოჰქონდა ყველაფერი, რაც ჩირქს სცხებდა ქართველი ხალხის ეროვნულ ღირსებას. იპ. ვართაგავას სიტყვით, „ეს გამოწვეული იყო იმ მგზნებარე სიყვარულით, რომელსაც დიდი მგოსანი სიკვდილამდე ჩაუქრობლად ატარებდა გულში თავის ხალხისა და სამშობლოსადმი... იგი შეგნებულად მიმართავდა სატირას გადაგვარებულთა წინააღმდეგ. აკაკის მათთან ბრძოლაში ზოგჯერ სასოწარკვეთილების ხმაც აღმოხდებოდა".

მოხსენების ირგვლივ აზრი გამოთქვეს საზოგადოების წევრებმა: პ. მირიანაშვილმა, გ. იმნაიშვილმა, კორ. კეკელიძემ, დ. კასრაძემ და სხვ.

1916 წლის 16 და 23 იანვარს საზოგადოების საჯარო კრებებზე იპ. ვართაგავა მოხსენებით გამოვიდა თემაზე: „სოფელი და სოფლელები სოფრომ მგალობლიშვილის შემოქმედებაში", კრებას

[1] ი. ბოცვაძე, ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, თბ., 1955 წ., გვ. 58-59.

სოფრომ მგალობლიშვილიც ესწრებოდა. მოხსენებაში დახასიათებული იყო ხალხოსნური მიმდინარეობა ქართულ ლიტერატურაში, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია სოფრომ მგალობლიშვილი. იპ. ვართაგავა მწერლის შემოქმედების დადებით მხარედ მიიჩნევს მშრომელი ხალხის, უმთავრესად სოფლელების (გლეხების) ცხოვრების ჩვენებას. მისი სიტყვით, მწერალი განსაკუთრებულ „სულიერ კავშირს გრძნობდა სოფელთან და სოფლელებთან, სძულდა მათი მჩაგვრელები და სწამდა, რომ მალე დადგებოდა ისეთი დრო, როდესაც ხალხი გამოფხიზლდებოდა და თავს არავის აღარ დააჩაგვრინებდა“.[1]

იპ. ვართაგავა კრიტიკულად უდგება ქართველი ხალხოსნების შეფასების საკითხს. იგი მათ „ტეტიანთა მოტრფიალეებს“ უწოდებს. მისი აზრით, ქართველმა ხალხოსნებმა ვერ შეძლეს სრულად წარმოეჩინათ ხალხის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მისი სულიერი განწყობილება.[2]

ამ მოხსენების შესახებ ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ წერს: — „მოხსენება ფრიად საყურადღებო გამოდგა, რადგან ამ საგანზე ძალიან ცოტა გვსმენია და როგორც თვით მოხსენებელმა აღნიშნა, ჩვენ სამწუხაროდ, არა გვყავს შესწავლილი ჩვენი მწერლები და მითუმეტეს „ხალხოსნების“ მებაირახტრეები ჩვენში“.[3]

როგორც ცნობილია, მე-20 საუკუნის 10-იან წლებში ქართულ მწერლობაში თავი იჩინა სიმბოლისტურმა მიმდინარეობამ, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ „ცისფერყანწელებად“ ცნობილი ქართული სიტყვის ოსტატები: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე და სხვ. ეს თაობა ლიტერატურულ ასპარეზზე 1914-1915 წლებში გამოვიდა და ახალი, დეკადენტური სტილი შემოიტანა ქართულ პოეზიაში, რომელიც უარყოფდა ლიტერატურის იდეურობასა და მის საზოგადოებრივ მნიშვნელობას.

„ცისფერყანწელთა“ შეხედულებები ცხოვრებასა და ხელოვნებაზე,

---

[1] გაზ. „საქართველო“, 1916 წ., № 24, გვ. 3.
[2] გაზ. „საქართველო“, 1916 წ. № 22, გვ. 3.
[3] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1916 წ., № 5, გვ. 12.

იმ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში, ვერ ეგუებოდა ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის ეროვნულ მისწრაფებებს, რომელიც ითვალისწინებდა ლიტერატურისა და ხელოვნების საშუალებით ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას და ქართველი ხალხის თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების" გარშემო შემოკრებილი დემოკრატიული ინტელიგენციისათვის მიუღებელი ჩანდა „ცისფერყანწელთა" დეკადენტიზმი, რაც, მათი აზრით, ემუქრებოდა ქართული ლიტერატურის კლასიკური ტრადიციებიდან გადახვევას; თუმცა, როგორც მკვლევრები მიუთითებენ, „ცისფერყანწელებს", დასავლეთის სიმბოლისტებისაგან განსხვავებით, გააჩნდათ რეალისტური მხატვრული აზროვნების ელემენტები და არასოდეს დაუკარგავთ ეროვნული გრძნობა, რომელიც ქართული პოეზიის დიდი წინაპრებისაგან შეისისხლხორცეს.[1]

1916 წლის 3 აპრილს „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების" საჯარო სხდომამ მოისმინა დავით კასრაძის მოხსენება „ცისფერყანწელების" შესახებ. მოხსენებაში გაკრიტიკებული იყო მათი მცდარი შეხედულებები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე; მომხსენებლის აზრით, „ცისფერყანწელებს" არ გააჩნდათ მკვიდრი ნიადაგი ქართულ მწერლობაში და დიდხანს ვერ გაძლებდნენ.

1916 წლისათვის „ცისფერყანწელებს" უკვე ჰქონდათ საკუთარი ჟურნალები: „ცისფერი ყანწები", „მეოცნებე ნიამორები" და „მშვილდოსანი", სადაც სისტემატურად იბეჭდებოდა მათი ლექსები.

მომხსენებლის აზრი „ცისფერყანწელთა" შესახებ გაიზიარეს საზოგადოების წევრებმა: გერ. იმნაიშვილმა, ივ. რატიშვილმა, პ. ინგოროყვამ, დ. კარიჭაშვილმა და სხვ. კრებამ დაგმო მათი მცდარი შეხედულებები ცხოვრებასა და ხელოვნებაზე და გამოთქვა სწორი მოსაზრებები.

1916 წლის 24 იანვარს საზოგადოების საბჭომ მიიღო დადგენილება გამოეცა არაპერიოდული ჟურნალის სახით „ქართული ლიტ-

[1] მ. აბულაძე, ლიტერატურულ მიმდინარეობათა ისტორიიდან მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში, თბ., 1977 წ., გვ. 16.

ერატურის მოყვარულთა საზოგადოების“ მატიანე, რომელშიც შევიდოდა საზოგადოების კრებებზე წაკითხული საყურადღებო მოხსენებები და მათ ირგვლივ გამართული კამათი.[1] სამწუხაროდ, ამ დადგენილების განხორციელება საბჭომ ვერ მოახერხა უსახსრობის გამო.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“ თავიდანვე ცდილობდა საჯარო სხდომებზე წაკითხული ლექცია-მოხსენებებისათვის სისტემატური კურსის ხასიათი მიეცა, მაგრამ საზოგადოების ამგვარ განზრახვას ხელს უშლიდა უსახსრობა და მაშინდელი ცხოვრების მძიმე პირობები. 1914 წლის 29 იანვარს საბჭომ მიიღო დადგენილება, რომ სისტემატური ლექციების კურსი მომზადებულიყო საქართველოს სამოქალაქო ისტორიაში (ლექტორი ს. გორგაძე), არქეოლოგიაში (ექვთ. თაყაიშვილი), ძველი მწერლობის ისტორიაში (ივ. რატიშვილი), ქართულ ლიტერატურაში (ვას. ბარნოვი) და საქართველოს ისტორიაში (თ. ჟორდანია).[2]

1915 წლის 4 ნოემბერს საბჭოს სხდომაზე თ. ჟორდანიამ წარადგინა ლექციების სანიმუშო გეგმა საქართველოს ისტორიაში. სალექციო კურსი მოიცავდა პერიოდს ქრისტიანობის გავრცელებიდან მე-19 საუკუნის დასასრულამდე (თვეში 4 ლექცია).[3] იმავე წლის 2 დეკემბრიდან თ. ჟორდანიამ დაიწყო კიდეც ლექციების კითხვა. პირველი ლექცია ეხებოდა ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში და ქართული ეკლესიის წარმოშობას, მაგრამ, სამწუხაროდ, სალექციო კურსი დიდხანს არ გაგრძელებულა. 1916 წელს თ. ჟორდანია გარდაიცვალა.

1915 წლის 5 ნოემბერს ქართულ ლიტერატურაში სალექციო კურსის მომზადება საბჭომ ვასილ ბარნოვს სთხოვა. ვასილ ბარნოვი (ბარნაველი) (1875-1934 წწ.) ამ დროისათვის იყო ცნობილი მწერალი და პედაგოგი, თბილისის სემინარიაში კითხულობდა ქართული ხალხური სიტყვიერების კურსს, გამოქვეყნებული ჰქონდა მრავალი მოთხრობა და რომანი: „ისნის ცისკარი“ (1901 წ.), „მიმქრალი შარავანდედი“ (1913 წ.) და სხვ. მართალია, ქართველი საზოგა-

[1] ცსსა, ფონ. 2094, საქ. 10, ფურ. 104.
[2] იგივე ფონდი, საქ. 26, ფურ. 67.
[3] იგივე ფონდი, საქ. 26, ფურ. 91.

დოება ჯერ კიდევ არ იცნობდა მის ისტორიულ რომანებს: „ტრფობა წამებული“, „არმაზის მსხვრევა“ (1925 წ.), „გიორგი საკაძე“ (1923-1925 წწ.), „დედოფალი ბიზანტიისა“ (1928 წ.) და სხვ., მაგრამ ვ. ბარნოვის სახით უკვე გამოჩნდა მწერალი, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში პირველმა შემოიტანა მხატვრულ-ისტორიული პროზა და გახდა ისტორიული რომანის ფუძემდებელი. 1916 წლის სექტემბრიდან საექიმო საზოგადოების დარბაზში ვ. ბარნოვმა დაიწყო ლექციების კითხვა წინასწარშემუშავებული პროგრამის (ლექცია-გაკვეთილის) მიხედვით, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველ ნაწილს ეძლეოდა თეორიული კურსის ხასიათი (ახალი მასალის ახსნა), მეორე ნაწილს — პრაქტიკული (წინა მასალის გამოკითხვა დიალოგის სახით). პრაქტიკულ მეცადინეობაში შედიოდა: ნაწარმოების დედანის გაცნობა, რეფერატების წაკითხვა-გარჩევა და სხვ. თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს შორის ნავარაუდევი იყო 15-20 წუთიანი შესვენება; ლექციის ხანგრძლივობა შეადგენდა საათნახევარ-ორ საათს, აუდიტორია ნაანგარიშევი იყო 40-60 მსმენელისათვის.[1]

საბჭომ დაამტკიცა ვას. ბარნოვის მიერ წარმოდგენილი ლექცია-გაკვეთილის გეგმა ქართულ ლიტერატურაში (კვირაში 2 ლექცია); ლექტორს გასამრჯელოს სახით დაენიშნა თვეში 500 მანეთი; შეთანხმების მიხედვით, ბარნოვი საბჭოს უთმობდა სალექციო კურსის გამოცემის უფლებას მისი წაკითხვიდან ერთი წლის შემდეგ.[2] თუ სადამდე გაგრძელდა სალექციო კურსი ქართულ ლიტერატურაში, ეს საარქივო მასალებიდან არ ჩანს. საზოგადოების 1915-1916 წლების ხარჯთაღრიცხვაში მითითებულია მხოლოდ, რომ ამ წელს საზოგადოების ბიუჯეტიდან 450 მანეთი გაულიათ სისტემატური ლექციების მოწყობისათვის.[3]

ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის განვითარების მიზნით „კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“ დიდ ყურადღებას უთმობდა ქართველ მწერალთა ახალი ნაწარმოებების კრიტიკულ განხილ-

---

[1] ცსსა, ფონ. 2094, საქ. 10, ფურ. 122-123.

[2] იქვე.

[3] იგივე ფონ, საქ. 39, ფურ. 1-2.

ვას და მათ შესახებ საზოგადოებრივი აზრის შექმნას, რაც სტიმულს აძლევდა მწერალს მისი შემოქმედებითი ზრდის თვალსაზრისით. მაგალითად, 1914 წლის მაისში საზოგადოებამ მოაწყო დუტუ მეგრელის ახალი პოემის — „პრომეთეს" განხილვა. პოემის ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს და საკუთარი აზრი გამოთქვეს საზოგადოების წევრებმა: პ. მირიანაშვილმა, ვას. ბარნოვმა, ალ. ახმეტელმა, იპ. ვართაგავამ, მიხ. ხერხეულიძემ და სხვ.[1]

თუ როგორ მიმდინარეობდა საზოგადოების საჯარო კრებებზე ახალი ნაწარმოების კრიტიკული განხილვა, ამის ნიმუშად შეიძლება მოვიტანოთ დ. მეგრელის „პრომეთეს" ირგვლივ აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

როგორც კრებაზე აღინიშნა, პოემის იდეა ავტორს აუღია ბერძნული მითოლოგიიდან და ქართული სინამდვილისათვის მიუსადაგებია. პ. მირიანაშვილის აზრით პოემაში ბევრი საინტერესო ადგილია, განსაკუთრებით მოსაწონია ის ადგილი, სადაც ცეცხლით განათებული ხალხი ღმერთების სადიდებლად ტაძრის აგებას აპირებს; პოემა თავისუფალია ვულგარიზმებისაგან და გამართული ლიტერატურული ენითაა დაწერილი. პ. მირიანაშვილმა სურვილი გამოთქვა „პრომეთეს" სცენაზე წარმოსადგენად.

პ. მირიანაშვილის ამ აზრს არ დაეთანხმა იპ. ვართაგავა. მან პოემის ზოგიერთ ისეთ ნაკლზე მიუთითა, რაც ჩრდილს აყენებდა მის მხატვრულ ღირსებას — „პოეტმა თავისი აზრი უნდა გვაგრძნობინოს და არა გაგვაგებინოს, — ამბობდა იგი, — ავტორი კი უფრო მსჯელობს. ამ მიზნით კი დიდებულ იდეის განხორციელება ყოვლად შეუძლებელია, და ავტორსაც იგი, სავსებით კი არა, შედარებითაც ვერ განუხორციელებია...".[2]

იპ. ვართაგავას აზრით, ზოგადსაკაცობრიო საკითხებზე წერა თანამედროვე მწერლების სენია, მაშინ, როდესაც ჩვენი ცხოვრება ამისათვის საკმაო მასალას იძლევა. ეს მით უფრო სავალალოა, როცა მწერალს საამისოდ ძალა არ შესწევს.

მიხ. ხერხეულიძის აზრით დ. მეგრელის „პრომეთე" უფრო დრამატული პოემაა, ამიტომ მოსაწონი არაა პოემის შინაარსის

[1] ცსსა, ფონ. 2094, საქ. 10, ფურ. 27.
[2] იქვე, ფურ. 28.

გადმოცემა დიალოგის სახით, რადგან დრამატულ ნაწარმოებში წინა პლანზე მოქმედება უნდა ჩანდეს და არა დიალოგი.

საინტერესოა ვას. ბარნოვის აზრი პოემის შესახებ: — „იდეა თავისთავად მშვენიერია და კაცის წინსვლისა და მისი გონების მასწავლებელია, მაგრამ საკითხავად რჩება პრომეთეს ნამდვილად ცეცხლის მოტანა სურდა თუ ამ სიტყვაში გონიერება, სიბრძნე და ცოდნა ისახება? თუ მართლა ცეცხლი, მაშინ ვაი, თუ მისი მოტანა ჩვენთვის ძალიანაც საზარალო ყოფილიყო და პრომეთეს მოქმედებაც არა სასურველი... არა სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს ის გარემოება, რომ ნაწარმოების ბოლო ნაწილი სრულიად უსაფუძვლოდ დღევანდელ გარემოებამდეა დაწეული. არა სასიამოვნოა მით უფრო, რომ დღევანდელი მომენტი წარმავალია“.[1]

ალ. ახმეტელის „პრომეთეს“ სცენაზე წარმოდგენა არ მიაჩნდა მიზანშეწონილად, რადგან პოემაში იმდენად სუსტად იყო წარმოჩენილი დრამის ელემენტები, რომ უბრალო კონფლიქტიც კი არსად ჩანდა, რაც დრამისათვის აუცილებელი კომპონენტია.

კრებაზე გამოითქვა სხვადასხვა აზრი პოემის მხატვრული მხარის, იდეურობის, ენისა და სხვა საკითხების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ „კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ ამგვარი ღონისძიებები ხელს უწყობდა ქართული ლიტერატურული კრიტიკის განვითარებას, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ქართული მწერლობის ზრდა.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ ყურადღების ცენტრში იდგა ისეთი შინაარსის მოხსენებებიც, რომლებიც რევოლუციის თემას ეხებოდნენ. ამ პერიოდში რევოლუციას თანაუგრძნობდნენ და თავიანთ მხატვრულ შემოქმედებაში რევოლუციური გარდაქმნების სულისკვეთებას გამოხატავდნენ ქართველი პოეტები: ირდიონ ევდოშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, ჭოლა ლომთათიძე, ნოე ჩხიკვაძე, სანდრო შანშიაშვილი და სხვანი.

1915 წელს „კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ საბჭომ განსახილველად წარუდგინა საჯარო კრებას გ. ქუჩიშვილის ახალი

---

[1] ცსსა, ფონ. 2094, საქ. 10, ფურ. 29.

პოემა „ნაადრევი ვარსკვლავი“. პოემა ეხება 1905 წლის რევოლუციას, რომელმაც ხალხს „სინათლე მოუტანა, მაგრამ იგი ნაადრევი აღმოჩნდა და ვარსკვლავიც მალე ჩაქრა“...

პოემის განხილვას ავტორიც ესწრებოდა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო ახალი პოემის შინაარსი, რის შემდეგ პოემის ირგვლივ გაიმართა კამათი. საზოგადოების წევრის — ნოე ჩხიკვაძის აზრით, პოემას აკლდა მხატვრულობა და მკითხველზე მთლიან შთაბეჭდილებას ვერ ტოვებდა. პ. მირიანაშვილს ავტორის დამსახურებად მიაჩნდა ის, რომ მან ხელი მოჰკიდა „გამომსახველ იდეას“. — „თუ რამდენად განახორციელა ეს იდეა მგოსანმა — ეს მეორე საკითხია — ამბობდა იგი, — მაგრამ თვით სურვილი დიდის ნაბიჯის გადადგმისა, ჩვენ მას არ უნდა დავუწუნოთ. ქუჩიშვილი ისეთ ხანას შეეხო, რომ რაც გინდ სუსტი იყოს მისი ნაწარმოები, იგი მაინც ძვირფასია ჩვენთვის“.[1]

ილ. რუხაძემ გამოთქვა რწმენა, რომ „ვარსკვლავის ჩაქრობა“ დროებითია, ხალხი კვლავ აღსდგება და „მოიტანს ახალ ვარსკვლავს“. მიხ. წულუკიძემ შენიშნა, რომ „მხატვრულ ნაწარმოებში არ შეიძლება მარტო იდეა იყოს, საჭიროა ამ იდეის განცდა. ნაწარმოების შინაარსი და ფორმა ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს და ერთმანეთს ავსებდეს. პოემა კი მთლიან შთაბეჭდილებას ვერ ტოვებს, რადგან აღებული იდეა დიდია და ამისათვის საჭიროა მწერლის მეტი მომზადება, ცხოვრების უშუალო განცდა“.

იოსებ იმედაშვილმა უკმაყოფილება გამოთქვა პოემის პესიმისტური ჰანგების გამო. — „მწერლობა უნდა ფრთებს გვასხამდეს და არა იმედებს გვისპობდეს“-ო — ამბობდა იგი.

პოემის შესახებ აზრი გამოთქვა მუშა მაისურაძემაც. მისი სიტყვით გ. ქუჩიშვილის პოემა მნიშვნელოვანია იმით, რომ პოეტს დახატული აქვს „დიდებული ხანა ხალხის წინსვლისა“.[2]

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ საჯარო კრებამ საჭიროდ ცნო გ. ქუჩიშვილის პოემის — „ნაადრევი ვარსკვლავის“ დაბეჭდვა.

---

[1] ცსსა, ფონ. 2094, საქ. 10, ფურ. 29.
[2] იქვე, ფურ. 31.

ქართველ მწერალთა წახალისების მიზნით „კულტურის მოყვარულთა საზოგადოებას დაწესებული ჰქონდა ფულადი პრემია (100 მანეთი) ცნობილი ხალხოსანი მწერლის, ნიკო ლომოურის სახელზე. პრემიით ჯილდოვდებოდა ქართული კულტურის მანამდის უცნობი რომელიმე დარგის ამსახველი საუკეთესო თხზულება. ნიკო ლომოურის ნაწარმოებების ენის სიწმინდეს მაღალ შეფასებებს აძლევდნენ ილია, აკაკი, ი. გოგებაშვილი და სხვები. ამიტომ მისი სახელობის პრემია დიდ პატივად ითვლებოდა იმდროინდელი ქართველი მწერლებისათვის. გარდა ამისა, პრემიის დაწესებით საზოგადოებას სურდა ერთგვარი მატერიალური დახმარება გაეწია ნ. ლომოურის გარდაცვალების შემდეგ უმწეოდ დარჩენილ მისი ოჯახისათვის.

1914 წლის 10 თებერვალს საზოგადოების საბჭოს ინიციატივით მოეწყო ქართველი პოეტების ახალი ლექსების კონკურსი ნ. ლომოურის პრემიის მოსაპოვებლად. ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ: იპ. ვართაგავა, ილ. ზურაბიშვილი, ი. გედევანიშვილი, ივ. გომართელი, გრ. ყიფშიძე და ს. გორგაძე. ჟიურიმ განიხილა 18 ახალი ლექსი და პრემიის ღირსად ცნო მხოლოდ ორი პოეტი: გიორგი ქუჩიშვილი (ლექსებისათვის „წყარო“ და „სიმღერა“) და ს. ურუშაძე („ზღაპარი“ და „ქალთ თავადი“).

კონკურსის შემდეგ წარმოდგენილ იქნა ა. ცაგარლის ორმოქმედებიანი კომედია „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ გამოჩენილი მსახიობების — ელ. ჩერქეზიშვილისა და ვასო აბაშიძის მონაწილეობით.[1]

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“ ეწეოდა საგამომცემლო საქმიანობასაც. მის მიერ სხვადასხვა დროს ცალკე წიგნებად გამოცემულია საზოგადოების საჯარო კრებებზე წაკითხული მოხსენებები: — ივ. გომართელის — „აკაკი (1915 წ.), მელანიას — „გიორგი და გეურქა“ (1915 წ.), პ. მირიანაშვილის — „გახსოვდეს წერა-ლაპარაკის დროს!“ (1915 წ.), ივ. ვირთაგავას — „მ. ჯავახიშვილის შემოქმედება“ (1928 წ.) და სხვ.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებასთან“ ერთად

---

[1] ცსაა, ფონ. 2094, საქ. 10, ფურ. 22.

სიტყვაკაზმული მწერლობის განვითარებაზე ზრუნავდა სპეციალური საზოგადოება „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის“ სახელწოდებით, რომელიც 1908 წელს ჩამოყალიბდა გრ. რცხილაძის თავმჯდომარეობით. საზოგადოების წესდების ტექსტი გამოქვეყნდა გაზეთ „ამირანში“.[1]

„ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების“ პირველ საბჭოს შეადგენდნენ: გრ. რცხილაძე (თავმჯდომარე), სვიმონ ყიფიანი, კოტე მაყაშვილი (ხაზინადარი), შიო დედაბრიშვილი (არაგვისპირელი), ეროდიონ ევდოშვილი (ხოსიტაშვილი), სერგი გორგაძე, არისტო ჭუმბაძე (მდივანი) და იპოლიტე ვართაგავა.

1912 წელს საზოგადოებამ გამოსცა აგრეთვე ქართველ მწერალთა ნაწარმოებების პირველი კრებული „გრდემლის“ სახელწოდებით. კრებულში შეევიდა ვ. ბარნოვის, დ. კლდიაშვილის, კ. მაყაშვილის, ს. გორგაძის, იპ. ვართაგავას და სხვ. ნაწარმოებები. იმავე წელს გამოვიდა მეორე, ხოლო 1916 წელს — მესამე კრებული.

„სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება“ მონაწილეობას იღებდა იმდროინდელ თითქმის ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებაში. 1915 წლის 23 მაისს საზოგადოების თაოსნობით თბილისის სახაზინო თეატრში გაიმართა ვაჟა-ფშაველას სამწერლო მოღვაწეობის 35 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო ვალ. გუნიას ხელმძღვანელობით.

— „ეს იყო დიდი ზეიმი... — გადმოგვცემს ი. იმედაშვილი, — ბევრს პირადად არც კი ენახა თავისი სულის მესაიდუმლე და ახლა კი პირისპირ შეხვდა მას, ვინც სამნახევარი ათეული წელიწადი ქართველ ხალხს რწმენას, სასოებასა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის უნარს უნერგავდა“.[2]

ეს იყო ვაჟას პირველი და უკანასკნელი იუბილე. რამდენიმე თვის შემდეგ ვაჟა მძიმედ დაავადდა. მისმა ავადმყოფობამ დიდად შეაშფოთა ქართველი საზოგადოება. გაზეთ „სახალხო ფურცლის“ რედაქციის თანამშრომელმა რომან ბებიაშვილმა დახმარებისათვის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებებს მიმართა, პირველ

[1] იხ. გაზ. „ამირანი“, 1908 წ., № 148, გვ. 3-4.

[2] ი. იმედაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 231.

რიგში — წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, როგორც ქართველი ხალხის ყველაზე დიდ გულშემატკივარსა და მოამაგეს.

1915 წლის 23 ივლისს რ. ბებიაშვილი წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას სწერს: — „აგერ ორი თვეა მძიმედ არის ჩვენი დიდებული პოეტი ვაჟა-ფშაველა და წმ. ნინოს სახელობის ქართულ ლაზარეთში წევს. დღემდე ავადმყოფი იმდენად დასუსტებული იყო, რომ მისი ადგილიდან დაძვრა და სააგარაკოდ გაგზავნა შეუძლებელი იყო.

— ახლა კი, როგორც გადმომცა დღეს, 23 ივლისს, ექიმმა შალვა მიქელაძემ, რომელიც სხვა ქართველ ექიმებთან ერთად სწამლობს ძვირფას ავადმყოფს, პოეტი შედარებით მომჯობინებულა და შესაძლებელია მისი დაძვრა ადგილიდან. ექიმებს აუცილებელ საჭიროებად უცვნიათ დაუყოვნებლივ წაღვერში გაგზავნა ავადმყოფის. დაუყოვნებლივ გაგზავნა საჭიროა განსაკუთრებით იმიტომ, რომ შესაძლებელია ავადმყოფი კიდევ დასუსტდეს და მაშინ გვიანღა იქნება გაგზავნა.

— ექიმების რჩევით ავადმყოფი წაღვერში დაახლოებით ორ თვეს დარჩება და ამისათვის საჭირო იქნება დაახლოებით 300 მანეთი. ჩემის აზრით შესაძლებელია ეს ფული განაწილდეს ქართულ დაწესებულებათა შორის. რამდენადაც ვიცი, ფულის გაღებაზე უკვე მზად არის რამდენიმე დაწესებულება, მაგალითად:

1. ქართული საქველმოქმედო საზოგადოება — 50 მან, ან იმდენი, რამდენსაც დააკისრებს მას ქშწკგ საზოგადოების გამგეობა, რომელიც უნდა იყოს ამ საქმის მოთავე;

2. ახალი კლუბი — 50 მან., 3. „სახალხო ფურცლის“ რედაქცია — 25 მანეთი.

— თავისთავად ცხადია, ქშწკგ საზოგადოების გამგეობაც გაიღებს იმდენს, რამდენსაც შესაძლებლად დაინახავს. საჭიროა გამგეობამ სურვილი გამოსთქვას იმისა, თუ რომელმა საზოგადოებამ რამდენი გაიღოს და ყველა საზოგადოება სიამოვნებით გაიღებს თავის წვლილს. იმ საზოგადოებათა სიაში, რომელნიც ფულს გაიღებენ, შეტანილ უნდა იქნეს შემდეგი დაწესებულებანი: ქართული სიტყვაკაზმული საზოგადოება, ქართული კულტურის მოყვარულთა სა-

ზოგადოება, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება და სხვანი.

— ფული უნდა მოგროვდეს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის ხელში, რომელიც ახლავე აირჩევს ერთს, ან ორ კაცს ავადმყოფის გასაცილებლად და დასაბინავებლად წაღვერში.

— ავადმყოფი უნდა გაიგზავნოს ორ-სამ დღეში. პირველ ხანად საჭირო ფული, როგორც ვიცი, ახლავე შემოვა გამგეობაში: ახალ კლუბისაგან, „სახალხო ფურცლის" რედაქციისაგან და მგონი, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებისაგანაც".[1]

სამწუხაროდ, არც წერა-კითხვის საზოგადოებას და არც სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს აღარ დასცალდათ თავისი მზრუნველი ხელი გაეწვდინათ სნეული პოეტისათვის. ვაჟა-ფშაველა 4 დღის შემდეგ, 1915 წლის 27 ივლისს გარდაიცვალა.

იმავე დღეს, 27 ივლისს, ახალი კლუბის შენობაში ვაჟა-ფშაველას დაკრძალვასთან დაკავშირებით გაიმართა კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებების წარმომადგენელთა კრება ნინო ნაკაშიძის თავმჯდომარეობით. კრებამ მიიღო შემდეგი სახის დადგენილება:

„1. მგოსნის ცხედარი წმ. ნინოს ლაზარეთიდან ქვაშვეთის ეკლესიაში გადმოსვენებულ იქნას 28 ივნისს, 8 საათზე.

2. ვაჟა-ფშაველას სახის ნიღბის აღება მიენდოს მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს;

3. პირველი პანაშვიდი დაინიშნოს 28 ივლისს, საღამოს 7 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში და ამ პანაშვიდის გამგეობა მიენდოს შემდეგ პირთ: ნინო ნაკაშიძეს, პართენ გოთუას და სამსონ ფირცხალავას;

4. მოიწვიოს ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგაობამ ქართულ დაწესებულებათა და საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება 28 ივლისს, საღამოს 8 საათზე, ახალი კლუბის შენობაში;

5. ეცნობოს ახლავე ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების ამბავი

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1553, ფურ.I.

ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილებებსა და ზოგიერთ პირს, სახელდობრ: ბაქოში — იოსებ დადიანს, ქუთაისში — გ. ზდანოვიჩს, კავკავში — ზაქარია კიკნაძეს, ბათუმში — ევგენი კრინიცკის, სოხუმში — მარიამ ანჩაბაძეს, თელავში — ალექსანდრე ვახვახიშვილს, თიანეთში — მღვდელს ბაკურაძეს, დუშეთში — იასონ შანიძეს, სიღნაღში — ექიმ ნიკო ჯანდიერს, გორში — ნ. შიუკაშვილს და სტეფანწმინდაში — გენერალ გ. ყაზბეგს".[1]

მეორე დღეს, 28 ივლისს, ახალი კლუბის შენობაში კვლავ შეიკრიბნენ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა წარმომადგენლები. კრებას თავმჯდომარეობდა წ-კ საზოგადოების გამგეობის წევრი გიორგი ლასხიშვილი. კრებამ აირჩია ვაჟა-ფშაველას დამკრძალავი საგანგებო კომიტეტი, რომელშიც შეიდნენ ყველა ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა და დაწესებულებათა, თავადაზნაურობის, სტუდენტობისა და მუშათა წარმომადგენლები. გადაწყდა დაკრძალვა მომხდარიყო კვირას, 2 აგვისტოს, დიდუბის პანთეონში, ქართულ კულტურულ დაწესებულებათა ხარჯით, რაც დაახლოებით 500 მანეთის რაოდენობით იყო ნავარაუდევი.[2]

30 ივლისს გაიმართა ვაჟა-ფშაველას დამკრძალავი კომიტეტის პირველი სხდომა. კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი დ. ჩოლოყაშვილი, მის მოადგილედ — გ. ლასხიშვილი, ხაზინადარად — ი. ლორთქიფანიძე და მდივნად — რ. ბებიაშვილი[3].

კომიტეტმა თავის მხრივ აირჩია დამკრძალავი ბიურო, რომელშიც შეიდნენ: ვალ. გუნია, ე. ერისთავი, პ. საყვარელიძე, ს. მგალობლიშვილი, ნ. ნაკაშიძე, ი. ლორთქიფანიძე და თითო-თითო წარმომადგენელი კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებებიდან; ბიუროში შეიდნენ აგრეთვე ქართველი სტუდენტებისა და მუშების წარმომადგენლებიც.

კომიტეტის დადგენილებით, მგოსნის ცხედარი უნდა შეემკოთ მხოლოდ ერთი გვირგვინით, რომელსაც ექნებოდა წარწერა: „ვაჟა-

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1553, ფურ. 18.
[2] იქვე, ფურ. 28.
[3] იქვე, ფურ. 19.

ფშაველას ქართველი ერისაგან". თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოებას დაევალა ყვავილებით შეემკო ის გზა, სადაც პროცესია გაივლიდა. პოეტის შვილი ლევანი ჩარგალში გაიგზავნა ვაჟას ცოლ-შვილის ჩამოსაყვანად. კომიტეტის დახმარებით ქართველ სტუდენტთა წრეს ვაჟას დაკრძალვის დღისათვის უნდა გამოეცა მისი ლექსების პატარა კრებული ხალხში უფასოდ დასარიგებლად.[1]

ასეთ მზრუნველობას იჩენდნენ თვითმოქმდი საზოგადოებები თავის სახელოვან შვილთა ღირსეულად დაფასებისათვის. ქართველ ერს, რომელმაც 115 წლის წინათ დაკარგა საკუთარი სახელმწიფო და სხვისი ხელის შემყურე გახდა, თვითონვე უნდა მოეძია სახსარი ამისათვის, რადგან იმ „სხვას" სრულებითაც არ ანაღვლებდა სხვისი ჭირი.

ქართული ენისა და მართლწერის საკითხები

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება" დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული ენისა და მართლწერის საკითხების გამორკვევას. საზოგადოების მესვეურებს ღრმად სწამდათ, რომ დედაენის შენარჩუნება, მისი დაცვა ბარბარიზმებისაგან წარმოადგენდა ქართველი ხალხის ერთიანობის და ეროვნული კულტურის დაცვის აუცილებელ პირობას. ამ მიზნით 1915-1916 წლებში საზოგადოებამ გ. ჟორდანიას თაოსნობით არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელა.

— „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების" გამგეობამ ერთი ფრიად საჭირო საქმის მოწესრიგება იკისრა — წერდა ჟურნალი „განათლება" — ეს საგანი გახლავთ ქართული საერთო მართლწერის დამყარება ჩვენს მწერლობაში და გამორკვევა სხვადასხვა საგრამატიკო წესებისა".[2]

ქართული მართლწერის ზოგადი საკითხების გამორკვევას მიეძღვნა 1915 წლის 15 იანვრის კრება, რომელიც ჩატარდა დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში. კრებას ესწრებოდნენ: შ. დადიანი, დ. კარი-

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1553, ფურ. 23.

[2] ჟურნ. „განათლება", 1915 წ., №8-9, გვ. 71-72.

ჭაშვილი, პ. მირიანაშვილი, ა. ჭიჭინაძე, იპ. ვართაგავა, ვ. კარბელაშვილი, ი. იმედაშვილი, ვას. ბარნოვი და სხვ.[1] კრებაზე გაიმართა ცხარე კამათი ქართული მართლწერის ზოგად საკითხებზე, ამასთან დაკავშირებით გაზეთი „სახალხო ფურცელი" წერს:

— „ორატორებმა ბევრი ილაპარაკეს ქართული ენის დაცემაზე, ორთოგრაფიათა სხვადასხვაობაზე, იმაზე, რომ ქართული მართლწერის გამორკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს და სხვ".[2]

შ. დადიანის აზრით, საჭირო იყო მოეწვიათ ქართული ენის სპეციალისტთა ყრილობა, რომელიც გადაწყვეტდა მართლწერის სადაო საკითხებს.

კრებაზე გამოითქვა სხვადასხვა შეხედულება მართლწერის და მართლმეტყველების საკითხებზე, გრამატიკულ ნორმებზე და სხვ. დ. კარიჭაშვილის შეხედულებით ცალკე ქართული მართლწერა არ არსებობს. იგი დაკავშირებულია მართლმეტყველებასთან. — „ქართველი კაცი როგორც ლაპარაკობს, სწორედ ისე სწერს კიდეც, — ამბობდა დ. კარიჭაშვილი, — ამიტომ საკმარისია მას კარგი ლაპარაკი ვასწავლოთ, რომ მან თავისთავად კარგი წერაც ისწავლოს. მართალია, დღეს მართლმეტყველება არ არის ჩვენში: ერთი ერთნაირად ლაპარაკობს, მეორე-მეორენაირად; ამ მოვლენას ბოლო უნდა მოეღოს, უნდა აღინიშნოს სადავო კითხვები, უნდა შევთანხმდეთ, შეერთებული შრომით შევიმუშავოთ განსაზღვრული ფორმები, გავამეფოთ ისინი მწერლობაში და სასწავლებლებში".[3]

პ. მირიანაშვილის აზრით, თანამედროვე მწერლებს ჯერ საფუძვლიანად ანდა შეესწავლათ ქართველ კლასიკოსთა ენა და შემდეგ ისე შეექმნათ თავიანთი ნაწარმოებები; კარგი იქნებოდა, თუ საზოგადოება შეუდგებოდა ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებიდან ნეოლოგიზმების შეკრებას და შემდეგ მათ გამოცემას ხალხში გასავრცელებლად.

ალ. ჭიჭინაძემ გამოთქვა სურვილი, რომ „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებას" ხშირად მოეწყო ამგვარი შეკრებები

---

[1] ცსსა, ფონ. 2094, საქ. 10, ფურ. 33.

[2] გაზ. „სახალხო ფურცელი", 1915 წ., №196, გვ.3.

[3] იქვე.

ქართული მართლწერის საკითხების გამოსარკვევად და პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაედგა ამ მიმართულებით.

ი. იმედაშვილის აზრით, აუცილებელი იყო ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონების შედგენა, რომელიც დაეხმარებოდა მწერლებსა და პრესის მუშაკებს ესარგებლათ ქართული ენის მართლწერის დადგენილი ნორმებით.

ვას. ბარნოვის აზრით თავდაპირველად უნდა შეედგინათ „კულტურული საქმიანობის გეგმა" და ამის მიხედვით თანმიმდევრულად განეხორციელებინათ ეს საპასუხისმგებლო საქმე.

ს. გორგაძეს ნაადრევად მიაჩნდა ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებიდან ნეოლოგიზმების ამოკრება და მათი დაბეჭდვა, რადგან ჯერ კიდევ არ არსებობდა კლასიკოსთა შრომების არც ერთი ხეირიანი გამოცემა.

პრესის ცნობით, „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების" ამ კრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში, რაზეც მეტყველებდა ხალხმრავლობა საზოგადოების კრებებზე.[1]

იმავე წლის 25 იანვარს ჩატარდა საზოგადოების მეორე კრებაც; კრებაზე ს. გორგაძემ წამოაყენა ორი საკითხი: 1. უფლებამოსილია თუ არა კრება გადაწყვიტოს იქ წამოჭრილი საკითხები, თუ ეს უნდა მიენდოს ქართული ენის სპეციალისტთა ყრილობას; 2. არსებობს თუ არა განსხვავება ქართულ სალიტერატურო ენასა და მართლწერას შორის.

პირველი საკითხის გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს: პ. მირიანაშვილმა, მ. ყიფიანმა, ს. გორგაძემ, ივ. რატიშვილმა, დ. კასრაძემ, გრ. ყიფშიძემ, ლ. ბოცვაძემ, ალ. ჭიჭინაძემ, ივ. მაჭავარიანმა, გ. იმნაიშვილმა, მ. ჯანაშვილმა და სხვ., რის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება: „I – კრება ამ თავითვე შეუდგეს ქართულ მართლწერაზე მსჯელობას და 2. საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად მოიწვიოს ქართული ენის სპეციალისტთა ყრილობა".[2] საბჭოს თავმჯდომარემ – გ. ჟორდანიამ განაცხადა, რომ თანახმად კრებაზე გამოთქმული სურვილისა, ქართული ენის სპე-

---

[1] ჟურ. „ალდე", 1915წ., №2, გვ. 19.

[2] ცსსა, ფონ. 2094, საქ. 10, ფურ. 41.

ციალისტთა ყრილობის მოწვევას გაუძღვებოდა „ქართული კულ-ტურის მოყვარულთა საზოგადოების“ საბჭო.[1]

მეორე საკითხთან დაკავშირებით, დიდი კამათის შემდეგ, კრებამ გამოთქვა თავისი მოსაზრება: „ქართული მართლწერა იგივე მარ-თლმეტყველება არ არის; ქართული ორთოგრაფია ცალკე არსებობს, როგორც ერთ-ერთი განსაკუთრებული დარგი ქართული გრამატიკისა“.[2]

კრებამ დაადგინა, რომ ქართული გრამატიკისა და მართლწერ-ის საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად მოწვეულიყო ქართული ენის სპეციალისტთა ყრილობა.

1915 წლის 28 თებერვალს საზოგადოების საჯარო კრებაზე საბჭოს წევრმა ს. გორგაძემ გააკეთა მოხსენება თემაზე: „რა გზით შეიძლება ქართული მართლწერის მოწესრიგება“. მომხსენებლის აზრით, ამისათვის სავალდებულო იყო შემდეგი სამი პრინციპის დაცვა: 1. სალიტერატურო ენის ბაზისი — ფონეტიკაა; 2. ვიდრე ფონეტიკა ჯერ კიდევ შეუსწავლელია, უნდა ვეცადოთ არ შევასუს-ტოთ კავშირი თანამედროვე ფონეტიკასა და კანონზომიერ ფორმებს შორის; 3. იმ შემთხვევაში, როცა ახალ ფორმებს ძველებში არა აქვთ ანალოგია, უპირატესობა მიეცეს შერეულ ფორმებს“.[3]

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: კორ. კეკელიძემ, მ. ყიფშიძემ, გერ. იმნაიშვილმა, დ. კარიჭაშვილმა, პ. მირიანაშვილმა, იპ. ვართაგავამ, ალ. ჭიჭინაძემ და სხვ., რის შემდეგ კრებამ მიიღო გადაწყვეტილება: ქართული გრამატიკის სა-დავო საკითხების გამოსარკვევად „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ საბჭოსთან შექმნილიყო სპეციალური კომისიები („საგრამატიკო“ და „ქართული ენის ლექსიკონის შემდგენელი“), რომლებიც შეიმუშავებდნენ მომავალი მუშაობის გეგმას. ივ. მაჭა-ვარიანის წინადადებით, კრებამ სურვილი გამოთქვა კომისიებს ემუშა-ვათ საჯაროდ, ფართო საზოგადოების მონაწილეობით.[4]

1915 წლის 9 მარტს აირჩიეს საგრამატიკო და ლექსიკონის

---

[1] ცსსა, ფონ. 2094, საქ. 10, ფურ. 41.
[2] იქვე.
[3] იქვე, ფურ. 49.
[4] იქვე.

შემდგენელი კომისიები. პირველ კომისიაში შეეიდნენ: ივ. მაჭავარიანი, პ. მირიანაშვილი, ს. გორგაძე, კორ. კეკელიძე, თ. ჟორდანია, გრ. ყიფშიძე და დ. კარიჭაშვილი, მეორეში — იპ. ვართაგავა, იუს. აბულაძე, გ. ყიფიანი, დ. კარიჭაშვილი და მ. ჯანაშვილი.[1]

იმავე წლის 11 აპრილს საზოგადოების საჯარო კრებამ ქართული ენის გრამატიკიდან განიხილა შემდეგი საკითხები: 1. ბრუნვათა შეთანხმება, 2. არსებითი სახელის დამოკიდებულება ზედსართავთან, 3. პრეფიქსი „სა“ და სუფიქსი „ური“, 4. თანდებულები „უ“ და „თვინიერი“, 5. ნაცვალსახელთა ხმარება, 6. კავშირები: „რომ“, „რათა“. 7. შემასმენელთა სართები: „ო“. „მეთქი“, „თქო“, 8. კავშირები: „თუმცა“, „რადგანაც“ და მათი ურთიერთობა მთავარ წინადადებასთან, 9. ადგილის გარემოებისა და ზმნის პრეფიქსის ურთიერთობა.

6 მაისს საზოგადოების საჯარო სხდომაზე საინტერესო მოხსენება თემაზე: „ქართული მართლწერა ქართულ სკოლასა და მწერლობაში“ წაიკითხა მ. კელენჯერიძემ. შესავალ ნაწილში დახასიათებული იყო მართლწერისა და მართლმეტყველების მძიმე მდგომარეობა იმდროინდელ ქართულ მწერლობასა და სკოლებში. მოხსენების ძირითადი ნაწილი ეთმობოდა ისეთი საკითხების გამორკვევას, როგორიცაა: მიცემითი ბრუნვის ხმარება ენებით ბრუნვაში — ად, ოდ, ედთუ ათ, ოთ, ეთ? სიტყვები: „გამეგრძელებინა“ თუ „გამეგრძელებია“ და სხვ. მ. კელენჯერიძის წინადადებით საჭირო იყო გადაედგათ შემდეგი პრაქტიკული ნაბიჯები: 1. ეროვნული სკოლის შექმნა, 2. სიფრთხილის დაცვა წერა-ლაპარაკის დროს, 3. ქართული ენის მასწავლებელთა კრებების მოწვევა, 4. სპეციალური საგრამატიკო კომისიის შექმნა, 5. ზოგადი გრამატიკის შედგენა და მისი გამოყენება.[2]

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს და თავისი აზრი გამოთქვეს: დ. კარიჭაშვილმა, მ. ყიფიანმა, ლ. ბოცვაძემ, ალ. ჭიჭინაძემ და სხვ. მათი აზრით, საჭირო იყო, რომ „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებას“ ხშირად მოეწვია იმგვარი კრებები, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მართლწერის ზო-

---

[1] ცსსა, ფონ. 2094, საქ. 10, ფურ. 53; გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915წ., №194, გვ. 3.

[2] ჟურ. „განათლება“, 1915წ., №10, გვ. 41-42.

გიერთი საკითხის დადგენა და შემდეგ პრესის საშუალებით მათი გაცნობა საზოგადოებისათვის.[1]

— „ფრიად საინტერესო და ნაყოფიერი იყო ამ პირველი ნახევარი წლის მუშაობა „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებისა" — წერდა გაზეთი „საქართველო" 1915 წელს, — ამიტომაც საზოგადოება მრავლად ესწრებოდა მის კრებებს. ჩანს, რომ ხალხი ერთგვარი ხალისითა და თანაგრძნობით ეკიდება ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხებს, რომელნიც ამ საზოგადოებაში იყო წამოყენებული და გარჩეული. ყველასათვის ცხადია მნიშვნელობა ამ საზოგადოებისა, მაგრამ ზოგიერთის აზრით, ასე როდი ყოფილა".[2]

ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი არ თანაუგრძნობდა „კულტურის მოყვარულთა საზოგადოების" მუშაობას გრამატიკისა და მართლწერის საკითხებზე მაშინ, როცა მიმდინარეობდა მსოფლიო ომი და ქართველი ახალგაზრდობა სისხლს ღვრიდა, საზოგადოებას კი „საგრამატიკო ბრძოლა" ჰქონდა გამართული. მიუხედავად ამისა, ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი, პირიქით, ამგვარ საქმიანობას დროულად მიიჩნევდა. გაზეთი „საქართველო" წერს: — „დღეს-ხვალ მოელის გაფართოება ქართული ენის პროგრამას, უდროოა ენის წესების შესახებ მსჯელობა? ჩვენ ხომ უნდა გვქონდეს მშობლიური ენით დაწერილი საბავშვო და სახალხო საკითხავი წიგნები, სკოლისათვის საჭირო სახელმძღვანელო, სამეცნიერო ლიტერატურა. უეჭველად და აუცილებლად საჭიროა წესების დაკანონება, ეს კი ყოვლად შეუძლებელია, თუ მცოდნე და დაინტერესებული ხალხი არ შეიყარა, თავიანთი აზრები ერთმანეთს არ გაუზიარეს და ენის წესების დაკანონებისათვის არ „იბრძოლეს". საჭიროა ჩვენმა საზოგადოებამ ახლავე მეტი ყურადღება მიაპყროს და რაც შეიძლება ჩქარა შეიმუშავოს ჩვენი ენის წესები. ეს დიდი ეროვნული საქმეა — ენის წესების დამკვიდრება".[3]

1916 წლის 24 იანვარს ჰ. მირიანაშვილის წინადადების საფუძველზე საზოგადოების საბჭომ ივ. რატიშვილს დაავალა ხელმძღვ-

---

[1] ჟურ. „განათლება", 1915წ., №10, გვ. 41-42.
გაზ. „საქართველო", 1915 წ., №5, გვ. 3.
[3] იქვე.

ანელობა გაეწია ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებიდან სილოგიზმების ამოკრეფისათვის; ამომკრეფლებს დაენიშნათ ჰონორარი (დაბეჭდილ სტრიქონში I კაპიკი), ამასთან, ქართული ენის მასწავლებლებს ამ საქმეში მონაწილეობა მოსწავლეებისათვისაც უნდა ეთხოვათ.[1]

საზოგადოების საბჭოს აზრით, ქართული ენის მართლწერის ნორმების დადგენას ხელს შეუწყობდა ერთიანი სალიტერატურო ენისა და ქართული მართლწერის ნორმების დაცვა, რაც ხშირად ირღვეოდა ზოგიერთი მაშინდელი მწერლისა და პრესის მუშაკის მიერ. 1915 წლის 18 იანვარს კრებაზე გამოითქვა აზრი, რომ სასურველია ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციაში ემუშავათ ქართული ენის მცოდნე, ეროვნულ მწერლობაზე აღზრდილ მუშაკებს ქართული ენის სიწმინდის დასაცავად; ამიტომ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს უნდა ჰყოლოდათ სტილისტები, რომლებსაც რედაქტორებთან ერთად პერიოდულად ჩაუტარდებოდათ კონსულტაციები ქართული ენის ტერმინების დასადგენად.[2]

ქართული ენის სპეციალისტთა ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით საზოგადოების საბჭომ დაიწყო „საგრამატიკო ფონდის" შექმნა. ამ საქმეში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, სათავადაზნაურო დეპუტუტთა საკრებულომ, კერძო პირებმა და სხვ., მაგრამ, 1917 წლის პოლიტიკური ვითარების გამო, განზრახული ყრილობის მოწვევა ვერ მოხერხდა.

1915 წელს სალექსიკონო კომისიამ გამოსცა პ. მირიანაშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი — „გახსოვდეს წერა-ლაპარაკის დროს"! (ქართული გრამატიკის წესები);[3] ამასთან ერთად გამოქვეყნდა მ. ყიფიანის ვრცელი გამოკვლევა — „ქართული გრამატიკის საფუძვლები" (რუსულ ენაზე),[4] რომელსაც საფუძვლად დაედო „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების" კრებებზე განხილული ქართული ენის გრამატიკისა და მართლწერის საკითხები.

---

[1] ცსსა, ფონ. 2094, საქ.10, ფურ. 102.

[2] იქვე, ფურ. 47.

[3] იქვე.

[4] პ. მირიანაშვილი, გახსოვდეს წერა-ლაპარაკის დროს (ქართული გრამატიკის წესები), თბ, 1915წ.

ეთნოგრაფიისა და ხალხური სიტყვიერების საკითხები

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“ დიდ ინტერესს იჩენდა ქართველი ხალხის ადათ-წესების, ზნე-ჩვეულებების, ყოფა-ცხოვრების მეცნიერული შესწავლისადმი. ჯერ კიდევ მოსკოვში „ი. ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულთა წრის“ წევრები დაინტერესებული იყვნენ ამ საკითხებით და წრის სხდომებზე ხშირად გამოჰქონდათ ამგვარი ხასიათის მოხსენებები და რეფერატები. პირველი მოხსენება წრეში გააკეთა გ. ჟორდანიამ. მოხსენებაში მოცემული იყო „რუსკაია პრავდას“ და ვახტანგ VI კანონების შედარებითი ანალიზი.[1]

გიორგი ჟორდანია თავის ეთნოგრაფიულ გამოკვლევებსა და საგაზეთო სტატიებში არაერთხელ მიუთითებდა ხალხური ადათ-წესების, ფოლკლორის, ხალხური მუსიკის ნიმუშების შეგროვების საჭიროებაზე და მათ დიდ მეცნიერულ მნიშვნელობაზე: 1911 წელს „სახალხო გაზეთში“ იგი წერს: — „რამდენი რამ იკარგება, ნელ-ნელა ისპობა, ჰქრება, მარტო იმიტომ, რომ საკმარისი ყურადღება არა აქვს მიქცეული, მკვლევარი არა ჰყავს, ხელს არავინ ჰკიდებს. ჩვენს ირგვლივ უხვად მოიპოვება ძვირფასი მასალა, საკმარისია ოდნავ ხელის განძრევა მის მოსაპოვებლად, მაგრამ ჩვენ ხელის განძრევა გვეზარება“.[2]

გ. ჟორდანიას ამ საქმეში საკმარისად არ ეჩვენებოდა მხოლოდ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობა; მისი აზრით საჭირო იყო კერძო მკვლევართა გაერთიანება, ერთი საერთო პროგრამის შემუშავება და ამის საფუძველზე შრომის განაწილება; კარგი იქნებოდა თუ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება სპეციალურ კომისიას შექმნიდა ხალხურ ზნე-ჩვეულებათა და ფოლკლორის შესაკრებად და მასში სოფლის მასწავლებლებსაც ჩართავდა.[3]

1915-1916 წლებში „ქართული კულტურის მოყვარულთა სა-

---

[1] ცსსა. ფონ. 2094, საქ. 2, ფურ.18.
„სახალხო გაზეთი“, 1911წ., №517, გვ. 3.
[3] იქვე.

ზოგადოებასთან“ მუშაობდა ეთნოგრაფიული სექცია თედო ჟორდანიას ხელმძღვანელობით. სექციას ევალებოდა ხალხური ადათ-ჩვეულებებისა და ზეპირსიტყვაობის (ანდაზები, გამოცანები, ხატოვანი თქმები, ხალხური ლექსები და სხვ.) შეკრება-შესწავლა, ხოლო შემდეგ, მოხსენებებისა და რეფერატების, ან სპეციალური გამოცემების საშუალებით, მათი ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა.

საზოგადოების საჯარო კრებებზე ხშირად იკითხებოდა საინტერესო შინაარსის ეთნოგრაფიული მოხსენებები: გ. ჟორდანიას — „ქორწინება სამეგრელოში“, „სისხლის აღება და გასამართლება სვანეთში“, „ხალხი და მისი ადათ-ჩვეულებანი“, ნიკ. ნათაძის — „ზოგიერთი ადათ-ჩვეულებანი ქიზიყ-კახეთში“, პ. კიზირიას — „სისხლის სამართლის კანონმდებლობა საქართველოში მეფე ვახტანგ მეექვსის კანონთა კრებულის მიხედვით“[1] და სხვ.

1915 წლის 4 აპრილს თავადაზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში გ. ჟორდანიამ წაიკითხა საინტერესო მოხსენება თემაზე: „ქართლის საქორწინო ადათები, როგორც საისტორიო-სასოციოლოგო მასალა“. გ. ჟორდანიას ამ თემისათვის მასალები შეგროვილი ჰქონდა ქართლის სოფლებში. მოხსენებაში ქართლის ადათების მიხედვით გარჩეული იყო მთელი საქორწილო პროცესი (ქალის ნახვა, მორიგება, დაბევება, ნიშნობა, ქორწილი, ფეხის ბრუნვა). ამასთან, გადმოცემული იყო ქორწილის უშუალო მონაწილეთა (ნეფე, დედოფალი, სიდედრი, სიმამრი, დედოფლის ძმა, ეჯიბი, მეჯვარე და სხვ) უფლება-მოვალეობანი.

მოხსენების შესახებ აზრი გამოთქვეს „კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ წევრებმა: კ. ყიფიანმა, პ. მირიანაშვილმა, ივ. ავალიშვილმა, ი. გრიშაშვილმა, დომინიკა ერისთავმა (განდეგილმა), მ. ყიფიანმა, გერ. იმნაიშვილმა, გრ. ყიფშიძემ და სხვ. — „საერთოდ ყველამ აღნიშნა, — წერდა „სახალხო ფურცელი, — რომ მოხსენება გიორგი ჟორდანიასი დიდი ყურადღების ღირსია, ამიტომ დამსწრეებმა მადლობა გადაუხადეს მომხსენებელს სასარგებლო ნაშრომისათვის“[2].

---

[1] ცსსა, ფონ. 2094, საქ. 10, ფურ. 134.

[2] გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915წ., №251, გვ. 4.

გ. ჟორდანიას ზემოხსენებულმა მოხსენებამ ქართველ საზოგადოებაში დიდი ინტერესი აღძრა ქართული ადათ-წესების მეცნიერული შესწავლისადმი.

იმავე წლის 18 აპრილს გ. ჟორდანიამ წაიკითხა მეორე საინტერესო მოხსენებაც თემაზე: „ხალხური სამართალი ქართლში", რომელსაც დიდძალი ხალხი ესწრებოდა; გ. ჟორდანიას აზრით, ხალხურ სამართალს განსაზღვრავდა ის სოციალურ-ეკონომიკური გარემო, რომელშიაც იგი იყო შექმნილი. მოხსენებაში ნაჩვენები იყო, თუ როგორ ირღვეოდა დროთა ვითარებაში ხალხური სამართალი. ამის მიზეზად ასახელებდა: ქალაქის ზეგავლენას სოფელზე, სოფლის ადმინისტრაციის ჩარევას „ხალხურ სამართალში" და სხვა ფაქტორებს. მოხსენება დასაბუთებული იყო სოფლის ცხოვრებიდან მოტანილი ფაქტობრივი მასალით. მაგალითად, როგორ ხდებოდა ქართლის სოფლებში დამნაშავის გასამართლება ხალხური სამართლის მიხედვით, განმარტებული იყო ხალხური სამართლის სახეები (სამედიატორო სამართალი, ხატზე გადაცემა, ჩაქოლვა, ვირზე შესმა, გამურვა და ა.შ.)[1]

ყურადღებას იმსახურებს გ. ჟორდანიას სხვა ეთნოგრაფიული შინაარსის გამოკვლევებიც, კერძოდ, „ხალხური ადათ-ჩვეულებანი, მათი მეცნიერული და სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა და მეთოდები მათი შესწავლისა". ეს მოხსენება გ. ჟორდანიამ წაიკითხა თბილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა ყრილობის დელეგატების პატივსაცემად გამართულ კრებაზე, რომელიც „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ" მოაწყო 1916 წლის 10 ივნისს. კრებას 150-ზე მეტი სახალხო მასწავლებელი ესწრებოდა.

გ. ჟორდანიას ამ მოხსენების შესახებ გაზეთი „საქართველო" წერს: „მწყობრ ლოგიკურად დალაგებულმა და მეცნიერულად დასაბუთებულმა აზრებმა, გადმოცემულმა მოკლედ, ცხადის და ალაგას მხატვრული ენით, ზოგიერთ სამაგალითოდ მოყვანილ ადათ-ჩვეულების გონებამახვილმა ახსნა-განმარტებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს მსმენელებზე და გამოიწვიეს მათში ცოცხალი ინტერესი".[2]

---

[1] ცსსა, ფონ. 1813, საქ. 253, ფურ. 1-6.

[2] გაზ. „საქართველო", 1916წ. №137, გვ. 2.

მოხსენების ირგვლივ კამათი ძირითადად ერთი მიმართულებით წარიმართა — სასარგებლოა თუ არა პრაქტიკულად ძველი ადათ-წესების შენახვა ხალხის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით. ამ საკითხებზე პედაგოგების მიერ გამოითქვა ბევრი საყურადღებო მოსაზრება და შეხედულება; პედაგოგ დავითაშვილის აზრით, არ არის სასურველი იმგვარი ადათ-ჩვეულების შემონახვა, როგორიცაა: მკითხავთან წასვლა, ავადმყოფის ეკლესიაში წაყვანა განკურნების მიზნით, ალთქმის დადება და სხვ. მისი აზრით ამგვარი ჩვევები, გარდა იმისა, რომ მატერიალურ ზიანს აყენებენ მორწმუნეებს, საფრთხესაც უქმნიან ავადმყოფის სიცოცხლეს, ამიტომ საზოგადოების შეგნებულმა ნაწილმა ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ამ მავნე ჩვევებს. პედაგოგებმა გამოთქვეს თავიანთი აზრი ქორწილის, ქელეხის და სხვა ტრადიციების შესახებ.[1]

გ. ჟორდანიას გარდა, კრებაზე მოხსენებით გამოვიდა მწერალი სვ. ქვარიანი („საქართველოს ისტორიის ზოგადი მიმოხილვა)[2]. მოხსენებაში განხილული იყო ქართველი ხალხის ისტორიული წარსული მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

კრება გაგრძელდა მეორე დღესაც. მოხსენება მცხეთის სიძველეთა შესახებ გააკეთა ისტორიკოსმა მოსე ჯანაშვილმა. მოხსენების შემდეგ მოეწყო ექსკურსია მცხეთაში, რომელშიც თბილისიდან მონაწილეობდა 100-ზე მეტი სახალხო მასწავლებელი, შემდეგ მათ შეუერთდა გორიდან საგანგებოდ ჩამოსულ მასწავლებელთა დიდი ჯგუფი. ექსკურსიის მიზანს შეადგენდა მცხეთის ისტორიული ძეგლების მდგომარეობის გაცნობა. პედაგოგებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ყოველი ღონე ეხმარათ საქართველოს ისტორიული ძეგლების დასაცავად და მათ გადასარჩენად.

1916 წლის 19 თებერვალს „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ" ხარფუხის კლუბში გამართა საღამო, რომელიც მიეძღვნა თემას: „მოშაირე-მესტვირეები ძველ საქართველოში". ამ თემაზე ლექცია წაიკითხა ენათმეცნიერმა და ლიტერატურათმცოდ-

---

[1] ცსსა, ფონ. 2094, საქ. 10. ფურ. 31; გაზ. „საქართველო", 1916წ. №133, №138.
[2] იქვე.

ნემ კოტე დოდაშვილმა. ამ დროისათვის მას გამოქვეყნებული ჰქონდა რამოდენიმე წერილი, რომელიც ეხებოდა ქართული გრამატიკისა და ლექსთწყობის საკითხებს („ქართული ლექსთწყობა", „საგრამატიკო კვლევა", „ივერიულის ფონეტიკისათვის" და სხვ.)

ლექციაში ფართოდ იყო განმარტებული სიმღერა-გალობის, ხალხური მუსიკისა და ცეკვის მნიშვნელობა ძველ საქართველოში. როგორც კ. დოდაშვილმა აღნიშნა, სიმღერა-გალობა და მუსიკა საქართველოში გავრცელებული ყოფილა ჯერ კიდევ კერპთაყვანისმცემლობის დროიდან. სიმღერა-გალობასთან ერთად ვითარდებოდა შაირიც. შაირს ხალხში მოგზაური-მესტვირეები ავრცელებდნენ. კ. დოდაშვილის აზრით, შაირი წარმოადგენს ტონური ლექსთწყობის ერთ-ერთ სახეს და იგი ყველაზე მეტად შეესაბამება ქართული ენის ბუნებას, რასაც ადასტურებს ქართული ჰეგზამეტრის, სილაბური და ტონური ლექსების მაგალითები და მათი ურთიერთშედარება.

კ. დოდაშვილის მიხედვით შაირი თავდაპირველად გაჩნდა ხალხურ პოეზიაში და შემდეგ გადავიდა სასულიერო და საერო მწერლობაში. მოშაირე-მესტვირე ვინმე ძაგნაკორელმა, რომელიც დუშეთის მახლობლად ცხოვრობდა, შექმნა ლექსთწყობის ახალი სახე — „ძაგნაკორული", რომლითაც შემდეგში სარგებლობდნენ შავთელი, შ. რუსთაველი და სხვები. კ. დოდაშვილის აზრით, მოშაირე-მესტვირეებმა დიდი სამსახური გაუწიეს ქართველ ერს, მათი საშუალებით ფართოდ გავრცელდა ხალხში „ვეფხისტყაოსანი", რომელიც ხალხმა ისე შეისისხლხორცა, რომ შემდეგში შექმნა თავისი საკუთარი, ხალხური „ვეფხისტყაოსანი". როგორც კ. დოდაშვილი ამბობდა, „მოშაირე-მესტვირეები კიდით-კიდემდე უვლიდნენ ფეხით ტანჯულ საქართველოს — ყველგან დამღერიდნენ სტვირზე ტკბილ რუსთველურს და ამით ხელს უწყობდნენ დიდ ტანჯვა-ვაებაში მყოფ ხალხს ჩვენამდე მოეტანა შეუბღალავად მე-12 საუკუნის პოეტური აღმაფრენით შექმნილი საუნჯე, ჩვენი სიამაყე".[1]

ლექციის შემდეგ კ. დოდაშვილის დირიჟორობით სიმფონიურმა ორკესტრმა შეასრულა მე-12-13 საუკუნეების ძველი ქართული მუსიკის

---

[1] ცსსა, ფონ. 2094, საქ.10, ფურ. 31.

ნიმუშები. მსახიობებმა წაიკითხეს ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“.[1]

1916 წლის 17 აპრილის „ქართული კულტურის მოყვარულთა“ საზოგადოების საბჭოს სხდომაზე გამოითქვა აზრი — საზოგადოებას რაიმე ღონე ეხმარა ტრაპიზონის მახლობლად მდებარე ძველი ქართული მონასტრის უძველესი ქართული ხელნაწერების გადასარჩენად, რომელთაც თურქეთთან ომის გამო განადგურების საფრთხე ემუქრებოდათ. გ. ჟორდანიამ მოახსენა საბჭოს, რომ მას ხელთ ჰქონდა უტყუარი ცნობები ამ მონასტერში ქართული ხელნაწერების არსებობის შესახებ. საბჭოს გადაწყვეტილებით საკითხის გამორკვევა მიენდო „საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას“, როგორც ამ საქმეში უფრო კომპეტენტურ ორგანიზაციას.[2]

თეატრი და მუსიკა

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“, თავისი მიზნების შესაბამისად, ცხადია, გვერდს ვერ აუვლიდა თეატრს და თეატრალურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებს. საზოგადოება ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყველა იმ საქმეში, რაც მაშინდელ თეატრის სახელთან იყო დაკავშირებული: აცნობდა ფართო საზოგადოებას ქართული თეატრის ისტორიას, მონაწილეობდა თეატრალური ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა იუბილეებსა და ხსოვნის აღსანიშნავ ღონისძიებებში, მსჯელობდა ქართული თეატრის მომავალზე და ა.შ.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ დაარსებიდან ორი წლის შემდეგ ქართული თეატრის შენობა დაიწვა და მსახიობთა დასი ღია ცის ქვეშ დარჩა. „კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ“ ფართო საზოგადოების წინაშე ერთ-ერთმა პირველთაგანმა დააყენა ახალი სათეატრო შენობის საკითხი და ეს საქმე საერთო ეროვნულ საქმედ გამოაცხადა. საზოგადოების საბჭოს წევრებმა გ. ჟორდანიას თაოსნობით აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1914 წლის 5 ოქტომბერს თბილისის თავადაზნაურთა წინამძღოლის

---

[1] ცსსა, ფონ. 2094, საქ.10, ფურ. 31.

[2] იქვე, ფურ. 32.

კ. აბხაზის მიერ მოწვეულ კრებაში, რომელსაც რაიმე საშუალება უნდა გამოეძებნა თეატრის ახალი შენობის ასაგებად.[1]

1915 წლის ოქტომბრის დასაწყისში გ. ჟორდანიამ სპეციალური კერძო თათბირი მოიწვია ქართული თეატრის საკითხთან დაკავშირებით. თათბირს ესწრებოდნენ ცნობილი რეჟისორები და მსახიობები, თეატრის გულშემატკივრები: ვლ. მესხიშვილი, ვალ. გუნია, ალ. ახმეტელი, იოს. იმედაშვილი, ვას. აბაშიძე და სხვ. თათბირზე გადაწყდა, უახლოეს მომავალში ფართო მსჯელობის საგნად გაეხადათ თეატრის შენობის საკითხი.

1915 წლის 15 ოქტომბრის საჯარო კრება მიეძღვნა ქართულ თეატრს. მოხსენება — „ქართული თეატრის სასურველი სახე" წაიკითხა ცნობილმა რეჟისორმა და მსახიობმა ალ. ახმეტელმა. მოხსენებამ დამსწრე საზოგადოებაში ცხოველი ინტერესი გამოიწვია. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ი. იმედაშვილმა, შ. მესხიშვილმა, მ. თოიძემ, ნ. ჩხიკვაძემ, დ. ხართიშვილმა და სხვ.[2]

კრების გადაწყვეტილება საზოგადოების ოქმებში დაფიქსირებული არ არის. ფაქტია, რომ „კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ" ფართო მსჯელობის საგნად აქცია უთეატროდ დარჩენილი ქართველი მსახიობის ბედი და დააყენა საკითხი ახალი სათეატრო შენობის საჭიროების შესახებ.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების" ღრმა პატივისცემას თეატრალური კულტურისადმი გამოხატავს ის ფაქტიც, რომ საზოგადოების საპატიო და ნამდვილ წევრებად ითვლებოდნენ ქართული თეატრის გამოჩენილი მოღვაწენი: ალ. მესხიშვილი, ვ. აბაშიძე. ელ. ჩერქეზიშვილი, ვალ. გუნია, ალ. წუწუნავა, ალ. ახმეტელი, კ. მარჯანიშვილი და სხვ.[3], რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოების მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში; საზოგადოების საპატიო წევრებად არჩეულ იყვნენ რუსული თეატრალური ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებიც: ალ. სუმბათაშვილ-იუჟინი, ი. იაბლოჩკინა, ე. გოგოლევა, სერ. იუდინი,

---

[1] იხ. გაზ. „თემი", 1914 წ., № 183, გვ. 3.
ცსსა, ფონ. 2094, საქ. 10, ფურ.133.

[3] იქვე.

ვს. აქსიონოვი და სხვ. საზოგადოების საარქივო ფონდის მასალებში შემონახულია ზოგიერთი მათგანის პირადი წერილები საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარის გ. ჟორდანიასადმი. ამ წერილებში ისინი გამოხატავენ თავიანთ ღრმა პატივისცემას „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებისა" და მისი თავმჯდომარისადმი და გამოთქვამენ სურვილს საზოგადოების სასარგებლოდ მუშაობის შესახებ. ნიმუშისათვის მოგვყავს მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობის ს. იუდინის წერილი გ. ჟორდანიასადმი მისი საზოგადოების საპატიო წევრად არჩევასთან დაკავშირებით. ს. იუდინი წერს: „Глубокоуважаемый Георгий Федорович, обращаюсь к Вам как к председателю Правления О-ва Любителей Грузинской культуры, приношу свою глубокую благодарность за честь избрания меня пожизненным членом О-ва и выражаю полную готовность по мере сил служить целям Общества".[1]

საყურადღებოა, რომ შემდგომ წლებში მოსკოვის აკადემიური მცირე თეატრის მსახიობები: ა. იაბლოჩკინა, ე. გოგოლევა, ვს. აქსიონოვი, ვ. რიჟკოვი და სხვ. პირადად მონაწილეობდნენ „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების" მიერ ჯერ მოსკოვში, შემდეგ თბილისში გამართულ არაერთ კულტურულ ღონისძიებაში.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან თანდათან ვითარდება ქართული მუსიკალური კულტურა. მე-19 საუკუნის 70-80-იანი წლების გამოჩენილი ქართველი მუსიკოსების ხ. სავანელისა და ლ. აღნიაშვილის მიერ წამოწყებულმა საქმემ მე-20 საუკუნეში ხორცი შეისხა. ქართულ ხალხურ მუსიკას მრავალი მოჭირნახულე გამოუჩნდა. ამ მხრივ დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1905 წლის „ქართული ფილარმონიული საზოგადოების" დაარსება, რომელიც ენერგიას არ იშურებდა ეროვნული მუსიკის მოვლა-პატრონობისა და მისი პოპულარიზაციისათვის, ამასთან, თანდათანობით გზას უკაფავდა ქართულ ორიგინალურ ოპერასაც.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ" გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული ხალხური მუსიკის განვითარების

---

[1] ცსსა, ფონ. 2094, საქ. 10. ფურ. 134.

საქმეში. საზოგადოების საბჭოს წევრის, პ. მირიანაშვილის გადმოცემით, „საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა ქართული ეროვნული გუნდი პაჭკორიას ლოტბარობით“.[1]

საზოგადოება დაეხმარა სანდრო და მიხეილ კავსაძეებს ხალხური სიმღერების გუნდის შექმნაში, რასაც ადასტურებს მათი მემკვიდრე ლადო კავსაძეც. მეფის ხელისუფლების დროს მსგავსი რამ პოლიტიკურად არასაიმედობის მაჩვენებლად ითვლებოდა, რის გამოც ამ საქმეს ბევრი ერიდებოდა. ამასთან დაკავშირებით ლ. კავსაძე წერს: „... ვიცი ისიც, რომ გ. ჟორდანია ფონოგრაფით აგროვებდა ხალხურ სიმღერებს თავისი ხარჯით, განსვენებული მამამისის, ისტორიკოს თედო ჟორდანიას მიერ შედგენილი ფირფიტების კოლექციის შესავსებად“.[2]

კომპოზიტორი მ. ბალანჩივაძე გ. ჟორდანიასადმი მიმართულ ერთ-ერთ წერილში წერს: „სწორედ 50 წლის წინათ მამათქვენი თედორე დავითის ძე, ცნობილი ისტორიკოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, რომელთანაც მე ფრიად კეთილი განწყობილება მქონდა, დიდი აღფრთოვანებით მიეგება ჩემს პირველ გამოსვლას სამუსიკო ასპარეზზე. შემდეგ თვით მამათქვენი შეუდგა ხალხური სიმღერების შეგროვებას ფონოგრაფის საშუალებით, თავისი ხარჯით, ყოველივე საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი დახმარების გარეშე. ბოლოს ვიცი, რომ თქვენც შველოდით მამათქვენს ქართული სიმღერების ფირფიტების კოლექციის შედგენაში და როგორც საზოგადო მოღვაწემ, სავსებით შეითვისეთ სახელოვანი მამის ტრადიციები: ხალხური შემოქმედების ნაშთების შეგროვება-შესწავლა, მათი დაცვისათვის ზრუნვა, ეროვნული შემოქმედების ყველა დარგის მუშაკთა შეძლებისდაგვარად ხელის შეწყობა და სხვ. მამის გარდაცვალების შემდეგ კი დამოუკიდებლად განაგრძობდით ამ დიდ საქმეს“.[3]

სამწუხაროდ, თედო და გიორგი ჟორდანიების მიერ ფონოგრაფზე ჩაწერილმა ქართული ხალხური სიტყვიერებისა და სიმღერების

---

[1] ცსსა, ფონ. 1813, საქ. 387, ფურ. 1-4.
[2] იგივე ფონდი, საქ. 385, ფურ. 1-3.
[3] იგივე ფონდი, საქ. 391, ფურ.I.

ნიმუშებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. ისინი, ისე როგორც ბევრი სხვა ისტორიული საბუთი, განადგურდა ბოლშევიკი-ჩეკისტების მიერ ჟორდანიების ბინის გაჩხრეკის დროს.

საზოგადოებამ დიდი ამაგი დასდო ქართული ეროვნული მუსიკის განვითარების საქმეს. პ. მირიანაშვილის გადმოცემით „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებაში" ჩაეყარა საფუძველი ეროვნულ ოპერას. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: „აქ იყო ჩემს მიერ პირველად საჯაროდ წაკითხული ოპერა „აბესალომ და ეთერის" ლიბრეტო, ხოლო განსვენებული კომპოზიტორის ზაქ. ფალიაშვილის მიერ შესრულებული ნაწყვეტები ამ ოპერიდან. შემდეგ საზოგადოებამ დიდი ენერგია დახარჯა „აბესალომ და ეთერის" სცენაზე დადგმის საქმის მოსაგვარებლად. რადგანაც რევოლუციამდე ეს სახელმწიფო სცენაზე ვერ მოხერხდა, ვემზადებოდით ოპერის კერძო ინიციატივით დასადგმელად. საზოგადოების ეს მუშაობა შეჩერებულ იქნა მხოლოდ რევოლუციის შემდეგ, ოპერის სახელმწიფო სცენაზე მიღების გამო.[1]

საზოგადოება დიდ დახმარებას უწევდა კომპოზიტორ კ. მეღვინეთუხუცესს ოპერა „ამირანის" დაწერისას. ნაწყვეტები ამ ოპერიდან რამდენჯერმე იქნა შესრულებული საზოგადოების საჯარო კრებებზე".[2]

სამწუხაროდ, „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების" მიერ ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის ამსახველი სხვა დოკუმენტური მასალა ჩვენამდის არ შემონახულა.

აღსანიშნავია, რომ „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების" საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩაბმული გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორები: ზ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი, მ. ბალანჩივაძე, კ. მეღვინეთუხუცესი, ი. კარგარეთელი და სხვები, რაც მიუთითებს საზოგადოების მიზნებისა და ამოცანებისადმი მათ დიდ თანაგრძნობაზე.

---

[1] ცსსა, ფონ. 1813, საქ. 387, ფურ. 1-4.

[2] იქვე.

ქართული კულტურის პოპულარიზაცია

როგორც უკვე ითქვა, ქართული კულტურის პოპულარიზაცია, კერძოდ, რუსეთის საზოგადოებისათვის მისი გაცნობა, შეადგენდა „კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ ერთ-ერთ მთავარ მიზანს. ჯერ კიდევ „ილია ჭავჭავაძის წრემ“ მოსკოვში არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელა ამ მიმართულებით 1907-1914 წლებში, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

1913 წლის 21 ივნისს ქართულ თეატრში „კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ“ ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით საჯარო კრება მიუძღვნა იმხანად თბილისში მყოფ რუსეთის ბუნებისმეტყველთა და ექიმთა მე-13 ყრილობის დელეგატებს.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა გ. ჟორდანია, რომელმაც ეთნოგრაფიისა და ლინგვისტიკის ქვესექციებისა და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების გაერთიანებულ სხდომაზე წაიკითხა საყურადღებო მოხსენება თემაზე: „ქართლის საქორწილო ადათები, როგორც მასალა ეთნოლოგიური კვლევისათვის“. მოხსენება დაიბეჭდა ყრილობის მასალებში.

კრებას საზოგადოების 2000-ზე მეტი წევრი და გარეშე პირი დაესწრო ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებიდან, მოსწავლე-ახალგაზრდობიდან და სხვ. გ. ჟორდანიას წინადადებით კრების საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს ყრილობის თავმჯდომარე, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ი. კაბლუკოვი. კრებაზე მოხსენებებით გამოვიდნენ „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ საბჭოს წევრები: მ. მაჩაბელი („საქართველოს ხალხის ზნე-ჩვეულებანი ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა მიხედვით“) და კომპოზიტორი დიმ. არაყიშვილი („ქართული ხალხური სიმღერა და ქართული კულტურა“).[1]

დიმიტრი არაყიშვილი (1873-1953 წწ.) ახალგაზრდობიდანვე გაიტაცა ქართულმა ხალხურმა მუსიკამ. მოსკოვში სწავლის პერიოდში მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა „ილია ჭავჭავაძის წრესთან“

[1] ცსსა, ფონ. 2984, საქ. 10, ფურ. 17.

და „მოსკოვის ქართველთა საზოგადოებასთან, რომელსაც ალ. სუმბათაშვილ-იუჟინი ხელმძღვანელობდა. დ. არაყიშვილი არაერთხელ გამოსულა იქ საინტერესო მოხსენებებით ხალხური მუსიკის შესახებ როგორც „ილია ჭავჭავაძის წრის", ისე „ქართველთა საზოგადოების" საჯარო სხდომებზე. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქართველ საზოგადოებაში როგორც მუსიკათმცოდნე-ეთნოგრაფი, რომელიც გატაცებით იკვლევდა და პროპაგანდას უწევდა ქართულ მუსიკალურ ფოლკლორს. მისმა სამეცნიერო გამოკვლევებმა საქვეყნოდ წარმოაჩინა ქართული ხალხური მუსიკის თვითმყოფადობა.

დიმიტრი არაყიშვილის ზემოხსენებულ მოხსენებასთან დაკავშირებით გაზეთი „თემი" წერს:

— „დიმ. არაყიშვილმა თავისი მოხსენება სამაგალითოდ დაწერილი, მშვენივრად წაიკითხა. დამსწრეებმა დიდის ტაშით დააჯილდოვეს. ეს ამტკიცებს, რამდენად კრების წევრნი მოწყურებულნი იყვნენ საქართველოს შესახებ ცნობებსა".[1]

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ი. კაბლუკოვმა, რომელმაც აღნიშნა: „Я глубоко благодарю за честь, оказанную мне избранием почетным председателем собрания. Нам предстоит поближе ознакомиться с бытом, нравами, поэзией и культурой грузинского народа. Как профессор старейшего русского научного заведения, я считаю для себя приятным долгом от всего сердца почтить присутствующих и Общество Любителей Грузинской культуры, попытавшееся развернуть перед нами картины жизни грузинского народа".[2]

ი. კაბლუკოვს „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების სახელით გადასცეს შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", როგორც ქართველი ხალხის ძვირფასი საჩუქარი. კაბლუკოვმა გულთბილი სამადლობელო სიტყვა წარმოსთქვა და იმედი გამოთქვა, რომ ეს კრება ხელს შეუწყობდა საქართველოს ისტორიისა და კულტურისადმი ინტერესის აღძვრას და მეგობრობის განმტკიცებას რუსეთის სხვადასხვა ერთა შორის.

---

[1] გაზ. „თემი", 1913 წ., № 129, გვ. 3.
[2] ცსაა, ფონ. 2094, საქ. 10, ფურ. 17.

შემდეგ გაიმართა კონცერტი. ქართულ ხალხურ სიმღერებს ასრულებდა ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მიხ. კავსაძის გუნდი. სიმღერების ტექსტს რუსულ ენაზე თარგმნიდა დიმ. არაყიშვილი;

ხალხურ სიმღერებს ქართული ცეკვები მოჰყვა. დასასრულს, სტუმრების პატივსაცემად მ. კავსაძის გუნდმა შეასრულა „მრავალჟამიერი", რომელსაც მთელი დარბაზი აჰყვა. კრება ჩატარდა რუსი და ქართველი ხალხების გულთბილი მეგობრობის ნიშნით.[1]

ასეთივე გულთბილი მეგობრობის ნიშნით ჩატარდა შეხვედრა ცნობილ რუს პოეტ კონსტანტინე ბალმონტთან, რომელიც 1915 წელს ჩამოვიდა საქართველოში. ცნობილია, თუ როგორი პატივისცემის გრძნობით იყო გამსჭვალული კ. ბალმონტი ქართველი ხალხის, მისი ისტორიისა და კულტურის მიმართ, რომლის საუკეთესო დასტურია პოეტის მიერ „ვეფხისტყაოსნის" თარგმნა რუსულ ენაზე.

კ. ბალმონტი პირველად 1914 წელს ჩამოვიდა საქართველოში, ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში მოგზაურობის შემდეგ. მაშინ მან მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველო მოინახულა, მეორედ ჩამოსვლისას დასავლეთ საქართველოში იმოგზაურა. — „ეგებ რაღაც ძალა განგებ მაგვიანებდა — წერდა ბალმონტი, — რომ ყველა ნახული სილამაზის შემდეგ მენახა მხარე, რომლის სილამაზე, ხალხი და დიდი რუსთაველი ტკბილი სიზმრის მშვენიერი დასასრული ყოფილიყო".[2]

კ. ბალმონტთან შეხვედრა „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ" ჩაატარა საარტისტო საზოგადოების დარბაზში 1915 წლის 9 ოქტომბერს. შეხვედრას 600-ზე მეტი წევრი და მოწვეული სტუმარი ესწრებოდა.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ", ღრმა პატივისცემის ნიშნად, კ. ბალმონტი თავის საპატიო წევრად აირჩია.

საღამოზე საკუთარი ლექსები წაიკითხეს ქართველმა პოეტებმა: ალ. აბაშელმა, ი. გრიშაშვილმა, გ. ქუჩიშვილმა, ს. ფაშალიშვილმა და სხვ. შემდეგ კ. ბალმონტმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო მის მიერ თარგმნილი ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან".

---

[1] ცსსა, ფონ. 2094, საქ. 10, ფურ. 17.
გაზ. „სახალხო ფურცელი", 1915 წ., № 21, 22, 23.

დასასრულს, „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ ძალებით გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მ. კავსაძის გუნდმა, მესტვირეებმა, აშუღებმა და სხვ.[1]

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“ დაინტერესებული იყო ქართველ მწერალთა რუსულ ენაზე თარგმანის საკითხებით და პირიქით. პირადად გ. ჟორდანიამ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ქართულ ენაზე გადმოთარგმნა რუსი მწერლების დ. ანდრეევის, ა. კუპრინის და სხვ. ნაწარმოებები. „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ დახმარებითა და ხელშეწყობით რუსმა პოეტმა ა. ბომირევმა რუსულ ენაზე თარგმნა ბესიკის პოეზია, ხოლო ნ. მზვარეულიშვილმა — ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“.

აღსანიშნავია, რომ „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებას“ კონტაქტები ჰქონდა პეტროგრადის წიგნების გამომცემელ ფირმასთან „Огни“. გამომცემლობა მიზნად ისახავდა რუსულ ენაზე გადმოეთარგმნა და გამოეცა რუსეთის იმპერიაში მცხოვრები არარუსი ხალხების ლიტერატურა, პირველ რგში, მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა ნაწარმოებები: ფირმამ ამ საქმეში დახმარება სთხოვა „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებას“.

1916 წლის 6 აპრილს საზოგადოების საბჭომ, რომელსაც ზემოხსენებული ფირმის წარმომადგენელი ე. ვედრეშისელი ესწრებოდა, განიხილა გამომცემლობა „Огни“-ს პირობები და საჭიროდ ჩათვალა დახმარება გაეწია ფირმისათვის მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა ნაწარმოებების შერჩევაში. საზოგადოების არქივში ვერ მივაკვლიეთ ვერც ერთ დოკუმენტს ამ საქმის შესახებ. როგორც გაზეთ „საქართველოდან“ ვგებულობთ, საზოგადოებას 1916 წლის ზაფხულიდან დაუწყია „ფართო ორგანიზაცია მე-19 საუკუნის ქართველი მწერლების რუსულად სათარგმნელად და გამოსაცემად“.[2] ეს მუშაობა შეჩერდა 1917 წლის პოლიტიკური ვითარების გამო.

ქართველ მწერალთა შემოქმედების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობის მიზნით „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგა-

---

[1] გაზ. „თემი“, 1915 წ., №169, გვ. 2.

[2] იხ. გაზ. „საქართველო“, 1916 წ., №126, გვ. 3, იგივე, №132, გვ. 2.

დოება“ ხშირად მართავდა საჯარო კრებებს, რომლებიც ეძღვნებოდა საიუბილეო თარიღებსა და ხსოვნის საღამოებს. ამგვარ ღონისძიებებს სხვა თვითმოქმედი საზოგადოებებიც მიმართავდნენ, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ახალ ეპოქაში ილიას ეროვნული კონცეფციის განვითარების თვალსაზრისით. გარდა ამისა, ამ ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავალი ხმარდებოდა ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. მათი დიდი ნაწილი უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა და თავის შემოქმედებით ენერგიას ლუკმა-პურის ძიებაში ხარჯავდა.

1913 წელს ცნობილმა ღვაწლმოსილმა მანდილოსანმა დომინიკა ერისთავმა (განდეგილი) გაზეთ „თემში“ დაბეჭდა სტატია „მგოსანი ვაჟა-ფშაველა და მისი 35 წლის მოღვაწეობა“,[1] რომელშიც ავტორი ქართველ საზოგადოებას სთხოვდა თავისი პატივისცემა პოეტისადმი გამოეხატა მისი სამწერლო მოღვაწეობის ღირსეული აღნიშვნით.

— „უკვე დროა, — წერდა განდეგილი, — ქართველმა საზოგადოებამ თავისი წრფელი სიყვარული და პატივისცემა მგოსნის მიმართ საქმით დაამტკიცოს, რაც იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ჩვენ შევიგენით მისი დიდებული პოეზია“-ო.

— „ამ 20 წლის განმავლობაში მხოლოდ სამი მწერლის იუბილე იდღესასწაულა ქართველობამ: რაფიელ ერისთავისა, აკაკისა და ეკ. გაბაშვილისა. სამაგიეროდ, დიდის ამბით დავასამარეთ ილია, ყაზბეგი, ნინოშვილი, გ. წერეთელი, ასიკო ცაგარელი და ბევრი სხვა. ამ ჩემის წერილით მოვუწოდებ ქართველ შეგნებულ საზოგადოებას, რათა შეუმსუბუქონ მძიმე ტვირთი დიდ მგოსანს და საშუალება მისცენ უფრო გულდასმით გაშალოს მთის არწივმა ვაჟამ თავისი ძლიერი ფრთა ჩვენდა საამაყოდ“.[2]

განდეგილის ამ ინიციატივამ ფართო მხარდაჭერა პოვა ქართველ საზოგადოებაში. პრესაში გამოქვეყნდა არაერთი წერილი, რომლის ავტორები მოითხოვდნენ ვაჟა-ფშაველას იუბილის ღირსეულად აღნიშვნას.

---

[1] გაზ. „თემი“, 1913 წ., № 112, გვ. 3-4.

[2] იქვე.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“ პირველი გამოეხმაურა ამ საერთოს სურვილს და 1913 წლის 20 თებერვალს მიიღო დადგენილება: — „დაევალოს საბჭოს ხშირ-ხშირად მოწყობა საღამოებისა ქართველ მოღვაწეთა ღვაწლის გასაცნობად ქართველ საზოგადოებისათვის. უახლოეს მომავალში ჩატარდეს ვაჟა-ფშაველას სახელზე ფართო საჯარო კრება“.[1]

იმავე წლის აპრილში საბჭომ სისრულეში მოიყვანა მიღებული დადგენილება და ზუბალაშვილების სახალხო სახლში საზეიმო ვითარებაში აღინიშნა ვაჟა-ფშაველას სამწერლო მოღვაწეობის 35-ე წლისთავი. ვაჟას იუბილე უფრო ფართოდ აღნიშნა „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოებამ“, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“ გიორგი ჟორდანიას თაოსნობით თავის ზნეობრივ მოვალეობად მიიჩნევდა თანაგრძნობით შეხვედროდა ყველა იმ მოვლენას, რაც ქართველ ხალხს ახარებდა ან ამწუხრებდა. 1915 წლის 25 მარტს საარტისტო საზოგადოების დარბაზში საზოგადოებამ მოაწყო ლიტერატურული დილა თავისი საპატიო წევრის — აკაკი წერეთლის ხსოვნის პატივსაცემად, რომელსაც 700-ზე მეტი კაცი ესწრებოდა. მოგონებებით აკაკის შესახებ გამოვიდა სოფრომ მგალობლიშვილი; აკაკისადმი მიძღვნილი სიტყვები წაიკითხეს ივ. გომართელმა („აკაკი“) და კ. აბაშიძემ („ილია და აკაკი“).[2]

მეტად მგრძნობიარე იყო ივ. გომართელის სიტყვა:

— „თუ ილია ფიქრია საქართველოსი, მისი გონიერებაა, აკაკი გრძნობაა ქართველი ერისა, ქართველი ერის გული, ქართველი ერის სულთა სწრაფვის გამომხატველი — აღნიშნავდა ივ. გომართელი, — რუსთაველმა სიტყვა მარმარილოდან გამოჰკვეთა — სიტყვა მშვენიერი, სიტყვა დიდებული, სიტყვა უნაკლოდ შემონახული. აკაკიმ სიტყვა ქართველი ერის დაკოდილი გულიდან ამოჭრა, საკუთარს ცრემლსა და ნაღველში ამოავლო, შიგ ჩააწნა,

---

[1] ცსსა, ფონ. 2094, საქ. 10, ფურ. 31.

[2] ივ. გომართელი, კ. აბაშიძე, ორი სიტყვა (აკაკის შესახებ). თბ., 1915 წ.

ჩააქსოვა სიმღერა, სევდა, ცრემლები, შხამი, იმედი და გარშემო სიცილის ნაზი სამოსელი შემოავლო. აკაკის სიტყვა მთელი ქართველი ერის სიხარული და სევდაა, ჭმუნვა და სიცილი, მთელი ქართველი ერის რწმენა, სასოება და იმედი. ხალხი უნდა გამოფხიზლდეს, წელში გამაგრდეს, გონებრივად და ქონებრივად მოღონიერდეს და თვითონ გახდეს თავისი ბატონ-პატრონი — აი აკაკის რწმენა და მართლაც მან მთელი სიცოცხლე ხალხის გამოფხიზლებას მოანდომა".[1]

ასეთივე გულთბილი გრძნობითაა გამსჭვალული კიტა აბაშიძის „სიტყვაც". კ. აბაშიძე აკაკი წერეთლის გვერდით იხსენიებს დიდ ილიას. მისი სიტყვით, ილია და აკაკი — ქართველი ერის დიად მოძღვართა ეს ორი სახელი — „ქართველი ერის გენიოსობამ ერთად შეაკავშირა, რომელთა განშორება ვერ შესძლო თვით სიკვდილმაც კი". კ. აბაშიძეს კარგად ესმის, რომ ის, ვინც მოისურვებს მათ გათიშვას, ის ქართველი ერის სულის მთლიანობის განაწილებას ეცდება, რაც ტყუილად დაკარგული შრომაა, რადგან ილია და აკაკი ორივე ერთ სიმაღლეზე დგანან პოეზიის სფეროში. „ქართველი ერის ტრაგედიულ ცხოვრებაში ილიას ნიჭი მამაკაცური ნიჭია, ძლიერი, სასტიკი, მეხთა მტეხი, „მრისხანე და შეუპოვარი", როგორც მიქელ ანჯელოსი და ფიდიასისა, ბაირონისა, კორნელისა და გოეტესი. აკაკის ნიჭი — ქალწულებრივი ნიჭია, „ბედნიერი ნიჭი", როგორც ილია ამბობს, ნიჭი ნაზი და ნარნარი, მსუბუქი და მომხიბვლელი, — ვით ნიჭი პრაქსიტელისა და რაფაელისა, რასინისა, შელისა და შილერისა. ვინ გაბედავს და იტყვის, რომელია ამ გენიოსთა შორის უფრო რჩეული აპოლონის მიერ. ილიასა და აკაკის ნიჭის სასწორი ქართველი ერის გონებაა. ერს მათთვის საუკუნო სანეტარო ადგილი აქვს მიჩნეული მის გულში და არასოდეს სასწორი არც ერთისკენ არ გადაიხრება".[2]

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ" ივ. გომართელისა და კ. აბაშიძის აღნიშნული „სიტყვები" იმავე წელს

---

[1] იხ. ივ. გომართელი, კ. აბაშიძე, ორი სიტყვა (აკაკის შესახებ), თბ., 1915 წ., გვ. 18.
[2] იქვე, გვ. 19.

ცალკე ბროშურად გამოსცა ქართველ ხალხში გასავრცელებლად და მას უწოდა „ორი სიტყვა“ (აკაკის შესახებ)“.

1915 წელს „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ“ ფართოდ აღნიშნა იმხანად ახლად გარდაცვლილი ნიკო ლომოურის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. 18 აპრილს, ნ. ლომოურის გარდაცვალების დღეს, მიიღო გადაწყვეტილება მისი სახელობის პრემიის დანიშვნის შესახებ, რომლითაც დაჯილდოვდებოდა ქართული კულტურის რომელიმე დარგის შემსწავლელი საუკეთესო თხზულება;[1]

1916 წლის 14 თებერვალს სახაზინო თეატრის შენობაში (ოპერისა და ბალეტის თეატრი) „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ სახელით მოეწყო შიო მღვიმელის სამწერლო მოღვაწეობის 30-ე წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო დილა. ეს იყო მწერლის შემოქმედების პირველი საჯარო აღნიშვნა.

ჯერ კიდევ 1915 წლის ნოემბრიდან სისტემატურად იმართებოდა საიუბილეო კომისიის სხდომები, რომელშიც შედიოდნენ: დ. კლდიაშვილი, ნ. ნაკაშიძე, ი. გრიშაშვილი, ბარ. ბრეგვაძე, გ. ქუჩიშვილი, ივ. ზედგინიძე და სხვ. კომისიამ შეადგინა 4-განყოფილებიანი საიუბილეო პროგრამა.

იუბილესათვის მზადების პერიოდში გაზეთ „სახალხო ფურცელში“ ვაჟა-ფშაველამ თავისი გულწრფელი სიხარული გამოხატა. შ. მღვიმელის ლიტერატურული ღვაწლის დაფასების გამო, რომელსაც, მისი სიტყვით „...ამ 30 წლის განმავლობაში ერთი თბილი, გამამხნევებელი სიტყვაც კი არ გაუგონია თანამოძმეთაგან“, პოეტმა მოასწრო თავისი სიცოცხლის ბოლოს თბილი სიტყვა ეთქვა შიო მღვიმელზე და გულით მისალმებოდა ქართველი საზოგადოების ამ განზრახვას.

სამწუხაროდ, ვაჟა-ფშაველა ვეღარ მოესწრო შიო მღვიმელის იუბილეს.

იუბილესთან დაკავშირებით გაზეთი „საქართველო“ წერდა: — „ბავშვების გუნდი სიმღერებით მოაცილებს ძია შიოს... აღტაცება, სიხარული, სამადლობელო ცრემლები... „ძია შიო“ ნეტარების ცრემ-

---

[1] ცსსა, ფონ. 2094, საქ. 10, ფურ. 13.

ლმორეულ ბავშვებს ხელში იტაცებდა, გულში მხურვალედ იკრავდა და ჰკოცნიდა“.[1]

ივ. გომართელმა წაიკითხა იუბილარისადმი მიძღვნილი გულთბილი სიტყვა, რომელშიც დახასიათებული იყო შ. მღვიმელის სამწერლო მოღვაწეობა 30 წლის მანძილზე. შემდეგ იუბილარს მიულოცეს: „ჯეჯილის“, „ნაკადულის“, „თეატრი და ცხოვრების“, „თანამედროვე აზრის“ და სხვა ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა, თბილისის ქართულმა გიმნაზიამ, ქალთა გიმნაზიამ, ქალთა ჭრა-კერვის სასწავლებელმა, საზოგადოება „განათლებამ“, ქართველ ქალთა საჩაიემ („ძმური ნუგეში“), „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ“, „დრამატულმა საზოგადოებამ“, „საქველმოქმედო საზოგადოებამ“, „სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოებამ“ და სხვ. მილოცვები იყო თელავის, გორის, ქუთაისის, ახალციხის და საქართველოს სხვა კუთხეების გაზეთების რედაქციებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებებიდან; მოსკოვის, კიევის, ტომსკის და რუსეთის სხვა საუნივერსიტეტო ქალაქების ქართველ სტუდენტთა სათვისტომოებიდან და სხვ.[2]

დამსწრე საზოგადოებაზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა „ცოცხალმა სურათებმა“, რომელიც დადგმული იყო შ. მღვიმელის ნაწარმოების მიხედვით.

შიო მღვიმელის დილა ქართველი ხალხის ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცა. — „ბევრი ზეიმი გადაუხდია ქართველ საზოგადოებას, მაგრამ ეგოდენი უშუამავლო, სისადავით ღვთაებრივი განცდა არ გამოუწვევია დამსწრეთა შორის, რაც შიოს დილამ წარუშლელად აღბეჭდა დამსწრეთა გულში“ — წერდა გაზეთი „საქართველო“.[3]

იმდროინდელი ქართული პრესა ფართოდ გამოეხმაურა შიო მღვიმელის იუბილეს. — „თამამად შეიძლება ითქვას, — აღნიშნავდა გაზეთი „სახალხო ფურცელი“ — რომ ქართველ ყმაწვილებს ასეთი

---

[1] გაზ. „საქართველო“, 1916 წ., №37, გვ. 3.
[2] ცსსა, ფონ. 2094, საქ. 44, ფურ. 12.
[3] გაზ. „საქართველო“, 1916 წ., №38.

ყვავილებით შემკული დილა არ მოსწრებია. სცენაზე მონაწილეობას იღებდა 200-მდე ყმაწვილი. ერთი ამდენიც, თუ მეტი არა, დამსწრეც იქნებოდა. ყველა ამ ყმაწვილის გულში შიოს დილა ნეტარი მოსაგონარი იქნებოდა მოხუცებულობის ჟამსაც".[1]

გულისამაჩუყებელი იყო აპოთეოზი: — შიო მღვიმელი თავის გმირებში (ბავშვებში), რასაც თან მოჰყვა დაუსრულებელი ტაშისცემა და ვაშას ძახილი. დილას დაესწრო დაახლოებით 1200 კაცამდე, ბავშვებიანად 1800-მდე.[2]

22 მაისს იმავე პროგრამით ზუბალაშვილების სახალხო სახლში განმეორებით ჩატარდა შიო მღვიმელის საიუბილეო დილა, ამჯერად ბილეთების ფასი გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე 14 თებერვლის დილისა, რათა ყველას მისცემოდა შესაძლებლობა ეხილა ბავშვების საყვარელი მწერლის საიუბილეო დღესასწაული.[3]

შიო მღვიმელის დილა „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ" მოაწყო აგრეთვე სურამში, ზესტაფონსა და ჭიათურაში, საიდანაც შემოვიდა 855 მან. 65 კაპ. შემოსავალი, აქედან 405 მან. 65 კაპ. გადაეცა შ. მღვიმელის ოჯახს, ხოლო 450 მან. დაემატა მწერლის სახელზე ბანკში შეტანილ თანხას. სულ შ. მღვიმელის ოჯახს ერთდროული დახმარების სახით გადაეცა 1007 მან. 47 კაპ.[4]

იმავე წლის 6 მარტს საზოგადოების საბჭომ გადაწყვიტა, შ. მღვიმელის იუბილედან შემოსული დარჩენილი თანხის განსაზღვრული პროცენტი პერიოდულად ეძლია მწერლის ოჯახისათვის, მეორე ნაწილით კი გამოესყიდა შიო მღვიმელის მიერ გაყიდული საავტორო უფლებები.[5] ამ საკითხის მოსაგვარებლად ქუთაისში გაემგზავრა გიორგი ჟორდანია. 1916 წლის 20 აპრილს ძმ. ოცხელები წერენ საზოგადოების საბჭოს: „ჩვენ კარგად გვესმის, თუ რა დიდ განძს შეადგენს კომერციული თვალსაზრისით იმისთანა ავტორის უფლებების სამუდამოდ შეძენა, როგორიც არის შიო მღვიმელი,

---

[1] გაზ. „სახალხო ფურცელი", 1916 წ., №504.
[2] გაზ. „საქართველო", №38.
[3] ცსაა, ფონ. 2094, საქ. 44, ფურ. 29.
[4] იქვე.
[5] იგივე ფონდი, საქ. 45, ფურ.I.

მაგრამ ამით სარგებლობა ჩვენ არ გვსურს, მით უფრო, რომ ამ უფლების მიღება „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებას“ განუზრახავს შიო მღვიმელის ოჯახის უზრუნველყოფისათვის“.[1]

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ“ გამოისყიდა პოეტის საავტორო უფლებები და შეუდგა მათ გამოცემაზე ზრუნვას.

1916 წლის 25 აპრილს საზოგადოების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება შიო მღვიმელის ნაწარმოებთა მომავალი გამოცემის შემოსავლის 50% მოხმარებოდა საბავშვო წიგნების გამოცემას, მეორე ნახევარი — მწერლის ოჯახს.[2]

აღსანიშნავია, რომ „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ ამგვარმა ინიციატივამ ქართველ საზოგადოებაში აღძრა ინტერესი შიო მღვიმელის შემოქმედების შესწავლისადმი. იმავე ხანებში იპ. ვართაგავამ გამოაქვეყნა ნარკვევი „შიო მღვიმელი და ბავშვთა სამყარო“,[3] რომელიც პირველ სერიოზულ ცდას წარმოადგენს შ. მღვიმელის შემოქმედების შესასწავლად; ლ. ბოცვაძემ ჟურნალ „განათლებაში“ დაბეჭდა ვრცელი წერილი სათაურით: „შიო მღვიმელი“.[4]

შ. მღვიმელის გარდა, „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ“ სხვადასხვა დროს მატერიალური დახმარება აღმოუჩინა მწერლებს: ნოე ჩხიკვაძეს, ი. მჭედლიშვილს, გ. ქუჩიშვილს და სხვებს.[5] ამის შესახებ გ. ქუჩიშვილი იგონებს: — „ნიკოლოზის დროს ხშირდ ვყოფილვარ უმუშევრად, როგორც მეფის მთავრობისათვის არასაიმედო პიროვნება, რის გამოც უკიდურეს გაჭირვებაში ვიმყოფებოდი ოჯახითურთ. გ. ჟორდანია ყოველთვის თანაგრძნობით ეკიდებოდა ჩემისთანებს და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა კიდეც ყოველმხრივ. არც მე და არც პოეტ ნოე ჩხიკვაძ-

---

[1] ცსსა,ფონ. 2094, საქ. 45, ფურ. 9.

[2] იგივე ფონდი, საქ. 10, ფურ. 109.

[3] 1917 წელს გამოვიდა ცალკე წიგნად ქუთაისში; 1958 წელს შეეიდა იპ. ვართაგავას კრიტიკ. წერილების I ტომში, გვ. 208-265.

[4] ჟურნ. „განათლება“, 1915 წ., № 10. გვ. 19-22.

[5] ცსსა, ფონ. 2094, საქ. 10, ფურ.66.

ეს არ მოგვკლებია გიორგის მიერ მორალური და ნივთიერი დახმარება ამა თუ იმ სახით".[1]

1915 წელს ვაჟა-ფშაველას ნაადრევი სიკვდილით გამოწვეული ტკივილი ქართველი საზოგადოებისათვის იმდენად მძიმე იყო, რომ პრესაში გამოითქვა სურვილი გაჭირვებაში ჩავარდნილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისადმი მატერიალური დახმარება მათსავე სიცოცხლეში აღმოეჩინათ. ბევრი მათგანის ნიჭი ლუკმაპურის გამუდმებულ ძიებაში იხარჯებოდა, ზოგიერთი კი ამ გაჭირვების მსხვერპლიც ხდებოდა.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ" თავს იდვა ამ მეტად საჭირო ეროვნული საქმის გაძღოლა. საზოგადოების აზრით დასნეულებულ და გაჭირვებულ მ̣ოღვაწ̣ეთათვის დახმარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იქნებოდა მათთვის „აგარაკ-თავშესაფრის" აშენება რომელიმე კურორტზე, სადაც დასნეულებული მწერლები უზრუნველად გაატარებდნენ რამდენიმე თვეს, რაც ცოტათი მაინც შეუმსუბუქებდა ცხოვრების მძიმე პირობებს. საბჭომ ასეთ დასასვენებელ ადგილად სოფელი წაღვერი ამოარჩია.

წაღვერში ქართველ მოღვაწეთა დასასვენებელი სახლის აშენების იდეა გასჩენია ირ. ევდოშვილსაც, როცა 1915 წლის ზაფხულში დასნეულებული პოეტი იქ ისვენებდა.[2]

იმავე წლის 12 სექტემბერს „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებასთან" შეიქმნა სააგარაკო კომისია, რომელსაც დაევალა აგარაკის მშენებლობის საქმის გაძღოლა. თავდაპირველად კომისიაში შევიდნენ: ალ. ლორთქიფანიძე (კომისიის თავმჯდომარე), ერ. ფურცელაძე, ელ. აბულაძე, ი. რაზმაძე, ს. ახვლედიანი, ირ. კოსტავა, სოსიკო მერკვილაძე, ვას. ყიფიანი (მდივანი) და ზ. გველესიანი (ხაზინადარი).[3] 1916 წელს კომისიას შეუერთდნენ ნინო ყიფიანი და გ. ქუჩიშვილი. ნ. ყიფიანი კომისიას უსასყიდლოდ უთმობდა ქვიშხეთში აგარაკისათვის 10 დესეტინა მიწას, თუკი იგი ამ ადგილს მოიწონებდა.

---

[1] ცსსა, ფონ. 1813, საქ. 393, ფურ.I.
[2] გაზ. „სახალხო ფურცელი", 1916 წ., № 570, გვ. 4.
[3] ცსაა, ფონ. 2094, საქ. 10, ფურ.12.

1915 წლის 18 სექტემბერს სააგარაკო კომისიამ ჩაატარა საგანგებოდ მოწვეულ პირთა კერძო თათბირი. თათბირს ესწრებოდნენ: დ. კარიჭაშვილი, ლ. ბოცვაძე, იპ. ვართაგავა, ნინო ნაკაშიძე, ალ. ყიფშიძე, შ. დედაბრიშვილი, ი. იმედაშვილი, ილ. ნაკაშიძე, ვას. ბარნოვი, ივ. მაჭავარიანი, ი. მერკვილაძე, ს. ტარუაშვილი, პ. მირიანაშვილი და სხვ.[1] თათბირის მონაწილეებმა საჭიროდ ცნეს გაეგზავნათ დეპუტაცია ბორჯომში დიდ მთავართან, რათა მას დაეთმო აგარაკის ასაშენებლად ორი დესეტინა მიწა. დეპუტაციის წევრებად აირჩიეს: გ. ჟორდანია, იპ. ვართაგავა და ექვთ. თაყაიშვილი.[2]

თათბირის გადაწყვეტილების თანახმად, „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების" სახელით გ. ჟორდანიამ შეადგინა თხოვნა ნიკოლოზ მიხეილის ძის სახელზე, რომელიც დიდი მთავრისათვის უნდა გადაეცა ბორჯომის მამულების მოურავს ვინოგრადოვს; მასთან მოლაპარაკება სთხოვეს ექვთ. თაყაიშვილს. ამასთან დაკავშირებით, ე. თაყაიშვილი გ. ჟორდანიას სწერდა: — „ბ-ნო გიორგი, ძლიერ კარგი! შემატყობინეთ, სად ჩამოხტეს ბინათ ვინოგრადოვი, დიდის სიამოვნებით ვინახულებ და დაგეხმარებით რამდენიც შემეძლება. არა მგონია, რომ უარი გვითხრას"[3]

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ" ქართველ მოღვაწეთა აგარაკ-თავშესაფრის აშენება საერთო ეროვნულ საქმედ გამოაცხადა. 1915 წლის დეკემბერში პრესის ფურცლებზე გამოქვეყნდა „მოწოდება" ქართველ საზოგადოებისადმი, რომლის ტექსტი შეადგინა სოფრომ მგალობლიშვილმა.[4] ეს „მოწოდება იმავე წელს ცალკე ფურცლებადაც დაიბეჭდა მოსახლეობაში გასავრცელებლად".[5]

„მოწოდებაში" ვკითხულობთ: — „ჩვენის ქვეყნის მოამაგენი გაჭირვებას განიცდიან, არა აქვთ ხეირიანი ბინა, თბილი ლუკმა.

---

[1] ცსსა, ფონ. 2094, საქ. 26, ფურ. 13-14.

[2] იქვე.

[3] ცსსა, ფონ. 2094, საქ. 27, ფურ. 3.

[4] გაზ. „სახალხო ფურცელი", 1915 წ., №454.

[5] „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება", „ყველამ თითო აგური მივიტანოთ ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებლად!", 1915 წ.

ჩვენი მწერალი, მსახიობი, მგოსანი, მხატვარი, პუბლიცისტი — თითქმის ყველა ამ ტაფაში იწვის... ისინი მხოლოდ მაშინ მოგვაგონდებიან, როცა ცხოვრებასთან ბრძოლით დაქანცულნი ძირს ეცემიან, ველარა ეშველებათ რა... დავკარგეთ ეგ. ნინოშვილი, არ. ჯორჯაძე, ვაჟა-ფშაველა, ირ, ევდოშვილი, კიდევაც ბევრს დავკარგავთ, თუ დროზე გონს არ მოვედით, თუ სიცოცხლითვე არ ვისწავლეთ საზოგადო ღვაწლის დაფასება, თუ ამ თავითვე ცხოვრების პირობები არ შევუცვალეთ ჩვენის ქვეყნის მოჭირნახულეთ".[1]

საზოგადოება მოუწოდებდა ქართველ მოსახლეობას დახმარება აღმოეჩინათ სააგარაკო კომისიისათვის „თუნდაც სულ მცირედით — ერთი აგურის ფასის შემოწირულობით — ყველამ თითო აგური მივიტანოთ ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებლად!".

სააგარაკო კომისიის წევრი სოფრომ მგალობლიშვილი გაზეთ „სახალხო ფურცელში" წერს: „...ჩემი ღარიბი ჯიბიდან ვწირავ ერთი აგურის ფასს — 3 მანეთს, რომელიც უკვე შევიტანე საზოგადოებაში, იმედი მაქვს ჩემს მაგალითს სხვებიც მიბაძავენ და ამით კეთილ საქმეს გააჩაღებენ".[2]

ქართველ მოღვაწეთა აგარაკ-თავშესაფრის მშენებლობისადმი ინტერესი ქართველ ხალხში კიდევ უფრო გაძლიერდა ირ. ევდოშვილის უდროოდ გარდაცვალების შემდეგ.

1916 წლის აპრილში „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების" სახელით გაზეთ „საქართველოში" დაიბეჭდა წერილი, რომელშიც დახასიათებულია ირ. ევდოშვილის ლიტერატურული და საზოგადოებივი მოღვაწეობა.

ირ. ევდოშვილი (ხოსიტაშვილი) (1873-1916 წწ.) ცნობილია როგორც სოციალისტური იდეალებისათვის მებრძოლი პოეტი. მისი ლექსები „სიმღერა", „ქარიშხალი", „ბრძოლის სიმღერა" და სხვ. რევოლუციური სულისკვეთებით აღაგზნებდა ქართველ მკითხველს. მუშათა საერთაშორისო სიმღერების „ვარშავიანკას" და „მარსე-

---

[1] „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება", „ყველამ თითო აგური მივიტანოთ ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებლად!", 1915 წ.

[2] გაზ. „სახალხო ფურცელი", 1915 წ. № 460, გვ. 3.

ლიოზას“ მთარგმნელი მეფის ხელისუფლების მხრივ მუდმივ დევნა-შევიწროვებას განიცდიდა. 1912 წელს იგი გადასახლებიდან მძიმედ დაავადებული დაბრუნდა თბილისში, სადაც მალე გარდაიცვალა.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამდა ირ. ევდოშვილის გარდაცვალების გამო: „...ირ. ევდოშვილიც დაეცა ეკლიან გზაზე მიმავალი... ევდოშვილმაც გაიზიარა ჩვეულებრივი ბედი ქართველი მწერლისა... იგივე მიზეზები, იგივე სენი და ისეთივე სიკვდილი! და ჩვენი გლოვაც იგივე გლოვაა, ჩვეულებრივი მწვავე, სინდისის მქეჯნავი... დეე, ეს იყოს უკანასკნელი მსხვერპლი ჩვენი ეროვნული ცოდვებისა. დანაშაული წარსულ მსხვერპლთა წინაშე გამოვისყიდოთ ახალი საქმით, ახალი მუშაობით. მომავალში მაინც ნუ მოსწყდებიან უდროოდ ჩვენი რჩეულნი შვილნი ჩვენს სხეულს, ნუ დასჭკნებიან ისინი გაუფურჩქვნელ კოკრებად“[1] — ვკითხულობთ გაზეთში.

დიდი იყო ამ წერილის გავლენა მკითხველ საზოგადოებაზე.

სააგარაკო კომისია თითქმის ყოველდღიურად ღებულობდა ფულად შემოწირულებას სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და საზოგადოებებიდან, მოსწავლე-ახალგაზრდებიდან, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებიდან, კერძო პირებიდან, ომში წასული ქართველებიდან და სხვ.

— „პატ. გიორგი, — წერენ გ. ჟორდანიას პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ქართველი ახალგაზრდები, — ძვირფას ირიდიონ ევდოშვილის უდროოდ დაკარგვამ გული მოგვწყვიტა აქ მყოფ ქართველობას, გვირგვინის ნაცვლად გთხოვთ მიიღოთ მცირედი შემოწირულება 5 თუმანი და 36 კაპ. რომლიდანაც 25 მანეთი გადაეცით მგოსნის ცოლ-შვილს, ხოლო 25 მან. და 36 კაპ. მოანდომეთ აგარაკის აშენების საქმეს. შემომწირველთა სია: კ. დვალი, ნ. ბალიაშვილი, გ. სინაური, ტ. კობერიძე, ილ. გოგებაშვილი, ივ. ხევხიშვილი და სხვ.“[2] 60 მანეთი გამოაგზავნეს სხვა ქართველმა მებრძოლებმაც. აი რას წერდნენ ისინი: — „დიდი სიამოვნებით

---

[1] გაზ. „საქართველო“, 1916 წ., № 102.
[2] გაზ. „საქართველო“, 1916 წ., № 133.

ვეგებებით ჩვენი საზოგადოების გამოფხიზლებას. გისურვებთ მოღვაწე მამულიშვილებს შეერთებულის ძალით და გაათკეცებული ენერგიით წინსვლას დიდი ეროვნული მომავლის შემოქმედებისათვის. ვწუხვართ, რომ პირადი მონაწილენი არა ვართ თქვენთან შრომისა, მაგრამ სულით და გულით მუდამ ჩვენც თქვენთან ვართ".[1]

1916 წელს სააგარაკო კომისიას ფულადი შემოწირულებანი გამოუგზავნა აგრეთვე ვლადივოსტოკსა და ბაქოში მცხოვრებმა ქართველობამ, ქართლ-კახეთის თავადაზნაურობამ (600 მან.), რომელმაც საზოგადოებას ამდენივე ყოველწლიური დახმარება აღუთქვა.

შემოსავლის გადიდების მიზნით, 1916 წლის 19 მაისს, სააგარაკო კომისიამ ხარფუხის ბაღში დიდი სახალხო სეირნობა გამართა მრავალფეროვანი პროგრამით (სამხედრო მუსიკა, საზანდარი, ზურნა, მომღერალთა გუნდი, „ტამბოლა", სეირნობა მაშხალებით, აქლემებით, ცხენებით, იაპონური „პტიშვო", „კლოუნები", „ჭიქა ჩაი" ესტრადაზე, ცეკვები, „დივერტისმენტი" და სხვ).[2] ამ ღონისძიებიდან სააგარაკო კომისიამ 1000 მანეთამდე წმინდა შემოსავალი მიიღო.

1916 წლის 20 მარტისთვის კომისიის განკარგულებაში იყო 2215 მან. 67 კაპ, რომელიც 1917 წლის 1 იანვრისათვის 9000 მანეთამდე გაიზარდა. ამ თანხიდან საზოგადოებამ შეიძინა მიწის ნაკვეთი წაღვერში და დაიწყო სამშენებლო სამუშაოები, მაგრამ იგი შეჩერდა 1917 წლის პოლიტიკური ვითარების გამო, ხოლო შემდეგში ამ ფრიად კეთილშობილურ წამოწყებას განხორციელება ვერ ეღირსა.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ", ისე როგორც დანარჩენმა კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებებმა, გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის საჭირო მატერიალური სახსრების შეგროვებასა და მისი წიგნადი ფონდის შექმნის საქმეში. 1917 წლის 12 მაისის კრებაზე, რომელიც თბილისში ეროვნული უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით იყო მოწვეული, გიორგი ჟორდანიამ სურვილი გამოთქვა უნივერსიტეტისათვის გადაეცა თედო ჟორდანიას

[1] გაზ. „საქართველო", 1916 წ., № 101.
[2] ცსსა, ფონ. 2094, საქ. 10, ფურ. 114.

ბიბლიოთეკა, სადაც უამრავ იშვიათ გამოცემასთან ერთად, ინახებოდა მრავალი ხელნაწერი და ისტორიული საბუთი.[1]

გ. ჟორდანიამ უნივერსიტეტს უსასყიდლოდ გადასცა 460 ტომი, მათ შორის თ. ჟორდანიას „ქრონიკები" და მრავალი ისტორიული საბუთი. როგორც ს. ჯორბენაძე წერს, „იმ დროისათვის პატრიოტულ საქმედ იქცა საზოგადოებათა და ცალკეულ პირთა წიგნადი ფონდების გადაცემა უნივერსიტეტისათვის. ამ გზით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ მრავალი უნიკალური წიგნი შეიძინა. მათ შორის ი. სარაჯიშვილის ბიბლიოთეკა, თედორე ჟორდანიას ბიბლიოთეკა და სხვ.[2]

ამგვარად, „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ" მისი უცვლელი თავმჯდომარის, გიორგი ჟორდანიას ხელმძღვანელობით მრავალმხრივ ნაყოფიერი მუშაობა გასწია ქართული კულტურის სხვადასხვა დარგის მეცნიერული შესწავლისა და მისი პოპულარიზაციისათვის 1907-1917 წლებში. ამ პერიოდში საზოგადოება მუშაობდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა, ქართული ენის გრამატიკული ნორმები და მართლწერა, საქართველოს ისტორია, ეთნოლოგია, ხალხური ზეპირსიტყვიერება და მუსიკა, სამართალი და სხვ. ცხადია, ამ დარგების სრული შესწავლა მაშინდელ პირობებში ძნელი იყო. საზოგადოების ხელმძღვანელები ცდილობდნენ მთავარი აქცენტი თავიანთ მუშაობაში სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის საქმიანობაზე გადაეტანათ — ფართო ინტერესი აღეძრათ ქართული კულტურის ამა თუ იმ დარგის მეცნიერული შესწავლისადმი. 1916 წლის 17 აპრილს საზოგადოების სხდომაზე გ. ჟორდანია აღნიშნავდა: — „ჩვენი მიზანი იყო და არის ინტერესისა და სიყვარულის გაღვიძება ჩვენი კულტურისადმი მოსახლეობის ფართო მასაში. ამ მიზანს საზოგადოებამ მთლიანად მიაღწია. არც ერთი კრება ქართულ რომელიმე საზოგადოებაში არ მიმდინარეობდა ისე ცოცხლად და მრავალრიცხოვნად, როგორც „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებაში". ჩვენ მოვკიდეთ ხელი საგრამატიკო საკითხებს,

---

[1] ცსსა, ფონ. 2094, საქ. 87, ფურ. 1-4.

[2] ს. ჯორბენაძე, თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია, თბ., 1968წ, გვ 26.

მაგრამ ჩვენი მიზანი არც იყო და არც შეგვეძლო მისი დაბოლოება. ჩვენ აღვძარით ამ საკითხისადმი ფართო ინტერესი და ზოგიერთმა პირმა უკვე მოჰკიდა ხელი მის დამუშავებას".[1]

„ქართული კულტურის მოყვარულთა .საზოგადოების" მრავალმხრივ ნაყოფიერი მოღვაწეობა ქართველ ხალხში დიდ ინტერესს იწვევდა, რაც იქიდანაც ჩანს, რომ საზოგადოების საჯარო კრებებს, რომლებიც ხშირად ტარდებოდა ზუბალაშვილების სახალხო სახლში, ქართულ თეატრში, საარტისტო საზოგადოების დარბაზში, ქართულ კლუბში და სხვ., ყოველთვის დიდძალი ხალხი ესწრებოდა. როგორც ზემოთ ითქვა, ვ. ორბელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებას 200-ზე მეტი წევრი და გარეშე პირი დაესწრო, რუსეთის ექიმთა და ბუნებისმეტყველთა მე-13 ყრილობის დელეგატების პატივსაცემად გამართულ კრებას — 2000, აკ. წერეთლის დილას — 700-ზე მეტი, შ. მღვიმელის დილას — 1800, კ. ბალმონტისადმი მიძღვნილ კრებას — 600-ზე მეტი და სხვ.

საზოადოების ცოცხალ და ნაყოფიერ პრაქტიკულ საქმიანობაზე მიუთითებს აგრეთვე მისი ყოფილი წევრების: პ. მირიანაშვილის, აკ. ფაღავას, დიმ. არაყიშვილის, შ. დადიანის და სხვ. მოგონებები.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ" 1928 წლამდე იარსება და მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებას მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში. იგი ხელს უწყობდა ქართველი ერის სულიერი ძალების ერთმანეთთან დაახლოებას და თავისი წვლილი შეჰქონდა კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის გაფართოებაში. როგორც შემდეგში ამ საზოგადოების წევრი შალვა დადიანი წერდა, „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ" თავის დროზე ისეთი პოპულარობა მოიპოვა და ისეთი დიდი როლი ითამაშა, რომ თავისი მორალური მნიშვნელობით გაუტოლდა იმ დროის ქართულ დიდ საზოგადოებრივ დაწესებულებას, როგორიც წერა-კითხვის საზოგადოება იყო".[2]

---

[1] ცსსა, ფონ. 2094, საქ.10, ფურ. 134.
ცსსა, ფონ. 1813, საქ. 378, ფურ. 5.

თავი VII

ქართული საქველმოქმედო საზოგადოება და აჭარა

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას საფუძველი ჩაეყარა 1906 წელს. წესდების მიხედვით საზოგადოების მიზანს შეადგენდა ხელი შეეწყო კავკასიის სამეფისნაცვლოში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის .მატერიალური და სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მისი მოქმედების მთავარ პრინციპს მასიური დახმარება შეადგენდა; რაც შეეხება კერძო ქველმოქმედებას, იგი საზოგადოებას დასაშვებად მიაჩნდა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. საზოგადოების საქმიანობა უფრო გაფართოვდა 1915 წლიდან, ახალი წესდების მიღების შემდეგ, რომელიც თბილისის გუბერნატორმა 1916 წლის 18 იანვარს დაამტკიცა.

ახალი წესდებით ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მიზანი იგივე რჩებოდა. საზოგადოებას უფლება ეძლეოდა ქართველ მოსახლეობაში გაევრცელებინა მეურნეობის, მრეწველობის, ვაჭრობის, ბინათმშენებლობის და სხვა დარგების განვითარებისათვის საჭირო ცოდნა. ამ მიზნის მისაღწევად შეეძლო ადგილობრივ მთავრობასთან შეთანხმებით გაეხსნა სხვადასხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებები, სახელოსნოები, სკოლები, პანსიონები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, თავშესაფრები, მოეწყო სასწავლო კურსები, გაემართა ლექცია-მოხსენებები, გამოეცა წიგნები და ჟურნალ-გაზეთები; საზოგადოებას უფლება ჰქონდა ეზრუნა ღარიბი მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომ კრედიტის გაცემაზე, დახმარება გაეწია მათთვის სტიქიური უბედურების (ომიანობა, შიმშილობა, ეპიდემია, ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა) შემთხვევაში, დაეარსებინა მიმღები სამედიცინო პუნქტები, საავადმყოფოები, საბავშვო ბაღები და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებები, აღმოეჩინა აგრეთვე უფასო იურიდიული, სამედიცინო თუ სხვა სახის დახმარება; შეეძინა უძრავ-მოძრავი ქონება კანონის ფარგლებში, დაედო ხელშეკრულებები, აქტები და სხვა იურიდიული დოკუმენტები.

საზოგადოების მატერიალურ წყაროს შეადგენდა საწევრო გადასახადი, შემოწირულობანი და შემოსავალი მის მიერ ჩატარებული ღონისძიებებიდან.[1]

1914-1915 წლებში საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობაში შედიოდნენ: მიხეილ მაჩაბელი (თავმჯდომარე), პართენ გოთუა (მოადგილე), ვასილ ყიფიანი (ხაზინადარი), რევაზ გაბაშვილი (მდივანი), ფილიპე გოგიჩაიშვილი, გრიგოლ რცხილაძე და იოსებ ბარათაშვილი; გამგეობის წევრობის კანდიდატებად არჩეული იყვნენ: ივანე გომართელი, მიხეილ ლაღიძე და გერონტი ქიქოძე; სარევიზიო კომისიაში შედიოდნენ: გიორგი ლასხიშვილი, გიორგი გვაზავა, ივანე მაჭავარიანი, იოსებ ჩერქეზიშვილი და დავით ვაჩნაძე.[2]

ქართული საქველმოქმედო საზოგადოება განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდა პირველი მსოფლიო ომის წლებში, როდესაც მთელი სამაჰმადიანო საქართველო (სამცხე, ტაო-კლარჯეთი, აჭარა, ჭანეთი) ომის ასპარეზად გადაიქცა. ეს იყო საქართველოს ძირძველი მიწა-წყალი, სადაც უძველესი დროიდან მოსახლეობდნენ ქართველური მოდგმის ტომები (მესხები, ტაოხები, კლარჯები, ჭანები და სხვ.). როგორც ცნობილია, მე-9-10 საუკუნეებში აქ ფართოდ იყო გაშლილი საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრება; აქ მდებარეობდა ისეთი უძველესი საეკლესიო-კულტურული ცენტრები, როგორებიცაა: პარხალი, ოშკი, შატბერდი, ხანძთა, იშხანი, ოპიზა და სხვ. საქართველოს ისტორიის ძნელბედობის ხანაში, მე-17 საუკუნის დასაწყისში სამცხე-საათაბაგო ოსმალებმა მიიტაცეს და ამიერიდან იგი დიდი ხნით მოწყდა დედასამშობლოს. მხოლოდ 1829 წელს, ადრიანოპოლის ზავით, სამცხე-ჯავახეთის ნაწილი (ფოთი, ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, აწყური, ხერთვისი, აბასთუმანი) დაუბრუნდა საქართველოს, ხოლო 1878 წლის ბერლინის ხელშეკრულებით — აჭარა, ლივანი, ჭანეთი (ნაწილი), შავშეთი, არტაანი, კლარჯეთი, ტაო, ოლთისი და არტანუჯი. ამ ტერიტორიების შემოერთების შემდეგ იმდროინდელი ადმინისტრაციული მმართველობის მიხედვით არტაანის (არდაგანი) და ოლთისის ოლქები შევიდნენ ყარსის მხ-

[1] ცსსა, ფონ. 13, საქ. 1896, ფურ. 3.

[2] ანგარიში ქართული საქველმოქმედო საზოგადოებისა 1915 წელს, ტფ., 1915 წ.

არეში (ობლასტი), ართვინისა და ბათუმის ოლქები — ბათუმის „ობლასტში“, ხოლო ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები — თბილისის გუბერნიაში.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში, როდესაც რუსეთის არმიები შეტევებს აწარმოებდნენ დასავლეთის ფრონტზე გერმანიის წინააღმდეგ, თურქებმა ისარგებლეს შექმნილი ვითარებით და ვერაგულად, ომის გამოუცხადებლად თავს დაესხნენ რუსეთის იმპერიის სამხრეთ საზღვრებს. ასეთ პირობებში თურქებმა შეძლეს დროებითი უპირატესობის მოპოვება. 1914 წლის ნოემბერ-დეკემბერში ისინი შემოესივნენ არდაგანს, არტანუჯს, შავშეთ-იმერხევს, ლივანას, მიაღწიეს აჭარისწყლამდე და ეს ადგილები სულ ერთიანად გააავერანეს. თურქებმა „საღვთო ომი“ გამოაცხადეს და მაჰმადის სახელით მოუწოდებდნენ ყველა ქვეყნის მუსულმანებს, მათ შორის აჭარლებსაც, მათთან ერთად ებრძოლათ გიაურების (არამუსულმანების) წინააღმდეგ.

თითქმის ერთი თვის მანძილზე ზემო აჭარაში დიდი ბრძოლები მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის ჯარებს შორის. ამ ბრძოლების დროს ყველაზე მეტად დაზარალდნენ სოფლები ნანუზოღლი და დანისპარაული. მარტო დანისპარაულიდან რუსებმა ჯარის შესანახად მოსახლეობას წაართვეს 49 უღელი ხარი, 42 ძროხა, 31 სული ცხვარი, 143 საფუტკრე თაფლით, 466 მანეთი, სიმინდი, პური, თივა და სხვ.[1]

თურქებმა გადმოლახეს ჭოროხის წყალი და შევიდნენ მაჭახელას ხეობაში, დააწიოკეს სოფლები: — მაჭახელასპირი, გვარა, სინდიეთი, ქედ-ქედი, ჭანივრი და ავიდნენ აჭარის აღმართში, აქედან ვიწრო ბილიკით გადავიდნენ სინდიეთის მთაზე და შევიდნენ სოფელ უჩხეთსა და მილისში, სადაც დაბანაკდნენ ადგილობრივ მცხოვრებთა სახლებში და დაიწყეს ხალხის აწიოკება. თავზარდაცემულ მოსახლეობას დამცველი არავინ ჰყავდა, უკანდასახევი გზაც მოჭრილი ჰქონდა. რუსეთის ჯარებმა დროებით ბათუმის ციხესიმაგრეს შეაფარეს თავი და მოსახლეობა ბედის ანაბარა მიატოვეს. შემდეგში მათ შეტევა დაიწყეს ართვინისა და ბათუმ-ახალციხის მიმა-

[1] გაზ. „საქართველო“, 1915 წ., № 88.

რთულებით. მოსახლეობა ჯარების მოახლოებისთანავე, ზარბაზნების ჭექა-ქუხილში ინსტიქტურად უკან იხევდა. რადგანაც მტრის დიდი ნაწილი ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებში იყო დაბანაკებული, ამიტომ რუსები ამ ადგილებს ეკვეთნენ; ასეთ ვითარებაში ძნელი გახდა მტრისა და შინაურის გარჩევა. თურქები სინდიეთის მთაზე გადავიდნენ და იქიდან აუტეხეს სროლა რუსებს.

სოფლის მცხოვრებლები ორ ცეცხლშუა მოექცნენ — ორივე მხრიდან სეტყვასავით მოდიოდა ტყვიები. მტერი ნელ-ნელა უკან იხევდა, ხალხი კი რუსების მიახლოებისთანავე მაღლა-მაღლა მიიწევდა და სინდიეთის მთებში იხიზნებოდა. უკან დაბრუნებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო; კიდევაც რომ დაბრუნებულიყვნენ, თავშესაფარი არსად ეგულებოდათ. შენობები და სალოცავები ცეცხლის ალში იყო გახვეული, ამიტომ ხალხმა ისევ უკან დახევა არჩია და თავი დროებით, სოფელ აჭარის აღმართს შეაფარა. მაგრამ დიდხანს ყოფნა არც აქ დასცალდათ — თურქებმა ვერ გაუძლეს რუსების შემოტევას და უკან გაბრუნდნენ იმავე გზით, რა გზითაც შემოვიდნენ, თან ხალხიც გაიყოლიეს — შიშველ-ტიტველი ბავშვები, ქალები და მოხუცები, რომლებიც სოფელ მარადიდიდან გადარეკეს ჭოროხის წყლის გაღმა. ამ დღიდან მათ შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ასე დაიცალა მაჭახელას ხეობა, დარჩა მხოლოდ მიტოვებული სოფლები, გადამწვარი სახლები და გავერანებული კარმიდამოები.[1]

ომის პერიოდში აჭარაში გაძლიერდა პანისლამიზმისა და პანთურქიზმის იდეების პროპაგანდა. ხოჯები, მოლები, მოღალატე ბეგები, თურქეთიდან შემოგზავნილი აგენტები ყოველგვარი საშუალებით ცდილობდნენ აჭარის დედასამშობლოდან ჩამოშორებას და იქ თურქეთის ბატონობის აღდგენას. ამას ემატებოდა რუსული შოვინისტური ექსპანსიური წრეების ანტიქართული საქმიანობა. მართალია რუსეთი თურქეთს უპირისპირდებოდა, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება მოსყიდული ბეგებისა და თავისი ერთგული მოხელეების საშუალებით აჭარელ მოსახლეობას შთაუნერგავდა,

---

[1] ცსსა, ფონდი 13, საქ. 1896, ფურ. 3.

რომ ისინი ქართველები კი არა, თურქები იყვნენ. ამით რუსეთი ცდილობდა გაეთიშა ქართველების ერთიანობა, ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველები და ადვილად განეხორციელებინა თავისი იმპერიული გეგმები. რუსი მოხელეები ამ ომში ადანაშაულებდნენ აჭარის მუსულმანურ მოსახლეობას მათი თურქოფილური განწყობილების გამო, რაც სინამდვილეს არ შეეფერებოდა. აჭარელთა უმრავლესობა მონაწილეობას იღებდა თურქეთის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლებში და თავისი წვლილი შეჰქონდა პანთურქიზმის ლიდერთა ავანტურისტული გეგმების ჩაშლაში. აჭარის პროგრესული ძალები: მემედ აბაშიძე, ჰაიდარ აბაშიძე, ისმაილ კაიკაციშვილი, რეჟიბ ნიჟარაძე, სულეიმან დიასამიძე, აბდულ მიქელაძე, სახიფ-ეფენდი მეხეშიძე, ოსმან გურგენიძე და სხვები თავდადებით იბრძოდნენ აჭარაში ქართული ცნობიერების დამკვიდრებისათვის. ისინი მოსახლეობას განუმარტავდნენ ომის ნამდვილ მიზნებს, ამხელდნენ პანთურქისტული და პანისლამისტური იდეების მავნებლობას და ხელს უწყობდნენ მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების დაახლოებას. იმდროისათვის ქართველ მაჰმადიანთა შორის ჯერ კიდევ ბევრი ფიქრობდა, რომ ქრისტიანებთან დაახლოებით საკუთარ სჯულს ღალატობდა. ჰაიდარ აბაშიძე ცდილობდა დაემტკიცებინა მათთვის, რომ ისინიც ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორიც ქრისტიანი ქართველები, მხოლოდ სარწმუნოება ჰქონდათ სხვაგვარი. იგი თავის „წერილებში" სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ქართველი მაჰმადიანები საკუთარ ისტორიულ წარსულს არ იცნობდნენ და აქამდის ვერ გაეთვითცნობიერებინათ თავიანთი ეროვნული ვინაობა. მათი დიდი ნაწილი თავს თათრებად თვლიდა და უფრო თურქული ენისადმი მიიღტვოდა, ვიდრე დედაენისადმი, რაც, ჰ. აბაშიძის აზრით, ხელს უწყობდა ეროვნული თვითშეგნების მიძინებას („მაჰმადიან ქართველთა ფანატიკოსობა და ეროვნული გრძნობა").[1]

თურქოფილთა გაძლიერებული პანისლამისტური პროპაგანდის პირობებში, როდესაც აჭარას კვლავ საქართველოდან მოწყვეტის

---

[1] ჰაიდარ აბაშიძე, წერილები, თბ., 1963 წ., გვ. 57-58.

საფრთხე ემუქრებოდა, ჰაიდარ აბაშიძის მოწოდებები აჭარელი მოსახლეობისადმი ხელს უწყობდა ქართული ცნობიერებისაკენ მათ შემობრუნებას. ერთ-ერთ ასეთ მოწოდებას შეიცავდა ჰ. აბაშიძის წერილი „საგულისხმო პროტესტი", რომელსაც ხელს აწერდა 19 აჭარელი. იგი გამოქვეყნდა „ბათუმის გაზეთში" 1914 წელს.

„... ჩვენ პროტესტს ვუცხადებთ იმ ვაჟბატონებს, — წერს ჰ. აბაშიძე, — რომელნიც თავისი უვიცობით, ქვენა მიზნებით ან რაიმე სხვა განზრახვით, წინ ელობებიან მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების ეროვნულ-კულტურულ დაკავშირებას".[1]

სწორედ ეროვნულ-კულტურული კავშირი მიაჩნდა ჰ. აბაშიძეს მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების სულიერი დაახლოების მთავარ პირობად. ამიტომაც იყო, რომ იგი მოუწოდებდა თავის მოძმეებს, თავი დაეღწიათ რელიგიური ფანატიზმისაგან და ერთ დიდ ცეცხლად დაენთოთ ეროვნული გრძნობის ის პატარა ნაპერწკალი, რომელიც აქამდე ღვივოდა მათ გულში. ეს იყო სამშობლოს სიყვარული, რომლის ამოძირკვა ვერ შეძლეს ოსმალებმა სამი საუკუნის განმავლობაში.

ჰაიდარ აბაშიძე ომის მძიმე განსაცდელიდან გამოსავალს მხოლოდ ქრისტიან მოძმეთა დახმარებაში ხედავდა. ეს მან მეტად მგრძნობიარედ გამოხატა გაზეთ „სახალხო ფურცელში" გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში, სადაც ქართველ საზოგადოებას მოძმე აჭარელთა დახმარებისაკენ მოუწოდებდა. ამ წერილმა არაერთ ქართველს მოჰგვარა თვალებზე ცრემლი. ამ წერილის გამო დომინიკა ერისთავი (განდეგილი) „სახალხო ფურცელში" ქართველი ქალების მისამართით წერდა: — „ქართველო ქალებო, გადაიკითხეთ გუშინდელ „სახალხო ფურცელში" მოთავსებული წერილი ჰაიდარ-ბეგ აბაშიძისა? თუ არ წაგიკითხავთ, გთხოვთ წაიკითხოთ და მაშინ დამეთანხმებით, რომ ამ სტრიქონების დამწერი უცრემლოდ ვერ წაიკითხავდა აბაშიძის წერილს. უცრემლოდ მეთქი ვამბობ, ეს ცოტაა — მე ვქვითინებდი ბავშვივით... ხმა მივცეთ გულდაკოდილ ძმებს, ვამცნობოთ, რომ ქართველ ქალთა ნაზი გრძნობა არ გამქრა-

[1] „ბათუმის გაზეთი", 1914 წ., № 45.

ლა, იგი ერთგვარის სიყვარულით ექცევა როგორც ქრისტიან, ისე მაჰმადიან ქართველს, ვაუწყოთ, რომ ჩვენ ერთის დედმამის შვილები ვართ — ერთ ცის ქვეშ დაბადებულნი და აღზრდილნი, რომ არ არის ორი საქართველო, იგი მხოლოდ ერთია ქვეყანაზე და მისი შვილების უბედურება გულს გვიკლავს რა სარწმუნოებისაც უნდა იყოს იგი".[1]

ჰაიდარ აბაშიძე არა მხოლოდ პუბლიცისტური წერილებით გამოხატავდა თავის თანადგომას ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველებისადმი, არამედ პირადად მონაწილეობდა კიდეც ქართული საქველმოქმედო საზოგადოების საქმიანობაში, ეხმარებოდა საზოგადოების ხელმძღვანელობას სამუსულმანო საქართველოს სხვადასხვა რაიონის მოსახლეობასთან კონტაქტის დამყარებაში. ჰ. აბაშიძე დიდი მონდომებით ცდილობდა შეესრულებინა მუჰაჯირობის დროს (1879-1881 წწ) ძველ ტრაპიზუნ'ში გადასახლებულ ქობულეთელების თხოვნა — „ან წაგვიყვანეთ ჩვენს სამშობლოში, ან აქ მოგვხედეთო".[2]

აჭარაში ქართული ორიენტაციის განმტკიცებას უდიდესი თავდადებით ემსახურებოდა მემედ აბაშიძე. მისი პუბლიცისტური წერილები მამულიშვილობის, დედაენის, სარწმუნოების და ქართველი ერის სხვა საჭირბოროტო საკითხებზე ხელს უწყობდა აჭარის მოსახლეობის ეროვნულ გათვითცნობიერებას, მუსლიმან და ქრისტიან ქართველთა ეროვნულ-კულტურულ დაახლოებას.

— „ნურავინ ფიქრობს, რომ სარწმუნოება და ეროვნება ერთი და იგივეა — წერს მ. აბაშიძე — ჩვენ მტკიცე მუსლიმანები ვართ, მაგრამ მასთან ერთად ჩვენ ქართველები ვართ, საქართველოს ღვიძლი შვილები. ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ გარდა საქართველოსი, ჩვენი ხსნა არ არის. მოიგონეთ, რომ როცა ჩვენ ვძრწოდით ცეცხლისა და მახვილის ქვეშ, ჩვენი მშველელნი იყვნენ მხოლოდ ჩვენი ძმები — ქართველი ქრისტიანები".[3]

მემედ აბაშიძე აჭარის მოსახლეობის მორალური და მატერი-

---

[1] გაზ. „სახალხო ფურცელი", 1915 წ., № 235.
[2] გაზ. „საქართველო", 1916 წ., № 188.
[3] მემედ აბაშიძე, რჩ. ნაწ., ბათ., 1973 წ., გვ. 30.

ალური დახმარების საქმეში განსაკუთრებულ როლს ქართულ პრესას და საქველმოქმედო საზოგადოებას ანიჭებდა. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: — „ქართულ პრესასა და განსაკუთრებით ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას უანგარო შრომა და ღვაწლი მიუძღვის სამაჰმადიანო საქართველოში მშობლიური სკოლების გახსნისა და მაჰმადის სარწმუნოების თანამემამულეთა დაცვის საქმეში. ჩვენდამი მათი ამაგი და მზრუნველობა ვერ დაიფასების. განა შესაძლებელია დააფასოს შობილმა მშობლის ამაგი და მზრუნველობა? შეუძლებელია, შვილი მშობლის ამაგსა და მზრუნველობას ვერ დააფასებს, ვერ გადაიხდის იმ დრომდე, ვიდრე ის თავის შვილს არ გაუწევს მსგავს მზრუნველობას. ასე ჩვენც მხოლოდ ამისთანა პირობებით შევიძლებთ დაფასებას, როცა ჩვენს მომავალ თაობას გავუწევთ იმგვარ ამაგსა და მზრუნველობას, როგორიც გაგვიწიეს ჩვენმა ძმებმა, ქართველმა ქრისტიანებმა.

— აი, ასეთმა მშობლიურმა დამოკიდებულებამ და წმინდა კავშირმა, განურჩევლად სარწმუნოებისა, დაამყარა ჩვენ შორის წრფელის გულით სიყვარული, მხურვალე თანაგრძნობა, პატივისცემა და ნდობა, რაც სასწაულმოქმედ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენს ცხოვრებაში და ოქროს ასოებით უნდა აღნიშნულ იქნას ჩვენი ისტორიის ფურცლებზე...“[1]

ქართული საქველმოქმედო საზოგადოება პირველი გამოვიდა ომის დროს „მოღალატეობის სუდარაში გახვეულ“ აჭარელთა დასახმარებლად. მან პირველმა გაამახვილა ფართო საზოგადოების ყურადღება აჭარის მოსახლეობის უმწეო მდგომარეობაზე და ქართველ საზოგადოებას მოუწოდა, რომ „საჭირო იყო თბილი გრძნობების ალაპარაკება და ძმური სიტყვის მტკიცედ თქმა ობლად დარჩენილ აჭარელთა გასამხნევებლად“.[2]

საქველმოქმედო საზოგადოების ამგვარი მისწრაფება მაშინდელ პირობებში გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული, რადგან ბათუმის გუბერნატორმა ლიახოვმა აჭარლები მოღალატეებად გამოაცხ-

---

[1] მეჰედ აბაშიძე, რჩ. ნაწ., ბათ., 1973 წ., გვ. 23-24.
გაზ. „საქართველო“, № 107, 1915 წ.

ადა და ბევრი მათგანი შორეულ მხარეში გადაასახლა. ამგვარი ვითარება ხელს უშლიდა საერთო ეროვნული ძალების კონსოლიდაციას აჭარელთა დახმარების მიზნით. ქართული საქველმოქმედო საზოგადოება არ შეუშინდა ამას და სათავეში ჩაუდგა მაჰმადიან მოძმეთა მორალური და მატერიალური მხარდაჭერის საქმეს.

1915 წელს საქველმოქმედო საზოგადოებამ ომის ვითარების გაცნობის მიზნით აჭარაში მიავლინა თავისი რწმუნებულები პ. ქავთარაძე და პ. საყვარელიძე. მიუხედავად იმისა, რომ, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა მთელი ბათუმის ოლქის დათვალიერება, მაინც შეძლეს საყურადღებო ცნობების შეკრება შექმნილი ვითარების შესახებ. ამ ცნობების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ომის შედეგად გავერანებული აჭარის მძიმე სურათის აღდგენა: ომის პირველივე დღეებში ციხის რაიონიდან და მაჭახალიდან ზემო და ქვემო აჭარაში გადასახლებულა 200 ოჯახი; შავშეთის მხარეს, სოფელ შავქედში გადამწვარა 15 ოჯახი და 150 სული ყოვლად უმწეოდ დარჩენილა; შავშეთიდან გონიოში 13 ოჯახი გადახვეწილა; შავშეთიდან გამოქცეული 200 კაცი სოფელ გარკილომში იყო გახიზნული; არტანუჯის მხარეს 19 სოფელი მთლიანად იყო გადამწვარი, 15 — სანახევროდ; დასახლებულ სოფლების მცხოვრებთა რაოდენობა ომამდე 20 ათასი კაცი ყოფილა, მათ შორის 18 ათასი სად იყო გადახვეწილი, არავინ იცოდა; დარჩენილი 2 ათასი კაციდან ნახევარზე მეტი უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა.

ართვინის მხარეში ომამდე დაახლოებით 25 ათასი მცხოვრები ყოფილა. მათ შორის ადგილზე მხოლოდ 100-მდე კაცი დარჩენილა (ძირითადად ართვინსა და სოფელ კვარცხანაში), დანარჩენი — გახიზნულა; მურღულის მხარეში შემორჩენილა 60-მდე ოჯახი; მთლიანად დაცარიელებულა გონიოს ნაწილი; ყველაზე მძიმე სურათი იყო ხერთვისის სასოფლო ოლქში, სადაც 786 ოჯახიდან დევნილობაში ყოფილა 295 ოჯახი და 50 კერძო პირი, დანარჩენი 196 ოჯახი გადამწვარა.[1]

— „ცუდ დღეშია დღეს მთელი აჭარა — ეკითხულობთ გაზეთ

[1] გაზ. „საქართველო", № 17, 1915 წ.

„საქართველოში“ — იგი სავსეა ობოლი ბავშვებით, ავადმყოფი დედაკაცებით, მოხუცებით. ყველანი შიმშილსა და ტანჯვას განიცდიან. საჭიროა შველა და დახმარება“.[1]

საქველმოქმედო საზოგადოების მიერ შეკრებილი ცნობებით, ყველაზე მეტი დევნილი იყო ბათუმისა (24500) და ართვინის (30000) ოლქებში, სულ 60 ათას კაცამდე; ახალციხის მაზრაში იყო 1500 დევნილი, ზუგდიდის მაზრაში — 2000.[2] დევნილთა რაოდენობის შესახებ აღნიშნული მონაცემები მოტანილია თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის დეპეშაში, რომელიც მან გაუგზავნა პეტერბურგში დ. ჭიაბრიშვილს. იგი წარგზავნილი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროში დევნილთა საკითხთან დაკავშირებით თათბირში მონაწილეობის მისაღებად. ეს მონაცემები ეყრდნობოდა ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მიერ შეკრებილ ცნობებს.

1915 წელს საქველმოქმედო საზოგადოებამ ომისაგან დაზარალებული ოჯახებისა და დევნილთა რეგისტრაციის მიზნით თავისი განყოფილებები გახსნა ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში, ზუგდიდში, ფოთში, ახალსენაკში, გორში, ახალციხეში და სხვ. ამ დროისათვის გახსნილი იყო 15-მდე სარაიონო განყოფილება. თითოეულ განყოფილებას ყავდა საკუთარი გამგეობა, რომელიც თბილისის ცენტრალური გამგეობის ინსტრუქციების საფუძველზე მოქმედებდა.

ბათუმის განყოფილება წარმოადგენდა საქველმოქმედო საზოგადოების დასაყრდენ პუნქტს აჭარაში. განყოფილების გამგეობაში შედიოდნენ: ე. კრინიცკი (თავმჯდომარე), რეჯიბ-ბეგ ნიჟარაძე, გ. ელიავა, ს. მდივანი, ი. მელია, ისმაილ-ეფენდი, ი. ლორთქიფანიძე, გ. ანჯაფარიძე. განყოფილების საშუალებით ცენტრალური გამგეობა ახლოს ეცნობოდა აჭარის მდგომარეობას, პატრონობდა დევნილთა მიერ მიტოვებულ ადგილ-მამულს, მზრუნველობას უწევდა უკან დაბრუნებულ დევნილთა ოჯახებს და სხვ.

1915 წელს საქველმოქმედო საზოგადოებამ აჭარაში, მაჭახ-

---

[1] გაზ. „საქართველო“, № 17, 1915 წ.
გაზ. „საქართველო“, № 107, 1915 წ.

ელასა და გონიოში ადგილობრივი მოსახლეობის დასახმარებლად გაგზავნა 11 ვაგონი სიმინდი (დაახლოებით 11 ათასი ფუთი). შავშეთ-იმერხევში სიმინდის ნაცვლად დარიგდა ფული, რადგან ადგილობრივი მცხოვრებლები ძირითადად პურით იკვებებოდნენ. ამ საქმეს სათავეში ედგა საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილება (რწმუნებულები ს. მდივანი და გ. ანჯაფარიძე).

დარიგდა თბილი ტანსაცმელიც, მარილი, საპონი და პირველმოხმარების სხვა საგნები.[1] ბათუმის განყოფილების ინიციატივით არტანუჯის რაიონში ადგილობრივ მცსოვრებლებს დაურიგეს 5 ათასი ფუთი სიმინდი, რამაც რამდენადმე შეამსუბუქა მათი მდგომარეობა. როგორც ამბობდნენ, აქ თითქმის ყოველდღე შიმშილისაგან რამდენიმე კაცი იხოცებოდა.

საქველმოქმედო საზოგადოება ბათუმის სარაიონო განყოფილების მეშვეობით აჭარის მოსახლეობას აწვდიდა აგრეთვე სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, დახმარებას უწევდა მათ იურიდიული კონსულტაციებით, სამედიცინო პუნქტების დაარსებით და სხვ. 1915 წელს გამგეობის ინიციატივით შეიქმნა საექიმო კომისია ცნობილი ექიმის გიორგი მუხაძის თავმჯდომარეობით. კომისიაში შევიდნენ: ი. ელიაშვილი, შ. მიქელაძე, პ. კაკილაშვილი, პროფესორი ა. ახვლედიანი და სხვ. სოფელ ხულოში (ზემო აჭარა) გაიხსნა სამედიცინო პუნქტი, სადაც ავადმყოფებს უფასოდ მკურნალობდნენ. მარტო ორი თვის მანძილზე სამედიცინო პუნქტს 869 ავადმყოფისათვის აღმოუჩენია დახმარება.

კავკასიის ნამესტნიკმა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას ოფიციალურად ნება დართო ბათუმის ოლქის მაპმადიანი მოსახლეობისათვის შეეგროვებინა სხვადასხვა სახის შემოწირულობანი მთელი კავკასიის მასშტაბით. შემომწირველთა გვარები პრესაში ქვეყნდებოდა. ქართული პრესა გვერდში ამოუდგა საქველმოქმედო საზოგადოებას, რომელსაც ხალხის ყურამდე მიჰქონდა ომისაგან დაზარალებულ აჭარელთა გასაჭირი და მათ დახმარებისკენ მოუწოდებდა.

---

[1] ცსსა, ფონ.13, საქ. 1896, ფურ.I.

ქართველი საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდა ამგვარ მოწოდებებს. გაზეთ „სახალხო ფურცლის“ რედაქციამ შემოსწირა 1800 მანეთი, გაზეთ „თანამედროვე აზრის“ რედაქციამ — 504 მანეთი, სიღნაღის „საურთიერთო ნდობის საზოგადოებამ“ — 200 მანეთი, ეპისკოპოსმა კირიონმა — 100 მანეთი და სხვ.

საგულისხმოა, რომ შემოწირულობები გროვდებოდა არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, სადაც ქართველები მოსახლეობდნენ — პეტერბურგში, მოსკოვში, კიევში, ოდესაში, ბაქოში და სხვ. 1915 წელს მოსკოვის ქართველთა საზოგადოებამ აჭარელთა დასახმარებლად საქველმოქმედო საზოგადოებას გამოუგზავნა 2 ათასი მანეთი; პეტროგრადის ქართველთა საზოგადოებამ (თავმჯდომარე სალომე ობოლენსკაია) — 5 ათასი; გარდა ამისა, საზოგადოება დახმარებას უწევდა პეტროგრადში მყოფ დაჭრილ ქართველ მეომრებს.

საქველმოქმედო საზოგადოების ამგვარმა მზრუნველობამ მადლიერების გრძნობა გამოიწვია აჭარის მოსახლეობაში; ზოგიერთმა მათგანმა ეს საგაზეთო წერილებში გამოხატა. მაგალითად, გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა აჭარელთა ერთი ჯგუფის „ღია წერილი“ რედაქტორისადმი. წერილში ვკითხულობთ:

— „ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ქართველ მოძმე საზოგადოებას ჩვენი გულითადი მადლობა მას ზედა, რომ ქართველმა ძმებმა ჩვენ დახმარება აღმოგვიჩინეს და საკვები სიმინდი მოგვაწოდეს.

პატივისცემით: ახმედ აბულაძე, აბდულ მიქელაძე, ქარუნ-ოღლი“.[1]

ქრისტიანი ხოჯი-ოღლი გაზეთ „ძმურ სიტყვაში“ დაბეჭდილ წერილში („ძმა ძმისთვინა, შავი დღისთვინა“) წერს: — „არც ერთ ქართულ ეროვნულ საქმეს არ გამოხმაურებია საქართველო ასე მხურვალედ, როგორც ამ ამბავს. ქართველმა ქრისტიანებმა დაივიწყეს პირადი გაჭირვება, საკუთარი შიმშილი; მთელი ქართველობა, როგორც ერთი კაცი, გაიტაცა ნათესაურმა გრძნობამ. გრძნობამ

[1] გაზ. „საქართველო“, 1915 წ. № 88.

აჭარლების დახმარებისამ... ბრძოლის ველზე მყოფმა ქართველმა ჯარისკაცებმა, ქალებმა, მუშებმა, მოსწავლე-ახალგაზრდობამ, რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გადახვეწილმა ქართველებმა, მუშებმა, სოფლელმა გლეხობამ, ვაჭრებმა, მღვდლებმაც — ყველამ გამოიღო თავისი წვლილი. შეუდგა მოქმედებას ქართული საქველმოქმედო საზოგადოება და ჩაუდგა სათავეში შემოწირულების დანიშნულებისამებრ მოხმარებას...“[1].

1915 წელს ომით დაზარალებულ მაჰმადიან ქართველთა მორალურად გამხნევების მიზნით, ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ინიციატივითა და დახმარებით, აპ. წულაძემ გამოსცა ბროშურა „ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს“, რომელშიც გაშუქებული იყო აჭარის გმირული ისტორიული წარსული და იმდროინდელი მძიმე ვითარება, ამასთან, გამოთქმული იყო მომავლისადმი რწმენა, რაც ხელს უწყობდა აჭარის მოსახლეობაში ქართული ცნობიერების შეტანას.

მეტად შთამაგონებლად გაისმოდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორის, იოსებ იმედაშვილის სიტყვები: „სწორედ ახლა გვმართებს, როგორც იტყვიან, ფოლადის ქალამნის ჩაცმა, რკინის კვერთხის ხელში დაჭერა და ქვეყნითი ქვეყნად სიარული, რათა დავუმტკიცოთ ყველას, რომ ქართველი მუსლიმანები ჩვენი ძმებია და მათი აკლება ჩვენი აკლებაც არის“.[2]

რუსი შოვინისტები ყოველნაირად ცდილობდნენ ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინათ ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველები, გაეღვივებინათ მათ შორის სარწმუნოებრივი შუღლი და მტრობა, მაგრამ მათ ეს არ გამოსდიოდათ. მაგალითისათვის მოვიტანთ ერთ პატარა ეპიზოდს, რომელიც ქართული საქველმოქმედო საზოგადოების წლიურ ანგარიშშია დაფიქსირებული: როცა მტერი ართვინს უტევდა, ართვინის სომხურ-კათოლიკური ეკლესიიდან უნდა გამოეტანათ ხვთისმშობლის ძვირფასი ხატი. დიაკონმა ვართანიანმა უარი თქვა ტაძრიდან ხატის გამოტანაზე; მაშინ ტაძრიდან ხატი გამოასვენეს და მის დაცვაზე იზრუნეს საოლქო მმართველობის საქმეთამწარ-

[1] ფურცელი-ალმანახი, № 1, „ძმური სიტყვა“, 1915 წ., № 26, ივლისი.
[2] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915წ., № 26.

მოებელმა ქართველმა მაჰმადიანებმა სულეიმან ეფენდი ტაბახიძემ და კიდევ ორმა ადგილობრივმა მცხოვრებმა. ამ ქართველ მაჰმდიანებს მოჰქონდათ ქრისტიანული სიწმინდე და გზადაბნეული და შეშინებული ქრისტიანები მათ თავდაზრით ეგებებოდნენ.[1]

როგორც იმავე ანგარიშშია აღნიშნული, რუსი შოვინისტები ზღვის სანაპირო ადგილებიდან გადარჩენილ მოსახლეობას გადასახლებას უპირებდნენ შორეულ მთიანსა და მიყრუებულ ადგილებში; სამაგიეროდ, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ აჭარის ზეთისხილიან და ფორთოხლიან რაიონებში რუს დაჭრილ მეომართა ოჯახების ჩამოსახლებაზე. გენერალმა ლიახოვმა განკარგულებაც კი გასცა შეეკრიბათ ცნობები, თუ რომელ დაჭრილს სურდა ახლავე გადმოეყვანა თავისი ოჯახი აჭარის მიტოვებულ სოფლებში. თითოეულ სულს უნდა მისცემოდა ერთი დესეტინა ნოყიერი სახნავ-სათესი მიწა და ათი დესეტინა ტყიანი ადგილი; ზოგიერთი რუსი ადმინისტრატორი ამ ადგილებში ოსმალეთიდან ლტოლვილი სომხების ჩამოსახლებასაც გეგმავდა, რაც, ცხადია, დემოგრაფიულ საფრთხეს შეუქმნიდა აჭარის ადგილობრივ მცხოვრებლებს. მთავრობა ამგვარ პოლიტიკას ომში აჭარელთა ღალატით ამართლებდა.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოება გამოესარჩლა „მოღალატეებად მონათლულ“ აჭარლებს. 1915 წლის 12 ივნისს საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობის სხდომაზე მოწვეულ იქნა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი აკ. ჩხენკელი, რომელმაც რამდენჯერმე იმოგზაურა აჭარაში და იცნობდა იქაურ ვითარებას. ბათუმის განყოფილებიდან სხდომას ესწრებოდა ს. მდივანი. ვრცელი მოხსენებით გამოვიდა პ. ქავთარაძე., რომელიც საქველმოქმედო საზოგადოების დავალებით იმყოფებოდა აჭარაში და შეგროვილი ჰქონდა დიდძალი ფაქტობრივი მასალა აჭარელთა უმწეო მდგომარეობაზე. ამასთან დაკავშირებით „ქუთათური მწიგნობარი“ გაზეთ „საქართველოში“ წერდა: — „ეს ნედლი მასალა მომხსენებელს ჯერ სისტემურად არ დაუწყვია და არ დაუმუშავებია, მაგრამ რაც მან ქუთაისის თათბირზე მოგვახსენა, ისიც საკმარისი

[1] ანგარიში ქართული საქველმოქმედო საზოგადოებისა 1915 წელს, ტფ., 1915 წ.

იყო, რომ ყოველ შეგნებულ ქართველს თმა ყალყზე ასდგომოდა".[1]

ქუთაისის გამგეობის სხდომაზე, აკ. ჩხენკელის წინადადების საფუძველზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება — აჭარელთა დასახმარებლად შეედგინათ იურიდიული კომისია, სადაც მოიწვევდნენ ცნობილ ვექილებს ქუთაისიდან, თბილისიდან, ბათუმიდან, პეტროგრადიდან და მოსკოვიდან.[2]

ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ზნეობრივ მოვალეობას შეადგენდა ეტვირთა აჭარელთა დაცვის საქმე. მისი ინიციატივით შედგა იურიდიული კომისია ს. ჯაფარიძის თავმჯდომარეობით. კომისიაში შევიდნენ მოწვეული ვექილები: პ. გედევანიშვილი, ი. გუნცაძე, ი. ბარათაშვილი, შ. მესხიშვილი, ი. მაჭავარიანი, ნ. ქარცივაძე და სხვ.[3]

1915 წელს გაიმართა 5 სასამართლო პროცესი (გამოძიება მიმდინარეობდა 110 აჭარლის საქმეზე). 17 სექტემბერს ბათუმის სამხედრო სასამართლოში დაიწყო 9 აჭარლის გასამართლება, რომლებსაც სახელმწიფო ღალატში ედებოდათ ბრალი. ბრალდებულებს იცავდნენ: ბათუმელი ვექილები მუატი, ფუქსი და ანჯაფარიძე; ქუთაისელი ვექილები — ევგ. გეგეჭკორი (სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი), თავადი მ. ფაღავა და თბილისელი ვექილები ზელენსკი და ი. მაჭავარიანი.

29 სექტემბერს დაიწყო ყველაზე დიდი სასამართლო პროცესი — 43 არტანუჯელის გასამართლება, რომლებსაც 13 ვექილი იცავდა. სასამართლომ 16 ბრალდებული გაამართლა, 30-ს სამუდამო კატორღა მიესაჯა, 3-ს — სიკვდილით დასჯა.[4]

ქართველმა ვექილებმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს აჭარელთა გასამართლების საქმეს, რასაც უფრო მეტად მორალური მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე წმინდა პრაქტიკული. ვექილები ენერ-

[1] გაზ. „საქართველო", 1915 წ., № 107.

[2] აჭარელთა დასაცავად აკ. ჩხენკელმა IV სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან საყურადღებო სიტყვა წარმოთქვა 1916 წლის 11 თებერვალს. იხ. Государственная Дума. Стеногр. отчет., Сессия 4, С. Петроград, 1916., გვ 1472-1480.

[3] ანგარიში ქართული საქველმოქმედო საზოგადოებისა 1915 წ., ტფ., 1915 წ.

[4] იქვე.

გიას არ იშურებდნენ დაემტკიცებინათ აჭარელთა უდანაშაულობა და საჯაროდ აცხადებდნენ, რომ მათი მოღალატეებად ჩარიცხვა საშინელი ცილისწამება იყო. ამ სასამართლო პროცესებმა პოპულარული გახადა ქართველების სახელი აჭარაში. ამის მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ, როდესაც იქ საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებულები ჩავიდნენ, მათ საკუთარი თვალით იხილეს, თუ როგორ იხდიდნენ აჭარლები თავიანთ ჯამეებში სამადლობელ პარაკლისებს გურჯისტანის სადიდებლად.[1]

საქველმოქმედო საზოგადოებამ აღგილობრივ ხელისუფლებასთან ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად შეძლო ომში დაზარალებულ აჭარელთა შვილებისათვის დაწყებითი სკოლები გაეხსნა აჭარის შემდეგ სოფლებში: ყოროლისთავში, ხუცუბანში, ზემო აგარაში, ქვემო აგარაში, ჩხუტუნეთში და ალამბარში; სოფელ ხულოში გაიხსნა სადერგლო, საზეინკლო და სამჭედლო სახელოსნო სასწავლებლები. მოსახლეობის მოთხოვნილება სკოლებზე გაცილებით მეტი იყო, მაგრამ ომიანობით გამოწვეული ვითარების გამო საზოგადოება ვერ აკმაყოფილებდა მათ თხოვნას. გარდა ამისა, რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლება მრავალ დაბრკოლებას უქმნიდა საქველმოქმედო საზოგადოებას სკოლების გახსნის საქმეში. მეფისნაცვლის კანცელარიის საიდუმლო განყოფილება საზოგადოების ამგვარ საქმიანობას სეპარატიზმით ნათლავდა და ამაში ხედავდა ქრისტიანი და მუსულმანი ქართველების გაერთიანების მცდელობას რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, იმდენად დიდი იყო ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ავტორიტეტი აჭარის მოსახლეობაში, რომ მთავრობამ საზოგადოების მიერ გახსნილი სკოლების დახურვა ვერ გაბედა.

აჭარაში ქართული სკოლების დაარსებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხარის ეროვნულ-კულტურული შემომტკიცებისათვის. ამის შესახებ ხაზგასმით მიუთითებდნენ იმდროინდელი ქართველი მოღვაწეები. ეკ. გაბაშვილი წერდა: — „ყოველ სოფელში, რომელიც კი მაჰმადიანი ქართველებით არის დასახლებული, უნდა გავხსნათ ქართული სკოლა და სკოლაში მასწავლებლად გავაგზავნოთ

---

[1] ანგ. ქართული საქველმოქმედო საზოგადოებისა 1915 წელს, ტფ., 1915 წ.

ქართველი ქალები; ქალები, რომელნიც იკისრებენ არა მარტო წერა-კითხვის გავრცელებას, არამედ გავრცელებას ძმობისას, ერთობისას, მშვენიერების და თავისუფლებისას“...[1]

სოფრომ მგალობლიშვილის აზრით, „ქართული სკოლა და ქართული წერა-კითხვის გავრცელება“ იყო წამალი მაჰმადიან ქართველების ეროვნულ-კულტურულად დაახლოებისა და მათი შემოერთებისა.[2]

ეპისკოპოსი ლეონიდე აღნიშნავდა: „ქართული წიგნის ცოდნა და შვილების განათლება — აი, რა სწყურია და რა ენატრება დასავლეთ საქართველოს ჩვენს ძმებს ქართველ მაჰმადიანებს... უნდა პირიდან ლუკმა გამოვიღოთ, პერანგები გავიხადოთ და აჭარა-ქობულეთი მოვფინოთ ქართული მწიგნობრობით“.[3]

ასევე ფიქრობდნენ: გიორგი ჟურული, გრიგოლ ყიფშიძე, ვასილ ყიფიანი, გიორგი ლასხიშვილი, დომინიკა ერისთავი (განდეგილი), გიორგი მაიაშვილი, კიტა აბაშიძე და ბევრი სხვა იმდროინდელი თვალსაჩინო ქართველი მოღვაწე. მართალია, ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ ვერ შეძლო მთელი აჭარა ქართული სკოლებით მოეფინა, მაგრამ ისიც, რაც მან გააკეთა, უდაოდ ყურადღების ღირსია და პატივისცემას იმსახურებს.

საქველმოქმედო საზოგადოება აჭარის გარდა დახმარებას უწევდა აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ომისაგან დაზარალებულ ქართველ მოსახლეობას. ამ მიზნით საზოგადოების სარაიონო განყოფილებების მეშვეობით სარეგისტრაციო პუნქტები გაიხსნა აბაშაში, ძველ სენაკში, ბანძაში, კიწიაში, ნოქალაქევში, ანაკლიაში, ზუგდიდში, წალენჯიხაში, ცაიშში, ოზურგეთში, ზესტაფონში, ფოთში, გორში, ახალციხეში, ახალქალაქში და სხვ. ამგვარი პუნქტების საშუალებით შესაძლებელი ხდებოდა დაედგინათ ლტოლვილთა რაოდენობა, შემოეტანათ და გაენაწილებინათ სურსათი და სხვა საჭირო საგნები სოფლის მოსახლეობაში. მაგალითად, 1916 წელს დასავლეთ საქართველოში მოუსავლიანობის დროს საქველმოქმედო საზოგადოება დაეხმარა ადგილობრივ მცხ-

---

[1] „ძმური სიტყვა“, 1915 წ., 26 ივლისი.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ოვრებლებს საკვები პროდუქტებითა და ტანსაცმლით. გარდა ამისა, საზოგადოება გარკვეულ დახმარებას უწევდა რუსეთსა და საზღვარგარეთ მყოფ ქართველ დაჭრილ მეომრებს, რუსეთში მოსწავლე გაჭირვებულ ქართველ სტუდენტობას, ზოგიერთ ქართულ ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებას და სხვ. ამაზე მიუთითებს საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის 1915 წლის 15 ოქტომბრის სხდომის დადგენილება, რომლის სრული ტექსტი გაზეთ „საქართველოშია" დაბეჭდილი. მოგვყავს ზოგიერთი მუხლი ამ დადგენილებიდან:

„1. გურიისა და ფოთის კოოპერატივთა წარმომადგენლების კრებაზე, რომელიც ოზურგეთში უნდა შესდგეს 21 დეკემბერს, საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენლად გაიგზავნოს გ. ცინცაძე;

2. ქართველ მაჰმადიანთა შესახებ ბ-ნ ს. ფირცხალავას ეთხოვოს ლექცია გაიმართოს ახალ კლუბში 25 ოქტომბერს;

3. ქ-ნ ან. წერეთლისას, რომელიც დახმარებას სთხოვს საზოგადოებას „ჯეჯილისა" და სახალხო წიგნების გასაგზავნ ხარჯების დასაფარავად ქართველ მაჰმადიანთათვის, მიეცეს 25 მან; ამდენივე ფული მიეცეს იმავე საგნისათვის წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას;

4. განმეორებით ეთხოვოს ა. ყიფშიძეს დააჩქაროს მოხსენების შედგენა დასავლეთ საქართველოს მდგომარეობის შესახებ;

5. ომის გამოცხადების შემდეგ უცხოეთში ჩარჩენილ ქართველებს, რომელნიც ქონებრივად დიდს გასაჭირს განიცდიან, მიეცეთ საზოგადოების თანხიდან 400 მან;

6. რაც კი რამ ცნობები მოეპოვება საზოგადოებას საერთოდ ქართველ გადმოხვეწილთა შესახებ, გადაეცეს მთელ რუსეთის ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილებას და კიდევ დამატებითი ცნობები შეიკრიბოს ამის შესახებ".[1]

საგულისხმოა, რომ 1915 წელს პეტროგრადის შინაგან საქმეთა სამინისტროში ომისაგან დაზარალებულთა შესახებ გამართულ თათბირზე საქართველოდან ესწრებოდა ქართული საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელი, თავადი ვ. მიქელაძე.[2]

---

[1] გაზ. „საქართველო", 1915 წ., № 119.

[2] გაზ. „საქართველო", 1915 წ., № 91.

1915 წელს საქველმოქმედო საზოგადოებასთან შესდგა კომისია (ს. ფირცხალავა, ს. კედია, გ. ცინცაძე, კ. თუმანიშვილი, პ. საყვარელიძე), რომელმაც მთელ კავკასიაში 26 ივლისი გამოაცხადა აჭარელთა დღედ. ამ დღესთან დაკავშირებით კომისიამ რუსულ-ქართულ ენებზე გამოსცა ერთდღიური ფურცელი-ალმანახი „ძმური სიტყვა" ომისაგან დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანთა დასახმარებლად. გაზეთი 24-ათასიანი ტირაჟით დაიბეჭდა (18 ათასი ქართულ ენაზე), მაგრამ მოთხოვნილება გაცილებით მეტი იყო — მარტო თბილისში 13 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა, საიდანაც 1821 მანეთი შემოვიდა. დანარჩენი დაიგზავნა საქართველოს სხვადასხვა სოფლებსა და რაიონებში.[1]

ალმანახის მოწინავე წერილში ვკითხულობთ:

— „დღეს, როდესაც ქართული საქველმოქმედო საზოგადოება მთელს კავკასიაში მართავს ქაროველ მაჰმადიანთა და კერძოთ აჭარელთა დღეს, ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა, განურჩევლად მიმართულებისა და მდგომარეობისა, თავის წვლილს შემოიტანს და არ დაიშურებს შემოწირულებას კეთილი საქმისათვის. სიყვარულით და თანაგრძნობით სულიერათ ავამაღლოთ განსაცდელში ჩავარდნილი მაჰმადიანი თანამოძმენი, ნივთიერი დახმარებით ცრემლი შეუშროთ ღვიძლ მოძმეებს — ქართველ მაჰმადიანებს, რომელთაც ბედმა ასეთი მწარე ხვედრი არგუნა".[2]

გაზეთში მოთავსებულია ნოე ჟორდანიას, ალ. ყიფშიძის (ფრონელის), შ. დედაბრიშვილის (არაგვისპირელის), კიტა აბაშიძის, აკაკი ჩხენკელის, სამსონ ფირცხალავას, ზაქარია ჭიჭინაძის და სხვ. სტატიები. აქვეა დაბეჭდილი განდეგილის სამსტროფიანი ლექსი „სალამი". პოეტი ქალის გულთბილი სტრიქონები ღრმა პატრიოტული სულისკვეთებითაა გაჟღენთილი და ღირსია ყურადღებისა:

სალამი შენდა ქართველო,
ნაფლერთო ერის გულისა,

---

[1] გაზ. „საქართველო", 1915 წ., № 57.
[2] „ძმური სიტყვა", 1915 წ., 26 ივლისი.

გვარ-ტომო შავთელ-რუსთველის
და თამარ დიდებულისა;
დამცველო ტკბილის ქართულის.
კერავ რაინდის სულისა,
ტანჯულო, მაგრამ ტანჯვაშიც
გმირებრ ამტანო წყლულისა...

გულს გიშლის ტურფა სამშობლო
ქეთევან წამებულისა
და მომიძღვნია შენდამი
მდაბლათ სალამი ძმურისა.

ნ. ჟორდანიას სტატიაში („ორ წყალს შუა") საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული ქართველ მაჰმადიანთა შესახებ. მისი სიტყვით, რაც საქართველოს მოსწყდა სამაჰმადიანო საქართველო და ოსმალეთს შეუერთდა, შეჩერდა მისი კულტურული განვითარება, რაც შესაძლებელია მხოლოდ დედაენისა და ეროვნული კულტურის გზით. ამიერიდან ქართველ და თურქ მაჰმადიანთა დამაკავშირებელი გახდა არა დედაენა და კულტურა, არამედ მხოლოდ სარწმუნოება, რამაც შეუძლებელი გახადა მათი ერთად შედუღება, კულტურული გამთლიანება, რადგანაც ქართველი მაჰმადიანები თურქებისაგან არაფერს არ ღებულობდნენ, გარდა მოლებისა და არაბულ ენაზე დაწერილი საღვთო წიგნებისა.

ნ. ჟორდანიას აზრით, კულტურული განვითარების მთავარ იარაღს ნაციონალური სკოლა წარმოადგენს, ამიტომაც ამ იარაღით შევიდა ქართველობა აჭარაში (ბათუმის ქართული სკოლა), მაგრამ მათ წინ გადაეღობა ადგილობრივი რუსული ადმინისტრაცია, რომელიც აცხადებდა, რომ აჭარელი ქართველი არ არისო. მისი სკოლა რუსულია და არა ქართულიო. ნ. ჟორდანია წერს: — „რუსულმა სკოლამ ქართული კულტურა მათში არ შეუშვა, ხოლო რუსული კი ვერ შეიტანა. და ასე, ქართველი მაჰმადიანობა დღემდე იდგა ორ წყალს შუა, ორ მისთვის გაუგებარ კულტურას შორის, ოსმალურისა და რუსულის. მისთვის ორივე უცხოა, არც ერთი არ უხსნის განვითარების კარებს. ერთად ერთი მისი გზა და ხიდია ქართული სკოლა, ქართული კულტურული ავლადიდება და თვით რუსული

კულტურის შეტანა, რუსეთთან მჭიდროდ დაკავშირება შესაძლებელია მხოლოდ ქართული ენისა და ქართული სკოლის საშუალებით".[1]

ალ. ყიფშიძის (ფრონელი) სტატიაში მოტანილი ისტორიული ცნობები სამაჰმადიანო საქართველოს შესახებ. იგი სამაჰმადიანო საქართველოს ზემო ქართლს უწოდებს, რომელიც ძველად ხან მესხეთად, ხან სამცხე-საათაბაგოდ მოიხსენიებოდა. როგორც ალ. ყიფშიძე მიუთითებს, ისტორიულ ზემო ქართლს შეადგენდა: გურია, ქობულეთი, აჭარა, სამცხე, ლივანი, შავშეთი, არტანუჯი, ფანასკერტი, ოლთისი, ტაო (ტაოსკარი), ჯავახეთი, არტაანი, ერუშეთი, კოლა, აბოცი, ჩულურეთი, კლარჯეთი, თორთუმი, ხახული, ისპირი, ფოჩხა და ჭანეთი.

— „...ოდესმე ზემო ქართლმა იხსნა საქართველო, — წერს ალ. ფრონელი, — ახლა ამერეთ-იმერეთის ვალია გაუწოდოს დახმარების ხელი ჭირსა შიგან ჩავარდნილ ძმას".[2]

მოძმე აჭარლებისადმი თავისი თანადგომა გამოხატა სასიკვდილო სარეცელზე მიჯაჭვულმა ვაჟა-ფშაველამაც. გაზეთში ამის შესახებ ვკითხულობთ: — „ავადმყოფმა მგოსანმა ვაჟა-ფშაველამ გვითხრა: დიდის სიამონებით ვეგებები მაჰმადიან ძმებისადმი ჩვენი საზოგადოების ყურადღების გაცხოველებას. ავადმყოფის სარეცელზე სხეულით დაუძლურებულს სულს მილხენს იმედი, რომ ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს ეროვნული დულაბი კვლავ შეაერთებს. პირადათ დამივლია აჭარა, ქობულეთი, კლარჯეთი, ტაო — დიდებული მესხეთი — ჩვენი დღევანდელი ძვირფასი სამაჰმადიანო საქართველო. დიდებულია იგი ქვეყანა. იქ გაფანტული კულტურის ნაშთები — სულია ჩვენი ერისა. წარსულში ჩვენი ძმობა იყო მტკიცე და შეურყეველი, როგორც სალი კლდე. ამიერიდან უნდა აღსდგეს იგი უფრო მტკიცე და შეურყეველი. ისინი და ჩვენ ხომ ერთი სისხლი და ხორცი ვართ საერთო ქართველი წინაპრებისა.

— დღეს დღეობით ქართველ მაჰმადიანებისათვის ყველაზე უფრო საჭიროდ მიმაჩნია მორალური თანაგრძნობა და ნივთიერი დახმარება".

„ეს იყო პოეტის უკანასკნელი სიტყვა. გაზეთის გამოსვლის

---

[1] გაზ.-ალმანახი „ძმური სიტყვა", 1915წ., გვ 1-2.

[2] იქვე.

მეორე დღეს, 27 ივლისს, ვაჟა-ფშაველა გარდაიცვალა იმ იმედით, რომ „ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს ეროვნული დუღაბი კვლავ შეაერთებდა“. ამ „დუღაბის“ ჩასხმაში დიდ როლს ასრულებდა ქართული საქველმოქმედო საზოგადოება, რომელმაც, როგორც გაზეთი „საქართველო“ წერს, „გააცხოველა გრძნობა საერთო ნათესაურობისა, ეროვნული ერთი და იგივეობისა“.[1]

მიუხედავად იმ დიდი სიმპათიებისა, რომლითაც სარგებლობდა საქველმოქმედო საზოგადოება ქართველ ხალხში, წევრთა რიცხვის მიხედვით იგი არ იყო მრავალრიცხოვანი. 1916 წლის I იანვრისათვის საზოგადოებაში ირიცხებოდა ორი დამფუძნებელი, ერთი საპატიო და 250 ნამდვილი წევრი; სარაიონო განყოფილებებში გაერთიანებული იყო 1700-მდე წევრი, სულ — დაახლოებით 2 ათას წევრამდე. წევრთა რიცხვის სიმცირეს თანამედროვენი იმით ხსნიდნენ, რომ, რადგანაც საზოგადოება დახმარებებს იღებდა სხვადასხვა ოფიციალურ თუ არაოფიციალურ დაწესებულებებიდან, ზოგიერთების აზრით, იგი საწევრო გადასახადის გარეშეც გაართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას. ამგვარი შეხედულება საფუძველს იყო მოკლებული, რადგანაც საზოგადოებაში შემოსულ თანხებს ყველას თავისი დანიშნულება ჰქონდა (მაგალითად, სკოლა, საავადმყოფო, დევნილები, თავშესაფარი და სხვ.); გარდა ამისა, წევრთა რაოდენობის სიმრავლეს, მატერიალური მნიშვნელობის გარდა, გარკვეული თვალსაზრისით, მორალური მნიშვნელობაც ჰქონდა (მაგალითად, მომმე აჭარელთა დახმარების საქმეში). მართალია ომიანობის მძიმე განსაცდელის ჟამს, თვითონაც გაჭირვებაში მყოფი საზოგადოება ვერ ახერხებდა უფრო ფართო მასშტაბის ქველმოქმედებას, მაგრამ რისი გაკეთებაც მან შეძლო, უდაოდ ყურადღებისა და პატივისცემის ღირსია.

— „არც ერთ ქართულ საზოგადოებას ამდენი არ გაუკეთებია ასე მოკლე ხანში; სულ რამდენიმე თვის არსებობა აქვს განახლებულ საზოგადოებას — წერდა გაზეთი „საქართველო“ საქველმოქმედო საზოგადოების შესახებ — და ქართველ საზოგადოებას მოუ-

---

[1] გაზ. „საქართველო“, 1915 წ., № 120.

წოდებდა: „შევქუჩდეთ ამ საზოგადოების სარქველ ქვეშ, ჩანს ეს საზოგადოება კარგს ვარსკვლავზედ უნდა შობილიყოს“.[1]

საქველმოქმედო საზოგადოებაში გაერთიანებული იყვნენ ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები: ფილიპე გოგიჩაიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი ლასხიშვილი, მიხეილ მაჩაბელი, რევაზ გაბაშვილი, კიტა აბაშიძე, პართენ გოთუა, იოსებ მამაცაშვილი, სილოვან ხუნდაძე, ივანე გომართელი, გიორგი ჟორდანია, ექვთიმე ბერძენიშვილი, გიორგი ყაზბეგი, ალექსანდრე ყიფშიძე, ივანე რატიშვილი, გერონტი ქიქოძე, ელისაბედ საგინაშვილი, სამსონ ფირცხალავა, გრიგოლ რცხილაძე, იაკობ ფანცხავა, ევგენი გეგეჭკორი, ვლადიმერ ცაგარელი, ვარლამ ბურჯანაძე, გრიგოლ მუხაძე, დიმიტრი ჩოლოყაშვილი, ნიკოლოზ თუმანიშვილი და სხვანი.

საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილებას ხელმძღვანელობდა ე.კრინიცკი, სოხუმის განყოფილებას — ნ. თავდგირიძე, ზესტაფონის — ვ. ჩხეიძე, ზუგდიდის — ვ. ალშიბაია, ოზურგეთის — კ. ერისთავი, ფოთის — ს. ხოშტარია, ახალციხის — დ. ხახუტაშვილი და სხვ.[2]

საზოგადოებაში პარტიული ნიშნის მიხედვით უფრო მეტად სოციალისტ-ფედერალისტები ფიგურირებდნენ, რომლებიც მიმდინარე ომში კლასობრივ პრინციპზე მაღლა ეროვნულს აყენებდნენ და საერთოდ, ცდილობდნენ ომის „ეროვნული ხასიათის“ დასაბუთებას იმ მოტივით, რომ ომში ჩაბმული იყვნენ სხვადასხვა ეროვნული სახელმწიფოები და ყველას საკუთარი ეროვნული ინტერესები გააჩნდა. მათი აზრით, ომში რუსეთის დამარცხება ხელს შეუწყობდა საქართველოს განთავისუფლებას და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოება, ისე როგორც ყველა სხვა დანარჩენი კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება, თავის პრაქტიკულ საქმიანობაში არ ითვალისწინებდა პარტიულ ინტერესებს. თვითმოქმედ საზოგადოებებში ყოველთვის წინა პლანზე იდგა საქართველოს ეროვნული ინტერესები და ქართული საქველმოქმედო საზოგადოებაც ბოლომდე დარჩა ამ ინტერესების ერთგულ მსახურად.

---

[1] გაზ. „საქართველო“, 1915 წ., № 120.

[2] ცსსა, ფონ. 13, საქ. 1896, ფურ. 16-18.

თავი VIII

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ზრუნვა ქართველი ერის სახელოვან შვილთა ხსოვნის უკვდავსაყოფად

„ერი თავის გმირებში პოულობს თავის სულსა და გულს, თავის მწვრთნელს, თავის ღონესა და შესაძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს“

/ილია/

საქრისტიანო საქართველომ ჯერ კიდევ შორეულ წარსულში შეიმუშავა გმირთა თაყვანისცემის კულტი. ძველ ბერძენთა მსგავსად, იგი აღმერთებდა ქვეყნისათვის თავდადებულ გმირებს, მათი ხსოვნის აღსანიშნავად აგებდა ტაძრებს და ამკობდა მათ სახელოვან გმირთა ფრესკებით. განსვენებულ გმირთა პატივისცემის კულტი ხალხურმა სიტყვიერებამაც შემოგვინახა.

ერის გამორჩეულ შვილთა ხსოვნის პატივისცემა ყველა ეპოქაში იყო მაგალითის მიმცმი ხალხისათვის. იგი შთამომავლობას შთაგონებდა საქვეყნო საქმისადმი თავდადებას, მამულის სიყვარულს, კაცთმოყვარეობასა და მაღალ ზნეობას. ჩვენი ერის განმანათლებელი იაკობ გოგებაშვილი გვასწავლიდა, რომ „ბედნიერია ის ადამიანი, საზოგადო ასპარეზზედ მოქმედი, რომელიც ნაყოფიერ შრომასთან ერთად, მტკიცედ ადგია ეთიკურს პრინციპებს, თავის ცხოვრებაში და თავის გარეშე ჰფენს ზნეობრივს მადლსა და სითბოსა. ამისთანა ადამიანები მოგვაგონებენ მოციქულებს და შეადგენენ მარილს ქვეყნისასა“.[1]

XIX საუკუნეში ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მძიმე პირობების მიუხედავად, ერის სახელოვან შვილთა ღვაწლის ღირსეულად დაფასებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული თვით-

[1] ი. გოგებაშვილი, რჩ. თხზ.. ტ. 3, თბ., 1954 წ., გვ. 202.

მეგნების ამაღლების თვალსაზრისით, რაც მაჩვენებელი იყო იმისა, რომ ქართველი ხალხი არ ივიწყებდა თავის ისტორიას, წინაპრების თავგანწირვას და, მაშასადამე, ერი ისევ ცოცხლობდა, რადგან ილიას სიტყვით, „ერის დაცემა მაშინ იწყება, როცა იგი ივიწყებს თავის ისტორიას“.

ეროვნულ სახელმწიფოებრიობას მოკლებული ქართველი ხალხი თავის გამორჩეულ შვილთა ხსოვნის დაფასებას თვითმოქმედ საზოგადოებებისაგან მოელოდა, რომლებიც ყოველთვის გამოდიოდნენ ჭირისუფლის როლში და საერთო მწუხარების ჟამს იდგნენ ერთმანეთის გვერდით. ამ მიმართულებით მათ მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი იმის თვალსაჩინო დასტურია, თუ როგორი ყურადღებითა და პატივისცემით ეკიდებოდნენ ეროვნული საქმისადმი თავდადებულ გმირებს. ამრიგად, ქართველი ხალხი პრაქტიკულად იცნობიერებდა ჭეშმარიტებას იმ აზრისას, რომ „არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს და ხალხს შესწიროს დღენია“.

1887 წლის 24 ოქტომბერს სტავროპოლში დიმიტრი ყიფიანის ვერაგულმა მკვლელობამ დიდი აღშფოთება და მწუხარება გამოიწვია მთელ ქართველ ხალხში. დ. ყიფიანის მხეცური მკვლელობა ააშკარავებდა მეფის რუსეთის ვერაგულ პოლიტიკას და ხელს უწყობდა ქართველ ხალხში ეროვნული გრძნობების გაძლიერებას. პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა ცნობები ამ საზარელ მკვლელობაზე, იბეჭდებოდა უამრავი სტატია და წერილი დ. ყიფიანზე — ეროვნული უფლებების დაცვისათვის ბრძოლაში დაცემულ რაინდზე, რომელმაც ეგზარქოს პავლესადმი მიმართულ წერილში გაბედულად გამოთქვა მთელი ქართველობის დაფარული გრძნობა და დაიცვა მისი ეროვნული ღირსება.

დ. ყიფიანის მკვლელობას მაშინვე გამოეხმაურა თითქმის ყველა იმდროინდელი საზოგადოებრივი ორგანიზაცია და დაწესებულება: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქალაქის თვითმმართველობა, თბილისის საადგილმამულო ბანკი, სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულო და სხვ; მოდიოდა სამგლოვიარო დეპეშები მოსკოვის, პეტერბურგის, ვარშავის უნივერსიტეტებში მოსწავლე ქართველი სტუდენტებისაგან. წერა-კითხვის

გამავრცელებელი საზოგადოება ილია ჭავჭავაძის მეთაურობით სათავეში ჩაუდგა დ. ყიფიანის ცხედრის სტავროპოლიდან თბილისში გადმოსვენების საქმეს.

ყოველივე ამან მთავრობა დაარწმუნა იმაში, რომ მისი ცდა, დ. ყიფიანის მკვლელობა გაესაღებინა როგორც უბრალო მკვლელობა, გაძარცვის ნიადაგზე მომხდარი, უშედეგო გამოდგა, და რომ, ყველამ კარგად იცოდა, თუ ვინ და რისთვის მოკლა დ. ყიფიანი. მთავრობას შეეძლო დარწმუნებულიყო იმაშიც, რომ საზოგადოება უაღრესად აღშფოთებული იყო ამ მკვლელობით და მზად იყო თავისი აღშფოთება აშკარად გამოეთქვა.[1] ამიტომ გასაგებია კავკასიის მთავარმართებლის, დონდუკოვ-კორსაკოვის შიში იმის გამო, რომ დ. ყიფიანის დაკრძალვას პოლიტიკური დემონსტრაციის ხასიათი არ მიეღო. დონდუკოვ-კორსაკოვი თავიდან მოითხოვდა დ. ყიფიანის ნეშტის მის მშობლიურ მხარეში — ქვიშხეთში დაკრძალვას, მაგრამ, ქართველი საზოგადოების წინააღმდეგობის გამო იძულებული გახდა უკან დაეხია და დ. ყიფიანის ცხედრის თბილისში დაკრძალვის ნება დაერთო.

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ჭეშმარიტად ღირსეული ჭირისუფლობა გაუწია საზოგადოების ერთ-ერთ დამფუძნებელსა და მის პირველ თავმჯდომარეს — დ. ყიფიანს, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო საზოგადოების წესდების შედგენასა და მის დამტკიცებაში. ილია, აკაკი, ი. მაჩაბელი, ვ. გუნია, ან. ფურცელაძე, ნ. ნიკოლაძე და საზოგადოების სხვა წევრები წინა რიგებში, ერთმანეთის მხარდამხარ იდგნენ დ. ყიფიანის ცხედრის დაკრძალვის პროცესიაზე, რომელიც, მთავრობის მიერ წინასწარ მითითებული მიმართულების საწინააღმდეგო მხარეს გაემართა მთაწმინდისაკენ, სადაც მშობლიურ მიწისთვის უნდა მიებარებინათ მეორე დიმიტრი თავდადებული.

წერა-კითხვის საზოგადოების თაოსნობით მოხდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენებაც. 1892 წლის ოქტომბერში გამგეობის სხდომაზე ილიამ პირველმა დააყენა

---

[1] შ. ჩხეტია, დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა, ჟურნ. „საისტორიო მოამბე", № 3, 1947 წ., გვ. 356.

ეს საკითხი. 1893 წლის 23 აპრილს გამგეობის გადაწყვეტილებით პოეტის საფლავის მოსაძებნად და მისი ნეშტის თბილისში გადმოსასვენებლად განჯაში ჩავიდნენ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წარმომადგენლები გიორგი იოსელიანი და ალექსანდრე ჭყონია პოეტის ნათესავ გიორგი ორბელიანთან ერთად.

იმავე წლის „ივერიის“ № 87-ში დაიბეჭდა ალ. ჭყონიას წერილი: „როგორ ვიპოვნეთ ნეშტი ნ. ბარათაშვილისა“.[1] უფრო საყურადღებოა წერა-კითხვის საზოგადოების არქივში შემონახული აქტი ნ. ბარათაშვილის საფლავის გახსნასთან დაკავშირებით, რომელიც შედგენილია 1893 წლის 24 აპრილს, რუსულ ენაზე. დოკუმენტში აღნიშნულია შემდეგი: „1893 года 24 апреля в присутствии Елисаветпольского полицмейстера Коллежского Советника Похотинского, князя Георгия Ильича Орбелиани, членов Общества распространения грамотности среди грузин П.Н. Иоселиани и А.М. Чкония и собравшейся публики разрыта была могила грузинского поэта Николая Мелитоновича Бараташвили, который оказался похороненным при старой православной церкви в г. Елисаветполь рядом с братом своим подпоручиком кн. Георгием Мелитоновичем Бараташвили с правой стороны последнего, если стать лицом к западу. Могильная плита над братом поэта лежит на месте, причем надпись гласит, что он скончался в 1823 году. Могильная же плита над могилою поэта, состоящая из двух кусков с русскою и грузинскою надписями, оказалась хранящейся внутри церкви. Тождество праха поэта доказывается сохранившимися частями одежды его, а именно: пуговицами и шитьем мундира гражданского ведомства, ибо известно, что покойный служил в местном Уездном Управлении. Кости покойного сохранились в цельности. Сохранилась также кожа от сапог туземного (грузинского) фасона. Подлинное подписали: Елиса-

[1] „ივერია“, № 86, 1893 წ.

ветпольский полицмейстер Коллежский Советник В. Пахотинский, подполковник князь Георгий Ильич Джамбакур-Орбелиани, А.М. Чкония и Георгия Иоселиани".[1]

როგორც აქედან ჩანს, ნიკოლოზ ბარათაშვილი დაუკრძალავთ თავისი ძმის, გიორგი ბარათაშვილის საფლავის მარჯვენა მხარეს, რომელიც გარდაცვლილა 1823 წელს. პოეტის საფლავის ქვა რუსულ-ქართული წარწერით ინახებოდა ძველი მართლმადიდებლური ეკლესიის შიგნით, რომლის მახლობლადაც განისვენებდნენ ძმები ბარათაშვილები.

1893 წლის 25 აპრილს, კვირა დილას, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი თბილისის რკინიგზის სადგურზე, სადაც მოელოდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის ჩამოსვენებას. ამის შესახებ დაწვრილებით გვამცნობს გაზეთი „ივერია": „...აქ, ვაგზალთან, ამოდენა ხალხმა მუხლი მოიდრიკა და პატივი სცა დიდებულს მგოსნის ცხედარს. შემდეგ ეს აუარებელი და ზღვა ხალხი დაიძრა და გაემართა ლიტანიით დიდუბისაკენ... როცა ლიტანია მიუახლოვდა ეკლესიას, ხალხმა კვლავ მოიდრიკა მუხლი..."

ეს „დიდებული წამი" ქართველი ერის ცხოვრებაში მისმა სულიერმა მამამ, ილია ჭავჭავაძემ ნ. ბარათაშვილის საფლავთან წარმოთქმულ სიტყვაში ასე შეაფასა: – „ეს დიდებული წამი, რომელმაც დღეს აქ შეჰკრიბა წარმომადგენლობა მთელის საქართველოსი, მაგალითია იმისი, რომ ჩვენი ერი აღმაღლებულა სულითა და გულითა, რადგანაც მარტო ჭკუაგახსნილმა და გულგაწმენდილმა კაცმა იცის ესე ღირსეულად დაფასება და ესეთის პატივით ხსენება დიდბუნოვან კაცისა".[2]

25 აპრილის „ივერიის" 85-ე ნომერი მთლიანად მიეძღვნა ნ. ბარათაშვილის ხსოვნას. ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „... ბარათაშვილს თითქმის არც კი იცნობდა საქართველო, ამიტომ პოეტს არ ჩაყოლია მაშინ სამარეს ერის მწუხარება, არ დასცვივნია გულს ცრემლი თანამემამულეთა. 50 წლის შემდეგ... ახლა ყველგან იც-

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 359, ფურ. 3.
[2] „ივერია", № 86, 1893 წ.

ნობენ მას. ერი არასოდეს არ ივიწყებს ერთგულ შვილთა სამსახურს...

— „ლამპარი, ანთებული პოეტისაგან სამშობლოს ტაძრის წინაშე, არ გამქრალა... სინათლე მისი განდიდებულა, ასულა ზეცას და იქიდან დაჰნათებს ერს".[1]

ამავე ნომერში მოთავსებულია ეკ. გაბაშვილის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ქართველ ქალთა საზოგადოების ინიციატივით დაფუძნდა ნ. ბარათაშვილის სახელობის ლიტერატურული ფონდი ღარიბ მწერალთა დასახმარებლად; ამ მიზნით ქართველი ქალები წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცემენ 30 მანეთს და იმედს გამოთქვამენ, რომ სხვებიც მიბაძავენ მათ მაგალითს ფონდის გასაძლიერებლად, რომელსაც სათავეში უნდა ჩასდგომოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

1893 წლის 29 აპრილს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ხელშეკრულება გააფორმა ნ. ბარათაშვილის მემკვიდრეებთან პოეტის ნაწარმოებების გამოცემის უფლების წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის გადაცემის შესახებ, რასაც მოწმობს საზოგადოების არქივში შემონახული ერთი დოკუმენტი რუსულ ენაზე. დოკუმენტში ვკითხულობთ:

„1893 года апреля 29 дня, мы, нижеподписавшиеся, княгиня Варвара Мелитоновна Визирова, Нина Мелитоновна Баратова и София Мелитоновна Сумбатова и князь Николай Ревазович Эристов как наследники покойного князя Николая Мелитоновича Баратова предоставляем право безвозмездно Обществу распространения грамотности среди грузин издавать сколько раз ему угодно будет дешевое издание и только одно хорошее: все произведения названного Николая Бараташвили"[2].

საბუთის ბოლოს ხელს აწერენ ზემოთ მოხსენიებული პირები ქართულ ენაზე.

როგორც ცნობილია, იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო შეს-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, თბ., 1991, გვ. 561.

[2] ცსსა, ფონ. 481, საქ. 365, ფურ. 1.

წავლილი და გამოცემული ნ. ბარათაშვილის ცხოვრება და შემოქმედება. 1892 წელს ილია ჭავჭავაძემ თავის საყოველთაოდ ცნობილ წერილებში მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ პირველმა შეაფასა პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობა, აჩვენა მისი ეროვნული ხასიათი და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა. პოეტის ნეშტის გადმოსვენების დღეებში გამოქვეყნდა ზაქარია ჭიჭინაძის 16-გვერდიანი წიგნაკი — „თავადი ნ. ბარათაშვილი", რომელშიც მოთავსებული იყო კონსტანტინე მამაცაშვილის მიერ 1881 წელს შედგენილი ნ. ბარათაშვილის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და პოეტის ოთხი ლექსი: „სულო ბოროტო", „შემოღამება მთაწმინდაზედ", „მერანი" და „ფიქრნი მტკვრის პირას".

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის ზნეობრივ მოვალეობას შეადგენდა ქართული მწერლობის განვითარებაზე ზრუნვა, სათავეში ჩაუდგა ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის შეკრება-გამოცემას.

1894 წელს წერა-კითხვის საზოგადოებასთან შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა ნ. ბარათაშვილის ნაწერების შეგროვება და პოეტის ბიოგრაფიის შესადგენად საჭირო ცნობების შეკრება. ამასთან დაკავშირებით საზოგადოების გამგეობა იმავე წლის 31 მარტს იონა მეუნარგიას სწერს: — „კომისია აგროვებს ბარათაშვილის ყოველგვარ ნაწერებს და ცნობებს მისი ცხოვრების შესახებ, რადგან თქვენ კარგად გაქვთ გაცნობილი პოეტის ცხოვრება და ნაწერები, ამიტომ კომისია უმორჩილესად გთხოვთ, შეატყობინოთ მას საჭირო ცნობები ბარათაშვილის ნაწერების შესახებ და თუ რამე მისი ნაწერი თქვენ მოგეპოვებათ, დროებით გამოგვიგზავნეთ".[1]

1895 წელს გაზეთი „კვალი" ქართველ საზოგადოებას ატყობინებდა, რომ წერა-კითხვის საზოგადოებას შეუკრებია ნ. ბარათაშვილის წერილები და მათ გამოცემას აპირებსო.[2]

1897 წელს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ ერევნიდან მიიღო ივანე ზედგენიძის წერილი ნ. ბარათაშვილის ფოტოსურათის

---

[1] ფონ. 481, საქ. 365, ფურ. 4.
[2] გაზ. „კვალი", № 19, 1895 წ.

აღმოჩენის შესახებ. ფოტოსურათის მეპატრონე ყოფილა ექიმი ლეონ ტიგრანიანი. როგორც ჩანს, ეს ფოტოსურათი ივ. ზედგენიძეს ადრეც გამოუგზავნია გამგეობისათვის, მაგრამ მაშინ გამგეობას ეჭვი შეუტანია მის ორიგინალობაში და ივ. ზედგენიძესაც ამ საქმისათვის თავი მიუნებებია. შემდეგში ივ. ზედგენიძეს ერევანში შეხვედრია ფოტოგრაფი მ. ათანასიანცი, რომელიც უმტკიცებდა, რომ ფოტოსურათი ნამდვილად ნ. ბარათაშვილს ეკუთვნოდა; ამისათვის იგი იმოწმებდა ვინმე რიუშანბეგ კეგამოვს, რომელსაც ახლოს სცნობია პოეტი. ამის შესახებ წერილში ნათქვამია: — „კეგამოვმა იცნო მასში ნიკ. ბარათაშვილი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ დიდი ულვაშები აქვს და იმას კი პატარა ულვაშები ჰქონდაო. ამ შენიშვნაზე ფოტოგრაფს ურცხვად შეუნიშნავს, რომ ულვაშები მე მოვუმატეო, რომ უფრო ვაჟკაცური, გმირული სახის გამომეტყველება ჰქონდესო, რომ უფრო ჰგვანდეს სომხის ყაჩაღს „აღასის", რომლის სახელიც უწოდებია სურათის პატრონს ექიმს ლეონ ტიგრანიანს"...[1]

მ. ათანასიანცის რჩევით, ივ. ზედგენიძემ გიორგი ანდრონიკაშვილთან ერთად მოინახულა კეგამოვი და უჩვენა ფოტოსურათის ორიგინალი. როგორც გამოირკვა, კეგამოვს მართლაც სცნობია ნ. ბარათაშვილი (იგი იყო კოჭლიო), ხოლო ორიგინალის ნახვის შემდეგ უთქვამს: — „ეს ნამდვილად ნიკოლაო ბარათოვიაო"[2].

წერილის ავტორი დარწმუნებულია, რომ ფოტოსურათი განგებ იყო დამახინჯებული იმ მიზნით, რომ ფოტოგრაფს იგი გაესაღებინა როგორც სომეხი ხალხის საყვარელი გმირის — აღასის სურათი და აქედან კარგი შემოსავალი მიეღო.

1897 წლის 14 ივნისს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება წერილობით თხოვნას უგზავნის ლეონ ტიგრანიანს ნ. ბარათაშვილის სურათის თხოვების შესახებ. წერილში ვკითხულობთ:

„Его высокоблагородию
Леону Якоцлевичу Тиграняну!
Милостивый государь!

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 571, ფურ.19.
[2] იქვე.

Правление Общества распространения грамотности среди грузинского населения осведомилось, что у Вас имеется портрет, принимаемый многими за портрет грузинского поэта Николая Бараташвили. Желая проверить насколько основательно такое предположение, Правление означенного Общества покорнейше просит Вас выслать упомянутый портрет в канцелярию Общества сроком на 20 дней.

Правление обязывается вернуть Вам портрет в означенный срок и не снимать с него копии без предварительного Вашего согласия. Издержки по пересылке портрета Общество принимает на себя".[1]

თუ რა ბედი ეწია ამ ფოტოსურათს, საარქივო მასალებიდან არ ჩანს. ერთი კი ცხადია, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ყოველი გზით ცდილობდა ხელი შეეწყო ნიკოლოზ ბარათაშვილის ხსოვნის უკვდავყოფისათვის.

1896 წლის 25 იანვარს გარდაიცვალა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (გერასიმე ქიქოძე), რომელსაც დიდი წვლილი მიუძღოდა ქართველი ხალხის განათლების საქმეში. მისი ნაყოფიერი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გამო წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1890 წლის 21 ნოემბერს გაბრიელ ეპისკოპოსი, იაკობ გოგებაშვილთან ერთად, საზოგადოების საპატიო წევრად აირჩია. ამ ფაქტთან დაკავშირებით გაბრიელ ეპისკოპოსის დამსახურება ქართველი ერის წინაშე შესანიშნავად დაახასიათა იაკობ გოგებაშვილმა გამგეობისადმი წარდგენილ თავის მოხსენებაში, სადაც იგი წერს: — „ყოვლად სამღვდელო გაბრიელმა ეპისკოპოსმა იმერეთისამა, ფრიად დიდი სამსახური გაუწია ხალხის განათლებას საქართველოში.

— პირველად: ორ კლასიანი კეთილ-მოწყობილი სკოლის დაარსებით გურიაში სოფელს ძეგვში, თავისი საკუთარი ხარჯით. ეს სკოლა

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 571, ფურ. 15.

სწარმოებს აგერ თხუომეტი წელიწადია და მისი სამუდამო არსებობა უზრუნველყოფილია საკმაო თანხით, რომელიც სამღვდელო გაბრიელმა სახელმწიფო ბანკში შეიტანა.

მეორედ: მრავალი სამრევლო სკოლების დაარსებით თავისს ეპარქიაში და სხვა ღონისძიებებითაც, რომელთა წყალობით წერა-კითხვა ეხლა ძლიერ გავრცელებულია იმერეთის მხარეში.

მესამედ: თავისი ფრიად შესანიშნავ ქადაგებით, ხალხისათვის გასაგები ენით დაწერილნი, რომელნიც ორ ტომად დაიბეჭდნენ რამდენიმე გამოცემა და რომელნიც ინგლისურს ენაზედაც კი ითარგმნა.

მეოთხედ იმით, რომ თავდაპირველადვე ყოვლად-სამღვდელო გაბრიელმა ნამდვილი თანაგრძნობა გამოუჩინა ჩვენს საზოგადოებას, წესდებულებას ხელი მოაწერა, როგორც დამფუძნებელმა წევრმა და ყოველწლივ შემოაქვს საწევრო ფული"...[1]

ილია ჭავჭავაძემ გაბრიელ ეპისკოპოსს სპეციალური წერილით მიმართა საპატიო წევრად არჩევასთან დაკავშირებით. გაბრიელმა გულითადი მადლობის გრძნობით აღსავსე წერილითვე უპასუხა ილიას[2].

გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე გელათში გაემგზავრნენ წერა-კითხვის საზოგადოების წარმომადგენლები: ილია, ნიკო ღოღობერიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე რატიშვილი, ანდრია ღულაძე და სხვანი. გაბრიელის დაკრძალვის შესახებ გადმოგვცემს თავის მოგონებებში ექვთ. თაყაიშვილი, საიდანაც ვგებულობთ, თუ როგორი გაძლიერებული ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა იმ დროისათვის ილია ჭავჭავაძე.[3]

გაბრიელ ეპისკოპოსის კუბოსთან წარმოთქმულ გამოსათხოვარ სიტყვაში ილიამ მაღალი შეფასება მისცა განსვენებულის მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, რომელიც, მისი სიტყვით, „ქრისტეს ჯვარით ხელში თავგამეტებით იდგა ჩვენის ენის მწედ და მფარველად".[4]

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 238, გვ. 12.
[2] იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. X, 1961 წ., გვ. 513.
[3] იხ. ლიტერატურის მატიანე, წიგნი IV, ნაკვ. პირველი, თბ., 1952 წ., გვ. 10.
[4] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. IV, 1955 წ., გვ. 255.

შეიძლება თამამად ითქვას, არ ყოფილა შემთხვევა, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას არ გამოეხატა თავისი ღრმა თანაგრძნობა და პატივისცემა ქართველი ერის სახელოვან შვილთა მიმართ როგორც მათ სიცოცხლეში, ისე სიკვდილის შემდეგ. ამის მაჩვენებელია არაერთი მაგალითი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მათ შორის ყველაზე თვალსაჩინოა წერა-კითხვის საზოგადოების ზრუნვა ილიას ხსოვნის უკვდავყოფისათვის. ამ მზრუნველობის შედეგად წერა-კითხვის საზოგადოებამ შთამომავლობას შემოუნახა ილიასეული სახლი საგურამოში, ყვარელსა და თბილისში (ამჟამად ილიას სახლ-მუზეუმი), მისი მდიდარი ბიბლიოთეკა და პირადი ნივთები, ხოლო მთაწმინდაზე დაუდგა ძეგლი „მწუხარე საქართველო“

თუ როგორ ზრუნავდა საზოგადოება ყოველივე ამისათვის, ნიმუშად მარტო ერთი — ილიას საფლავის ძეგლის ისტორიაც გამოდგება.

წერა-კითხვის საზოგადოებამ ითავა ილიას საფლავზე ძეგლის დადგმა. 1908 წლის თებერვალში გამგეობამ ძეგლის პროექტი დაუკვეთა მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს, რომელიც პარიზიდან საკუთარი სურვილით ჩამოვიდა, რომ თავისი მოკრძალებული წვლილი შეეტანა ილიას ხსოვნის უკვდავყოფის საქმეში — შეექმნა ისეთი ძეგლი, სიმბოლურად რომ გამოხატავდა წიწამურის ტრაგედიით დამწუხრებულ საქართველოს. რამდენიმე კვირის შემდეგ ი. ნიკოლაძემ წარმოადგინა ძეგლის მოდელი („მწუხარე ქართველი დედა“ და ილიას ბიუსტი).

იმავე წლის 9 აპრილს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ „კავკასიის ხელოვანთა წამქეზებელი საზოგადოების“ წარმომადგენლებთან და მხატვართა კომისიასთან (გ. გაბაშვილი, მ. ფრანკე, ბ. ფოგელი, ო. შმერლინგი, მ. თოიძე, გ. გრინევსკი, ს. კლდიაშვილი, კ. მრევლიშვილი და ე. თათევოსიანი) ერთად განიხილა იაკობ ნიკოლაძის წარმოდგენილი პროექტი. კომისიამ ერთხმად მოიწონა როგორც ძეგლის იდეა, ისე ძეგლის მოდელი და მისი არქიტექტურა.

1908 წლის 15 ივნისს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ მოიწვია ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებებ-

ისა და პრესის წარმომადგენელთა კრება, რომელსაც უნდა განეხილა ილიას ძეგლის დადგმის საკითხი. კრებას ესწრებოდნენ: თბილისის ქალთა წრიდან — ეკ. გაბაშვილი და მ. დემურია, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებიდან — ალ. სარაჯიშვილი, ქუთაისის ქართული გიმნაზიიდან — ს. ოცხელი და ს. ყიფიანი, ჟურნალ „ნაკადულის" რედაქციიდან — ალ. მირიანაშვილი, გაზეთ „ამირანის" რედაქციიდან — ქ. ქავთარაძე, ჭიათურის დრამატული საზოგადოებიდან — ივ. გომელაური, წერა-კითხვის საზოგადოებიდან — ი. ღულაძე, პ. სურგულაძე, ლ. ბოცვაძე, გრ. რცხილაძე, ფ. გოგიჩაიშვილი და ს. ფირცხალავა. კრებას ესწრებოდა ჭიათურის შავი ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს წარმომადგენელი კ. აბაშიძე და ზოგიერთი მოწვეული პირი, სულ, 40 კაცი. კრებას თავმჯდომარეობდა წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ი. ღულაძე.

თუ როგორი დიდი იყო ქართველი საზოგადოების ინტერესი და პასუხისმგებლობა ილიას ძეგლისადმი, ამაზე მეტყველებს ამ კრების ოქმი. კრებაზე პირველი კითხვა კიტა აბაშიძემ დასვა — იყო თუ არა უფლებამოსილი ეს კრება, ემსჯელა ძეგლის მოდელზე, როდესაც იგი მხატვართა კომისიის მიერ უკვე იყო მოწონებული. თავმჯდომარემ კრებას განუმარტა, რომ მათ ამის სრული უფლება ჰქონდათ. ამასთან, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ უნდა გაერკვიათ რა საშუალებებით შეიძლებოდა ძეგლის დადგმა. იაკობ ნიკოლაძის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვით ძეგლის გასაკეთებლად დაახლოებით 7 ათასი მანეთი იყო საჭირო.[1]

ივანე ჯავახიშვილის აზრით, პირველ რიგში უნდა გამოერკვიათ, თუ რა სახსარი გააჩნდა წერა-კითხვის საზოგადოებას ილიას ფონდის გარდა.

ამ საკითხზე სამსონ ფირცხალავამ განუმარტა კრებას, რომ, მართალია, ძეგლის დადგმა არ შეადგენდა ილიას ფონდის პირდაპირ დანიშნულებას, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდა ფონდის გარკვეული ნაწილის ამ საქმისათვის გამოყენება, მაგრამ ამისათვის უნდა მიეღოთ იმ დაწესებულებათა დასტური, ვინც ეს

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1044, ფურ. 59-60.

ფონდი შექმნა. ს. ფირცხალავამ კრების წინაშე დააყენა სამი ძირითადი საკითხი: 1. საჭირო იყო თუ არა ძეგლის დადგმა ილიას საფლავზე; 2. მიეღოთ ი. ნიკოლაძის ძეგლის მოდელი, თუ გამოეცხადებინათ კონკურსი და 3. რა სახსრებით უნდა გაკეთებულიყო ძეგლი.

კრებაზე დავა გამოიწვია იმ საკითხმა, თუ რატომ თავიდანვე არ გამოცხადდა კონკურსი ილიას საფლავის ძეგლზე. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის განმარტებით კონკურსის გამოცხადებას დასჭირდებოდა რამდენიმე ათასი მანეთი. სამსონ ფირცხალავამ მოიტანა პოლონელების მაგალითი, რომლებმაც იმ ხანებში გამოაცხადეს კონკურსი შოპენის ძეგლზე და ამისათვის გაიღეს 5 ათასი მანეთი, ხოლო ძეგლისათვის — 60 ათასი, რაც ქართველებს არ გააჩნდათ. გამგეობის აზრით, ილიას ძეგლი უნდა გაეკეთებინა ქართველ მოქანდაკეს, რადგან ძეგლის დადგმას ორგვარი დანიშნულება ჰქონდა: ერთი, ილიას ხსოვნის პატივისცემა და მეორე, ქართული ხელოვნების ნაწარმოების შექმნა.

ზოგიერთებმა დაიწუნეს ი. ნიკოლაძის ძეგლის მოდელი (ი. მერკვილაძე, ფ, გოგიჩაშვილი) და მოითხოვეს კონკურსის გამოცხადება. ამასთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა ივანე ჯავახიშვილმა: — „კონკურსს თუ გამოვაცხადებთ, ამისათვის დაგვეხარჯება ხუთას თუმნამდე; საკონკურსო მოდელების განხილვა უნდა მივანდოთ რომელიმე დაწესებულებას — პეტერბურგის სამხატვრო აკადემიას, რომელსაც უნდა შევატყობინოთ ჩვენი საზოგადო აზრი, თუ რას უნდა გამოხატავდეს ძეგლი. ფულის შესაკრებად კი უნდა მივმართოთ იმავ დაწესებულებათ, რომლებიც მოწვეულნი იყვნენ დღეს და გავიგოთ, თითოეული დაწესებულება რამდენს გამოიღებს ძეგლისათვის“.

პეტრე სურგულაძის აზრით, ერის კულტურული განვითარებისათვის საჭიროა საკუთარი შემოქმედებითი ძალების დაფასება; მათ საშუალება უნდა მისცემოდათ გამოეჩინათ თავისი ნიჭი და შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში იაკობ ნიკოლაძისათვის ილიას ძეგლის გაკეთება რაიმე ანგარებით კი არ იყო ნაკარნახევი, არამედ მის სულიერ მოთხოვნილებას წარმოადგენდა. გარდა ამისა, სხვა

არავინ გააკეთებდა ძეგლს იმ ფასად, რასაც თხოულობდა ქართველი მოქანდაკე.

ჭიათურის დრამატული საზოგადოების წარმომადგენელი, სოციალ-დემოკრატი ივ. გომელაური ამ საკითხზე სხვა აზრისა იყო. როგორც იგი აცხადებდა, ქართველი მოქანდაკისათვის არ უნდა მიეცათ უპირატესობა, მაგრამ კრების უმრავლესობა საპირისპირო აზრზე იდგა. ფილიპე გოგიჩაიშვილის სიტყვით, თუ ქართველ კაცს შეეძლო ძეგლის გაკეთება, კონკურსის გამოცხადება აუცილებელი არ იყო, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მიიღებდნენ ქართველი საზოგადოების მატერიალურ მდგომარეობას. მისი აზრით, უკეთესი იქნებოდა წარმოდგენილი მოდელის შესწორება.

შეკრებილ საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პეტრე სურგულაძის სიტყვამ: — „ყოველი ერი მილიონებს ხარჯავს ხელოვნების განსავითარებლად. ჩვენ ერთი-ორი კაცი გამოგვჩენია და იმათაც არ უნდა დავეხმაროთ. იაკობ ნიკოლაძე ქუჩიდან მოსული არ არის. ის მუშაობდა როდენთან, ეს ბევრს ნიშნავს; მისი ნაწარმოები სამჯერ იყო გამოფენილი პარიზის სალონში, სადაც ადგილი აქვს მხოლოდ ისეთ ნაწარმოებს, რომელიც საერთო ყურადღების ღირსია და რომელსაც მოიწონებს მკაცრი ჟიური“ — ამბობდა იგი.

აზრთა გაცვლა-გამოცვლისა და კამათის შემდეგ კრებაზე შემდეგი სამი საკითხი გამოიკვეთა: 1. ილიას საფლავზე ძეგლი აუცილებლად უნდა დაედგათ; 2 ძეგლის მოდელის განხილვა სპეციალისტებისათვის მიენდოთ და 3. გამოეძებნათ სათანადო სახსრები.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით კრებამ მიიღო შემდეგი სახის გადაწყვეტილება: 1. იაკობ ნიკოლაძის ძეგლის მოდელის შესახებ ჯერჯერობით არავითარი დადგენილების მიღება არ შეიძლება; 2. მიეწეროს ქართულ დაწესებულებებსა და კერძო პირებს, შეგვატყობინონ არა უგვიანეს ამა წლის 20 აგვისტოსათვის, თუ რა თანხა შეუძლიათ შემოიტანონ ილია ჭავჭავაძის ძეგლის ასაგებად; 3. 30 აგვისტოს — ილიას გარდაცვალების წლისთავზე გაიმართოს კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებებისა და პრესის წარმომადგენელთა კრება საქმის საბოლოოდ გადასაწყვეტად; 4. აღნიშნული

დადგენილების შესრულება და, საზოგადოდ, ი. ჭავჭავაძის ძეგლის საქმის გაძღოლა მიენდოს ისევ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას.[1]

15 ივნისს კრების დადგენილების თანახმად, წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ შეკითხვები დაუგზავნა სხვადასხვა დაწესებულებებსა და კერძო პირებს იმის გასარკვევად, თუ ვინ რამდენ თანხას გაიღებდა ილიას საფლავის ძეგლისათვის. აგვისტოს დამლევამდე გამგეობამ პასუხი მიიღო 11 დაწესებულებიდან, რომელთაგან მხოლოდ 5 პირდებოდა განსაზღვრულ თანხას. დაპირებული თანხის რაოდენობა შეადგენდა 3200 მანეთს.

1908 წლის 31 აგვისტოს, ილიას მკვლელობის წლისთავზე, გაიმართა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის გაფართოებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებების, პრესის, თბილისის სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოს, სამეურნეო ბანკის, ამხანაგობა „საეროს" წარმომადგენლები.

კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება ილიას ფონდისა და მისი საფლავის ძეგლის მდგომარეობის შესახებ. გამგეობის აზრით, ილიას ფონდი, რომელიც იმჟამად შეადგენდა 10.818 მანეთს, უნდა დარჩენილიყო ხელუხლებლად, მხოლოდ მისი სარგებელი მოხმარდებოდა ილიას სახელობის სკოლის დაარსებას და მისი პუბლიცისტური, კრიტიკული და ისტორიული წერილების გამოცემას.

დიდი მსჯელობა გაიმართა იმის შესახებ, თუ რა დანიშნულება უნდა მისცემოდა ილიას ფონდს. ამ საკითხზე ძირითადად სამგვარი აზრი გამოიკვეთა. ერთნი ემხრობოდნენ ილიას პუბლიცისტური და კრიტიკული წერილების გამოცემას (კ. აბაშიძე, პ. გოთუა), მეორენი — სკოლის დაარსებას (გ. დიასამიძე, ლ. მეტრეველი, ეგ. იოსელიანი, ს. ტარუაშვილი), მესამენი — ლიტერატურული წრის დაარსებას (გრ. რობაქიძე, ი. ნაკაშიძე და სხვ.), რომელიც ხელს შეუწყობდა ქართველი ხალხის სულიერი კულტურის განვითარებას. გრიგოლ რობაქიძის აზრით, სკოლის დაარსებას არ ჰქონდა ისეთი დიდი

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1044, ფურ. 55-56.

მნიშვნელობა ილიას ხსოვნისათვის, როგორიც ლიტერატურულ წრეს, რომელიც გამოსცემდა და ხალხში გაავრცელებდა ილია ჭავჭავაძის და სხვა მწერლების ნაწარმოებებს და ამით ხელს შეუწყობდა ეროვნული კულტურის განვითარებას.

თავმჯდომარემ კენჭი უყარა სამივე წინადადებას, ხმების უმრავლესობით კრებამ დაადგინა ილიას ფონდის სარგებელი მოხმარებოდა როგორც მისი სახელობის სკოლის დაარსებას, ისე ილიას კრიტიკული და პუბლიცისტური წერილების გამოცემას.

საინტერესოა კრებაზე გამართული კამათი — სად დაედგათ ძეგლი — მთაწმინდაზე, თუ ერევნის (ახლანდელი თავისუფლების) მოედანზე.

ილია ზურაბიშვილის აზრით, ძეგლი მოედანზე უნდა დაედგათ, რომ ყველას შესძლებოდა მისი ნახვა. ამ აზრს მხარი დაუჭირა ნიკო ცხვედაძემაც, იგი ამბობდა: „ილიას ისეთი ძეგლი უნდა დავუდგათ, რომ ნამდვილი სკოლა იყოს, ხალხის აღმზრდელი, ახლა დროა ამგვარი ძეგლისათვის“-ო.

სამსონ ფირცხალავა ამბობდა: „მოედანზე ძეგლის დადგმას დიდი თანხა დასჭირდება, რისი საშუალებაც წერა-კითხვის საზოგადოებას არ გააჩნია. ამიტომ, ჯერ გავაკეთოთ საფლავზე ილიას შესაფერისი ძეგლი, ორ კურდღელს ერთად ნუ გამოვეკიდებითო“.

ილია ნაკაშიძემ განაცხადა: „ილია იმსხვერპლა კაცის მძულვარებამ. ამას უნდა დავუპირისპიროთ კაცთმოყვარეობა, ცოდნა, განათლება. ძეგლი შორეული საქმეა; ძეგლი უნდა დაიდგას მაშინ, როცა ხალხი შესძლებს ძეგლის დაფასებას. ამჟამად დავკმაყოფილდეთ უბრალო ძეგლის დადგმით საფლავზე“. მას მხარი დაუჭირეს სხვებმაც. ეს. ციციშვილი ამბობდა: — „მოედანზე ძეგლის დადგმა ნაადრევია. ხალხი ჯერ არ იცნობს ილიას; შევიტანოთ ხალხში განათლება, შეგნება, რომ თვითონ ხალხმა დააფასოს ილია და თვითონ დაუდგას, ასეთ ძეგლს ექნება ფასი“-ო.

პ. გოთუა: — „საფლავზე დაუდგათ უბრალო ბიუსტი; ერევნის მოედანზე კი გავაკეთოთ დიდი საეროვნო ძეგლი. თვითონ მოედანსაც უნდა ეერქვას ილია ჭავჭავაძის სახელი. საფლავზე ბიუსტის

გასაკეთებლად ფული უკვე მოუპოვებია წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას. ერევნის მოედნის ძეგლისთვის კი შესდგეს საგანგებო კომიტეტი და გაიმართოს საყოველთაო ხელის მოწერა".

ფ. გოგიჩაიშვილი: — „ყველაზედ უწინარეს ჩვენ უნდა დავდგათ ილიას საფლავზე ძეგლი; ამ საგნის შესახებ კრება უნდა დაეთანხმოს გამგეობის აზრს. რაც შეეხება ერევნის მოედანზე ძეგლის დადგმას, ეს დიდი საქმეა, ბევრი დროც მოუნდება, ამის ფულს მალე ვერ შევაგროვებთ. ახლავე ავიღოთ ნებართვა მთავრობისაგან და დავიწყოთ ფულის შეგროვება. საფლავის ძეგლის გაკეთება, დიდი ძეგლის ნებართვის აღება და ხელის მოწერის გამართვა შეიძლება ერთსა და იმავე კომიტეტს მივანდოთ, ან შეიძლება უკანასკნელის ნებართვა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას დავავალოთ".

ილია ზურაბიშვილი (თბილისის სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოს წარმომადგენელი): — „საფლავის ძეგლზე უნდა დაიხარჯოს გამგეობის აზრით, ათასი თუმანი. ეს შეადგენს მთელს მეოთხედს იმ ფულისას, რომელიც დაიხარჯება დიდი ძეგლისათვის. ამგვარი ორნაირი ხარჯის გაწევა ყოვლად უსაფუძვლოა. საფლავის ძეგლის ნახვა ძნელია, იქ ყველა ვერ ავა. საფლავზე დავდგათ უბრალო ქვა და ახლავე შევუდგეთ მოედანზე ძეგლის გაკეთებას".

სამსონ ფირცხალავა: — „დიდებული ძეგლების დადგმა თავისთავად მშვენიერი საქმეა, მაგრამ ანგარიში უნდა გავუწიოთ ჩვენი ცხოვრების პირობებს. დღეს არ შეგვიძლია ხელი მოვკიდოთ ძვირფასი ძეგლის აგებას, როცა მრავალი უსაჭიროესი ჩვენი მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელია. მაგალითად, დღემდის ვერ აგვიშენებია სულ უბრალო სახლი წერა-კითხვის საზოგადოებისათვის და უძვირფასეს ხელნაწერებს ყოველდღე განსაცდელი მოელის. მერე, უნდა მიიღოთ სახეში ჩვენი საზოგადოება, 40-50 ათას მანეთს ძეგლისათვის დღეს ვერ შევკრებთ".

კრების თავმჯდომარემ — იოსებ ღულაძემ კენჭი უყარა შემდეგ სამ საკითხს:

1. დაიდგას თუ არა ძეგლი ილიას საფლავზე და რა ღირებულების უნდა იყოს იგი; 2. ვის მიენდოს ილიას საფლავის ძეგლის

საქმე და 3. ვის დაევალოს ერევნის მოედანზე ილიას ძეგლის დადგმა და ამისათვის სათანადო ნებართვის აღება.

პირველი საკითხის შესახებ კრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება — დაიდგას ძეგლი ილიას საფლავზე, მაგრამ ცხარე კამათი გამოიწვია ძეგლის ღირებულების საკითხმა. ერთნი ამტკიცებდნენ (ფ. გოგიჩაიშვილი, კ. აბაშიძე, ს. ფირცხალავა და სხვ), რომ საფლავზე ძეგლის დადგმისათვის უნდა დაეხარჯათ არა უმეტეს 6-7 ათასი მანეთისა, რადგან დიდი ძეგლისათვის შესაძლოა ფული ვერ შეეგროვებინათ; მეორენი (ილ. ზურაბიშვილი, ბ. ნანობაშვილი და სხვ.) მიუთითებდნენ, რომ ამისათვის დაეხარჯათ არა უმეტეს ათასი მანეთისა.

კრება მიემხრო პირველ აზრს; მეორე საკითხზე მხარი დაუჭირა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას, რომელსაც უნდა ეთავა ილიას საფლავის ძეგლის საქმე. მესამე საკითხმა გამოიწვია ხანგრძლივი კამათი. ზოგიერთი მოითხოვდა (ფ. გოგიჩაიშვილი, ი. ზურაბიშვილი, ბ. ნანობაშვილი და სხვ.), ერევნის მოედანზე ილიას ძეგლის დადგმა და მისი ნებართვის აღება თავადაზნაურობას დაკისრებოდა, რომელიც უფრო ადვილად გაართმევდა თავს ამ საქმეს; სხვები ამტკიცებდნენ (პ. სურგულაძე, კ. აბაშიძე, ს.ფირცხალავა და სხვ.), რომ ილიას ძეგლის დადგმას ვერასოდეს ვერ მივანდობთ თავადაზნაურობას, რადგან ეს საქმეს წოდებრივ ხასიათს მისცემსო. მათი აზრით ეს საქმე უნდა ეთავა ისეთ ეროვნულ დაწესებულებას, როგორიცაა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

კრების უმრავლესობამ გაიზიარა ეს უკანასკნელი აზრი და მიიღო შესაბამისი დადგენილება. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას დაევალა აგრეთვე ეზრუნა წიწამურთან, ილიას მკვლელობის ადგილზე რაიმე ნიშნის დადგმაზე. ამის შესახებ საკითხი წამოაყენა ვალერიან- გუნიამ.[1]

რადგანაც ილიას საფლავის ძეგლის დადგმა გაჭიანურდა, ამ საქმისათვის პარიზიდან საკუთარი სურვილით დაბრუნებული იაკობ ნიკოლაძე მძიმე მატერიალურ გასაჭირში აღმოჩნდა. ამასთან დაკავ-

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 25, ფურ. 76-79.

შირებით სამსონ ფირცხალავამ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას თხოვნით მიმართა დახმარება აღმოეჩინა ი. ნიკოლაძისათვის და ილია ჭავჭავაძის ფონდიდან მიეცა ასი მანეთი. სამსონ ფირცხალავა აღნიშნავდა:

— „მართალია წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას არ გამოუწვევია მოქანდაკე ი. ნიკოლაძე ი. ჭავჭავაძის ძეგლის გასაკეთებლად, ის ჩამოვიდა საკუთარი სურვილით, უანგაროთ, მაგრამ ძეგლის საკითხის გადაწყვეტა დაგვიანდა და ვინ იცის, როდის გადაწყდება. ამის გამო ი. ნიკოლაძე მეტათ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. შესჩერებია ძეგლს, აქ საქმე ვერ უშოვნია, ვერც პარიზში მიდის და ისე გაჭირვებულია, რომ პურის ფულიც არ მოეპოვება. გარდა ამისა, პარიზში დაქირავებული აქვს ატელიე და თუ ამ დღეებში მას ქირა არ გაუგზავნა, ყველა მის იარაღსა და ხელსაწყოს გარეთ გამოუყრიან... თუ ძეგლის გაკეთება მას მიენდო, ამ ფულს გამორიცხავს, თუ არა, კონკურსში მიიღებს მონაწილეობას და კონკურსის ჯილდოთაც ერგება“.[1]

1908 წლის 4 ნოემბერს მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძემ ხელშეკრულება გააფორმა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობასთან ილიას საფლავის ძეგლის დამზადებასთან დაკავშირებით. ხელშეკრულებაში აღწერილია ძეგლის ყველა დეტალი, ხოლო ძეგლის ჩაბარების თარიღად დასახელებულია 1910 წლის 15 მაისი.[2]

როგორც ცნობილია, ი. ნიკოლაძე ილიას საფლავის ძეგლზე პარიზში მუშაობდა და ქანდაკების ყოველ დეტალს სურათების სახით უგზავნიდა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას, რომელსაც იხილავდა გამგეობა სპეციალისტების მონაწილეობით. ამის ნიმუშად მოგვყავს გამგეობის ორი წერილი იაკობ ნიკოლაძისადმი.

1909 წლის 11 სექტემბერს წერა-კითხვის საზოგადოების მდივანი სამსონ ფირცხალავა ი. ნიკოლაძეს პარიზში უგზავნის შემდეგი შინაარსის შეტყობინებას: — „გამგეობამ განიხილა თქვენი ქანდაკების სურათები (ი. ჭავჭავაძის ძეგლისა) მხატვრები გ. გაბაშვილის,

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1044, ფურ.6.

[2] იქვე, ფურ. 45.

ო. შმერლინგის და თ. გრინევსკის თანდასწრებით და დაადგინა: გამოგიგზავნოთ მხატვრების პროტოკოლი, გთხოვთ, შეასწოროთ ქანდაკება მხატვრების შენიშვნების თანახმად და შემდეგ გამოგვიგზავნოთ ახალი ფოტოსურათები შესწორებული ქანდაკებისა".[1]

იმავე წლის 24 ოქტომბერს ს. ფირცხალავა ი. ნიკოლაძეს სწერს:

„იაშა!

გამგეობამ მოიწონა შენი უკანასკნელი გეგმა იმ სახით, როგორც ფოტოგრაფიულ სურათებზეა დახატული.

გიგზავნით ათას ორას მანეთს. ეცადე, რომ კარგად გამოვიდეს ბრინჯაოსაგან.

შენი სამსონ".[2]

მთლიანად ძეგლის დამზადება 12 482 მანეთი და 84 კაპიკი დაჯდა. ეს თანხა შეგროვდა კაპიკ-კაპიკობით საქართველოს მთელ მოსახლეობაში, რაც მაჩვენებელია, ერთი მხრივ, ილიას დიდი პატივისცემისა და, მეორე მხრივ, ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა, რომელმაც შექმნა ეროვნული მოღვაწისადმი მიძღვნილი პირველი მონუმენტი.

1913 წლის 5 მაისს მოხდა ილიას საფლავის ძეგლის კურთხევა. ამ დღეს მთაწმინდაზე თავი მოიყარა მთელმა ქართველმა საზოგადოებამ. თბილისში სპეციალურად ჩამოვიდნენ წერა-კითხვის საზოგადოების გორის, თელავის, ქუთაისისა და სხვა განყოფილებათა დელეგატები. მთაწმინდისაკენ მიმავალ გზაზე დილის 8 საათიდან 4-მდე ხალხი უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა.

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის სახელით ილიას საფლავთან სიტყვა წარმოთქვა დავით კარიჭაშვილმა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო ილიას ძეგლის ისტორია და საზოგადოების სახელით ყველას მადლობა გადაუხადა.

„მწუხარე საქართველო" — იაკობ ნიკოლაძის პირველი ძეგლი სიმბოლურად გამოხატავდა მთელი საქართველოს გლოვას, რომელ-

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1044, ფურ. 65.

[2] იქვე, ფურ. 71.

იც ბრინჯაოში იყო განივთებული და მწუხარე ქართველი დედის სახით წარმოჩენილი. როგორც თ. სანიკიძე შენიშნავს, ბევრი კრიტიკული შენიშვნა ითქვა ძეგლის ფორმის განყენებულობის, აზრის სიმარტივისა და სწორხაზოვნების, არქიტექტურასა და ქანდაკებას შორის აშკარა დისონანსის გამო, მაგრამ ეს ყველაფერი არსებითი არ არის. მთავარია ის, რომ იგი ხილული, ხელშესახები მაცნეა ერის გამოღვიძებისა, მისი უკეთესი მომავლისა. ამიტომ თქვა აკაკი წერეთელმა ძეგლის კურთხევისას: — „იდეის მხრივ დიდია ეს ქანდაკება"-ო.[1]

1911 წლის 20 ივნისს 63 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართველი ერის დიდი მოამაგე და ქომაგი, ცნობილი ქველმოქმედი და მეცენატი დავით სარაჯიშვილი. მისი გარდაცვალებიდან ერთი თვის თავზე, ილია ჭავჭავაძის ქვრივი ოლღა ამ ამბავს მწუხარებით აუწყებს ლონდონში ქართველების დიდ მეგობარს ოლივერ უორდროპს: ჩვენი კარგი ადამიანი, ევროპულად აღზრდილი და განათლებული ადამიანი დავით სარაჯიშვილი გარდაიცვალა და ერთი კვირაა, რაც დავასაფლავეთ... მან დიდებულება და კარგი მამულიშვილობა გამოიჩინა და თავისი სამშობლოს ყველა კულტურული დაწესებულება უხვად დააჯილდოვა დატოვებული ანდერძით... დიდი დანაკლისი იყო მაგისთანა მხნე და გამჭრიახი გონების პატრონის დაკარგვა... ოჯახი არ იყო, რომ თავისი მადლიანი ნუგეშით არ მოევლოს და არ ეპატრონა. თავის მხნეობით შეიძინა დიდი სიმდიდრე და თავის საყვარელ სამშობლოს უძღვნა".[2]

მართლაც, დავით სარაჯიშვილის მეცენატობამ და ქველმოქმედებამ დიდი სამსახური გაუწია ქართულ კულტურულ დაწესებულებებს, კერძოდ, თვითმოქმედ საზოგადოებებს, რომლებიც ზრუნავდნენ ქართველ ხალხში განათლების გავრცელებაზე და მის კულტურულ წარმატებებზე. დ. სარაჯიშვილი არაფერს იშურებდა, როცა შველა და დახმარება ესაჭიროებოდა ეროვნულ სკოლასა თუ თეატრს, ქართული წიგნების გამოცემას, ეროვნული მუზეუმისა თუ

---

[1] თ. სანიკიძე, იაკობ ნიკოლაძე. თბილისი, 1977 წ., გვ. 15-16.

[2] გ. შარაძე, წერილები უორდროპისადმი, ჟურნ. „მნათობი", 1989 წ., № 1, გვ. 156.

პანთეონის მშენებლობას, თბილისის ქართული გიმნაზიის შენობის აგებას (მომავალ ქართულ უნივერსიტეტს) და სხვ. დ. სარაჯიშვილს არაერთი ძველი ხელნაწერი გადაურჩენია გასხვისება-დაკარგვისაგან, არაერთგზის გაუწევია მატერიალური დახმარება ქართველ სტუდენტებისათვის, მწერლებისათვის, ხელოვნების მუშაკებისათვის; თითქმის არ ყოფილა არც ერთი რაიმე მნიშვნელოვანი ეროვნულ-კულტურული წამოწყება, რომ მასში თავისი უხვი ხელი არ გაერია დ. სარაჯიშვილს. თავისი ზნეობრივი პრინციპებით იგი შესანიშნავი მაგალითია ყველა იმ მდიდარი კაცისათვის, ვინც მარტო საკუთარ თავზე ზრუნავს.

დავით სარაჯიშვილის ანდერძის თანახმად, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უნდა გადასცემოდა 300 ათასი მანეთი. იმ პირობით, რომ ამ თანხის ნახევარი მოხმარდებოდა ქართული ეროვნული მუზეუმის აგებას, მეორე ნახევარი — სტიპენდიებს. 1913-1914 წლებში სასტიპენდიო თანხის ანგარიშში წერა-კითხვის საზოგადოებას დავით სარაჯიშვილისაგან შემოუვიდა 80.375 მანეთი, რომლის სარგებელი წელიწადში შეადგენდა 3817 მანეთს. ეს თანხა სტიპენდიების სახით დაენიშნათ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობას.[1]

1914 წლის 1 იანვრიდან წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ დააწესა დავით სარაჯიშვილის სახელობის სამი სტიპენდია. პირველი სტიპენდიანტები იყვნენ: შ. ქიქოძე, გ. ოქროპირიძე და გ. დალაქიშვილი.[2]

დ. სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდიანტებად ითვლებოდნენ ქართველი ერის საამაყო შვილები: კომპოზიტორები — დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ია კარგარეთელი, კოტე ფოცხვერაშვილი; მხატვრები — მოსე თოიძე, გიგო გაბაშვილი, გრიგოლ მესხი; მოქანდაკე — იაკობ ნიკოლაძე; მომღერლები — ვანო სარაჯიშვილი, ვ. ქაშაკაშვილი; პროფესორები — სოლომონ ჩოლოყაშ-

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1311, ფურ. 1-5.

[2] ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საიუბილეო ანგარიში, თბ., 1914წ., გვ. 61.

ვილი, მიხეილ შალამბერიძე, სარგის კაკაბაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ილია ყიფშიძე, მოსე ჯანაშვილი; ყოფილი კათალიკოსი კალისტრატე ცინცაძე, არჩილ ქართველიშვილი; ფულად დახმარებას უწევდა ა. შანიძეს; პარიზში სასწავლებლად მყოფ დ. კასრაძეს და კ. თათარაშვილს, ბრიუსელში — თედო სახოკიას, გ. ქიქოძეს.[1]

შემდეგში დ. სარაჯიშვილის საქველმოქმედო საქმიანობა გააგრძელა მისმა მეუღლემ ეკატერინე ფორაქიშვილმა, რომელმაც თავისი ქონების დიდი ნაწილი (სამ მილიონ მანეთამდე უძრავ-მოძრავი ქონების ჩათვლით) დაუტოვა ქართველ ერს. ეკატერინე, თავისი მეუღლის მსგავსად, იყო ქართული კულტურის დიდი მოამაგე, ნიჭიერი ახალგაზრდების მფარველი, შემწე და ქომაგი ეროვნულ-კულტურული საზოგადოებებისა, რაზეც მეტყველებს მისი ანდერძიც.

ეკატერინე სარაჯიშვილის ანდერძის თანახმად, მისი ქონება თვითმოქმედ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა შორის ამგვარად განაწილდა: 500 ათასი მანეთი — წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას; გარდა ამისა, ამ საზოგადოებას ეკატერინემ დაუტოვა 90 ათასი მანეთის პროცენტიანი ქაღალდები, რომელიც მისი ძმის, ვასილის გარდაცვალების შემდეგ 1919 წელს საზოგადოებას გადაეცა, 200 ათასი მანეთი დაუტოვა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას, 25 ათასი — ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას, 100 ათასი — თბილისის ქართულ დრამატულ საზოგადოებას, 5 ათასი — ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებას, 20 ათასი — ქართული სიტყვაკაზმული ნაწარმოებებისათვის პრემიის დასანიშნავად, 10 ათასი — მოსკოვის ქართველთა საზოგადოებას და კიდევ სხვა ქართულ სასწავლებლებსა და ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებებს.[2]

ექვთ. თაყაიშვილი თავის „მოგონებებში" აღნიშნავს, რომ ეკატერინეს ანდერძში ჩაუწერია: „ყველაფრის განაწილების შემდეგ რაც დარჩეს, იმის ნახევარი მიეცეს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას მუზეუმის ასაშენებლად, ხოლო მეორე ნახევარი წერა-

---

[1] ა. სტეფანიშვილი, დავით სარაჯიშვილი, თბ., 1988 წ., გვ. 50.
[2] იქვე, გვ. 74-75.

კითხვის და დრამატულმა საზოგადოებამ გაიყონ (ამრიგად, ჩვენდა წილად 600 000 მანეთი გამოდიოდა)"[1].

ქართველმა საზოგადოებამ დიდი გულისტკივილით დაიტირა დავით და ეკატერინე სარაჯიშვილები. 1916 წელს ეკატერინეს გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჟურნალ „ჯეჯილში" ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა წერდა: — „ამ ხუთი წლის წინათ დავკარგეთ მოჭირნახულე დავითი, დარჩა ობლად დაავადებული ეკატერინე, მაგრამ თავის ქმრის ნაანდერძევს არ ულალატა. განაგრძო მისი საქმე და ნაყოფი ქართველ ერს მიუძღვნა. ეკატერინე სარაჯიშვილმა სამ მილიონამდე შეძლება დაუტოვა ქართველ ერს. ამისთანა იშვიათი ამბავი არა თუ საქართველოში არ მომხდარა, სხვა ქვეყანაში ათასში ერთხელ თუ იქნება...".[2]

დავით და ეკატერინე სარაჯიშვილები დიდი პატივით დაიკრძალნენ დიდუბის პანთეონში. ალბათ ბედის ირონიად უნდა ჩაითვალოს, როდესაც მათი გარდაცვალებიდან თითქმის სამი ათეული წლის შემდეგ, 1939 წელს დიდუბის პანთეონის ადმინისტრაციამ აიძულა სარაჯიშვილების ნათესავები საფლავებიდან ამოეღოთ მათი ძვლები და ვაკის სასაფლაოზე გადაესვენებინათ.[3] ეს შემაზრზენი ფაქტი მით უფრო სამწუხაროა, თუ გავითვალისწინებთ, რომ თავის დროზე დავით სარაჯიშვილმა დიდუბის პანთეონის ასაშენებლად წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას 4.200 მანეთი შემოსწირა.

სანთელ-საკმეველის მადლი თავის გზას არასოდეს კარგავს. მადლიერმა შთამომავლობამ ღირსეული პატივი მიაგო დავით სარაჯიშვილის ნათელ ხსოვნას. ამაზე მეტყველებს დ. სარაჯიშვილის სახელობის საააქციო საზოგადოებისა („დ. სარაჯიშვილი და ენისელი") და მეტროპოლიტენის დაარსება, მისი ძეგლი რიყეზე, დოკუმენტური ფილმები მის შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახლახანს გახსნილი საკვირაო სკოლა-ლექტორიუმი და სხვ.

იმედია, სულ უფრო გაიზრდება ამაგდარი მოღვაწისადმი ინ-

---

[1] ჟურნ. „მნათობი", 1958 წ., № 11, გვ. 172.

[2] ჟურნ. „ჯეჯილი", 1916 წ., № 7-8.

[3] ლ. ნანიტაშვილი. ერის წყლული აჩნდა წყლულად, გაზ. „თბილისი", 1986 წლის 26 აპრილი.

ტერესი და პატივისცემა და დავით სარაჯიშვილის ქველმოქმედების მადლი დიდხანს გაჰყვება შთამომავლობას.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის მასალებში დაცულია სია იმ პირთა ანდერძებისა, რომლებსაც თავისი ქონება შეუწირავთ საზოგადოების სასარგებლოდ, მათ შორის მოიხსენიებიან: იაკობ გოგებაშვილი, გრიგოლ დადიანი, ალექსანდრე როინაშვილი, ნიკოლოზ ღოღობერიძე, დავით და ეკატერინე სარაჯიშვილები, ილია და ოლღა ჭავჭავაძეები, ალექსანდრე ხახანაშვილი, აკაკი წერეთელი, ვახტანგ გურიელი, გიორგი ზდანოვიჩი, კიტა აბაშიძე, ელენე მუსხელიშვილი და სხვანი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი შემწეობა და „ზნეობრივი მადლი", რასაც იჩენდნენ ქართულ კულტურული-საგანმანათლებლო საზოგადოებების მიმართ ცნობილი ქველმოქმედი ძმები — სტეფანე, ლევან, პეტრე და იაკობ ზუბალაშვილები. მათი მზრუნველობითა და ხელშეწყობით ბევრი კარგი საქმე გაკეთებულა. სტეფანე ზუბალაშვილმა 10 ათასი მანეთი შესწირა ახლადდაარსებულ წერა-კითხვის საზოგადოებას, ხოლო 30 ათასი — თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მშენებლობას, მომავალ ქართულ უნივერსიტეტს; მისივე სახსრებით აშენდა ბათუმში ქართველ კათოლიკეთა ეკლესია.

ძმები ზუბალაშვილები ყოველწლიურად აძლევდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას 6 ათას მანეთს ღარიბი მოსწავლე-ახალგაზრდობის სტიპენდიებისათვის. ლევანის ინიციატივით ძმებმა თბილისში ააშენეს ბავშვთა საავადმყოფო, ხოლო როდესაც სტეფანე გარდაიცვალა, მის სახელზე წერა-კითხვის საზოგადოებას შემოსწირეს 10 ათასი მანეთი, სათავადაზნაურო გიმნაზიას — 50 ათასი, დრამატულ საზოგადოებას — 5 ათასი, ქალაქის თვითმმართველობას — 100 ათასი მანეთი.[1]

1908 წელს ძმებმა ზუბალაშვილებმა 30-მდე ქართველ სტუდენტს დაუნიშნეს სტიპენდია, ხოლო 1912-1916 წლებში ყოველწლიურად ფონდში შეჰქონდათ 5 ათასი მანეთი; მარტო 4 წლის

[1] გაზ. „სახალხო ფურცელი", 1914 წ., № 159.

განმავლობაში (1908-1912 წწ.) წერა-კითხვის საზოგადოების სასტიპენდიო ფონდში შეიტანეს 24 ათასი მანეთი. ამავე წელს თბილისში ააშენეს სახალხო სახლი (კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი), რომელიც მთელი თავისი მოწყობილობით ქალაქის თვითმმართველობას შესწირეს. აქ მოთავსებული იყო თბილისის სახალხო უნივერსიტეტისა და ფილარმონიული საზოგადოებები, „ქართული წარმოდგენების მმართველი წრე", აქვე არსებობდა სხვადასხვა ეროვნების (აზერბაიჯანული, უკრაინული, პოლონური, ბერძნული, ებრაული, გერმანული და სხვ.) თვითმოქმედი წრეები. ამ შენობაში იმართებოდა ლიტერატურული დილა-საღამოები, ხალხური სიმღერების კონცერტები, იკითხებოდა ლექცია-მოხსენებები სხვადასხვა აქტუალურ თემებზე და სხვ.

ძმებმა ზუბალაშვილებმა წერა-კითხვის საზოგადოებას რუსულ-ქართული ლექსიკონის შესადგენად 3 ათასი მანეთი შესწირეს. ასეთი უხვი შემოწირულებებისათვის წერა-კითხვის საზოგადოებამ ძმები ზუბალაშვილები თავის საპატიო წევრებად აირჩია.

პირველი მსოფლიო ომის დროს ლევან ზუბალაშვილმა საკუთარი სახლი მოსკოვში დაუთმო ქალაქის თვითმმართველობას ომში დაჭრილი ჯარისკაცებისათვის ლაზარეთის მოსაწყობად, ხოლო ომის საჭიროებისათვის 400 ათასი მანეთი გაიღო.

ერის გამორჩეულ შვილთა ხსოვნის პატივსაცემად წერა-კითხვის საზოგადოებამ თავის ზნეობრივ მოვალეობად მიიჩნია შეექმნა წმინდა სავანე (პანთეონი), რომელსაც გარდა თავისი პირდაპირი დანიშნულებისა, ერთგვარი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ექნებოდა. საზოგადოების აზრით, იგი შთააგონებდა ქართველ ახალგაზრდობას, თუ როგორ ზრუნავდა ერი მისთვის თავდადებულ შვილებზე. ამ გაგებით, ქართველ მოღვაწეთა პანთეონი გადაიქცეოდა ეროვნულ სკოლადაც, რომელიც ხელს შეუწყობდა ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას.

საზოგადოების ამგვარ მისწრაფებას ხელს უწყობდა ისიც, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს ათასობით მებრძოლი ქართველი სიცოცხლეს სწირავდა საქვეყნო ინტერესებს; ბევრი მათგანის ძვლები გაფანტული იყო სპარსეთისა და ოსმალეთის უცნობ მთა-

ხევებში, პოლონეთ-ლიტვის მინდვრებზე და კარპატების მთებში. ამიტომ უსაფლავოდ დარჩენილი ქართველი მებრძოლებისათვის პანთეონში დადგმული „თუნდაც გარეგნულად უბრალო, მაგრამ შინაარსით დიდი ძეგლი“ საუკეთესო საჩუქარი იქნებოდა მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად.

1915 წელს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ საერთო კრებას წარუდგინა მოხსენება დიდუბის ეკლესიასთან ქართველ მოღვაწეთა პანთეონის დაარსების შესახებ. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ „დღეს განათლების გზაზე დამდგარმა საქართველომ, რომელიც თანდათანობით ითვისებს ახალ კულტურას, აუცილებლად უნდა დაიცვას თავისი შესანიშნავი ისტორიული გადმოცემანი, რომელთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ სახალხო გმირთა თაყვანისცემის კულტი; მაგრამ ამ კულტის მისტიურ თვისებას ჩვენ უნდა მივცეთ ისეთი გარეგნული ფორმა, რომელიც სარწმუნოებრივ მიზნების დაცვასთან ერთად შეიქმნება თვალსაჩინო აღმზრდელ საშუალებად მოზარდი თაობისათვის...

— ეს იგივე სკოლაა, რომელიც თავის მიზნად დაისახა ჩვენმა საზოგადოებამ და ამისათვის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ფიქრობს, რომ იგი ასრულებს თავის მოვალეობას, როდესაც აყენებს საკითხს ქართველ მოღვაწეთა პანთეონის დაარსების შესახებ“[1].

იდეური მიზნების გარდა, გამგეობას მატერიალური მხარეც აინტერესებდა. მისი აზრით, პანთეონის დაარსება გარკვეულ შეღავათებს მოუტანდა საზოგადოებას იმ ხარჯებთან შედარებით, რასაც იგი ათეული წლების მანძილზე ეწეოდა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა დაკრძალვასთან დაკავშირებით.

1915 წლისათვის, გამგეობის დიდი მცდელობის შედეგად, საქართველოს ეგზარქოსის პიტირიმის, ეპისკოპოს ანტონის და დეკანოზ მირიანაშვილის დახმარებით, წერა-კითხვის საზოგადოებას დიდუბის ტაძრის ეზოში დაუთმეს 100 კვ. საჟენი მიწა 5 ათას მანეთად, რომლის რეალური ღირებულება 50 ათას მანეთს შეად-

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1478, ფურ. 60-61.

გენდა. ეს თანხა საზოგადოებას უნდა დაეფარა 5 წლის მანძილზე; ამასთან დაკავშირებით წერა-კითხვის საზოგადოების საერთო კრებამ მიიღო შემდეგი სახის გადაწყვეტილება:

1. „პრინციპიალურად დროის შესაფერისად აღიარებულ იქმნას ქართველ მოღვაწეთა სავანე-პანთეონის მოწყობა დიდების ეკლესიის გალავანში.

2. გადაიდოს ათას-ათასი მანეთი ხუთი წლის განმავლობაში შეძენილ და უკვე შემოღობილ ადგილის შესასყიდლად და დამტკიცებულ იქმნას შემოღობვაზე გაწეული ხარჯი 205 მანეთი, რომელიც უნდა დაიფაროს 1915 წლის შემოსავლის ნაშთიდან.

3. მიენდოს გამგეობას შეადგინოს განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს როგორც არქიტექტურული გეგმა, აგრეთვე ხარჯთაღრიცხვა პანთეონის მოწყობისა და ინსტრუქცია ქონების მართვა-გამგებლობისა. შედგენილი გეგმა და ინსტრუქცია უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად მომავალ საზოგადო კრებას.

4. განსაკუთრებული წერილის საშუალებით მადლობა გამოეცხადოს მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ეგზარხოსს პიტირიმს, ეპისკოპოზ ანტონს და დეკანოზ მირიანაშვილს ამ საქმეში დახმარების აღმოჩენისათვის; წესდების მეცხრე მუხლის თანახმად, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ეგზარხოსი პიტირიმი არჩეულ იქმნას საზოგადოების საპატიო წევრად“.[1]

ამავე კრებაზე გამგეობამ გამოთქვა სურვილი პანთეონში დაედგათ მცირე ძეგლი იმ ქართველ მეომართა ხსოვნის აღსანიშნავად, რომლებმაც „თავიანთი სისხლით დაამტკიცეს სრულუფლებიანი მონაწილეობა ჩვენი სამშობლო-ქვეყნისა იმ რეფორმების დასამყარებლად, რომელსაც მოელის განახლებული რუსეთი“.[2]

კრებამ აირჩია საპანთეონო კომისია გ. ლასხიშვილის, გრ. რცხილაძის, ს. კლდიაშვილის, ი. ნიკოლაძის და კალგინის შემადგენლობით.

1916 წლის 25 მარტს წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარემ გ. ყაზბეგმა გამგეობას დაავალა ეზრუნა პანთეონისათვის

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1552, ფურ. 23-24.

[2] იგივე ფონდი, საქ. 1473, ფურ. 59.

არქიტექტურული გეგმის შედგენაზე, შეემუშავებინა ქართველ მოღვაწეთა სავანის მართვა-გამგებლობის სპეციალური ინსტრუქცია და გამოეძებნა საამისო მატერიალური სახსარი. აქედან გამომდინარე, გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება, გამოცხადებულიყო კონკურსი პანთეონის არქიტექტურული გეგმის პროექტზე; გამართულიყო ხელმოწერა შემოწირულებათა შესაგროვებლად; პრესაში დაებეჭდათ „მოწოდება" ქართველ საზოგადოებისადმი.

— „ქართველნო! ნუ დავივიწყებთ მამა-პაპათაგან ნაანდერძევ კეთილშობილურ ადათს, — მოუწოდებდა წერა-კითხვის საზოგადოება ქართველ ხალხს, — შეეერთდეთ ერთი გრძნობით, რათა ღირსეულად აღვნიშნოთ სახელი ჩვენის ძმებისა და დავუდგათ მათ ძეგლი, რომელიც გაახსენებს ჩვენს შვილებს, რომ თანამედროვენი დიდად აფასებენ მოძმეთა ღვაწლს და მათ ქველობაზე აშენებენ თავიანთ მომავალ ბედნიერებას"...[1]

„მოწოდებაში" მითითებულია, რომ ცნობები დაღუპულთა შესახებ და შემოწირულებანი გაეგზავნათ თბილისში, სასახლის ქუჩაზე, სახლი № 5, სადაც იმყოფებოდა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა.

ქართველ მოღვაწეთა პანთეონის დაარსებას ქართველი ხალხი დიდი თანაგრძნობით შეხვდა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების „მოწოდების" საპასუხოდ დაიწყო შემოწირულებათა შეგროვება. საზოგადოების საარქივო ფონდის მასალებში შემონახულია არაერთი წერილი, საიდანაც ეგებულობთ შემომწირველთა გვარებისა და თანხის რაოდენობის შესახებ. მაგალითად, ალექსანდრე ყაველაშვილს ქალაქ არმავირში შეუგროვებია 47 მანეთი, გრიგოლ ელიავას ბათუმში — 190 მანეთი, გ. კვიტაიშვილს ერევანში — 100 მანეთი, ნიკო თავდგირიძეს სოხუმში — 100 მანეთი და სხვ. მალე საპანთეონო თანხამ 3 644 მანეთი შეადგინა. გარდა ამისა, გამგეობამ ამ საქმისათვის გადადო ალ. ხახანაშვილის ძეგლის ასაშენებელი თანხა (2 500 მან.)[2] და პანთეონის საკონკურსო

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1478, ფურ. 61.
[2] იგივე ფონდი, საქ. 1667, გვ. 29-30.

გეგმის შედგენა სთხოვა „ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას“.

1916 წელს „ქართველ ხელოვანთა საზოგადოებამ საპანთეონო კომისიას გადასცა საკონკურსო ჟიურის ოქმები, სადაც შეფასებული იყო პანთეონის არქიტექტურული გეგმის პროექტი, რომლის გაცნობის შემდეგ კომისიამ პროექტი გადასცა „ხელოვანთა საზოგადოების“ გამგეობას დასკვნისათვის, მაგრამ 1917 წლის პოლიტიკური ამბების გამო საქმე გაჭიანურდა. 1918 წლის 28 ივნისს საზოგადოების თავმჯდომარემ დ. შევარდნაძემ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას უკან დაუბრუნა პანთეონის მშენებლობის გეგმა. ამასთან, იგი ურჩევდა გამგეობას, რომ ამ საქმის გადაწყვეტა მიენდო საქართველოს პარლამენტთან არსებულ ხელოვნების სექციისათვის, მაგრამ წერა-კითხვის საზოგადოებამ მაშინ ეს ნაბიჯი არ გადადგა, პანთეონის მშენებლობა და მისი მოვლა-პატრონობა თვითონვე იკისრა.

1918 წელს გამგეობამ შეიმუშავა ინსტრუქცია პანთეონის მართვა-გამგეობისათვის. ინსტრუქციის მიხედვით, ქართველ მოღვაწეთა სავანეში უნდა დაეკრძალათ იმ მოღვაწეთა ნეშტი, ვისაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღოდა ქართველი ერის წინაშე მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში. პანთეონში შეიძლებოდა დაეკრძალათ სამხედრო, პოლიტიკურ და პარტიულ სარბიელზე მოღვაწე პირებიც იმ შემთხვევაში, თუ მათ რაიმე თვალსაჩინო წვლილი მიუძღოდათ საზოგადოებრივ ასპარეზზე როგორც მწერალს, მეცნიერს ან ხელოვანს.

პანთეონს განაგებდა „ქართველ მოღვაწეთა სავანის კომიტეტი“ 5 კაცის შემადგენლობით. კომიტეტს ირჩევდა წერა-კითხვის საზოგადოება და თბილისის კულტურული და სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენელთა კრება — 2 წარმომადგენელი წერა-კითხვის საზოგადოებიდან, 4 — ჟურნალ-გაზეთების რედაქციებიდან, 2 — ექიმთა საზოგადოებიდან, 2 — საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებიდან და 2— ქართული უნივერსიტეტიდან. კომიტეტის წევრებს ირჩევდნენ ფარული კენჭისყრით, ერთი წლის ვადით.

როგორც წესი, დიდების პანთეონში დაკრძალვის საკითხს „ქართველ მოღვაწეთა სავანის კომიტეტში“ აყენებდა ის ორგანიზაცია ან

დაწესებულება, სადაც მოღვაწეობდა განსვენებული. საკითხი პანთეონში (სავანეში) დაკრძალვის შესახებ წყდებოდა ფარული კენჭისყრით. კომიტეტს შემუშავებული ჰქონდა სპეციალური ხარჯთაღრიცხვა, რომელსაც წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა ადგენდა ხარჯების დასაფარავად. ჭირისუფლებს პანთეონის მოსავლელად უნდა გადაეხადათ კომიტეტის მიერ დადგენილი თანხა.[1]

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში დიდუბის „ქართველ მოღვაწეთა სავანის" კომიტეტში შედიოდნენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი, საისტორიო-საეთნოგრაფიო, ქართული დრამატული, ქართველ ექიმთა საზოგადოებებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები. 1922 წელს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ მიიწვია კომიტეტში გრ. რცხილაძე, ვ. ყიფიანი და ოლღა სოლოღაშვილი.[2]

1916-1927 წლებში „ქართველ მოღვაწეთა სავანის კომიტეტის" დადგენილებით დიდუბის პანთეონში დაიკრძალა ქართული მეცნიერებისა და კულტურის ბევრი თვალსაჩინო მოღვაწე, მათ შორის: თ. ჟორდანია, ალ. ხახანაშვილი, დ. სარაჯიშვილი, ს. ავალიანი, ვას. რცხილაძე, კ. აბაშიძე, ი. ყიფშიძე, ილ. ნაკაშიძე, ივ. როსტიაშვილი, ს. კლდიაშვილი, ან. ყარაშვილი, ალ. მირიანაშვილი, სოფ. მგალობლიშვილი და სხვ.

1927 წელს, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ, ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონზე მზრუნველობა სახელმწიფოს ხელში გადავიდა.

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1833, ფურ. 103.

[2] იქვე, ფურ. 12.

თავი IX

სრულიად საქართველოს ეროვნულ-კულტურული შტაბი

მე-20 საუკუნის 10-იან წლებში მოწინავე ქართველ ინტელიგენციაში მომწიფდა აზრი აქამდე ცალ-ცალკე მოქმედ ეროვნულ-კულტურულ საზოგადოებათა ერთ კავშირში გაერთიანების შესახებ. ეს აზრი პირველად ნიკო ნიკოლაძემ გამოთქვა. ამის შესახებ ვგებულობთ წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარის, გიორგი ყაზბეგის საიუბილეო მოხსენებიდან, რომელიც მან გააკეთა საზოგადოების 35-ე წლისთავთან დაკავშირებით. მოხსენებაში ვკითხულობთ: „ჩვენის პატივცემულის პუბლიცისტის ნიკოლაძის სიტყვით რომ ვთქვათ, მართალია ჩვენში უკანასკნელ ათს წელიწადში გაჩნდა მთელი მწყობრი მორიგის მუშებისა, რომელთაც საქმიანობა სწყურიანთ, მაგრამ მათ აკლიათ საზოგადო ორგანო-შტაბი, ე.ი. ცენტრი მუშათა ცალკე ჯგუფების მოქმედების შემაერთებელი. ამისთანა დაწესებულებად უნდა ცნობილ იქნას კავშირი კულტურულ-განმანათლებელთ საზოგადოებათა, რომელთაც შეეძლებათ მუშაობა შრომის კოოპერაციის პრინციპის თანახმად".[1]

გამგეობის აზრით, ამ საქმეს სათავეში უნდა ჩასდგომოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც იმ დროისათვის ყველაზე კომპეტენტურ ეროვნულ ორგანიზაციას წარმოადგენდა საქართველოში. მისი მზრუნველი ხელი სამ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე ქართული კულტურის თითქმის ყველა სფეროს სწვდებოდა. ამის მოთმენა წერა-კითხვის საზოგადოებას კიდევ შეეძლო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც დაიწყო ეროვნული გამოფხიზლებისა და კერძო პირთა თვითმოქმედ საზოგადოებებში ნებაყოფლობითი გაერთიანების პროცესი, მაგრამ, ახლა, მე-20 საუკუნის დასაწყისში, როცა წერა-კითხვის საზოგადოება ახალი მოთხოვნილებების წინაშე აღმოჩნდა, იგი თავისი მატერიალური

---

[1] ცსსა. ფონ. 481, საქ. 1478, ფურ. 2-4.

შესაძლებლობის ფარგლებში ვეღარ აკმაყოფილებდა ქართველი ხალხის მზარდ კულტურულ მოთხოვნილებებს და თავისი პირდაპირი დანიშნულების შესრულებაც უჭირდა. გამგეობა ხშირად ჩიოდა ამის შესახებ. მაგალითად, 1909-1910 წლების საანგარიშო მოხსენებაში პირდაპირაა მითითებული, რომ „მთელი ყურადღება საზოგადოებისა წერა-კითხვასა და პირველ-დაწყებითი განათლების საქმისადმი რომ იყოს მიქცეული, ამ სფეროში ბევრი რომ გაკეთდებოდა"; ასევე, 1911 წლის 21 აპრილის საერთო კრებაზე გამგეობა მოითხოვდა: „წერა-კითხვის საზოგადოება უნდა განიტვირთოს იმ საქმისაგან, რომელიც მის წესდებას არ შეეფერება, მით უფრო, რომ ახლა დაარსდა რიგი კულტურული საზოგადოებებისა: ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ფილარმონიული, სიტყვაკაზმული მწერლობისა და სხვ., რომელთანაც შეიძლება შრომის განაწილება".[1]

900-იანი წლებიდან მნიშვნელოვნად გაფართოვდა კულტურულ საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში. საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოჩნდა მთელი რიგი თვითმოქმედი საზოგადოებებისა. თითოეული მათგანი ზრუნავდა ქართული მეცნიერებისა და კულტურის რომელიმე დარგის განვითარებაზე (სიტყვაკაზმული მწერლობა, ფოლკლორისტიკა, ისტორია, ეთნოგრაფია, თეატრი, მუსიკა და ა.შ.) და მოქმედებდა მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდების ფარგლებში. მიუხედავად ამისა, მათი იურიდიული უფლებები ბოლომდე არ იყო გამორკვეული, რაც ხშირ შემთხვევაში აფერხებდა საზოგადოებათა საქმიანობას. ისინი მოქმედებდნენ დაქსაქსულად, ყოველგვარი საკოორდინაციო ცენტრის გარეშე და მთავრობაც მათ ნაკლებ ანგარიშს უწევდა. მართალია თითოეულ საზოგადოებას თავისი საკუთარი წესდება და სამოქმედო გეგმა გააჩნდა, მაგრამ მათ აერთიანებდათ საერთო-ეროვნული ტკივილები და მიზანსწრაფვა — ხელი შეეწყოთ ქართველი ხალხის განათლებისა და ეროვნული კულტურის განვითარებისათვის მისი თვითმყოფადობის გადასარჩენად. იმ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში ამ საქმის განხორციელებას მეტი წარმატება მოჰყვებოდა, თუ ცალ-ცალკე მოქმე-

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1478, ფურ. 17.

დი ეროვნულ-კულტურული ძალები გაერთიანდებოდნენ ერთი საერთო ცენტრის ირგვლივ, რომელსაც ნ. ნიკოლაძე „ეროვნულ შტაბს“ უწოდებდა. ეროვნული შტაბი, როგორც ქართველი ხალხის საერთო მისწრაფებების გამომხატველი, ოფიციალურადაც უფლებამოსილი იქნებოდა ემოქმედა ხალხის სახელით და მთავრობაც მეტ ანგარიშს გაუწევდა.

1915 წელს, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების არსებობის 35-ე წლისთავზე, გამგეობამ პრინციპულად დააყენა საკითხი „კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირის“ შექმნის შესახებ. ამასთან დაკავშირებით გამგეობის მოხსენებაში ვკითხულობთ: „...ამ 35 წლის წინათ წერა-კითხვის საზოგადოება იყო ერთადერთი ყოვლისშემცველი კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოება ჩვენს პატარა საქართველოში. ახლა ჩვენს საზოგადოებას, რომელსაც ჰყავს 3000 წევრი და აქვს 300000 მან. გადაცილებული წლიური ბიუჯეტი, შეუძლიან ამაყად სთქვას, რომ მას უნაყოფოდ არ უშრომია და არის პატივცემული პაპა და წინაპარი ყველა აწ საქართველოში არსებულის საგანგებო კულტურულის დაწესებულებისა. მაგრამ დრო თავისას ჩადის. კულტურის და განათლების საჭიროებანი მრავლდებიან და ცხადია, არ შეუძლიათ მოთავსდნენ ერთის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების პროგრამაში. შრომის განაწილების ისტორიული კანონი თავს იჩენს და ჩვენ თვალწინ საქართველოში დაბადებული სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებანი კისრულობენ საგანგებო საკეთებელს, რომელნიც აქამდის შედიოდნენ წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების პროგრამაში. ეს არის ახალი ხანა ჩვენის კულტურის ისტორიისა“.[1]

1915 წლიდან წერა-კითხვის საზოგადოება სათავეში ჩაუდგა თვითმოქმედ საზოგადოებათა კავშირის ორგანიზაციის საქმეს. მისი ინიციატივით შეიქმნა ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირის დამფუძნებელ წევრთა დროებითი გამგეობა, რომელშიც შევიდნენ: გიორგი ყაზბეგი (წერა-კითხვის საზოგადოე-

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1478, ფურ. 2-4.

ბის თავმჯდომარე) და ექვთიმე თაყაიშვილი (საისტორიო-საეთ-ნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე). გამგეობამ შეიმუშავა კავშირის წესდების პროექტი, რომელიც თბილისის გუბერნატორმა დაამტკიცა იმავე წლის 10 ივლისს.[1]

წესდების მიხედვით „კავშირის" მიზანს შეადგენდა ქართველი ხალხის კულტურისა და განათლების საჭიროებათა ყოველმხრივი შესწავლა და მათ დასაკმაყოფილებლად სათანადო ზომების მიღება, აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა მოქმედების გაერთიანება. „კავშირის" მოქმედების ასპარეზი განისაზღვრებოდა კავკასიის სამეფისნაცვლოს საზღვრებით. „კავშირი" სარგებლობდა იურიდიული პირის ყოველგვარი უფლებით და საჭიროების შემთხვევაში შეეძლო გაეხსნა თავისი განყოფილებები.

„კავშირის" წევრად გახდომა შეეძლო კავკასიის სამეფისნაცვლოს ყველა ლეგალურად მოქმედ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებას, ვინც საამისო სურვილს გამოთქვამდა და გადაიხდიდა საწევროს ყოველწლიურად, 25 მანეთის რაოდენობით; ორი თვის მანძილზე საწევროს გადაუხდელობის შემთხვევაში საზოგადოება ირიცხებოდა „კავშირის" რიგებიდან. „კავშირში" შესვლა ხდებოდა განცხადებითი წესით, რომელსაც ამტკიცებდა მთავარი გამგეობა.

ორგანიზაციულ მხარეს უძღვებოდა „კავშირის" გამგეობა, რომელიც შედგებოდა 7 წევრისაგან და არჩეული იყო 3 წლის ვადით. იგი ექვემდებარებოდა კავშირის რწმუნებულთა საერთო კრებას. საერთო კრებებში მონაწილეობას იღებდა სამ-სამი რწმუნებული თითოეული საზოგადოებიდან, რომლებიც არჩეული იყვნენ საზოგადოების საერთო კრების მიერ 3 წლის ვადით; „კავშირის" უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა საზოგადოებათა რწმუნებულების საერთო კრება, რომელიც ჩვეულებრივ იკრიბებოდა წელიწადში ერთხელ, ხოლო საგანგებო შემთხვევაში — თავმჯდომარის მოწვევით.

გამგეობა არ ერეოდა „კავშირის" წევრ-საზოგადოებების გამგეობათა კომპეტენციაში. ცალკეულ საზოგადოებათა გამგეობებს

---

[1] იხ. „წესდება კავკასიის სამეფისნაცვლოს ქართველთა კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირისა". ცსსა, ფონ. 481, საქ. 1697, ფურ. 1-7.

შეეძლოთ დამოუკიდებლად გადაეწყვიტათ თავიანთი კერძო საკითხები. მთავარ გამგეობას უფლება ჰქონდა მხოლოდ რჩევა მიეცა მათთვის ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტის დროს და დახმარებოდა მათ შესრულებაში.

„კავშირი“ იღებდა კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა ოფიციალურ წარმომადგენლის უფლებას მთავრობის წინაშე სხვადასხვა ღონისძიებების გატარების დროს, რასაც ადრე მოკლებული იყვნენ ცალკეული საზოგადოებები.

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირის შექმნასთან დაკავშირებით გაზეთი „სახალხო ფურცელი“ წერდა:

— „ახლად დაარსებული კავშირი სწორედ იმ საერთო ძაფის შემბმელი უნდა იყოს, რომელიც აუცილებლივ საჭიროა ეროვნული კულტურის სხვა და სხვა დარგის განვითარების პროცესში. ახალ კავშირს ამისათვის საკმაოდ ფართო პროგრამა აქვს“.[1]

1916 წლის 14 იანვარს ჩატარდა კავკასიის სამეფისნაცვლოს ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირის დამფუძნებელთა პირველი კრება. კრებას დაესწრნენ დამფუძნებელი წევრები: გიორგი ყაზბეგი, დიმიტრი ჩოლოყაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებების რწმუნებულები: დ. კარიჭაშვილი და გ. ლასხიშვილი (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება), ან. წერეთლისა და ეკ. მესხი („განათლება“), გ. ჟორდანია, იპ. ვართაგავა და პ. მირიანაშვილი („ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“), პ. გოთუა და ფ. გოგიჩაიშვილი (ქართული საქველმოქმედო საზოგადოება), კ. აბაშიძე, პ. ყიფიანი და ალ. ლორთქიფანიძე (ქუთაისის „სინათლე“), ალ. კრინიცკი, აკ. ფაღავა და ს. კილაძე (ქუთაისის დრამატული საზოგადოება), ნ. ერისთავი და შ. მესხიშვილი (თბილისის ქართული დრამატული საზოგადოება) და სხვ.[2]

საყურადღებოა, ექვთ. თაყაიშვილის აზრი „კავშირის“ შექმნის მნიშვნელობისა და მისი დანიშნულების შესახებ, რომელიც მან

---

[1] გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915წ, № 405.

[2] ცსსა, ფონ. 18., აღწ. 2, საქ. 33, ფურ. 1-3.

კრებაზე გამოთქვა: — „ამჟამად ჩვენ საკმაო საკულტურო დაწესებულება მოგვეპოვება და ეჭვი არ არის, კიდევაც მეტი გვექნება. ყველა საზოგადოება თავის მიზანს ემსახურება, ყველა საქართველოს კეთილდღეობისათვის მოქმედობს, მაგრამ ამ ძალებს კოორდინაცია ეჭირვება, შემაერთებელი ორგანო უნდა და ასეთ ორგანოთ უნდა გახდეს ჩვენი კავშირი. თვითეულმა ჩვენმა საზოგადოებამ უნდა წასწიოს ერთი მის მიზნად დასახული დარგი ჩვენი კულტურისა, ხოლო კავშირმა უნდა იზრუნოს წინ წასწიოს საერთო კულტურა ქართველი ერისა. ყოველი დარგი ჩვენი კულტურისა ორგანოა საერთო ქართული კულტურისა და ვერც ერთი საკულტურო დაწესებულება ვერ იხეირებს ერთი მეორის დაუხმარებლად და საერთო მიზანშეუწონებლად.

— კავშირი ქართველი ერის საერთო აზროვნების გამომხატველი უნდა იყოს. ჩვენ, ჩვენდა სამწუხაროდ, ყოველ უფლება მოკლებულ ერს წარმოვადგენთ. არა გვაქვს თვითმმართველობა, თავისუფალი ეკლესია, ერობა — არ მოგვეპოვება ისეთი დაწესებულება, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს ერს, გააერთიანებს ყველა საზოგადოების მოქმედებას საერთო მიზნისათვის, წინ წასწევს ყოველგვარ კულტურულ საქმეს და იქნება გამომხატველი ქართველი ერის საერთო აზრისა და მისწრაფებისა".[1]

იმავე წლის 12 აპრილს შედგა „კავშირის" რწმუნებულთა საერთო კრება. წესდების მე-18 მუხლის თანახმად, არჩეულ იქნა „კავშირის" გამგეობა 7 კაცის შემადგენლობით. გამგეობაში შევიდნენ: გ. ყაზბეგი, ე. თაყაიშვილი, გ. ლასხიშვილი, გ. რცხილაძე, გ. ცინცაძე, ნ. რამიშვილი და პ. გოთუა. მეორე დღეს, 13 აპრილს, ჩატარდა გამგეობის პირველი სხდომა, რომელმაც აირჩია გამგეობის პრეზიდიუმი: გ. ყაზბეგი (თავმჯდომარე), ე. თაყაიშვილი (მოადგილე), გ. ცინცაძე (მდივანი) და გრ. რცხილაძე (ხაზინადარი).[2]

ნ. რამიშვილი, ევ. გეგეჭკორი და პართენ გოთუა ურჩევდნენ კრებას, „კავშირის" წევრებად მიეღოთ კოოპერატიული დაწესებულებებიც, რადგან ისინიც ასე თუ ისე კულტურის სფეროს ემსახურე-

---

[1] ცასა, ფონ.18, აღწ. 2, საქ. 33, ფურ. 3.
იგივე ფონდი, საქ. 1675, ფურ. 36.

ბიანო. ამის წინააღმდეგ გამოვიდნენ გ. ჟორდანია, შ. მესხიშვილი და გრ. ლაღიძე, რომლებმაც მიუთითეს ამ დაწესებულებების ვიწრო კომერციულ მიზნებზე. კრებამ „კავშირში“ მათ მიღებაზე უარი განაცხადა. „კავშირის“ წევრი გახდა 31 კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება. მოგვყავს მათი სია რიგის მიხედვით:

1. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება;
2. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება;
3. ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება;
4. „განათლების“ საზოგადოება;
5. ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება;
6. ქართული საქველმოქმედო საზოგადოება;
7. ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოება;
8. ჭიათურის ქართული დრამატული საზოგადოება;
9. გორის ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი“;
10. თბილისის ქართული დრამატული საზოგადოება;
11. ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოება;
12. თბილისის ქართული გიმნაზიის უფასო სასადილო;
13. ხონის ქალთა საზოგადოება;
14. ქუთაისის საზოგადოება „სინათლე“;
15. ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება;
16. ლანჩხუთის დრამატული საზოგადოება;
17. ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება;
18. თბილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოება;
19. თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოება;
20. სახალხო სახლთან არსებული ქართული წარმოდგენების მმართველი წრე;
21. ჭიათურის სახალხო უნივერსიტეტი;
22. ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი;
23. ბაქოს ქართული სამხატვრო-სალიტერატურო წრე;
24. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ქუთაისში;

25. ქართველ ხელოვანთა საზოგადოება;
26. ფოთის დრამატული საზოგადოება;
27. სენაკის ქართული დრამატული საზოგადოება;
28. საბურთალოს სცენის მოყვარეთა წრე;
29. ხაშურის დრამატული საზოგადოება;
30. ქუთაისის ქართული დრამატული საზოგადოება;
31. ქუთაისის ქართველ ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოება.[1]

ამრიგად, 1916 წლის 12 აპრილს საფუძველი ჩაეყარა „ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირს", რომელსაც იმ დროისათვის სამართლიანად უწოდებდნენ სრულიად საქართველოს ეროვნულ-კულტურულ შტაბს.

ამ დღესთან დაკავშირებით გაზეთი „საქართველო" წერდა: – „12 აპრილი საქართველოში ისტორიულ დღედ დარჩება. ამ დღეს ჩვენში დაარსდა ის „შტაბი", რომლის უქონლობა და საჭიროება პირველად ბ-ნმა ნიკო ნიკოლაძემ აღნიშნა. ეს „შტაბი" გახლავთ „კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირი, რომელიც გარს შემოიკრებს და შეაერთებს დაქსაქსულ და გაბნეულ ძალთა მოქმედებას ჩვენში".[2]

„კავშირის" შექმნასთან დაკავშირებით მისი თავმჯდომარე გ. ყაზბეგი მოსკოვში დეპეშით აცნობებდა ქართული კულტურის დიდ გულშემატკივარსა და მოამაგეს ა. სუმბათაშვილ-იუჟინს:

„Вчера состоялось первое заседание Союза культурно-просветительных обществ Грузии, твердо веря в будущее, мы бодро смотрим вперед и впредь убеждены, что Вы, оторванный от родины, будете работать солидарно с Союзом. Привет московским грузинам. Председатель Г. Казбек"[3].

ალ. სუმბათაშვილ-იუჟინი მოსკოვში მცხოვრებ ქართველთა სახელით გულთბილად მიესალმა ახლადდაარსებულ ორგანიზაციას: „იმედი მაქვს, ვემსახურო კავშირის კეთილშობილურ მისწრაფებათ,

---

[1] გაზ. „საქართველო", 1916წ. №82.
იქვე, №86.
[3] ცსსა, ფონ. 878, აღწ. I, საქ. №68.

რამდენადაც შემწევს ძალა და ცოდნა“ — წერდა იგი მისალოც დეპეშაში.[1]

პეტროგრადის ქართველი საქველმოქმედო საზოგადოების სახელით მისალოცი დეპეშა გამოგზავნა ვლ. მიქელაძემ.[2]

„კავშირის“ გამგეობამ, უპირველეს ყოვლისა, შეიმუშავა სამოქმედო პროგრამა, რომელიც წესდების თანახმად, ემყარებოდა ორ მთავარ პრინციპს: პირველი — საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო საჭიროებათა შესწავლა და შესაბამისი ღონისძიებების დასახვა; მეორე — ურთიერთთანხმობა „კავშირის“ წევრ საზოგადოებათა საქმიანობაში.

პირველ საკითხთან დაკავშირებით გამგეობამ დასახა შემდეგი სახის ღონისძიებები: 1. რეფერატების მომზადება ქართველი ერის კულტურულ-საგანმანათლებლო მოთხოვნილებათა ადგილზე შესწავლის საფუძველზე; 2. წარმოდგენილი რეფერატების განხილვა მოწვეული სპეციალისტების თანდასწრებით, საერთო დასკვნების გამოტანა და მათი შეძლებისდაგვარად განხორციელება; 3. ცნობების შეკრება კავშირის შემადგენელ საზოგადოებათა მოქმედების შესახებ; 4. მონაწილეობის მიღება საერობო ინსტიტუტის შემოღების საკითხის განხილვაში; 5. ქართველი ერის კულტურულ-ეკონომიკურ უფლებათა დაცვა კერძო პირთა ან ჯგუფური გამოხდომებისაგან; 6. არსებულ წესდებაში ცვლილებების შეტანა.[3]

გამგეობას განზრახული ჰქონდა ხალხის კულტურულ მოთხოვნილებათა შესწავლა დაეწყო საქართველოს იმ კუთხეებიდან, რომლებიც დარჩენილი იყვნენ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა მზრუნველობის გარეშე (სვანეთი, ხევსურეთი, სოხუმისა და ბათუმის ოლქის ნაწილი). ამისათვის გამგეობა საჭიროდ სცნობდა გაეუმჯობესებინა „კავშირის“ მატერიალური მდგომარეობა კერძო შემოწირულებათა მიღების გზით, აგრეთვე აღეძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ „კავშირს“ მონაწილეობა მიეღო კავკასიის საერობო ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს.

---

[1] გაზ. „საქართველო“, 1916წ., № 88.
[2] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1675, ფურ. 13.
[3] ცსსა, ფ. 481, აღწ. I, საქ. 1675, გვ. 54.

1916 წლის 13 აპრილიდან 1917 წლის 17 ნოემბრამდე სრულიად საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა „კავშირის“ გამგეობამ ჩაატარა სულ 9 სხდომა და გაარჩია 25 საქმე. პირველ რიგში გამგეობამ ყურადღება მიაქცია სახალხო მასწავლებლის სათანადოდ მომზადებისა და პროფესიული განათლების პრაქტიკულ განხორციელების საკითხებს. მისი აზრით, აუცილებელი იყო საოსტატო სემინარებისა და ქართული სკოლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებელი ინსტიტუტის დაარსება.

ამ საკითხზე რეფერატის მომზადება დაევალა წერა-კითხვის საზოგადოების სასკოლო სექციის თავმჯდომარეს, ცნობილ პედაგოგს — ლუარსაბ ბოცვაძეს.

1916 წლის 29 ოქტომბრისა და 13 დეკემბრის სხდომებზე „კავშირის“ გამგეობამ მოისმინა ლ. ბოცვაძის მიერ წარმოდგენილი რეფერატი: „სახალხო სკოლა და პროფესიული განათლება“. ლ. ბოცვაძე ასაბუთებდა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას არ უნდა დაევალოს მოსწავლეთა პროფესიული მომზადება, რადგან მას სხვა ამოცანები ეკისრება, მაგრამ სკოლაში შრომის გაკვეთილები უნდა იყოს. მისი აზრით აუცილებელია კვალიფიციური სახალხო მასწავლებლების კადრის მომზადება როგორც სახალხო, ისე პროფესიული სკოლებისათვის.

ლ. ბოცვაძის რეფერატის საფუძველზე გამგეობამ შეიმუშავა შემდეგი სახის ინსტრუქცია: 1. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა უნდა არსებობდეს ცალკე, პროფესიული სკოლისაგან დამოუკიდებლად; ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა უნდა იყოს ერთ-ერთი საფეხური პროფესიული სკოლისა; 2. სკოლა აგებული უნდა იყოს შრომის პრინციპზე, რომელშიც ხელგარჯილობას უნდა ეთმობოდეს დიდი ადგილი; 3. სახალხო სკოლებისათვის ქართულ ენაზე მასწავლებელთა კონტინგენტის მოსამზადებლად აუცილებლად საჭიროა საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარიის დაარსება.

მომავალი სამასწავლებლო სემინარიისათვის სასწავლო პროგრამების და დაახლოებითი ხარჯთაღრიცხვის შემუშავება დაევალა ცნობილ პედაგოგს — ალექსანდრე ჭიჭინაძეს.

სამწუხაროდ, მსოფლიო ომმა და მძაფრმა პოლიტიკურმა ვი-

თარებამ კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობას თავისი დაღი დააჩნია. როგორც ჟურნალი განათლება წერს, „დღევანდელს პირობებში დამშვიდებით მუშაობა რომელსამე კულტურულ საქმეში ყოვლად შეუძლებელია. ყველაფრის სიძვირე, მოუსავლიანობა, შიმშილი, ათასგვარი გაჭირვება; ასეთ პირობებში, როცა კუჭი და ჯიბე ცარიელია, ვის მოაგონდება სულის საზრდოზე ზრუნვა“.

მიუხედავად ამისა, ომის წლებში ქართული თვითმოქმედი საზოგადოებები მაინც განაგრძობდნენ ნაყოფიერ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას და უფრო ცხოველი ინტერესითაც კი ეკიდებოდნენ ამ საქმეს, რადგან იმედი ჰქონდათ, საქართველოში მალე შემოიღებდნენ საერობო დეწესებულებებს, რასაც ქართველი ხალხი მომზადებული უნდა შეხვედროდა. 1916 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ ამიერკავკასიის სოფლებში გაატარა კიდეც მმართველობის ახალი რეფორმა, რომელიც ერობების მხოლოდ ილუზიას ქმნიდა.

1916 წლიდან „სრულიად საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირის“ შექმნით ახალი ეტაპი დაიწყო ქართველი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუ პირველ ეტაპზე (1878-1915წწ) მიმდინარეობდა ქართველი ინტელიგენციის ცალკეულ წარმომადგენელთა ნებაყოფლობითი გაერთიანება სხვადასხვა სახის თვითმოქმედ საზოგადოებებში, მეორე ეტაპზე დაიწყო ცალ-ცალკე მოქმედი ეროვნულ-კულტურული ძალების ერთ კავშირში გაერთიანების პროცესი, რომელიც მიუთითებდა ეროვნული მოძრაობის განვითარებაზე. რაც უფრო იზრდებოდა თვითმოქმედ საზოგადოებათა რიცხვი და მრავალფეროვანი ხდებოდა მათი სამოქმედო პროგრამა, მით უფრო ფართოვდებოდა ეროვნული მოძრაობა, რომლის ორგანულ ნაწილსაც წარმოადგენდნენ თვითმოქმედი საზოგადოებები. ისინი იმავე მიზნებს ემსახურებოდნენ, რასაც ითვალისწინებდა ილიას ეროვნული კონცეფცია — ხალხში განათლებისა და კულტურის შეტანის გზით ეროვნული თვითშეგნების ამაღლება და მისი თვითმყოფადობის გადარჩენა.

კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის მეორე ეტაპი უფრო დემოკრატიული ნიშნით გამოირჩევა, რაზეც მიუთითებს შემდეგი

ფაქტები: 1915 წლისათვის წერა-კითხვის საზოგადოება უკვე მასიურ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელსაც ჰყავდა 3 ათასი წევრი და ჰქონდა 300 ათას მანეთზე მეტი წლიური ბიუჯეტი; 1909 წლიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ფართო ავტონომიური უფლებებით მოქმედებდნენ წერა-კითხვის საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებები; საზოგადოების ნამდვილ წევრთა საწევრო გადასახადი შეადგენდა წელიწადში 1 მანეთს (ნაცვლად 6 მანეთისა); ასევე იყო „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებაში" და სხვაგან. საწევრო გადასახადის შემცირება იწვევდა საზოგადოებათა რიგების დემოკრატიზაციას, დაბალი ფენების ინტერესის ზრდას კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისადმი.

მსოფლიო ომი და დაძაბული პოლიტიკური ვითარება დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის გაფართოებას. მიუხედავად ამისა, იგი არ ჩამკვდარა და განაგრძობდა თერგდალეულთა მიერ არჩეული გზით წინსვლას. ამის დამამტკიცებელი არაერთი ფაქტის მოტანა შეიძლება სხვადასხვა თვითმოქმედი საზოგადოების მოღვაწეობიდან. მაგალითად, ომის მძიმე წლებში ქართველ ხელოვანთა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების შეერთებული ძალებით სამეცნიერო ექსპედიციები მოეწყო სამუსულმანო საქართველოში, თორთუმისა და ისპირის ხეობებში ძველი ქართული კულტურის ძეგლების გადმოღება-დაცვისა და მათი მეცნიერული შესწავლის მიზნით.

ქართველ ხელოვანთა საზოგადოება ჩამოყალიბდა 1911 წელს მხატვარ დიმიტრი შევარდნაძის ინიციატივით. იგი მიზნად ისახავდა ხელი შეეწყო ხელოვნების განვითარებისათვის საქართველოში — შეექმნა სამხატვრო სკოლა და გალერეა, მოეწყო სამეცნიერო ექსპედიციები და გამოფენები და სხვ. საზოგადოებამ მოქმედება დაიწყო 1912 წლიდან. მისი პირველი თავმჯდომარე იყო გიორგი ჟურული.

ზემოხსენებულმა ღონისძიებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ამაზე მიუთითებს ივ. ჯავახიშვილის მოხსენება, რომელიც 1916 წლის 14 აგვისტოს მშობლიურ სოფელ ხოვლეში სპეციალურად დაწერა და

იგი ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობას წარუდგინა.[1]

მოხსენებაში ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: — „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობამ და ქართველმა მხატვრებმა, საქართველოს საისტორიო საზოგადოების გამგეობასთან ერთად, დიდი და საშვილიშვილო საქმე დაიწყეს მით, რომ ქართულ ძველ მხატვრობის ნიმუშების გადარჩენა და გადმოღება იკისრეს".[2]

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ახლა საჭიროა ამ საზოგადოებისათვის ხელის შეწყობა და კარგი სამოქმედო გეგმის შედგენა, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა ყველა ის პირობა, რაც აუცილებელია ძველი ქართული ხელოვნების ძეგლების ნიმუშების გადმოღებისა და მათი მეცნიერული შესწავლის დროს.

ივ. ჯავახიშვილის ეს მოხსნება ერთხელ კიდევ მიუთითებს ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობისადმი მის დიდ პასუხისმგებლობაზე, რასაც ყოველთვის ამჟღავნებდა მთელი თავისი ხანგრძლივი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მანძილზე.

„კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირი" თავიდანვე დადგა ქართველი ერის ინტერესების დაცვის სადარაჯოზე. მართალია მისი მოღვაწეობა ხანმოკლე აღმოჩნდა იმდროინდელი მძაფრი პოლიტიკური ვითარების გამო, მაგრამ ამ მოკლე ხანში მაინც მოასწრო ქართველი ხალხის ინტერესების დასაცავად ერთი საპროტესტო ნაბიჯის გადადგმა. ამის მაჩვენებელია „კავშირის" გამგეობის საპროტესტო წერილები გაზეთების „რუსკიე ვედომოსტი-სა" და „დენ"-ის რედაქციებისადმი. საქმე იმაშია, რომ 1916 წლის აპრილში „რუსკიე ვედომოსტ"-ის 85-ე ნომერში დაიბეჭდა ვინმე „პ"-ს ცილისმწამებლური შენიშვნა ბაქოდან. წერილის სათაურია: „კავკასიის ცხოვრებიდან", რომელშიც ავტორი სეპარატიზმში ადანაშაულებს კავკასიის ხალხებს და მოითხოვს მათი პოლიტიკური ორიენტაციის შეფასებას. ამასთან, ავტორი შენიშნავს, რომ იგი ეყრდნობა „გამოჩენილი სომეხი

---

[1] ჟურ. „ძეგლის მეგობარი", 1966წ., კრებული 7.

[2] იქვე. გვ 43.

მოღვაწის“ სიტყვებს, როდესაც წერს: „ქართველები დგანან თურქული ორიენტაციის გზაზე და იმყოფებიან გერმანელთა ინტერესების ორბიტაში. აქედან მოდის მათი მტრული დამოკიდებულება სომხებისადმი“-ო. „კავშირის“ გამგეობა გამოეხმაურა ქართველი ხალხის მიმართ ამგვარ ცილისმწამებლურ გამოხტომას და 30 ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების სახელით საპროტესტო წერილი გაუგზავნა გაზეთ „რუსკოე ვედომოსტის“ რედაქტორს.

საკითხისადმი ინტერესის გამო მოგვყავს წერილის შინაარსის დიდი ნაწილი: „...Будучи вполне убежденным, что ни один честный армянин не мог сказать этой возмутительной клеветы и, принимая во внимание, что в данное время крайнего возбуждения страстей подобная клевета не может быть обойдена молчанием, и легко могут найтись ловкие дельцы, которые используют подобную провокационную заметку во вред грузинского народа, лояльность которого вновь и прочно закреплена кровью, пролитою его многочисленными доблестными сынами на всех полях битвы от Двины до библейских берегов Тигра и Евфрата, правление Союза 30-ти грузинских культурно-просветительных обществ по требованию своих членов заявляет решительный протест против заметки г.П., к сожалению, нашедшей место на страницах уважаемой газеты „Русские ведомости“, и для сведения редакции препровождает экземпляр воззвания Общества распространения грамотности среди грузинского населения наместничества Кавказского, которое основано на авторитетной оценке грузинской лояльности высшею властью ка Кавказе. Председатель Союза Грузинских культурно-просветительных обществ Г. Казбек“.[1]

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1675, ფურ. 39.

იმავე შინაარსის წერილი გაიგზავნა პეტროგრადშიც გაზეთ „დენ“-ის რედაქციაში, ხოლო წერილის პირი გადაეგზავნა სახელმწიფო სათათბირო წევრს ა. ჩხენკელს, რომელშიც ვკითხულობთ: — „Правление Союза констатирует, что грузинский народ считает ниже своего достоинства оправдываться во возводимых на него вольными или невольными провокаторами обвинениях, ибо лояльность его запечатлена доблестью и кровью многих тысяч сынов Грузии на полях сражений“.[1]

ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირის საპროტესტო გამოსვლა მოსალოდნელი პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად სავსებით გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ იმ მძიმე ვითარებას, რომელიც არსებობდა ამ დროს კავკასიაში. „რუსკიე ვედომოსტის“ ეს პროვოკაციული ხასიათის შენიშვნა შესაძლებელი იყო ზოგიერთებს გამოეყენებინა ქართველი ხალხის ინტერესების საზიანოდ, მით უფრო, რომ ამ პერიოდში გააქტიურდნენ ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების დაჯგუფებები, კერძოდ, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ ბერლინში, რომელიც თავის წარმომადგენლებს აგზავნიდა საქართველოში იმ მიზნით, რომ გერმანიის დახმარებით აჯანყება დაეწყოთ რუსეთის წინააღმდეგ. მართალია, ამგვარმა მცდელობამ მხარდაჭერა ვერ პოვა ვერც ქართულ პოლიტიკურ პარტიებში და ვერც ქართველ ხალხში, მაგრამ იგი მაინც საქართველოს გარკვეულ საფრთხეს უქმნიდა რუსეთის მხრივ და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც ომის ასპარეზზე ათასობით ქართველი სწირავდა საკუთარ სიცოცხლეს მისთვის უცხო, რუსეთის ინტერესებს. მარტო გიორგი ყაზბეგმა, რომელიც ამ საპროტესტო წერილებს ხელს აწერდა, როგორც სრულიად საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირის თავმჯდომარე, ამ ომში სამი ვაჟიშვილი დაკარგა, „მათ შორის ორი — ერთი კაპიტანი და მეორე პოლკოვნიკი, ერთ დღეს დაეცნენ ბრძოლის ველზე, რომლებიც შესანიშნავი ქართველი

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1675, ფურ. 42.

ვაჟკაცები ყოფილან და დედ-მამას მათზე „მზე და მთვარე ამოსდიოდათ“.[1]

ამგვარად, „კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირი“ — სრულიად საქართველოს ეროვნულ-კულტურული შტაბი, უფლებამოსილი აღმოჩნდა ქართველი ერის სახელით გამოსულიყო და დაეცვა მისი ინტერესები. 1917 წლისათვის „კავშირში“ უკვე 33 საზოგადოება გაერთიანდა. „კავშირის“ გამგეობა მათ მორალურ და მატერიალურ დახმარებას უწევდა და იცავდა მათ უფლებებს მთავრობის წინაშე.

„კავშირი“ არ წარმოადგენდა პოლიტიკურ ორგანიზაციას, მიუხედავად იმისა, რომ მისი წევრების უმრავლესობა აქტიურ მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიაში. „კავშირის“ დამფუძნებლებს ღრმად სწამდათ, რომ კულტურულ ორგანიზაციებში პოლიტიკური პრინციპების შეტანა წმინდა ტაძრის შებღალვა იქნებოდა და ეროვნულ საქმეს არ წაადგებოდა. „კავშირი“ თავისი ფუნქციებით უფრო საერობო თვითმმართველობას წააგავდა, რომელიც მხოლოდ ზრუნავდა და არ იბრძოდა ეროვნულ-პოლიტიკური უფლებებისათვის. სრულიად საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირი იმდროინდელ მძიმე პოლიტიკურ სიტუაციაში ემხრობოდა საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის იდეას. მან მონაწილეობა მიიღო 1917 წლის 19 ნოემბრის საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობის მუშაობაში, სადაც კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს ჰყავდათ 35 დელეგატი.

როგორც აქედანაც ჩანს, კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა „კავშირი“ იმ დროისათვის საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა, რომელიც იყო ქართველი ერის საერთო აზრისა და მისწრაფებების გამომხატველი.

1916 წელს „ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირმა“ მონაწილეობა მიიღო პოლონელი მწერლის, ჰენრიკ სენკევიჩის (1846-1916წწ.) ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში. ჰ. სენკევიჩის ნაწარმოებებს მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან

---

[1] იპოლიტე ვართაგავა, მოგონებები, ნაწ. II, თბ., 1962წ., გვ. 244.

იცნობდა ქართველი საზოგადოება. მისი მოთხრობების თარგმანები („პოზნანელი მასწავლებლის დღიურიდან“, „ვიდრე ჰხვალ?“ და სხვ.) ხშირად ქვეყნდებოდა ქართული პრესის ფურცლებზე. განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა ძველი რომის თემაზე შექმნილი ეპოპეა „ვიდრე ჰხვალ?“, რომელსაც 1905 წელს ნობელის პრემია მიენიჭა; აკ. წერეთელმა იგი პიესად გადააკეთა შემდეგი სათაურით: „ვიდრე ჰხვალ, უფალო?“. ეს პიესა ქართულ სცენაზე 1909 წელს დაიდგა და მას შემდეგ აღარ ჩამოსულა სცენიდან.

ჰ. სენკევიჩის გარდაცვალებამ დიდი მწუხარება გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში კარგა ხანს იბეჭდებოდა მწერლისადმი მიძღვნილი გულთბილი წერილები. 1916 წლის 22 დეკემბერს თბილისში მოეწყო ჰ. სენკევიჩის ხსოვნისადმი მიძღვნილი დილა. „კავშირის“ გამგეობის სახელით სიტყვა წარმოსთქვა გამგეობის წევრმა გ. ლასხიშვილმა, ხოლო დეპუტაციამ გ. ყაზბეგის წინამძღოლობით ვერცხლის გვირგვინით შეამკო მწერლის ბიუსტი.

გ. ლასხიშვილმა ხაზგასმით მიუთითა ჰ. სენკევიჩის იმ დიდ დამსახურებაზე, რომელიც მას მიუძღვის მრავალტანჯული პოლონელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში და მადლობა გადაუხადა პოლონელ ერს ამ მაგალითისა და გაკვეთილებისათვის: — „უდიდესი მადლობა პოლონეთის მწერალთა და მოღვაწეთა, რომელთა გვიჩვენეს მაგალითი სამშობლოს სიყვარულისა და მომავლისათვის ბრძოლისა“.

პოლონეთისადმი ყოველთვის დიდი სიმპათიები ჰქონდა ქართველ ხალხს. მის გმირულ ისტორიულ წარსულში იგი ხედავდა მსგავსებას საკუთარ ისტორიასთან. პოლონელები, ისე როგორც ქართველები, ძალდატანებით მოაქციეს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში და წაართვეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. პოლონელი ხალხის გმირული ბრძოლების მაგალითები აღაფრთოვანებდა ქართველობას და სტიმულს აძლევდა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაზედაც მიუთითებდა გ. ლასხიშვილიც.

პირველი მსოფლიო ომის საშინელებანი ყველაზე მეტად იმპერიის განაპირა ნაციონალური რაიონების — პოლონეთის, ლიტვის,

ბელორუსიის, უკრაინისა და ამიერკავკასიის მოსახლეობამ განიცადა. ამასთან დაკავშირებით გ. ლასხიშვილი აღნიშნავდა: — „საშინელი ტრაგედია, რომელსაც ამჟამად განიცდის განათლებული ევროპა, მთელის თავის სიმძიმით თავს დაატყდა პოლონელ ერს. პოლონეთი კვლავ შეიღება სისხლით, კვლავ ეწამა, იმისმა ხალხმა კვლავ დაიდგა ეკლის გვირგვინი, მაგრამ მის ცაზე გამოჩნდა რიჟრაჟი და შორს აღარ არის ის დროც, როცა აღმობრწყინდება თავისუფლებისა და სრული აღორძინების მზეც. ჰენრიკ სენკევიჩი ამ რიჟრაჟზე გამოეთხოვა წუთისოფელს, მაგრამ გამოეთხოვა ბედნიერი იმით, რომ იხილა მოახლოებული აღდგომის ნიშნები, ბედნიერი იმით, რომ იმის ამაგსაც, იმის მსხვერპლსაც, მუშაობასაც წილი უდევს ბრწყინვალე მომავლის მომზადების წმინდა საქმეში — იმ მომავლისა, როცა გაერთიანებული და განთავისუფლებული პოლონელი ერი კაცობრიობას მისცემს არა ერთსა და ორს მიცკევიჩსა და სენკევიჩს...“[1] ამის იმედს კარზე მომდგარი რევოლუცია იძლეოდა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა საქართველოშიც დამოუკიდებლობის აღსადგენად; გაუქმდა კავკასიის სამეფისნაცვლო, რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დაკარგვის შემდეგ, წარმოადგენდა მეფის ხელისუფლების მთავარ დასაყრდენს კავკასიაში.

ქართველი საზოგადოება მიესალმა დროებით მთავრობას, როგორც დემოკრატიული რუსეთის ინტერესების გამომხატველს. 1917 წლის 2 მარტს „კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირმა“ მთელი ქართველი ერის სახელით მისალოცი დეპეშა გაუგზავნა დროებითი მთავრობის თავმჯდომარეს გ. ლვოვს. დეპეშაში აღნიშნული იყო შემდეგი: — „ოცდა ცამეტი ქართული საკულტურო-საგანმანათლებლო საზოგადოების გამგეობა თქვენის სახით მხურვალე სალამს უძღვნის განახლების გზაზე დამდგარ რუსეთის დროებითს უმაღლეს მთავრობას. ძლიერმა ტალღამ, რომელმაც მოგაქციათ ახალი რუსეთის სათავეში, ბოლო მოუღო სულის შემხ-

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1675, ფურ. 55.

უთველ რეჟიმს, წარმოუდგენლად რომ ხდიდა კულტურულ განვითარებას რუსეთის დიდებული ხალხისას და მასთან ერთად იმ ერებისას, რომელთაც თავიანთი ბედი ამ ხალხს შეუკავშირეს. ქართულ საკულტურო-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირი მუხლს იდრეკს რუსეთის ხალხის იმ დიდის შრომისა და მსხვერპლის წინაშე, რომელიც საჭირო იყო ძველი რეჟიმის სალიკვიდაციოდ და რომელიც საჭიროა ახალი ცხოვრების შექმნის წმინდა საქმეში, და კავშირის შემადგენელ საზოგადოებათა სახელით აღთქმას სდებს, ყოველის საშუალებით ხელი შეუწყოს ახალ რეჟიმის დამკვიდრებას. ამასთანავე კავშირი რწმენას გამოთქვამს, რომ სახელმწიფოს ახალ მოწყობის დროს სრულს დაკმაყოფილებას ჰპოვებენ აღთქმითი სურვილ-ოცნებანი მრავალტანჯული ქართველი ხალხისა, რომლის აზრითაც ამის ნივთიერსა და სულიერ ძალთა ერთადერთ ნორმალურ განვითარებისათვის საჭიროა დემოკრატიული პოლიტიკური ავტონომია საქართველოსი თავისუფალ რუსეთის სახელმწიფოში".[1]

ამგვარად, ქართველი ინტელიგენცია დროებით მთავრობას მხარდაჭერას უცხადებდა ახალი, დემოკრატიული რეჟიმის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. ამავე დროს იმედს გამოთქვამდა, რომ ამიერიდან აღსრულდებოდა მრავალტანჯული ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება — საქართველო მოიპოვებდა პოლიტიკურ ავტონომიას თავისუფალ დემოკრატიულ რუსეთის შემადგენლობაში.

1917 წლის 5 ნოემბერს „კავშირის" გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება, ცვლილებები შეეტანა კავშირის მოქმედ წესდებაში კავკასიის სამეფისნაცვლოს გაუქმებისა და ქართველი თავადაზნაურობის ქონების ლიკვიდაციის საკითხთან დაკავშირებით.

იმავე წლის 17 ნოემბერს „კავშირის" თავმჯდომარემ გ. ყაზბეგმა მოიწვია „კავშირის" რწმუნებულთა საგანგებო კრება, რომელსაც ესწრებოდნენ: ექვთ. თაყაიშვილი, გრ. რცხილაძე, პ. გოთუა, ი. რატიშვილი, კ. მაყაშვილი, ნ. წუწუნავა, ანასტ. წერეთლისა, აკ. ფაღავა, ალ. ლორთქიფანიძე, ი. ზედგინიძე და სხვ. დღის წესრიგში იდგა სამი საკითხი: 1. კავშირის მოქმედ წესდებაში ცვლილება-

[1] „სახალხო გაზეთი", 1917წ., №828.

დამატებების შეტანა; 2. საქართველოს ეროვნული ყრილობის ერთი წარმომადგენლის არჩევა და 3. გამგეობის ანგარიში.

პირველ საკითხთან დაკავშირებით „კავშირის“ მდივანმა ვ. ბურჯანაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო 5 ნოემბრის გამგეობის სხდომის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით იცვლებოდა „კავშირის“ სახელწოდება და ნაცვლად „კავკასიის სამეფისნაცვლოს“ ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირისა, „კავშირს“ ეწოდა „სრულიად საქართველოს ქართველთა კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირი“. შესაბამისად, წესდების მუხლებში მოხსენიებული „კავკასიის სამეფისნაცვლოს“ მაგივრად, ყველგან უნდა ჩაეწერათ — „სრულიად საქართველო“.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც „კავკასიის სამეფისნაცვლოს“ იარლიყი ჩამოსცილდა ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებას, რომელიც იძულებით იყო მიწებებული.

წესდებაში ჩაემატა ერთი ახალი მუხლიც — „კავშირს“ უფლება ეძლეოდა კანონიერების ფარგლებში შეეძინა უძრავ-მოძრავი ქონება, მიეღო ყოველგვარი სახის შემოწირულება (ანდერძები, ფასიანი ქაღალდები, ფული და სხვ.), დაეგირავებინა ქონება, გაესხვისებინა ან გაეყიდა.

წესდებაში ამგვარი ცვლილებების შეტანა გამოიწვია იმან, რომ ქართველი თავადაზნაურობის ქონების ლიკვიდაციის შემდეგ, „კავშირი“ იურიდიულად უფლებამოსილი გამხდარიყო, რომ მონაწილეობა მიეღო ქონების გადანაწილებაში.

წესდებაში ცვლილება შეიტანეს საწევრო გადასახადთან დაკავშირებითაც. თუ ადრე, 6 თვის მანძილზე კავშირის წევრი-საზოგადოება არ გადაიხდიდა დაწესებულ საწევრო თანხას და ირიცხებოდა „კავშირის“ რიგებიდან, ახლა გადასახადის ვადა 2 თვემდე შემცირდა.

მეორე საკითხზე ინფორმაცია გააკეთა გ. ყაზბეგმა. მან კრებას გააცნო „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს“ გადაწყვეტილება 1917 წლის 19 ნოემბრისათვის ეროვნული ყრილობის მოწვევის შესახებ.

„საქართველოს ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ“

აკ. ჩხენკელის თავმჯდომარეობით ფუნქციონირება დაიწყო 1917 წლის აპრილიდან. იგი წარმოადგენდა პოლიტიკურ პარტიათა ნებაყოფლობით გაერთიანებას და არ გააჩნდა იურიდიული უფლებამოსილება ქართველი ერის სახელით ემოქმედა; ამიტომ აკ. ჩხენკელის ინიციატივით საბჭომ გადაწყვიტა მოეწვია ეროვნული ყრილობა. ყრილობას უნდა აერჩია ეროვნული საბჭო, რომელიც იქნებოდა უფლებამოსილი, გადაეწყვიტა ეროვნული პრობლემები დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. კავშირის რწმუნებულთა კრებამ ეროვნულ ყრილობაზე თავის წარმომადგენლად იპოლიტე ვართაგავა აირჩია.

მესამე საკითხთან დაკავშირებით „კავშირის" მდივანმა ვარლამ ბურჯანაძემ წაიკითხა გამგეობის საანგარიშო მოხსენება, რომელიც შედგენილი იყო გიორგი ყაზბეგის მიერ. მოხსენებაში დახასიათებულია „კავშირის" შექმნის საჭიროება და მისი დანიშნულება, მოცემულია გამგეობის ერთი წლის მუშაობის ანგარიშის განხილვა (1916 წლის აპრილიდან – 1917 წლის ნოემბრამდე).

როგორც მოხსენებიდან ჩანს, საანგარიშო პერიოდში „კავშირის" შემოსავალი შეადგენდა 1575 მანეთს (საზოგადოებებიდან შემოსული თანხა – 775 მანეთი, თავადაზნაურთა დახმარება – 800 მანეთი).

საკითხისადმი ინტერესის გამო მოგვყავს ზემოხსენებულ კრებაზე ვ. ბურჯანაძის მიერ წაკითხული გ.ყაზბეგის მოხსენების ტექსტი, რომელშიც შეჯამებულია „კავშირის" ხანმოკლე მოღვაწეობა.

მოხსენებაში აღნიშნულია შემდეგი:

– „სრულიად საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირი დაარსდა მიმდინარე, საშინელი მსოფლიო ომის ქარცეცხლის დროს – 1915 წელს; თვითონ ცხოვრებამ თავისი ბრძანებითი მოთხოვნილებით წამოაყენა მომენტი, რომლის გვერდის ახვევა შეუძლებელი იყო. ჩვენი კავშირის მიმრქმელებად შეიქმნენ ცეცხლი და მახვილი, ატმოსფერო კი, რომლითაც სუნთქავდა ჩვენი სამშობლო-ქვეყანა, იყო ბრძოლა სოციალურ-პოლიტიკური პრობლემებისათვის.

– ამ ატმოსფეროთი შექმნილ პირობებში არ რჩებოდა დრო კულტურულ-განმანათლებელ საქმეთა წარმოებისათვის: სკოლების

საკითხი მივიწყებას ეძლეოდა და მათ გაეროვნებას, თუ რეაქცია გაიმარჯვებდა, დაღუპვა მოელოდა, — ვინაიდან ძველმა მთავრობამ თავისი მოქმედებით აშკარად დაგვიმტკიცა, რომ იგი, არამც თუ მომხრე იყო ეროვნებათა უფლებების გაფართოვებისა, არამედ სცდილობდა ძირიან-ფესვიანად ამოეფხრა ის ნორჩი ყვავილი, რომელიც აღმოცენდა საქართველოში რუსეთის ისტორიული გაზაფხულის ხანაში.

— მოთხოვნილება ეროვნული სკოლის შენარჩუნებისა და მისი დაცვისა, საქართველოში გაფანტულ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა მუშაობის გაერთიანება და, კერძოდ, ამ საზოგადოებათა უფლების დაცვა, — აი ის პირველი, მცირე და ისიც იძულებითი მიზანი, რომელიც შეეძლო გაეშუქებინა „კავშირს" თავის პირვანდელ წესდებაში. ძველი დროის კანონმდებლობა მეტის უფლებას არ გვაძლევდა, მაგრამ კავშირის დამფუძნებლები დროის პირობების მიხედვით, არამც თუ ჰკარგავდნენ პროგრამის გაფართოვების იმედს, არამედ ხედავდნენ „კავშირში" იმ კეთილ თესლს, რომლიდანაც უნდა წარმოშობილიყო ფართო მომავალი.

— „კავშირის" მოქმედების სურათი ჩვენ განსაზღვრულად გვქონდა წარმოდგენილი; ჩვენ არ გვაშინებს არც ის გარემოება, რომ მსოფლიოს ომის მიერ გამოწვეულმა პირობებმა შეაფერხეს ჩვენი მუშაობა: დროებითი მიყუჩება კავშირის გამგეობის მოქმედებისა აიხსნება საერთო მდგომარეობით, როდესაც ყველა პოლიტიკასთან დაკავშირებული საქმეთა მსვლელობა თვალსაჩინოდ შეფერხდა.

— ჩვენ ყველანი, დიდი და პატარა, ჩავებით ამ პოლიტიკაში. ვგონებ, არ დარჩენილა საქართველოში არც ერთი კაცი, რომელიც არ ირიცხებოდეს ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის აქტიურ წევრად და არ სწირავდეს უკანასკნელ თავისუფალ დროს პარტიულ მუშაობას. ჩვენ არ შევუდგებით ამ გაცხარებული მუშაობის დაფასებას, მხოლოდ აღვნიშნავთ მის ნიშნებს და დასამტკიცებლად მოვიყვანთ ფაქტს, რომ მრავალჯერ მოწვეული კავშირის გამგეობის სხდომები არ სდგებოდა, რადგან თითქმის ყველა ჩვენი გამგეობის წევრები ღებულობდნენ მონაწილეობას უფრო მნიშვნელოვან დროის შესაფერის კრებებში. ასეთი პოლიტიკური მდგომარეობა გრძელდება ამჟამადაც.

— ეს კრება საგანგებოდ მოიწვია თავმჯდომარემ, რომელიც შეეხო ქართველ თავადაზნაურობის მრავალმილიონად ღირებულ ქონების ლიკვიდაციას, რომელშიაც ჩაება კავშირიც, როგორც ქონების მიღების უფლების მქონე ორგანიზაცია.

— გამგეობის მუშაობა პირველ საანგარიშო წელს არ დაგვირგვინებულა არც ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯით, შეიძლება ითქვას, „კავშირი" მხოლოდ ეწყობოდა, მაგრამ იგი მაინც არ მომკვდარა, არამედ მშვიდობიანობის დამყარების მოლოდინშია და დაიმედებულია, რომ თვითონ ცხოვრება გაამართლებს მის მაღალ დანიშნულებას".[1]

„სრულიად საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირმა" ამ კრების შემდეგ დიდხანს ვეღარ იარსება. 1917 წლის ბოლოსათვის იგი დაიშალა, მაგრამ თვით ფაქტი მისი დაარსებისა წარმოადგენდა ეროვნულ-კულტურული ძალების უფრო მაღალ საფეხურზე გაერთიანების პირველ ცდას, რომელსაც საკოორდინაციო ცენტრის ფუნქცია ეკისრებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს უკვე დაგვიანებული აღმოჩნდა.

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1697, ფურ. 11-12.

ბოლოთქმა

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობამ საქართველოში ბოლომდე შეინარჩუნა ეროვნული ხასიათი და არ გადაუხვია ილიას არჩეული გზიდან, მიუხედავად იმისა, რომ ქართული პოლიტიკური პარტიები ცდილობდნენ თვითმოქმედი საზოგადოებები თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ და მათი საქმიანობა კლასობრივი მიზნებისათვის დაექვემდებარებინათ; მაგრამ იმდენად მტკიცე აღმოჩნდა ეროვნული კონსოლიდაციის ილიასეული გზა („მამული, ენა, სარწმუნოება"), რომ თვითმოქმედმა საზოგადოებებმა თითქმის ნახევარი საუკუნე ამ გზით იარეს, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. განსაკუთრებით ფესვმაგარი გამოდგა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება — „მანათობელი" და „ეროვნული თავშესაფარი" ქართველი ხალხისა, რომელმაც წარუშლელი კვალი დააჩნია მის სულიერ ცხოვრებას თვითმპყრობელური რეჟიმის მძიმე პირობებში.

ქართველი ხალხის ნებაყოფლობითი შემოწირულებებისა და ქველმოქმედების გზით, თვითმოქმედ საზოგადოებათა ხელით მრავალი საშვილიშვილო საქმე გაკეთდა, რაც მომავალ თაობებს ავალებს, ახლოს იცნობდნენ და აფასებდნენ წინაპართა ნათელ ნაკვალევს, რომელიც ტაძრისაკენ მიდიოდა.

ილუსტრაციები

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაფუძნებლები

ორბელიანი

დიმიტრი ყიფიანი

ილია ჭავჭავაძე

იაკობ გოგებაშვილი

ნიკო ცხვედაძე

ნიკო ღოღობერიძე

დიმიტრი ბაქრაძე

ქრისტეფორე მამაცაშვილი

ეახტანგ თულაშვილი

ივანე გვარამაძე

ალექსანდრე სარაჯიშვილი

რაფიელ ერისთავი

ვახტანგ ორბელიანი

კირილე ლორთქიფანიძე

იაკობ მანსვეტაშვილი

ანტონ ფურცელაძე

დავით ჩუბინაშვილი

გრიგოლ ყიფშიძე

პეტრე უმიკაშვილი

მამია გურიელი

აკაკი წერეთელი

ალექსანდრე ჭიჭინაძე

ივანე მაჩაბელი

საზოგადოების გამგეობის ბეჭედი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი
საზოგადოების პირველი გამგეობა

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარეები

დიმიტრი ყიფიანი
(1879-1882 წწ.)

ილია ჭავჭავაძე
(1885-1907 წწ.)

ივანე მუხრანელი
(1882-1885 წწ.)

გიორგი ყაზბეგი
(1908-1918 წწ.)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრები

გიორგი წერეთელი



თედო ჟორდანია

ივანე გამყრელიძე

გიორგი თუმანიშვილი

პეტრე უმიკაშვილი

ნიკო ხიზანიშვილი

იონა მეუნარგია

სამსონ ფირცხალავა

გრიგოლ ყიფშიძე

გრიგოლ ეოლსკი (უმწიფარიძე)

გიორგი ლასხიშვილი

ალექსანდრე ჭყონია

ლუარსაბ ბოცვაძე
(წ-კ საზოგადოების სასკოლო
სექციის თავმჯდომარე)

დავით კარიჭაშვილი წიგნსაცავ-
მუზეუმის გამგე

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების
წიგნსაცავ-მუზეუმი

მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი (კავკავის ქართული სკოლის სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარე)

ალექსანდრე ნანეიშვილი (ბათუმის სკოლის მასწავლებელი)

ბათუმის სკოლის გაკვეთილზე

კავკავის ქართული სკოლა

ბაქოს ქართული სკოლა

ნიკო დადიანი

იაკობ გოგებაშვილი

დავით სარაჯიშვილი

ნიკო ღოღობერიძე

ალექსანდრე ხახანაშვილი

ეკატერინე სარაჯიშვილი

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ოპოზიციის წევრები

ნოე ჟორდანია

ფილიპე მახარაძე

ისიდორე რამიშვილი

ივანე გომართელი

იაკობ ნიკოლაძე პარიზში თავის სახელოსნოში ილია ჭავჭავაძის საფლავის ძეგლის „მწუხარე საქართველოზე“ მუშაობის პერიოდში



დგანან მარცხნიდან მარჯვნივ — იოსებ იმედაშვილი, მიხეილ გაჩეჩილაძე, ისიდორე კვიცარაძე, ვასილ გადილია; სხედან — სოსიკო მერკვილაძე, ივანე როსტომაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, კოწია თავართქილაძე, სპირიდონ ჭელიძე.

გიორგი ქართველიშვილი

ალექსანდრე ჯაბადარი

ოლღა გურამიშვილი-[illegible]

ეკატერინე გაბაშვილი

ანასტასია თუმანიშვილი-
წერეთლისა

ნინო ყიფიანი და ფანცხავა

დომინიკა ერისთავი („განდეგილი“)

ვერა მიქაბერიძე

ნინო ნაკაშიძე

დგანან: ანა ღვინიაშვილი, მარიჯანი, დარია ახვლედიანი, საფო მგელაძე, ნინო ტყეშელაშვილი, ლიდია მეგრელიძე.
სხედან: ანა ხახუტაიშვილი („ცქვიტი"), ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, ეკატერინე გაბაშვილი, კეკე მესხი.

ი. ჭავჭავაძე
(თავმჯდომარე)

წერეთელი
(თავმჯდომარის თანაშემწე)

რ. ერისთავი

გ. თუმანიშვილი (ხაზინადარი)

კ. ყიფიანი (მდივანი)

მ. ქართველიშვილი

მ.ქ. ყიფიანი

გაბრიელ სუნდუკიანცი

ილია

აკაკი

გიორგი თუმანიშვილი

ნიკო ავალიშვილი

ვასო აბაშიძე

ლადო მესხიშვილი

ვალერიან გუნია

ეფემია მესხი

მაკო საფაროვა

ნატო გაბუნია

აექსენტი ცაგარელი

კოტე ყიფიანი

ბაბო ავალიშვილი

დავი

ელისაბედ ჩერქეზიშვილი



ქართული თეატრის შენობა

ქართული თეატრის დასი 1898-1899 წწ.

ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოება შეუძლებელ მოწაფეთა შემწეობისათვის

იაკობ გოგებაშვილი

ნიკო ცხვედაძე

დავით სარაჯიშვილი

ივანე მაჩაბელი (სათავადაზნაურო სკოლის გამგე 1881-1882 წწ.)

ნიკო ლომოური (სათავადაზნაურო
სკოლის გამგე)

შიო ჩიტაძე (სათავადაზნაურო
გიმნაზიის გამგე)



თბილისის გიმნაზიის მშენებლობა
სურათზე წინ პირველი დგას ნიკო ცხვედაძე



თბილისის გიმნაზიის მშენებლობა (ახლანდელი თბილისის უნივერსიტეტის პირველი კორპუსი)

საქართველოს სასტრატეგიო და საინტერესოო საზოგადოების საბჭოს წევრები

ექვთიმე თაყაიშვილი (თავმჯდომარე)

მოსე ჯანაშვილი

დავით კარიჭაშვილი

ალექსანდრე სარაჯიშვილი

ვასილ კარბელაშვილი

ალექსანდრე ყიფშიძე

ირადიონ სონღულაშვილი

კორნელი კეკელიძე

იუსტინე აბულაძე

სერგი გორგაძე

ვაჟა-ფშაველა

დავით კლდიაშვილი

შიო არაგვისპირელი

ვასილ ბარნოვი

ანასტასია
ერისთავი-ხოშტარია

სარგის კაკაბაძე

ლადო გუდიაშვილი

ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების წევრები

გიორგი ჟორდანია
(თავმჯდომარე)

თედო ჟორდანია

ივანე გომართელი

იპოლიტე ვართაგავა

კიტა აბაშიძე

მელიტონ ბალანჩივაძე

ზაქარ. ფალიაშვილი

დიმიტრი არაყიშვილი

ნიკო სულხანიშვილი

იროდიონ ევდოშვილი

ალ. სუმბათაშვილი-იუჟინი

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ფონდი № 481, აღწ.1, საქ.1; საქ. 2; საქ.3; საქ.10; საქ.13; საქ. 25; საქ. 26; საქ. 39; საქ. 65; საქ. 207;. საქ. 238; საქ. 359; საქ. 365; საქ. 384; საქ. 398; საქ. 429; საქ. 465; საქ. 468; საქ. 497; საქ. 571; საქ. 725; საქ. 1004; საქ. 1022; საქ. 1034; საქ. 1044; საქ. 1046; საქ. 1070; საქ. 1071; საქ. 1072; საქ. 1073; საქ. 1075; საქ. 1076; საქ. 1127; საქ. 1147; საქ. 1210; საქ. 1284; საქ. 1311; საქ. 1343; საქ. 1383; საქ. 1478; საქ. 1493; საქ. 1552; საქ. 1553; საქ. 1576; საქ. 1636; საქ. 1667; საქ. 1675; საქ. 1697; საქ. 1700; საქ. 1833; საქ. 3035.

ცსსა, „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ ფონდი № 2094, საქ. 1; საქ. 2; საქ. 8; საქ. 10; საქ. 13; საქ. 20; საქ. 26; საქ. 27; საქ. 44; საქ. 45.

ცსსა, გიორგი ყორდანიას პირადი ფონდი № 1813, საქ. 29; საქ. 30; საქ. 253; საქ. 378; საქ. 392; საქ. 393.

ცსსა, ფონ. 13, აღწ. 1, საქ. 1896.

ცსსა, ფონ. 17, აღწ. 1, საქ. 6337.

ცსსა, ფონ. 876, აღწ. 1, საქ. 68.

აკად. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, ნინო ყიფიანის არქივი № 2343, ხელნაწ. 2363, 2280.

ნინო ტყეშელაშვილის არქივი № 9502-6 ხელნაწ. № 1276; № 2762.

სახალხო განათლების მუზეუმი, ხელნაწ. № 2210, საქ. 37; საქ. 38; საქ. 45; საქ. 50; ხელნაწ. № 2100, საქ. 45.

შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმი, საგანძურის კანცელარია, ფონდი № 1-63.

საქართველოს სახელმწიფო თეატრალური მუზეუმი, ფონდი 1, აღწ. 1, საქ. 72.

მოსკოვის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონ. 418, აღწ. 499, საქ. 14.

„ივერია“, 1877 წ.; № 8; № 9; № 12; № 13; № 15; № 18; № 20;

№ 21. № 23. № 37.

„ივერია“, 1878 წ., № 17; № 19; № 22; № 29; № 41; № 44; № 146.

„ივერია“, 1879 წ., № 4.

„ივერია“, 1886 წ. № 15.

„ივერია“, 1888 წ., № 29.

„ივერია“, 1889 წ., № 90

„ივერია“, 1893 წ., № 85. № 86; № 87.

„ივერია“, 1895 წ., № 230.

„ივერია“, 1900 წ., № 4.

„ივერია“, 1901 წ., № 241; № 252.

„ივერია“, 1902 წ., № 2.

„ივერია“, 1905 წ., № 72.

„ივერია“, 1909 წ., № 3; № 17; № 39.

„დროება“, 1873 წ., № 16.

„დროება“, 1874 წ:, № 424.

„დროება“, 1875 წ., № 80.

„დროება“, 1876 წ., № 63.

„დროება“, 1878 წ.; № 32; № 126.

„დროება“, 1879 წ.; № 31. № 32; № 101.

„დროება“, 1880 წ.; № 118.

„დროება“, 1884 წ., № 59; № 70; № 75; № 77; № 79; № 94; № 95; № 96; № 97; № 98; № 114.

„დროება“, 1889 წ.; № 212. № 246; № 249.

„დროება“, 1908 წ.; № 25.

ჟურ. „კრებული“, 1871 წ., № 5.

გაზ, „კავკაზი“, 1875 წ., № 4; № 7; № 8; № 16; № 19; № 32; № 33; № 38; № 39;

ჟურნ. „Вестник воспитания“ /под ред. Е. А. Покровского/ СПб., 1895, № 1.

ჟურნ. „Обозрение“, 1894, № 10.

გაზ. „კვალი“, 1895 წ., № 9; № 19.

გაზ. „კვალი“, 1897 წ., № 36.

გაზ. „კვალი“, 1901 წ., № 47; № 51.
გაზ. „კვალი“, 1902 წ., № 1; № 22; № 25.
გაზ. „კვალი“, 1905 წ.; № 25.
გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901 წ., № 1626; № 1632; № 1633; № 1662.
გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902 წ., № 1810.
გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ., № 2867.
„საქართველოს კალენდარი“, ვ. გუნიას რედაქციით, ტფ., 1905 წ.
ჟურ. „ნიშადური“, 1908 წ., № 46.
ჟურ. „მოამბე“, 1900 წ., № 1.
გაზ. „მეგობარი“, 1906 წ., № 5.
გაზ. „სიმართლე“, 1906 წ., № 15.
გაზ. „განათლება“, 1908 წ., № 5-6.
გაზ. „განათლება“, 1913 წ., № 10.
ჟურ. „განათლება“, 1914 წ., № 1; № 2; № 3; № 4.
ჟურ. „განათლების“ დამატება, ცნობები ქშწ-კ გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა, 1913 წ., № 6.
ჟურ. „განათლების“ დამატება, ცნობები ქშწ-კ გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა, 1914 წ, № 5; № 8; № 10.
ჟურ. „განათლება“, 1915 წ.; № 8-9; № 10.
გაზ. „ამირანი“, 1908 წ.; № 41; № 148; № 183.
ჟურ. Этнографическое обозрение, № 1-2; М., 1908 წ.
გაზ. „ზაკავკაზიე“, 1908 წ., № 65; № 135.
გაზ. „ზაკავკაზიე“, 1911 წ., № 32.
გაზ. „ზაკავკაზიე“, 1913 წ., № 30; № 105.
გაზ. „კავკაზსკაია რეჩ“, 1911 წ., № 32.
გაზ. „კავკაზსკაია რეჩ“, 1912 წ., № 259.
გაზ. „კავკაზსკაია რეჩ“, 1913 წ., № 19.
გაზ. „ალი“, 1908 წ., № 19.
გაზ. „თემი“, 1913 წ., № 112; № 116; № 117; № 129; № 155.
გაზ. „თემი“, 1914 წ., № 183.
გაზ. „თემი“, 1915 წ., № 169.
გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1914 წ; № 21; № 22; № 23; № 156; № 159.

გაზ. „სახალხო ფურცელი“, № 21. № 22; № 23. № 162; № 194; № 196; № 235; № 251; № 405; № 411; № 454; № 460.
გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ.; № 504; № 570.
„სახალხო გაზეთი“, 1911 წ.; № 517.
„სახალხო გაზეთი“, 1913 წ., № 848.
„სახალხო გაზეთი“, 1916 წ., № 213.
„სახალხო გაზეთი“, 1917 წ., № 828.
ჟურ. „ჯეჯილი“, 1916 წ., № 7-8.
გაზ. „საქართველო“, 1915 წ., № 5; № 17; № 57; № 91; № 119; № 120;
გაზ. „საქართველო“, 1916 წ.; № 22; № 24; № 37; № 38; № 82; № 86; № 88; № 102; № 126. № 132; № 133; № 137; № 138; № 188.
„ბათუმის გაზეთი“, 1914 წ., № 45,
ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1910 წ., № 7.
ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1914 წ., № 6; № 11; № 14; № 16; № 17; № 22; № 32.
ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ., № 26.
ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1916 წ., № 5; № 52.
ჟურ. „აკაკის დღე საქართველოში“, ვალ. გუნიას გამოცემა; თბ., 1908 წ., № 2.
გაზ. „შრომა“, 1913 წ., № 121; № 133.
გაზ. „იმერეთი“, 1913 წ., № 60.
ჟურ. „კლდე“, 1913 წ., № 6; № 7; № 16.
ჟურ. „კლდე“, 1915 წ., № 2.
ფურცელი — ალმანახი № 1. „ძმური სიტყვა“, 1915 წ., 26 ივლისი.
გაზ. „სამშობლო“, ქუთ., 1916 წ., № 386.
ჟურ. „მნათობი“, 1956 წ., № 6.
ჟურ. „მნათობი“, 1958 წ., № 11.
ჟურ. „საისტორიო მოამბე“, 1947 წ. № 3.
ჟურ. „საისტორიო მოამბე“, ტ. 41-42; 1980 წ.
ჟურ. „ძეგლის მეგობარი“, 1966 წ., კრებ. 7.
ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, 1970 წ., № 12.

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1990 წ., № 1.
აბაშიძე მ., რჩეული ნაწერები. ბათუმი, 1973 წ.
აბაშიძე ჰ. წერილები, თბ., 1963 წ.
Аврех, Столыпин и судьбы реформ в России. М., 19.
ანგარიში წიგნების გამომცემელი ქართველთა ამხანაგობისა, ტფ., 1892 წ.
ანგარიში წიგნების გამომცემელი ქართველთა ამხანაგობისა, ტფ., 1896 წ.
ანგარიში XXI წლის მოქმედებისა ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის, 1899 წლისა. ტფ., 1900 წ.
ანგარიში ქართული დრამატიული საზოგადოებისა 1903-1904 წწ. ტფ., 1904.
ანგარიში ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის 1905 წლისა, ტფ., 1905 წ.
ანგარიში ქუთაისის დრამატიული საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა, 1905 წელს, ტფ., 1905 წ.
ანგარიში ქუთაისის დრამატიული საზოგადოების გამგეობისა 1909-1910 და 1910-1911 წწ. ქუთ., 1912 წ.
ანგარიში ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის 1914-1915 წწ., ქუთ., 1915 წ.
ანგარიში ქართული საქველმოქმედო საზოგადოებისა 1915 წელს, ტფ., 1915 წ.
ანგარიში ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობისა 1915-1916 წწ., ქუთ., 1916 წ.
ანგარიში ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობისა 1916-1917 წწ., ქუთ. 1917 წ.
აბზიანიძე გ. ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1960 წ.
აბულაძე მ. ლიტერატურულ მიმდინარეობათა ისტორიიდან მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში, თბ., 1977 წ.
აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1966 წ.
ბადრიძე შ. ილია ჭავჭავაძე როგორც ისტორიკოსი. თბ., 1987 წ.

ბაქრაძე აკ. ილია ჭავჭავაძე, თბ., 1984წ.

ბაქრაძე დ. პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები, ტფ., 1884 წ.

Бакрадзе Д. Археологические путешествия по Грузии и Ачаре. Тиф., 1878 г.

ბენდიანიშვილი ალ. ეროვნული საკითხი საქართველოში, (1801-1921), თბ., 1980.

ბოცვაძე ი. ქართული პრესა და მწერლობა, თბ., 1976 წ.

ბოცვაძე ი. ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, თბ., 1955 წ.

Богданов В. Пятидесятилетие Императорского Общества Любителей естествознания, антропологии и этнографии (1863-1913), М., 1914 г.

ბუხნიკაშვილი გ. წერილები თეატრზე, თბ., 1964 წ.

გაგუა ვ. სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმისშემდგომ საქართველოში, თბ., 1974 წ.

გაფრინდაშვილი მ. ქართული განმანათლებლობა. თბ., 1966 წ.

გავაშელი ლ. ია კარგარეთელი, მონოგრაფია, თბ., 1959 წ.

გოგებაშვილი ი. რჩეული ნაწერები, ტ. 2, თბ., 1940 წ.

გოგებაშვილი ი. რჩეული ნაწერები, ტ. 3, თბ., 1954 წ.

გოგებაშვილი ი. რჩეული ნაწერები, ტ. 4, თბ., 1955 წ.

გიულმამედოვი მ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და აზერბაიჯანის ქართველობა, თბ., 1985 წ.

გოდერიძე ლ. მასალები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისათვის (1879-1900 წწ.), ჟურ. „საისტორიო მოამბე", ტ. 37-38; 1978 წ.

გოდერიძე ლ. მასალები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისათვის (1900-1917 წწ.), ჟურ. „საისტორიო მოამბე", ტ. 41-42, 1980 წ.

გოდერიძე ლ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავ-მუზეუმის ისტორიიდან (დოკუმენტების პუბლიკაცია), თსუ შრომები, ტ. 227, თბ., 1982 წ.

გოდერიძე ლ. მასალები „ქართული კულტურის მოყვარულთა

საზოგადოების ისტორიისათვის“, ჟურ. „საისტორიო მოამბე“, ტ. 27-28; 1973 წ.

გოდერიძე ლ. მასალები საზოგადოება „განათლების“ ისტორიისათვის. ჟურ. „საისტორიო მოამბე“, ტ. 33-34, 1976 წ.

გოდერიძე ლ. ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება. ჟურ. „მნათობი“, 1976 წ., № 10.

გოდერიძე ლ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ილია ჭავჭავაძე. საიუბილეო კრებული, თბ., 1987 წ.

გოდერიძე ლ. გიორგი ჟორდანია — ქართული კულტურის დიდი მოამაგე, კრებული „გივი ჟორდანია-90“, თბ., 2001 წ.

გომართელი ივ.; აბაშიძე კ. ორი სიტყვა (აკაკის შესახებ), თბ., 1915 წ.

გრიშაშვილი ი. ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი.

ქართული თეატრის აღდგენის 100 წელი, თბ., 1953 წ.

გრიგოლია კ. ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954 წ.

Государственная Дума. Стенографический отчет. Сессия 4, С, Петроград, 1916.

გურული ვ., ვაჩნაძე მ. ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918 წწ.), თბ., 1999 წ.

დადიანი შ. წერილები, წიგნი II, თბ., 1954 წ.

დედათა საოსტატო სემინარია. საზოგადოება „განათლების“ გამოცემა, ტფ., 1915 წ.

დუმბაძე მ. ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე. ბათუმი, 1950 წ.

დურნოვო ნ. ქართული ეკლესიის ბედი. ჟურნ. „განთიადი“, № 10, 1990 წ.

Епископ Кирион, Культурная роль Иверии в истории Руси. Тиф., 1910.

ექვთიმე თაყაიშვილი. კრებული, თბ., 1966 წ.

ვართაგავა იპ. მოგონებები, ნაწ. II, თბ., 1962 წ.

ვალერიან გუნია. დ. ჯანელიძის რედაქციით. თბ., 1953 წ.

თავზიშვილი გ. პედაგოგიური განათლება მე-19 საუკუნის საქართველოში, თბ., 1948 წ.

თავზიშვილი გ. ეკატერინე გაბაშვილი, თბ., 1963 წ.

თაყაიშვილი ექვთ. რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968 წ.

თაყაიშვილი ექვთ. „მცირე უწყება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობის პირველი ათი წლის განმავლობაში (1907-1917 წწ.), კრებულში აკადემიკოსი ექვთ. თაყაიშვილი, თბ., 1966 წ.

თულაშვილი ვ. წერა-კითხვის საზოგადოების დაარსება. „საქართველოს კალენდარი", 1904 წ.

თუმანიშვილი მ. როგორ აიდგა ფეხი ქართულმა თეატრმა. ტფ., 1880 წ.

Игнатьев А.В. Российская империя в начале XX столетия: опыт сравнительной характеристики в кн: Россия в XX веке. Проблемы национальных отношений, М., 1999.

იაშვილის მასალები თბილისის ქართული გიმნაზიის ისტორიისათვის, თბ., 1956 წ.

ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, ტფ., 1907 წ.

Исарлов Л.С. Письмо о Грузии. Тиф., 1899 г.

იმედაშვილი ი. ჩემი ცხოვრების წიგნი, თბ., 1978 წ.

იოვიძე ა. ნ. ნიკოლაძე და მეფის ცენზურა. ჟურ. „საისტორიო მოამბე", № 1, 1945 წ.

იოვიძე ა. ს. მესხი და მეფის ცენზურა. ჟურ. „საისტორიო მოამბე", ტ. 11-12, 1960 წ.

კლდიაშვილი დ. მოთხრობები და პიესები, თბ., 1947 წ.

კრებული „ძველი საქართველო", ტ. I, 1909 წ.

კოჭლავაშვილი ალ. ქართული თეატრის ისტორიისათვის (მეფის „ოხრანკის" გამოუქვეყნებელი მასალების მიხედვით), ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება", № 10, 1960 წ.

ლასხიშვილი გ. მემუარები, თბ., 1934 წ.

ლიტერატურის მატიანე, წიგნი 1, ნაკვ. I., თბ., 1952 წ.

ლიტერატურის მატიანე, წიგნი 4, ნაკვ. I, თბ., 1952 წ.

ლიტერატურის მატიანე, წიგნი 6, ნაკვ. I, თბ., 1952 წ.

მანსვეტაშვილი ი. მოგონებები, თბ., 1936 წ.

მირიანაშვილი პ. გახსოვდეს წერა-ლაპარაკის დროს (ქართული გრამატიკის წესები), თბ., 1915 წ.

მეგრელიძე ი. ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1989 წ.
მესხი ს. თხზ., ტ. II, თბ., 1962 წ.
მესხი ს. თხზ., ტ. III, თბ., 1963 წ.
მეტრეველი რ. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1982 წ.
მეუნარგია ი. ქართველი მწერლები. თბ., 1941 წ.
მიქაბერიძე ალ. მოგონება ი. ჭავჭავაძეზე. საიუბილეო კრებულში, თბ., 1939 წ.
ნაცვალაძე დ. ილია ჭავჭავაძე და აჭარა, ბათუმი, 1957 წ.
ნიკოლაძე ნ. თხზ., ტ. VII, თბ., 1985.
ნიკოლაძე ნ. მოგონებები 60-იან წლებზე.
ნანიტაშვილი ლ. ერის წყლული აჩნდა წყლულად. გაზ„თბილისი", 1986 წ., 26 აპრილი.
ჟორდანია გ. აქვს თუ არა საქართველოს კანონიერი უფლება მოითხოვოს ავტონომია, თბ., 1917 წ.
Жордания Г. Быт и нравы грузинского народа середины XIX века в литературных произведениях И.Г. Чавчавадзе, М., 1908.
სანიკიძე თ. იაკობ ნიკოლაძე, თბ., 1977 წ.
საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე. ავტორთა კოლ.-მ.ბახტაძე, ვ. გურული, მ. ვაჩნაძე, ბ. კუპატაძე, გ. ნადირაძე, დ. შველიძე, ვ. ჯანჯღავა. თბ., 2005 წ.
საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970 წ.
სახოკია თ. ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1969 წ.
სახოკია თ. მოგზაურობანი. გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, თბ., 1950 წ.
Сахаров А.Н. Национальный вопрос и российская цивилизация в кн.: Россия XX веке. М., 1999.
Степанский А.Д. Самодержавие и общественные организации России на рубеже XIX-XX вв. М., 1980.
სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები. კრებული მესამე, თბ., 1968 წ.
სიგუა ს. სახალხო განათლება რევოლუციამდელ საქართველოში, თბ., 1965 წ.

სურგულაძე აკ. ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1977 წ.

სურგულაძე აკ. ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1973 წ.

სურგულაძე აკ. ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან, თბ., 1980 წ.

სურგულაძე აკ. ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია სამ რევოლუციაში. თბ., 1986 წ.

სტეფანიშვილი ა. დავით სარაჯიშვილი, თბ., 1988 წ.

ფაღავა აკ. ლადო მესხიშვილი, თბ., 1969 წ.

ფირცხალავა ს. მოგონებათა ფურცლები, თბ., 1988 წ.

ტატიშვილი ირ., დეკანოსიძე თ. მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა, თბ., 1960 წ.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საიუბილეო ანგარიში, თბ., 1914 წ.

ქუთაისის დრამატული საზოგადოების წესდება, ტფ., 1907 წ.

ყიფიანი დ. მემუარები, თბ., 1990 წ.

ყიფიანი შ. ალ. ჯავახიშვილი (ცხოვრება და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა), თბ., 1957 წ.

ყურულაშვილი ლ. ქართული თეატრი ბაქოში. თბ., 1974 წ.

Шадури В. Декабристская литература и грузинская общественность. Тб., 1960.

შარაძე გ. წერილები უორდროპისადმი. ჟურ. „მნათობი", № 1, 1989 წ.

შარაძე გ. ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება. ფოტომატიანე. წიგნი II, თბ., 1990 წ.

ჩიხლაძე ნ. ღვაწლმოსილი ქართველი მანდილოსნები, თბ., 1976 წ.

ჩიხლაძე ნ. დომინიკა ერისთავი (განდეგილი), თბ., 1960 წ.

ჩხეტია შ. დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა, ჟურ. „საისტორიო მოამბე", № 3, 1947 წ.

ჩხეტია შ. რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში (1840-1864), საქ. სახელმწ. მუზ. მოამბე, თბ., 1944 წ.

წერეთელი აკაკი. რჩეული ნაწერები, 1940 წ.

წერეთელი აკ. თხზ., ტ. 12.

ჭავჭავაძე ი. თხზ., ტ. III, თბ., 1952 წ.
ჭავჭავაძე ი. თხზ., ტ. IV, თბ., 1955 წ.
ჭავჭავაძე ი. თხზ., ტ. V, თბ., 1991 წ.
ჭავჭავაძე ი. თხზ., ტ. X, თბ., 1961 წ.
ჭავჭავაძე ი. თეატრის შესახებ, თბ., 1955 წ.
ჭიჭინაძე ზ. ქართველების გამაჰმადიანება. თბ., 1907 წ.
ხუნდაძე ტრ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბ., 1960 წ.
ხუნდაძე ტრ. ცარიზმის საგანმანათლებლო სისტემა საქართველოში, თბ., 1940 წ.
ხუციშვილის მანათობელი (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 100 წელი) თბ., 1980 წ.
ჯანაშვილი მ, საქართველოს ისტორია, ტ. I, ტფ., 1906 წ.
ჯორჯაძე არჩ. წერილები, თბ., 1989 წ.
ჯორჯაძე არჩ. სამშობლო და მამულიშვილობა, თბ., 1990 წ.
Hroch Miroslav. Die Vorkämpfer der Nationalbewegung bei den kleinen Völkern Europas.
Eine vergleichende Analyse zur gesellschaftlichen Schichtung der patriotischen Gruppen. Prag, 1968.

სარჩევი

წინათქმა 3

ნაწილი პირველი

შესავალი 8

თავი I. თვითმოქმედ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა წარმოშობა 26

თავი II. თვითმოქმედი საზოგადოებები მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში 82

ბრძოლა უმეცრების წინააღმდეგ 82
ბრძოლა დედაენაზე სწავლების უფლებისათვის, ეროვნული სკოლისათვის 114
ბრძოლა ეროვნული თეატრისათვის (ქართული დრამატული საზოგადოება) 146
„ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ 159

თავი III. ეროვნული საუნჯე 166

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავ-მუზეუმი 166
ქართული შემკრებლობითი ფოლკლორისტიკა 189

თავი IV. ქართული თვითმოქმედი საზოგადოებები 1900-1907 წლებში 197

ნაწილი მეორე

თავი V. კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის გაფართოება 1907-1917 წლებში 236

თვითმოქმედი საზოგადოებები და სახალხო განათლება 236
წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებები (ფილიალები) 254

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო
საზოგადოება 285
ქართველ ქალთა თვითმოქმედი საზოგადოებები 307
ქალთა თანასწორუფლებიანობის საკითხი და
თვითმოქმედი საზოგადოებები 331
დრამატული საზოგადოებები და ქართული თეატრი 350

თავი VI. ქართული კულტურის შესწავლა და მისი პოპულარიზაცია 385

„ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის
მოყვარულთა წრე“ 385
„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“ 407

თავი VII. ქართული საქველმოქმედო საზოგადოება და აჭარა 466

თავი VIII. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ზრუნვა ქართველი ერის სახელოვან შვილთა ხსოვნის უკვდავსაყოფად 489

თავი IX. სრულიად საქართველოს ეროვნულ-კულტურული შტაბი 520

ბოლოთქმა 543
ილუსტრაციები 545
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა 583

გამომცემლობის რედაქტორი მ. ვარამაშვილი
ტექრედაქტორი კ. რუსიძე
კორექტორები: ნ. ვაშაკიძე, ქ. გაჩეჩილაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1.06.05
საბეჭდი ქაღალდი 60X84
პირ. ნაბეჭდი თაბახი 37,25
სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 29,52
შეკვეთა №69 ტირაჟი 500

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14.

გამომცემლობა „მერიდიანი"
თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ., 112.